

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს  
საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია

*ედვენება ექვთიმე თაყაიშვილის  
დაბადებიდან 150-ე წლისთავს*

## საისტორიო ძიებანი

XII

*ნელინდეული*

UDC (უაკ)93/94+930(479.22) (092)  
ს-187

**„საისტორიო ძიებანი“** XII ტომი ეძღვნება დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწის, გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის აკადემიკოს **ექვთიმე თაყაიშვილის** დაბადებიდან 150-ე წლისთავს. მასში დაბეჭდილია სტატიები საკუთრივ მეცნიერის ცხოვრებასა და ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაზე, აგრეთვე სტატიები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე და ა.შ.

კრებული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

**მთავარი რედაქტორი:**

**ზურაბ პაპასქირი**

**სარედაქციო კოლეგია:** ჯამბულ ანჩაბაძე, ომარ არდაშელია, ჯონი აფაქიძე, ლია ახალაძე, ჯემალ გამახარია, ბორის კვარაცხელია, კახა კვაშილავა, ავთანდილ კილასონია, თეიმურაზ პაპასქირი, ოთარ ყორდანი, დავით ჩიტაია, გივი წულაია, ბეჟან ხორავა, ვახტანგ ჯაფარიძე, დაზმირ ჯოჯუა.

**რედაქციის მისამართი:**

ქ. თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 61

ტელ.: (995-32) 254-14-12.

e-mail: saistoriodziebani@gmail.com

webpage: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani>

© სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, 2015.

ISSN 1512-2085

**SOKHUMI STATE UNIVERSITY**

**GEORGIAN HISTORICAL SOCIETY BY EKVTIME TAKAISHVILI  
ABKHAZIAN ORGANIZATION**

*Dedicated to the 150<sup>th</sup> birth anniversary  
of Ekvtime Takaishvili*

# **HISTORICAL RESEARCHES**

## **XII**

*Annual*

Tbilisi – 2013-2015

UDC (უკ)93/94+930(479.22) (092)  
ს-187

Volume XII of *“Historical Researches”* is dedicated to the 150<sup>th</sup> birth anniversary of Ekvtime Takaishvili – of the greatest national figure of Georgia of XX<sup>th</sup> century, great scholar, the saint of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church. In this edition published materials of the life of a martyr and multifaceted creative and public activity of Ekvtime Takaishvili, as well as articles on the history of Georgia, world history, archaeology, ethnology, history, political sciences, etc.

The annual is intended for the specialists and general readers.

**EDITOR-IN-CHIEF:**

**ZURAB PAPASKIRI**

**EDITORIAL BOARD:** Lia Akhaladze, Jambul Anchabadze, John Apakidze, Omar Ardashelia, David Chitaia, Jemal Gamakharia, Vakhtang Japaridze, Dazmir Jojua, Avtandil Kilasonia, Bejan Khorava, Boris Kvaratskhelia, Kakha Kvashilava, Teimuraz Papaskiri, Givi Tsulaia, Otar Zhordania.

**Address:** 61 Ana Politkovskaia str., Tbilisi, 0186, Georgia

Tel. (995-32) 254-14-12.

e-mail: saistoriodziebani@gmail.com

webpage: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani>

© Sokhumi State University

© Abkhazian Organization of All-Georgian Historical Society by Ekvtime Takaishvili, 2015.

ISSN 1512-2085

СУХУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

ВСЕГРУЗИНСКОЕ ИСТОРИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО им. ЭКВИМЕ ТАКАИШВИЛИ  
АБХАЗСКАЯ ОРГАНИЗАЦИЯ

*Посвящается 150-летию  
со дня рождения Эквима Такашвили*

# Исторические разыскания

*Е ж е г о д н и к*

**XII**

Тбилиси – 2013-2015

UDC (უკუ)93/94+930(479.22) (092)  
ბ-187

VIII-IX том ежегодника „*Исторические разыскания*“ посвящается 150-летию со дня рождения **Эквтиме Такашвили** – одного из величайших национальных деятелей Грузии XX-го столетия, выдающегося учёного, причисленного к лику святых Грузинской Апостольской Автокефальной Православной церкви. В нём опубликованы материалы о жизни и многогранной творческой и общественной деятельности Эквтиме Такашвили, а также статьи по актуальным проблемам истории Грузии, всеобщей истории, археологии, этнологии, политологии и т.д.

Ежегодник рассчитан на специалистов и широкий круг читателей.

**ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР:**

**ЗУРАБ В. ПАПАСКИРИ**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Джамбул М. Анчабадзе, Дж. Б. Апакидзе, Омар В. Ардашелия, Лия В. Ахаладзе, Джемал О. Гамахария, Вахтанг М. Джапаридзе, Дазмир Ю. Джоджуа, Отар К. Жордания, Борис Е. Кварацхелия, Каха Н. Квашилава, Автандил М. Киласония, Теймураз З. Папаскири, Бежан К. Хорава, Гиви В. Цулая, Давид Ш. Читаия.

**Адрес редакции:** Тбилиси, 0186, ул. Анны Политковской 61

Тел.: (995-32) 254-14-12.

e-mail: saistoriodziebani@gmail.com

webpage: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani>

© Сухумский государственный университет

© Абхазская организация Всегрузинского Исторического Общества им. Эквтимэ Такашвили, 2015.

ISSN 1512-2085

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**მთავარი რედაქტორისაგან** ..... 13

### ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი - 1 5 0

<b>ზურაბ პაპასქირი.</b> ცხოვრება და ღვანლი ექვთიმე თაყაიშვილისა .....	15
<b>ვანტანგ ჯაფარიძე.</b> ექვთიმე თაყაიშვილი ქართული არქეოლოგიის სათავეებთან .....	35
<b>ლია ახალაძე.</b> ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც წყართმცოდნე .....	49
<b>ჯამბულ ანჩაბაძე.</b> ერის საუნჯის დიდი გუშაგი .....	68
<b>დაზმირ ჯოჯუა.</b> ექვთიმე თაყაიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობიდან .....	79

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

<b>იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი.</b> კათალიკოსი დომენტი IV .....	88
<b>კახა კვაშილავა.</b> კიდევ ერთხელ იმის შესახებ, თუ როდის გახდა ენგური „სასაზღვრო“ მდინარე (რუსულ ენაზე) .....	120
<b>იგორ კეკელია.</b> სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია .....	158
<b>ალექსანდრე მღებრიშვილი.</b> გორი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში (60-იანი წლების ჩათვლით) .....	169
<b>ოთარ გოგოლიშვილი.</b> ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. <i>გულო კაიკაციშვილი</i> .....	178
<b>ჯემალ გამახარია, ტატიანა ეროხინა.</b> წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) რიაზანის წმინდა სამების მონასტერში (1909 წლის იანვარი – 1910 წლის თებერვალი) .....	186
<b>დიმიტრი სილაქაძე.</b> საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დისკუსია სახალხო გვარდიის შექმნის თაობაზე 1918 წლის ზაფხულში ..	205
<b>კახაბერ ყალიჩავა.</b> რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი .....	217

### ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა , ე თ ნ ო ლ ო გ ი ა

<b>ნოდარ ბერულავა, ზურაბ პაპასქირი.</b> რუსი არქეოლოგის მოულოდნელი აღიარებებისა და ზოგიერთი მცდარი დებულების შესახებ. <i>გამოხმაურება ალექსანდრე სკაკოვის სტატიაზე: „აფხაზეთი ანტიკურ ხანაში. წერილობითი წყაროების ანალიზის მცდელობა“</i> (რუსულ ენაზე) .....	233
<b>ნინო ხარჩილავა.</b> ეკლესია და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში. <i>გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით...</i>	275

**მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა**

**თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე.** საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები .. 286

**მერაბ კალანდაძე.** პროფესორი გივი კილურაძე და ამერიკის ახალი ისტორიის საკითხები ..... 298

**ზაალ გოგენია.** „ოპერაცია ნიკოლაი“ და ანდრე ნინის საქმე ..... 309

**თეიმურაზ პაპასქირი.** თურქეთის საკითხი სსრკ-გერმანიის ურთიერთობებში 1940 წელს ..... 324

**ალექსანდრ მასლოვი.** გენერალი პავლე აბრამიძე.  
ბიოგრაფიული ჩანაწერები ..... 355

**გიორგი ცომიაია.** ლიხტენშტაინის ინციდენტი ..... 362

**ფატი შეყლაშვილი.** კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს ..... 370

**შალვა კიკალიშვილი.** პოლ ბრემერი და აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ 2003-2004 წლებში ..... 376

**ო მ ი ს ე ქ ო**

**ჟ ი უ ლ ი შ ა რ ტ ა ვ ა - 7 0**

**ზურაბ პაპასქირი.** სოხუმი – 1993. შეხვედრები ჟიული შარტავასთან ..... 396

**კ რ ი ტ ი კ ა, ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა**

**ზურაბ პაპასქირი.** მეტად საინტერესო და საჭირო გამოკვლევა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. *რეცენზია მამუკა წურნუმიას მიერ ისტორიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე: „შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“* ..... 405

**ი უ ბ ი ლ ა რ ე ბ ი**

**დაზმირ ჯოჯუა.** ამაგდარი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე.  
ბორის კვარაცხელია – 80 ..... 416

**ავტორები** ..... 423



## C O N T E N T S

<i>From the Editor-in-Chief</i> .....	13
---------------------------------------	----

### E K V T I M E T A K A I S H V I L I – 1 5 0

<b>Zurab Papaskiri.</b> The Life and Work Ekvtime Takaishvili .....	15
<b>Vakhtang Japaridze.</b> Ekvtime Takaishvili at the Beginnings of the Georgian Archaeology .....	35
<b>Lia Akhaladze.</b> Source Study Researches of Ekvtime Takaishvili .....	49
<b>Jambul Anchabadze.</b> The Great Protector of the Georgian National Treasure .....	68
<b>Dazmir Jojua.</b> From the Political Activities of Ekvtime Takaishvili .....	79

### H I S T O R Y O F G E O R G I A

<b>Ioseb (Soso) Alimbarashvili.</b> Catholicos-Patriarch Domenti IV .....	88
<b>Kakha Kvashilava.</b> Once Again On When Did River Enguri Become a “Frontier” River ( <i>in Russian</i> ) .....	120
<b>Igor Kekelia.</b> Questions of Samegrelo’s Historical Geography in Eduard Eichwald’s Traveller’s Notes and Modern Historiography .....	158
<b>Alexandre Mghebrishvili.</b> Gori in the 19 <sup>th</sup> Century Russian Source ( <i>Up to 1860’s</i> ) ...	169
<b>Otar Gogolishvili.</b> From the History of National Liberation Movement in the South-Western Georgia. <i>Gulo Kaikatsishvili</i> .....	178
<b>Jemal Gamakharia, Tatyana Erokhina.</b> Saint Ambrose (Khelaia) at the Holy Trinity Monastery in Ryazan ( <i>January 1909 – February 1910</i> ) .....	186
<b>Dimitri Silakadze.</b> The Declaration of Independence of Georgia and the Discussion Regarding the Foundation of People’s Guard During the Summer of 1918 .....	205
<b>Kakhaber Kalichava.</b> Some Aspects of Russian “Passport Policy” in Abkhazia and Tskhinvali Region .....	217

### A R C H A E O L O G Y , E T H N O L O G Y

<b>Nodar Berulava, Zurab Papaskiri.</b> About Unexpected Revelations and Some Misconceptions of Russian Archaeologist. <i>On the Articles of Alexander Skackov: “Akhaia in Antiquity. Attempt to Analyze Written Sources” (in Russian)</i> .....	233
<b>Nino Kharchilava.</b> Church and the Wedding Traditions in Samurzakano. <i>According to the Ethnographic Data of Gali District</i> .....	275

## WORLD HISTORY

<b>Tamar Antadze, Merab Kalandadze.</b> The Key Points in the Study of the French Revolution and Napoleonic Era in Georgia .....	286
<b>Merab Kalandadze.</b> Professor Givi Kighuradze on the Issues of the U.S. History .....	298
<b>Zaal Gogenia.</b> Operation “Nikolai” and the Case of Andreu Nin .....	309
<b>Teimuraz Papaskiri.</b> Turkish issue in the Soviet-German relations in 1940 .....	324
<b>Alexander Maslov.</b> General Pavle Abramidze. <i>Biographical Sketches</i> .....	355
<b>Giorgi Tsomaia.</b> The Liechtenstein Incident .....	362
<b>Patima Sheklashvili.</b> The Issue of the Kosovo Serbs During the Second World War .....	370
<b>Shalva Kikalishvili.</b> Paul Bremer and the U.S. Policy Towards Iraq in 2003-2004 .....	376

## THE WAR ECHO

### ZHIULI SHARTAVA – 70

<b>Zurab Papaskiri.</b> Sokhumi – 1993. <i>Meetings with Zhiuli Shartava</i> .....	396
--	-----

## CRITIQUE, BIBLIOGRAPHY

<b>Zurab Papaskiri.</b> Very Interesting and Necessary Research on History of the Georgian Military Art. Review on the Phd Thesis of Mamuka Tsurtsunia: “ <i>Medieval Georgian Army (900-1700): Organization, Tactics, Armament</i> ” .....	405
---	-----

## ANNIVERSARIES

<b>Dazmir Jojua.</b> Prominent Scientist, Honoured Citizen. <i>Boris Kvaratskhelia – 80</i> .....	416
<b>Authors</b> .....	423

## СОДЕРЖАНИЕ

*От главного редактора* ..... 13

### ЕКВИМЭ ТАКАИШВИЛИ – 150

**Зураб Папаскири.** Жизнь и деятельность Еквимэ Такашвили ..... 15

**Вахтанг Джапаридзе.** Еквимэ Такашвили у истоков грузинской археологии .... 35

**Лия Ахаладзе.** Источниковедческие изыскания Еквимэ Такашвили ..... 49

**Джамбул Анчабадзе.** Великий Хранитель грузинского национального достояния..... 68

**Дазмир Джоджуа.** О национально-политической деятельности Еквимэ Такашвили ..... 79

### ИСТОРИЯ ГРУЗИИ

**Иосеб (Сосо) Алимбарашвили.** Каталикос-Патриарх Доменти IV ..... 88

**Каха Квашилава.** Ещё раз о том, когда стала река Энгури «пограничной» рекой ..... 120

**Игорь Кекелиа.** Некоторые вопросы исторической географии Мегрелии в путешественных записях Эдуарда Айхвальда и современная историография..... 158

**Александр Мгебришвили.** Гори в русских источниках XIX века (*До 60-х годов включительно*) ..... 169

**Отар Гоголишвили.** Из истории национально-освободительного движения в юго-западной Грузии. *Гуло Каикацишвили* ..... 178

**Джемал Гамахария, Татьяна Ерохина.** Святой Исповедник Амвросий (Хелая) в Рязанском Троицком Монастыре (*Январь 1909 – февраль 1910 гг.*) ..... 186

**Дмитрий Силакадзе.** Провозглашение национальной независимости Грузии и дискуссия по вопросу создания национальной гвардии весной 1918 г. .... 205

**Кахабер Каличава.** Некоторые аспекты российской «паспортной политики» в Абхазии и Цхинвальском Регионе ..... 217

### АРХЕОЛОГИЯ, ЭТНОГРАФИЯ

**Нодар Берулава, Зураб Папаскири.** О неожиданных откровениях и некоторых заблуждениях российского археолога. *По поводу статьи Александра Скакова: «Абхазия в античности»: попытка анализа письменных источников»* ..... 233

**Нино Харчилава.** Церковь и брачные традиции в историческом Самурзакано. *По этнографическим материалам Гальского района* ..... 275

## В С Е М И Р Н А Я   И С Т О Р И Я

<b>Тамар Антадзе, Мераб Каландадзе.</b> Ключевые вопросы изучения Великой французской революции и эпохи Наполеона в Грузии .....	286
<b>Мераб Каландадзе.</b> Профессор Гиви Кигурадзе и вопросы новой истории США .....	298
<b>Заал Гогениа.</b> Операция «Николай» и дело Андре Нина .....	309
<b>Теймураз Папаскири.</b> Турецкий вопрос в советско-германских отношениях в 1940 году .....	324
<b>Александр Маслов.</b> Генерал Павел Абрамидзе. <i>Страницы биографии</i> .....	355
<b>Георгий Цомая.</b> Лихтенштейнский инцидент .....	362
<b>Патима Шеклашвили.</b> Вопрос косовских сербов во время Второй мировой войны .....	370
<b>Шалва Кикалишвили.</b> Пол Бремер и политика США в Ираке в 2003-2004 гг. ....	376

## Э Х О   В О Й Н Ы

### Ж И У Л И   Ш А Р Т А В А   –   7 0

<b>Зураб Папаскири.</b> Сухуми – 1993. <i>Встречи с Жиули Шартава</i> .....	396
---	-----

## К Р И Т И К А ,   Б И Б Л И О Г Р А Ф И Я

<b>Зураб Папаскири.</b> Весьма интересное и нужное исследование по истории грузинского военного искусства. <i>Рецензия на докторскую диссертацию (PhD) Мамуки Цурцумия: «Средневековое грузинское войско (900-1700): Организация, тактика, вооружение»</i> .....	405
--	-----

## Ю Б И Л Я Р Ы

<b>Дазмир Джоджуа.</b> Видный учёный, достойный гражданин. <i>Борис Кварацхелия – 80</i> .....	416
<b>Авторы</b> .....	423

## მთავარი რედაქტორისაგან

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ანახლებს აქტიურ საგამოცემლო საქმიანობას ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდული გამოცემა – წელიწდეული: „საისტორიო ძიებანი“ სარედაქციო კოლეგია. თავის დროზე, ამ კრებულის გამოცემა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მხოლოდ წმინდა პროფესიონალური თვალსაზრისით – ის იმთავითვე ზოგადკულტურული მნიშვნელობის ფაქტად იქცა, რომელიც გასცდა საკუთრივ აფხაზეთის მასშტაბებს და საერთო-ეროვნული დატვირთვაც შეიძინა.

1998-2008 წლებში სულ გამოიცა კრებულის 9 ტომი. საისტორიო ძიებანის პირველი ტომი გამოვიდა 1998 წელს და მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავს.<sup>1</sup> მომდევნო წლებში სარედაქციო კოლეგია შეუფერხებლად ახერხებდა კრებულების გამოცემას და ყოველწლიურად უშვებდა თითო კრებულს.<sup>2</sup> მაგრამ, მოგვიანებით, შეიქმნა პრობლემები (ძირითადად ფინანსური ხასიათის), რის გამოც ბოლო ორი ტომი გამოიცა გაერთიანებული სახით.<sup>3</sup> ამით ერთგვარად დაირღვა წელიწდეულის პრინციპი – წელიწადში ერთი ტომი.

2008 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, საერთოდ ვერ მოხერხდა კრებულის გამოცემა. ამჯერად ფინანსურ პრობლემებს დაემატა ის გარემოებაც, რომ დაიწყო გამოსვლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერიოდულმა სამეცნიერო გამოცემამ: „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ (ჰუმანიტარულ და სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია).<sup>4</sup> გარდა ამისა, უნივერსიტეტის ისტორიკოსთა გუნდმა

<sup>1</sup> საისტორიო ძიებანი. I. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 1998.

<sup>2</sup> საისტორიო ძიებანი. II. წელიწდეული. ეძღვნება ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 1999; საისტორიო ძიებანი. III. წელიწდეული. ეძღვნება ბედიის ტაძრის 1000 წლისთავს. თბ., 2000; საისტორიო ძიებანი. IV. წელიწდეული. ეძღვნება სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის 20 წლისთავს. თბ., 2001; საისტორიო ძიებანი. V. წელიწდეული. თბ., 2002; საისტორიო ძიებანი. VI. წელიწდეული. თბ., 2003; საისტორიო ძიებანი. VII. თბ., წელიწდეული. 2004.

<sup>3</sup> საისტორიო ძიებანი. VIII-IX. წელიწდეული. ეძღვნება შოთა მესხიას დაბადებიდან 90-ე წლისთავს. თბ., 2006; საისტორიო ძიებანი. X-XI. წელიწდეული. ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების 100 წლისთავს. თბ., 2008.

<sup>4</sup> სულ გამოცემულია 4 ტომი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2007; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VIII. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლი-

ბოლო წლებში მოამზადა და გამოსცა რამდენიმე სპეციალური მიძღვნილი კრებულები.<sup>5</sup> ყოველივე ამან შექმნა ერთგვარი კონკურენტული გარემო, რომლის დროსაც ჩვენმა კოლეგებმა პირველ რიგში, სწორედ საუნივერსიტეტო გამოცემებს მიანიჭეს უპირატესობა.

ამ ფონზე, თითქოს, აუცილებელი არც კი იყო ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდული გამოცემის აღდგენა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ „**საისტორიო ძიებანს**“ უკვე აქვს მოხვეჭილი საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი სამეცნიერო სივრცეში და ის აღიარებულია რეიტინგულ სამეცნიერო გამოცემად,<sup>6</sup> სარედაქციო კოლეგიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მისი განახლება ახალი ფორმატით.

იმედია, განახლებული „**საისტორიო ძიებანი**“, რომელიც **ამიერიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის საბაზო დაწესებულების – გრიფითაც გამოვა**, გააგრძელებს იმ სახელოვან ტრადიციას, რომელსაც XX ს. მინურულს საფუძველი ჩაუყარეს აფხაზეთიდან დევნილმა ისტორიკოსებმა და კვლავაც ღირსეულად იდგება ქართული ისტორიული მეცნიერების სამსახურში. ამ კუთხით ერთგვარად სიმბოლურია, რომ 2008 წელს გამოცემული (ბოლო – X-XI) ტომი მიძღვნილი იყო ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების 100 წლისთავისადმი, წინამდებარე – XII ტომი კი ეძღვნება უკვე თვით ამ საზოგადოების დამაარსებლისა და სულისჩამდგმელის, დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს.

---

ტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2010-2011; *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. XI. თბ., 2013-2014. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2014. ამ კრებულების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (იხ.: [http://sou.edu.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=170](http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=170)).

<sup>5</sup> *თეიმურაზ ბიჩუანი — 70*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული, მიძღვნილი *თეიმურაზ მიბჩუანის* დაბადებიდან 70-წლისთავისადმი. თბ., 2008-2010; *მარი ბროსე — 210*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., 2012; *ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტისა მეტყუელება არს*. ზურაბ ჰაპასქირი — 60. თბ., 2010-2013; *გივი წულაია — 80*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული, მიძღვნილი *გივი წულაიას* დაბადებიდან 80-წლისთავისადმი. თბ., 2014.

<sup>6</sup> თავისთავად ეს, ბუნებრივია, პირველ რიგში, განაპირობა კრებულებში დაბეჭდილი მასალების მაღალმა აკადემიურმა დონემ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „**საისტორიო ძიებანის**“ ტომები იმთავითვე განთავსდა ინტერნეტში (იხ.: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani/journals>).

**ექვთიმე თაყაიშვილი - 150 \***

**ზურაბ პაპასქირი**

**ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა**

როგორც ცნობილია, დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (იუნესკო) 2013 წელი, ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა და ის საერთაშორისო მნიშვნელობის საიუბილეო თარიღების ნუსხაში შეიტანა. ეს პატივი დიდ ქართველ ეროვნულ მოღვაწეს, გამოჩენილ მეცნიერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანს ერგო ერისა და სამშობლოს წინაშე განეული განსაკუთრებული ღვაწლისა და თავდადებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეს ყველაზე ავტორიტეტული მსოფლიო ორგანიზაცია (განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში) პატივს მიაგებს საქართველოს წარმომადგენელს, ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას. თავის დროზე იუნესკოს საგანგებოდ აღუნიშნავს სხვა ქართველ მოღვაწეთა, აგრეთვე კულტურის ძეგლთა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ასევე უღიარებია ცალკეული საიუბილეო თარიღები საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად. ასე, მაგალითად: ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იუნესკომ 1979-1983 წლებში მსოფლიო მასშტაბით აღნიშნა „შუშანიკის ნამების“ 1500 წლისთავი; 2011 წელი – ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილეს გამო იუნესკომ ვაჟა-ფშაველას წლად გამოაცხადა, ხოლო 2012 წელი – შოთა რუსთაველის წლად („ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით).

და მაინც, ვინ არის ექვთიმე თაყაიშვილი და რატომაა ის ასე გამორჩეული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ადვილიც არის და, ამავე დროს, რთულიც. ადვილი იმიტომ, რომ მოიხსნა საქართველოსათვის თავსმოხვეული კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის კონიუნქტურული პოლიტიკურ-იდეოლოგიური მარწუხები და შესაძლებელი გახდა

\* ამ რუბრიკაში განთავსებულ სტატიებს საფუძვლად დაედო დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომელიც გაიმართა 2013 წლის 2 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„კეისარს კეისრისა მივუზღოთ“. თავის დროზე, სწორედ ამ ანტიეროვნული მარიონეტული რეჟიმის წყალობით, ქართველ ხალხს, ფაქტობრივად, აეკრძალა ღირსეული დატირება და ჯეროვანი პატივის მიგება ერის სინდისად აღიარებული სამშობლოსათვის თავდადებული რაინდისათვის – 1953 წ. 21 თებერვლის სუსხიან დღეს ექვთიმე თაყაიშვილს, ამ მართლაც ღვთისკაცს, რომლის მონამეობრივი ცხოვრება საუკუნოდ დარჩება დიდ ზნეობრივ მაგალითად ქართველობისათვის, უკანასკნელ გზაზე სულ რაღაც 40-45 კაცი მიაცილებდა (!!!). ძნელია, წარმოიდგინო ეროვნული ღირსების შელახვისა და ფეხქვეშ გათელვის, ერის „დასაჭურისების“ ამაზე მკაფიო ფაქტი. წლები გახდა საჭირო იმისათვის, რომ ქართულ საზოგადოებას (თავდაპირველად ერთგვარი მოკრძალებით) სათანადოდ დაეფასებინა დიდი ექვთიმეს ღვაწლი და მისთვის ერის მთავარ სავანეში – მთაწმინდაზე მიეჩინა კუთვნილი ადგილი.

ექვთიმე თაყაიშვილის „დიდთა საქმეთა“ წარმოჩენა რთული კი იმიტომაცა, რომ თვით ის არის ტიტანური პიროვნება და, ამდენად, მისი ნაღვანის სრულფასოვანი ამომწურავი ანალიზი და შეფასება გარდა სათანადო კომპეტენციისა, დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. მართალია, ბოლო 50 წლის მანძილზე ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ათეულობით ნაშრომი მიეძღვნა,<sup>1</sup> მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. იმედია, ექვთიმე თაყაიშვილის სახელის ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გატანა ახალ იმპულსებს შესძენს ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის როლისა და ადგილის კიდევ უფრო მასშტაბურ წარმოჩენას ერის სამეცნიერო-ინტელექტუალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი დიდი საერთო-ეროვნული მნიშვნელობის მოღვაწე ჰყოლია, მაგრამ ყველას არ რეგებია პატივი გამხდარიყო კონკრეტულ ეპოქაში ერისა და ქვეყნის ერთგვარი სახე-სიმბოლო. გასაგები მიზეზების გამო უმეტესწილად შთამომავლობას ამ მხრივ ძირითადად სახელმწიფო და

---

<sup>1</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით პირველი „ხნული“ გაავლეს იმჟამად ახალგაზრდა ისტორიკოსებმა (ჯერ კიდევ სტუდენტებმა) შოთა ბადრიძემ და როინ მეტრეველმა, რომლებმაც 1962 წელს გამოაქვეყნეს ნაშრომი ექვთიმე თაყაიშვილზე. იხ.: **რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე**, ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1962. მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ არაერთი ნაშრომი გამოიცა. მათ შორის სპეციალური კრებული მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966. იხ. აგრეთვე: **ა. სურგულაძე**, ექვთიმე თაყაიშვილი. *ცხოვრება და მოღვაწეობა*. თბ., 1977; **ი. მეგრელიძე**, ექვთიმე თაყაიშვილი. *ცხოვრება და მოღვაწეობა*. თბ., 1989; **გ. ლომთათიძე**, ქართული კულტურის მემკვიდრე: *ექვთიმე თაყაიშვილი*. თბ., 1990 და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი ნაშრომების სრული სია იხ.: *ექვთიმე თაყაიშვილი*. 1863-1953. ბიობიბლიოგრაფია. შემდგენლები: **ვ. გოგილაშვილი, ც. კვაჭაძე**. თბ., 2010.



პოლიტიკური ლიდერები ამახსოვრდებოდა. ამიტომაცაა, მაგალითად, რომ ძვ.წ. IV-III საუკუნეები ასოცირდება ფარნავაზისა და ქუჯის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან და სწორედ ისინი მოიაზრებიან ქვეყნისა და ერის სიმბოლურ სახედ მოცემულ ეპოქაში. ასევე საერთო-ეროვნულ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო აღიქმება ახ.წ. V საუკუნე ვახტანგ გორგასლის ეპოქად; X ს. ბოლო მესამედი და XI საუკუნე – საქართველოს გამაერთიანებლების, დავით III დიდი კურაპალატისა და ბაგრატ III-ის საუკუნედ; XII საუკუნე კი – დავითისა და თამარის საუკუნეა, ხოლო XIV საუკუნე გიორგი V ბრწყინვალესთან ასოცირდება. მომდევნო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო ცალკეული გამონათებები, რომლის ტონის მიმცემები სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერები იყვნენ (ალექსანდრე I დიდი, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II, სოლომონ I...), სამწუხაროდ, საქართველოს არ ჰყოლია იმ დონის საერთოეროვნული მასშტაბის მოღვაწე, რომელსაც შთამომავლობა ერთნიშნად ეპოქის სახედ აღიქვამდა.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ – ადგილობრივი ეროვნული სახელისუფლებო სტრუქტურების არარსებობის პირობებში – ერის წინამძღოლობა იტვირთა ქართულმა ინტელექტუალურმა ელიტამ, რომელმაც გამოიყენა დაშლილ-დანანეგრებული საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) სივრცეში მოქცევა და მყარი იდეოლოგიური საფუძველი ჩაუყარა მომავალში საერთოქართული სახელმწიფოს აღდგენას. ამ ელიტის აღიარებული ლიდერი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ქართველმა ხალხმა უყოყმანოდ უგვირგვინო მეფედ აღიარა. ამიტომაც სწორედ დიდი ილია აღიქმება XIX საუკუნის საქართველოს სიმბოლურ სახედ.

XX საუკუნეში – 1918-1921 წლებსა და 90-იან წლებში, მართალია, საქართველომ შეძლო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ეპოქის რომელიმე პოლიტიკურმა ლიდერმა შეძლო ისეთი კვალის დატოვება ქვეყნის ცხოვრებაში, რომ ის გატოლებოდა ზემოთ ჩამოთვლილ დიდ მოღვაწეებს. და მაინც, XX საუკუნეში საქართველოს ჰყავდა ისეთი გიგანტები, რომლებიც თავიანთი დიდი ეროვნული მოღვაწეობითა და თავგანწირვით ეპოქის სიმბოლოებად მოიაზრებიან.

პირველ რიგში, ეს არის დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ჭეშმარიტად ილიაობა გასწია და კომუნისტურ საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის ნამდვილ მედროშედ და ბურჯად მოგვევლინა. ამიტომაც გახდა ის ბოლშევიკური რეჟიმის მთავარი სამიზნე. განა, დიდი დაფიქრება სჭირდება იმას, რომ მისი ე.წ. საჩვენებელი „გაკიცხვა-გასამართლებები“ 1930 და

1936 წლებში, რომელმაც კინალამ შეინირა დიდი ერისკაცი,<sup>1</sup> ფაქტობრივად, ქართული ეროვნული სულისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გასამართლება იყო.

ასევე ქართული ეროვნული სულისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის საბოლოო დასამართლებას ისახავდა მიზნად მეორე დიდი მოღვაწის, რუსულ-საბჭოური იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის შეუპოვარი მებრძოლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას) გასამართლება.

და იყო ზოგად-ეროვნული მასშტაბის კიდევ ერთი წამებული ღმერთკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი – დიდი ილიას ბუდიდან აფრენილი და მისი შარავანდედით ნათელმოსილი მამულიშვილი, რომელმაც მართლაც ილიასეული პათოსითა და შეუპოვრობით განაგრძო საქართველოს ინტელექტუალური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სულიერი გაჯანსაღება-აღორძინების საქმე. უდავოდ სიმბოლურია, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება – ეს ჭეშმარიტად პირველი ეროვნული აკადემია, რომელმაც სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა მშობლიური კულტურისა და მეცნიერების განვითარების, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამალღების საქმეში,<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილმა მაინცა და მაინც დიდი ილიას ტრაგიკული აღსასრულით გამორჩეული საერთო-ეროვნული გლოვის ფონზე – 1907 წ. 20 სექტემბერს<sup>3</sup> დააფუძნა. ეს იყო ერთგვარი მინიშნება, რომ ილიას გარდაცვალებით მის მიერ წამოწყებული დიდი ეროვნულ-კულტურული

<sup>1</sup> ამის შესახებ დანვრილ. იხ. *ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე*. დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი დაურთეს **მ. ვაჩნაძემ** და **ვ. გურულმა**. თბ., 2004.

<sup>2</sup> **რ. მეტრეველი**. სააკადემიო საქმიანობის სათავე. – *საისტორიო ძიებანი*. X-XI. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2008, გვ. 13-28 (<https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2007-2008>). უფრო სრულად იხ. **რ. მეტრეველი**. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ., 1982.

<sup>3</sup> მართალია, საზოგადოების წესდება 1907 წ. 30 ივნისს (ილიას გარდაცვალებამდე 2 თვით ადრე) დაუმტკიცებიათ, მაგრამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ოფიციალური დაარსება და მის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილის არჩევა 20 სექტემბერს მომხდარა (**ე. თაყაიშვილი**. მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917). წაკითხული საზოგადოების კრებაზე 1917 წლის 16 დეკემბერს. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი*. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 191; **გ. ლომთათიძე**. ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი*. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 39; **ლ. გოდერიძე**. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები). თბ., 2005, გვ. 289.

აღმშენებლობა არ შეწყდებოდა და შემდგომ გაგრძელებას ჰპოვებდა.

ის, რომ ამ მასშტაბის ეროვნული საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი სწორედ ექვთიმე თაყაიშვილი იყო სულაც არ იყო შემთხვევითი. ამ დროისათვის მას სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მეტად შინაარსიანი გზა ჰქონდა გამოვლილი და ქართული ინტელექტუალური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებოდა. ეს გზა კი დაიწყო 1863 წლის 5 იანვარს,<sup>1</sup> სოფელ ლიხაურში (იმჟამად ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა), როდესაც ადგილობრივი აზნაურის სიმონ თაყაიშვილისა და ნინო ნაკაშიძის (მაკვანეთელი თავადის გიტული ნაკაშიძის ასულის) ოჯახში<sup>2</sup> დაიბადა ახალი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე. პირველდანწყებითი განათლება მას ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში მიუღია, სადაც იმ პერიოდში ნიკო მარიც სწავლობდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ორი დიდი მეცნიერის მეგობრობას. 1875-1883 წლებში ექვთიმე სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის წარჩინებით (ვერცხლის მედალზე) დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ასევე წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და, მიუხედავად იმისა, რომ მას სანკტ-პეტერბურგში წარმატებული საუნივერსიტეტო კარიერის პერსპექტივა ჰქონდა, სამშობლოს მოაშურა. აქ ის პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894-1904 წლებში ექვთიმე თაყაიშვილი სათავადაზნაურო გიმნაზიის ხელმძღვანელია. მისი მმართველობის პერიოდში ეს სასწავლებელი, რომელიც, თვით ექვთიმეს თქმით, „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს“ (იმპერიული საგანმანათლებლო სტრუქტურის) თვალში ისედაც „ქართული ნაციონალიზმისა და ანტირუსული მიმართულების ბუდე იყო“,<sup>3</sup> კიდევ უფრო გაძლიერდა და ქართული ეროვნული განათლების ერთგვარ ფლაგმანად იქცა.

გარდა ამისა, ის აქტიურად ჩაერთო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში, რომლის გამგეობის წევრად, დაუსწრებლად, 1888 წელს აურჩევიათ.<sup>4</sup> სწორედ ამ საზოგადოების ხაზით

<sup>1</sup> ზოგიერთი მონაცემებით 1862 წლის 5 იანვარს. იხ. **გ. შარაძე**, „...ასე იწყებოდა ექვთიმე ღვთისკაცი – თაყაიშვილი“. თბ., 2005, გვ. 13 ([http://zneobrivismiri.blogspot.com/2013/02/blogpost\\_8872.html](http://zneobrivismiri.blogspot.com/2013/02/blogpost_8872.html)).

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **გ. ლომთათიძე**. – წგნ.: **ექვთიმე თაყაიშვილი**. რჩეული ნაწერები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **ალ. ბარამიძე**. თბ., 1968, გვ. 189.

<sup>3</sup> **გ. ლომთათიძე**. ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 21.

<sup>4</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი., გვ.

ახალგაზრდა ისტორიკოსი იწყებს აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების მოძიებისა და გამომზეურების სფეროში. სანამ მოვახდენდეთ ამ პერიოდის ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი მოღვაწეობის შეფასებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ის ფონი, რომელიც დახვდა მას ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეში. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ერთი ფაქტი.

1963 წ. 15 იანვარს გაიმართა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელზეც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა თავისი შესავალი სიტყვა ერისკაცის ღვანლზე სრულიად მოულოდნელად ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“ შემდეგი პასაჟით დაიწყო:

„... – ნაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას?“... ნავაყვედრე მე.

- ჰმ! – ჩიიცინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშაგებში მშვიდობით წევსო: – ამით გათავდა შენი შერმადინობა?

- „როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგინიე“.<sup>1</sup>

„გლახის ნაამბობის“ ამ ტრაგიკული ფინალის საოცრად მახვილგონივრული მოხმობით და მასზე აქცენტის გაკეთებით ნიკო ბერძენიშვილმა მიანიშნა, „თუ რამდენად ჩამორჩებოდა ქართული ისტორიოგრაფია მონინავე ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას მხატვრული ლიტერატურის სახით, განსაკუთრებით, რომ ასე ბრწყინვალედ წარმოსდგა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში...“.<sup>2</sup> ამ მაგალითზე, დაყრდნობით მეცნიერი სავსებით მართებულად ასკვნის, რომ იმჟამინდელმა ქართულმა „მხატვრულმა ლიტერატურამ განუზომლად გაუსწრო ქართულ ისტორიოგრაფიას“,<sup>3</sup> რომელიც XIX ს. 60-იან წლებსა და მოგვიანებითაც „საზოგადოებრივი განვითარების საკითხში“ კონცეპტუალურად „ქართლის ცხოვრებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ იდეებს ვერ გასცდა.<sup>4</sup>

მაგრამ ქართული საისტორიო აზროვნება არა მხოლოდ იდეოლოგიურ-კონცეპტუალური თვალსაზრისით ჩამორჩებოდა ეპოქას, არამედ ის ინტელექტუალურად და მეთოდოლოგიურადაც შუა საუკუნეებში იყო ჩარჩენილი. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილმა თვისობრივად

135; გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვანლი, გვ. 36.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1963 წლის 15 იანვარს. – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 5; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V. თბ., 1971, გვ. 128.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V, გვ. 128.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V, გვ. 128.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V, გვ. 129.

ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>1</sup> და ის თითქოს საერთოვეროპულ დონეს მიუახლოვა, მაგრამ შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებმა ვერ შეძლეს მისი ნაღვანის შემოქმედებითი განვითარება და XIX ს. 60-70-იან წლებამდე საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა, ფაქტობრივად, მხოლოდ საწყის სტადიაზე იყო. უფრო მეტიც, თუ პლატონ იოსელიანს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პროფესიონალი ისტორიკოსი არც იყო.<sup>2</sup> სწორედ ამან ათქმევინა, როგორც ჩანს, მოსე ჯანაშვილს, რომ იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ „სიბნელე, წყუდიადი, მასალების უქონლობა: მატინათა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპარ-თქმულებათა გამოუკვლევლობა, კრიტიკულად განუხილველობა“ სუფევდა.<sup>3</sup>

ასეთ ფონზე გამოჩნდა პროფესიონალ-ისტორიკოსთა პლეადა, რომელთა თავდადებული შრომის შედეგად XIX ს. 80-იან წლებსა და XX ს. დამდეგს შეიქმნა მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ამ ბაზის კრიტიკულმა ათვისებამ და შემდგომმა შევსებამ კი უკვე მოგვიანებით თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარს ივანე ჯავახიშვილს მისცა საშუალება „ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეუ-

---

<sup>1</sup> ვახუშტი ბაგრატიონის ღვანლზე ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ.: **ზ. პაპასქირი**. ვახუშტი ბაგრატიონი – შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიის გიგანტი. – *საისტორიო ძიებანი*. I. წელიწადური. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 1998, გვ. 239-250. იქვე საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა. იგივე პუბლიკაცია იხ.: აგრეთვე წგნ.: **ზ. პაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 381-392 (<http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf>).

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი, საგანგებოდ აღნიშნავდა რა პლატონ იოსელიანის ღვანლს ისტორიოგრაფიაში, წერდა: „... ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, ხოლო თუ სცდებოდა, პატიოსნად სცდებოდა; ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდა!..“ (*ექვთიმე თაყაიშვილი*. ილია ჭავჭავაძე. მოგონება. – *ქართული ემიგრანტული ლიტერატურა*. დაბრუნება. მრავალტომეული 1. *ექვთიმე თაყაიშვილი*. ემიგრანტული ნაშრომები. *გურამ შარაძის* საერთო რედაქციით. თბ., 1991, გვ. 439. [http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/8727/1/Emigrantuli\\_Nashromebi.pdf](http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/8727/1/Emigrantuli_Nashromebi.pdf)). ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე სულხან ბარატოვი (ბარათაშვილი), რომელმაც დაგვიტოვა საკმაოდ საინტერესო დაკვირვებები საქართველოს ისტორიულ წარსულზე უძველესი დროიდან მონღოლთა ბატონობის დამყარებამდე. იხ. **С. Г. Баратов**. История Грузии. Тетр. I. СПб., 1865. *История Грузии князя С. Баратова*. Тетр. II-III. История средних веков. СПб., 1871. სულხან ბარათაშვილის ისტორიოგრაფიული თვალსაწიერისა და მისი ადგილის შესახებ ისტორიოგრაფიაში დაწვრილ. იხ.: **Г. Натадзе**. Сұлхан Баратов как историк Грузии. Тифлис, 1934; **გ. ნადირაძე**. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან. თბ., 2000.

<sup>3</sup> **ვ. დონდუა**. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი*. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 61.

ლის სახით პირველად წარმოედგინა ეპოქის მოთხოვნების დონეზე გამართული საქართველოს მეცნიერული ისტორია. ამ ფართო მასშტაბის წყაროთმცოდნეობითი (არა მხოლოდ წერილობითი წყაროების, არამედ მატერიალური ძეგლების) კვლევა-ძიების სათავეებთან მარი ბროსესთან ერთად იდგა დიმიტრი ბაქრაძე, მაღალი დონის პროფესიონალი ისტორიკოსი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო აზროვნებას და ის თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა.<sup>1</sup> დიმიტრი ბაქრაძის მიერ წამოწყებული ეს დიდი ეროვნული საქმე წარმატებით გააგრძელეს თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშიელმა, ექვთიმე თაყაიშვილმა...

სწორედ დიმიტრი ბაქრაძე იყო გზისგამკვალავი სანკტ-პეტერბურგიდან ახალ დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილისთვის ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ სფეროში ახალგაზრდა ისტორიკოსის საქმიანობის პირველი შედეგები ქართულმა საზოგადოებამ გაიცნო 1890 წელს, როდესაც მან „ივერიაში“ გამოაქვეყნა „საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავებში არსებულ ხელნაწერთა აღწერილობები<sup>2</sup> და გამოსცა „სამი ისტორიული ხრონიკა“.<sup>3</sup> ამ დროიდან დაწყებული ექვთიმე თაყაიშვილი სისტემატურად აქვეყნებდა მის მიერ მოძიებულ სხვადასხვა სიგელ-გუჯრებსა და ნარატიულ ძეგლებს, რომელთაც ურთავდა კვალიფიციურ წყაროთმცოდნეობით მიმოხილვას.<sup>4</sup>

<sup>1</sup> დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ.: მ. დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა). ბათუმი, 1950; გ. ანჩაბაძე. დიმიტრი ბაქრაძე, როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი, თბ., 1982; თ. ქორიძე. დიმიტრი ბაქრაძე. – თსუ შრომები, ტ. 338. თბ., 2001 და სხვ.

<sup>2</sup> გაზ.: „ივერია“, 1890, №3, №4, №6, №8, №9, №11, №13, №14, №15, №20, №28, №29, №46, №57, №58.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ხრონიკა. ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა, გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ. ტფ., 1890.

<sup>4</sup> საკუთრივ ექვთიმე თაყაიშვილი ზედმეტად მოკრძალებით აფასებდა თავის წყაროთმცოდნეობით ძიებებს და მას მხოლოდ „მასალის შეკრებად“ მიიჩნევდა. მის ამგვარ დამოკიდებულებას არ ეთანხმებოდა აკად. ნიკო მარი, რომელიც ე. თაყაიშვილის კაპიტალური გამოცემის (Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, Т. 1, вып. 1-4. Тифлис, 1902-1904; Т. II. Вып. 1. Тифлис, 1906. მოგვიანებით გამოიცა აღნიშნული კორპუსის II ტომი. იხ.: Описание рукописей „Общества распределения грамотности сред грузинского населения“, Т. 2, вып. 1-4. Тифлис, 1906-1912) შესახებ წერდა: „Какое это описание, ведь это настоящее исследование“ (ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..., გვ. 138; გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 24; ალ. ბარამიძე. ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი. – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 140, საზგასმა ჩვენია – ზ.პ.) აღსანიშნავია, რომ ამ „აღწერილობის“ პირველი ტომისათვის ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარის

მეტად შთამბეჭდავია ამ პერიოდში (XIX-XX სს. მიჯნა) ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა. ესაა ათეულობით გამოქვეყნებული სიგელ-გუჯრები,<sup>1</sup> მატიანეები (რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 1884 წელს დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ კრებულის ე.წ. მარიამისეული ხელნაწერის – პირველი ვახტანგამდელი ნუსხის – პუბლიკაცია 1906 წელს<sup>2</sup>), შუა საუკუნეების ქართული საერო მწერლობის ცალკეული ნიმუშები („ვეფხისტყაოსნით“ დანყებული აღორძინების ხანის ნათარგმნი ლიტერატურის ძეგლებით დამთავრებული)<sup>3</sup> და სხვ.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მიკვლეულ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ საისტორიო წყაროთა შორის საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ე.წ. „აფხაზთა მეფეთა დივანი“,<sup>4</sup> ანუ „აფხაზთა“ მეფეთა სია, რომელიც შეუდგენიათ საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ III-ის კანცელარიაში. ეს არის უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც ავსებს „ქართლის ცხოვრების“ მატიანეებისა და სხვა წერილობითი ძეგლების ცნობებს „აფხაზთა“ სამეფო დინასტიის წარმომადგენლებზე.

მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი არ იყო ოდენ რიგითი მკვლევარი-წყაროთმცოდნე. ის გახლდათ საქართველოს ისტორიის წყაროების მოძიებისა და გამომზურების, ზოგადად წყაროთმცოდნეობითი კვლევის დიდი ორგანიზატორი. პირველად ეს ექვთიმემ მკაფიოდ გამოავლინა 1899 წელს, როდესაც გამოსცა „საქართველოს სიძველენის“ პირველი

---

ნარდგინებით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1907 წელს ოქროს მედლით დააჯილდოვა (**გ. ლომთათიძე**, ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და..., გვ. 28) ასეთივე აღიარება ერგო რამდენიმე წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის მეორე ნაშრომს: „მასალები კავკასიის არქეოლოგიისთვის“, რისთვისაც მეცნიერი რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი მედლით დააჯილდოვეს (**რ. მეტრეველი**, ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა). – *ექვთიმე თაყაიშვილი*. 1863-1953. ბიობიბლიოგრაფია. შემდგენლები: **ვ. გოგილაშვილი**, **ც. კვაჭაძე**. თბ., 2010, გვ. 11).

<sup>1</sup> სიგელ-გუჯრების წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ დიდი მეცნიერის ერთ ფრთიან გამოთქმას: „მატიანენი და ქრონიკები მარტო ჩონჩხია ისტორიისა“, ხოლო სიგელ-გუჯრები „სისხლი და ხორცი“. – *საქართველოს სიძველენი*. I. *ექვთიმე თაყაიშვილის* რედაქტორობით. ტფ., 1899, გვ. IV; **ივ. სურგულაძე**, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული სამართლის ისტორია. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი*. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 186.

<sup>2</sup> *ქართლის ცხოვრება*. მარიამ დედოფლისეული ვარიანტი. (სამი დამატებითურთ). **ე. თაყაიშვილის** რედაქტორობით. ტფ., 1906.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესახებ აღნიშნული მიმართულებით დანერგილ. იხ.: **ალ. ბარამიძე**, ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული..., გვ. 139-146.

<sup>4</sup> რას შეიცავდა *ეგრეთ ნოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში*. – *ძველი საქართველო*. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. **ე. თაყაიშვილის** რედაქტორობით. ტფ., 1913, გვ. 28-54.

ტომი.<sup>1</sup> მოგვიანებით, უკვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნის შემდეგ, მეცნიერმა ფართოდ გაშალა თავისი ნაყოფიერი საქმიანობა ამ მიმართულებით და საზოგადოების ეგიდით გამოსცა იმავე „საქართველოს სიძველენის“ კიდევ ორი ტომი,<sup>2</sup> აგრეთვე დაარსა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პერიოდული გამოცემა „ძველი საქართველო“.<sup>3</sup>

და მაინც, ექვთიმე თაყაიშვილის ლიდერობა და პოპულარობა იმჟამინდელ ქართულ ინტელექტუალურ სამყაროში, რომლის დადასტურებაც იყო საერთოეროვნული მასშტაბის აკადემიური სტრუქტურის – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების<sup>4</sup> თავმჯდომარედ არჩევა, მხოლოდ მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობით არ იყო განპირობებული. ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოსათვის უკვე იმ დროს იყო ბევრად მეტი, ვიდრე ერთი თუნდაც წარმატებული მეცნიერი-ისტორიკოსი. ექვთიმე ილიას იდეოლოგიური დასის აქტიურ წევრად და მის უახლოეს თანამებრძოლად მოიაზრებოდა.

ამჯერად, წარმოდგენილი ნაშრომის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას თუნდაც ძალზე სქემატურად მიმოვიხილოთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ექვთიმე თაყაიშვილისადმი და ამ ორი ბუმბერაზი პიროვნების ურთიერთობების მხოლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილი (იმჟა-

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი. I. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1899.

<sup>2</sup> საქართველოს სიძველენი. II. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909; III. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1910. 1911 წელს დაუბეჭდიათ აღნიშნული სერიის IV ტომის მხოლოდ პირველი თაბახი, რომელიც მოგვიანებით გამოუცია ს. ჯანაშიას როგორც „საქართველოს სიძველენის“ III ტომის დამატება. იხ.: საქართველოს სიძველენი. ტ. III, დამატება. რედაქტორი ს. ჯანაშია. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ტფ., 1926.

<sup>3</sup> სულ გამოიცა 4 ტომი: ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909. ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1913; ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1913-1914; ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. IV. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1914-1915.

<sup>4</sup> საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იშვა „საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნიაღში. ცნობილია, რომ „დედა“ საზოგადოების მესვეურებს არ მოსწონებიათ ახალი საზოგადოების შექმნის იდეა. მათი არგუმენტაცია მეტად მრავლისმთქმელია და ნათლად ადასტურებს ექვთიმეს მაღალ რეიტინგსა და ორგანიზატორულ ნიჭს იმჟამინდელ ქართულ ინტელექტუალურ წრეებში: „ე. თაყაიშვილი მხნე კაცია, ახალ საზოგადოებას მალე დაანინაურებს და ძველი ჩამოგვირჩებაო“. თუმცა შემდგომ უკან დაუხევიან და თვითონაც აქტიურად ჩაბმულან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში. იხ.: გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 38.



მად უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი) ილიას პირველად შეხვედრია 1885 წელს სანკტ-პეტერბურგში, ვასო მაჩაბლის ბინაზე, ხოლო უშუალოდ ილიას საახლობლო წრეში ექვთიმე მოხვედრილა 1890 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ივერიასთან“ თანამშრომლობა დაუწყია. სწორედ ამ დროიდან ხდება ის ილიას ცნობილი „ხუთშაბათობების“<sup>1</sup> მონაწილე.

ახალგაზრდა ისტორიკოსის მაღალმა პროფესიონალიზმმა იმთავითვე მიიპყრო ილია ჭავჭავაძის ყურადღება და ის მალე მისი ერთგვარი კონსულტანტი გამხდარა საისტორიო საკითხებში. ამასთან, უაღრესად საგულისხმოა, რომ, რიგ შემთხვევებში, ე. თაყაიშვილი საკმაოდ თამამად – თითქმის შენიშვნის დონეზე – აძლევდა რჩევას თვით ილიას. ასე მომხდარა მაგალითად, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი ამზადებდა თავის გახმაურებულ კრიტიკულ წერილს „ქვათა ღალადი“. როგორც ცნობილია, ეს წერილი მიმართული იყო სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხური წარმომოხის პროფესორის, ნიკო მარის მასწავლებლის ქეროპე პატკანოვისა „და აგრეთვე ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ლამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას...“<sup>2</sup> თავისი წერილის პირვანდელი ვარიანტი ილიას ნაუკითხავს ახლობლების წრეში (ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილი-ურბნელი, ვლადიმერ /პროკოფი/ მიქელაძე...), რომელთა შორის ყოფილა ექვთიმე თაყაიშვილიც.

ილიას ნაკითხული ყველას ერთხმად მოუწონებია და „ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია“, რამაც ექვთიმე თურმე ძლიერ გააკვირვა: „სხვებს თუ არა, – იხსენებს მეცნიერი, – ნიკო ხიზანიშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდებოდა. მეტი გზა აღარ იყო და შევეკითხე,

- თავადო ილია, თუ გაქვთ-მეთქი ნაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთა მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს... ასეთი მჭევრმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც,

<sup>1</sup> სისტემატიური შეკრება-საღამოები ილია ჭავჭავაძის ბინაზე რედაქციისა და ბანკის თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ ილიას სხვა მეგობრებიც. როგორც თვით ე. თაყაიშვილი იხსენებდა, „იმ საღამოებზე ხშირად კითხულობდნენ პოეტებისა და ლიტერატორთა ახალ ნაწარმოებებს, სტატიებს; იყო მსჯელობა იმდროული ქართული საკითხების შესახებ. ყოველი საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო ილიას მუდამ საგურამოს მამულიდან“ მოჰქონდა. – **ექვთიმე თაყაიშვილი**. ილია ჭავჭავაძე..., გვ. 403.

<sup>2</sup> **ექვთიმე თაყაიშვილი**. ილია ჭავჭავაძე. მოგონება..., გვ. 437.

მაგრამ ფაქტების აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მონინალმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწეროთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ-მეთქი.

ილიამ მომიგო: «*Ведь я же ссылаюсь и пользуюсь ответом Бакрадзе, а я его знаю и уверен, что он никогда неправды не скажет!*» მე ვუთხარი: «*Бакрадзе, конечно, неправды не говорит, но то, что он говорит вообще о несправедливой критике «Картлис Цховреба», Вы приписываете Патканову. И эти мелочи необходимо исправить. У меня есть оттиск статьи Патканова, я Вам предоставлю его и когда Вы с ним ознакомитесь, сами убедитесь, что есть кое-какие недоразумения фактического характера в Вашем, в других отношениях замечательном произведении.*»

ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? მივეცი პატკანოვის წერილი! რასაკვირველია, მადლობა გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა, მაგრამ მაინც მითხრა, „*მე ქართველებისათვისა ვწერ და არა მეცნიერთათვისაო*“. აბა, ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რაღა იყო მოსალოდნელი? ასე იყო თუ ისე, როდესაც „ქვათა ლაღი“ (ექვთიმეს შეფასებით – „შესანიშნავი, ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სატირითა და იუმორით აღსავსე“) დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან<sup>1</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილი თავს იმის უფლებასაც აძლევდა, რომ ზოგჯერ ერთგვარი (რასაკვირველია, მორიდებითა და ტაქტის დაცვით) საყვედური გამოეთქვა ილიას ამა თუ იმ ქმედების გამო. ასე მაგალითად, როდესაც (XX ს. დამდეგს) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დასმულა, ამ იდეის ინიციატორებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა ექვთიმე თაყაიშვილი, გადაუწყვეტიათ ხლებოდნენ კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მეთაურს, მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. აურჩევიათ საგანგებო დელეგაცია, რომელშიც ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი თანამებრძოლების დაჟინებული მოთხოვნით ილია ჭავჭავაძეც შეუყვანიათ. თავდაპირველად თურმე „ილია უარზე იდგა... – მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უწოდებდა ირონიულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მივ ზავნეთო. მაგრამ ჩვენ, – იგონებს ექვთიმე თაყაიშვილი, – რასაკვირველია, არ მოვეშვით და ბოლოს ვაიძულეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო, ვუხსნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს.

ბოლოს ილია წავიდა მეფისნაცვალთან.<sup>2</sup> დიდხანს ესაუბრნა მას-

<sup>1</sup> **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება..., გვ. 437–438.

<sup>2</sup> ეს შეხვედრა შედგა 1905 წ. 11 ოქტომბერს. – **ლ. ტყეშელაშვილი.** საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ისტორიის (აკადემიური) დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ქუთაისი, 2012, გვ. 197. იქვე შესაბამისი ლიტ. ([http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia\\_tkeshelashvili.pdf](http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_tkeshelashvili.pdf)).

თან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა, დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო. მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხრა, ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო; განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?“ ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე:

– „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიის-მეთქი?“ ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალებში და მიპასუხა:

– „აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და ნუ გამგზავნი-მეთქი?!“ საერთოდ არ ეხალისებოდა აღიარება, თუ რამეში შეცდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გამოტყდა...“<sup>1</sup>

ექვთიმე თაყაიშვილი უკვე ილიას სიცოცხლეში იმ დონის ავტორიტეტი იყო, რომ არ ერიდებოდა კამათს ერის უგვირგვინო მეფესთან და ეს უკანასკნელიც ანგარიშს უწევდა თავისი ახალგაზრდა თანამებრძოლის აზრს. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია, ექვთიმეს მსჯელობა ილიას წრეში იმ ხმაურთან დაკავშირებით, რომელიც მოჰყოლია ალექსანდრე ცაგარლის «*Мингерельские этюды*»-ის<sup>2</sup> გამოქვეყნებას. ექვთიმე შეუწუხებია იმ ფაქტს, რომ „ჩვენი საზოგადოება, ილია ჭავჭავაძიდან მოკიდებული, ერთხმად აუმხედრდა და კინალამ შეჭამეს: მოლაღატეა, უნდა მეგრელები ჩამოამოროს საქართველოსაო...“<sup>3</sup>

„ერთხელ, – იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი, – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ლოლობერიძე და მე ვბრუნდებოდით საიდანლაც ერთად და ვუთხარი:

– „ეგ რა გამოდის. გინდათ, რომ მეცნიერმა მეცნიერულად არ იმუშაოს? მეცნიერებაში პოლიტიკა როგორ უნდა გაურიოთ მეთქი?“

– „მეო – მიპასუხა ილიამ – მაგაში არ ვერევიო; ცაგარელის ნაშრომი მეცნიერულად როგორია, არ ვკითხულობ, მაგრამ ძალიან კი გვაწონო, იანოვსკიმ და სხვებმა დაიხვიეს ხელზე და მოთხრა დაგვიპირესო!“<sup>4</sup>

ამ თემის ირგვლივ მსჯელობა გაგრძელებულა დავით სარაჯიშ-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. ილია ჭავჭავაძე. მოგონება..., გვ. 409.

<sup>2</sup> იგულისხმება ალ. ცაგარლის ცნობილი გამოცემა: *Мингерельские этюды*. Первый выпуск. Мингрельские тексты. С переводом и объяснениями. Собранные и изданные *Ал. Цагарели*. СПб., 1880.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. ილია ჭავჭავაძე. მოგონება..., გვ. 444.

<sup>4</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. ილია ჭავჭავაძე. მოგონება..., გვ. 444.

ვილთან სადილზე, როდესაც ნიკო ლოლობერიძეს წამოუწყია საუბარი ალ. ცაგარელზე.

– „რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში მეცნიერებამ, რასაც მეცნიერული თვალთ ხედავს, იგი აღიაროს, თუ დამალოსო?“ – უკითხავს ნ. ლოლობერიძეს. ამის საპასუხოდ ექვთიმეს შემდეგი კომენტარი გაუკეთებია:

– „თუ კი მეცნიერება რასმე უჩვენებს, როგორ უნდა მოიტყუოს და პოლიტიკა გამოურიოს...? ახლა მარსაც ასე აუხირდენ, ცილს წამებენ და ეს კი არაა სწორი...“.

– „მე არ ვიცი, მეცნიერულად როგორაა ცაგარელის მოსაზრება, – ჩარეულა საუბარში ილია, – მაგრამ ის კი ვიცი, რომ მაგან ძალიან გვაფნო, თითქმის ერთიანად ჩამოგვაშორა სამეგრელო. კარგია, რომ თითონ იქაურმა ხალხმა არ მიიღო, სამღვთო წერილი რომ გადაუთარგმნეს, ადგინენ და გამოვიდნენ ეკლესიიდან, როცა მეგრულად დაიწყო წირვაო...“.<sup>1</sup>

იმ დროს ქართული საზოგადოება არანაკლებ პოლიტიზირებული იყო და ხშირად იდგა ერთგვარი დილემის წინაშე – რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მეცნიერულ ჭეშმარიტებას თუ პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მისი კომენტარიდან ჩანს, ამკარად წინააღმდეგი იყო ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის ზედმეტი პოლიტიზირების. ზუსტად ასეთივე პოზიცია ეკავა ამ საკითხში ივანე ჯავახიშვილსაც, რომელსაც, როგორც ვნობილია, მოუწია ღია პოლემიკის გამართვა თვით იაკობ გოგებაშვილთან.<sup>2</sup> ყოველივე ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ნაკლებად მიჰქონდათ გულთან ეროვნული სატკივარი. პირიქით, მთელი მათი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო სწორედ რომ სამშობლოს სატკივართა და როგორ უნდა იდგე მედგრად ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. ქართველობის ეს მისია მკაფიოდაა გამოხატული ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართვაში (1922 წლის 26 მაისი), რომლის ერთ-ერთი ავტორი ექვთიმე თაყაიშვილიც იყო: „ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხიზლობდეს... და ასე განუწყვეტლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს გათავისუფლებამდის!“.<sup>3</sup>

სამშობლოზე ზრუნვისა და საქვეყნო საქმისათვის თავდადების ამ ილიასეული სულისკვეთებით გამსჭვალული შეუდგა ექვთიმე თაყაიშვი-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. ილია ჭავჭავაძე. მოგონება..., გვ. 444–445.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. მამულიშვილობა და მეცნიერება. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII. თბ., 1996, გვ. 64–87.

<sup>3</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. № 1305, ფურც. 17; ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 2002, გვ. 436–437; ო. ჯანელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე. – ექვთიმე თაყაიშვილი – 150. კრებული ავტორი და შემდგენელი ბ. კობაძე. თბ., 2013, გვ. 906–907, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

ლი მისივე რუდუნებით შექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელობას, რომელმაც გაშალა ფართო სამუშაოები საქართველოს სიძველეთა შესასწავლად. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ინიციატორი და სულისჩამდგემელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ განხორციელებული პროექტებისა, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი.

ამ სფეროში პირველი „ნათლობა“ ექვთიმეს ჯერ კიდევ XIX ს. 80-იანი წლების მიწურულს მიუღია, როდესაც დიმიტრი ბაქრაძის დავალებითა და საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის ნებართვით (1889 წელს) გათხრითი სამუშაოები ჩაუტარებია მცხეთაში – ბაგინეთში.<sup>1</sup> 1994 წელს საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ მას შესთავაზა ნიკო მარის მიერ დებედას ხეობაში – სოფელ ვორნაკში დაწყებული წინაქრისტიანული სასაფლაოს გათხრითი სამუშაოების გაგრძელება, რომელიც ძალზე წარმატებული გამოდგა<sup>2</sup> და მას დიდი გამოცდილება შესძინა.<sup>3</sup> ასე, თანდათანობით, ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი არქეოლოგი. უფრო მეტიც, თვით ე. თაყაიშვილის აღიარებით, „1917 წლის რევოლუციამდე“ სწორედ ის ყოფილა „თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც (რუსეთის) არქეოლოგიური კომისიის დავალება-ნებართვით“ აწარმოებდა „თხრას საქართველოში“.<sup>4</sup>

შემდგომ იყო კიდევ ერთი დიდი ეროვნული წამოწყება – ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომელშიც სრულიად განსაკუთრებულია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი. უთუოდ სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველ შეკრებას, რომელიც შედგა 1917 წ. 12 მაისს თბილისში, ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 101;

<sup>2</sup> აღნიშნული სამუშაოების აღწერა იხ. ექვთიმე თაყაიშვილის თანაშემწის დავით ქუთათელაძის „რაპორტში“, რომელიც გამოაქვეყნა გ. ლომთათიძემ. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 117-119.

**გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი, გვ. 103; **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა), გვ. 15-16.

<sup>4</sup> *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ. 374; **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 104.

<sup>5</sup> *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..*, გვ. 416-417; **ე. ლილუაშვილი.** ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2006, გვ. 37 (<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000071/e.liluaSvilis%20disertacia.pdf>).

ამაშიც წარმოჩინდა ექვთიმეს, როგორც იმდროინდელი ქართული ინტელექტუალური ელიტის აღიარებული თავკაცის ავტორიტეტი. სწორედ ამ შეკრებაზე დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

უნივერსიტეტის დაარსებით იწყება ექვთიმე თაყაიშვილის აკადემიური მოღვაწეობის ახალი ეტაპი. ის იმთავითვე არჩეულ იქნა ახლადგახსნილი უნივერსიტეტის პროფესორად, ხოლო 1918 წ. მაისში უნივერსიტეტის საბჭომ მას დისერტაციის დაუცველად (Honoris causa) დოქტორის ხარისხიც მიანიჭა.<sup>1</sup> ექვთიმეს საუნივერსიტეტო პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი სფერო არქეოლოგია იყო, თუმცა მისი სასწავლო კურსი მოიცავდა აგრეთვე უძველეს წარწერებს; ქართული მწერლობის სხვა ნაშთებს – ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს; საქართველოს ეკლესია-მონასტრების მოკლე ისტორიას და ა.შ.<sup>2</sup>

1918 წლის 26 მაისს აღსრულდა ქართველი ერის ნანატრი ოცნება – აღსდგა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის წინა ხაზზე აღმოჩნდა. იგი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, რომლის იდეოლოგიური მრწამსი და მოქმედების პროგრამა თვით ილიას მიერ იყო შემუშავებული, დამფუძნებელი წევრი და მისი ერთ-ერთი პოლიტიკური სახე, გახდა საყოველთაოდ არჩეული პირველი ქართული პარლამენტის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატი და მისი თავმჯდომარის მოადგილე.

შემდეგ კი იყო პოლიტიკური ემიგრაციის თითქმის 25-წლიანი მონამეობრივი ცხოვრება, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნება სიცოცხლეშივე ლეგენდად აქცია. მან უმძიმეს პირობებში – დიდ მატერიალურ სიდუხჭირეში – უპატრონა ეროვნულ საგანძურს და არ დაუშვა, რომ საქართველოს დაჰკარგვოდა თავისი საუნჯე. ეს იყო თავგანწირული ბრძოლა შეუდრეკელი ერისკაცისა, რომელიც ჭეშმარიტ გუშაგად მოეველინა ეროვნულ სინმინდეებს. ვინ არ გადაეღობა მას ამ გზაზე. მსოფლიოს სახელგანთქმული ნიუ იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ, დაუფლებოდნენ განძის მცირე ნაწილს მაინც.<sup>3</sup>

„ქართული საგანძურის უიარაღო მცველი მტკიცე უარით ისტუმ-

<sup>1</sup> **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 45. აღსანიშნავია, რომ ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილს დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება ოფიციალურად დაუმტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1949 წ. 17 სექტემბერს. **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 51.

<sup>2</sup> **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და ...), გვ. 12.

<sup>3</sup> *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ. 408–409; **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და .., გვ. 21.

რებდა ყოველ მოვაჭრეს და პასუხობდა: „ქართული ისტორიული განძი წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებას და ყოველი ყუთი დალუქულია საქართველოს სახელმწიფო და სამუზეუმო ბეჭდებით; მე კი ... ამ ნივთებზე მცველ-მეთვალყურის მოვალეობას ვასრულებ და მესაკუთრის უფლებით არ ვარ აღჭურვილი“.<sup>1</sup> ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნულ საგანძურს კი დამუქრებია 1934 წ. მარტში, როდესაც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის ასულს სალომე დადიანი-ობოლენსკაიას განუცხადებია პრეტენზია სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან გატანილ განძეულობაზე. მაგრამ ფრანგულმა სასამართლომ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის დეკრეტის საფუძველზე სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის მოძრავი და უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, უარი უთხრა მოსარჩელეს.<sup>2</sup>

ემიგრაციის წლები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ექვთიმე თაყაიშვილისათვის სამეცნიერო კუთხით. მან მოიძია და გამოაქვეყნა საფრანგეთის საცავებში შემონახული ქართული ხელნაწერები.<sup>3</sup> სხვა პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია მასალები არქეოლოგიურ ექსპედიციებზე ლეჩხუმ-სვანეთსა<sup>4</sup> და კოლა-ოლთისში<sup>5</sup> და ა.შ. გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა არაერთი საინტერესო წერილი საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე სხვადასხვა ფრანგულ და ინგლისურ სამეცნიერო გამოცემებში.<sup>6</sup> ექვთიმე თაყაიშვილის მაღალი ავტორიტეტი სათანადოდ იქნა დაფასებული საფრანგეთის სამეცნიერო წრეების მიერ. 1922 წელს ის არჩეულ იქნა პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, 1925 წელს კი საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. მან დაარსა და 1937-1939 წლებში ხელმძღვანელობდა „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდს“, იყო ლონდონში გამომავალი ქართველოლოგიური სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „Georgica“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.

ემიგრაციის მძიმე წლებმა ვერ გასტეხა დევნილი მეცნიერი. მან არა ერთ დარტყმას გაუძლო. განსაკუთრებული ტკივილი მიაყენა ექვთიმეს საყვარელი მეუღლის ნინო პოლტარაცკაიას – ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრის ივანე პოლტარაცკის ასულის (თავის დროზე სწო-

<sup>1</sup> გ. ამირანაშვილი. ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 13.07.2013.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი., გვ. 409–410; რ. მეტრეველი. ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და ..., გვ. 21.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი, 1933.

<sup>4</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.

<sup>5</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938.

<sup>6</sup> სრული სია იხ.: ექვთიმე თაყაიშვილი. 1863–1953., გვ. 70–73.

რედ ილია იყო მათი დაქორწინების ინიციატორი) – გარდაცვალებამ 1931 წელს. ასე დადგა 1944 წ. ნოემბერი, როდესაც გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის დასრულების კონტურები. ანტიჰიტლერულ კოალიციაში აქტიურად ჩართული საფრანგეთი და მისი ენერგიული ლიდერი გენერალი შარლ დე გოლი ემზადებოდა სტალინთან შესახვედრად. ასეთ ვითარებაში ექვთიმე თაყაიშვილმა ჩასთვალა, რომ შეიქმნა ხელსაყრელი ფონი საქართველოს ეროვნული საგანძურის სამშობლოში დაბრუნებისათვის და ამ საკითხის ზონდირებისათვის აუდიენცია სთხოვა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ბოგომოლოვს. მან აუხსნა ელჩს საქმის ვითარება და გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე.

მართლაც, დე გოლის მოსკოვში ვიზიტისას (1944 წლის 2-10 დეკემბერს) ამ საკითხზე სათანადო გადანყვეტილება მიუღიათ და მალე საფრანგეთში სპეციალური დელეგაცია გაემგზავრა პარტიული ფუნქციონერის, იმჟამად იდეოლოგიის დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პეტრე შარიასა და ქართული ხელოვნების აღიარებული მკვლევრის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის შემადგენლობით, რომელიც თავის დროზე (ჯერ კიდევ სტუდენტი) ეხმარებოდა თავის მასწავლებელს – ექვთიმე თაყაიშვილს საზღვარგარეთ გასატანი სამუზეუმო ნივთების აღწერასა და ჩალაგებაში. ქართულმა დელეგაციამ პარიზში წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და უზრუნველყო ეროვნული საგანძურის სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება. ამასთან, პეტრე შარიასა და შალვა ამირანაშვილის<sup>1</sup> სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან ვიარჩესლავ მოლოტოვთან მიღწეული შეთანხმების შედეგად მიღებულ იქნა პოლიტიკური გადანყვეტილება საგანძურის მცველის ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.<sup>2</sup>

და აი, 1945 წ. 11 აპრილს თბილისის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელსაც ეროვნულ საგანძურთან ერთად ჩამოჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი. საქართველოს დაუბრუნდა მისი მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი დიდი მამულიშვილი, რომელმაც თავის სამშობლოს ფასდაუდებე-

---

<sup>1</sup> აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აკად. შალვა ამირანაშვილის განსაკუთრებული წვლილი ქართული საგანძურის დაბრუნების საქმეში. ეს მან, იმჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „მეტეხის“ დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტმა, 1944 წლის 22 ოქტომბერს (მოსკოვში, აკადემიის სამეცნიერო სესიაზე ყოფნისას) წერილი გაუგზავნა სტალინს, რომელშიც თხოვდა საბჭოთა ლიდერს დე გოლთან შეხვედრის დროს აღეძრა საკითხი „საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის საკუთრების, ისტორიული სამუზეუმო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ“. ამის შესახებ დანვრილ. იხ.: **შ. ამირანაშვილი**. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება. თბ., 1968; **გ. ამირანაშვილი**. ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური. – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 13.07.2013.

**გ. ამირანაშვილი**. ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური...



ლი სამსახური გაუნია. საბჭოთა საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავდაპირველად სათანადო პატივი მიაგო ექვთიმე თაყაიშვილს. უკვე 1945 წ. მაისში ის კვლავ ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1946 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

თითქოს ყველაფერი ლოგიკურად მიდიოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ ეძინა. საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმი ჯერ კიდევ მძლავრობდა და რეპრესიული მანქანაც ძველებურად მუშაობდა. კაცთმოდულე რეჟიმმა მაინც ვერ იგუა ექვთიმეს დონის ეროვნული მოღვაწე, რომელიც სავსებით სამართლიანად ზნეობრივ გმირად აღიქვა ქართულმა საზოგადოებამ. დაიწყო ექვთიმეს დევნა. იგეგმებოდა მის ფიზიკური განადგურება. 90 წელს მიტანებულმა ზეკაცმა ვერ გაუძლო ამ არადამიანურ რეპრესიულ წნეხს და 1953 წ. თებერვალში ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა.

*„წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“* – ასე შეაფასა გენიოსმა პოეტმა ილია ჭავჭავაძის წასვლა ამ ქვეყნიდან.<sup>1</sup> თამამად შეიძლება იგივეს გამეორება ექვთიმესთან დაკავშირებითაც. მართლაც მისი გარდაცვალებით დასრულდა ეპოქა დიდი – ეპოქა ღმერთკაცის ექვთიმე თაყაიშვილისა. სწორად ბრძანებდა მეორე გენიოსი: *„სამმა დიდმა მამულიშვილმა კიდევ ერთხელ დაამშვენა ჩვენი საქართველო. ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ძველ ეპოქებში რომ ეცხოვრათ, მათ უეჭველად წმინდანებად შერაცხდა ჩვენი ხალხი და ჩვენი ტაძრების ძვირფას ფრესკებს მიემატებოდა სამი სათაყვანებელი ხატება“.*<sup>2</sup>

დიდოსტატ კონსტანტინეს ეს სიტყვები ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მადლიერმა შთამომავლობამ ექვთიმე თაყაიშვილს სამარადჟამოდ მიუჩინა კუთვნილი ადგილი საქართველოსათვის დამამშვერალ გმირ მამულიშვილთა<sup>3</sup> გალერეაში და *„ჩვენი ტაძრების ძვირფასი ფრესკები“* მართლაც დაამშვენა საქართველოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული ილია მართლისა და ექვთიმე ღვთისკაცის სათაყვანებელმა ხატებმა.

<sup>1</sup> **გალაკტიონ ტაბიძე.** წინამურში რომ მოკლეს ილია. – *გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული.* ტ. I. პოეზია. თბ., 2011, გვ. 201.

<sup>2</sup> **კონსტანტინე გამსახურდია.** საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. – *რჩეული თხზულებანი.* ტ. VII. თბ., 1965, გვ. 305.

<sup>3</sup> 2013 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით ექვთიმე თაყაიშვილი სხვა გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად, რომელთა შორისაა კათოლიკოსი ამბროსი ხელაიაც, ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს ეროვნულ გმირად.

## **ZURAB PAPASKIRI**

### **THE LIFE AND WORK OF EKVTIME TAKAISHVILI**

As it is known, in connection with the 150<sup>th</sup> anniversary of the birth of famous Georgian scientist and public figure Ekvtime Takaishvili, UNESCO had announced 2013 as the year of Ekvtime Takaishvili and made this date in the list of anniversaries international Importance. Such universal recognition of the great scholar, the saint of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church, honored for his tireless work for the benefit in Georgian science and culture. In this article is highlighted the key milestones of the life of a martyr and multifaceted creative and public activity of one of the greatest national figures of Georgia of 20<sup>th</sup> century.

## **ЗУРАБ ПАПАСКИРИ**

### **ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ЭКВТИМЕ ТАКАИШВИЛИ**

Как известно, в связи с 150–летием со дня рождения выдающегося грузинского учёного и общественного деятеля Эkvтима (Евфимия Семеновича) Такашвили *Организация Объединенных Наций по вопросам образования, науки и культуры (ЮНЕСКО/UNESCO — The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization)*, объявила 2013 год – годом Эkvтима Такашвили и внесла эту дату в список юбилейных дат международного значения. Подобного всеобщего признания великий учёный, святой Грузинской Апостольской Автокефальной Православной церкви, удостоился за его неустанные труды на благо Отечественной науки и культуры. В статье освещены основные вехи мученической жизни и многогранной творческой и общественной деятельности одного из величайших национальных деятелей Грузии XX-го столетия.

## პასტანბ ჯაფარიძე

### ექვთიმე თაყაიშვილი ქართული არქეოლოგიის სათავეებთან

ექვთიმე თაყაიშვილი ქართული მეცნიერების არაერთი დარგის შესწავლის სათავეებთან დგას. ასევე დიდია ღვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურება ქართული არქეოლოგიის წინაშეც. არქეოლოგია აქ, ცხადია, ისტორიული მეცნიერების ამ დარგის ფართო გაგებით მოიაზრება. ღმერთი განაგებს ბედს კაცისას ისეთი წარმატების მიღწევაში საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მეცნიერებაში, როგორც ექვთიმე თაყაიშვილს ხვდა წილად. ბედმა იგი პირად ცხოვრებაშიც გააღალა, როცა მასში ასე გულწრფელად შეყვარებული და სამეცნიერო საქმიანობაში დიდად ხელისშემწყობი ქალბატონი, პოლტარაცკაიას ქალი შეახვედრა. ყველაფერი ეს ავსებდა იმ ფიზიკურ ხარვეზს, კიდურის ტრამვისა, რაც ასე ხელისშემშლელი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ბუნებისა და მრავალრიცხოვანი ძეგლების პროფესიული მიზნით მომნახულეებელი და შემსწავლელი კაცისთვის.

ბედმა მას მეისტორიეც კარგი არგუნა, როცა საფრანგეთიდან თბილისში მობრუნებულს, ასაკოვანსა და დაუსუსტებულ ბერიკაცს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის (ნ. კეცხოველი) ინიციატივით დამხმარე მდივნად ახალგაზრდა მეცნიერი-არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე მიამაგრეს. მენშივიკური მთავრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ალექსანდრე ლომთათიძის შვილთან, მამის დარად დიდ პატიოტთან და ერუდირებულ ახალგაზრდასთან, თანამშრომლობა ძალიან უწყობდა ხელს მსცოვან მეცნიერს ათეული წლების ნაფიქრისა და მეცნიერული ნააზრევის მოწესრიგება-ჩაწერასა და დასასტამბად მომზადებაში.

ასე გაჩნდა სქელკედლიანი დღიურები და ცალკეული ჩანაწერები, რომლებშიც კარგად ჩანს გ. ლომთათიძის სურვილი მიიღოს განსვენებული მეცნიერისაგან სულ უფრო მეტი ზოგადი, განსაკუთრებით კი არქეოლოგიური ხასიათის ინფორმაცია. ეს მონაცემები, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს, როგორც მეცნიერის არქეოლოგიური, ფართო გაგებით, საქმიანობის შესახებ, ისე საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საწყისი ეტაპის განსაზღვრის თვალსაზრისით. ასე გაჩნდა, მოგვიანებით, სპეციალური ნაშრომიც – გ. ლომთათიძე, „ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი“.<sup>1</sup> ამას გარდა, გ. ლომთათიძე დი-

<sup>1</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი. – აკა-

დი აქტივობით აქვეყნებდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ცალკეულ წერილებსა და „მოგონებების“ ფრაგმენტებს.<sup>1</sup>

ქართული არქეოლოგიის იმდროინდელი ჩამორჩენილობის გამო, ძირითად არქეოლოგიურ კვლევას, უცხოელების გარდა, თითქმის მხოლოდ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და, ამდენად არქეოლოგიც, დიმიტრი ბაქრაძე მეურვეობდა და განახორციელებდა.<sup>2</sup> მანამდე კი, როგორც ცნობილია, მ. ბროსეს კონსულტაციით, უფლისციხეში საცდელ გათხრებს დ. მეღვინეთუხუცესი აწარმოებდა, რასაც, ისევე როგორც სხვაგან, ფართო მასშტაბი არ მიუღია.<sup>3</sup> შემდეგ, „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ (დ. ბაქრაძის მეურვეობით) უკავშირდება არქეოლოგიური გათხრები ერთი-ორგან (მაგ. მცხეთა-სამთავროში, ფრ. ბაიერნი).<sup>4</sup>

ამ დროს ე. თაყაიშვილი ქუთაისის გიმნაზიელობისთვის ემზადებოდა. სწორედ აქ, ცნობილი სიძველეების მოყვარული დირექტორის, ა. სტოიანოვის ინიციატივით განხორციელებულ ბაგრაძის ტაძრის განმენდით სამუშაოებში მონაწილეობით ხდება მისი პირველი ნათლობა არქეოლოგიაში.<sup>5</sup> აქაური საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქართველოში (თბილისში) 1985 წელს ორგანიზებულ რუსეთის V არქეოლოგიურ ყრილობას, რომლის წევრები ესტუმრნენ კიდევ ქუთაისს, რაც მასტიმულირებელი იქნებოდა აქაური საზოგადოებისთვის სიძველეებით დაინტერესების თვალსაზრისით. ამასთან, საფიქრებელია (მოგონებების ნაწილში ამაზე არ არის საუბარი), მშობლიური გურიის წარმტაცი ბუნება, მნიშვნელოვანი ძეგლები (ამ მხრივ უაღრესად შთამბეჭდავია მშობლიური სოფ. ლიხაური, განსაკუთრებით კი,

---

დემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1966, გვ. 100-119. ჩვენ გვქონდა კარგი შესაძლებლობა სწორედ 1966 წლიდან ვყოფილიყავით ბატონი გიორგი ლომთათიძის ასპირანტი საქართველოს მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და გაცნობობდით ორი პიროვნების თანამშრომლობისა ქართული არქეოლოგიის ისტორიასთან დაკავშირებულ რიგ საინტერესო მონაცემებს, მათ შორის ჯერ კიდევ დაუსტამბავ მასალებს. უფრო გვიან, ჩვენს ცოდნას ამ სფეროში, სხვა მონაცემებზეც, ავსებდა განს. გ. ლომთათიძის მეუღლე ქ-ნი ნ. ლოლობერიძე (რომელიც ასევე შველიდა ე. თაყაიშვილს დღიურების ჩანერასა და მონესრიგებაში).

გ. ლომთათიძის მოგვიანებით გამოქვეყნებულ სხვა წერილებსა და მოგონებებში ასევე ვხვდებით, არაერთგან, ფრაგმენტულ მონაცემებს ე. თაყაიშვილის მოგონებებიდან, თუმცა, ჩვენთვის უცნობია, რამდენად სრულად აისახა მათში მთელი საარქივო მასალა. ეს მასალები დღეს მთლიანად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ეროვნულ ხელნაწერთა ცენტრში.

<sup>2</sup> **ბ. ჯორბენაძე.** დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში. – *ძიებანი*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, N10, 2002, გვ. 98-101.

<sup>3</sup> **ლ. მალრაძე.** მარი ბროსეს არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში. – *საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები*. თბ., 2007, გვ. 41-43.

<sup>4</sup> **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 110-111.

<sup>5</sup> **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 101.

ლიხაურის საინტერესო (ციხე) მასში მომავალი პატრიოტისა და სიძველეებით გატაცებული პიროვნების ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობდა.

სწორედ ამ ადრეულ, ჭაბუკურ ასაკში, ახლო მეგობრების წრეში ეყრება საფუძველი სიძველეებისადმი და ქვეყნისადმი დიდ გატაცებას. ამის კარგი მაგალითია ურთიერთობა მომავალში გამოჩენილ მეცნიერთან ნიკო მართან, რაც, მიუხედავად ცხოვრებისა და მოვლენების ქართველობისა ბოლომდე იყო შენარჩუნებული და აისახა კიდევ ცალკე გამოცემულ პირად მიმოწერაში.<sup>1</sup> ნიშანდობლივია, რომ ნ. მარი პირველ გათხრებს სამხრეთ კავკასიაში (საქართველოში), ვორნაკში ატარებს და აქვე პირველ თავის, ნამდვილად პროფესიულ, გათხრებს იწყებს ე. თაყაიშვილი... მაგრამ ეს მოგვიანებით, მანამდე კი იყო სწავლა პეტერბურგში, პედაგოგიური საქმიანობა თბილისში, აქაურ საზოგადო მოღვაწეთა წრე, დიდი ილია და, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო მისი მომავალი პროფესიული ცხოვრებისთვის, შეხვედრა ცნობილ დიმიტრი ბაქრაძესთან.

პირველ არქეოლოგიურ ნათლობად კი მცხეთაში, არმაზციხეზე (ბაგინეთი) შემთხვევითი აღმოჩენების კვლად გათხრითი სამუშაოების დაწყება იყო.<sup>2</sup> მაშინ იყო სწორედ, პირველად, ჩვენი ისტორიისთვის ასე მნიშვნელოვან ძეგლზე ახ.წ. I ს. ნაგებობათა ნაშთების და ამ ხანითვე დათარიღებული ფრესკის ფრაგმენტი გამოვლენილი. შეიძლება ითქვას, დღემდე ერთადერთი. სამწუხაროდ, ამ გათხრებში ე. თაყაიშვილის მონაწილეობა, თბილისის გიმნაზიაში დიდი დაკავებულობის გამო, ერთგვარად ეპიზოდური იყო<sup>3</sup> – გათხრებს, ძირითადად დ. ქუთათელაძე უძღვებოდა, რომელსაც ქართული სიძველეების მოძიების თვალსაზრისით სხვა დამსახურებაც აქვს, აქ კი გათხრების ანგარიშს ჯერ კიდევ გაუნაფავი ხელი ეტყობა.<sup>4</sup>

ეს იყო ქართული არქეოლოგიის გარიჟრაჟზე... მალე ეს ნაკლი გამოსწორდა, როცა ნ. მარის რეკომენდაციით, რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის გრაფ. ბობრინსკის წინადადებით, ე. თაყაიშვილს სთავაზობენ ჩაებას არქეოლოგიურ სამუშაოებში, თვით ცნობილ სამთავროს სამაროვანზეც კი.<sup>5</sup> მაგრამ ე. თაყაიშ-

<sup>1</sup> ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931). გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა. თბ., 1991. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია წრომის ტაძრის რესტავრაციასთან დაკავშირებულმა მსჯელობამ და რესტავრაციის საკითხებზე, მათ შორის ტექნიკურ მხარეზე, მოლაპარაკებამ (გვ. 290-291), რაც იმ დროისთვის იშვიათობას წარმოადგენდა.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გ. ლომთათიძემ. თბ., 1968, გვ. 270-272.

<sup>3</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 101.

<sup>4</sup> იხ. დ. ქუთათელაძის „რაპორტი“ (გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი, გვ. 117-119).

<sup>5</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 103.

ვილს, როგორც რუსეთის აღნიშნული კომისიის მიწვეულ თანამშრომელს, სათანადო „ღია ფურცლის“, ანუ გათხრების ნებართვის, საფუძველზე სამუშაოები, ჯერჯერობით, უფრო დასავლეთ საქართველოსა და ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, სოფ. ვორნაკთან დაუგეგმია და რეალურად ამ უკანასკნელის სამაროვანზე უნარმოებია (იქ სადაც ჯერ ერინოვი, შემდეგ ნ. მარი ატარებდა გათხრებს).

ჩვენი აზრით, ეს არჩევანი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. შესაძლოა, ე. თაყაიშვილმა, გარკვეული მიზნით, სამთავროს ველის გათხრების წინ (რისი სურვილიც რუსეთის არქეოლოგიურ კომისიას ჰქონდა, რათა ბაიერნის აქ ჩატარებული გათხრები გადაემონმებინათ), აქ, ვორნაკის ანალოგიურ სამაროვანზე, საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯა და წარმატებული გათხრებიც განახორციელა. როგორც გ. ლომთათიძე (რომელიც საგანგებოდ შეისწავლიდა სამთავროს სამაროვნის მონაპოვრებს, უპირატესად კი იარაღს) აღნიშნავს, ე. თაყაიშვილის არჩევანი გამართლებული გამოდგა: „*მან გათხარა 40 სამარხი, რომლებიც ორ სხვადასხვა ფენას მიაკუთვნა. უფრო ძველი შეესაბამებოდა სამთავროს კარგად ცნობილი სამაროვნის იმ ფენას, რომელიც ბრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება და ხასიათდება აღმოსავლეთ საქართველოსათვის ფრიად ტიპიური ხელსაწყო-იარაღებით... ამ ფენის სამარხთა გათხრით ე. თაყაიშვილმა ცხადყო უძველესი შიდა-ქართლური, მცხეთური თუ კახური ბრინჯაოს კულტურის კლასიკურ ფორმათა გავრცელება ქვემო ქართლის პერიფერიაზედაც, ძველი სომხეთის მეზობელ კუთხეში, რამაც უმჭიდროესი ეთნიკურ-კულტურული ურთიერთობა დაამყარა ყველა ჩამოთვლილ მხარეში ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს მსახლობელ ქართველურ ტომთა შორის*“.<sup>1</sup>

აღნიშნული სამარხები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარით იყო წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით, როგორც ისევ გ. ლომთათიძე მიუთითებს: „*განსაკუთრებით ღირებული კი არის გამთხრელის სავსებით სწორი დებულება იმის შესახებ, რომ ამდენი ძვირფასი საჭურველის შემცველ სამარხში გამორჩეული შეძლების მქონე კაცი, ტომის ბელადი უნდა იყოს დაკრძალული. ამით ახალგაზრდა არქეოლოგი სავსებით სწორად უსვამს ხაზს თვალსაჩინო სოციალურ დიფერენციაციას ძვ. წ. II მიწურულში, რაც ახლა ჩვენს არქეოლოგიაში სავსებით აღიარებული დებულებაა, უფრო ადრე ხანისთვისაც კი*“.<sup>2</sup>

ვორნაკის გათხრებმა ე. თაყაიშვილს მნიშვნელოვანი აღიარება მოუტანა. იგი დიდი ინტერესით აგრძელებს არქეოლოგიურ დაზვერვებსა და გათხრებს წალკის რაიონში. სათანადო ანგარიშებში მითითებული კვლევების სფეროში მოქცეული ძეგლების ჩამონათვალი მრავალ ათეულ პუნქტს მოიცავს, ძირითადად შემონმებას ექვემდებარებოდა სა-

<sup>1</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 103-104.

<sup>2</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 104.

მარხეული ნაშთებისა და სხვ. შემთხვევითი აღმოჩენების ადგილები. აქ მათ შესახებ არსებული მხოლოდ სპეციალური ლიტერატურის მითითებით დავკმაყოფილდებით.<sup>1</sup> ინტერესს იწვევს თვით ე. თაყაიშვილის მოგონება მის ამ ადრეულ საქმიანობაზე: „...ვორნაკის გათხრაზე მუშაობამ გარკვეული გამოცდილება შემძინა, წამახალისა, დამაინტერესა და შემდეგ უკვე თამამად მივყავი ხელი თხრის წარმოებას, მითუმეტეს, რომ ...1917 წლამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც არქეოლოგიური კომისიის დავალება-ნებართვით ვთხრიდი საქართველოში“.<sup>2</sup>

შემდეგ (1896 წ.) მისი არქეოლოგიური საქმიანობა ქუთაისის გუბერნიას, როგორც ნაკლებად შესწავლილს, დაუკავშირდა; დაზვერვები ჩაატარა გურიასა (ხუცუბანი, მდ. კინტრიშის პირას, კრემაციული სამარხის (?) ნაშთები) და სადგ. საჯავახოსთან (კერამიკული წარმოებისა (?) და განძის ნაშთები) და ზოგან საცდელი თხრილებიც გააკეთდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არქეოლოგიური, საძიებო გათხრები დას. საქართველოს შემთხვევითი აღმოჩენებით ცნობილ ვანში. აქ, XIX ს. შუა ხანების შემთხვევითი აღმოჩენების შესახებ ცნობილი იყო მ. ბროსესთვისაც. ამას გარდა აქაურ ძეგლებს უკვე აქცევდნენ ყურადღებას სიძველეებით დაინტერესებულნი, მაგ. გ. წერეთელი და უკვე მითითებული ა. სტოიანოვი. ამ უკანასკნელს ვანში მცირე საცდელი გათხრაც ჩაუტარებია.

ე. თაყაიშვილი იყო პირველი, ვინც 1896 წელს მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების დავალებით, შემთხვევითი აღმოჩენებით ცნობილ ამ ძეგლზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძიება ჩაუტარებია. ინფორმაცია ამ სამუშაოების, ისევე როგორც მთელ რიგ სხვათა შესახებ, დროულად დაიბეჭდა როგორც როგორც ქართულ, ასევე რუსულ სამეცნიერო ჟურნალებში.<sup>3</sup> ინტერესს იწვევს ამ ინფორმაციის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ ვანში „...შუა სოფელზე გაჭიმულია მოგრძო გორაკი, რომელსაც აქვს ძველისძველი ნაქალაქარის აშკარა ნიშნები და რომელიც მთლად გადათხრილია ადგილობრივ მცხოვრებთაგან. ამ ნაქალაქარის შვიდ სხვადასხვა ადგილას გაჭრილ პატარა ტრანშეების წყალობით ვიპოვეთ დაზიანებული თიხის ჭურჭლეულობა... თიხის სანათის ნამტვრევები, ისრის პირი რკინისა, ქვის კედლის ნანგრევები, აგრეთვე ჩამოქცეული თალიანი შენობის ნაშთები, ალბათ ეკლესიისა,

<sup>1</sup> მ. ჩარკვიანი. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოები. – ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, N2, 2002; მ. ჩარკვიანი. ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოღვაწეობა 1894 და 1896 წლებში. – საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები. თბ., 2007, გვ.178-201.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი. მოგონებები. – მნათობი, N 7, 1959, გვ.166.

<sup>3</sup> იხ. მაგ.; *Отчетъ Императорской Археологической комиссиИ за 1896 год.* СПб, 1898, გვ. 109-112.

ქვის კაპიტელის ნამტვრევები... თიხის საძირავი და სამი კოლხური ვერცხლის ფული“.

აქვე, ბორცვის ძირითან გამდინარე ე.წ. საქვაბიას ღელეს ნაპირთან მას უპოვნია: „ლიზიმაქეს ვერცხლის ფული, ორი ვერცხლის კოლხური ფული, რომაული სამი ვერცხლისა და სამი სპილენძის ფული, ლამაზად ნაკეთი ოქროს ვარდულა, ბრინჯაოს პატარა ქანდაკება, არნივისა, ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ბალთა და ნემსი, ტყვიის ფილები, ზოლებითა და ჯვრებით შემკული, სპილენძისა და რკინის მილაკები“. ამ ანგარიშში ანტიკური ხანის ნივთებისა და მონეტების გარდა ინტერესს იწვევს ინფორმაცია ძველი ქრისტიანული ტაძრის შესახებ, რომლის შესახებ ე. თაყაიშვილი არაერთ სხვა ნაშრომშიც მიუთითებს.

მოგვიანებით ე. თაყაიშვილი ქართულ და რუსულ ენებზე, არაერთხელ აღნიშნავს ვანის სიძველეების შესახებ, მსჯელობს ძველი ნაქალაქარის ტოპოგრაფიაზე; სათანადო მონაცემების მიხედვით აქ, სხვადასხვა დროს, ნაპოვნი ნაგებობებისა და ნივთების სრულ ჩამონათვალსა და აღწერილობას იძლევა. გ. ლომთათიძის ზემოთ, არაერთგან, მითითებული სპეციალური სტატიის გარდა, ავტორის ვანში არქეოლოგიურ საქმიანობას ვრცლად შეეხო პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი ნ. ხომტარია, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმატებით ხელმძღვანელობდა ვანის მეტ-ნაკლებად ინტენსიურ არქეოლოგიურ გათხრებს 1947-1963 წლებში,<sup>1</sup> ასევე პროფ. ო. ლორთქიფანიძე,<sup>2</sup> ინტერესს იწვევს მ. ჩარკვიანის სტატიები ე. თაყაიშვილის არქეოლოგიურ საქმიანობაზე ზოგადად და ვანის შესწავლის საქმეში კერძოდ.

მაინც გვინდა აქ ყურადღება გავამახვილოთ ე. თაყაიშვილის დიდ ინტერესზე ვანის ნაქალაქარისა და იქ ნაპოვნი მასალების მიმართ. ჩვენი აზრით, მისმა ასეთმა დაინტერესებამ აღნიშნული ძეგლით მნიშვნელოვანწილად განაპირობა აქ სტაციონალური გათხრების დაწყების აუცილებლობა და ახალი მნიშვნელოვანი აღმოჩენების გარემოება. ე. თაყაიშვილის განსაზღვრით, თვით ნაქალაქარი იმ ბორცვის („მოგრო გორაკი“) წარმოადგენს, რომელიც „ბუნებით შემოზღუდულია ხრამ-ღელეებით და მისავალი აქვს მარტო ერთის მხრით... წინათ, როგორც ცხადად ჩანს, მთელი გორაკი სჭერია ქალაქს... მინის თხრის დროს და ისეც, მეტადრე ავდრების შემდეგ, ახვლედიანების (ბორცვი დასახლებული იყო აქ გვიან ჩამოსახლებული ახვლედიანებით – ვ.ჯ.) ეზოში ხშირად პოულობენ ოქროსა და ვერცხლის ფულებს, საყურეებს, სამაჯურებს და სხვა ნივთებს. ამ მხრით ეს პატარა გორაკი კერძის მითრიდატის მთას მოგვაგონებს... აქ ჯერ კიდევ 1852 წელს იპოვეს გამოქანდაკებული კაცის თავი ბერძნული ხელობისა“.

<sup>1</sup> ნ. ხომტარია. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. – ვანი, I. თბ., 1972, გვ. 83-87.

<sup>2</sup> ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). – ვანი, I. თბ., 1972, გვ. 7-42.



შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ პროკოპი ახვლედიანის ეზოში მინის თხრის დროს უპოვნიათ ძველი სასაფლაო, სადაც მარმარილოს კუბოც უნახავთ. ჩამოთვლილია ამ სამარხის ინვენტარი: ოქროს (კვერთხი) გველის თავით, ოქროს ბადე, ოქროს სამაჯურები, ოქროს საყურეები, ბეჭდები, მონეტები (7 ცალი) და სხვ. ეს ჩამონათვალი მთხრობელს ეკუთვნის და, ცხადია, სიზუსტის პრეტენზია შეიძლება არ ჰქონდეს.

1896 წელს ვანში ჩატარებული ე. თაყაიშვილის გათხრების შესახებ ზემოთ აღინიშნა. ამავდროულად დიდ ინტერესს იწვევს ავტორის მიერ ცალკეულ ეზოებში ნაპოვნი ნივთების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია: „...დავათვალიერეთ ყველა ის ნივთები და აქ ნაპოვნი ფულები. რომელნიც ჯერ კიდევ არ გაეყიდნათ პატრონებს. სხვადასხვაობა ნივთებისა ამტკიცებენ სხვადასხვა ტომთ კულტურულ გავლენას ვანის ქალაქზე. უძველესი ნაშთები ეკუთვნიან მისირს ანუ ეგვიპტეს. აქ ძლიერ ხშირია მისირის პატარა ვერცხლის ფულები ზედ გამოსატყული კუროს (აპისის) თავით, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ ძველ საქართველოში... ჩვენ ვნახეთ ვანში ნაპოვნი პატარა ოქროს „მასკა“, რომელიც ისე წააგავს ძველ მისირის ძეგლებზე გამოსახულ სახეებს, თითქოს ამ უკანასკნელისაგან იყოს გადმოღებული.

ძველი ბერძნების გავლენა წარმოდგენილია ვერცხლისა და ოქროს ფულებით და, აგრეთვე, აქ ნაპოვნი გამოქანდაკებულ კაცის თავით. ძველი რომაელების გავლენას გვიმტკიცებენ აგრეთვე ბევრი ვერცხლისა და ოქროს ფულები, რომაელების დროისა, მეტადრე კეისრების ხანისა, და აგრეთვე კუბოში ნაპოვნი ნივთები... როგორც ჩანს, კუბო თავისი ნივთებით ჰკუთვნებია რომაელების დროის კაცს ანუ უკეთვთქვათ რომაელი დიდებულის შვილს. ამას გარდა ჩვენ ვნახეთ აქ სპილენძისაგან გაკეთებული არწივის სურათი რომელიც ეჭვს გარეშე რომაულ ხელობას შეადგენს. ვანის ქალაქს არამცირედი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პონტოს მეფეების დროსაც, ვინაიდან პონტოს მეფეების (მითრიდატების) ვერცხლის ფულები ძლიერ ხშირად იპოვება აქ.

ვიზანტიის დროსაც ვანი უმნიშვნელო არ ყოფილა, ჩვენ ვნახეთ რამოდენიმე ოქროს ფული კონსტანტინესა და ელენესი და სხვა ვიზანტიელის მეფეებისა...“; ახვლედიანების გორაკზე: „ყველგან იპოვით ეგრეთწოდებულს „კულტურულ ნიადაგს“, ქვის კედლებს, სხვადასხვა შენობებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ქვევრებსა და სხვ. ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზეზე ამოსჭვიან...“ კულტურული ფენების მონაცემებზე მსჯელობის დროს აქ, ვანში, ადგილობრივი, თანამედროვე დასახლების ვითარებაში, მკვლევარი მომავალი გათხრების მეთოდოლოგიაზეც მსჯელობს და თანამედროვე სამოსახლოს ფარგლებში რამდენადმე მნიშვნელოვანი გათხრების ჩატარებისთვის სათანადო, წინასწარული, მოსამზადებელი სამუშაოების აუცილებლობას გულისხმობს. ასეთი შეფერხება შეხვდა მას ზოგიერთი სამოსახლოს ფარგლებში ცალკეული სამარხებისა თუ, „კურგანის“, აგრეთვე, ადრეული

ქრისტიანული ტაძრის გათხრების დროს.<sup>1</sup>

სხვა შემთხვევაში ინტერესს იწვევს განსვენებული მეცნიერის და ინტერესება მატერიალური კულტურის ისტორიასთან დაკავშირებული, უკვე სპეციალური საკითხებით. მაგ., ისეთით, როგორცაა:

1. დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარი ვანის ახვლედიანების გორაზე;
2. საკითხი ოქროს მადნის მოპოვება-წარმოებისა და ნივთების ადგილობრივ დამზადების თაობაზე.
3. ნაქალაქარზე ადრეული ქრისტიანული ხანის ეკლესიის რაობისა და დათარიღების საკითხებსა და სხვ.

ავტორი დიდი ინტერესით სწავლობს ვანის ნაქალაქარის ადრეულ, განსაკუთრებით კი ანტიკური ხანის ძეგლებს; ხშირ შემთხვევაში ცდილობს შემთხვევით ნაპოვნი მასალებით გარე სამყაროსთან კონტაქტებზე იმსჯელოს. შევხებით თითოეულ ამ საკითხს ცალ-ცალკე. სამარხებთან და დაკრძალვის წესთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს ისეთ შემთხვევაზე, როცა თანამედროვე სახლის ქვეშ მოქცეულ ძველ სასაფლაოზე „...მკვდართან მოშორებით ცხენიც ყოფილა დამარხული. ყოველ შემთხვევაში ცხენის თავი აშკარად გამოჩნდა თავის ლაგმით, და ამ ადგილას წინათ ოქროს რომაული ფული ეპოვნა სახლის პატრონს. სასაფლაოზე, ჩვენი აზრით, გორაკი (კურგანი) ყოფილა აღმართული“. დამარხვის სხვა წესს უკავშირდება პ. ახვლედიანის ნაკვეთზე ნაპოვნი მარმარილოს კუბო, რომელსაც მეცნიერი ასევე უკავშირებს ძველ სასაფლაოს. სწორედ აღნიშნულ კუბოს უკავშირდება ის ძვირფასი ნივთები, რომელიც უკვე იყო ზემოთ ჩამოთვლილი. თუმცა გვგონია, რომ ეს მდიდრული სამარხი, ისევე, როგორც ვანის ზედა უბანზე ნაპოვნი, გაძარცვული სპილენძის სარკოფაგი, შეიძლება, უფრო, ინდივიდუალურ სამარხებს წარმოადგენდნენ.

დიდ ინტერესს იწვევს ოქროს ნივთების დამზადების ადგილობრივობის საკითხი. ამ თვალსაზრისით ე. თაყაიშვილის მსჯელობა ფრიად ორიგინალურია და დღემდე არ კარგავს ძირითადად თავის მნიშვნელობას: „ოქროს საყურეები, სამაჯურები, სარტყლების სამკაული და აგრეთვე სხვა ნივთები ოქროსა, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენი აზრით, უმეტეს შემთხვევაში შორიდან მოტანილნი არ არიან, არამედ აქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორიდან მოტანილი. ძველი ვანის ნიადაგს ყველგან ემჩნევა ოქროს სილა. მეტადრე ღელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უვლის გორაკს. ხშირად აქ კარგი მოზრდილი მარცვლებიც შეგხვდებათ ოქროსი. ქალები და

<sup>1</sup> აქ წარმოდგენილი ავტორისეული ვრცელი ამონაწარები ძირითადად გამოქვეყნებულია: **ე. თაყაიშვილი**. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ნაწ. I. თბ., 1907. თვით ადრექრისტიანული ტაძრის შესახებ კი ძირითადად იხ.: **Е. Такайшвили**. Церкви в Ване, в Имерии и ея древности. – *Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе*, т. II, 1917-1925. Л., 1927.

ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ ღელე საქვაბიას ნაპირს აპყვებით, ადვილად დარწმუნდებით ქარხნების ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ტყვიის დაურჯაკებიდან, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ და აგრეთვე ქარხნებიც ჰქონიათ“. ღლეს ამ საინტერესო მსჯელობის ერთი, ძირითადი, ნაწილია მეცნიერულად დადასტურებული. კერძოდ, მოსაზრება ოქროს ნივთების ადგილობრივ დამზადების შესახებ (ო. ლორთქიფანიძე, ა. ჭყონია). საკუთრივ საქვაბია-ღელეს მონაკვეთში ოქროს მოძიებისა და გადამუშავების საკითხებზე კი ავტორის მსჯელობა, როგორც აღინიშნება, ჯერჯერობით, დასაბუთებული არ არის.

შევეხებით ვანის ადრექრისტიანული ტაძრის საკითხს. ეს ნაგებობა უშუალოდ ე. თაყაიშვილის გათხრების შედეგად არის გამოვლენილი; შემალღებულ ადგილზე ზედაპირულად ნაგებობის ნაშთები არ შეინიშნებოდა. მომცრო, თლილი ქვით ნაშენი ეს ეკლესია, მომცრო ზომისაა. თაღში ეკლესიას ხმის გასაძლიერებლად ჭურები ჰქონია ჩატანებული. განსვენებულ მეცნიერს აქ გათხრების დასრულება არ დასცალდა, რადგან თანამედროვე დასახლება და მცენარეული საფარი ამის საშუალებას არ იძლეოდა. თვით ეკლესია კი, გამთხრელის აზრით, ერთ-ერთი უძველესი შეიძლება იყოს იმერეთში. ამაზე უნდა მიუთითებდეს ბარელიეფი, რომელზეც გამოსახული უნდა იყოს მშენებელი ეკლესიისა და მისი ძმა ბაკური.

ბარელიეფის თარიღი კი მხატვრული და პალეოგრაფიული მონაცემებით განსაზღვრულია. ამ კერძო შემთხვევაში ინტერესს იწვევს ის, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექვთიმე თუ როგორ კომპლექსურად შეისწავლის ერთ კონკრეტულ ძეგლს. ამავე დროს, ქრისტიანული ტაძრის გათხრებსაც უკეთებს ორგანიზაციას (რაც იმ დროს ფრიად საძნელო საქმეს წარმოადგენდა) და მნიშვნელოვნად საინტერესო თარიღებსაც გვათავაზობს. ცნობილია, რომ ე. თაყაიშვილი ამავდროულად სოფ. ზედა ვანის ეკლესიასაც შეისწავლიდა, ასევე კომპლექსური (განიხილება ფრესკები, რელიგიური ლიტერატურის, კერძოდ, სახარების მონაცემები და სხვ.) მეთოდით. ვანის შემდგომმა გათხრებმა (ნ. ხომტარია, ო. ლორთქიფანიძე<sup>1</sup>) და უალრესად მნიშვნელოვანმა აღმოჩენებმა დაადასტურეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის შესწავლის დანყების მისია ერგო წილად ამაგდარ მეცნიერს.

XIX ს. დასაწყისში თბილისში არქეოლოგიურ საზოგადოებები, მოგვიანებით კი ინსტიტუტიც კი იქმნება. ამ საქმეში დიდ ინიციატივას, რუსეთის სამეცნიერო ცენტრებთან კონტაქტის გამო, ნ. მარი იჩენდა. ძირითადი საქმიანობა კი ე. თაყაიშვილის მხრივ წარიმართებოდა. ასე, მაგ., იგი 1901 წელს თბილისში დაარსებული მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების აქტიური წევრი და 1905 წლიდან, ხანგრძლივად, მდივანია. უკვე ფართოდ ცნობილ არქეოლოგს თბი-

<sup>1</sup> ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია..., გვ. 7-42.

ლისის გიმნაზიაში დიდი დატვირთულობის გამო, მხოლოდ არდადაგების დროს შეეძლო სავსე სამუშაოებში მონაწილეობის მიღება. ამასთან, ზემოთ აღნიშნულ საზოგადოებას არც სათანადო სახსრები გააჩნდა. უფრო გვიან ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა არქეოლოგიის ინსტიტუტიც, რომელიც ნ. მარის მეშვეობით, სახსრებს მოსკოვიდან იღებდა.

სამსახურეობრივი დიდი დატვირთვის მიუხედავად, ფაქტობრივად, გათხრების უფლების მქონე ერთადერთ პიროვნებას, ე. თაყაიშვილს, ზაფხულის თვეებში მაინც, დიდი ენერგიით უხდებოდა არქეოლოგიური სამუშაოების ორგანიზება. ასეთად, პირველ რიგში, მცხეთაში მის მიერ 1902 წელს განახლებული გათხრების შესახებ უნდა აღვნიშნოთ. ეს სამუშაო ამიერკავკასიის რკინიგზაზე ნავთსადენის მშენებლობას დაუკავშირდა და მის მიერ სამხრეთ ქართლში (ნალკის რაიონი), ჩატარებულ სამუშაოებთან ერთად, საქართველოში ახალმშენებლობების ზონაში და, ამდენად, გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების პირველი შემთხვევაა. მეორე მხრივ, გათხრები ნავთსადენთან და დაგეგმვა სამუშაოებისა მცხეთიდან დასავლეთით 3 კმ-ზე, აგრეთვე სამთავროში, რუსეთის არქეოლოგიური კომისიის დავალებით, რომელიც უკვე ტექნიკური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა, მცხეთისკენ შემობრუნება იყო.

მცხეთის ნავთსადენის მშენებლობაზე მეთვალყურეობა და გათხრები გასაგები მიზეზების გამო, დიდი მნიშვნელობისა იყო. არმაზისხევის, იქვე ახლოს, XX ს. 40-იან წლებში გათხრილი, ძირითადად ანტიკური ხანის, წარჩინებულთა ფართოდ ცნობილი სამარხებისაგან განსხვავებით, აქ, ფაქტობრივად, საქმე გვქონდა გვიან ანტიკურ, უფრო კი ადრე შუასაუკუნეების და, ამდენად, თითქოს, ნაკლებ ეფექტურ მონაცემებთან. იგივე მონაცემები იყო დადასტურებული აქ, მოგვიანებით, უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხაზით, განხორციელებული გათხრების შედეგად (ხელმძ. გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე). გაოცებას იწვევს ე. თაყაიშვილის მიერ ნავთსადენში 18 დღეში განხორციელებული სამუშაოების მოცულობა. მას ამ ხნის განმავლობაში 53 ქვის სამარხი გაუხსნია, რომ არაფერი ვთქვათ იმ 25 სამარხზე, რომელიც მუშების ამარა, სტიქიურად ითხრებოდა და მონაცემები ასევე იქნებოდა მოსაწესრიგებელი, ხოლო ინვენტარი – დასაბინავებელი.

სამარხებს გარდა, აქ, ორგან, ქვითკირის ნაგებობების ნაშთებიც ყოფილა გამოვლენილი, სამეურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინვენტარით, ქვევრებითა და სხვ. ერთგვარ მოულოდნელობას წარმოადგენს ე. თაყაიშვილის ანგარიშსა და გ. ლომთათიძესთან მითითებული ოქროსა და ვერცხლის მონეტების პოვნის შემთხვევები, რაც ახსნას საჭიროებს, რადგან, ჩვენი აზრით, ეს მასალა, ალბათ, უფრო სამარხებს, თანაც უფრო ადრეულს (რომაულს?) უნდა უკავშირდებოდეს. ძირითადი სამარხები ფილაქვით ნაგებ ქვაყუთებს წარმოადგენდა. ამგვარ საოჯახო სამარხებს გარდა, კერამიკული ფილებით ნაგები სამარხიც ყოფი-

ლა გამოვლენილი, ეს უკანასკნელი უფრო ადრეული ხანით არის განსაზღვრული.

სამარხებში ნაპოვნი ინვენტარი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, ძირითადად სამკაულია და, ამდენად, ქალებს მიეკუთვნება (ნაპოვნია: საკინძები სხვადასხვა მასალისა, თმის სარჭები, ბეჭდები, საყურეები, მძივებით ასხმული ყელსაბამები, საყურეები და სხვ.). ნიშანდობლივია, რომ ეს სამარხები თითქმის მთლიანად არ შეიცავენ იარაღს, ასევე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თიხის ჭურჭელს; ინტერესს იწვევს მინის სანესაცხებლეები, ოქროსა და მარგალიტისთავიანი საკინძები და სხვ. გამთხრელი სამაროვანს ზოგადად ახ.წ. პირველი საუკუნეებით (ზოგადად ახ.წ. I-VIII სს.) ათარიღებს, ხოლო გამოვლენილ მასალებს ერთთავად ადგილობრივ კულტურას უკავშირებს.<sup>1</sup> ნავთსადენის სამაროვნის მასალების კარგი მცოდნე გ. ლომთათიძე ამ თარიღებს იზიარებს, ამასთან, მიიჩნევს, რომ, ადრეული კომპლექსების ჩაუთვლელად, ნავთსადენის კომპლექსების მე-2 ეტაპის სამარხების თარიღი ახ.წ. IV-VIII სს.-ით შეიძლება განისაზღვროს.<sup>2</sup> საქართველოს სხვა სამაროვნების გათხრების მონაცემებიც ზოგადად ადასტურებენ ე. თაყაიშვილის თარიღებს, რაც უკვე იმ დროისთვის მის პრაქტიკულ არქეოლოგიაში ფართო განსწავლულობაზე მიუთითებს.

ე. თაყაიშვილის საქმიანობა, როგორც ეს ვანის შემთხვევაში იყო აღნიშნული, მნიშვნელოვანი აღმოჩენების ადგილების შემოწმების, ნაპოვნი ნივთების ადგილმდებარეობისა დადგენისა და გადარჩენის ღონისძიებებისკენ იყო მიმართული. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე შემთხვევის შესახებ უნდა აღინიშნოს. ცნობილ ქალაქ შორაპანთან, სოფ. ბორის შემთხვევითმა, მნიშვნელოვანმა აღმოჩენებმა ადრიდანვე მიიქცია ყურადღება. ადგილობრივ მცხოვრებთა, მინის მეპატრონეთა დახარბების გამოა, რომ ძვირფასი ნივთების ერთი (დიდი) ნაწილი დღეს რუსეთის (პეტერბურგის ერმიტაჟისა და სხვ.) მუზეუმებშია გაფანტული.

1908 წლიდან ე. თაყაიშვილი ბორის ნივთების გადარჩენის საქმეშია ჩაბმული. დაიგეგმა გათხრებიც, მაგრამ იგი არ განხორციელებულა, ადგილობრივთა მიზეზით. ძირითადად შემთხვევით გამოვლენილი, ასევე კერძო პირთა (მაჭავარიანებისა და სხვ.) აქტიურობით (ჩანს, კერძო გათხრებით) ნაპოვნი და ვაჭრობის საგნად ქცეული ამ ნივთების მოზრდილი ნაწილი მოგვიანებით გამოქვეყნდა კიდეც. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბორის ვერცხლის თასი არამეული წარწერით, რომელმაც დიდი ხანია მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. ყველა მონაცემით ბორში გარკვეული პროვინციის ხელისუფლის (ერისთავის) რეზიდენცია ივარაუდება. ე. თაყაიშვილის ინფორმაცია მაჭავარიანის

<sup>1</sup> **Е. Такайшвили.** Краткий отчет о раскопках проведенных по поручению Археологической комиссии летом 1902 г. близ ст. Мцхета. – *Известия Московского Археологического Общества.* Тифлис, 1904, გვ. 79-89.

<sup>2</sup> **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 108.

კოლექციის შესახებ, სათანადო საილუსტრაციო მასალის თანდართვით, მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს შემდგომი კვლევებისთვის. ამ ინფორმაციით, თითქოს, მთელი ეს ინვენტარი, ათიოდე სამარხში იყო კერძო პირების მიერ ამოთხრილი. ამ სამარხების და, შესაბამისად ინვენტარის, ძირითად დამატარილებელ მასალას მონეტები წარმოადგენს. იმ დროისთვის სულ 15 ცალი რომაული და პართული მონეტა იყო ნაპოვნი. მათი მიხედვით ბორის სამაროვნის ე. თაყაიშვილისეული თარიღს (ახ.წ. I ს.) გ. ლომთათიძე, არმაზისხევის პიტიახშთა სამარხების მონაცემებით, მნიშვნელოვნად აზუსტებს და ახ.წ. II-III საუკუნეებით განსაზღვრავს.<sup>1</sup>

ძალზე მნიშვნელოვანია ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლის საქმეში. სამი სპეციალური ექსპედიცია (1902, 1907 და 1917 წწ.) მოაწყო მან, რომლის შედეგები ფართოდ აისახა მრავალრიცხოვან ნაშრომებში. მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პარიზში დაისტამბა, შემდეგ კიდევ ემიგრაციიდან მობრუნებულმა, აკად. ა. შანიძისა და გ. ლომთათიძის უშუალო ხელისშეწყობით, ბევრი მნიშვნელოვანი მოგონება და ნაშრომი გამოაქვეყნა. ყველა ამ ნაშრომს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ ტაო-კლარჯეთის, ფართოდ გაგებული, ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით. მან შეძლო ამ საქმიანობაში სპეციალისტების შედარებით ფართო წრე შემოეკრიბა. ამ ძეგლების მოხილვისა და დაფიქსირების პროცესში ე. თაყაიშვილის გვერდით ცნობილი ფოტოგრაფების, არქიტექტორებისა და მხატვრების გვარებს ვხედავთ.

ფართო საზოგადოებრივი დაინტერესების მაგალითს წარმოადგენს მაშინ თურქეთში მყოფი დავით ქუთათელაძის საქმიანობა. მას ოლთისის არქეოლოგიური რუკის მონახაზი შეუდგენია, ნანგრევების, დაბებისა და ეკლესიების მითითებით. ის ასევე აგზავნიდა კორესპონდენტებს თბილისში და წარწერიანი ქვაც კი გადაუგზავნია ე. თაყაიშვილისთვის, რომელიც კომპლექსურად იკვლევდა ძეგლებს. ტაძრებს გარდა შეისწავლიდა მათი შემომზღუდავი კედლების შიგნით და გარეთაც არსებულ მცირე ეკლესიებს, სამეურნეო და სამარხ ნაგებობებს, ნასახლართა ნაშთებსა და სხვ. დიდ ინტერესს იწვევს აღნიშნულ კომპლექსებთან დაკავშირებული მრავალფეროვანი, ხშირად რთული ტოპოგრაფიის მქონე, დასახლებათა ნაშთები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ინფორმაცია ბანას კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით საცხოვრებელი მღვიმეებისა და სოფ. პატარა ვანქთან, ბუნებრივ კლდეში, ქვითკირის ფანჯრებიანი კედლებით ამოშენებული მღვიმეების შესახებ, სადაც ე. თაყაიშვილი ეკლესიებსაც ვარაუდობს.<sup>2</sup> ასეთი ნასახლარები არაერთგანაა დადასტურებული. ამათ-

<sup>1</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი..., გვ. 109.

<sup>2</sup> ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. დაბრუნება. მრავალტომეული 1. ექვთიმე თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. თბ., 1991, გვ. 325.

გან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პერტუსის „მეზრე“ (ანუ მეზობელ) სოფ. კოპთან მაღალ მთაზე შემჩნეული დასახლებათა ნაშთები. ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ასევე ქვითკირით ამოშენებული მღვიმეებია შენიშნული. აქვე, თითქოს, ციხის ნაშთები, დიდრონი კომპლექსით, შეინიშნება. მარცხენა მხარეზე მდინარისა, უფრო „...მაღალ კლდეებში მრავალი დიდრონი მღვიმე მოჩანს. აქაც მღვიმის პირები, ქვითკირით არის ამოშენებული, შიგ დატანებული ფანჯრებით.“

ამას გარდა აქ და სხვაგანაც, არაერთგან, დადასტურებულია ეკლესიები, თლილი ქვით ნაშენი და ჩუქურთმებიანი. ზემოთ აღნიშნული კლდის დასახლებები მაშინ მიუვალი იყო. ინტერესს იწვევდა სოლომონისი, ანუ სოლომონ კალა. აქვე, სოფლის ჩრდილოეთით, კლდეში ძნელად მისადგომი პატარა ეკლესია იყო დაფიქსირებული. იქვე შეინიშნებოდა კლდეში გამოკვეთილი, რამდენიმე სენაკი, ან უბრალო ქვით ნაშენი სენაკები. ასეთი სენაკები ქვედა ტერასაზეც, ციცაბო და ამიტომ მიუვალ კლდეზეც შეიმჩნეოდა.<sup>1</sup> ზოგადად, ეს მღვიმეები რიგი მოულოდნელობებითაც იქცევენ ყურადღებას. კერძოდ, გაჩი-ძირის მახლობლად ერთ-ერთ მათგანში, სრულიად შემთხვევით, ისტორიული დოკუმენტები (ხელნაწერები) იყო ნაპოვნი. ინტერესს იწვევს ის, რომ ე. თაყაიშვილმა შექლო XV ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ, ქალაქსა და ტყავზე მხედრულით შესრულებულ ამ ეტრატებს პირადად გასცნობოდა, წინასწარ შეესწავლა და დაეთარიღებინა.<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილის კვლევა-ძიება ტაო-კლარჯეთში, რაც ძეგლების მოძიებისა და ფიქსაციის საქმიანობაში გამოიხატა საქართველოში, თბილისში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პარალელურად წარმოებდა და, თითქოს, გრძნობდა საფრთხეს, როცა ცალკეულ ძეგლებზე ფიქსაციის საქმიანობის დასრულებისთვის, დროდადრო, სპეციალისტებს გზავნიდა თურქეთში. ეს საფრთხე კვლავ ქართული მიწების ხელახალი დაკარგვით დასრულდა და ამის შემდეგ, ისევე ხანგრძლივად, ქართული კულტურის დიდი აღმავლობის მაუწყებელი ეს ძეგლები მხოლოდ უცხოელების დაკვირვების საგანი იყო (ქართველთაგან მხოლოდ ანგანსვენებული ვ. ჯობაძე ახერხებდა ჯერ გერმანიიდან, შემდეგ კი ლოს ანჯელესიდან, დროდადრო, თურქეთში შეღწევას და მნიშვნელოვანი ნაშრომებითა და გამოფენებით ევროპაში და საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობით ხელი შეეწყო ამ ძეგლების პოპულარიზაციისთვის).

აქ არა გვაქვს შესაძლებლობა, თუნდაც მოკლედ, შევეხოთ იმ მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას, რასაც ქართული სამეცნიერო ცენტრები აწარმოებენ ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით. ამ მხრივ ტრადიციულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქარ-

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები, გვ. 325-327.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი. ემიგრანტული ნაშრომები, გვ. 262.

თველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ინსტიტუტის (ამჟამად ცენტრის) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და ცალკეულ თანამშრომელთა კვლევებს ტაო-კლარჯეთში. ასევე, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა სამეცნიერო ცენტრის ექსპედიციებსა და ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს. მნიშვნელოვან კვლევებსა და საექსპედიციო საქმიანობას აწარმოებდნენ და აწარმოებენ ამ ძეგლების შესწავლისთვის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და სხვ. სასწავლო და სამეცნიერო ცენტრები.

ცალკე საკითხია ე. თაყაიშვილის ცხოვრება და საქმიანობა, კონკრეტულად კი არქეოლოგიური, გათხრითი, აგრეთვე, ძეგლების კომპლექსური კვლევების მაღალპროფესიული დონე, დიდხანს იქნება სამაგალითო პროფესიული წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის. დიდია მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერის ღვაწლი, ქართული ხელნაწერების ძიებისა და შეგროვების კვალად, არქეოლოგიური ნივთების მოძიებისა და დაცვის საქმეში მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ ნივთებს საშველად და საპატრონოდ იგი მათ უცხოეთში მიჰყვება და აბობოქრებული ზღვის მშვიდობით გადალახვისა და ნივთების უცხოეთში მფარველობისთვის ღმერთსა და ექვთიმე თაყაიშვილს მადლობა უნდა ვუთხრათ. ღვაწლი ე. თაყაიშვილისა თაობებისთვის სამაგალითო იქნება, ხოლო ახალი აღმოჩენები ძველ ობიექტებსა (ვანი, ბორი, ახალგორი, საჩხერე და სხვ.) და ახალ ძეგლებზე (ტაო-კლარჯეთშიც) მის ნათელ სახელს კვლავ არაერთხელ გაგვახსენებს.

## **VAKHTANG JAPARIDZE**

### **EKVTIME TAKAISHVILI AT THE BEGINNINGS OF THE GEORGIAN ARCHAEOLOGY**

This article covers the multilateral activities Ekvtime Takaishvili in the archaeological study of antiquities of Georgia.

## **ВАХТАНГ ДЖАПАРИДЗЕ**

### **ЕКВТИМЭ ТАКАИШВИЛИ У ИСТОКОВ ГРУЗИНСКОЙ АРХЕОЛОГИИ**

В статье освещена многогранная деятельность Еквтимэ Такашвили в деле археологического изучения древностей Грузии.



## ლია ახალაძე

### ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი

ექვთიმე თაყაიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე XIX ს. 80-იან წლებში გამოვიდა, მისი პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია ქართველოლოგიაში მიმდინარე დიდ ცვლილებებთან, როცა მეცნიერების წინაშე ქართული კულტურისა და ისტორიის კვლევის გაფართოებისა და გაძლიერების მიზნით თვისებრივად ახალი ამოცანები დაისახა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საქართველოს ისტორიისა და მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია ევროპასა და რუსეთში ისტორიულ მეცნიერებაში მიმდინარე დიდ ცვლილებებთან და ჩამოყალიბებულ ახალ ტენდენციებთან. კერძოდ, ამ დროიდან ისტორიოგრაფიაში ინერგება კვლევის ახალი მეთოდები და ხერხები, იცვლება საისტორიო წყაროების დამუშავების, ტექსტის დადგენის, დათარიღებისა და ანალიზის, ასევე მათი გამოცემის მეთოდოლოგია. საისტორიო მეცნიერებაში იკვეთება ახალი მიმდინარეობანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ წარსულის შესახებ ცოდნის აქტივაციას.

საქართველოს ისტორიაში ეს არის პერიოდი, როდესაც ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში გადავიდა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების კვალდაკვალ ინტერესი ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი განსაკუთრებით ძლიერდება. ამ ფაქტორმა დააჩქარა და ხელი შეუწყო ქართველოლოგიაში თვისებრივად ახალი ეტაპის დაწყებას. საქართველოს ისტორიისა და მთლიანად ქართული კულტურისადმი გაძლიერებულმა სამეცნიერო ინტერესებმა ხელი შეუწყო ქართველოლოგიის ახლებურად გააზრებასა და დაგეგმვას.

ბუნებრივია, ქართველოლოგიის წინაშე დასმული ახალი ამოცანების გადაჭრა შეუძლებელი იყო მეცნიერული კვლევა-ძიების გაფართოების გარეშე. და ასეც მოხდა, დაიწყო ქართული კულტურის ძეგლების შესწავლის, საისტორიო წყაროებისა და მასალების მოძიების, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოების არნახული პერიოდი. სწორედ, ამ დროს გამოდის სამეცნიერო ასპარეზზე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც თავდაპირველად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში ჩაერთო, სადაც ძველი ხელნაწერები ჩააბარეს მოსაველეად: „საზოგადოების წევრი რომ გავხდი, – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი, – მივიხედ-მოვიხედე, შევატყვე, რომ ძვირფას

ხელნაწერებს კაცი პატრონი არ ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუნყე პატრონობა. მერე თანდანათა გამიტაცა, შემყვარდა და ვინყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემონირულთ აღარ ვჯერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავინყე, სხვადასხვა კუთხეებში მიმონერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე“.<sup>1</sup> ასე დაიწყო ექ, თაყაიშვილმა ქართული სიძველეების მოძიება, შეგროვება და კვლევა. როგორც ვხედავთ, მან ქართველოლოგიის ყველაზე რთულ დარგს მიაშურა, რომელიც განსაკუთრებით საჭიროებდა ქართული სიძველეთმოყვარულის დიდ ინტერესსა და განსაკუთრებით დიდ რუდუნებას.

დიდი მეცნიერი თავის მოგონებებში ამ პერიოდზე წერდა: „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ლონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა მეტი გამომემზებურებინა და მისანვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ. იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა გადაუჭარბებლივ დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. საკვებურად არ ვამბობ, მაგრამ მას აქეთ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სისტემური კვლევისა და ძიების შედეგად, წილად მხვდა ბევრი ახალი, სრულიად უცნობი და თან პირველხარისხოვანი ძეგლის აღმოჩენა – ისეთებისა, რომელთა არსებობა არც კი მოგვიფიქრებია მანამდე. ეს უპირველეს ყოვლისა, იმის მომასწავებელია, რომ კარგა ხანს ჩვენ ძებნა არც კი მიგვაჩნდა საჭიროდ და არც გვესმოდა ასეთი მუშაობის ფასი“.<sup>2</sup>

საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებისა და ქართულ სიძველეთა გადარჩენის მიზნით ექვთიმე თაყაიშვილი დაადგა ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი წინამორბედების მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის გაკვალულ გზას. ეს იყო გზა ძიებისა – საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ტაძარსა და ყველა ოჯახში, სადაც შეიძლებოდა ქართული სიძველე შემონახულიყო და გადარჩენილიყო უამთა სიავისაგან. საგულისხმოა, რომ იმავე გზას მიჰყვებოდნენ ამ ეპოქის თვალსაჩინო ქართველი ისტორიკოსები: თედო ჟორდანიანი, მოსე ჯანაშვილი და სხვები. რომელთა ძირითადი მიზანიც საქართველოს ის-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გ. ლომთათიძემ. – წგნ.: **ექვთიმე თაყაიშვილი**. რჩეული ნაწერები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **ალ. ბარამიძემ**. თბ., 1968, გვ. 304.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და... გვ. 310.

ტორიის წყართმცოდნეობითი ბაზის გაფართოება და ქართულ სიძველეთა მოძიება წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში, მიმაჩნია, რომ მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი აღმოჩნდა ბედის რჩეული, როგორც თავის თავზე ამბობს „ბედიც უჭრიდა“ ქართულ სიძველეთა აღმოჩენა-გამომზეურების საქმეში. „ამ მუშაობაში, რომ შევედი საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავინყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რომ რაც შეიძლება მეტი მომესწრო... სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს, აი, ეს არ წახდეს-მეთქი. ვცდილობდი ყველაფერი ამენერა, გადმომელო ჩამეხატა; რაც შეიძლება მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომენირვებინა და საბოლოოდ მუზეუმი შემექმნა, რომ იქ ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შენახული“.<sup>1</sup>

ასე ფიქრობდა ადამიანი, რომელსაც მომავალმა თაობამ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდა. სწორადაც უწოდა, რადგან ის გამუდმებით ეძებდა და პოულობდა კიდევ: „ახლა რომ გადავხედავ ჩემს ცხვრებასა და მუშაობას, ხშირად ისიც მიკვირს, თუ ძეგლების აღწერა-გამოცემის მხრივაც კი რამდენი რამ მომისწრია: ერთმა კაცმა როგორ შევძელი, მეთქი, ისეთი დაუდგრომლობა და უამრავი ძეგლისათვის ასე თუ ისე თავის გართმევა?! მერედა კაი მეძებარივით მე უნდა წავწყდომოდი ერთი მეორეზე საინტერესო ხელნაწერს, ნივთსა თუ სხვა ძეგლს: რომ იტყვიან ბედიც მიჭრიდა, ასე ვთქვათ!“.<sup>2</sup>

ექვთიმე თაყაიშვილს კარგად ესმოდა, რომ ყველა ხელნაწერის, წარწერისა თუ სხვა სახის ძეგლის საბოლოო კვლევას თავად ვერ მოასწრებდა და ვერც შეძლებდა, ამიტომ თავად ცდილობდა მაქსიმალურად მეტი ძეგლი გადაერჩინა დაღუპვისა და დაკარგვისაგან. შეეკრიბა, პირველადი ისტორიულ-წყართმცოდნეობითი ანალიზი დაერთო და გამოექვეყნებინა, რათა დაეტოვებინა მომავალი თაობებისათვის საკვლევად და მასალად, ანუ წყაროდ ისტორიისათვის. „ის მასალები საიმედოდ თავმოყრილი, დაცული და პირველადი ინტერპრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე გამოგვიჩნდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარგობრივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული, შევსებული ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამიმართლდა და ესაა, რომ უდიდეს ზნეობრივ კმაყოფილებასა მგვრის.“<sup>3</sup>

ისტორიული წყაროებისა და ზოგადად ქართული სიძველეებისადმი ექვთიმე თაყაიშვილის დამოკიდებულება ხშირად მულავენდება მის ნა-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 380.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 380-381.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 381.

წერებში, რაც კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველსაც და მკვლევრებსაც თუ რა დიდ ძალისხმევას, დროს, ენერგიას, შრომისმოყვარეობასა და სიყვარულს მოითხოვდა ეს საქმე. მას ზოგჯერ დროც კი აღარ რჩებოდა მის მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი საისტორიო მასალების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევისათვის. აღარც დრო და აღარც საშუალება აღარ მრჩებოდა იმისათვის, რომ ჩავჯდომოდი იმ მოზღვავებულ მასალას და დინჯად მენერა ნამდვილი გამოკვლევები, – ნერდა მეცნიერი, – ჩემი, როგორც მკვლევარის ნააზრევი ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ შესავალსა და კომენტარებში მჟღავნებოდა უმთავრესად, ნამდვილი თეორიული ნაშრომი თითქოს არც ერთი არ დამინერია: ველარ ვიცლიდი საამისოდ!, ახლა რომ გადავხედავ ჩემს ცხოვრებას და მუშაობას, ხშირად მიკვირს, თუ ძეგლების აღწერა-გამოცემის მხრისვაც კი რამდენი რამ მომისწრია: ერთმა კაცმა როგორ შეეძელი-მეთქი, ისეთი დაუდგრომლობა და უამრავი ძეგლისათვის ასე თუ ისე თავის გართმევა?!“<sup>1</sup>

ექვთიმე თაყაიშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერი და მკვლევარი იყო. ქართველოლოგიაში არ დარჩენილა თითქმის არცერთი მიმართულება, სადაც მკვლევარს თავისი კვალი არ დაეტოვებინა. იგი არ იყო და მხოლოდ ძველი ქართული ისტორიული თხზულებების გამოვლენითა და კვლევით დაინტერესებული მკვლევარი: ეძებდა ზოგადად ქართულ სიძველეებს, მათ შორის ქართული ლიტერატურის, ქართული სამართლის, ქართული ეპიგრაფიკის, ქართული დიპლომატიკის მასალებს. საგულისხმოა, რომ ყველა მათგანს განიხილავდა როგორც „ძველი ქართული დიდების ნამოს“ და იკვლევდა როგორც საისტორიო წყაროს. დღეს საისტორიო მეცნიერება სიძველეთა ზემოთჩამოთვლილ ნუსხას განიხილავს როგორც წყაროთმცოდნეობით მასალას. ძველი ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ისტორიული ნარატივი, წარწერები თუ სიგელ-გუჯრები განიხილება როგორც წყაროთმცოდნეობის შესწავლის ობიექტი. შესაბამისად, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობით კვლევებზე ვსაუბრობთ შეუძლებელია შემოვიფარგლოთ მხოლოდ საისტორიო თხზულებებით, ან ეპიგრაფიკით, რადგან იმავე კონტექსტში – საისტორიო წყაროს შესწავლის მეთოდოლოგიითა და მიდგომებით არის მის მიერ შესწავლილი ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ისტორიული დოკუმენტები (სიგელ-გუჯრები, არზა-ოქმები, სასამართლო განჩინებანი და ა.შ.), ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, მინანერი დოკუმენტებიც კი.

ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ მრავალი მოხსენება, მონოგრაფია, კრებული, სტატია თუ მოგონება დანერილა. ძნელია ისაუბრო მასზე და არ განმეორდე, მაგრამ სწორედ იმიტომ არსებობს შეუწელებელი ინტერესი ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებისადმი, რომ მისი სამეცნიერო

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და... გვ. 380-381.

მემკვიდრეობა არის ამოუწურავი სალარო, რომელიც დღემდე გვაძლევს საშუალებას კვლავაც და კვლავაც მივუბრუნდეთ მის მემკვიდრეობას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში მეტად რთულ და მძიმე პერიოდში მოუწია ცხოვრების უკანასკნელი წლების გატარება, იმდენად მძიმე, რომ მის დაკრძალვაზე დასწრება ანტისაბჭოთა საქმიანობად ჩაითვალა, მომავალმა თაობამ სწორედ ამ ეპოქაში გაბედა და ექვთიმე თაყაიშვილზე შესანიშნავი მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები და მოხსენებები გამოაქვეყნა. განსაკუთრებით გაძლიერდა მისდამი ინტერესი პოსტსაბჭოთა პერიოდში – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა ექვთიმე თაყაიშვილი ვაკის სასაფლაოდან ჯერ დიდუბის პანთეონში, შემდეგ მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს, ბოლოს კი ქართულმა ეკლესიამ „წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის“ სახელით წმინდანად შერაცხა.

ექ. თაყაიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე გამოცემულია ათეულობით ნაშრომი, მათ შორის კრებულები, რომლებშიც გაანალიზებულია დიდი მეცნიერის მრავალფეროვანი შემოქმედების ცალკეული ასპექტები. ამ მასალებიდან, პირველ რიგში, გამოვყოფდით: ნ. ბერძენიშვილსა და ა. აფაქიძის რედაქციით გამოცემულ კრებულს,<sup>1</sup> რ. მეტრეველისა და შ. ბადრიძის ერთობლივ ნაშრომს,<sup>2</sup> სხვადასხვა დარგის მკვლევართა. ა. ბაქრაძის,<sup>3</sup> ე. კელენჯერიძის,<sup>4</sup> გ. ლომთათიძის,<sup>5</sup> ა. ბა-

<sup>1</sup> აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. რედაქტორები ნიკო ბერძენიშვილი და ანდრია აფაქიძე. თბ., 1966. აღნიშნული კრებულის შესავალი ეკუთვნის ნიკო ბერძენიშვილს (გვ. 5-11).

<sup>2</sup> რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1962. იხ. აგრეთვე რ. მეტრეველის ხსენება პუბლიკაციები: რ. მეტრეველი. კვალი განათლებული. თბ., 1975; რ. მეტრეველი. „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები. – წგნ. რ. მეტრეველი. საისტორიო ნარკვევები. თბ., 2009, გვ. 349-363; ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953) ბიობიბლიოგრაფია. რედაქტორი რ. მეტრეველი, შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ც. კვაჭაძე, თბ., 2010.

<sup>3</sup> ა. ბაქრაძე. ივანე ჯავახიშვილი ქართველი ისტორიკოსების ექ. თაყაიშვილისა და მ. ჯანაშვილის შესახებ. – მრავალთავი, 5. თბ., 1975.

<sup>4</sup> ე. კელენჯერიძე. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1963; ე. კელენჯერიძე. აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი: აღწერილობა. თბ., 1972; ე. კელენჯერიძე. ექვთიმე თაყაიშვილი საზღვარგარეთ. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N2, 1983.

<sup>5</sup> გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი. – აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 12-54; ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი; გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებათა შესახებ. – მნათობი, N9, 1959. გვ. 174-177; გ. ლომთათიძე. ექვთიმე თაყაიშვილი: საქართველოს კულტურის ძეგლთა მცველი და მოამაგე (1863-1953). – ძეგლის მეგობარი, N4, 1967. გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953), – ძეგლის მეგობარი, N4, 1965, გვ. 35-46) (რუსული რეზიუმე გვ. 64); გ. ლომთათიძე. ქართული კულტურის მემკვიდრეობა – ექვთიმე თაყაიშვილი. შემდგენელი ნ. ლო-

რამიძის,<sup>1</sup> ა. სურგულაძის,<sup>2</sup> გ. შარაძის,<sup>3</sup> ი. მეგრელიძის,<sup>4</sup> გ. ყორდანი-  
ას,<sup>5</sup> შ. გოზალიშვილის, <sup>6</sup>კ. გრიგოლიას,<sup>7</sup> ვ. დონდუას,<sup>8</sup> რ. კავილაძის,<sup>9</sup>  
მ. ჩხარტიშვილის,<sup>10</sup> გ. ოთხმეზურის,<sup>11</sup> ე. ბუბულაშვილის,<sup>12</sup> დ. ცინცა-  
ძის,<sup>13</sup> ნ. ჩაფიძის,<sup>14</sup> მ. ჩარკვიანის<sup>15</sup> პუბლიკაციებს. გამოჩენილმა მხატ-

---

**ლობერიძე**, თბ., 1990; **გ. ლომთათიძე**. *ექვთიმე თაყაიშვილი* – დიდი ქართველები. რედაქტორი **ზ. აბზიანიძე**. თბ., 2011.

<sup>1</sup> **ექვთიმე თაყაიშვილი**. რჩეული ნაწერები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა და შე-  
სავალი წერილი დაურთო **ალ. ბარამიძემ**. თბ., 1968.

<sup>2</sup> **ა. სურგულაძე**. *ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. თბ., 1977.

<sup>3</sup> **გ. შარაძე**. ერის ისტორიული მემკვიდრეების დაბრუნება. თბ., 1998; **გ. შარაძე**.  
„...ასე იწყებოდა ექვთიმე ღვთისკაცი – თაყაიშვილი“. თბ., 2005.

<sup>4</sup> **ი. მეგრელიძე**. *ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. თბ., 1989; **И. В. Мегрелидзе**. О жизни и эпиграфических работах Е. С. Такайшвили. – *Эпигра-  
фика Востока*, т. XIII. 1960.

<sup>5</sup> **გ. ყორდანი**. დაბრუნებული საუნჯე, ქართული სამუზეუმო და სამონასტრო  
განძეულობა. თბ., 1983.

<sup>6</sup> **შ. გოზალიშვილი**, ქართველ მოღვაწეთა წერილები ექვთიმე თაყაიშვილთან. –  
*საქართველოს სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნიერებების განყოფილების მოამბე*,  
№3. თბ., 1960.

<sup>7</sup> **კ. გრიგოლია**, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა. – *აკადემიკოსი  
ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ.,  
1966, გვ. 90-100.

<sup>8</sup> **ვ. დონდუა**. ექვთიმე თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი.  
– *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების  
კრებული. თბ., 1966, გვ. 55-83. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე ნგნ.: **ვ.  
დონდუა**. საისტორიო ძიებანი, ტ. II. თბ., 1973, გვ. 163-201.

<sup>9</sup> **რ. კავილაძე**. ე. თაყაიშვილი ქართულ სიძველეთა შემგროვებელი და დამცვე-  
ლი. – *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, N1, 1984, გვ. 42-58; **რ. კავილა-  
ძე**. ე. თაყაიშვილი და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები. –  
*მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, N3, 1975, გვ. 68-77;

<sup>10</sup> **მ. ჩხარტიშვილი**. ექვთიმე. – *ისტორიული პორტრეტები*. თბ., 1992, გვ. 69-82.

<sup>11</sup> **გ. ოთხმეზური**. ექვთიმე თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული  
ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. – *მრავალთავი*, 12, 1986.

<sup>12</sup> **ე. ბუბულაშვილი**. ექვთიმე თაყაიშვილის ღვანლი საქართველოს ეკლესიის  
წინაშე. – *რელიგია*. №10-11-12. თბ., 2003; **ე. ბუბულაშვილი**. ექვთიმე თაყაიშ-  
ვილის ღვანლი საქართველოს ეკლესიის წინაშე, ცათამბოძავი ივერიის მე-  
ჭურჭლეთუხუცესი. – *საპატრიარქოს უწყებანი*, N19, 20, 22, 2003. **ე. ბუბუ-  
ლაშვილი**. ექვთიმე თაყაიშვილის ღვანლი საქართველოს ეკლესიის წინაშე. –  
*ცათამბოძავი ივერიის მეჭურჭლეთუხუცესი*, იხ. ინტერნეტსაიტი: „ბურუსი“  
(<https://burusi.wordpress.com/2009/10/30/ekvtime-takaisvili-2/>); **ე. ბუბულაშვი-  
ლი**. ექვთიმე თაყაიშვილის ღვანლი საქართველოს ეკლესიის წინაშე. – *ღვთისკა-  
ცი ექვთიმე თაყაიშვილი* (კრებული). საარქივო და პერიოდული პრესის მასა-  
ლების მიხედვით შეადგინა **ილია თავბერიძემ**. თბ., 2007, გვ. 20-31.

<sup>13</sup> **დ. ცინცაძე**. ექვთიმე თაყაიშვილის ნაკვალევზე, თბ., 2009.

<sup>14</sup> **ნ. ჩაფიძე**, ჟამგულანი: ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა,  
რედ. **ზაზა აბაშიძე**. თბ., 2006.

<sup>15</sup> **მ. ჩარკვიანი**. ექვთიმე თაყაიშვილი (1863-1953). – *ძიებანი*, N6, 2000; **მ. ჩარ-  
კვიანი**. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული სხვადასხვა არქეოლოგიური სა-

ვარმა ლ. გუდიაშვილმა 1969 წელს პატარა მოგონება მიუძღვნა ექ. თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციას სამხრეთ საქართველოში.<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ლ. გუდიაშვილი თავად იყო ამ ექსპედიციის წევრი.

ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი დაკავშირებულია იმ კვლევის მეთოდებისა და მიდგომების ერთობლიობასთან, რომელსაც ავტორი აქტიურად იყენებდა ისტორიული წყაროების კვლევისას, რაც თვალსაჩინოდ აისახა მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში<sup>2</sup> და პირად მიმონერაში ნიკო მართან, რომელიც რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა გამოაქვეყნეს.<sup>3</sup>

მიუხედავად ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის მრავალფეროვანი შემოქმედება ჯერ კიდევ ისტორიოგრაფიული კვლევის პროცესშია და დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევები მას გაცილებით უკეთ და სხვადასხვა კუთხით შეაფასებს. ექვთიმე თაყაიშვილზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალის გათვალისწინებით შევეცადეთ ჩვენი კვლევა იმ მიმართულებით წარგვემართა, რომელიც ნაწილობრივ, ჯერ კიდევ ყურადღების მიღმა არის დარჩენილი.

ვინაიდან მეცნიერება, უპირველეს ყოვლისა, არის მასალის სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის საშუალება, შევეცადეთ ექ. თაყაიშვილისეული წყაროთმცოდნეობითი კვლევების ერთგვარი სისტემატიზაცია მოგვეხდინა. თუმცა მსგავსი შემაჯამებელი კვლევა მთელ მის შემოქმედებაზე შეიძლება განზოგადდეს.<sup>4</sup>

---

მუშაოები. – *ძიებანი*, N9, 2002; **მ. ჩარკვიანი**. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე. – *ძიებანი*, N10, 2002; **მ. ჩარკვიანი**. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – *იბერია-კოლხეთი*, N2, 2005; **მ. ჩარკვიანი**. ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. – *არქეოლოგიური კრებული V*. თბ., 2006; **მ. ჩარკვიანი**. ექ. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოღვაწეობა 1894 და 1896 წლებში. – *საქართველოს არქეოლოგიის საკითხები*. თბ., 2007.

<sup>1</sup> **ლ. გუდიაშვილი**. მშვენიერების ტყვეობაში. – *ძეგლის მეგობარი*, N 19, 1969, გვ. 5-6, რუსული რეზიუმე გვ. 73.

<sup>2</sup> *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი*. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **გ. ლომთათიძე**. – წგნ.: **ექვთიმე თაყაიშვილი**. რჩეული ნაწერები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **ალ. ბარამიძე**. თბ., 1968.

<sup>3</sup> *ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა (1888-1931 წწ)*. გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს **რ. კავილაძემ** და **მ. მამაცაშვილმა**. თბ., 1991.;

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილის ნაშრომების თავისებურ კლასიფიკაციას იძლევა ის კრებულები, რომლებშიც მეცნიერის სამეცნიერო მემკვიდრეობა დარგებად არის წარმოდგენილი. პირველი ასეთი კრებულია აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელშიც ყველა ქართველოლოგიური მიმართულება (არქეოლოგია – გ. ლომთათიძე, ეთნოგრაფია – გ. ჩიტაია, ეპიგრაფიკა – კ. გრიგოლია, ქართული ხელოვნება – გ. ჩუბინაშვილი, ისტორიული გეოგრა-

მთელი მისი შემოქმედება ეძღვნება **ქართველოლოგიას** და მისივე გამოკვლევებისა და ნაშრომების საფუძველზე შეიძლება დაიყოს ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგების მიხედვით. მათ შორის ცალკე გამოვყოფთ **ქართულ წყაროთმცოდნეობით** კვლევებს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყაროთმცოდნეობითი კვლევები თავის მხრივ მოი-აზრებს, არამარტო **ისტორიულ თხზულებების**, არამედ **ქართულ ეპიგრაფიკის, ქართულ დიპლომატიკის, ქართული სამართლის ძეგლებისა და ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების**, როგორც საისტორიო წყაროს განხილვას. საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული მიმართულება ექვთიმე თაყაიშვილის შრომებში იმდენად ფართოდ არის წარმოდგენილი, რომ ცალ-ცალკე თითოეული მათგანი მონოგრაფიულ კვლევას იმსახურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლები და ჰაგიოგრაფიული თხზულებები სხვა დარგის მკვლევართა კვლევის ობიექტიც არის, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ ექ. თაყაიშვილი ორივე ჯგუფის სიძველეებს განიხილავდა როგორც საისტორიო წყაროს. უფრო მეტიც, ერთ-ერთ პირველხარისხოვან საისტორიო წყაროდ თვლიდა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ ექ. თაყაიშვილის მრავალფეროვან სამეცნიერო მემკვიდრეობაში წამყვანი და ძირითადი ადგილი უკავია ქართველოლოგიურ კვლევებს, რომელიც წარმოდგენილია ფართო წყაროთმცოდნეობითი, არქეოგრაფიული, არქეოლო-

---

ფია – დ. მუსხელიშვილი, ქართული მწერლობა – ალ. ბარამიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება – მ. ჩიქოვანი და ა. შ.) არის შესწავლილი და წარმოჩენილი, რომელსაც ექ. თაყაიშვილის შემოქმედებაში ვხვდებით. იხ. *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966. საყურადღებოა, 2004 და 2007 წელს საქართველოს საპატრიარქოს მიერ საარქივო პერიოდული მასალების საფუძველზე შექმნილი კრებული: *ლეთისკაცის ექვთიმე თაყაიშვილი: საიბილეო კრებული*, შეადგინა **ილია თავბერიძემ**. თბ., 2004, 2007; კრებულებში შევიდა როგორც საარქივო მასალები, ასევე ადრე გამოქვეყნებული სტატიები, ახალი კვლევები, გამოჩენილი ქართველების მოგონებები ექ. თაყაიშვილზე დ. ა. შ. საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა ექ. თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტმა (კონფერენციის მოხსენებები „გზა ერისკაცობიდან ლეთისკაცობამდე“ შრომების სახით გამოქვეყნდა 2014 წელს **ნ. ხაზარაძის** რედაქტორობით. უკანასკნელ ხანს ექვთიმე თაყაიშვილს სპეციალური პროექტი მიუძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულმა კომიტეტმა აკადემიკოს **როინ მეტრეველის** ხელმძღვანელობით. პროექტის შედეგი არის ფართო, მრავალმხრივი კვლევა ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე, რომელიც მანამდე არ გახორციელებულა (იხ. *დიდი ექვთიმე*, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი **რ. მეტრეველი**, შემდგენელი და რედაქტორი **ნ. ვაჩნაძე**, თბ., 2014). პროექტის ფარგლებში შესწავლილია ექვთიმე თაყაიშვილის კვლევები ქართველოლოგიის თითქმის ყველა მიმართულებით, რომელსაც შესაბამისი დარგის ცნობილი სპეციალისტები წამოადგენენ.



გიური და ფილოლოგიური ძიებებით.

წყაროთმცოდნეობითი ძიებანი თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ქართული ნარატიული თხზულებების, ქართული ეპიგრაფიკის, ქართული დიპლომატიკისა და ძველი ქართული სამართლის ძეგლების ჯგუფებად. მათი, როგორც პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს ღირებულება წყაროთმცოდნეობით კვლევებში დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს.

### **ნარატიული თხზულებანი:**

ექ. თაყაიშვილის შემოქმედებაში ქართული ნარატიული თხზულებები იმდენად ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი შეიძლება მათში ორი ჯგუფი გამოიყოს: საკუთრივ სამოქალაქო ხასიათის საისტორიო თხზულებები და საეკლესიო ჰაგიოგრაფიული ნარატიული მასალა.<sup>1</sup>

ყველა მათგანის დაწვრილებით კონკრეტულ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ჭრილში განხილვა, ალბათ მომავლის საქმეა, მაგრამ ქართულ წყაროთმცოდნეობაში ექ. თაყაიშვილის კოლოსალური შრომის წარმოსაჩენად წყაროთმცოდნეობითი შრომების აღნიშნული ჯგუფების მიხედვით დალაგება დაგვეხმარება უკეთ ვაჩვენოთ მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი და თეზა, რაც ჩვენი ნაშრომის დასაწყისშივე აღვნიშნეთ: **გაფართოვდეს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა.**

პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა, რომელშიც ექ. თაყაიშვილი მონაწილეობდა, მოენყო 1889 წ. 17 თებერვალს მცხეთაში, სადაც დიმიტრი ბაქრაძემ წაიყვანა. მათი მიზანი იყო ხელნაწერი წიგნების ჩამოტანა. კარგი ხელნაწერები მხოლოდ სვეტიცხოველში უნახავთ და წამოუღიათ. ამ მოგზაურობას სათანადოდ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესაც.

შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ფართო შემოქმედებითს საქმიანობას, რომლის ერთგვარი დაგვირგვინება იყო მის მიერ 1890 წელს გამოცემული „სამი ისტორიული ხრონიკა“,<sup>2</sup> რომელშიც შევიდა, მოქცევაჲ ქართლისაჲ, სუმბატ დავითის ძის თხზულება და მესხური დავითნის მატიანე. ამას 1891 წელს მოჰყვა „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“,<sup>3</sup> რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ გამოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე. თავად ექვთიმეც ამ პუბლიკაციას ქართულ საისტორიო აზროვნებაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად თვლიდა.

<sup>1</sup> ამ საკითხს ცალკე კვლევა მიუძღვნა ალ. ბარამიძემ. იხ. **ალ. ბარამიძე**. ექვთიმე თაყაიშვილი ქართული მწერლობის მკვლევარი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 139-146.

<sup>2</sup> *სამი ისტორიული ხრონიკა*. ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა, გამოცემული ვრცელი წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან **ექ. თაყაიშვილის** მიერ. ტფ., 1890.

<sup>3</sup> *ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა*. გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით **ექ. თაყაიშვილისა**. ტფ., 1891.

ნარატიული თხზულებების შესწავლის მხრივ მნიშვნელოვანია 1906 წელს ექ. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრება: მარიამ დედოფლისეული ვარიანტი“ სამი დამატებითურთ.<sup>1</sup> 1912 წელს გამოსცა „ქართლის მოქცევის“ შატბერდული და ჭელიშური ხელნაწერების სრული ვარიანტი,<sup>2</sup> სადაც იგი შეეცადა ორივე ხელნაწერის ტექსტის შედარებასა და დადგენა-დაზუსტებას.

როგორც ვხედავთ, ექვთიმე თაყაიშვილს საგანგებო წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი წყაროების კვლევაში როგორცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“, უცნობი ავტორის „მესხური დავითის მატინე“, „მოქცევაჲს“ მეორე ნაწილი, რომელიც ავტორის აზრით, არის „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“, „აფხაზთა მეფეთა დივანი“ და ა.შ. აქედან „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ 1989 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მიაკვლია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის დიმიტრი ალექსი მესხიშვილის მიერ შეწირულ ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელსაც მან „შატბერდის კრებული“ უწოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს თხზულებები პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ექვთიმე თაყაიშვილმა 1890 წელს შემოიტანა.<sup>3</sup> მომდევნო წელს ავტორმა გამოაქვეყნა ქართლის მოქცევის წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი,<sup>4</sup> რომელშიც ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზით ერთმანეთს შეუდარა წმ. ნინოს ცხოვრების სხვადასხვა ვარიანტები და ხელნაწერები. მანვე პირველმა წამოიხყო წმ. ნინოს ცხოვრების ტექსტოლოგიური კვლევა: თხზულების ტექსტი პირველმა დაადგინა, გამართა და მოგვცა მისი პუბლიკაცია. ექ. თაყაიშვილის აზრით, ქრონიკა შემოკლებული ვარიანტია უფრო ვრცელი დედნისა, რომლითაც ისარგებლა „მოქცევაჲს“ შემდგენელმა.

წმ. ნინოს ცხოვრების „მოქცევაჲს“ რედაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა უფრო ძველად მიიჩნია, ვიდრე დანარჩენი რედაქციები. „ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ თავდაპირველ შედგენილ ცხოვრებას აქვს, რომლიდგანაც შემდეგ გადაუკეთებიათ და განუვრციათ რომელიმე წმინდანის ცხოვრება. ამ თავდაპირველ დედანში მოიპოვება ხოლმე უფრო ნამდვილი ისტორიული ფაქტები და ეს თავდაპირველი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისეული ვარიანტი (სამი დამატებითურთ). ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ., 1906.

<sup>2</sup> Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения. Т. 2, вып. 1-4. Тифлис, 1906-1912, გვ. 708-805.

<sup>3</sup> სამი ისტორიული ქრონიკა. ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა, გამოცემული ვრცელი წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ექ. თაყაიშვილის მიერ. ტფ., 1890.

<sup>4</sup> ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ექ. თაყაიშვილისა, ტფ., 1891.

დედანი ყოველთვის უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან“.<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი ფიქრობდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ წმ. ნინოს ცხოვრების ვარიანტი უნდა ყოფილიყო თავდაპირველი დედანი არსენი კათალიკოსის ნინოს ცხოვრების ვარიანტისა.

ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა შეძლო „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თხზულებათა შედარებითი ანალიზი. მანვე პირველმა შეაფასა „მოქცევაჲს“ მნიშვნელობა და როლი ქართულ საისტორიო მწერლობაში და „ქართლის ცხოვრების“ როგორც საისტორიო წყაროს სანდოობის დაზუსტების საკითხში: „ქართლის მოქცევას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის, როგორც თავისი განსხვავებით ქართლის ცხოვრებისგან, ისე უმეტესად თავისი თანხმობით ქართლის ცხოვრების ცნობებთან. აქამომდე ჩვენ არ გვექონია არცერთი ძველი ხრონიკის ვარიანტი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო შემონმება ქართლის ცხოვრების ცნობებისა“.<sup>2</sup> საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ ქართლის ცხოვრების თხზულებების ინფორმაციისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის შედარებისას ექ. თაყაიშვილი მეტ სანდოობას იჩენდა „მოქცევაჲს“ მიმართ, რადგან იგი უფრო ადრინდელ თხზულებად მიაჩნდა და საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ წყაროდაც „მოქცევაჲს“ ვარაუდობდა.

მსგავსი ვითარება გვაქვს სუმბატ დავითის ძის თხზულებასთან მიმართებითაც. როგორც ჩანს, ამ თხზულებას ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და შესაბამისად, მასზე განსაკუთრებული მუშაობა გასწია. 1890 წლის პუბლიკაციის შემდეგ სუმბატის თხზულება ექ. თაყაიშვილმა კიდევ ორჯერ გამოაქვეყნა: ერთხელ მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთან ერთად 1906 წელს<sup>3</sup> და მეორედ 1949 წელს<sup>4</sup> საგანგებოდ დაუთმო ყურადღება ტექსტოლოგიურ კვლევებს, ავტორის ვინაობას, თხზულების დაწერის დროს, თხზულების წყაროებს, თხზულების ადგილს „ქართლის ცხოვრების“ ძველ ციკლში და მის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბაგრატიონთა გენეალოგიის საკითხებს. ვრცელ შესავალში ავტორი ცდილობს გაარკვიოს მემატიანის მიერ გამოყენებული წყაროები. სწორედ სუმბატის თხზულების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების კვლევისას მან პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში დააზუსტა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ეპიგრაფიკული ძეგლის წყაროდ გამოყენების ფაქტი.

ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკის ავტორს „ზოგჯერ გამოყე-

<sup>1</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. XXXIX.

<sup>2</sup> სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. XXXIV.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეული ვარიანტი...

<sup>4</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გამოცემა მესამე, ტექსტი გამოსცა ვრცელი შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ექ. თაყაიშვილმა. თბ., 1949.

ნებული აქვს მრავალრიცხოვანი წარწერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა, რომელნიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ ბაგრატიონის ღვაწლს, მოქმედებასა და გარდაცვალებას. ამას ნაწილობრივ ცხადყოფენ ჩვენი და აგრეთვე სხვა ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალები“.<sup>1</sup> იქვე მეცნიერი აზუსტებს სუმბატ დავითის ძის თხზულების სხვა წყაროებსაც: ბიბლიას, ევსევი კესარიელის თხზულებას და „*მოქცევაჲ ქართლისაჲს თხზულებებს*“. „მატიანის დასაწყისი, სადაც გადმოცემულია ბაგრატიონთა გენეალოგია ქართლში მოსვლამდე, რასაც ის ადამიდან იწყებს და დანის ძე სოლომონამდე მოჰყავს, ემყარება ბიბლიის ქართულ თარგმანს და ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიას“.<sup>2</sup> ხოლო გუარამ კურაპალატის გაერისთავებიდან აშოტის გახელმწიფებამდე არის „*მოქცევაჲ ქართლისაჲს*“ ისტორიული ქრონიკა.

„*მესხური დავითნის მათიანე*“, ანუ „*მესხური დავითნის ქრონიკაც*“ პირველად ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა, მანვე მოგვცა პირველი მოსაზრებები ამ წყაროს ტექსტის დადგენის, დათარიღების, ავტორის ვინაობისა და თხზულებაში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციის შესახებ. მანვე შეისწავლა ეს ტექსტი ფილოლოგიური კუთხით. ექ.თაყაიშვილმა ორჯერ გამოსცა მესხური მათიანის ტექსტი, პირველად 1890 წელს, ხოლო მეორედ 1900 წელს რუსულად, მრავალი შენიშვნით. მიუხედავად ამისა, მან მესხური მათიანის ავტორის ვინაობის საკითხზე კატეგორიული დასკვნებისაგან თავი შეიკავა<sup>3</sup>. თუმცა ერთგან ხელნაწერის კიდევ მიწერილი სახელის „ზაქარიას“ შესახებ ფრთხილად შენიშნავს: «не он ли автор этой записи».<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, ავტორი გადაჭრით არაფერს წერის ავტორის ვინაობის შესახებ.

ექ. თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული „*აფხაზთა მეფეთა დივანის*“ პირველი პუბლიკაცია.<sup>5</sup> ეს ძეგლი ფაქტობრივად, წარმოად-

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა..., გვ.15.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. გვ. 13. შდრ. სუმბატ დავითის ძე, ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გონელი არახამიაშ*. თბ., 1990, გვ. 15.

<sup>3</sup> ამ დროს თედო ჟორდანის უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი შეხედულება „*მესხური მათიანის*“ ავტორის შესახებ: „დედისიმიედი აღმწერი „*მესხური დავითნის ქრონიკისა*“ – აცხადებს ერთგან თედო ჟორდანია. იხ. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის*. შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული *თედო ჟორდანის* მიერ. ნ. II. ტფ., 1897. გვ. 527.

<sup>4</sup> *Источники грузинских летописей*. Три хроники: I. Обращение Грузии (в христианство); II. Жизнь и известие о Багратидах, царях наших грузинских, откуда они явились в эту страну, или с какого времени владеют они царством Грузинским, которое написал Сумбат, сын Давида; III. Хроника Месхийской Псалтыри. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. Вып. 28. 1900, гв. 191.

<sup>5</sup> ექ. თაყაიშვილი. ძველი საქართველო, ტ. II. ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1913, გვ. 46-47.

გენს „აფხაზთა“ მეფეების ნუსხას (სიას), რომელშიც მოკლე ინფორმაციაა მოცემული პირველი მეფე ანოსიდან გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფე ბაგრატ III-მდე (978-1014 წწ.). ძველი ჩვენამდე მოღწეულია XVIII საუკუნის ნუსხით მაგრამ მისი შედგენა მიეწერება ბაგრატ III-ს, თუმცა როგორც ჩანს მას ხელთ ჰქონდა უფრო ძველი წყარო რომლითაც სარგებლობდა. ძველში დასახელებულია 22 მეფე, აღნიშნულია მათი მეფობის რიგი და ნათესაობა (შვილი, ძმა). მეთერთმეტე მეფე ლეონიდან მოყოლებული მითითებულია თითოეულის მეფობის ხანგრძლივობაც. მთავრდება ბაგრატ III-ის ანდერძით. იგი მნიშვნელოვანი წყაროა დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა“ სამეფოს) მეფეთა ქრონოლოგიის შესწავლისათვის. იმავე პუბლიკაციაში ექ. თაყაიშვილმა პირველმა მოგვცა ძველის დახასიათება და მისი ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი ღირებულება.

ექ. თაყაიშვილს უმუშავია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ხელნაწერებზეც. ამის შესახებ მოგვითხრობს 1901 წელს გამოქვეყნებული „შენიშვნები ვახუშტის ხელნაწერთა შესახებ“.<sup>1</sup> მან პირველმა სცადა ვახუშტის თხზულების წყაროების დაზუსტება-დადგენა.<sup>2</sup>

ექვთიმე იკვლევდა ქართული სახარების განვითარების გზებს, მის მიერ იქნა გამოცემული პარხლის სახრება, ყანჩაეთის სახრება, ლაბეჯინის ეკლესიის სახარება, რომელთა დამწერლობა გამოყენებული იქნა პალეოგრაფიული ალბომის განახლების პროცესში.<sup>3</sup> ჰაგიოგრაფიული და საერო ხასიათის თხზულებები, როგორც საისტორიო წყარო

ექ. თაყაიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ქართული მწერლობის უძვირფასეს თხზულებებს. ეს საკითხი ფილოლოგიური კუთხით შეისწავლა ალ. ბარამიძემ<sup>4</sup>

### **ისტორიული საბუთები და სამართლის ძეგლები:**

ისტორიული საბუთები ქართული საისტორიო წყაროების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჯგუფს წარმოადგენს. ექ. თაყაიშვილმა იმთა-

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. – მოამბე, N3, 1901. შენიშვნები ვახუშტის ხელნაწერთა შესახებ, ზემო ქართლის თავადნი და სოფელნი, გვ. 55-72.

<sup>2</sup> **Ек. Такайшвили.** Еще один из источников «Истории Грузии» царевича Вахушти: Гуджар Багратовых из Бетани. – *Записки Восточного отделения Императорского Русского археологического общества*. Т. 8. СПб., 1893, გვ. 113-127.

<sup>3</sup> **Ек. Такайшвили.** Канчаветский «Жам-Гулани» и исторические поиски его кинкло-са. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. Вып. 29, 1901, გვ. 115-137.

<sup>4</sup> **ალ. ბარამიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 139-146; **ალ. ბარამიძე.** მასალები ქართული მწერლობის ისტორიიდან. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **ალ. ბარამიძემ**, გვ. 5-149.

ვითვე მიაქცია ყურადღება აღნიშნულ ძეგლებს და განსაკუთრებული წვლილიც დასდო ამ ძეგლების ტექსტის დაგენის, შესწავლის, ისტორიული მნიშვნელობის დაზუსტებისა და პუბლიკაციის საქმეს. ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია ამ კუთხით მან დაუთმო სასისხლო სიგელებს, სამეგრელოს სიგელ-გუჯრებს, კერძოდ, თოფურიძეთა სასისხლო სიგელს, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა.<sup>1</sup> მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა რატიანთა სასისხლო სიგელი.<sup>2</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ფასდაუდებელია ექ. თაყაიშვილის დამსახურება ძველი ქართული დიპლომატიკის დარგში ჩატარებული სამუშაოებისა. მან ჯერ კიდევ 1893 წელს გამოაქვეყნა საქართველოს მეფის ბაგრატ IV ბაგრატიონის დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი სიგელი,<sup>3</sup> ერეკლე II-ის დროინდელი წერილები: ანტონ პირველ კათალიკოსის, ვახტანგ უფლისწულის, გარსევან ჭავჭავაძისა და სხვების მიმართ. 1895, 1896, 1897 და 1898 წლებში „მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილების სერიაში საქართველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილმა შეძლო გამოექვეყნებინა მეფეთა სიგელები, გუჯრები, ნასყიდობისა და ფიცის წიგნები, ბრძანებები და ა. შ. 1901 წელს „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა „ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი“, რომელიც XVII ს. II ნახევრის ძეგლებად მიიჩნია.<sup>4</sup>

ექ. თაყაიშვილმა 1906-1912 წლებში რუსულად გამოაქვეყნა ნურა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობანი, რომლებშიც მოცემულია ძველი ქართული დიპლომატიკის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. აღნიშნული მასალის შესწავლის საფუძველზე 1909 წელს მეცნიერმა გამოსცა პალეოგრაფიული ალბომი, რომელშიც ბაგრატ მე-4 სიგელზე დაყრდნობით წარმოჩენილია ქართული ანბანის განვითარება<sup>5</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილის გულმოდგინების შედეგი იყო „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერის აღმოჩენა. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა, ნაგავში. ექვთიმე თაყაიშვილი მუდამ ცდილობდა, რომ ყოველივე ის, რასაც აღმოაჩენდა, პირველივე სახით უცვლელად გამოეცა. ასევე მოიქცა აღნიშნული ხელნაწერის მიმართაც. 1920 წ. მაისში თბილისის უნივერსიტე-

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა. – ივერია, N213, ტფ. 1891.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი. ნიმუშები სამეგრელოს სიგელ-გუჯრებისა: გუჯარი რატიანთა. – ივერია, 1891, 8 ოქტ. (N213), გვ. 1-3; 22 ოქტ. (N224).

<sup>3</sup> Ек. Такайшвили. Сигель грузинского царя Баграта IV (1027-1072). – *Записки Восточного отделения Императорского Русского археологического общества*. Т. 9. СПб., 1893, გვ. 59-68.

<sup>4</sup> ექ. თაყაიშვილი. ორი ქვაზედ დაწერილი გუჯარი (XVII საუკ. მეორე ნახევარი). – *ცნობის ფურცელი*. 23 იანვარი, 1901, გვ. 1-2.

<sup>5</sup> ექ. თაყაიშვილი. პალეოგრაფიული ალბომი. რვ. I: 1). გუჯარი მეფის ბაგრატ IV-ისა, 1027-1072 წწ; 2). სიგელი მეფის დავით IV-ისა, 1266-1268 წწ. 1909. – 10 გვ. (დამატება „საქართველოს სიძველენის“ II ტომისა). ტფ., 1909.

ტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ე.თაყაიშვილის წინასიტყვაობით გამოსცა.<sup>1</sup> ძეგლის მნიშვნელობაზე იგი წერდა: „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელმწიფის კარის გარიგების აღმოჩენა საზეიმო მოვლენაა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის“.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ თხზულებამ ჩვენამდე მთლიანად ვერ მოაღწია, მისი მნიშვნელობა მეტად დიდია. „ხელმწიფის კარის გარიგება“ არის სახელმძღვანელო კარისკაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საერთოდ ყველა მოხელისათვის. ეს არის სხვადასხვა მეფის მიერ დანესებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის კანონთა კრებული. აღნიშნულ ძეგლს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად.

### **ეპიგრაფიკული ძეგლები:**

არქეოგრაფიულ აღწერილობათა შორის მნიშვნელოვანია ექ. თაყაიშვილის მიერ მოგზაურობათა სტილში აღწერილი გადმოცემული ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული სიძველეების შესახებ. აღნიშნული მასალა ავტორმა გამოაქვეყნა წერილების სერიის „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ და „საქართველოს სიძველენი“. ყველა მათგანი შეიცავდა ქართული წყაროთმცოდნეობისათვის უმნიშვნელოვანეს მასალას. მათ შორის ამ პუბლიკაციებში განსაკუთრებით მრავალფეროვანია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. მიუხედავად იმისა, რომ „ექ. თაყაიშვილს ქართული ეპიგრაფიკის კვლევის საქმეში არა ერთი წინა კაციც ჰყავდა: მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვ. და მათი ნაღვანი ამ მიმართულებით დღესაც ძვირფასია ჩვენთვის... ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლინება-შეკრებისა და შესწავლა-გამოქვეყნების საქმე საქართველოში არავის დაუყენებია ისე ფართე და ნამდვილ მეცნიერულ დონეზე როგორც ეს ექ. თაყაიშვილმა გააკეთა“.<sup>3</sup> „ვერც შესწავლილ ძეგლთა რაოდენობით და ვერც შესწავლის მეთოდოლოგიური ხერხების სისრულით წინა თაობის მკვლევართაგან ვერავინ შეედრება მას“.<sup>4</sup>

საქართველოში ალბათ არ დარჩენილა კუთხე, სადაც ქართულ წარწერებს ექ. თაყაიშვილის ხელი არ შეხებოდეს. ქართლი, გურია, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, კახეთი და ა. შ. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ექ. თაყაიშვილს აფხაზეთში არ უმოგზაურია. ეს ასე არ არის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ექ. თაყაიშვილის პირად სა-

<sup>1</sup> *ხელმწიფის კარის გარიგება*. ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. ტფ., 1920, XXXVIII,

<sup>2</sup> *ხელმწიფის კარის გარიგება*, გვ. XXXVIII.

<sup>3</sup> **კ. გრიგოლია**. ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა*. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 91.

<sup>4</sup> **კ. გრიგოლია**. ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 91.

არქივო ფონდში ინახება ეპიგრაფიკული მასალა და სხვა მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერილობა, რომელიც 1986 წელს „მრავალ-თავში“ გამოაქვეყნა გიორგი ოთხმეზურმა.<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ექ. თაყაიშვილს გამოუქვეყნებელი დარჩა არამარტო აფხაზეთის, არამედ სხვა რეგიონის ტაძრების აღწერილობანი და ჩანაწერები. მაგალითად, ქვემო ქართლში ბოლნისის სიონისა და მისი შემოგარენის მასალა და ა. შ.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ რამდენიმეჯერ გამოქვეყნებულ ქართული ხუროთმოძღვრების კატალოგს, რომელთა შევსების საფუძველზე 1924 წელს გამოიცა ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი<sup>2</sup>.

ქართული ეპიგრაფიკისა და ხუროთმოძღვრების შესწავლის მიზნით ფასდაუდებელია ექ. თაყაიშვილის მოგზაურობები სამხრეთ საქართველოში, ეგრეთ ნოდებულ „თურქეთის საქართველოში“. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, ეს იყო ყარსის ოლქის ორი „ოკრუგი“ არტაანისა და ოლთისისა და აგრეთვე ბათუმის ოლქის მცირე ნაწილი. ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველოში) სამჯერ იმოგზაურა. პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლებიც, ოლთისის ოლქის ნაწილი. ხუროთმოძღვრების ძეგლების აღწერისას ექ. თაყაიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებდა ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებსაც საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ანიჭებდა. იწერდა მათ გრაფიკას, კითხულობდა ტექსტებს და იძლეოდა წყაროთმცოდნეობით ანალიზს.

1904 წელს ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა კავკასიის მუზეუმში არქეოლოგიურ ძეგლებზე მოთავსებული წარწერები. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი წარწერა, როგორცაა აშოტ დიდის ბარელიეფი და წარწერა ოპიზიდან, ფორთას (ხანძთის) მონასტრის ქვის წარწერები და ა.შ.<sup>3</sup> მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. ექსპედიციის შემადგენლობაში

<sup>1</sup> გ. ოთხმეზური. ექ. თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები...

<sup>2</sup> ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. შედგ. ე. თაყაიშვილის მიერ. ტფ., 1924.

<sup>3</sup> **Ек. Такайшвили.** Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся в Кавказском Музее в Тифлисе (Барельефы Ашота Великого из Опизы; Надписи на камнях из развалин монастыря Порты; Камень с изображением Иоанна Крестителя; Обломок камня из Армаза; Обломок камня из Хундзаха; Два камня из Абастумана; Медный лев из Хевсурии; Надпись фаянсовой чаши Ираклия II; Три обломка серебро-позолоченной обшивки от образа св. Андрея; Медный крест; Глинянный кувшин). – *Известия Кавказского отделения Московского археологического общества*. Вып. 1. Отд. 1. Тифлис, 1904, გვ. 56-73.



იყვნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. გამოკვლევული იყო არტანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები და დამთავრდა ოლთისის ოლქის შესწავლა. ამ ექსპედიციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იყო ისევ ეპიგრაფიკული ძეგლები.<sup>1</sup>

მესამე ექსპედიცია 1917 წელს მოეწყო. ამ მოგზაურობის დროს ექვთიმემ ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხთოროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხლის ეკლესია, და სხვა.<sup>2</sup>

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების კვლევასა და ეპიგრაფიკული ძეგლების ძიებაში ექვთიმემ საკუთარი თვალთი იხილა საქართველოს თითქმის ყველა მიწისზედა ძეგლი, თავად შეიგრძნო ბევრი მათგანის სიდიადე, იმ ხუროთმოძღვართა ნიჭი და ძალა, რომელთაც შექმნეს საქართველოს ეს დიდებანი. შესწავლილ იქნა დიდი ისტორიული მასალა. მართალია, ბევრი ძეგლი უკვე აღწერილი იყო არქეოლოგიურად, მაგრამ ექვთიმეს ძველ აღწერილობაში კორექტივები შეჰქონდა, ბევრს ისეთს ახალს ნახულობდა, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქებისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა და აღწერა: კახეთში – ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვ. იმერეთში – საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ. სამეგრელოში – მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვ. რაჭაში – გლოლა, ჭიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვ. ლეჩხუმ-სვანეთში – ლაბეჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ლაშხეთი, უშგული და სხვ. ზემოჩამოთვლილ თითქმის ყველა ტაძარზე მან მოიპოვა ქართული წარწერები, მოგვცა მათი ტექტი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, დათარიღება და ზოგჯერ გრაფიკული ჩანახატიც.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ნ. I. ტფ., 1907.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938.

<sup>3</sup> ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. – მოამბე. N2, 1901. განყ. II: [გურია, აჭი, ლეხაური, მაკვანეთი, გურიანთა, გორისფერდი და შემოქმედი]. გვ. 19-36; **Ек. Такайшвили** Археологические экскурсии, разыскания и заметки. Вып. 3. Тифлис, 1907, с. 56. 8 л. ил. (Перепеч. из 2 вып. *Известия Кавказского отделения Московского археологического общества*. Содерж.: Разбор грузинских надписей на камнях, доставленных из Поцховского участка в Церковный Музей Грузинского Экзархата, гв. 1-7; Надписи церкви Вале, гв. 7-14; Из археологических экскурсии по гурийским церквам, гв. 14-34; О грузинских рукописях на Цалке, гв. 34-55; Серебрянное знамя мухранского владельца Константина, гв. 55; **Ек. Такайшвили**. Из археологических экскурсии по гурийским церквам. – *Известия Кавказского отделения Московского археологического общества*. Вып. 2. Отд. 1. Тифлис, 1907, гв. 76-96; **Ек. Такайшвили**. Разбор грузинских надписей на камнях доставленных из Поцховского участка в церковный музей

1937 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა პარიზში გამოსცა წიგნი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“ მან ლეჩხუმ-სვანეთის კულტურის ძეგლების აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გამოიტანა. წიგნში ძირითადად ქრისტიანული დროის კულტურის ძეგლები განიხილა. ავტორის აზრით, ქრისტიანობა სვანებმა ბიზანტიიდან მიიღეს. როცა სრულიად საქართველო ბაგრატ III-ის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანდა 980-იან წლებში, სვანეთი ერთიანი საქართველოს ნაწილი გახდა: ამის შემდგომ საქართველოს მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს. ივარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის მიერ არის ფრესკებით მოხატული. ამავე ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატზე დახატულია დავით V და მოხსენიებულია მისი მეუღლე გვანცა. მუხერის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „ადიდენ მეფენი ბაგრატიონნი, დიდნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილი სვანნი“.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით ექ. თაყაიშვილის მიერ პარიზში 1929 წელს გამოქვეყნებულ სომხით-საორბელს წარწერებს.<sup>1</sup> იმავე თემატიკას ეხმიანება ექ. თაყაიშვილის კიდევ ერთი შესანიშნავი ნაშრომი „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო ნიშანი“. რომელიც 1933 წელს გამოქვეყნდა პარიზში.<sup>2</sup>

„არქეოლოგიური ექსპედიციების დროს, – წერდა კ. გრიგოლია, – ე. თაყაიშვილი გულმოდგინედ იწერდა მის მიერ ნახულ ყველა წარწერას, ის არაჩვეულებრივი მონდომებით ეზიდებოდა მუზეუმში ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომელნიც დაზიანებულნი, ადგილიდან დაძრული იყვნენ და სახიფათო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამგვარად ჩაუყარა საფუძველი მან ეპიგრაფიკულ ძეგლთა იმ ძვირფას კოლექციას, რომელიც აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს დღესაც ამშვენებს.“<sup>3</sup>

აქვე ნიშანდობლივია შევჩერდეთ ექვთიმე თაყაიშვილისეულ კვლევით მეთოდებზე. მის მიერ გამოქვეყნებული საისტორიო წყაროთა აღწერილობანი ნამდვილი გამოკვლევებია (ამას მიუთითებდა თავის დროზე ნიკო მარიც) გამოცემისათვის ნამძღვარებულ შესავალ წერილში კი გამოთქმულია ბევრი ისეთი მოსაზრება, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა. ექ. თაყაიშვილის მიერ შესრუ-

---

грузинского экзархата. – *Известия Кавказского отделения Московского археологического общества*. Вып. 2. Отд. 1. Тифлис, 1907; ექ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ტფ., 1914, წ. 2. IV. და ა.შ.

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, სომხით-საორბელს ძეგლის წარწერები. ნაწ. I. – *კავკასიონი* (პარიზი). №1-2, 1929, გვ. 85-106.

<sup>2</sup> ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი, 1933.

<sup>3</sup> კ. გრიგოლია, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 92.

ლებულ რუსულ თარგმანებსაც (აღწერილობათა ნაწილი მან რუსულად გამოსცა) მრავალრიცხოვანი კომენტარი აქვს დართული, რომლებიც ემსახურებიან ტექსტის გაგებას, ამავე დროს ხშირად შეიცავენ ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხთა კვლევას და იოლად შეინიშნება, რომ მის ავტორს არაჩვეულებრივად აქვს გამახვილებული პასუხისმგებლობის გრძნობა მკითხელის წინაშე.

დასასრულს ისე როგორც ექ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, *მეცნიერება ჯამი კი არ არის ჭეშმარიტებისა, არამედ არის მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ*, ჩვენც უნდა ვესწრაფოთ ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, ცალკე მონოგრაფიული კვლევის საგანი გავხადოთ, სადაც კომპლექსურად იქნება წარმოდგენილი ავტორის შეხედულებები ნარატიული თხზულებების, ისტორიული დოკუმენტებისა და სამართლის წიგნების, ეპიგრაფიკული ძეგლების, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ.

**LIA AKHALADZE**

#### **SOURCE STUDY RESEARCHES OF EKVTIME TAKAISHVILI**

The paper studies the source study researches of the prominent Georgian historian and public figure, St. Ekvtime Takaishvili.

**ЛИЯ АХАЛАДЗЕ**

#### **ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ ЕКВТИМЭ ТАКАИШВИЛИ**

В статье дан краткий обзор многогранной научной деятельности выдающегося грузинского учёного и общественного деятеля Еквтимэ Такашвили в области источниковедения.

## ჯამბულ ანჩაბაძე

### ერის საუნჯის დიდი გუშაგი

1921 წ. თებერვლის მეორე ნახევარში კოჯრის მიდამოებში მენშევიკური ჯარის ნაწილებსა და რუსეთის მე-11 არმიას შორის გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა. თბილისს საფრთხე დაემუქრა. ექვთიმე თაყაიშვილი იმ მღელვარე დღეებში მუზეუმში თანამშრომლებთან ერთად ჩვეულებრივ, ენერგიულად მუშაობდა. 21 თებერვალს ექვთიმე აღელვებული დაბრუნდა მთავრობის სასახლიდან, მან თანამშრომლებს აუწყა ნოე ჟორდანიას გადაწყვეტილება მთავრობის ქუთაისში გადასვლისა და ძვირფასი სამუზეუმო ნივთების ევაკუაციის შესახებ.<sup>1</sup> ექვთიმე მეუღლესთან ერთად უყოყმანოდ გაჰყვა განძეულს ქუთაისში, სადაც მას მთავრობის თავმჯდომარე და დამფუძნებელი კრების წევრები დახვდნენ.<sup>2</sup>

ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა ექვთიმეს დაავალა ქუთაისის ხაზინაში შენახული ნივთებიდან გამოეცალკეებინა ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატები (აქ გელათის მონასტრის ნივთები ინახებოდა). ამ უაღრესად რთული სამუშაოს შესრულებას რამდენიმე დღე დასჭირდა.<sup>3</sup> ამ დროს უკვე თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებდა. ამაო გამოდგა მენშევიკური მთავრობის ვარაუდი, რომ მტერს თბილისში ჩაკეტავდა. მე-11 არმიის ნაწილები მარშით მიინევდნენ დასავლეთ საქართველოსაკენ. ქუთაისიდან მთავრობამ ბათუმში გადაინაცვლა. ექვთიმე მეუღლესთან ერთად თან გაჰყვა ტვირთს ბათუმში და 4 დღე-ღამე რკინიგზის სადგურში დარაჯობდა ძვირფას ნივთებს.<sup>4</sup>

5-6 მარტს განძეული საფრანგეთის კრეისერ „ერნესტ რენანზე“ გადაიტანეს.<sup>5</sup> ექვთიმესათვის უკვე ცნობილი გახდა, რომ მთავრობას საფრანგეთში წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. განძეულის გუშაგი ასე იოლად ვერ დათმობდა ერის საგანძურს, რომლის შეგროვებას და მოვლა-პატრონობას ათეული წლები მიუძღვნა, ამიტომაც გამოთქვა მზადყოფნა მეუღლესთან ერთად განძს საფრანგეთში გაჰყოლოდა.<sup>6</sup> მაგრამ ექვთიმეს უარი უთხრეს „ერნესტ რენანით“ მგზავრობაზე იმ მოტივით,

<sup>1</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1977, გვ. 187.

<sup>2</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 187.

<sup>3</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 188.

<sup>4</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 189.

<sup>5</sup> გ. ლომთათიძე. ქართული კულტურის მემკვიდრე. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1990, გვ. 62.

<sup>6</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 190.

რომ გემს გზადაგზა სამხედრო დავალების შესრულება უხდებოდა და სამოქალაქო პირებს იქ ყოფნა ეკრძალებოდათ. თუმცა საფრანგეთის მთავრობის სრულუფლებიანი ელჩი აბელ შევალიე, რომელიც ამ მგზავრობას კურირებდა, დაპირდა ექვთიმეს, რომ მგზავრობის ნებას დართავდა, თანაც ამცნო კრეისერი ნავსადგურიდან 11 მარტს 12 საათზე გავიდოდა.<sup>1</sup> ექვთიმე, მისი მეუღლე ნინო პოლტარაცკაია და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი, რომელიც მთავრობამ თავის წარმომადგენლად გააყოლა მეთვალყურეებს, ბათუმის ნავსადგურში დათქმულ დროზე გამოცხადდნენ, მაგრამ გემი უკვე გასული იყო. ამ ფაქტმა ექვთიმეს აღშფოთება გამოიწვია. მას კიდევ უფრო გაუძლიერდა ეჭვი, რომ განძეულს საფრთხე ემუქრებოდა. იგი დაქირავებული პატარა გემით დაედევნა კრეისერს და დროზე ჩააღწია კონსტანტინოპოლამდე.

აქ გაირკვა, რომ კრეისერით განძეულის ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო. ტვირთი მეთვალყურეებითურთ მოთავსდა ძველ სატრანსპორტო გემ „ბიენ ჰოაზე“, რომელმაც 10 აპრილს რის ვაივაგლახით მარსელამდე ჩააღწია.<sup>2</sup> მთავრობამ მარსელში თავისი წარმომადგენლები – ზ. ავალიშვილი და ა. დეკანოზიშვილი მიავლინა. მათი ძალისხმევით განძეულის ერთი ნაწილი საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას ჩაბარდა შესანახად, მეორე ნაწილი კი პარიზში ჩაიტანეს.<sup>3</sup> ექვთიმეს პარიზში ცხოვრებისათვის ფინანსური სახსრები არ გააჩნდა, ამიტომ საქართველოს დევნილმა მთავრობამ მას ლევილის მამულში ერთოთახიანი ბინა გამოუყო.<sup>4</sup>

ექვთიმემ უწინარეს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკას და სამეცნიერო დაწესებულებებს მიაშურა. პარიზის სამეცნიერო საზოგადოებამ იმთავითვე აღიარა მისი დამსახურება. 1922 წ. 4 თებერვალს იგი პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების წევრად აირჩიეს, შემდეგ – „სააზიო საზოგადოების“ წევრად. ქართველ მეცნიერს ამ საზოგადოებების ყველა სხდომაზე იწვევდნენ და მოხსენების ნაკითხვას თხოვდნენ. იგი მოხსენებით გამოვიდა „სააზიო საზოგადოების“ 100 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე და საგანგებოდ აღნიშნა ამ საზოგადოების სახელოვანი წევრის, მარი ბროსეს დამსახურება ქართველოლოგიის განვითარებაში.<sup>5</sup> ამავე საზოგადოების სხდომაზე ექვთიმე გამოვიდა მოხსენებით: თემაზე – „აფხაზეთის მეფეთა შესახებ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის წყაროები“. ეს მოხსენება გამოქვეყნდა საზოგადოების ჟურნალში.<sup>6</sup>

ექვთიმე ევროპის პრესტიჟულ გამოცემებში სისტემატურად აქ-

<sup>1</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 190.

<sup>2</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 192.

<sup>3</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 195.

<sup>4</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 195.

<sup>5</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 195.

<sup>6</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 206.

ვეყნებდა საინტერესო სტატიებს ქართველოლოგიის საკითხებზე. იგი სამეცნიერო ურთიერთობებს ამყარებს ევროპის მთელ რიგ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ცდილობს შეკრიბოს ცნობები ცალკეულ ბიბლიოთეკა-მუზეუმებში დაცულ ქართული ხელნაწერებისა და ხელოვნების ნიმუშების შესახებ. იგი პარიზის ანტიკვარულ დაწესებულებებში გულმოდგინედ ეძებს სიძველეებს, რომ მიზარებულ განძეულს რაიმე შემატოს<sup>1</sup>.

ექვთიმე დიდად გაუხარებია ცნობას იმის შესახებ, რომ რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა, რამდენადაც ეს გასაკვირი არ იყოს, 1922 წლის 20 ივნისს მიიღო დადგენილება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისთვის იმ სამუზეუმო და საარქივო კოლექციების გადაცემის შესახებ, რომელიც მეფის მოხელეთა მიერ სხვადასხვა დროს იყო გატანილი საქართველოდან და რუსეთის არქივებსა და საცავებში ინახებოდა. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, პავლე ინგოროყვას, შალვა ამირანაშვილის, სერგი კაკაბაძის შემადგენლობით.<sup>2</sup> რუსეთის მხრივ კომისიას ხელმძღვანელობდა ნიკო მარი<sup>3</sup>. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილმა სპეციალური წერილი გაუგზავნა დევნილობაში მყოფ მეცნიერს, და აუწყა რომ რუსეთის სხვადასხვა მუზეუმიდან ჩამოტანილი ხელოვნების ნიმუშები მოსკოვში დააბინავეს და ამზადებენ საქართველოში წასაღებად.

„ჩემს სახელზე გამოგზავნილ საპასუხო წერილში ექვთიმე აღფრთოვანებას ვერ მალავდა თბილისიდან მიღებულ უაღრესად სასიამოვნო ინფორმაციის გამო. თავის მხრივ მან გვაცნობა – საბჭოთა კავშირის რომელ სამეცნიერო ცენტრებში ინახებოდა კიდევ საქართველოს სიძველენი“, – იგონებს შ. ამირანაშვილი.<sup>4</sup>

საქართველოს ეროვნული განძეულის ამბავი გახმაურდა. მსოფლიოში ბევრ მდიდარ კოლექციონერს აღეძრა მისი დაპატრონების სურვილი. ძველი ქართული მინანქრების კოლექციის ერთ ნაწილს უკვე ფლობდა ნიუ-იორკის მუზეუმი, რომელიც მას აღექსანდრე III-ის მოხელე ზვენიგოროდსკისაგან ჰქონდა შეძენილი.<sup>5</sup> ნიუ იორკის მუზეუმის ხელმძღვანელობას კარგად უწყოდა მინანქრიანი ხელოვნების ნიმუშების ფასი და სურდა მენშევიკებისათვის ეს განძეულობა დაეცყუებინა. ამის თაობაზე მუზეუმის დირექტორს საუბარი ჰქონდა ნოე ყორდანიასთან. „ეს რომ გავიგე, – იგონებს ექვთიმე თაყაიშვილი, – კატეგორი-

<sup>1</sup> რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ., 1962, გვ. 85.

<sup>2</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი განძეულობა და მისი დაბრუნება. თბ., 1968, გვ. 5.

<sup>3</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 5.

<sup>4</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 5-6

<sup>5</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 206.

ული უარი განვაცხადე განძეულის გაყიდვაზე. ამერიკელები თავისას არ იშლიდნენ მრავალჯერ მოგემართეს თხოვნით, მოგვეცით პირობა, რომ თქვენ ამ განძს არ გაყიდით. თუ ამას დააპირებთ, ჩვენ მოგვყიდეთ რა თქმა უნდა, შესაფერის ფასში და ამ პირობის ძალით სესხად სოლიდურ თანხას მიიღებთ“. მთავრობას მოენონა ეს წინადადება, თითქმის მზად იყო შემოთავაზებული პირობის შესრულებაზე, მაგრამ ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობის შედეგად ეს კომბინაცია ჩაიშალა“.<sup>1</sup>

შემდეგ ბრიტანეთის მუზეუმის დირექტორსაც გაუჩნდა ქართული განძეულის ზოგიერთი კოლექციის დაპატრონების სურვილი. „მანაც დაინყო მოლაპარაკება მთავრობასთან, რომ ქსნის განძეულობიდან, რომელიც ჩემს მიერ იყო შეკრებილი, ერთი რომელიმე საუკეთესო ნივთი მიეყიდათ მისთვის. სოლიდური თანხის გაღების გარდა განძეულობის ბრიტანეთის მუზეუმში უფასოდ შენახვას გვპირდებოდა (მარსელის ბანკი ამ განძეულის შენახვაში ყოველწლიურად 2500 ფრანკს იღებდა). მე ამ წინადადებაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე. ამით, როგორც იქნა განძეულობის გაყიდვის საკითხი ამოიწურა“, – აღნიშნავს ე. თაყაიშვილი.<sup>2</sup>

დიდი ენერჯისა და ნერვების დაძაბვა დასჭირდა ექვთიმეს ქართული განძეულის გადასარჩენად იმ ავანტურისტებისაგან, რომელთა მხარდამჭერები თვით ქართულ ემიგრაციაშიც აღმოჩნდნენ. საფრანგეთში იმ დროს ცხოვრობდა გრაფი ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივი სალომე ობოლენსკაია, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის ქალიშვილი, ეკატერინე ჭავჭავაძის შვილიშვილი. ის დაარწმუნეს, რომ საქართველოს განძეულობაში ბლომად იყო დადიანისეული ძვირფასი ნივთები და ურჩევდნენ აღეძრა საქმე მამისეული ნივთების დასაბრუნებლად. კონსულტანტები ვარაუდობდნენ, რომ საქმის მოგების შემთხვევაში თავადაც სოლიდურ გასამრჯელოს მიიღებდნენ.<sup>3</sup> ეს რჩევა ობოლენსკაიას ქვრივს მოსწონებია და მაშინათვე მიუმართავს მთავრობისათვის, დაებრუნებიათ მისთვის ყველა ის ნივთი, რომელიც თავის დროზე სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან იყო შეძენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის სასამართლოში აღძვრით იმუქრებოდა.<sup>4</sup> ობოლენსკის ქვრივის პრეტენზიის შესახებ მთავრობამ დაუყოვნებლივ აცნობა ექვთიმე თაყაიშვილს. მან განაცხადა, რომ საჩივარი აბსურდული იყო

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო გ. ლომთათიძემ. — წგნ.: **ექვთიმე თაყაიშვილი**. რჩეული ნაშრომები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო **ალ. ბარამიძემ**. თბ., 1968, გვ. 409; **რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე**. ხელოვნების ისტორიის საინტერესო დოკუმენტაცია. – *საბჭოთა ხელოვნება*. №4, გვ. 55.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და... გვ. 409; **რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე**. ხელოვნების ისტორიის საინტერესო... გვ. 55.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და... გვ. 409.

<sup>4</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და... გვ. 409.

და მისთვის კატეგორიული უარი უნდა შეეთვალათ, რადგან 1920 წელს მთავრობის საგანგებო დეკრეტით ნიკო დადიანის მთელი ქონება ისტორიული ნივთებითურთ სახელმწიფო საკუთრებად იყო გამოცხადებული. ბუნებრივია, უარმა ობოლენსკაია არ დააკმაყოფილა, საქმე სასამართლოს გადაეცა.<sup>1</sup>

შვიდ წელიწადს გრძელდებოდა ეს პროცესი. ადვოკატად აყვანილ იქნა საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის წევრი შ. პომარე. იგი სასარგებლო რჩევას აძლევდა ექვთიმეს, თუ რა გზით შეიძლებოდა საქმის მოგება. მისი მოსაზრებით, საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ განძეული ეკუთვნოდა არა მთავრობას, არამედ კერძო საზოგადოებას, ვინაიდან საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობის ლეგაცია გაუქმებულად გამოაცხადა. ეს თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ განძეულს „მენშევიკური მთავრობის სახით კანონიერი მემკვიდრე არ ჰყავდა“.<sup>2</sup> ადვილი შესაძლებელი იყო ქონების კონფისკაცია.

ექვთიმემ, როგორც განძეულის მცველმა, სასამართლოს წარუდგინა დასაბუთებული ახსნა-განმარტება, რომ განძეული საქართველოს მუზეუმებს ეკუთვნოდა და მენშევიკურ მთავრობას მასზე საკუთრების უფლება არ ჰქონდა.<sup>3</sup> სასამართლომ განიხილა ობოლენსკის ქვრივის საჩივარი და მისი პრეტენზია უკანონოდ სცნო. ამასთან სასამართლომ გამოიტანა ექვთიმესათვის უაღრესად არასასურველი კერძო განჩინება, რომ განძეული შესანახად გადასცემოდა ფრანგ მოხელე ვინმე ჟოდონს, რომელსაც მეფის რუსეთის მიერ დატოვებული ქონება ებარა.<sup>4</sup> ამჯერადაც ქართული განძეულის დასახსნელად ექვთიმემ მთავრობას მოსთხოვა ხელი აელო მისი პატრონობის პრეტენზიაზე და მიეცა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებისამებრ განეგო, განძეულის ბედი.<sup>5</sup> ექვთიმემ ეს უფლება მიიღო ამის შემდეგ მან წერილი გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს. წერილში ის ასაბუთებს, რომ საფრანგეთში ევაკუირებული განძეული არის საქართველოს მუზეუმების საკუთრება და ითხოვს მის კანონიერი მემკვიდრეებისათვის დაბრუნებას.

„ძველი საქართველო, – წერდა ექვთიმე, – ფლობდა ანტიკვარულ და მხატვრულ ფასეულობათა სოლიდურ რაოდენობას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დროთა განმავლობაში განიავდა. დარჩენილი საუნჯის განადგურებისაგან ხსნის მიზნით ქართველობამ დააარსა კერძო მუზეუმები და საზოგადოებები“ (ქართული ლიტერატურის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული სასულიერო მუზეუმი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოება, სამხატვრო მუზეუმი, იგ-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 410.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 409.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 410.

<sup>4</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 410-411.

<sup>5</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 410.



ივე ეროვნული მუზეუმი), რომლებიც ენერგიულად მუშაობდნენ ხელნაწერების, სიგელების, არქეოლოგიურ, ისტორიულ, მხატვრულ და ეთნოგრაფიულ ფასეულობათა მოსაძიებლად. აღნიშნული მუზეუმების დაფუძნების დღიდან მთელ ძალ-ლონეს ვახმარდი ანტიკვარულ ფასეულობათა შეგროვებას. გამოვცემდი ტექსტებს, სიგელებს, წარწერებს, კატალოგებს<sup>1</sup> და ა.შ.

შემდეგ ექვთიმე აღწერს მენშევიკური მთავრობის საფრანგეთში ევაკუაციის და განძეულის გადატანის ისტორიას, რაც საფრანგეთის ელჩის შევალის რჩევითა და დახმარებით მოხდა.

ექვთიმემ მოუთხრო საფრანგეთის მთავრობის მეთაურს ობოლენსკის ქვრივის საჩივარზე, რომელიც სასამართლომ არ დააკმაოფილა; რომ სასამართლომ საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმების გამო ქართული განძეული მიაკუთვნა რუსეთის ქონების იმ კატეგორიას, რომელიც საფრანგეთში ინახებოდა და დროებით ადმინისტრატორად დანიშნა ჟოდონი, რომელმაც განძეული მეპატრონეთა მოწვევის გარეშე მარსელიდან პარიზში გადაიტანა და განათავსა საფრანგეთის ბანკის ერთ პატარა ოთახში შენახვის წესების დარღვევით.

ბოლოს ექვთიმე წერს: „ბატონო, „თავმჯდომარე, ჩვენ ვართ კეთილშობილი ფრანგი ხალხის სტუმრები, ჩვენ პარიზში ჩამოვედით და ზემოთხსენებული განძეულობა ჩამოვიტანეთ საფრანგეთის მთავრობის მოწვევით. მაგარამ ამჟამად საქართველოს მისია პარიზში გაუქმებულია და საქართველოს ეროვნული მთავრობა არ არსებობს, მე, როგორც საქართველოს მუზეუმების წაორმომადგენელი, ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რათა გადასცეთ საქართველოს მუზეუმებს მათი კუთვნილი ქონება. პატივი დამდეთ ბატონო თავმჯდომარე და მაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილების თაობაზე“.<sup>2</sup> ექვთიმეს ამ განცხადებაზე საფრანგეთის მთავრობიდან პასუხი არ მიუღია.

ემიგრაციის წლები ძალიან მძიმე, მღელავარე და მომქანცველი იყო ექვთიმესათვის. იგი დაიღალა, თითქოს მოხუცდა კიდეც. ცხოვრების ერთადერთი მეგობარი – მეუღლე ნინო ჯერ კიდევ 1931 წელს მიაბარა ლევილის მიწას. „თუ საქართველოში ცოცხლად დაბრუნება მეღირსა, ნინოს ნემოს თან წავიღებო. ამით იმხნევებდა თავს. ამიერიდან ერთადერთი იმედით ცოცხლობდა, საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო და ხალხისთვის მისი ისტორიული ძვირფასეულობა დაებრუნებინა.“<sup>3</sup>

1939 წელს ევროპის ცაზე ომის ღრუბელი ჩამოწვა. ფაშისტური გერმანია შეუდგა მსოფლიოში გაბატონების ყაჩაღური გეგმის განხორციელებას. 1 სექტემბერს თავს დაესხა პოლონეთს. 3 სექტესბერს ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებსაც პოლონეთთან სამოკავშირეო ხელ-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..., გვ. 410.

<sup>2</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 212-213.

<sup>3</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 214.

შეკრულება ჰქონდათ დადებული, ომი გამოუცხადეს გერმანიას. 1940 წლის ზაფხულისათვის ნაცისტურმა არმიამ ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელა ევროპის მთელი რიგი ქვეყნების წინააღმდეგ. ნიდერლანდები დაეცა 18 დღეში. მას მოჰყვა ბელგია და ლუქსემბურგი. 22 ივნისს პარიზის მახლობლად კომპიენის ტყეში მარშალ ფოშის ძველ ვაგონში, პეტენის მთავრობამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს.<sup>1</sup>

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებამ ექვთიმე უაღრესად დაალონა. მას განძეულის ბედზე შიში კიდევ უფრო გაუმძაფრდა. შექმნილმა სიტუაციამ ის საშინელ დღეში ჩააგდო, შიმშილმა ღონემიხდილი მოხუცი აიძულა მეზობტნეობისთვის მოეკიდა ხელი. მთელი ზაფხული მიწას ჩიჩქნიდა, რომ 100 გრამი პურისათვის კარტოფილი და პომიდორი შეემატებინა. ფიზიკურმა შრომამ თითქოს სასონარკვეთილებიდან გამოიყვანა მოხუცი. მისი გონება მშობლიური ქვეყნის ბედს დასტრიალებდა. მას ღრმად სწამდა, რომ ჰიტლერი სასტიკად დამარცხდებოდა და საქართველოც ფაშისტურ საშინელებას გადაურჩებოდა.<sup>2</sup>

გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ჰიტლერის ჯარების შესაბამისი უწყებები ცდილობდნენ ქართული განძეულის გერმანიაში გატანას. ექვთიმე თაყაიშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გერმანელებს ეს განზრახვა შეეცვალათ.<sup>3</sup> ექვთიმეს თქმით ამ საქმეში ნ. ჟორდანიას დიდი წვლილი მიუძღოდა. ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში ის აღნიშნავდა: „ჩვენ განსაკუთრებით იმით ვართ თქვენგან დავალებული, რომ ის ექსპონატები არ მოხვდა იმათ ხელში, ვისაც საფრანგეთი ოთხი წლის მანძილზე ოკუპირებული ჰყავდათ, თქვენ შეძელით დაგერწმუნებინათ ისინი, რომ ამ ნივთებს ღირებულება აქვთ მხოლოდ ქართველი ხალხისა და მისი კულტურისათვის და არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა მატერიალური ღირებულების თვალსაზრისით (სინამდვილეში ეს ასე არ იყო, მაგრამ ასეთმა ინფორმაციამ დადებითად იმუშავა). დარწმუნებული იყავით, რომ მე ამ ფაქტს გავაცნობ ქართველ ხალხს, რომელიც თქვენი მადლიერი იქნება და არასოდეს დაივიწყებს თქვენს ამაგს.“<sup>4</sup>

1944 წლის გაზაფხულიდან საფრანგეთში ვითარება შეიცვალა. ფაშისტური ოკუპაციის აღსასრულის ჟამი დადგა, 1944 წ. 6 ივნისს ინგლის-ამერიკელთა ჯარები საფრანგეთის სანაპიროზე გადმოსხდნენ. გერმანელებს ძალა არ აღმოაჩნდათ გამკლავებოდნენ მოკავშირეთა შეტევას. გერმანელთა პარიზის გარნიზონმა, დარწმუნდა რა წინააღმდე-

<sup>1</sup> თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. ნაწ. I. თბ., 2009, გვ. 129.

<sup>2</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 227.

<sup>3</sup> გ. ლომთათიძე. ქართული კულტურის მემკვიდრე..., გვ. 60.

<sup>4</sup> გ. ლომთათიძე. ქართული კულტურის მემკვიდრე..., გვ. 60.

გობის უაზრობაში 25 აგვისტოს კაპიტულაცია გამოაცხადა. 1944 წ. ოქტომბერში შეიქმნა საფრანგეთის დროებითი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დე გოლი.<sup>1</sup>

ფრანგი ხალხის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ექვთიმემ მაშინვე გაუგზავნა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ბოგომოლოვს მოხსენებითი ბარათი ქართული განძეულის მდგომარეობის შესახებ და სთხოვა მას საქართველოს კუთვნილი ქონების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ეშუამდგომლა საფრანგეთის ახალი მთავრობის წინაშე. ბოგომოლოვმა ეს მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა მოკლე დროში. დე გოლისათვის საქართველოს განძეულის ისტორია ცნობილი გახდა.

1944 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში საბჭოთა მთავრობის მონვევით დე გოლი მოსკოვში ჩამოვიდა. იოსებ სტალინთან პირადი შეხვედრის დროს მან საუბარი ჩამოაგდო განძეულზე, სტალინი უაღრესად ნასიამოვნები დარჩა, რომ მას არ დასჭირდა თვითონ წამოეჭრა ეს საკითხი, ჭკვიანმა ფრანგმა პოლიტიკოსმა, თითქოს გაუგო გულისნადები საბჭოთა მთავრობის მეთაურს და სათქმელი დაასწრო. ამ ისტორიული შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა განძეულის სამშობლოში დაბრუნების საკითხი.<sup>2</sup>

საქართველოს მთავრობას მოსკოვიდან აცნობეს, დაუყოვნებლივ შეერჩია ორი მეცნიერი საქართველოს განძეულის დაბრუნებასთან დაკავშირებით პარიზს გასამგზავრებლად. ცენტრალური კომიტეტის არჩევანი შალვა ამირანაშვილსა და პეტრე შარიაზე შეჩერდა. 1945 წლის 13 იანვარს ისინი მარსელში ჩავიდნენ. 21 იანვარს უკვე პარიზში იყვნენ.<sup>3</sup> პარიზის საელჩოში მათ შეატყობინეს, რომ საქართველოს განძეულობა დე გოლის განკარგულებით უკვე მიეღო სსრკ-ს საელჩოს და თავის სეიფში შეენახა.<sup>4</sup> იმ საღამოს შ. ამირანაშვილმა პირადად ინახულა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც სსრკ-ს გენერალური კონსულის ბინაში ცხოვრობდა. აღფრთოვანებული მეცნიერი შალვას დანვრილებით უყვებოდა განძეულის ისტორიისა და მისი მძიმე პირადი ცხოვრების ეპიზოდებს. სამშობლოს ხსენებაზე მოხუცი ფითრდებოდა, სასოებით ლაპარაკობდა თბილისის უნივერსიტეტზე, გახარებული იყო ქართველოლოგიაში მოპოვებული წარმატებების გამო. კითხვაზე – ჰქონდა თუ არა მას სამშობლოში დაბრუნების სურვილი, „როგორ, ბატონო, ოცდაოთხი წლის მანძილზე ეს ჩემი სანუკვარი ოცნებაა. თუ განძეულის საქმე მოგვარებულია, მე აქ რა მინდა“, – იყო ექვთიმეს პასუხი.<sup>5</sup>

ექვთიმე და შალვა დღე და ღამე შეუსვენებლივ მუშაობდნენ ჩა-

<sup>1</sup> თ. პაპასქირი. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, გვ. 265.

<sup>2</sup> ა. სურგულაძე. ექვთიმე თაყაიშვილი..., გვ. 219.

<sup>3</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 12.

<sup>4</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 12.

<sup>5</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 12.

ტარდა კოლექციების ხელახალი აღწერა, მოხდა მისი თბილისიდან ჩამოტანილ სიებთან შეჯერება. აღმოჩნდა, რომ ყველა ნივთი უკლებლივ იყო შენახული.

ეტყობა, დაძაბულმა მუშაობამ იმოქმედა ექვთიმეს ჯანმრელობაზე, მას ფილტვების ანთება განუვითარდა. შალვა ამირანაშვილი მასთან ყოველდღე მიდიოდა და სათუთად უვლიდა ავადმყოფს, შედეგმაც არ დააყოვნა – თებერვლის ბოლოსთვის ის გამოჯანმრთელდა და სამშობლოში დაბრუნების საკითხიც მოგვარდა. „მაგრამ საქართველოში გამომგზავრება სახიფათო იყო, ვინაიდან ომი ჯერ კიდევ არ იყო დათავრებული. ჩვენ მოსკოვიდან ველოდით თვითმფრინავს 15 თებერვლიდან 4 აპრილამდე“, – იგონებს შ. ამირანაშვილი. როდესაც შესაძლებელი გახდა უსაფრთხო საჰაერო გადაადგილებები, ნივთების წამოსაღებად მოსკოვიდან 3 თვითმფრინავი ჩამოვიდა. ერთი მათგანი საბჭოთა საელჩოს საარქივო მასალებით დაიტვირთა. როგორც კი პირველი თვითმფრინავი მშვიდობით ჩაფრინდა მოსკოვში, მაშინვე დაიტვირთა მეორე ლაინერი ქართული განძეულობით და 12 აპრილს თბილისის აეროპორტში დაეშვა.<sup>1</sup> ექვთიმე სამშობლოში დაბრუნებამ უზომოდ ააღელვა. ტრაპიდან ჩამოსვლისას მუხლები აუკანკალდა, იგი ხარბად შესცქეროდა სამშობლოს ცას და მშობლიურ მიწას, რომელსაც დიდი სიყვარულით ეამბორა.<sup>2</sup>

პარიზიდან თბილისში ჩამოტანილი განძის მისაღებად საქართველოს მთავრობამ საგანგებო კომისია გამოჰყო ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. კომისიამ დანვრილებით შეამონმა ყველა ნივთი და შეადგინა ახალი აღწერილობა. ყველაფერი ადგილზე იყო. მეცნიერს არამარტო შეენახა სათუთად სამუზეუმო ქონება, არამედ გაემდიდრებინა იგი ახალი ნივთებით. ჩამოტანილი ნივთები შესაბამის უწყებებს დაუწავნილდა: ხელნაწერები და საარქივო დოკუმენტები გადაეცა საქართველოს სახემნიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებას (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), არქეოლოგიური კოლექციები—საქართველოს მუზეუმს, ხელოვნების ნიმუშები – საქართველოს ხელოვნების სახელმნიფო მუზეუმს.

პარიზიდან ჩამოტანილ განძეულს თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელ და უნიკალურ საუნჯედ მიიჩნევდნენ ქართული მეცნიერების კორიფეები. აკად. შ. ამირანაშვილს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებად მიაჩნდა ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებული ახალგორის განძი, ანტიკური ხანის ოქროს სამკაულები, აღმოაჩენილი სარგვეტში ქსნისა და სტეფანწმინდის ნეკროპოლისებში. უნიკალური ქართული ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის ნიმუშები, განსაკუთრებით IX ს. ორი ჯვარი მარტვილიდან, თამარ მეფის ოქროს ჯვარი შემკული ძვირფასი ინდური

<sup>1</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 13.

<sup>2</sup> რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 92.

ქვებით და ისტორიული წარწერით, თამარის ეპოქის უდიდესი ქართველი ოქროს მქანდაკეზღების ბექა და ბემქენ ოპიზრების მიერ შესრულებული წყაროს თავისა და ბერთის ოთხთავების მოჭედილობა<sup>1</sup> და ა.შ.

ქართულმა საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილი დიდი პატივით მიიღო. 1945 წ. 15 აპრილს თსუ-ის სამეცნიერო საბჭომ სახელოვან მამულიშვილს საქართველოს ისტორიის პროფესორის წოდება მიანიჭა. ხოლო 1946 წ. 28 დეკემდერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია.<sup>2</sup> მაგრამ საბჭოთა მთავრობა ბოლომდე ვერ ენდო ექვთიმეს. მასთან ურთიერთობა საშიში გახდა მისი მეგობრებისა და თანამებრძოლებისათვის. სამწუხაროდ მის დასაფლავებას ნათესავების გარდა თითზე ჩამოსათვლელი ადამიანი ესწრებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილი თავისი მონამეობრივი ცხოვრებით და მოღვაწეობით მტკიცედ დამკვიდრდა უკვდავ მამულიშვილთა სამარადჟამო პანთეონში. როგორც ლადო გუდიაშვილი ამბობდა „ამგვარ ადამიანებს ძველად ტაძრის კედლებზე ხატავდნენ“.

---

<sup>1</sup> შ. ამირანაშვილი. საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი..., გვ. 13.

<sup>2</sup> რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე. ექვთიმე თაყაიშვილი, გვ. 93.

## **JAMBUL ANCHABADZE**

### **GREAT PROTECTOR OF THE GEORGIAN NATIONAL TREASURY**

In the second half of February of 1921 Georgian Government Tbilisi left the city because there existed a real danger of losing the Georgian capital to the Red Army. Soon the enemy occupied Tbilisi and the whole Georgia came under a real threat. Therefore the Government decided to move to France. They took the precious pieces of Georgian culture. A famous scholar Ekvtime Takaishvili with his wife followed Georgian treasury to France and supervised the treasury for 25 years in the hardest conditions. This article covers Ekvtime Takaishvili's activities during those times.

## **ДЖАМБУЛ АНЧАБАДЗЕ**

### **ВЕЛИКИЙ ХРАНИТЕЛЬ ГРУЗИНСКОЙ НАЦИОНАЛЬНОЙ СОКРОВИЩНИЦЫ**

В связи с реальной опасностью вторжения частей Красной Армии России в Тбилиси, во второй пол. февраля 1921 г. правительство Грузинской демократической республики решило вывести музейные ценности – национальное сокровище Грузии – из города, а затем (после «победоносного» завершения «триумфального шествия» большевистских полчищ) и из страны. Хранителем этих ценностей был назначен Еквтимэ Такашвили. В статье освещена деятельность Еквтимэ Такашвили на этом поприще.

## დაზმირ ჯოჯუა

### იქვთიმე თაყაიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობიდან

წინამდებარე სტატიის დაწერა ამ რამდენიმე ხნის წინათ სოხუმის უნივერსიტეტში გამართული და დიდი ქართველი მამულიშვილისადმი მიძღვნილი თემატური კონფერენციისათვის ერთ-ერთი მოხსენების შემუშავების განზრახულობამ დაგვაკისრა. ამიტომ იმთავითვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოების შესახებ: ექვთიმე თაყაიშვილი არის საქართველოს უახლესი ისტორიის სრულიად გამორჩეული ფიგურანტი და სწორუპოვარი, განუყოფელი მშვენება. ექვთიმე ღვთისკაცი არ ყოფილა რიგითი ქართველი – არც რიგითი მოქალაქე, არც რიგითი ისტორიკოსი, არქეოლოგი, არქეოგრაფი და სიძველეთმცოდნე, არც რიგითი კულტურტრეგერი და პოლიტიკოსი. ის არის ზოგადეროვნული და ზოგადისტორიული ფასეულობის მოღვაწე, რომლის ფენომენის დროით-სივრცითი კონსტელაცია მოიცავს არა მხოლოდ მის თანადროულ ეპოქას, არამედ ჩვენი ეროვნული ყოფიერებისა და ქართული ცივილიზაციური „მოძრაობის“ მთელ ქრონომეტრაჟს.

ამიტომაც არის, რომ ე. თაყაიშვილი არის ზოგადქართული პოლივარიანტული დისკურსის ობიექტი, მის მოღვაწეობაზე შექმნილია საკმაოდ დიდი ოდენობის ლიტერატურა, რომელიც ამ მოღვაწეობას შეისწავლის როგორც სისტემურ მთლიანობაში, ისევე ცალკეული შემეცნებითი ტენდენციების ქრილში. ცხადია, ამ ფონზე ჩვენ ვერ ვიქნებით ორიგინალურები და, როგორც იტყვიან, სამეცნიერო სიახლის ბილიკებით ვერ ვივლით, არამედ შევეცდებით დიდი მამულიშვილის მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული სფეროს – მისი ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობის – მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათის წარმოდგენას უკვე არსებული სამეცნიერო-პუბლიცისტური პლატფორმის საფუძველზე.

და მაინც, ეს არ გახლავთ შიშველი კომპილაცია, უკვე დაწერილის უაზრო და უფუნქციო „გადაამღერება“. ეს არის მორიგი სულიერი კონტაქტი ჩვენს დიდ წინაპართან და „XX საუკუნის საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესთან“ (კონსტანტინე გამსახურდია), „ისტორიის მეცნიერების რაინდთან“ (ნიკო ბერძენიშვილი), „ქართული არქეოლოგიის ნესტორთან“ (გიორგი ჩუბინაშვილი), „საქართველოსთვის დამაშვრალ მუდამ პიროფლიანთან“ (გიორგი ჩიჭაია), „ეროვნული განძეულის გუშაგთან“ (მიხაკო წერეთელი). ყოველი ასეთი კონტაქტი კარგია და აუცილებელიც, რამეთუ ექვთიმე თაყაიშვილის ფენომენის მასშტაბური გააზრება, მისი ნამოღვაწარის სიღრმეებში წვდომა, მისი მემკვიდრეო-

ბის საფუძვლიანი განზოგადება, და ყოველივე ამის ხშირად „განმეორება“ თუ „შეხსენება“ ჩვენ უფრო ღრმად დაგვანახებს ექვთიმე ღვთისკაცის თანადროული ეპოქის სულს, ამ ეპოქაში ჩვენი ეროვნული ორგანიზმის ზნეობრივ და ინტელექტუალურ საყრდენებს და, რაც მთავარია, უფრო ძლიერად შეამზადებს ჩვენი საზოგადოების აზროვნებას ეროვნულ პრობლემებზე უწყვეტი ფიქრისა და განსჯისათვის.

დიახ! „თაყაიშვილის ფენომენის“ სიღრმისეული წარმოჩენის ყოველი აქტი (იქნება ეს მონოგრაფიების გამოცემა, სასტატო პუბლიკაციების ტირაჟირება, მამულიშვილის იუბილის აღნიშვნა თუ სხვა ამგვარი რამ) ქმნის, ასე ვთქვათ, ქართველი ხალხის „გონების ეკოლოგიას“, ჩვენი საზოგადოების (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის) ცნობიერებაში აყალიბებს ცოდნის ისეთ ანთროპოლოგიურ სივრცეს, რომელიც მყარად არის დაცული ანტიეროვნული, ფსევდოეროვნული და პრორუსულ-კოლაბორაციონისტური იდეებით დაბინძურებისაგან.

საქართველოს XX საუკუნის პოლიტიკურ ისტორიაში არიან პიროვნებები, რომელთა ნამოქმედარს, აზროვნების წესს, ზნეობრივ მრწამსს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, გნებავთ, ეროვნული მოღვაწეობის პოლიტოლოგიური განზომილების კუთხით. ასეთ პიროვნებათა შორის ექვთიმე თაყაიშვილი, სრულიად დამსახურებულად, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, როგორც თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მესაძირკვე და ლიდერი, ამავე დროს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921წწ.) პოლიტიკური ელიტის გამოჩენილი წარმომადგენელი.

ექვთიმე თაყაიშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობა თვისობრივად და ქრონოლოგიურად შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: პოლიტიკურ-პუბლიცისტური (1918 წლამდე), სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური (1918-1921 წლებში) და ემიგრანტულ-პოლიტიკური (1921 წლის შემდეგ). თითოეულ ამ ეტაპზე თავისი საქმიანობით ე. თაყაიშვილს უდავოდ პოზიტიური იმპულსები შეჰქონდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში.

ე. თაყაიშვილი ქართული ნაციონალიზმის სივრცეში მაშინ გამოჩნდა, როდესაც დიდი ილიას მიმდევართა და სულიერ-პოლიტიკურ „შვილთა“ დასში სიახლის მძაფრი სურვილი იგრძნობოდა. ის იმთავითვე მკვიდრად დაფუძნდა ამ სივრცეში, მხარი დაუჭირა ქართული ეროვნული იდეის ახლებურ გააზრებას, დიდი როლი შეასრულა კულტურული ნაციონალიზმის პოლიტიკურ ნაციონალიზმად გარდაქმნაში და თანამებრძოლებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეის მატარებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას – ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

ამგვარი ქმედების სანინააღმდეგოდ იმდროინდელ საქართველოში ორმაგი ზეწოლის, ასე ვთქვათ, ორმაგი წინააღმდეგობის რეჟიმი მოქმედებდა. ერთი მხრივ, ცარისტული ბიუროკრატია და მისგან მომდინარე კო-



ლონიალიზმი და, მეორე მხრივ, იდეოლოგიური სისტემა სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკურ „კლასში“, რომელიც მთლიანად იყო მოქცეული რუსული მარქსისტული იმპერიალიზმის ტყვეობაში. ორივე მათგანი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას. ამ ორი მსხვილი კორპორაციის წინააღმდეგ იდეური ბრძოლა და მათი ალტერნატივის შექმნა მოითხოვდა პიროვნულ გამბედაობას, შეურყვნელ ზნეობრივ ღირსებას, უზადო პატრიოტიზმს და მაღალი ინტელექტუალური ფორმატის ერუდიციას. ექვთიმე ღვთისკაცს ყველა ეს თვისება საკმარისზე მეტად ჰქონდა. მან იმთავითვე ეროვნული დემოკრატიის, პოზიტიური ნაციონალიზმის მხარე დაიჭირა და დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დოქტრინის შემუშავებაში.

1905 წ. შემოდგომაზე თბილისში, ალექსანდრე ორბელიანის სახლში გაიმართა ქართველ პატრიოტთა ჯგუფის შეკრება, რომელშიც ე. თაყაიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეროვნული დემოკრატიზმის პლატფორმაზე მდგარი მოღვაწენი გამოსულიყვნენ სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკისტური პარტიიდან და შეექმნათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია. სხვათაშორის, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შიგნით მიმდინარე გადაჯგუფებას, დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებას და პარტიული სტრუქტურის შიგნით ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფის შექმნას, უფრო მეტიც – ამ ჯგუფის საკმაო მომძლავრებას ადასტურებს პარტიის ლიდერი არჩილ ჯორჯაძე თავის ერთ-ერთ წერილში: „ჩვენს პარტიაში სოციალიზმი ძლიერ სუსტობს და ნაციონალ-დემოკრატიზმს კი დიდი გასავალი აქვს. ამ გარემოებას უსათუოდ ბოლო უნდა მოვუღოთ. ნაციონალ-დემოკრატებს უნდა დავშორდეთ...“<sup>1</sup>

ცოტა ხანში ამავე ჯგუფმა, ილია ჭავჭავაძის მეთავეობით, გაფართოებული თათბირი გამართა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის შენობაში, განიხილა ახალი ეროვნული პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემები (ფაქტობრივად წესდების პროექტი) და კონცეპტუალური საპროგრამო დებულებების პროექტი. სხვა მოღვაწეების გვერდით, ე. თაყაიშვილიც აქტიურად მონაწილეობდა ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ახალი პროგრესული პარტიის ლეგალური ბაზისის შექმნის პროცესში. ერთ-ერთ თავის მოგონებაში („პოლიტიკური მიმართულება ილიასი“) მამულიშვილი წერდა: „ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება სუფევს საქართველოში მას აქეთ, რაც საქართველომ იცნო თავი მოტყუებულად რუსეთის მიერ და ნაცვლად პროტექტორატისა და დაცვისა, მოახდინა ანექსია საქართველოსი... ნაციონალ-დემოკრატიული პარტია მომდინარეობს მესამოცე წლებიდან გასული სა-

<sup>1</sup> მ. ტულუში. გიორგი დეკანოზიშვილი. – კავკასიონი, X, 1905; ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 2002, გვ. 61.

უკუნისა და ამ პარტიის მედროშე არის ილია ჭავჭავაძე... პირველი რევოლუციის დროს, 1905 წელს, შესაძლებელი დარჩა წესდების შედგენა; ჩვენ უკვე შევადგინეთ ილიასვე თავმჯდომარეობით და ლოცვა-კურთხევით... და ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით გამომუშავდა პირველი საჯარო ოფიციალური პროგრამა ამ პარტიისა...“<sup>1</sup>

ამ მოვლენებს უფრო დეტალურად და შედარებით დანვრილებით გადმოგვცემენ ეროვნული ორიენტაციის ცნობილი პუბლიცისტის ივ. ზურაბიშვილის ბიოგრაფიული ნარკვევები. ერთ-ერთ მათგანში აღნიშნულია: „ეროვნული ხაზის მიმართულების შექმნის გამო საუბარი ყოფილა ალექსანდრე (საშკა) ორბელიანის სახლში ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით. ილიამ ეს მოსაზრება გაიზიარა და ცოტა ხნის შემდეგ ილიამ მოიწვია საადგილმამულო ქართულ ბანკში ყრილობა, რომელსაც დაესწრო 80 თუ 85 კაცი (მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, ვასო ყიფიანი, გიორგი გვაზავა, ნიკო თავდგირიძე, პავლე თუმანიშვილი და სხვანი), ილიამ ამ კრებაზე წარადგინა წინადადება ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის შექმნისა... პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე კაცმა. ეს პროგრამა დაიბეჭდა ათი ათას ცალად პავლე თუმანიშვილის ფინანსური დახმარებით“<sup>2</sup>

მაშასადამე, ქართული ელიტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ე. თაყაიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის პარტიულ-პოლიტიკური იდეოლოგიად გარდაქმნისა და ამავე მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეპტუალური ბაზის ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა. ის აქტიურად და, რაც მთავარია, მაღალი ერუდიციის რესურსით მონაწილეობდა ისეთი დოკუმენტების შემუშავებაში, როგორცაა დეკლარაციის პროექტი პარტიის დაარსების შესახებ, წესდების პროექტი, „პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ (სხვა ვარიაციებით – „ავტონომისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“, „ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის“) პროგრამა, ასევე 1906 წ. მარტში გამოქვეყნებული პროგრამული დოკუმენტი „საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა“<sup>3</sup>

მაგრამ გარკვეულ გარემოებათა შედეგად და განსაკუთრებით კი 1907 წ. 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო, პარტიის დაფუძნების პროცესი დროებით შეწყდა. 1917 წ. 4-10 ივნისს გაიმართა დამფუძნებელი ყრილობა, რომელზეც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოფიციალურად შექმნილად გამოცხადდა, მიღებულ იქნა პარტიის პროგრამა და წესდება. ე. თაყაიშვილი გახდა პარტიის მთავარი კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. როგორც უკვე აღინიშნა

<sup>1</sup> ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს., გვ. 54.

<sup>2</sup> ივ. ზურაბიშვილი. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის. პარიზი, 1962, გვ. 14-15;

ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს., გვ. 55.

<sup>3</sup> დოკუმენტს ხელნაწერთა ინსტიტუტის მ. მაჩაბლის ფონდში მიაკვლია პროფ. ოთარ ჯანელიძემ.

ნა, ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავის დროზე ქართული ეროვნული დემოკრატიზმის მსოფლმხედველობრივი და კონცეპტუალური კარკასის ჩამოყალიბებაში. ამჯერადაც, პოლიტიკური ანალიზისა და მეცნიერული დაკვირვების ურთიერთშერწყმის გამორჩეული უნარის წყალობით, მან დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამული და დოქტრინალური საფუძვლების შექმნაში.

ექვთიმეს გონებაში უკვე მოხაზული ჰქონდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღდგინების მკაფიო კონცეფცია და ამ კონცეფციით შეიარაღებული მივიდა ის 1917 წლის დამფუძნებელ ყრილობაზე. მისი გონებრივი წინმსვლელობა არ შეიძლებოდა მარტო წმინდა მეცნიერებით შემოფარგლულიყო. ამას უთუოდ უნდა მოჰყოლოდა ექვთიმეს მოღვაწეობაში მეორე ხაზი, „მეორე მოძრაობა“, ეროვნულ-პოლიტიკური ხაზი და მოჰყვა კიდევ: ის შევიდა ახალი ეროვნული პარტიის სტრატეგიულ ხელმძღვანელობაში და „ილიას დასის“ პოლიტიკურ ბირთვში. ეს იყო მამულიშვილის სრული პიროვნული მზადყოფნა საქართველოს ფუნდამენტურ გარდაქმნაში, ახალი სოციოპოლიტიკური ნესრიგის ქმნადობაში უშუალო მონაწილეობისათვის.

უნდა ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური ნაციონალიზმი წარმოიშვა, როგორც ფედერალურ-კორპორაციული ნაციონალ-სოციალიზმი (ა. ჯორჯაძე, გ. წერეთელი), რომელიც ქადაგებდა გადემოკრატიულ რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური და კორპორაციული („საერთო ნიადაგის“ თეორია) საქართველოს იდეას. ე. თაყაიშვილისა და მისი თანამებრძოლების დამსახურება იმაშია, რომ მათ ნაციონალიზმი მოაქციეს სწორი მიმართულებით, ჩამოაყალიბეს ის, როგორც ჭეშმარიტად ეროვნული იდეოლოგია და პოლიტიკური პლატფორმა. ერთი მხრივ, მათ კულტურული ნაციონალიზმი გარდასახეს პოლიტიკურში, მეორე მხრივ კი დაძლიეს ჯორჯაძისეული სოციალიზმი თვით პოლიტიკური ნაციონალიზმის შიგნით.

ეს იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროგრამაც და, ამავე დროს, ახალი ტიპის პოლიტიკური ორგანიზმის შექმნის პროექტიც. ექვთიმესა და მისი ჯგუფის მიზანი მარტივი იყო – საქართველოში ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც, ერთი მხრივ დაეყრდნობოდა ერის ტრადიციებს, შინაგან ძალას და ენერგიას, ხოლო მეორე მხრივ, დაიცავდა მას ეპოქის ქარტეხილებისაგან, ხელს შეუწყობდა მის კეთილდღეობას ლიბერალური ინსტიტუტების ბაზაზე. ყოველივე ეს წარმოადგენდა სახელმწიფოს ეროვნულ-დემოკრატიულ კონცეფციას და ემყარებოდა შემდეგ ფუძემდებლურ კომპონენტებს: კერძო საკუთრების, როგორც პიროვნული თავისუფლების საფუძვლის, დაკანონება; ქართული სამეურნეო-სამრეწველო ტრადიციების აღორძინება და არაქართული „ეკონომიკური რენესანსის“ ჩანაცვლება ქართველ მწარმოებელთა ჯგუფებითა და კორპორაციებით; საშუალო ფენის ფორმირება სოფლად და ურბანულ ცენტრებში; კლასების

სოციალურ-კლანური ქიშპობისათვის ბოლოს მოღება, რასაც ქადაგებდა სოციალ-დემოკრატიის დამანგრეველი პროპაგანდა; სოციალური კანონმდებლობის მოწესრიგება და შრომის ქარტიის მიღება და ა.შ.

ე. თაყაიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიის ერთი საყურადღებო დეტალია მისი აქტიური მონაწილეობა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მუშაობაში 1917 წ. 19-22 ნოემბერს. იგი არჩეულ იქნა ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, რის გამოც მისი ხელმოწერა ამშვენებს 1918 წ. 26 მაისს დეკლარირებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ეროვნულ საბჭოში ე. თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა საბიბლიოთეკო სექციას.

1919 წ. 14-16 თებერვალს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საერთო ხმების 6,1% მიიღო და დამფუძნებელ-საპარლამენტო სტრუქტურაში რვა დეპუტატი გაიყვანა. ე. თაყაიშვილი გახდა დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი (გ. გვაზავასთან (ფრაქციის თავმჯდომარე), ნ. ნიკოლაძესთან, სპ. კედიასთან, პ. სურგულაძესთან, ლ. ასათიანთან, გ. ქიქოძესთან და ი. მაჭავარიანთან ერთად).<sup>1</sup>

პირველივე სესიაზე, 1919 წ. 12 მარტს, ე. თაყაიშვილი არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) და პრეზიდიუმის წევრად. პარალელურად ის მოღვაწეობდა კრების მუდმივმოქმედ კომისიებშიც – იყო საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარე და სახალხო განათლებისა და ხელოვნების კომისიის წევრი.<sup>2</sup>

როგორც ცნობილია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიმართ დაშნაკური სომხეთის ყოვლად უსაფუძვლო და ანტიისტორიულმა ტერიტორიულმა პრეტენზიებმა (ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებზე, თბილისის მარჯვენა ნაპირის ნაწილზე) გამოიწვია 1918 წ. დეკემბრის სომხეთ-საქართველოს ომი. ომის შემდეგ შეიქმნა სპეციალური სატერიტორიო კომისია, რომელშიც საქართველოს მხარეს წარმოადგენდნენ ნ. რამიშვილი, ე. თაყაიშვილი და ს. მდივანი. კომისიის სხდომებზე ე. თაყაიშვილი იცავდა დებულებას, რომ სადავო ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტის დროს „ხალხის ნებისყოფის გარდა საჭიროა ხელმძღვანელობა აგრეთვე ისტორიულ-სტრატეგიული საზღვრებით და სადავო რაიონების ყოფა-ცხოვრების მიხედვით“. ამასთან, სომხებთან დისკუსიის დროს ის ასაბუთებდა თვალსაზრისს, რომ „სომეხთა სახელმწიფო უფრო ფართე ფარგლებში შეიძლება შეიქმნას ოსმალეთის სომხობასთან გაერთიანებით“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ საზღვრების დამდგენი კომისიის შემადგენლობაში ი. ჯავახიშვილთან, პ. ინგოროყვასთან

<sup>1</sup> ო. ჯანელიძე. ნარკვევები საქართველოს., 337.

<sup>2</sup> ო. ჯანელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე. – ლიტერატურა და ხელოვნება, 1998, №2, გვ. 136.

და გენერალ ი. ოდიშელიძესთან ერთად ისევ ე. თაყაიშვილი შეიყვანა.

მიუხედავად ძირითადი ოპოზიციური პარტიის წევრობისა, ე. თაყაიშვილი აქტიურად, ნაყოფიერად იყო ჩაბმული ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ინსტიტუციური და ფორმალურ-იურიდიული საფუძვლების მშენებლობის საქმეში. იმდროინდელ საქართველოში, პრორუსული ირაციონალიზმის, უუნარო დიპლომატიისა და სამხედრო პოლიტიკის, ბუნდოვანი სოციალისტური იდეალიზმის უკიდევანო ზღვაში ერთადერთი პერსპექტიული შუქურა „ილიას გზა“ და ეროვნული დემოკრატიის ჯანსაღი ნაციონალიზმი იყო. მაგრამ ხალხის უმრავლესობამ ქვეყნის სადავეები სოციალ-დემოკრატებს ჩააბარა. ამიტომ ფაქტის წინაშე მდგომი ე. თაყაიშვილი მოქმედებდა ეროვნულ-სოციალური თანხმობისა და შიდასახელმწიფოებრივი კონსენსუსის პრინციპებით, იყო კომპრომისული პოლიტიკის მომხრე მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, რომელსაც ქვეყანაში ყველა სტრატეგიული პოზიცია ეჭირა.

ეს იყო ჭეშმარიტი მამულიშვილის, ზოგადეროვნული მოღვაწის და, გარკვეული გაგებით, ზეპარტიული პატრიოტიზმით გულანთებული ადამიანის სრულიად ლოგიკური არჩევანი. „ჩვენ ყველანი სხვადასხვა პარტიას ვეკუთვნით, – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი 1920 წელს, – მაგრამ ერთში ყველანი ვვერთდებით და ეს არის შეერთებული ძალებით გალაშქრება მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს თავისუფლებას ძირს უთხრის, ვისაც სურს, რომ ჩვენ კვლავ მონებად ვიყოთ...“<sup>1</sup>

ანალოგიურ პოზიციაზე იდგა ე. თაყაიშვილი საკუთრივ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შიგნით და ზოგადად პოლიტიკური სივრცის არასოციალისტურ-მემარჯვენე პოლუსზე მიმდინარე დიფერენციაციის პროცესებთან მიმართებაში. ის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ გათიშულობას, ძალთა გადაჯგუფებას და მტკიცედ იდგა მემარჯვენე ძალების შიდაპოლიტიკური კონკორდანსის პლატფორმაზე. ამიტომაც იყო, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან გარკვეული ჯგუფების გამოყოფასთან დაკავშირებულ მოვლენებში და არც მათი ხელახალი ორგანიზაციული გაერთიანების პროცესში.<sup>2</sup> ის მუდამ იცავდა სტრუქტურულ-ორგანიზაციული მთლიანობისა და პარტიული უნიტარიზმის პრინციპებს.

1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების ინტერვენციამ, ქვეყნის ოკუპაციამ და ფაქტობრივმა ანექსიამ ბოლო მოუღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებო-

<sup>1</sup> გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 21 ოქტომბერი.

<sup>2</sup> 1921 წ. 23-27 იანვარს თბილისში გაიმართა საქართველოს არასოციალისტურ პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია. მან მიიღო „გაერთიანების რეზოლუცია“ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მინის მესაკუთრეთა ეროვნული პარტია, რადიკალ-დემოკრატიული პარტია და უპარტიოთა კავშირი ორგანიზაციულად გაერთიანდნენ და შექმნეს „საქართველოს დემოკრატიული პარტია“ სპ. კედიას თავმჯდომარეობით (იხ. გაზ. „მინა“, 1920 წ. 31 იანვარი).

ბას. საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ნ. ჟორდანიას მთავრობამ ე. თაყაიშვილი დანიშნა ეროვნული განძეულის მცველად (დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის ერთობლივი დადგენილებით – „სამუზეუმო და საკულტურო განძეულის მეთვალყურედ საფრანგეთის მთავრობასთან ურთიერთობაში“). ე. თაყაიშვილიც გაემგზავრა საფრანგეთში და მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილთან ერთად ბინა ლევილში (პარიზის მახლობლად) დაიდო. პარიზში ფუნქციონირებას განაგრძობდნენ ემიგრანტული მთავრობა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. ე. თაყაიშვილი ისევ პრეზიდიუმის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე იყო, აქტიურად მონაწილეობდა რა პოლიტიკური ემიგრაციის დიპლომატიურ და პროპაგანდისტულ საქმიანობაში.

ემიგრანტული ცხოვრების პირველ ეტაპზე ე. თაყაიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ეროვნულ-პოლიტიკური ძალების პარიტეტული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, რასაც, ითვალისწინებდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის სტრატეგია. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა 1921 წ. 18 დეკემბრის პარიზის ინტერპარტიულ თათბირში და 1922 წ. თებერვალ-მარტის კონფერენციაში. კონფერენციაზე მიღებული ინტერპარტიული შეთანხმება ითვალისწინებდა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ძალების გაერთიანებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ე. თაყაიშვილი არ ყოფილა შეიარაღებული აჯანყებისა და ანტისაბჭოთა სამხედრო წინააღმდეგობის წარმოების მომხრე. სტრატეგიულ ძალთა განლაგების კონკრეტულ კონფიგურაციაში და კონკრეტული საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში ის არ იზიარებდა შეიარაღებული ანტიბოლშევიკური გამოსვლის ტაქტიკას, მიაჩნდა რა ის ერთგვარ ეროვნულ-პოლიტიკურ თვითმკვლევლობად.

ემიგრანტული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომებზე, ლევილში, ის ყოველთვის მიუთითებდა, რომ საჭირო იყო მაქსიმალური სიფრთხილე, მოთმინება, საერთაშორისო სიტუაციის ყოველმხრივი ანალიზი, ვიდრე მიღებული იქნებოდა საბოლოო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე ის აცხადებდა: „მე მგონია, ამოდენა საპასუხისმგებლო საქმის ადვილად გადაწყვეტა არაა ადვილი და არც თითის აწევით შეიძლება... ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იციან, ჭურში ზიან. არც იარაღი აქვთ, არც სურსათი, არც წამალი და მაინც უნდა ავჯანყდეთო!.. ეს იქნება ჩვენი ხელით დაკვლა...“.<sup>1</sup>

ამიტომ 1924 წ. აგვისტოს აჯანყების დამარცხებიდან ახლო ხანებში ე. თაყაიშვილი არსებითად ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა მან ეროვნული განძეულის გადარჩენას და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას დაუკავშირა.

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. №1075, გვ. 11.

## **DAZMIR JOJUA**

### **FROM THE POLITICAL ACTIVITIES OF EKVTIME TAKAISHVILI**

The article analyzes the main issues of political activities of the great Georgian patriot and public figure Ekvtime Takaishvili and gives its original understanding. E. Takaishvili is an outstanding figure in the contemporary History of Georgia; a person with national and historical values, in the literal sense of the word. Using the chronological method, the process of E. Takaishvili's national and political activity is divided into three periods: political and journalistic (till 1918), state and political (1918-1921) and emigratory and political (after 1921). In the article, some aspects of the great patriot's activity are presented. A conclusion is made that during each period E. Takaishvili's activities brought positive impulses into Georgian political thinking.

## **ДАЗМИР ДЖОДЖУА**

### **ОБ ОСМЫСЛЕНИИ НАЦИОНАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ЭКВТИМЕ ТАКАИШВИЛИ**

В статье освещены основные вопросы политической деятельности великого грузинского национального деятеля Эkvтима Такаишвили. В ней дано оригинальное осмысление политической деятельности Э. Такаишвили. Е. Такаишвили один из самых выдающихся национальных деятелей в новейшей истории Грузии, человек с национальными и историческими ценностями, в буквальном смысле этого слова. В статье дана попытка своего рода периодизации национально-политической деятельности Э. Такаишвили. I период – политическая и публицистическая деятельность до 1918 г.; II период политическая деятельность на парламентском поприще (1918-1921) и III период – политическая активность в эмиграции (после 1921). Отмечено, что политическая деятельность Е. Такаишвили всегда придавала положительные импульсы политическому процессу Грузии.

## იოსებ (სოსო) ალიშარაშვილი

### კათალიკოსი დომენტი IV

კათალიკოსი დომენტი IV<sup>1</sup> XVIII ს. I ნახევრის გამოჩენილი პიროვნებაა, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ეპოქის სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

დომენტი კათალიკოსის ბავშვობის სახელია დამიანე. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა, ბატონიშვილისათვის შესაფერისი განათლება მიიღო. შესანიშნავად ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, რუსულ, თურქულ ენებს. ცხოვრებამაც ბევრი ატარა: ისპაჰანი, სტამბოლი, იერუსალიმი, ვლახეთ-რუმინეთი, მოსკოვი... იმ გეოგრაფიული პუნქტების არასრული ჩამონათვალა, სადაც დომენტი ბაგრატიონს ფეხი დაუდგამს.

იგი დაბადებული უნდა იყოს 1676-1677 წლებს შორის.<sup>2</sup> ცნობილია, რომ მამამისი – ლევანი (ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) შვილი), ორცოლიანი იყო. პირველი ცოლის, თუთა ქაიხოსროს ასულ გურიელისაგან მას შეეძინა ქაიხოსრო, ვახტანგი, დომენტი და ქალიშვილი – ხვარამზე. 1678 წელს ლევანს მეუღლე გარდაეცვალა და მეორე ცოლად შეირთო თინათინ ავალიშვილი, რომელთანაც ასევე სამი ვაჟი – იესე, სვიმონი და თეიმურაზი შეეძინა.<sup>3</sup>

ირკვევა, რომ ლევანს სხვა შვილებიც (კონსტანტინე, ადარნერსე, ხორეშანი, როსტომი) ჰყოლია,<sup>4</sup> ასე რომ დომენტი მრავალრიცხოვან

<sup>1</sup> დომენტი I კათალიკოსობდა 1557-1560 წწ.; დომენტი II – 1583-1585 წწ., ხოლო დომენტი III – 1660-1675 წლებში. აღსანიშნავია, რომ ავტორთა ნაწილი დომენტი IV-ს, დომენტი III-დ მოიხსენიებს.

<sup>2</sup> ჩვენი მინიშნება ემყარება შემდეგ ფაქტებს. ცნობილია, რომ დომენტის უფროსი ძმა, ვახტანგ VI დაიბადა 1675 წელს. დომენტის შემდეგ, ლევანს თუთა გურიელთან კიდევ შესძინა ქალიშვილი – ხვარამზე, ხოლო ლევანის პირველი მეუღლე გარდაიცვალა 1678 წ. 11 ოქტომბერს. ბ. კუპატაძეს დომენტი კათალიკოსის დაბადების თარიღად 1682 წელი მიაჩნია (ბ. კუპატაძე. უპრინციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიკაში (კათალიკოსი დომენტი IV). – ქართული დიპლომატია, წელიწადური 4. თბ., 1997, გვ. 252). მისივე აზრით, დომენტი ლევანს შეეძინა არა თუთა გურიელის, არამედ თინათინ ავალიშვილისაგან, თუმცა, არ განმარტავს რომელ არგუმენტს ეყრდნობა. ჩვენ, გასაგები მიზეზის გამო, უფრო სარწმუნოდ ვახუმტი ბატონიშვილის ცნობას მივიჩნევთ.

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 461.

<sup>4</sup> გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე. თბ., 1981, გვ. 6.



და-ძმას შორის იზრდებოდა. იგი ბავშობიდანვე სუსტი აგებულებისა ყოფილა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დოსითეოს პატრიარქს ნაუყვანია იერუსალიმში, 1689 წელს ჯვრის მონასტერში უკურთხებიან იეროდიაკონად. აქ დაავადებული და მხოლოდ ირგვლივ მყოფთა განსაკუთრებულ მზრუნველობას უხსნია სიკვდილისაგან.<sup>1</sup> ამის შემდეგ, დომენტი წმინდა ქალაქში კიდევ ათ წელიწადს დარჩენილა.

XVII ს. ბოლოს, ქართლის სამეფო კარზე განვითარებული რთული პროცესები ახალგაზრდა ბატონიშვილის თვალწინ მიმდინარეობდა და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ფაქტმა მის პიროვნებაზე სერიოზული კვალი დატოვა. უხერხულიც კია, უმაღლესი სასულიერო პირის პოლიტიკურ პორტრეტზე საუბარი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ იმ ეპოქის სპეციფიკა და ხასიათი, რომელშიც დომენტი კათალიკოსს უხდებოდა მოღვაწეობა. ეკლესია ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი და დიდ როლს ასრულებდა, არა მარტო სულიერ, არამედ, პოლიტიკურ, თავდაცვით, საგანმანათლებლო, დემოგრაფიულ თუ ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში. იგი არცთუ იშვიათად, მეფის პირად ცხოვრებაშიც აქტიურად ერეოდა და საქართველოს ისტორიაში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. შემთხვევითი არ არის, რომ დიდი ქართველი მეფეები (ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და სხვ.) ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ.

XVIII საუკუნე ქართლისათვის მძიმედ დაიწყო. „ორიანობამ“ (გიორგი XI – ერეკლე I), შედეგად ის მოიტანა, რომ სათავადოების (სამილახვროს, საციციანოს, საბარათიანოს) შიგნითაც განხეთქილებები დაიწყო, რამაც, ისედაც დაჩეხილი ქვეყანა, კიდევ უფრო „გაათითოკაცა“. 1703 წელს, 15 წლიანი ლოდინის შემდეგ, გიორგი XI-ს (ვახტანგ VI-ისა და დომენტის ბიძას), როგორც იქნა, შაჰის წყალობა და ქართლის სამეფო გვირგვინი ეღირსა – თუმცა, მხოლოდ – „დე იურედ“. იგი ირანშივე დატოვეს და ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალეს, ქართლში „დე ფაქტო“ მმართველობა („ჯანიშინობა“, ანუ მოადგილეობა, ნაცვლობა) მის ძმისშვილს – ვახტანგს ერგო.

ქვეყნისათვის ერთგვარ შეღავათს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ იმდროისათვის ისპაჰანის, თავრიზისა თუ ქირმანის ტარულ-ბეგლარბეგები და ირანის სპასალარ-მსაჯულთუხუცესები სულ ვახტანგის მამა-ბიძები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ, საქართველოში დარჩენილ „მეფისნაცვალს“, შაჰის ბატონობის სიმძიმე ნაკლებად ეგრძნო. ვახტანგმაც ენერგიულად დაიწყო „ჯანიშინობა“. პრობლემები თავზე საყარი ჰქონდა ქვეყანას. შური, გაუტანლობა, მიხდომა, ტყვევნა, ყოველდღიური ცხოვრების „წესს“ წარმოადგენდა. უბედურება ის იყო,

<sup>1</sup> **პ. კარბელაშვილი.** იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. ტფ., 1900. გვ. 131.

რომ ამ სენს შეეღწია სასულიერო წოდებაშიც, რომელიც, წესით და რიგით, ქვეყნის სიმტკიცის საფუძველი უნდა ყოფილიყო. როგორც დავით გურამიშვილი აღნიშნავდა: „თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერებიო“.<sup>1</sup>

ვახტანგი გრძნობდა, რომ ძლიერი დასაყრდენის გარეშე, ქვეყანაში რადიკალური, მაგრამ აუცილებელი რეფორმების გატარება გაუძნელდებოდა, ასეთი კი ეკლესია იყო. 1705 წელს მონვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად დაადგინა ვახტანგის უმცროსი ძმა – დომენტი ბატონიშვილი.<sup>2</sup> თუმცა, საქმე მარტო ძმობაში არ იყო. ახალი პატრიარქის არჩევა მხოლოდ ვახტანგ VI-ის სურვილი კი არა, სრულიად სამღვდელთა მოთხოვნა ყოფილა („არამედ შეითქუნენ ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტნი და არღარა ინებეს ნიკოლოზი“, აღნიშნავს ვახუშტი).<sup>3</sup> ძველ პატრიარქს – ნიკოლოზს „სოფლურება“ დასწამეს, ხოლო კიდევ ერთ კანდიდატ – ევდემოსს – უმეცრება.<sup>4</sup>

დომენტი კათალიკოსობის პრეტენდენტებს შორის მართლაც საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდა და ასაკის მიუხედავად, დიდი გამოცდილება ჰქონდა. ნამყოფი იყო იერუსალიმში და მსახურობდა ჯვრის მონასტერში. მოვალეებისაგან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მონასტრის გამოსახსნელი თანხა, იერუსალიმში სწორედ დომენტის ჩაუტანია. 1699 წელს ანთიმოზ ივერიელთან ერთად გაემგზავრა ვლახეთში.<sup>5</sup> სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი არჩილს (ბიძას) გაჰყვა რუსეთში სასწავლებლად. როგორც ცნობილია, არჩილმა მოსკოვში ქართული სტამბა დაარსა და დომენტი ამ საქმეშიც დახელოვნდა. 1705 წელს დომენტი ბატონიშვილი ახლად დაბრუნებული იყო რუსეთიდან, სადაც სასულიერო განათლება მიეღო, გაცნობილი იყო რუსულ კულ-

<sup>1</sup> დავით გურამიშვილი. დავითიანი. *ლ. ნადარეიშვილის* რედ. თბ., 2005, გვ. 62.

<sup>2</sup> დომენტის კათალიკოსად არჩევა 1704, ან 1705 წელს უნდა მომხდარიყო. იესე ტლაშაძე „ბაქარიანში“ დომენტის პირით ამბობს: „კათალიკოზად ვეკურთხებ ტარ ჟანი ბანი ჯდებოდაო“ (იხ. *იესე ტლაშაძე*. კათალიკოზ-ბაქარიანი. *ე. თაყაიშვილის* გამოცემა, ტფ., 1895, სტროფი-161; გვ. 27), ე. ი. 1704 წ. დასაწყისს გულისხმობს. ამ თარიღს მხარს უჭერს მარი ბროსეც (*მ. ბროსე*. საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული *ს. ლოლობერიძის* მიერ. ტფ., 1900, გვ. 50). ვახუშტი ბატონიშვილი 1705 წელს ადგენს: „აკურთხეს (დომენტი – ი.ა.) ქსა ჩლე, ქარ. ტჟგ“. (იხ. *ბატონიშვილი ვახუშტი*. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 481) თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ ორივე წელია მითითებული (იხ: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი *თ. ჟორდანიას* მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს *გ. ჟორდანიამ* და *შ. ხანთაძემ*. თბ., 1967, გვ. 11, 20.

<sup>3</sup> *ბატონიშვილი ვახუშტი*. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 481.

<sup>4</sup> *ბატონიშვილი ვახუშტი*. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 481.

<sup>5</sup> *საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს*. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. *ა. იოსელიანმა*. თბ., 1980, გვ. 45.

ტურას.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ამ დროისათვის ვახტანგ VI ინტერესი აღმავლობის გზაზე დამდგარი რუსეთის იმპერიის მიმართ უკვე ძლიერი იყო, ამიტომ დომენტიზე უკეთეს კანდიდატურას ვერ შეარჩევდა. კათალიკოსი ჯანიშინ ძმას არ ჩამორჩა და ენერგიულად დაიწყო არა მარტო სასულიერო, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ძალზე დიდია იმ ღონისძიებათა არასრული ჩამონათვალი, რომლის გაკეთებაც დომენტი კათალიკოსმა მოახერხა.

ანთიმოზ ივერიელთან პირადი ნაცნობობა გამოიყენა და მის მიერ გამოგზავნილი მიხაილ იშტვანოვიჩის დახმარებითა და ვახტანგის ხელმძღვანელობით, თბილისში სტამბა გაამართვინა, სადაც უშუალოდ მისი მითითებით დაიბეჭდა ოდიკი, დავითნი, აღნიაშვილის წიგნები. პ. კარბელაშვილის ცნობით, ეს სტამბა თბილისში 1706 წელს უკვე მზად ყოფილა, ხოლო 1707 წლიდან წიგნებიც იბეჭდებოდა.<sup>2</sup> სტამბაში დამზადებული ქართული შრიფტის ერთ-ერთი ავტორი - სოლომონ მალალაძე, კათალიკოსოს მდივან-მწიგნობარი იყო.

დომენტი IV-მ „*ჟამთა ვითარებისაგან და მწერალთაგან განრყენილი*“ „*კურთხევეანი ეკლესიისა*“ ჯერ ბერძნულიდან ათარგმნინა, ხოლო 1719 წელს საკუთარი ხარჯით დააბეჭდინა კიდევც.<sup>3</sup> შეკრიბა ქართველ საერო და საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება-წამების აღწერილობანი, მათ შორის ზოგიერთი სვინაქსარული ხასიათისა და შეადგინა ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული. მისი ინიციატივითა და დაკვეთითაა გადწერილი ოთხთავი, სადღესასწაულო, პარაკლიტონი, ასკეტიკონი, დავითნი: ეფრემ მცირის, იოანე ოქროპირის, იოანე დამასკელისა და სხვათა თხზულებანი.<sup>4</sup> დომენტი ხელნაწერებს სწირავდა სვეტიცხოველს, ათონის ივერთა მონასტერსა და სხვა ქართულ სავანეებს. საკუთარი ხარჯით შეუსრულებია სვეტიცხოვლის, ანჩისხატის, მეტეხის სარემონტო სამუშაოები, განუახლებია ზედაზნის ეკლესია,<sup>5</sup> 1716 წელს აუშენებია ძეგვის ყველანმინდის ეკლესია. XVIII ს. დასაწყისში დომენტი კათალიკოსმა ანჩისხატის ჩრდილოეთით მდებარე სასახლე რეზიდენციად აქცია<sup>6</sup> და ქართლის კათალიკოსების რეზიდენციას წარმოადგენდა ალა-

<sup>1</sup> თბილისის ისტორია. ტ. I. უძვ. დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. მ. დუმბაძისა და ვ. გუჩუას რედ. თბ., 1990, გვ. 291.

<sup>2</sup> პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 131-133.

<sup>3</sup> ქრ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722). თბ., 1955, გვ. 112-113.

<sup>4</sup> ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკვ. I. თბ., 1961, გვ. 161.

<sup>5</sup> Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб., 1959, გვ. 109; 497.

<sup>6</sup> უნდა ითქვას, რომ ეს სასახლე დომენტი IV-ს არ აუშენებია და იგი ჯერ კიდევ შარდენის ნახატზე ჩანს (1672 წ.). სხვადასხვა ცნობებით, სასახლის მნიშვნელოვანი ნაწილი აშენდა კათალიკოს დომენტი III-ს დროს. (დანვრ. იხ. დ. თუ-

მაჰმად-ხანის შემოსევამდე.<sup>1</sup> იყო ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის საკანონმდებლო კომისიის წევრი, რომლის „თანადაყოლითა და დამოწმებით“ შედგენილ იქნა „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“.<sup>2</sup>

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, იგი კუნძულ ტენედოზე გადასახლების დროსაც (1727-1736 წწ.) აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა და „თავისი საფასით“ გადაუწერიებია სასულიერო-საეკლესიო შინაარსის საკმაოდ დიდი კრებული, ამავე ხანათის სხვა კრებულის მეორე ნაწილი,<sup>3</sup> ათონის ერთი სახარება.<sup>4</sup> 1708 წელს მისი სახსრებითა და დავალებით მოჭედილ იქნა მცხეთის ღვთისმშობლის ხატი.<sup>5</sup> 1716 წელს, „კუბო სვეტიცხოვლისა“ რომელიც „დალენილ და შემუსვრილ“ იყო, განუახლებია და „ოცი მარჩილი ვერცხლი“ დაუდვია.<sup>6</sup> 1719 წელს შეუმკია ღვთისმშობლის მრავალნაწილიანი ხატი და ანჩისხატში დაუსვენებია<sup>7</sup> და სხვ.

კათალიკოსი ასევე აქტიურად ზრუნავდა მომავალი თაობის აღზრდის მიზნითაც. მისი ინიციატივით თბილისში გახსნილა „ყრმათა“ სასწავლო სკოლა.<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი დომენტი კათალიკოსს მიიჩნევს ნიკოლაოზ კათალიკოზის (გულაბერიძის) თხზულების – „საკითხავი სუეტისა ცხოვლისაჲ, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკკლესიისა“-ს დანართის ავტორად და არგუმენტად მოჰყავს თხზულების ბოლოს თანდართული წარწერა „1709 წელს ჩუენ ...კათალიკოზმან პატრიაქმან დომენტი განვაახლეთ ცხოვრებაი ესე სუეტის ცხოვლისაჲ“.<sup>9</sup>

ქვეყნის ეკონომიკური შემოსავლის ზრდის მიზნით, მისი თაოსნობით 1706 წელს თბილისში („ქალაქში“), გორში, ცხინვალში, ალში და სხვაგან საბაჟოები დაწესდა, სადაც საგადასახადო ნიხრები დადგინდა

---

**მანიშვილი.** სად არის თბილისში დომენტი კათალიკოსის სასახლე? – ჟურნ. „ომეგა“, №7, ივლისი, 2001, გვ. 27-29) თუმცა, დომენტი IV-ს მასში გარკვეული ცვლილებები შეუტანია. იგი სახეშეცვლილი ფორმით არსებობდა XIX საუკუნეშიც.

<sup>1</sup> იხ: **ი. ალიმბარაშვილი.** კათალიკოსი დომენტი მეოთხე, ქართული კულტურის მოამაგე. – *კირიონ მეორისადმი მიძღვნილი მესამე სამეცნიერო კონფერენცია*. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 2, თბ., 2012, გვ. 166-179.

<sup>2</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა. *ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ის. დოლიძემ*, თბ., 1981. გვ. 9; 11; 175.

<sup>3</sup> **მ. ჯანაშვილი.** საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები. წერილი – ოდ; – გაზ. „ივერია“, 1900 წლის სექტემბერი, № 190; 191; 195; 198.

<sup>4</sup> **პ. გუგუშვილი.** პირველი სტამბის დაარსება ტფილისში. – *ქართული წიგნი 1625-1929*, პროფ. **ფ. გოგიჩაიშვილის** რედ. ტფ., 1929, გვ. 15.

<sup>5</sup> *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და...*, გვ. 25

<sup>6</sup> **А. Натроев.** Мцхета и его соборъ свети-Цховели. Тифлис, 1900, გვ. 413.

<sup>7</sup> **А. Натроев.** Мцхета и его соборъ свети-Цховели. Тифлис, 1900, გვ. 256.

<sup>8</sup> **პ. კარბელაშვილი.** იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 132.

<sup>9</sup> **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 397.

მარცვლეულზე, თევზსა და სხვა პროდუქტებზე.<sup>1</sup>

მთელი იმდროინდელი საქართველოსათვის განსაკუთრებული პრობლემა იყო „ტყვის სყიდვა“. დიდებულებმა ვახტანგ VI-ის ირანში განწვევით ისარგებლეს და ეს უღირსი საქმე შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. დომენტი კათალიკოსმა აქაც შეიტანა თავისი წვლილი: 1712 წ. 2 აგვისტოს რუსუდან დედოფალი და ბაქარ ბატონიშვილი კათალიკოსს პირობის წიგნს აძლევენ: „ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩუენ დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსუდან და ძემან ჩუენმან სასურველმან ბატონისშვილმან, პატრონმან ბაქარ თქუენ კათოლიკოზ პატრიარქს ბატონს დომენტის, ასე და ამა პირსა ზედა, რომე ზოგიერთს ალაგას ტყვის სყიდვა გამოჩნდა და თქუწნი ვითაც მართებული იყო, ეგრეთ იწყინეთ და გამოეკიდენით. ახლა ეს აღთქმა დაგვიდვია თქუწნს წინაშე, სადაც სადედოფლოში და ან საუფლისწულოში, ან საცა ჩუწნს საბატონოსა და მამულში ან ტყვის გამყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე და ან საყენოს გარდა, ჩუწნს საბატონოში ტყვე მოიყუანოს გასასყიდელი და ჰყუანდეს ვინმე და წაართვათ და თქუწნც გაუნყრეთ და გამოენახნეთ, მოიკითხოთ, არცა-ვის ამისთანა საქმე აქნევინოთ, არცა ვინყინოთ და დიდათაც ხელი მოგიმართოთ და თუ ვინმე წინ აღვიდგეთ და თქუწნი ნება არა ქნას, დიდათაც გამოვენახოთ და უწყინოთ“.<sup>2</sup>

დასავლეთ საქართველოში საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო, ამიტომ „პირობის წიგნი“ ამ საკითხსაც განმარტავდა: „თუ იმერელმა კაცმან მოიყუანოს ტყუწ, თუ საქართველოს კაცმან სამოსამსახუროთ შესანახავად დაიხსნას, თვარა გასასყიდლათ ნუ იყიდის და ნურც გაყიდისო“.<sup>3</sup> ე. ი. კათალიკოსი არა მარტო ტყვეებით მოვაჭრეთა წინააღმდეგაა უკომპრომისო, არამედ, ამ საქმით ხელისმომთობთა მიერ სამეფო კართან „საქმის ჩანყობასაც“ გამორიცხავს და დედოფალ-ბატონიშვილისაგან საქმეში ჩაურევლობის გარანტიებს ითხოვს.<sup>4</sup>

იგი ასევე მკაცრ ღონისძიებებს ახორციელებდა ქვეყანაში წესრიგის დამყარების მიზნით. 1706 წელს სახლთუხუცესი სარდალი გედევანიშვილი, „სრულიად მცხეთელნი ყმანი, მოხელენი, მამასახლისნი და ნაცვალნი“, აღიარებენ, რომ „დიაღ ეშმაკნი მოგვრეოდა და ჩვენის ცოდვისაგან ერთმანეთის დიდი შური და მტრობა გვექონდა, რომ რასაც დღეს ერთმანეთს დავახელებდით, არც საჩხუბრად დავეშურებოდით არც სამეზობლოდო“, ამიტომ კათალიკოსის წინაშე პირობას იძლევიან, რომ თუ ეს უწყნობა არ მოვსპოთ, ჯარიმა გადაგვახდევინეთ და „თქვე-

<sup>1</sup> *Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею*. Т. I. Тифлис, 1866, док. №3; გვ. 54.

<sup>2</sup> *Акты...*, т. I, док. № 4; გვ. 55.

<sup>3</sup> *Акты...*, т. I, док. № 4; გვ. 55.

<sup>4</sup> ი. ალიმბარაშვილი. საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი პერიოდიდან XIX ს. 60-იან წლებამდე), თბ., 2014, გვ. 202.

ნი წყრომის ქვეშ ვიყოთო“.<sup>1</sup>

1713 წელს, იესე მალალაშვილს „ავი საქმე“ უქნია და ტყვეები დაუყიდა. კათალიკოსს უცდია, ჯერ საკუთარი სახსრებით გამოეხსნა თავადს ისინი, როცა ამ გზითაც ვერას გამხდარა, მამულები ჩამოურთმევია მისთვის და მზად ყოფილა ამ „ძვირისმოქმედისათვის ანუ თვალთაგანი, ანუ კელთაგანი, ანუ ფერჯთაგანი, ანუ ერთი ასოთა მისთაგანი“ მოეკვეთა,<sup>2</sup> რათა სხვას მიბაძვის სურვილი აღარ გასჩენოდა. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ამ სამარცხვინო საქმეში, ქვეყნის სამსახურში მყოფი მოხელეებიც იყვნენ გარეულნი. დომენტი მათაც მკაცრად ამხელს. ამ დროის (1705-1729 წწ.) ერთ საბუთში აღნიშნულია: „...ქ. ჩვენი ბძანება არის ხელჯოხიანო დავით, მერმე ბატონი კუზი (იგულისხმება დომენტი. – ი.ა.) სკრელს მამასახლისს ძულიაშვილს ტყვეების დაყიდვას უჩივის. ჩვენს სამართალში მოიყვანე, სამართალს უზამთო“.<sup>3</sup>

სამაგიეროდ, კათალიკოსი არც ერთგულთ აკლებს წყალობას. 1710 წელს, სვეტიცხოვლის მღვდელ-მონაზონ დანიელს მისი სანინამძღვროდან გლეხ-ნასოფლარებს უბოძებს, „სანამდი სხვას წყალობას რასმე გიზამდეთო“.<sup>4</sup> მასთან ერთად კონსტანტინოპოლში „მამულისა და საყდრის მოსავლელად“ წასულ იესე ტლაშაძეს ატენში 27 კომლს ჩუქნის და სახუცო გადასახადიდანაც ათავისუფლებს<sup>5</sup> (1727. 20. VII) და ა. შ. ნიშანდობლივია 1725 წელს მის მიერვე თავდახსნილ „სჯულის კანონზე“ გაკეთებული წარწერა: „...დავიხსენ სჯულის კანონი ესე ...პატრიარქმან დომენტიმ ოდეს ჯერ ლეკთა გატეხეს სვეტიცხოველი ...მერმე ურუმები მოვიდნენ და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩვენი ქართლი, მაშინ ...წარმოსტყვევენეს საყდარი და ტყვე ჰყვეს საყდრის ამის რაოდენ წიგნები, ხოლო ჩვენ ძიება ვყავით და რაოდენ ვპოვეთ დავიხსენით ფასითა და ისევ სვეტიცხოველს შევსწირეთო“.<sup>6</sup>

მიუხედავად მძიმე პირობებისა, იგი გადასახლებაში ყოფნის დროსაც ახერხებდა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის კეთებას. მაგ., 1766 წელს გაცემული ერთი საბუთიდან ვიგებთ, რომ მამა-შვილი სეხნია და გრიგოლ გილაშვილები კათალიკოსს საბერძნეთში ტყვეობიდან გამოუხსნია და სამშობლოში დაუბრუნებია.<sup>7</sup> თანამდებობიდან გამომდინარე,

<sup>1</sup> ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი 1903, გვ. 188-189, დოკ. №218.

<sup>2</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I (XV – XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1940, გვ. 158, დოკ. №223.

<sup>3</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1953, გვ. 16; დოკ. №22.

<sup>4</sup> საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1450, დავთარი 31, საქმე 90, გვ. 55.

<sup>5</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და... გვ. 113.

<sup>6</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და... გვ. 98.

<sup>7</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური... ტ. II. გვ. 65; დოკ. №95.

ხშირად „განაჩენს“ სამართალს და გასცემს წყალობის,<sup>1</sup> ნასყიდობის,<sup>2</sup> გაყრილობის<sup>3</sup> სიგელებს.

იმ დროს მოუნენსრიგებელი იყო საეკლესიო, განსაკუთრებით სვეტიცხოვლის მამულების საკითხი. მეზატონეებს ეს მიწები მიტაცებული ჰქონდათ და საეკლესიო გლეხებს ჩვეულებრივ ახდევინებდნენ გადასახადებს. როგორც ჩანს, ვახტანგ ჯანიშინის გავლენა ამ პრობლემის გადასაჭრელად საკმარისი არ აღმოჩნდა და დომენტი კათალიკოსიც 1707 წელს ისპაჰანს გაემგზავრა. გამორიცხული არ არის, მეფეც ყოფილიყო დაინტერესებული პატრიარქის მამულების ხარჯზე სახასო (სამეფო) მიწების გაფართოებით. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მეფე-კათალიკოსს შორის ურთიერთობა მთლად რიგზე ვერ უნდა იყოს.

ირანის დედაქალაქიდან დომენტი კათალიკოსის მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ იგი სამშობლოში დევნას განიცდიდა. სამწუხაროდ, გაგზავნილი წერილის მოძიება ვერ მოხერხდა, მაგრამ პროპაგანდას საპასუხო წერილში ნათქვამია: „...ესეც უწყოდეთ, რომ დიდი ცოდვა იქნება თუ დაუტევეთ დევნულობის შიშით თქვენზე მონდობილი ქრისტეს სამწყსო, ვინაიდან წერილ არს: „მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათს“. უკეთუ როდისმე ატყდეს დევნულება და ერის სულიერმა სარგებლობამ მოითხოვოს თქვენი თავის განრინება, მაშინ თქვენც, იმ ზოგიერთის წმინდანების მაგალითისამებრ, დროებით ახლო ქვეყნებში სადმე მიეფარეთ, რათა იქიდან განსაცდელში მყოფ თქვენს სამწყსოს როგორმე შეენიოთ და კიდევ მიხვიდეთ, ნახოთ, როდესაც საშუალება მოგეცემათ. მაგრამ, თუ მტრის მიერ დევნულებამ იქამდე მიაღწიოს, რომ მაგ მხარეს უშიშრად ველარსად შეგეძლოთ დგომა, მაშინ მოდით რომს, სადაც თქვენდამი სავსე სიყვარულით პაპი ეგრეთის სახიერებით მიგიღებთ, როგორათაც სხვა ყველა ეპისკოპოსს, რომლებიც მოდიან ქვეყნის ყოველ მხრიდან, ამასთანავე პაპი დიდის სიყვარულით განიჭებთ მოციქულებრივ კურ-

<sup>1</sup> იხ: საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1450, დავთ. 31, ს. 90, გვ. 55-55<sup>ბ</sup>; ს. 138, გვ. 80-81<sup>ბ</sup>; შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II. თბ., 1983, გვ. 345; 493; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და... გვ. 119; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I, გვ. 158, დოკ. №223; საქართველოს სიძველენი. II. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1909, გვ. 321-322, დოკ. №271; გვ. 203-204, დოკ. №169; ტ. III, ტფ., 1910. გვ. 194-195, დოკ. №207 და სხვ.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 305, დოკ. 250.

<sup>3</sup> იხ: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 373, შენ: 5; დოკუმენტები საქართველოს სოციალური... ტ. II. გვ. 17-18; დოკ. №24; საქართველოს სიძველენი. I. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1899, გვ. 90-91, დოკ. №85; საქართველოს სიძველენი. III. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., გვ. 193-194, დოკ. 206; ქართული სამართლის ძეგლები. ის. დოლიძის რედ. ტ. IV, თბ., 1972, გვ. 219, დოკ. №145; გვ. 231, დოკ. №231; გვ. 237, დოკ. №162, გვ. 252-257, დოკ. №174; 175; 176 და სხვ; ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. ტ. VI, თბ., 1977, გვ. 636, დოკ. №324 და ა.შ.

თხევასო“.<sup>1</sup> წერილი დათარიღებულია 1711 წ. 24 იანვრით, მაგრამ ამ პასუხმა დომენტის ისპაჰანში ვერ ჩაუსწრო. პატრიარქმა ირანის დედაქალაქში მყოფ მამა-ბიძების წყალობით საკათალიკოსო სამფლობელოების დამამტკიცებელი ფირმანის მოპოვება შეძლო და 1708 წელს საქართველოში დაბრუნდა.

1710 წელს კახეთის მეფე დავით II იმამ-ყული ხანთანაც მიაღწია შეთანხმებას და კახელ ხელისუფალთა მიერ მისაკუთრებული საკათალიკოსო კახური მიწებიც ეკლესიას დაუმტკიცა. 1711 წელს დომენტისა და ვახტანგის უფროსი ძმა, ქართლის მეფე – ქაიხოსრო ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა და ვახტანგს მეფედ დასამტკიცებლად ირანში ჩასვლა მოსთხოვეს. ქართლში, ერთის ნაცვლად, ერთდროულად ტახტის მამძიებელი რამდენიმე პრეტენდენტი აღმოჩნდა: იესე, სვიმონი, ბაქარი; სათვალავში მისაღები იყო დომენტი კათალიკოსიც. ვახტანგმა ქართლის მმართველად სვიმონი დატოვა (1712-1714 წწ.).

ამ დროისათვის შაჰ ჰუსეინს რთული დღეები ედგა. აღმოსავლეთიდან ქვეყნის დედაქალაქს ავღანელები უტევდნენ, ამიტომ „...მისრულ წინაშე ყვენისა პატივცემულ იქნა დიდითა პატივითა ყვენისაგან (ვახტანგი – ი.ა.) და შეყურებული ფრიად ყვენისაგან სიკეთითა მისისათვის, და უთქმიდა მაჰმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრაფლ გამოტყეებასა“.<sup>2</sup> გამაჰმადიანებაზე ვახტანგმა კატეგორიული უარი განაცხადა და შაჰს თანხმობა მისცა, მეფობა მისი ერთ-ერთი გამაჰმადიანებული ძმისათვის გადაეცათ (იგულისხმებიან სვიმონი და იესე), თვითონ კი იქვე დარჩებოდა, მაგრამ ირანში ვითარება მალე კიდევ უფრო დამძიმდა. ამავე (1712) წელს სეფიანთა ირანის წინააღმდეგ ლეკების და დაღესტნის სხვა ხალხთა მძლავრი აჯანყება დაწყდა ჩრდილო-აზერბაიჯანში, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნას ისახავდა მიზნად. ამ აჯანყებას თურქეთმა აშკარა მხარდაჭერით ანტიირანული ხასიათი მისცა.<sup>3</sup> შაჰი ჩქარობდა, რადგან ვახტანგი ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდა, ამიტომ თანახმაც კი ყოფილა იგი ქრისტიან მეფედ დაებრუნებინა ქართლში, მაგრამ ამ განზრახვას წინ აღდგომიან კარისკაცები.

დროის გაჭიანურებით ისარგებლა ვახტანგის გამაჰმადიანებულმა ძმამ იესემ და თბილისში მყოფ ყიზილბაშთა მეშვეობით, ირანში ვახტანგის მაკომპრომატირებელი საბუთების გაგზავნა დაიწყო: თითქოს ვახტანგმა ყველას დასანახავად, ყურანი მინაზე მოისროლა და შემდეგ

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 307-308.

<sup>2</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 491-492.

<sup>3</sup> მ. პაპაშვილი. დაღესტნის როლი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში 1722-1724 წწ. – საქართველო და ევროპის ქვეყნები. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები. V. თბ., 1991, გვ. 134.



ცეცხლში დანვა.<sup>1</sup> მდგომარეობის შესასწავლად შაჰმა თბილისში ვინმე ხოლოფა გამოგზავნა. მას უფლება მიეცა, თუ სათანადო პირობები შეექმნებოდა, ქართლი თვითონ დაეპყრო, გამგე სვიმონი კი ირანში გაეგზავნა. ამ ფაქტმა სვიმონ ბატონიშვილიც ამოქმედა. იგი ხოლოფას „შეეკრა“, ვახტანგისადმი მტრულად განწყობილ არაგვისა და ქსნის ერისთავებს დაუკავშირდა და გიორგი ერისთავთან მოყვრობა გააფორმა.

პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩაერთო დომენტი კათალიკოსიც. მისი ინიციატივით საეკლესიო კრება მოუწვევიათ, რომელსაც გადაუწყვეტია, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ნება დაერთოთ ვახტანგისათვის მაჰმადიანობა ელიარებინა, რათა ხოლოფა ირანშივე გაეძევებინათ. სასულიერო პირების ასეთ გადაწყვეტილებას პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევია: „ეჰა უცხო, რამეთუ ქრისტესათჳს იძულებულისა ვახტანგისათჳს ნება-მონშობა სცეს კათალიკოზმან, ეპისკოპოსთა და სამღვდელთამანო,“ – ამბობს ვახუშტი.<sup>2</sup> ჩვენი აზრით, საეკლესიო კრებას ასეთი გადაწყვეტილება იოლად არ უნდა მიეღო და მისი სასწრაფო წესით მონვევა იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ „ხოლოფასთანა შეიზრახნენ სვიმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტსა ზედა“.<sup>3</sup>

როგორც ჩანს, ვახტანგის ირანში ყოფნა და არსებული სტატუსკვო სვიმონს ხელს აძლევდა, რადგან ამით ქართლის ტახტს, მართალია, უგვირგვინოდ, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა. სწორედ ამიტომ მიიჩნია პლატონ იოსელიანმა სამღვდელოების ეს შეკრება ვახტანგისადმი გამოსარჩლებლად. „Все духовенство вступили за Вахтанга“-ო, – წერს იოსელიანი.<sup>4</sup> სვიმონის მიერ დომენტის შეპყრობას, პატრიარქის ვახტანგისადმი მხარდაჭერად აღიქვამს პ. კარბელაშვილიც, რომელიც სვიმონის პირით კათალიკოსს ბრალდებას უყენებს: „სპარსეთში მყოფ ვახტანგს რად ემხრობოდით“.<sup>5</sup> წესით, ეს ამბავი არც ვახუშტი ბატონიშვილს უნდა გაჰკვირვებოდა. მისმა პაპა-ბიძებმა სამეფო ტახტი და დიდი თანამდებობები ირანში, სწორედ რჯულის დათმობის ფასად მიიღეს, მაგრამ ქართული ეკლესია ამას ეგუებოდა.

ჯოხი ხომ ვილაცაზე უნდა გადატეხილიყო. იესე უკვე გაშიიტებული ალი-ყული-ხანი იყო, ხოლოფა – შაჰის კაცი, ხოლო სვიმონი – მასთან „შეკრული“ და წრედიც შეიკრა. რადგან საეკლესიო კრების გადაწყვეტილება ყველა მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, ყველაფერში „დამნაშავედ“ მისი ინიციატორი – დომენტი კათალიკოსი ჩათვალეს, ამი-

<sup>1</sup> **Пл. Иоселиани.** Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан. Тифлис, 1849. გვ. 70.

<sup>2</sup> **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 493.

<sup>3</sup> **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 492.

<sup>4</sup> **Пл. Иоселиани.** Исторический взгляд., გვ. 70, შენიშვნა 1.

<sup>5</sup> **პ. კარბელაშვილი.** იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 134.

ტომ, სვიმონმა ღვთის შიში დაივიწყა, „შეიპყრა კათალიკოზი ზაკვით და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოეხადა თვალნი“.<sup>1</sup> არც იესე ტლაშაძეს გამორჩენია მხედველობიდან ის გარემოება, რომ კათალიკოსი სწორედ მათ განირეს, ვისზედაც ამაგი ჰქონდაო და კათალიკოსის პირით ამბობს:

„ან ჩემნი ყმანნი შეითქვენეს, ჩემს დაჭერასა ჩქარობდეს  
ვიზედაც კარგი რამ მექნა, ჩემს ნაჯდენასა ხაროდეს,  
ღვთის მეტი მშველი არა მყავს ან და მიშველის ძმა როდეს“.<sup>2</sup>

კათალიკოსის შეპყრობას, ცხადია, დიდი რეზონანსი ექნებოდა და რაიმე საბაბი უნდა გამოძებნილიყო. ვილაცას „გახსენებია“, რომ 1709 წელს კათალიკოს დომენტის მეფობის სურვილი გასჩენია, რის გამოც, ცოლის შერთვასა და მაჰმადიანობის მიღებაზეც თანახმა ყოფილა. მამისს – ლევანს, მხოლოდ ფეხისგულებზე ჯოხის ცემით ამოუღებინებია მისთვის გულიდან ეს წადილი. ეს ვერსია ეკუთვნის ისპაჰანის კათოლიკური მისიონის მეთაურს, პოლონელ ტომას კრუშინსკის.

სხვა ცნობით, თითქოს დომენტი კათალიკოსს წადილისათვის მიუღწევია. იგი თბილისის ციხის-უბანში გაემურა, რათა თავი მეფედ გამოეცხადებინა, მაგრამ ქართველებს მისი განზრახვა შეუტყვიათ და გაუგზავნიათ „ექსორიად“, ხოლო მეფობა იესესათვის დაუმტკიცებიათ.<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ცნობის ავტორად მიჩნეულია სულხან-საბა ორბელიანი. რა ამოძრავებდა სულხან-საბას ამ შემთხვევაში ქვემოთ ვიტყვით. მთელ რიგ მიზეზთა გამო, ვერც ერთ ზემომოტანილ ცნობას ვერ გავიზიარებთ. დავინყოთ იმით, რომ ეს ორი ცნობა ქრონოლოგიურად არათავსებადია. პირველი 1709 წ. გაზაფხულზე გვიან ვერ მოხდებოდა (ლევანი გარდაიცვალა 1709 წ. 13 ივნისს), ხოლო მეორე - 1714 წელზე ადრე (ამ წელს გაამეფეს ქართლში იესე). როგორც ითქვა, პირველი ცნობის ავტორი ისპაჰანის კათოლიკური მისიონის მეთაური კრუშინსკია. პოლონელი მისიონერის პირველწყარო, ირანის დედაქალაქში მოღვაწე კათალიკოსის ოპონენტი რომელიმე ქართველი უნდა ყოფილიყო, რადგან კრუშინსკი ისპაჰანში მხოლოდ 1715 წელს ჩავიდა<sup>4</sup> და ამ ამბავს ვერ შეესწრებოდა.

მეორე – არც ერთი ქართული პირველწყარო (ვახუშტი ბატონიშვილი, სეხნია ჩხეიძე, იასე ტლაშაძე) ამ ფაქტს არ ადასტურებს. არადა, თითოეულ მათგანს ეს ამბავი (თუ ნამდვილად მოხდა) დეტალებში უნდა სცოდნოდა. (ვახუშტი ბატონიშვილი კათალიკოსის ძმისწული იყო,

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 493.

<sup>2</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი. *ე. თაყაიშვილის* გამოცემა. ტფ., 1895, გვ. 49, სტროფი 316.

<sup>3</sup> ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, ტ. I. თბ., 1967, გვ. 152.

<sup>4</sup> ლ. ტარდი. ქართველები 1711-1725 წ.წ. ავღანეთ-სპარსეთის ომებში. – *საქართველო და ევროპის ქვეყნები*. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობები. V. თბ., 1991, გვ. 118.

სეხნია ჩხეიძე – სამეფო გვარის ისტორიკოსი, ხოლო იასე ტლაშაძე – მისი მემკვიდრე). პირიქით, ტლაშაძის პირით კათალიკოსი აცხადებს კიდევ: „*მე მამიგონეს ტყუილი, კაცის ყურს სმოდეს აროდესო*“.<sup>1</sup>

მესამე – დომენტი კათალიკოსმა კარგად იცოდა, რომ მღვდელმთავრის (ისიც გამაჰმადიანებულის) მეფობას საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ ჰქონდა და მისთვის ამ პრეცედენტს არავინ დაუშვებდა.

მეოთხე – მისი დამოკიდებულება მაჰმადიანობისადმი კარგად ჩანს ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნისას, 1708 წელსვე რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც პატრიარქი წერს, რომ „იგი იცნობს რომის ეკლესიის პრიმატობას და წმ. პეტრესა და ქრისტეს ყველა ნამდვილი მიმდევრის, ე. ი. რომის პაპისა და ყველა სხვა პატრიარქისა და საეკლესიო პრელატის უპირატესობას ...და სანამ სპარსეთის მეფის კარზე იქნება, ამას უქადაგებს სხვებსაც და დააჩქარებს მისგან განდგომას, არასოდეს მიიღებს მაჰმადიანობას და ეცდება, რაც შეიძლება მალე გაიქცეს რომში“.<sup>2</sup> ამავე წლის 13 აგვისტოს ისპაჰანში მყოფი კარმელიტანი პატრი ბასილი, პროპაგანდასადმი გაგზავნილ წერილში ამბობს: „...პატრიარქი (იგულისხმება დომენტი – ი.ა.) იწერება რომ მზად არის დაემორჩილოს პაპს, რომელსაც სცნობს ეკლესიის თავად და იესო ქრისტეს მონაცვლედ, ამიტომ სპარსეთის მეფეს ძალა დაუტანებია სარწმუნოების უარის საყოფელად, მაგრამ სრულებით არ დათანხმებია, არამედ ცდილობს გამოიპაროს იქიდან და მოვიდეს აქ, რათა პაპის წინაშე აღიაროს კათოლიკე სარწმუნოება“.<sup>3</sup> ამას გარდა, მთელი ცხოვრება დომენტის ენერგია მიმართული იყო ქრისტიანობის გადარჩენისა და დამკვიდრების მიზნით, რაც კარგად ჩანს ზემოთ მოტანილი უამრავი საბუთიდან;

მეხუთე – 1709 წლისათვის, ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ: გიორგი XI (დომენტის ბიძა, ქართლის ოფიციალური მეფე), ლევანი (მამა), ქაიხოსრო (უფროსი ძმა, ქართლის მეფე 1709-1711 წწ.), ვახტანგ VI-ს რომ თავი დავანებოთ, ამიტომ კათალიკოსის გაცხადებული „სურვილი“ მეფობის შესახებ, ძალზე არა დამაჯერებლად გამოიყურება და ლოგიკაში არ ჯდება.

დაბოლოს, მეფეებს რომ თავი დავანებოთ, არა გვეგონია სასულიერო წოდება შეგუებოდა მეფობისა და „მაჰმადის რჯულის“ მოსურნე კათალიკოსს. არ დაგვავიწყდეს, სულ რამდენიმე წლის წინ, მათ წინა პატრიარქს „სოფლურება“ არ აპატიეს, ხოლო კიდევ ერთ კანდიდატს – უმეცრება, არათუ ერის სულიერი მამის „მკრეხელობები“ აეტანათ.

<sup>1</sup> **იესე ტლაშაძე.** კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 49.

<sup>2</sup> *მიხეილ თამარაშვილი.* რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს **ზაზა ალექსიძემ** და **ჯუმბერ ოდიშელმა.** თბ., 1995, გვ. 430, სქოლიო 1.

<sup>3</sup> **მ. თამარაშვილი.** ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 306.

ვ. დონდუა სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ კათალიკოსის შეუფერებელი „ახირებები“ ხოლოფას ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს და იგი მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა.<sup>1</sup> მართლაც, მიუხედავად თავისი „ანეგდოტურობისა“,<sup>2</sup> კრუშინსკის ვერსია, ვინც კი ამ თემას შეეხო, სხვადასხვა ინტერპრეტაციით უმეტესობამ გამოიყენა.<sup>3</sup> შეუძლებელია, დომენტი კათალიკოსის მხრიდან ამგვარი სურვილის შემთხვევაში, ვახუშტის მინიშნებით მაინც არაფერი ეთქვა, პირიქით, მას მხედველობიდან ისიც კი არ რჩება, რომ სვიმონმა ღვთის შიში დაივიწყა და მის მიერ კათოლიკოსის შეპყრობა „ზაკვით“<sup>4</sup> მოხდა.

ლოგიკურად, კათალიკოსის გასამეფებლად ყველაზე ხელსაყრელი დრო ახლა იყო, რადგან ვახტანგი გამაჰმადიანებაზე არ თანხმდებოდა და მეფობის საკითხი სვიმონსა და იესეს შორის ისპაჰანში სავაჭრო თემად იქცა. როგორც ზემოთ ითქვა, საეკლესიო კრების დასტური ვახტანგის გამაჰმადიანებაზე მხოლოდ იმის შედეგი იყო, რომ სვიმონი და ზოგიერთი დიდგვაროვანი ხოლოფას ვახტანგის სანინააღმდეგოდ „შეეკრნენ“, რის გამოც, შესაძლოა, ქვეყანა „ორიანობის“ მსგავსად, კვლავ დაპირისპირებულ მხარეებად დაყოფილიყო და ძმათამკვლელ ომში ჩაბმულიყო, მაგრამ, როგორც ითქვა, დომენტის ამგვარი მცდელობის შესახებ, იმდროინდელი ქართული წყაროები არ მიაწიშნებენ.

კათოლიკე მისიონერთა „ფანტაზიები“ დომენტი კათალიკოსის „ამბიციების“ მიმართ, კიდევ უფრო შორს წასულა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი დ'ისუდენის წერილი (08. 06. 1714 წ.), მითითებულ ადგილას არ მთავრდება. შემდეგ ნათქვამია, რომ შაჰმა „სიამოვნებით მიიღო ეს ახალი ამბავი და მაშინათვე გაგზავნა შიკრიკები, რათა წაეღოთ საჩუქრები ამ პატრიარქისათვის წერილებთან ერთად, რომლებშიც იგი მას აღუთქვამს დააკმაყოფილოს ის მთლიანად, როცა კი იგი გამაჰმადიანდება. საქართველოს თავადებმა შეიტყვეს რა ის, რაც ხდებოდა, შეიპყრეს პატრიარქი და იგი კარგად ჰყავთ დაცული მხარეში, რომელსაც ეწოდება ოსეთი, საიდანაც სპარსეთის შაჰს არ შეუძლია

<sup>1</sup> ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, გვ. 153-155.

<sup>2</sup> ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, გვ. 152.

<sup>3</sup> მაგ. ცნობილ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს ეს ამბავი საეჭვოდ არ მიაჩნია და წერს: „ვახტანგის ძმისწულმა საქართველოს პატრიარქმა ისურვა ცოლის შერთვა და მაჰმადის სჯულის მიღება, მაგრამ იმისმა მამამ, ისპაჰანის მსაჯულთ-უხუცესმა და სარწმუნოებით მუსულმანმა, რომელიც შემდეგ მცირე დის ჟამისა კათოლიკედ აღესრულა (შენიშვნაში განმარტებულია, რომ იგულისხმება ქაიხოსრო. სინამდვილეში საუბარია ლევანზე – ი.ა.), აღმოჰკვეთა იმის ეს წადილი მკაცრის ცემითაო“. იხ: დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე. ტფ., 1880, გვ. 33.

<sup>4</sup> სულხან-საბას მიხედვით, ზაკვა არის პირით სიყვარულს იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს. იხ: სულხან-საბა-ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ. I. თბ., 1991, გვ. 275.

იქიდან გამოყვანა“.<sup>1</sup>

1714 წ. 29 ოქტომბერს ასევე კათოლიკე პატრი ჟან რიშარი იტყობინება: „ეს-ეს არის მივიღე თავრიზში მისიების წინამძღვრის მამა პიერ დ'ისუდენის წერილი, რომელიც მე მაგებინებს მრავალ დაწვრილებით ცნობას, რომელიც შეეხება საქართველოს მეფე ვახტანგს... სხვათა შორის ის მე მაგებინებს, რომ მათ თვალეები დასთხარეს საქართველოს პატრიარქს (იგულისხმება დომენტი კათალიკოსი – ი.ა.), იმისათვის, რომ მან მოისურვა გამხდარიყო მაჰმადიანი და ამით ხელთ ეგდო საქართველო“.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ჟან-რიშარის ინფორმაციის წყაროც პიერ დ'ისუდენია და იგივე საინფორმაციო ველი მოქმედებს. რაც შეეხება კათალიკოსისათვის თვალეების დათხრას, ეს მართლაც კათოლიკე პატრების ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს.

ახლა ვნახოთ, ვისგან იღებდნენ ფრანგი კათოლიკე პატრები „ცხელ-ცხელ“ ამბებს დომენტი კათალიკოსის შესახებ. სხვათა შორის, კონსტანტინოპოლში ჩასული პატრიარქი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ პირადი მტრები ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან წამოვიდა, აქაც (კონსტანტინოპოლში) არ ასვენებენ:

*„ნეტარ რას მემართლებიან, დავაგდევ ქართლის არეო,  
გამოვეცალე მტერებსა, დღივ და ღამ სულ ვიარეო,  
არც აქ დამესხენ, სნადიან მაჭამონ ლუკმა მწარეო,  
და ყველგან ამიტყდა ეშმაკი, სად თავი მოვაფარეო!“<sup>3</sup>*

კათალიკოსი სხვაგანაც მიუთითებს, რომ „ქართლში მტრები ჰყავს“, რომელთაც ძმებს შეაძულეს და ისეთი ტყუილი დასწამეს, რომელიც „კაცის ყურს სმოდეს აროდეს“. მიუხედავად იმისა, რომ იგი მტრებში კონკრეტულად მხოლოდ ახალციხის ფაშას ასახელებს,<sup>4</sup> იმავე რიშარის მიერ 1715 წ. 2 აპრილით დათარიღებულ რელაციიაში ამ კითხვას პასუხი ეცემა: „ბატონი სულხან-საბასაგან მეც მივიღე წერილი. იგი ადიდებს უფალს იმისათვის, რომ ამ დროს არ იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც იქ პატრიარქს თვალეები დასთხარესო“.<sup>5</sup> რა საერთო უნდა ჰქონოდა სულხან-საბას პიერ დ'ისუდენსა და ჟან რიშართან და რა უნდა გამხდარიყო მისი დომენტი კათალიკოსთან დაპირისპირების მიზეზი?

ჟან რიშარს, ჯერ კიდევ 1711 წ. აგვისტოში თბილისში ყოფნის დროს გაუცვინია ვახტანგ VI და სულხან-საბა. იქვე შემდგარა მათ შორის პირველი საუბარი საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მეფის ისპაჰანში წასვლის შემდეგ (1712 წ.), მათ შეუერთდათ პიერ

<sup>1</sup> ილ. ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში და საქართველო-საფრანგეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I. თბ., 1996, დოკ. №43, გვ. 220.

<sup>2</sup> ილ. ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 266; დოკ. №63.

<sup>3</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 32, სტროფი 191.

<sup>4</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 26, სტროფი 153-154.

<sup>5</sup> ილ. ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 280-281, დოკ. № 64.

დ'ისუდენიც. ცნობილია, რომ ევროპაში წასვლამდე, სულხან-საბა მცირე ხნით საქართველოში დაბრუნდა. საფრანგეთში წასაღები წერილები ვახტანგ VI-ს რიშარისთვის გამოუტანებია სულხან-საბასთვის გადასაცემად. მათი შეხვედრა მომხდარა გორში. სწორედ აქედან გაემგზავრა ხსენებული წყვილი ევროპაში 1713 წ. 17 აგვისტოს. ამის შემდეგ, რიშარი მთელი მოგზაურობის მანძილზე გვერდით ახლდა საბას.

ვფიქრობთ, მეორე კითხვასაც გაეცემა პასუხი, თუ გავითვალისწინებთ, რას ჰპირდებოდა სულხან-საბა რომის პაპსა და საფრანგეთის მეფეს საქართველოს დახმარების სანაცვლოდ. საფრანგეთის სახელმწიფო მდივნის – გრაფ ლუი ფილიპო პონმარტრენის 1714 წ. 30 აპრილით დათარიღებულ წერილში ნათქვამია: „...მისი (იგულისხმება სულხან-საბა – ი.ა.) მისიის მიზანია წაიყვანოს თავისთან ერთად რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მისიონერები, იმისათვის, რათა გაანათლოს თავისი ქვეყნის ხალხი კათოლიკური სარწმუნოების საფუძვლებით, რომელსაც ის შემოქმედებითად აღიარებს“.<sup>1</sup> სხვა წერილში (17.11.1713) ხსენებული რიშარი აღნიშნავს: „...მე ვნახე სულხან-საბა, საქართველოს მეფის ბიძა, რომელმაც უკვე რამდენიმე წელია წმ. ბასილის მონაზონის სამოსელი მიიღო, მას შემდეგ, რაც თავის ძმებს მისცა დიდი სამფლობელო, რომლის ბატონიც იგი იყო, რათა მას შესძლებოდა უფრო თავისუფლად ეღიარებინა კათოლიკური სარწმუნოებაო“.<sup>2</sup>

ქართველი ელჩის მიერ პაპისა და საფრანგეთისადმი მიცემული პირობა, ბუნებრივია, კათალიკოსისათვის მიუღებელი იყო, ხოლო კათოლიკე მისიონერთა სიმპათია, დომენტისა და სულხან-საბას შორის, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის მხარეს იქნებოდა, რადგან სულხან-საბას ავტორიტეტის გამო, მისიონერებიც ცდილობდნენ დიდი ქართველი მოღვაწის კათოლიციზმზე მოქცევა თავიანთ დამსახურებად გამოეცხადებინათ.<sup>3</sup> ანგარიშგასანევია პროფ. ე. მამისთვალისძვილის მოსაზრება: სულხან-საბას მოქმედება ვახტანგის მონინაალმდევე რეაქციონერი ფეოდალებისათვისა და ირან-ოსმალეთის მმართველებისათვის იმგვარი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, თითქოს იგი თავისი მეფის დაუკითხავად გაიპარა ევროპაში, ნაკარნახევი იყო იმით, რომ ირანში მყოფი მეფისათვის მოსალოდნელი გართულებები თავიდან აეცილებინა.<sup>4</sup>

ამ ამბების შემდეგ, კათალიკოსი სულხან-საბასადმი კეთილმოსურნე ვერ დარჩებოდა. გიორგი ლეონიძის აზრით, სწორედ დომენტი უნდა ყოფილიყო „მთავარი ორგანიზატორი და შთამაგონებელი იმ ინ-

<sup>1</sup> ილ. ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 195; დოკ. № 30.

<sup>2</sup> ილ. ტაბალუა. საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 104; დოკ. № 6.

<sup>3</sup> ე. მამისთვალისძვილი. სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკეთა მრწამსის აღიარებისათვის. – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №4, თბ., 2013, გვ. 79.

<sup>4</sup> ე. მამისთვალისძვილი. რატომ „გაიპარა“ სულხან-საბა ევროპაში? – ქართული დიპლომატია, ნელინდეული, 4. თბ., 1997, გვ. 289.

კვიზიციისა, რომელიც საბას გაუმართეს ევროპიდან დაბრუნების შემდეგ“ და მოჰყავს ამონარიდი საბას ერთ-ერთი წერილიდან: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომენია ვალის მიცემასა“.<sup>1</sup> ავტორი, დომენტი კათალიკოსს სვიმონ-იასეს ბლოკის ნევრად განიხილავს და ვახტანგ VI-ისა და შესაბამისად, სულხან-საბას წინააღმდეგ დაპირისპირებულ ძალად მიიჩნევს. იგი არ გამორიცხავს, რომ „შესაძლოა ეს ბრძოლა სვიმონისა და იასეს ძალდატანებითაც იყოს მომხდარი, მაგრამ ერთი უეჭველია, მას ეკლესიის მეთაურის ხელი აწარმოებდაო“.<sup>2</sup>

გამორიცხული არ არის, დომენტი კათალიკოსსა და სულხან-საბას შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი, პოლიტიკურ-რელიგიურთან ერთად, ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობაც ყოფილიყო. ცნობილია, რომ ორბელიანები (ყაფლანიშვილები) ქვემო ქართლში უძლიერესი ფეოდალები იყვნენ. ამ გვარს, 1721 წლის აღწერით ჰყავდა: 29 უყმო აზნაური, 1107 გამომღები (გადასახადების გადამხდელი) და 266 ბოგანო კომლი გლეხი.<sup>3</sup> ქვემო ქართლში ყმებსა და სოფლებს დომენტი კათალიკოსიც ფლობდა<sup>4</sup> და საეკლესიო მამულების გაფართოებასაც ცდილობდა. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ (1715 წ. აპრილი), სულხან-საბასა და ვახტანგ VI-საც შორისაც დაიძაბა ურთიერთობა. როგორც საბა ამბობს: „ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განხეთქილება ჩამოაგდეს. მეფე მას (საბას – ი.ა.) და მის ძმათზე უბრალოდ მწყობრელი შექნეს“.<sup>5</sup> ძნელი სათქმელია, ვის უწოდებს საქართველოს დესპანი „ჩხუბიან კაცებს“. ალბათ, მათში ის ადამიანები უნდა ვიგულისხმოთ, ვინც, საბასავე თქმით: „რომში წასვლისათვის გაუმტერდნენ“. ასეთ შემთხვევაში კვალს ისევ დომენტი კათალიკოსამდე მივყავართ.

მივუბრუნდეთ ისევ ვახტანგ VI-სა და ზემოაღნიშნულ საეკლესიო კრებას. რიგ მეცნიერთა ნაწილი, კათალიკოსისა და საეკლესიო კრების გადაწყვეტილებისადმი პირდაპირ გამოძახილად აღიქვამს ვახტანგ VI-ის ლექსს „საღბუნად გულისა“, სადაც მეფე-პოეტი ამბობს:

*„ერთა ღმერთი არ ინამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,  
არას კერპსა არ უქნია, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს  
მოლა ღმერთსა მახვეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,  
და ჩემს ცოლშვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს  
თუცა ვიყავ ამათს სჯულზე, მაშ ესენი რას მტერობდენ?  
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ ისინი რათ მაქრობდენ?“*

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანი. თბ., 2004, გვ. 111.

<sup>2</sup> გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანი, გვ. 111.

<sup>3</sup> ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ნაწ. I და II. თბ., 1935, გვ. 138.

<sup>4</sup> ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი XVIII საუკუნის.., გვ. 372, დოკ. 841.

<sup>5</sup> გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე, გვ. 96.

და მილთონთა ვსჩან მეფედ მათად,  
თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ“.<sup>1</sup>

ჯერ ერთი, ეს ლექსი მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფი მეფის ზოგადი ჩივილია სანუთროს ამოებაზე და მასში კონკრეტულად კათალიკოსის წინააღმდეგ არაფერია ნათქვამი. და მეორეც, დაპირისპირების შემთხვევაში, ვახტანგ VI სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1719 წ.) მაინც, დომენტის კათალიკოს-პატრიარქის სახელოს ჩამოართმევდა, რასაც ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მეფემ კათალიკოსი არათუ თანამდებობიდან გადააყენა, არამედ ძველი წყალობებიც კი განუახლა.<sup>2</sup>

უნდა შევნიშნოთ, რომ შორეულ ისპაჰანში, თითქმის ტყვეობაში მყოფი მეფისათვის, სადაც თითოეული მასთან შემსვლელ-გამომსვლელის სიტყვა-პასუხი შაჰის მსტოვრების მიერ მკაცრად კონტროლდებოდა, ქართველ მღვდელ-მთავართა გადაწყვეტილება – სჯულის დათმობის ფასად მეფობის შენარჩუნების შესახებ, მართლაც ძნელი ასახსნელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ ცხელ გულზე დაუნერია ზემოთქმული ლექსი. არც ის არის გამორიცხული, ვახტანგის მიერ ქართველ მღვდელთმთავართა ნააზრვეის არასწორი გაგება იმ დროს ისპაჰანში მყოფ იესეს ინტრიგების შედეგი იყოს. პატიმრობაში მყოფი ვახტანგის მძიმე სულიერი განწყობილება ჩანს ევროპაში სულხან-საბასადმი გაგზავნილი წერილიდანაც, სადაც მეფე აღნიშნავს: „...ვერ ვბედავ და ჩემის ხელით ვერაფერს ვნერ, რადგან მეშინია ჩემის ძმის არტილერიის გენერალის იესესი, რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამთქასო“.<sup>3</sup> როგორც წერილიდანაც ჩანს, იმ დროისათვის ისპაჰან-თბილისში, ქართლის საკითხების გადაწყვეტისას, ყველაზე მეტი „წონა“ იასე-სვიმონის ბლოკს ჰქონდა და ისინიც მოხერხებულად „ხლართავდნენ“ სიტუაციას.

რაც შეეხება, სვიმონ-დომენტის დაპირისპირებას, დომენტის მხარესაა რუსუდან დედოფალი (ვახტანგ VI-ის მეუღლე – ი.ა.), რომელმაც სვიმონის ბრძანებაზე, კათალიკოსისათვის თვალნი აღმოეხადნათ, „არა ჰყო ესეთ“ და დომენტი პატივით მიიღო. პატრიარქს უმცროსი ძმისთვის ცოდვა ვერ შეუნდია და დაუნყევლია.<sup>4</sup> სვიმონს კათალიკოსის წყევლა მალე აუხდა. „მოისრნენ ცოლ-შვილნი და მსახურნი მისნი მომსრველთა ჟამითა, რომლისას იტყოდნენ კრულვითა კათალიკოზისათა ყოფასა“.<sup>5</sup> როგორც კი ხოლოფა-სვიმონის ალიანსი გამომჟღავნდა და ამ უკანასკნელის მიერ, ძმა-პატრიარქის მიმართ უკადრისი ბრძანების ამბავმა შაჰის კარზე ჩააღწია, სვიმონი „თანამდებობისათვის უვარგის

<sup>1</sup> ვახტანგ მეექვსე. ლექსები და პოემები. თბ., 1975, გვ. 33, სტროფები 93, 94.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები..., ტ. VI, გვ. 688, დოკ. №354; დოკუმენტები საქართველოს სოციალური..., II. გვ. 22, დოკ. № 30.

<sup>3</sup> მ. თამარაშვილი. ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, გვ. 317.

<sup>4</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 493.

<sup>5</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 496.



კაცად“ მიიჩნის.<sup>1</sup> იესე ისპაჰანში დაიბარეს და გაამეფეს, მაგრამ აღ-  
თქმა დაადებინეს, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე ქართლიდან  
მოიცილებდა და ირანში გააგზავნიდა სვიმონს, რომელიც „ბოროტად  
ხმარობდა [განმგის] უფლებას“.<sup>2</sup>

იესეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ვახტანგის მეუღლე  
რუსუდანი და ბატონიშვილები რაჭას გადაიხვეწნენ, ხოლო დომენტი  
ქართლში დაბრუნდა. სვიმონის მიერ პატივაცარიელ კათალიკოზს, იესემ  
„პატივ-სცა და დაადგინა კუალად კათალიკოზად“.<sup>3</sup> თუმცა, მღვდელთ-  
მთავარს იესეს უგვანო ქცევებზე თვალი მაინც არ დაუხუჭავს და რო-  
ცა ალი-ყული-ხანმა თავისი ნათესავი (ბებუის ძმის წული) შეირთო ცო-  
ლად, „ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოსთა“.<sup>4</sup> იესემ თავისი მოქმედებით  
ქართლში მალე ბევრი მტერი გაიჩინა. მისი კანდიდატურა „ყეენისათვი-  
საც“ მიუღებელი აღმოჩნდა. ამას თან დაერთო ისიც, რომ 1716 წელს,  
ოთხნლიანი წინააღმდეგობისა და სულხან-საბას ევროპაში უშედეგო  
ელჩობის გამო, ვახტანგი დათანხმდა მაჰმადიანობის პირობით მეფობის  
მიღებას. მას მეფობა მისცეს, მაგრამ ბიძა-ძმის მსგავსად, სამშობლოში  
არ გამოუშვეს და 3 წელი ირანში ჰყავდათ. ამ ხნის მანძილზე (1716-  
1719 წწ.) ქართლს მისი ვაჟი – ბაქარ ბატონიშვილი მართავდა.

1719 წელს ვახტანგ VI სამშობლოში დაბრუნდა. მეფეს საზეიმო  
დახვედრა მოუწყვეს და წესისამებრ მიეგებნენ ბაქარ ბატონიშვილი,  
რუსუდანი დედოფალი, სადროშოების მიხედვით დანყობილი ლაშქარი,  
„მერმე სამლუდელი დასნი, კათალიკოზი, ბატონის შვილი, ძმა მეფისა  
დომენტი და სრულიად ეპისკოპოსნი“.<sup>5</sup> ვახტანგმა ჩამოსვლისთანავე  
მონინააღმდეგეთა მიმართ რეპრესიები დაიწყო. ზოგიერთი თოფით  
„დახურიტა“, რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდნენ ბაგრატი ციციშვი-  
ლი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე... ისინი მხოლოდ  
კათალიკოსმა იხსნა სიკვდილისაგან, მაგრამ, მეფის ბრძანებით „განყი-  
დეს ოსეთს თხებთა ზედა“.<sup>6</sup>

ამასობაში ავღანელებმა ისპაჰანს ალყა შემოარტყეს და შაჰ-ჰუსე-  
ინის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ირანის მბრძანებელი ამაოდ მო-  
უწოდებდა ქართლის მეფეს დახმარებისაკენ. ამის საპირისპიროდ, ვახ-  
ტანგი მტკიცედ დაადგა ჯერ კიდევ ირანში დაწყებულ რუსეთთან და-  
ახლოების კურსს. უფრო მეტიც, პეტრე I-თან შეთანხმების მიხედვით,  
მან ირანის დაპყრობა და იქ რუსების მოიმედე კაცის დასმა განიზრახა,

<sup>1</sup> ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, გვ. 159.

<sup>2</sup> მარი ბროსე. საქართველოს ისტორია, თარგმანი ს. ლოლობერიძის მიერ, ნაწ.  
II. გვ. 56.

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 494.

<sup>4</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 494.

<sup>5</sup> სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. ტფ., 1913.  
გვ. 31.

<sup>6</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 497.

40 ათასიანი ქართულ-სომხური ჯარიც შეკრიბა და განჯაში ელოდებოდა რუსის ჯარს, მაგრამ პეტრე I-მა კასპიის ლაშქრობა მოშალა და ოსმალეთთან საიდუმლო ხელშეკრულებაც გააფორმა, რომლის ძალით „მთელი პროვინცია გეორგია, რჩებოდა უმაღლესი პორტას ხელში“.<sup>1</sup>

ამ ამბის გაგებამ ვახტანგ მეფეს თავზარი დასცა, ახლა ყველა მისი მტერი იყო: ოსმალეთი, ირანი, დაღესტანი, იესე, კახეთის მეფე კონსტანტინე და ქართლის თავადთა საკმაო ნაწილი, რომელიც ვახტანგის რუსეთისადმი ნდობას ყოველთვის ეჭვით უყურებდა, მათ შორის იყო დომენტი კათალიკოსიც. უარით აღშფოთებულმა ირანის შაჰმა ქართლი ვახტანგს ჩამოართვა და კახეთის მეფე კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანს გადასცა. მან 6 ათასი ლეკი დაიქირავა, 1723 წ. 4 მაისს თბილისი აიღო და გაძარცვა.

თბილისის აღებისას დომენტი კათალიკოსი კიდევ ერთხელ ეხვევა სკანდალში. ამჯერად ინფორმაციის ავტორები სომეხი მემატრიანეები არიან. აბრაამ ერევანეცის ცნობით, მაჰმად-ყული ხანს „აზრად ჰქონდა მოულოდნელად, ღამით დასხმოდა თავს, რათა ქალაქის კარები უურდულოდ, დაუკეტავი დახვედროდა, თავისი ჯარისკაცითურთ სწრაფად შეჭრილიყო შიგ და ყველა ბოროტი საქმე სწრაფად, ერთ საათში დაესრულებინა. ამ საქმეში მას თავის მშველელად ჰყავდა ქართველი კათალიკოსი, რომელსაც ფარული ცბიერებით შიგნიდან უნდა გაეცა ქალაქი. ამისთანა საქმეზე მან თანხმობა მისცა იმის გამო, რომ მაჰმად-ყული, რომელიც (სარწმუნოების) უარმყოფელი იყო, მას ენათესავებოდა და წერილობით და სიტყვით კახეთის მხარეს საჩუქრად ჰპირდებოდა, თუკი მისი ღალატის საშუალებით მცხეთასა და ვაღდანს (ვახტანგს – ი.ა.) ხელთ ჩაიგდებდა. თითონ კათალიკოსიც დიდებულებს ეკუთვნოდა და საქართველოს ზოგიერთ მხარეებზე საერთო უფლებითაც სარგებლობდა. ახლა სურდა დამატებით კახეთითაც გამდიდრებულიყო.“<sup>2</sup>

კიდევ უფრო დანვრილებით გადმოგვცემს თბილისის აღებას იმდროინდელი ანონიმი სომეხი ქრონიკი. მისი ცნობით, მას შემდეგ, რაც ირანის შაჰმა ქართლი მეჰმედ-ყული ხანს ჩააბარა, ვახტანგი ქალაქიდან გამოვიდა ჯარით და კონსტანტინეს წინააღმდეგ თვითონ დაიძრა. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ „გატეხილ ხიდთან“, ვახტანგმა გაიმარჯვა და ქალაქს შემობრუნდა. დევნილი მეჰმედ-ყული ხანი ლეკებთან გაემგზავრა და იქიდან 6 ათასი დაქირავებულით დაბრუნდა. იგი ქალაქზე თავდასხმას ღამით ვარაუდობდა, კათალიკოსს შეუთანხმდა, რომელსაც ქალაქის კარი ღია უნდა დაეტოვებინა. მცხეთისა და ვახტანგის სანაცვლოდ, მეჰმედ-ყული ხანი კათალიკოსს კახეთს შეჰპირდა.

<sup>1</sup> გ. ნატროშვილი. ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი. – მნათობი. 1976. №1, გვ. 14.

<sup>2</sup> აბრაამ ერევანეცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976, გვ. 18.

1723 წ. 2 მაისს მეჭმედ-ყული ხანთან გაგზავნილ საიდუმლო წერილში კათალიკოსი თითქოს იმედს გამოთქვამდა, რომ მალე ნახავდა ქალაქში კონსტანტინეს. ერთგულებმა ვახტანგს კათალიკოსის ღალატის შესახებ აცნობეს, მაგრამ ვახტანგი კათალიკოსს ენდო, რომელმაც დაარწმუნა ამ ამბების სიცრუეში, თუმცა ჯარი მზადყოფნაში ჰყავდა. შეთანხმების თანახმად, კათალიკოსი ისე იქცეოდა, ვითომ კონსტანტინეს მტერი იყო და ვახტანგის ერთგული. დათქმულ დღეს, გამთენიისას, ლეკები მოულოდნელად დაესხნენ მცხეთას და ქალაქში შეიჭრნენ. ისინი მთელ ქალაქს მოედვნენ, შეუბრალებლად ხოცავდნენ და ძარცვავდნენ ყველასა და ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ, ტყვეები თითქმის არ აჰყავდათ და ნაძარცვით მხოლოდ მას შემდეგ გაეცალნენ ქალაქს, რაც ციხე-სიმაგრის დამცველები ჩაუბნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ორომტრიალში ვახტანგს არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ამიტომ ფარულად დატოვა ქალაქი (ავტორის თქმით – მცხეთა – ი.ა.), წაიყვანა მეუღლე, შვილები და მოსკოვს გაემგზავრა. რაც შეეხება მოლაღატე კათალიკოსს, ის ლეკებთან ერთად გამოვიდა ქალაქიდან და მეჭმედ-ყული ხანს შეხვდა. მათ მოილაპარაკეს, რომ უფრო დიდი ლაშქრით დასხმოდნენ თავს მცხეთას.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ანონიმი სომეხი მემატიანე და აბრაამ ერევანეცი თითქმის ერთნაირად გადმოგვცემენ თბილისის აღების ამბავს, ანუ ისინი სარგებლობენ რაღაც საერთო პირველწყაროთი. თბილისის აღება კონსტანტინეს მიერ, დეტალებში აქვთ გადმოცემული ბრძოლის თანამედროვე ქართველ ავტორებს. სომეხი მემატიანეების ცნობები მათ ნათქვამს ზოგიერთ საკითხში ემთხვევა, ზოგში კი დაზუსტებას მოითხოვს. მაგ. ის ფაქტი, რომ კონსტანტინეს მიერ თბილისის აღების მცდელობას მანამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ბაქარ ბატონიშვილთან დამარცხდა – დასტურდება. თითქმის ემთხვევა კონსტანტინეს მიერ თბილისის აღების თარიღი (განსხვავება ორ დღეშია) და სხვ. თუმცა, არც ერთი ქართული წყარო კონსტანტინე-დომენტი კათალიკოსის ალიანსზე არაფერს ამბობს. ვისგან უნდა ჰქონოდათ სომეხ ავტორებს კათალიკოსის ღალატის შესახებ ინფორმაცია?

როგორც ზემოთ ითქვა, კათალიკოსი აღიარებს, რომ მას სამშობლოში მტრები ჰყავდა, ეტყობა სომეხი მემატიანეების პირველ-წყაროს ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენდა.

აბრაამ ერევანეცის მთარგმნელი ლიანა დავლიანიძე, ამ ფაქტს შესავალ წერილში აღნიშნავს: „იქნებ სწორედ ამ მტრებმა მოუგონეს მას მეფის ღალატი და კახთ ბატონის დახმარება?“<sup>2</sup> მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ რეალური საფუძვლის გარეშე, სომეხ მემატიანეს კათალიკოსისათ-

<sup>1</sup> *Армянская анонимная хроника 1722-1736 гг.* Пер. **З. М. Бунятова**. Баку, 1988, გვ. 6-7.

<sup>2</sup> **აბრაამ ერევანეცი**. ომების ისტორია..., გვ.9-10.

ვის ესოდენ დიდი ბრალდების წაყენება უნდა გასჭირვებოდა.<sup>1</sup>

არსებობს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც მაჰმად-ყული ხანისა და დომენტი კათალიკოსის ალიანსს გამორიცხავს. საქმე იმაშია, რომ თბილისის ალებიდან ერთი კვირის თავზე (1723 წ. 13 მაისს) რუსეთის იმპერატორს პატრიარქი ბინასა და მფარველობაში აყვანას სთხოვს და იწერება: „...ანე ჩემი სამწყსო საქართველოს უსჯულონი მოერივნენ ...იავარ ჰყვეს ხატნი და ჯვარნი, ეკლესიანი ცეცხლსა მიერ დანვნეს და მრავალნი სულნი ქრისტიანენი მოსწყვიდნეს, ოწერ ჰყვეს ქალაქნი და სოფელნი ...ხელმწიფეს (იგულისხმება პეტრე I – ი.ა.) ამას ვეხვეწებით, ვინ იცის რომ გზა ვიშოვოთ და მანდ ვიახლოთ, მაგათის მოწყალებისაგან შეგვიწყალოს და ყურიც მოგვიგდოს და შეგვიჩაბოს, მლოცველი და მოსამსახურე გვამყოფოს. მათს საფარველს ქვეშე და ყოვლის დღითი დღე მაგათს წყალობის მოიმედენი ვარ თუ იქნებოდეს. თუ არა, ამისი ბძანების წიგნის მომლოდინე ვარო“.<sup>2</sup>

ლოგიკურად, თუ კათალიკოსი თბილისის დაკავებამდე კონსტანტინესთან ალიანსში იყო, დედაქალაქის ალების შემდეგ, მაჰმად-ყული ხანისაგან წყალობის მოლოდინი უნდა ჰქონოდა და არა რუსეთის იმპერატორისათვის თავშესაფარი მოეთხოვა. თბილისის ალებას შედეგად მოსდევს ის ფაქტი, რომ თბილისისა და გორის ციხეებს ოსმალები იკავებენ, ხოლო მაჰმად-ყული ხანი მთიულეთში გარბის. ქართლში „ოსმალობა“ იწყება. ყოველმხრივ შევიწროებულ ვახტანგ VI-ს საკუთარ სამშობლოში აღარ დაედგომება და 1724 წლის 15 ივლისს 1200 კაციანი ამალით რუსეთს მიემგზავრება. მეფის ამაღლაში 145 სასულიერო მწერალ-მწიგნობარი და 6 მღვდელმთავარია. არ ვიცით რა პასუხი მიიღო რუსეთის იმპერატორისაგან ზემოაღნიშნულ წერილზე დომენტი კათალიკოსმა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი სამშობლოში რჩება. ოსმალებს „აღლო“ ყველაზე სწრაფად იესემ აუღო. შიიზმი უარყო, სუნა აღიარა და ალი-ყული ხანიდან მუსტაფად „გადაინათლა“.

მაჰმად-ყული-ხანი მარცხს არ შეეგუა, თუშ-ფშავ-ხევესურთა ჯარი შეჰყარა, კახელებიც მოიშველია და იესე-ოსმალების წინააღმდეგ გორში წამოვიდა. ბრძოლა მოხდა 1724 წ. 26 სექტემბერს სოფ. ხიდისთავთან, ზედაველას ველზე.<sup>3</sup> კონსტანტინე დამარცხდა და თავს გაქცევით უშველა. იესეს ხელ-ფეხი გაეხსნა. მართალია ოსმალები „არა უწოდდენ მეპატრონედ“, მაგრამ ქვეყანაში ყველაფერი მისი კითხული შეიქნა.

ოსმალებმა ქართლში პოლიტიკური ცვლილებები მოახდინეს და მძიმედ დახარკეს. კათალიკოსმა თავი ლორეს შეაფარა, რომელიც ოს-

<sup>1</sup> აბრამ ერევანცი. ომების ისტორია, შესავალი წერილი, გვ. 9-10.

<sup>2</sup> М. Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г. СПб, 1861, გვ. 152.

<sup>3</sup> იხ: ს. ალიმბარაშვილი. ზედაველას ბრძოლები. – განთიადი. ქუთაისი, 2008, № 5-6, გვ. 153-162.

მალევე ჯერ კიდევ არ დაეპყროთ და იქ სამი თვე გაატარა, მაგრამ, როცა ოსმალები იქაც გამოჩნდნენ, ქსნის ერისთავებს შეეზიზნა, სადაც ასევე სამი თვე დაჰყო.<sup>1</sup> იესემ ძმის გაცლით ისარგებლა და კათალიკოსად თავისი ფავორიტი ბესარიონი<sup>2</sup> დასვა.<sup>3</sup>

ოსმალებმა საეკლესიო ქონება და ყმა-მამული მძიმედ დახარკეს. თავადებმა ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და საეკლესიო მამულები კვლავ მიიტაცეს.<sup>4</sup> დომენტი კათალიკოსმა, ძარცვა-ხელყოფისაგან თავის არიდების მიზნით, სვეტიცხოვლის საეკლესიო ქონება ლარგვისის მონასტერში გახიზნა. პატრიარქი ხვდებოდა, რომ წლების განმავლობაში დიდი შრომის ფასად აწყობილი საქმე თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, კათალიკოსს დახმარებისათვის მისადმი კეთილგანწყობილ რაჯაბ ფაშასათვის მიუმართავს, რომელსაც ჯერ თბილისში დაუბრუნებია იგი, ხოლო ოთხ თვის შემდეგ კონსტანტინოპოლს გაუგზავნია სულთნის წინაშე: „რამეთუ ჰგონებდა მუნიდამ ლხინებასა რასმე ქართლისასა“<sup>5</sup> და არა გასამეფებლად, როგორც ზოგიერთი მისი ოპონენტი აღნიშნავს.

არსებობს ერთი საბუთი, რომელიც პატრიარქის სურვილს ოსმალეთში გამგზავრების შესახებ, ეჭვ-ქვეშ აყენებს. ესაა კათალიკოსისავე მიერ მოგვიანებით (15.05.1737) რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც, პატრიარქი დაწვრილებით აღწერს მთელ მის ოსმალურ „ვოიაჟს“: „...რაოდენნი ჭირნი და განსაცდელნი მოიწივნეს ქვეყანასა და სამწყსოსა ეკლესიისა ჩვენთა ზედა მოხსენებულ არს და უწყით. წარტყვევნეს და მოაოხრეს და იავარჰყვეს და ტყვე ყვნეს სულნი ურიცხვნი ქრისტიანნი. ვწუხდი და ვზრუნავდი დღე და ღამე და ვეძებდი შემწეობასა და კურნებასა მათსა ამისა. შემდგომად უკვე მოვიდა ბძანება ხელმწიფისა (იგულისხმება ოსმალეთის სულთანი – ი.ა.): „თუ მოხვალ და მონახაო, შენსა ქვეყანასაო სამწყსოსა და ეკლესიასა ყოველსავე შვებითა და მყუდროებითა ვამყოფებო. ამისთვისაცა მეცა ვითარცა გვიბძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე წმინდასა სახარებასა შინა „დასდევ სული შენი ცხოვართა შენთათვისო“, დავსდევ სული ჩემი და წარმუელ წინაშე მათსაო“<sup>6</sup>. ე. ი.

<sup>1</sup> **Е. Такашвили.** Материалы для истории Грузии. Тифлис, 1885, გვ. 75.

<sup>2</sup> დომენტი მალე თურქეთში წავიდა და 1725 წლიდან გარდაცვალებამდე (†1735 წ.) კათალიკოსის მოვალეობას ბესარიონი (ორბელიშვილი) ასრულებდა, მაგრამ, რამდენადაც იგი არ უკურთხებიათ, 1705-1741 წწ. ქართლის კათალიკოსად ითვლება დომენტი IV (იხ: **ბ. ლომინაძე.** მასალები საქართველოს XVII-XVIII სს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29. თბ., 1951, გვ. 69-70).

<sup>3</sup> **მ. ბროსე.** საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 65.

<sup>4</sup> **ბ. ბერძენიშვილი.** XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 180; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I. 1944, გვ. 179.

<sup>5</sup> **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 508.

<sup>6</sup> **М. Броссе.** Переписка., გვ. 216-217.

პატრიარქის ოსმალეთში გამგზავრება სულთნის მოთხოვნა ყოფილა და არა დომენტის სურვილი, რაშიც ქვემოთაც დავრწმუნდებით.

პატრიარქის გამგზავრების მიზეზი კარგად ჩანს მისსავე ბიოგრაფიულ ნაშრომშიც, სადაც ტლაშაძის პირით გადმოგვცემს:

*„მე ქართლისათვის ვირჯები, ეგები დავამშვიდია და მოვკვდე, შენდობა მიბძანონ, მიწადონ პანაშვიდია“.*<sup>1</sup>

სხვაგან ამბობს:

*„ვის ახსოვს კათალიკოზი ასე ამ გვარად წამდგარა ქართლისათვის შესახვეწებლად ჯელმნიფის ტახტის წინ დამდგარა“.*<sup>2</sup>

„ბაქარიანში“ დეტალურადაა გადმოცემული კათალიკოსის კონსტანტინოპოლში გამგზავრების მარშრუტი. იგი თბილისიდან 1725 წ. 20 აპრილს წასულა<sup>3</sup> და სტამბოლამდე მანძილი 40 დღეში დაუფარავს. თორმეტი დღის შემდეგ მისულა არზრუმში (ერზრუმში – ი.ა.), სადაც შვიდი დღე დაუყვია. აქედან გამგზავრებულა ქ. თოლათში, რომლის ახლოს, სოფ. კუკუსოში მოუნახულებია და მოულოცავს იოანე ოქროპირის საფლავი. ოსმანჯუხის ხიდის გავლით მისულა ამასიას, სადაც ულოცია წმ. ბასილის საფლავზე, აქედან – ნიკომიდიას, ქალაქ იზმითს, მოულოცავს წმ. პანტელეიმონის საფლავი და ქ. უსკულარის გავლით ჩაულწევია სტამბოლს. სულთანთან შეხვედრამდე კათალიკოსს მოუნახულებია აია სოფიას ტაძარი. აქვე შეხვედრია იგი იერუსალიმის პატრიარქ იერემიას.<sup>4</sup>

ზოგიერთი ცნობიდან გამომდინარე, დომენტი კათალიკოსის ოსმალეთში გამგზავრებამდე, თითქოს მისი და იესეს შერიგება უნდა მომხდარიყო (სავარაუდოდ, რაჯაბ ფაშას ინიციატივით). კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის – ანდრეზელის 1725 წ. 24 სექტემბრით დათარიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ პატრიარქი აჩქარებს დიდვეზირის მოადგილეს და სთავაზობს მას ქრთამად ორმოცდაათი ათას ეკიუს, რათა დაუმტკიცონ ქართლის მეფობა მუსტაფა-ფაშას (ანუ იესეს) და წასვლის ნება მისცენ მას (დომენტის). იმავე წლის 11 ნოემბრით დათარიღებულ წერილიდან ვიგებთ, რომ მუსტაფა-ფაშას საქმე კარგად შეტრიალებულა, ვინაიდან თბილისის ფაშას გამოუწვევია ოსმალეთის მთავრობის უკმაყოფილება. წერილში ხაზგასმულია, რომ დომენტი კათალიკოსი ითხოვდა მეფობას თავისი ძმისათვის.<sup>5</sup>

თ. ნატროშვილს ეჭვი ეპარება დომენტის შუამდგომლობაზე „სჯუ-

<sup>1</sup> **იესე ტლაშაძე.** კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 28, სტროფი 168.

<sup>2</sup> **იესე ტლაშაძე.** კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 35, სტროფი 205.

<sup>3</sup> ბ. ლომინაძის აზრით, დომენტი საქართველოდან 1725 წლის თებერვალში უნდა გამგზავრებულიყო, რადგან ამ წლის მარტში კათალიკოსად უკვე ბესარიონია მოხსენიებული. (იხ: **ბ. ლომინაძე.** მასალები საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 69-70)

<sup>4</sup> **იესე ტლაშაძე.** კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 28-32.

<sup>5</sup> **თ. ნატროშვილი.** მაშრიყით-მალრიბამდე, თბ., 1991, გვ. 533.

ლისმგმობელი“ იესეს მიმართ და მოჰყავს კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩის რუმინანცევისა და რეზიდენტ ნეპლუევის თავის მთავრობასთან 1725 წ. 28 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნულია: „ქართველი პატრიარქი ისევ აქ არის. ხმა გავრცელდა, რომ მას უშვებენ საქართველოში, მაგრამ პორტას არა სურს იქ ქრისტიანი ხანი და ურჩევნია ოსმალო ფაშა“.<sup>1</sup> ნატროშვილს მიაჩნია, რომ ერთადერთი, ვინც შესაძლოა იმ დროს კონსტანტინოპოლში „ქრისტიან ხანად“ მოეხსენებინათ, დომენტი კათალიკოსი იყო.<sup>2</sup>

იმ დროისათვის დომენტი-იესეს ალიანსს და კათალიკოსის სურვილს საქართველოში გამეფების შესახებ, ჩვენ ნაკლებ შესაძლებლად მივიჩნევთ. ეს დრო უფრო მოგვიანებით უნდა დამდგარიყო. თუ ოსმალებს საქართველოში „ქრისტიანი ხანის“ გამეფება არ უნდოდათ, გასუნიტებული იესე-მუსტაფა იქ არ ჰყავდათ?

საქმე იმაშია, რომ ოსმალებმა 1724 წელს მართლაც გაამეფეს იესე და გარდაცვალებამდე (†1727 წ.) მეფობდა, მაგრამ დომენტი კათალიკოსი ამის შემდეგაც არ გამოუშვეს ქართლში. ესეც არ აკმარეს, დააპატიმრეს და „ექსორია“ უყვეს კონსტანტინოპოლის მახლობლად კუნძულზე, მისივე სიტყვით: „რომელსა უხმობენ თათართა ენითა ბოღრა ადას, ხოლო ბერძნულს სახელ სძევს ტენედო“,<sup>3</sup> სადაც ცხრა წელი დაუყვია. კუნძულ ტენედოსზე კათალიკოსთან ერთად „ექსორირებულ“ იქნენ მასთან მყოფი ქართველები: წინამძღვარი დომენტი გერმანოზიშვილი, წინამძღვარი ელისე მგალობლიშვილი, მოლარეთუხუცესი პაატა გედევანიშვილი, მეჯინბეთუხუცესი გაბრიელ ჭარმაული, ანჩისხატის დეკანოზი გიორგი და სხვები.<sup>4</sup> როგორც შესავალშიც აღინიშნა, მათ გადასახლებაშიც არ შეუწყვეტიათ გადაწერა-მთარგმნელობითი საქმიანობა. დომენტის დაპატიმრებას ვახუშტი ბატონიშვილი რაჯაბ ფაშას გარდაცვალებითა და მის ნაცვლად დასმულ, კათალიკოსის „მოშურნე“ ისაყ-ფაშას დასმენებით ხსნის: „შეუძნდა პატივი კათალიკოზისა (ისაყ-ფაშას – ი.ა.) და ქართველთა მოწმობითა შეასმინა ხონთქარსა“.<sup>5</sup>

იასე ტლაშაძის გადმოცემით, კათალიკოსს გზა-კვალი აურია სულთნის კარზე მოღვაწე საფრანგეთის ელჩის თარჯიმანმა – იოსებ ქართველმა, რომელიც ცდილობდა იგი კათოლიკური საფრანგეთის უპირატესობაში დაერწმუნებინა: „შემოატყუა ბატონსა სიტყვა და სიტყვა მრავალი, თარჯიმნობასა ჩემობდა, იყო აქა-იქ მავალიო“; – აღნიშნავს იესე.<sup>6</sup> ცხადია, საქმე ბევრად უფრო სერიოზულად იყო და დომენტი კათალი-

<sup>1</sup> თ. ნატროშვილი. მაშრიყით-მალრიბამდე, გვ. 534.

<sup>2</sup> თ. ნატროშვილი. მაშრიყით-მალრიბამდე, გვ. 534.

<sup>3</sup> Е. Такаишвили. Материалы для истории Грузии, гв. 68.

<sup>4</sup> მ. ჯანაშვილი. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები. წერილი ოდ. – გაზ. „ივერია“, 02. 09. 1900.

<sup>5</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 509.

<sup>6</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 35.

კოსი „ბრწყინვალე პორტას“ პოლიტიკურ მიქვალს წარმოადგენდა. თუ საქმე ისე წავიდოდა, რომ რუსები ვახტანგს ქართლში მეფედ გამოუშვებდნენ, ოსმალების საპასუხო ნაბიჯი დომენტის გამეფება უნდა ყოფილიყო. ასე რომ, ქართლის მეფობა ვახტანგ-დომენტის სურვილით კი არა, არამედ „ბრწყინვალე პორტასა“ და საიმპერატორო კარის კაბინეტებში წყდებოდა.

რაც შეეხება დომენტი კათალიკოსის მეფობას. იესესა (†1727 წ.) და ვახტანგის (†1737 წ.) გარდაცვალების შემდეგ, კათალიკოსს ქართლის მეფობაზე პრეტენზია, გამორიცხული არ არის, მართლაც ჰქონდა. „ოსმალობის“ შემდეგ, ქართლში „ყიზილბაშობა“ დაიწყო. ბუნებრივია, ირანელებისათვის ოსმალების კანდიდატი (დომენტი) მიუღებელი იყო, ამიტომ ქართლის ტახტზე კახელ ბაგრატიონს – თეიმურაზს ამზადებდნენ. ეს ფაქტი „ბაქარიანშიც“ ხაზგასმულად არის ნაჩვენები: „რატომ არ გეთაკილება, თქვენ ხართ ჯელმნიფის შვილია, სხვა ვინმე დაჯდეს შენს ტახტზე, კაცი უგბილო, ლბილია“, – მიმართავს ავტორი კათალიკოსს.<sup>1</sup> ეს საკითხი მოგვიანებითაც არაერთხელ გამხდარა ქართლელი მუხრან-ბატონების (აბდულა ბეგი, პაატა ბატონიშვილი, ალექსანდრე ბაქარის ძე) პრეტენზიის მიზეზი კახელი მამა-შვილის (თეიმურაზ-ერეკლეს) მიმართ და დომენტი კათალიკოსი გამონაკლისად არ უნდა ჩაითვალოს.

ემიგრაციაში კათალიკოსს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. „ყოფნა მიმჭირდა ავათა, მე ქვეშ არსადა მგებიაო“, – ამბობს ავტორის პირით.<sup>2</sup> განსაკუთრებით მძიმე დღეში ჩაუგდია იგი თარჯიმან იოსებს, აუღებინებია ვალები. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ იგი „პანღურის კვრით“ გაუგდიათ.<sup>3</sup> ბოლოს, იძულებული გამხდარა, სამშობლოში გამომგზავრების მიზნით, ფრანგ ვაჭართან საკუთარი ნივთებიც კი დაეგირავებინა.<sup>4</sup>

იესეს მიერ ქართლში კათალიკოსად დასმული ბესარიონი ღირსი მწყემსმთავარი ვერ გამომდგარა. სამშობლოდან შორს, გადასახლებაში მყოფი დომენტი გულისტკივილით „შეახსენებდა“ მას ღვთის, ერისა და საკუთარი სამწყსოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს: „რაჲ მოგიტხრა, თუ ვითარ აოხრებულ არს ქვეყანა ჩვენი. მე არა მწყენია, რომ მამა-პაპათა სარწმუნოების უარ მყოფელმა იესემ შენ დაგადგინა ჩემს ნაცვლად-კათალიკოზად, მე ვსასოებდი, რომელ მეფესთან ეგრე დაახლოვებული მცველ და მფარველ ექმნებოდი სარწმუნოებასა ჩვენსა და ეკკლესიის დამშვიდებასა; ...50 ყრმათა დახსნისათვის ოსმალთა ტყვეობისაგან, უნდა აღეძრათ გული შენი და დაგეხსნა იგინი საუკუნოსა და დროებით დალუპვისაგან. ერთი მაგ ყრმათაგანი აქ კონსტანტინეპოლში

<sup>1</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 35, სტროფი 273.

<sup>2</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 26, სტროფი 153.

<sup>3</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 35.

<sup>4</sup> ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების.., გვ. 202-203; დოკ. 2925.



გამოსყიდულ იქმნა სომხის გასპარას მიერ და ჩემდა მოყვანებულ მოსამსახურედ. ყრმა ესე არის მუხრანიდამ და ძე ბონიაშვილისა; დღე და ღამე აფრქვევს ცრემლთა და ვერ ივინყებს სამშობლოს განშორებასა. ვერა რაჲმე ვერ ანუგეშებს მას და მის მწარე სიცოცხლე სამშობლოს მოშორებისა გამო უაღრესად ამძაფრებს სულიერთა ჩემთა წყლულთა. სხვა 49 ყრმანი სტამბოლის სალაყობოზედ განსყიდულ იქმნენ და წაყვანებულ ტყვეებად ეგვიპტეში და ალჟირში. რას ფიქრობ, რა პასუხი უნდა მისცე ღმერთსა, რომელმან მოგმადლა შენ დაცვა ქრისტეს ეკლესიისა შვილთა? ვსწუხარ სულით, რომ შენს მოვალეობას მოგაგონებ, თუმცა მე ღირსი არა ვარ განკიცხვად შენდა. ჰქმენ, რაჲცა გსურს: მე განშორებულ ვარ გამგეობასა, გარნა სიყვარული ღვთისა და თვისთა მაიძულებს მოგაგონო მოვალეობა შენი ვითარცა უხუცესსა მწყემსსა ეკლესიისასა“.<sup>1</sup>

ღომენტი კათალიკოსი განსაკუთრებით შეწუხებული ჩანს საეკლესიო საგანძურის ბედი: „მე მომითხრეს, ვითარმედ საეკლესიო საუნჯენი და ყოველი შემოწირულებანი ჩვენთა მეფეთანი წარტაცებულ არიან. განა შეუძლებელი იყო მათი სამალავებში დაკრძალვა, როგორც უწინ ჩვენი წინამოსაყდრენი ჰკრძალავდნენ და იფარვიდნენ განძარცვისაგან? უფალმა ღმერთმა დაიცვას ჩვენი ეკლესია სრულიადისა აოხრებისაგან, ხსნა მის მიერ არს და ვსასოებ, რომ ეკლესია ოდესმე გაბრწყინდება ...გთხოვ და გვედრები იქონიო ზრუნვა ქრისტეს სამწყსოზედ, რომლისათვის ისე სახელოვნად იღვწოდენ უწინარეს ჩვენსა მწყემსნი სულიერნი და დასდებდნენ სულსა თვისთა წინდად მწყსილისა სიტყვიერისა ქრისტეს სამწყსოესა ცხოვნებისათვის“.<sup>2</sup>

პატრიარქს არც სჯულის მგმობელი და მტრებთან შეკრული ძმა - იესე ავიწყდება და მისი უფლის სამსჯავროს წინაშე წარდგომით „იმუქრება“: „განა არა ფიქრობდა იესე ქრისტეს უარყოფელი, რომ ოდესმე წარსდგებოდა წინაშე მისსა, რომელიც უარჰყო მხოლოდ იმიტომ, რომ მტრებთან ერთათ აღელო მახვილი სათრგუნავად სამშობლოესა ყოველთა სინწინდეთა? ქვეყნიერი ტანჯვანი წარმავალნი არიან, ღმერთი განჰკურნავს წყლულთა მორწმუნეთა ძეთასა, გარნა ვაჲ მათ, რომელნი თავ ერისა სდგან და უდებებით არა იფარავენ თანამდებობისაებრ მომაკვდავთა ერისაგანთა. კურთხევა ღვთისა იყავნ სამშობლოსა ზედა ჩვენსა, განუსვენოს ღმერთმა სულსა აღწყვედილთასა სასუფეველსა თვისსა! აკურთხნეს ღმერთმან ივინი, რომელნი ზეციერთაებრ შემწედ ქრისტიანე ერისა იღვწიან და ექმნებიან მამად და ნუგეშინისმცემლად დაობლებულთა და ჩაგრულთა“.<sup>3</sup>

ვალეებში ჩავარდნილი და პატიმრობაში მყოფი კათალიკოსი, ასევე მძიმე ვითარებაში მყოფ იქაურ ქართულ სავანეებსაც მზრუნველ ხელს

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა..., გვ. 136-137.

<sup>2</sup> პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა..., გვ. 137-138.

<sup>3</sup> პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა..., გვ. 138.

არ აკლებდა. მოგვიანებით, ათონის ივერთა მონასტერში პლატონ იოსელიანს უნახავს ვერცხლით მდიდრულად შემკული სახარება წარწერით: „შევჰსწირე წმინდა ესე სახარება სასოსა ჩუენსა კარის ლუთისმშობლის ლავრასა საოხად ჩემისა და გამოხსნისათვის მართლმადიდებელისა ქართუჴლთ ეკკლესიისა უცხო ნათესავთ მონებისაგან – მე უბადრუკმან კათალიკოზმან დომენტი, ჟამსა ტყუჴბისასა ჩემისა ბოხჩადადს“.<sup>1</sup>

1737 წლამდე დომენტი კათალიკოსი ტყვეობა-გადასახლებაშია. ამასობაში ქართლში „ოსმალობა“ „ციზილბაშობამ“ შეცვალა. ბრწყინვალე პორტასათვის პატრიარქი უკვე „პერსონა ნონ-გრატად“ იქცა და მათაც ციზილბაშებს „დაუთმეს“. დახმარებისათვის დომენტიმ კვლავ ერთმორწმუნე რუსებს მიმართა. იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისადმი მიწერილ წერილში, იგი მფარველობაში აყვანასა და თავშესაფარს ითხოვდა: „...აქამდინ ბოხჩას ექსორია ვიყვენით. ახლა ციზილბაშის ელჩმა გვითხოვა. აქ სტანბულს მოგვიყვანეს. ახლა ამას მოვახსენებთ და ვეხვეწებით, რომ ჩვენი ქვეყანა და სამწყსო საქართველო უსჯულო თათართ როგორ წაახდინეს ყველა მოეხსენება. იქ ჩვენთან აღარ გაიძლება, აქ მცველნი და მფარველნი არავინა გვყავს, არცა რა საზრდო გვეპოვება რამ. ამთონი დიდის ჴელმწიფის წყალობა იყოს რომ ყური მოგვიგდოს, მონყალება ყოთ, გვიპატრონოთ, ერთს ალაგას დაგვაყენოთ და გაგვაძლებინოთ, აშტრახანი იყოს, თუ თერგი, თუ სოლალი, თუ თარლუ, თუ დარუბანდი. ამაებში ალაგში საზდოს და სარჩოს წყალობაც გვიყონ“.<sup>2</sup>

წერილი მთავრდება დომენტისავე მინაწერით: „წამოვედი კონსტანტინოპოლიდამ მაისსა იე (=15), ქრისტეს აქათ ჩღღზ (=1737)“,<sup>3</sup> მაგრამ ეს მისი „კონსტანტინეს ქალაქის“ ბოლო ხილვა არ ყოფილა. იგი ორი წლის შემდეგაც ამ ქალაქშია.

თ. ჟორდანიას ცნობით, დომენტი 1739 წ. 6 მარტს წამოსულა კონსტანტინოპოლიდან.<sup>4</sup> სხვა ცნობით, 20 მარტს პატრიარქი ჯერ კიდევ თურქეთის იმჟამინდელ დედაქალაქში ჩანს. სამოც წელს გადაცილებული და ცხოვრებაზე საბოლოოდ გულგატეხილი კათალიკოსი, იმპერატრიცას მფარველობის ქვეშ, მაგრამ უცხო ქვეყანაში ყოფნას, მაინც სამშობლოში წამოსვლას ამჯობინებს. იმ დროისათვის, მის მრავალრიცხოვან დედამამიშვილთაგან მხოლოდ სვიმონილაა ცოცხალი (თეიმურაზი გარდაიცვალა 1710 წელს, ქაიხოსრო – 1711; როსტომი – 1722; იესე – 1727; ვახტანგი – 1737 წელს), ისიც სამუდამოდ რუსეთს გადახვეწილი.<sup>5</sup> პატრიარქი ჯერ იმერეთში მიდის, ხოლო 1739 წ. 27 ნოემბერს ქარ-

<sup>1</sup> ტიმოთე გაბაშვილი. მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა... პლ. იოსელიანის რედ. ტფ., 1852, გვ. 29-30, შენიშვნა 12.


<sup>2</sup> М. Броссе, Переписка..., გვ. 218-219.

<sup>3</sup> М. Броссе, Переписка..., გვ. 216-217; 218-219.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და..., გვ. 158.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ დომენტის სამშობლოში დაბრუნებიდან, სვიმონიც ორ თვეში, 1740 წ. 26 იანვარს გარდაიცვალა პეტერბურგში და იქვე დაკრძალეს.

თლში ბრუნდება.<sup>1</sup>



დომენტი კათალიკოსის იმერეთში ჩასვლა განპირობებული იყო შემწეობის მისაღებად, რათა კონსტანტინოპოლში აღებული ვალი დაეფარა. თუმცა, მას შედეგისათვის ვერ მიუღწევია. მოგვიანებით, 1749 წლის 1 სექტემბერს, კათალიკოს - ანტონი I-ის მიერ კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში მონერილი წერილიდან ირკვევა, რომ დომენტის ჯერ კიდევ 1739 წლის 20 მარტს სტამბოლში უსესხია 4300 ლევი და მიუხედავად იმისა, რომ ამ ვალის გადახდის შესახებ თვით იერუსალიმის პატრიარქი მელეტიც ინერებოდა იმერეთში, კონსტანტინოპოლში მხოლოდ მცირედი თანხა გაუგზავნიათ<sup>2</sup>.

მითითებული თანხა 1755 წლისათვის ჯერ კიდევ გადასახდელი ყოფილა. 8 სექტემბერს იერუსალიმის პატრიარქი ანტონ I-ს სწერდა, რომ დომენტის მიერ თავის დროზე აღებული ვალები დაეფარათ. იგი ამავე დროს იტყობინებოდა იქ არსებული ქართული სავანეების მძიმე მდგომარეობის შესახებ და შეწევნას ითხოვდა: „...ვაგზავნიო არხიმანდრიტს სვიმეონს შეწევნისა მოსაგროვებლად ქართლში და მამა აკაკის ჯვარის-მამად. მეფენი ქართულტანნი ადრე ყოველთვის გვიგზავნიდეს შეწევნასა და აგერ 25 წელინადიაო აღარას გზავნიან სანუგეშოდ წმინდისა ქალაქისა და არცალავინ თქუწნგან მოსულაო“.<sup>3</sup>

პატრიარქის ქართლში ჩამოსვლის დროს ნადირ-შაჰი დარუბანდში ლაშქრობდა და ქართველი დიდებულებიც თან ახლდნენ. დომენტიც იქ ეახლა ირანის შაჰს, რომელმან „პატივით შეიწყნარა და წარმოავლინა

<sup>1</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 52.

<sup>2</sup> ტიმოთე გაბაშვილი. მოხილუა წმიდათა და სხუათა..., გვ. 31, შენიშვნა 12.

<sup>3</sup> ტიმოთე გაბაშვილი. მოხილუა წმიდათა და სხუათა..., გვ. 31, შენიშვნა 12.

ქართლსავე კათალიკოზათ“<sup>1</sup>.

1741 წ. შემოდგომაზე დომენტი კათალიკოსი ავად გამხდარა. ბიძის სანახავად კახეთიდან ჩამოსულა ვახტანგ VI-ის ქალიშვილი – თამარი (თეიმურაზ II-ის მეუღლე), რომლის ინიციატივით მოუწვევიათ სამღვდელთა კრება ახალი კათალიკოსის ასარჩევად. დომენტის კანდიდატი მისი ძმისშვილი, იესეს ძე – ანტონი (იმ დროს ქუთაისის ეპისკოპოსი) ყოფილა, მაგრამ ანტონს უარი უთქვამს. ამის შემდეგ, დომენტის მოუწვევია ურბნელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ხერხეულიძე) და თვითონვე უკურთხებია კათალიკოსად. ვახუშტის ცნობით, დომენტი კათალიკოსი გარდაიცვალა 1741 წელს.<sup>2</sup> პაპუნა ორბელიანისა და პოლიევქტოს კარბელაშვილის მოსაზრებით – 1742 წლის იანვარში,<sup>3</sup> ხოლო „ქრონიკების“ მიხედვით 1743 წ. 30 აპრილს.<sup>3</sup> დიდი პატივით დაუკრძალავთ მცხეთის სვეტიცხოვლის საძვალეში.

მანც ვინ იყო დომენტი კათალიკოსი, ვინრო ინტერესების მქონე ამბიციური და კარიერისტი ბატონიშვილი, თუ სამშობლოზე ფიქრით გულდამძიმებული ენერგიული მოღვაწე? ვფიქრობთ, უმეტესწილად – მეორე, მაგრამ არც ამბიციები აკლდა „მოთაკილე ბუნების“<sup>4</sup> ბატონიშვილს. ძალზე დიდი იყო მისი როლი მართლმადიდებლობის დაცვის, ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის, ეკლესია-მონასტრების შენება-განახლების, სასულიერო ხასიათის წიგნების თარგმნა-გამოცემის საქმეში, მაგრამ არანაკლები მონდომებით იბრძოდა შოთას უკვდავი პოემის წინააღმდეგ, რომელსაც „ჯოჯოხეთის კარად“ და „ზნეობის განმხრწნელად“ მიიჩნევდა, ხოლო თვით რუსთაველს – „მქადაგებლად და მოციქულად ეშმაკისად“.<sup>5</sup>

წ. ბერძენიშვილისათვის იგი „აქტიური საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ტყვეთა სყიდვისა და გამაჰმადიანების წინააღმდეგ ენერგიული მებრძოლია“,<sup>6</sup> პლატონ იოსელიანის აზრით: „გამოცდილ და ბრძენ სამღვდელთა შორის ბრწყინვალეებითა და დიდებით გამორჩეული მღვდელთმთავარი“;<sup>7</sup> პაატა გუგუშვილის მიხედვით, „ასკეტურ შეხედულებათა და „წმინდა“ ცხოვრების მიმდევარი კათალიკოსი“;<sup>8</sup> ხოლო ბ. კუპატაძის შეფასებით, „მის პოლიტიკურ კურსს მხოლოდ და მხოლოდ პირადი ანგარიში, კარიერისტული ზრახვანი აპირობებდა, რასაც უპირველესად, საქართველოსათვის მოჰქონდა ზიანი“.<sup>9</sup>

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 518.

<sup>2</sup> პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 138.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., გვ. 76.

<sup>4</sup> იესე ტლაშაძე. კათალიკოზ-ბაქარიანი, გვ. 43, სტროფი 273.

<sup>5</sup> პ. გუგუშვილი. პირველი სტამბის დაარსება ტფილისში., გვ. 54.

<sup>6</sup> წ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I. 1944, გვ. 180.

<sup>7</sup> პლ. იოსელიანი, Исторический взгляд., გვ. 73.

<sup>8</sup> პ. გუგუშვილი. პირველი სტამბის დაარსება ტფილისში., გვ. 54.

<sup>9</sup> ბ. კუპატაძე. უპრინციპო კომპრომისი ქართულ დიპლომატიკაში., გვ. 251.

ვინც კი მის ბიოგრაფიას შეეხო, ყველა აღნიშნავს კათალიკოსის ღვანლს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, მაგრამ, არც კრუშინსკი და მისი „ამბავი“ ავინწყდება. ერთი კია, დომენტის თანამედროვე ქართველ მემადიანეთაგან (ვახუშტი ბატონიშვილი, სეხნია ჩხეიძე, იასე ტლაშაძე, დავით გურამიშვილი) მასზე აუგის თქმა არავინ იკადრა. სამაგიეროდ, უცხოელებმა (სომეხმა და სპარსეთში მოღვანე კათოლიკური მისიონის წარმომადგენლებმა) არ დაიშურეს მისი სახელის „ლაფში ამოსვრა“. ამ შემთხვევაშიც, მათ პირველწყაროებს პატრიარქის პირადი მტრები წარმოადგენდნენ, ხოლო მისიონის მიზანს – ქართლის კათალიკოსის კომპრომენტირება, მათი ქვეყნებისა და მისიონის მიზნებისადმი დომენტის მკვეთრი პოზიციის გამო.

მეფის ოჯახიშვილობა მაინცდამაინც ყოველთვის კარგ სამსახურს ვერ უწევდა კათალიკოსს, რადგან, მის მიერ მიღებული, ქვეყნისთვის საჭირო, მაგრამ „პოპულიზმს“ მოკლებული გადაწყვეტილებები, საზოგადოების ერთ ნაწილში ყოველთვის სწორად ვერ აღიქმებოდა. დომენტი კათალიკოსს ვახტანგ VI-ისათვის არ უღალატია, იგი გვერდში ედგა უფროს ძმას ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. განსხვავება მხოლოდ მათ პრინციპებსა და პოლიტიკურ შეხედულებებში იყო: ვახტანგს რუსეთის სჯეროდა, დომენტის – არა.

გამორიცხული არ არის საიმპერატორო კარისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, ჯერ კიდევ მისი რუსეთში ყოფნის დროს ჩამოყალიბდა. ისიც საგულისხმოა, რომ დომენტის რუსეთში მოღვანეობის შესახებ, თითქმის არაფერია ცნობილი. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მართალი კათალიკოსი აღმოჩნდა. ვახტანგმა ვერც ქვეყანას უშველა და „ვისაც ჭკუა ეკითხებოდა“, ისიც სამუდამოდ რუსეთში წაიყვანა. რაც შეეხება კათალიკოსის იასესთან დამოკიდებულებას, რა გასაკვირია, რჯულით მოვაჭრე და ქვეყნის დამაქცევარი ძმის შემხედვარე, მეფობის სურვილი გასჩენოდა? (დომენტი იასეზე უფროსი იყო და ტახტი კანონითაც მას ეკუთვნოდა, ხოლო ვახტანგისა და ბაქარ ბატონიშვილის რუსეთიდან დაბრუნებას „სააქაო“ პირი აღარ უჩანდა). როგორც თ. ნატროშვილი წერს: „ალბათ ეშმაკი შეუძვრა სულში კათალიკოსს, არ მოასვენა და მოერია. კაცმა რომ თქვას, რატომაც არ უნდა ესურვა მეფობა იმ არეულ დროში, როდესაც გადაგვარებული იესე ჯდებოდა სამეფო ტახტზე, ანუ, ქართული ანდაზისა არ იყოს, უძალლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენ“.<sup>1</sup>

ცხოვრებამ მრავალი გამოცდა მოუწყო დომენტი კათალიკოსს. მას არც შაჰისა და სულთნის სასახლეებში აუდიენციები დაკლებია, არც ქვეყნის მთავარი სინმინდეების გამოსახსნელად იერუსალიმის შორგზაზე სიარული და არც პატიმრის მძიმე ხვედრი.

ზღვა ენერგია და დაუცხრომელი ხასიათი ჩრდილში ყოფნის უფ-

<sup>1</sup> თ. ნატროშვილი. მაშრიყით-მალრიბამდე, გვ. 537.

ლებას არ აძლევდა. იგი ვერ იცხოვრებდა ისეთი კაცის ცხოვრებით, რომლებიც, დიდი ილიასი არ იყოს, „არც თავისი სიკოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.<sup>1</sup>

ცნობილი ქართველი მწიგნობარი იონა ხელაშვილი, „მოსახსენიებელ წიგნში“ წერს: „მოიხსენიე უ(ფ)ალო, დომენტი, კათალიკოზი საქართუშლოჲსა, სულისტჳსისა დამდები წინაშე ხვანთქრისა, რომელმან სამ წელ ხომალდსა შინა შებორკილა წინაპართა ჩუწნათჳს და განაძლიერა ქრისტიანობა“.<sup>2</sup>

## IOSEB (SOSO) ALIMBARASHVILI

### CATHOLICOS-PATRIARCH DOMENTI IV

The article describes a famous religious figure, Catholicos-Patriarch Domenti IV's (in 1705-1741) life at the first half of the 18th century. Domenti grew up surrounded by family of the Kingdom of Kartli. He personally experienced these difficulties, which were at the period in the Kingdom of Kartli ("Osmaloba", "Kizilbashoba", involuntary resettlement). The greatest his contribution to the defense of Orthodoxy, against of selling prisoners, building of the church-monasteries, establishment of typography, translation- publication of the theological books, but he often embraced in the political scandals at the reason of his active nature and great energy. Georgian historians gave a good characterization to Domenti Catholicos, but foreign authors' opinion he was ambitious person, he fought against of his own brother (Vakhtang VI) to occupy the throne of Kartli and he had relation with Constantine – King of Kakheti, to occupy Tbilisi (in 1723), Domenti Catholicos had to work very difficult period. During the absence of King Vakhtang VI, Domenti family members: Svimoni, Jesse, Bakari, King of Kakheti Constantine were fighting to each other for the throne. After it there were multi-year period of "Osmaloba" and "Kizilbashoba". In such cases, the spiritual leader of the country could not stop inactivated, that's why Domenti spent a big part of his life in the migration. The article presents an extensive analysis of life moments of Domenti Catholicos, which is caused by active polemic in the society. The author tries to find an explanation of the Catholicos's activity and cites many arguments to reinforce his position. His Source Study base is also rich.

---

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. II. თბ., 1985, გვ. 199.  
<sup>2</sup> ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1985, გვ. 170.

## **ИОСЕБ (СОСО) АЛИМБАРАШВИЛИ**

### **КАТАЛИКОС-ПАТРИАРХ ДОМЕНТИ IV**

В статье освещена жизнь и деятельность известного церковного деятеля, Каталикоса-Патриарха Грузии (1705-1741) Доментия IV-го (Багратиони). Доменти вырос в царской семье и на себе испытал все трудности своей эпохи («осмалоба»/«засилие османов»/, «кизилбашоба»/«засилие кизилбашов»). Велика его заслуга в деле укреплении православной церкви. С его именем связаны: строительство и реставрация храмов и монастырей, перевод и восстановление старинных грузинских и иностранных рукописей богословского содержания и др. Каталикос Доменти IV активно боролся против пленопродавства («тквета скидва»). Вместе с тем, неисчерпаемая энергия и неутомимый характер часто ввязывали его в политические скандалы. Зарубежные авторы характеризуют каталикоса как амбициозного человека, который, для достижения своей цели, предал своего брата Вахтанга VI-го и в борьбе за корону Картлийского царства перешел на сторону кахетинского царя Константина Мехмед-Кули-хана.

## КАХА КВАШИЛАВА

### ЕЩЁ РАЗ О ТОМ, КОГДА СТАЛА РЕКА ЭНГУРИ «ПОГРАНИЧНОЙ» РЕКОЙ

В последнее время сепаратистки настроенные русские и абхазские историки всячески стараются, во что бы ни стало, заверить своих соотечественников в том, что, якобы, река Энгури всегда была естественной т.н. «государственной границей Абхазии с Грузией». Ещё в советское время известный абхазский краевед В. П. Пачулиа территорию современного гальского района<sup>1</sup> объявлял исторической частью Абхазии «с незапамятных времён».<sup>2</sup> В начале 90-ых годов XX века один из видных идеологов абхазских сепаратистов, доктор исторических наук Ю. Воронов попытался доказать «историчность» границы по р. Энгури независимой абхазской государственности. Согласно его утверждению, в конце XVII века, после того как они «штурмом» взяли т.н. «келасурскую стену», восстановили «по реке Энгур свою древнюю политическую границу» (курсив наш – К.К.).<sup>3</sup>

Фактически, эту же мысль развивают и авторы т.н. «учебника» «Истории Абхазии»,<sup>4</sup> согласно которым, «...этническая граница между абха-

<sup>1</sup> Имеем в виду названную административную единицу в границах 1991 года.

<sup>2</sup> В. П. Пачулиа. Древняя, но вечно молодая Абхазия. Сухуми, 1991, с. 301.

<sup>3</sup> «Даже **возведение** поперек княжества в период 30-летней абхазо-мегрельской войны **крупнейшего оборонительно-разграничительного сооружения Кавказа – 60-километровой Келасурской (Великой Абхазской) стены, предпринятое во второй четверти XVII века правителями Мегрелии с целью закрепить за собой «Верхнюю Абхазию», не смогло укротить абхазов, взявших этот грозный рубеж штурмом и восстановивших по реке Энгур свою древнюю политическую границу».** Ю. Н. Воронов. Абхазы – кто они? Гагра, 1992, с. 15; Ю. Н. Воронов, П. В. Флоренский, Т. А. Шутова. Белая книга Абхазии. Документы, материалы, свидетельства. 1992-1993. М., 1993, курсив наш – К.К.

<sup>4</sup> О. Х. Бгажба, С. З. Лакоба. История Абхазии. С древнейших времен до наших дней. Сухуми, 2007. Надо отметить, что сепаратисты всемерно стараются распространить этот «учебник» (пропагандистский настрой которого вне всякого сомнения) среди западных учёных, политологов, журналистов, свидетелем чего был автор этих строк во время визита в США в 2007 году. Основательную критику этой работы наших абхазских коллег см.: **З. Папаскири**. Так не пишется история. *Некоторые замечания по поводу учебника «Истории Абхазии» О. Х. Бгажба и С. З. Лакоба.* – В кн.: **З. Папаскири**. Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, с. 455-491 (<http://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/>)



зами и картвелами, проходившая до начала II тыс. н. э. по р. **Энгур**, ... **приобрела одновременно и государственный политический статус, сохраняющийся уже более 300 лет**» (выделено авторами – К.К.).<sup>1</sup> В реальности, со всей категоричностью можно утверждать, что до конца XVIII века граница между Абхазией и остальной Грузией никогда не проходила по р. Энгури и что современная политико-административная конъюнктура образовалась лишь на рубеже XVII-XVIII веков. Рассмотрим этот вопрос более подробно.

В последнюю четверть XVII в. осложнилось положение Одишского (Мегрельского) княжества. Леван III (Шамадавле) Дадиани (1161-1681),<sup>2</sup> который в грузинских источниках фигурирует как *«Держатель-владелец всего Одиши и Абхазии»* („სრულიად ოდიშისა და აფხაზეთის მპყრობელ-მქონებელის“),<sup>3</sup> не оказался достойным потомком его славного дяди Левана II Великого (1611-1657), именем которого стал он называться по восшествии на трон. В сентябре 1672 г. он был вызван к ахалцихскому паше в Кутаиси, где с 1669 г. стоял османский гарнизон.<sup>4</sup> В научной литературе высказано соображение, что паша хотел отдать княжение внуку Левана II, который воспитывался при его дворе.<sup>5</sup> Эти действия турок имели под собой определённую легальную основу. Как верно подметил Т. Берадзе, малолетний внук Левана II (его имя неизвестно), по его завещанию, какой-то срок (один-два месяца) занимал трон мтавари,<sup>6</sup> но потом он стал жертвой заговора и вместе с матерью бежал в Ахалцихе.<sup>7</sup>

---

1/Abkhazia IstorიაBezFalsifikacii.pdf); **К. Квашилава**. Из исторического прошлого Самурзакано. *Рубеж XVII-XVIII веков – 1840 год*. Тб., 2011, с. 27-28 и т.д. (<http://abkhazovedenie.com/ru/history?page=2>), на грузинском языке.

<sup>1</sup> **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба**. История Абхазии, с. 168; из последних публикации см., также: **М. М. Гунба**. Об автохтонности абхазов в Абхазии. – *Абхазоведение*. История. Археология. Этнология. Вып. 1. Сухуми, 2000, с. 80-90.

<sup>2</sup> Об определении хронологии правления Левана III (Шамадавле) см.: **К. Н. Квашилава**. Из исторического прошлого Самурзакано. *Рубеж XVII-XVIII веков – 1840 год*. Тб., 2011, с. 31, сн. 1 (на грузинском языке).

<sup>3</sup> *Аннотированный словарь личных имён по грузинским историческим документам XI-XVII вв.* К изданию подготовили **Д. К. Квдиашвили, М. К. Сургуладзе**. Т. 2. Тб., 1993, с. 9 (на грузинском языке).

<sup>4</sup> **Вахушти Багратиони**. История Царства Грузинского. Перевел, снабдил предисловием, словарями и указателем **Н. Т. Накашидзе**. Тб., 1976, с. 254.

<sup>5</sup> **Б. Хорава**. Взаимоотношения между Одиши и Абхазией (XV-XVIII вв.). Тб., 1996, с. 108 (на грузинском языке).

<sup>6</sup> *Мтавари* – правитель, владетельный князь. Так в Грузии назывались владельческие князья Одиши (Мегрелии), Гурии, Самцхе-Саатабаго и Абхазии.

<sup>7</sup> **Т. Берадзе**. Хронологический ряд одишских князей. – *Аналеби* (Анналы). Научный журнал Института истории и этнографии им. Иванэ Джавахишвили НАН Грузии, №2, 2000, с. 30 (на грузинском языке).

Дадиани понял подоплёку «приглашения» и, заручившись поддержкой абхазов, стал готовиться к обороне, в чём помощь он попросил у абхазов. 19 сентября Шарвашидзе со своим войском вступил в Одиши, но, вместо помощи, он занялся грабежом и разбоем.<sup>1</sup> Есть мнение,<sup>2</sup> что это был Саустан (Баграт) Шарвашидзе, известный в реляциях латинских миссионеров под именем «*Сустар Саразиа*».<sup>3</sup> Абхазы до 13 октября опустошали Одиши и захватили до 2 000 пленных.<sup>4</sup>

Во времена правления Саустана особенно участились грабительские нападения абхазов на Мегрелию. В ходе этих разорительных походов они постепенно начали селиться в кодорско-галидзском междуречье.<sup>5</sup> Царевич Вахушти с горестью отмечает: «*Однако в Одиши было бедствие большое, как было описано, особенно от абхазов, ибо приходили они на судах и суше и опустошали и захватили вплоть до Эгриси и поселялись абхазы сами и в Дранде и Мокви не стало больше епископов*».<sup>6</sup>

Возможно эти события отражены в одном народном абхазском стихе, в котором рассказывается о том, как единственного сына Сатбея забирают у матери и везут в Очамчиру.<sup>7</sup> Из контекста видно, что его везут в очень опасный край, что не скрывают молодой абхаз и его мать. Также заметно, что в Очамчире военный конфликт перманентного характера. В финале видим, что Сатбей сложил голову в «общине Джгерда» за свой народ.

---

<sup>1</sup> *Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient, enrichis d'un grand nombre de belles figures en tailles-douces, représentant les Antiquités et les choses remarquables du pays.* Nouvelle édition, Soigneusement conférée sur trois éditions originales, augmentée d'une Notice de la Perse, depuis les temps les plus reculés jusqu'à, de Notes, etc. par **L. Langlès**. Tome premier. Paris, 1811, с. 336-337; *Путешествие Шардена по Закавказью в 1672-1673 гг.* Перевод **С. В. Бахутовой и Д. П. Носовича** (Из журнала «Кавказский Вестник» за 1900 и 1901 гг.). С пятью рисунками. Тифлис, 1902, с. 104.

<sup>2</sup> **Б. Хорава**. Взаимоотношения между Одиши и Абхазией..., с. 108.

<sup>3</sup> **М. Тамарашвили**. История католичества среди грузин. На основе настоящих документов и объяснении. *С XIII века по XX век*. Тифлис, 1902, с. 208 /репринтное издание: Тб., 2011/ (на грузинском языке).

<sup>4</sup> *Voyages du Chevalier Chardin*..., с. 350-351; *Путешествие*..., с. 110-111.

<sup>5</sup> **З. В. Анчабадзе**. Мегрелия и Абхазия в XVII веке. *Диссертационная работа на соискание ученой степени кандидата исторических наук*. Тб., 1947, с. 142.

<sup>6</sup> **Вахушти Багратиони**. История Царства Грузинского, с. 257; См. также: **Нико Дадиани**. Житие грузин. Текст издал, предисловием, исследованием, комментариями, указателями и словарями снабдил **Ш. Бурджанадзе**. Тб., 1962, с. 165 (на грузинском языке).

<sup>7</sup> *Фольклор народов Кавказа*. Автор проекта, главный редактор **Н. Гелашвили**. Составитель сборника, предисловие, пометки, спецредактор **Л. Члаидзе**. Тб., 2012, с. 161.

В стихе не конкретизируется, с кем воюют абхазы в Очамчире и не указана конкретная историческая эпоха. Можно предположить, что мусульманин Сатбей (турецкое происхождение его имени указывает на эту религию) послан в Очамчиру для войны с одишцами. Вероисповедование и география дают повод предполагать, что речь идёт о событиях II половины XVII века, когда абхазы, ведомые владетельским домом Шарвашидзе, перманентно захватывали северо-западную часть Одиши. Эти экспедиции, несмотря на успехи абхазов, всё же не были лёгкими для них и идти туда представляло большую опасность. Из названного стиха видно, что абхазы шли скорее насильно. Предположительно, что граница между Абхазией и Одиши, во время событий описанных в стихе, проходила между Джгердой и Очамчирой.

В XVII веке усиливается влияние Блистательной Порты над западно-грузинскими политическими субъектами, в том числе и над Абхазией. Турки старались там обосноваться, особенно в Цхуми, который они преобразовали в Сухум-кале.<sup>1</sup> С этой целью, активно распространяется ислам среди местной аристократии, которая тем самым всё сближается со Стамбулом. Уже в 30-х годах того же XVII-го столетия в источниках встречаем представителя рода Шарвашидзе, который носит имя явно турецкого происхождения – Карабей (*Carabey*).<sup>2</sup> Абхазия становится данницей османов.<sup>3</sup>

По-видимому, перед событиями 1672 года турецкие дипломаты хорошо поработали с абхазским владетелем и обеспечили с его стороны нейтралитет. Невозможным представляется организация военной операции со стороны турецкого пашы без предварительного поиска потенциальных союзников. Агрессия Шарвашидзе против Дадиани свидетельствует о том, что он не ожидал вторжения турок в пределы его княжества. Что же касается потери власти Дадиани над абхазским княжеством, думается, в активную фазу этот процесс вступил лишь после кончины Левана II-го.

Этот могущественный властитель Мегрелии почти всё своё правление занимался сдерживанием экспансии абхазов. Как известно вначале своего княжения он женился на дочери Сетемани Шарвашидзе,<sup>4</sup> которую

---

<sup>1</sup> **К. Н. Квашилава.** Из исторического прошлого Самурзакано, с. 143-145.

<sup>2</sup> **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, с. 273, 289.

<sup>3</sup> **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, с. 273; **З. Цурцумия.** Абхазия в русско-османских взаимоотношениях (в XIX – начале XX века). Тб., 2012, с. 43 (на грузинском языке).

<sup>4</sup> Арканджело Ламберти его упоминает как «Шарашиа» (**Дон Арканджело Ламберти.** Описание Мегрелии. Перевод с итальянского **Ал. Чкония.** К изданию подго-

Хр. Каstellи именуеt «Дареджаном» (*Darincia*). По мнению Ил. Антелава, это должно было произойти в 1614-1615 гг. и цель была вполне прагматична: установление контроля над Абхазией.<sup>1</sup> Но, думается, у молодого Левана была и другая задача: Сетемани, скорее всего, правил ее восточной частью.<sup>2</sup> По сведению Каstellи, у него имелись два брата: Дон Баслакус (*Don Baslacus*) и Соломон (*Salamon*).<sup>3</sup>

Дона Баслакуса автор, по неопределённым причинам, называет Безалусом Чарасино (*Besalus Ciarasino*),<sup>4</sup> Беслакусом Чирвасиа (*Beslacus Ciruasias*).<sup>5</sup> На этот фактор впервые внимание обратила снова Б. Ломинадзе, хотя её позиция по этому вопросу не вполне ясна, так как она их в одном месте считает разными лицами, в другом – вовсе братьями.<sup>6</sup>

Братьев Шервашидзе Каstellи даже нарисовал, хотя этот портрет не сохранился. До нас дошла лишь авторская приписка к нему. Как известно, Каstellи делал пояснительные приписки к каждому своему рисунку. К этому потерянному портрету автор приписал: «*Этот портрет трёх братьев князя Абхазии: старшего зовут Дона Баслакус, второго – Соломон, третьего и последнего – Сетемани*».<sup>7</sup> По этому переводу создаётся впечатление, что у князя три брата, т.е. их четверо, так как в переводе «князь

---

товил и предисловием снабдил **Ил. Антелава**. Тб., 1991, с. 23, на грузинском языке). Такой же формой пользуется и его современник Христофоро Каstellи (*Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*. Текст расшифровал, перевёл, с исследованием и комментариями снабдил **Б. Гиоргадзе**. Тб., 1976, с. 177, 178, на грузинском языке). К тому же Каstellи «Шарашиа» передаёт латино-итальянизированной формой – «Чарасино» (*Ciarasino*), «Чирвасиа» (*Ciruasias*) (*Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*, с. 177, 178, 395). На эту особенность впервые внимание обратила Б. Ломинадзе (**Б. Ломинадзе**. Из истории феодальных отношений в Грузии. Т. I: *Сеньории*. Тб., 1966, с. 193, примеч. 43, на грузинском языке). Видно, сами Шарвашидзе таким образом (а не как *Шервашидзе* или *Чачба*) знакомились с католическими миссионерами. Если бы Ламберти и Каstellи знали абхазскую форму этой фамилии, они бы её обязательно упомянули.

<sup>1</sup> **Ил. Антелава**. Леван II Дадиани. Тб., 1990, с. 55 (на грузинском языке).

<sup>2</sup> **Б. Хорава**. Взаимоотношения между Одиши и Абхазией.., с. 79.

<sup>3</sup> *Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*, с. 194, 411.

<sup>4</sup> *Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*, с. 177, 395. Автор, к тому же пишет, что Безалуса в народе именуют Антоном (*Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*, с. 177, 395).

<sup>5</sup> *Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*, с. 177, 395.

<sup>6</sup> **Б. Ломинадзе**. Из истории феодальных отношений в Грузии, с. 194, примеч. 44.

<sup>7</sup> *Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи*, с. 194, грузинский перевод Б. Гиоргадзе: „ეს არის აფხაზეთის მთავრის სამი ძმის სურათი: უფროსს ჰქვია დონ ბასლაკუსი, მეორეს – სალამონი, მესამეს და უკანასკნელს სეტემანი“.

Абхазии» стоит отдельно. Обратимся к авторскому оригиналу на латыни: “*He sunt imagines trium fratrum Principis Abasgorum major dicitur Don Baslacus, secundus, Salamon tertius, et ultimus Settemani*”.<sup>1</sup>

“*Trium fratrum Principis Abasgorum*” переводится как «три брата – князя абхазов», так как “*Principis*”<sup>2</sup> *Abasgorum*” стоит в родительном падеже (Genetivus), именно который определяет соотношение зависимого члена предложения (“*Trium fratrum*”) к главному члену (в нашем случае “*Principis Abasgorum*”). Исходя из этого, мы получаем иной, на наш взгляд, более точный перевод: «*Это портрет трёх братьев, князей абхазских...*».

Думается, к середине XVII в. Абхазия делилась на несколько в административно-территориальные единицы, где наряду с владетельским доменом, образовались два удельных владения. Соломон и Сетемани были правителями этих уделов, а Безалус-Беслако, первый среди братьев, владел княжеским доменом, так как он видится первым лицом абхазского «княжества» во время пребывания Каstellи в Грузии.

Если учтём то, что в Абхазии границами уделов, по традиции, были реки,<sup>3</sup> тогда юго-восточная граница княжеского домена прошла бы по какой-то реке, протекавшей восточнее от Бичвинта (совр. *Пицунда*), так как местная кафедральная церковь, которую Безалус передал миссионерам, по весьма обоснованному предположению Б. Хорава,<sup>4</sup> находилась на его территории.

Исходя из этого, восточная граница владения младших братьев Безалуса, скорее всего, проходила по реке Беслети (ныне в пределах г. Сухуми). Подтверждение тому сведения католических миссионеров. В частности, Джованни да Лукка абхазско-одишскую границу фиксировал по р. Аус<sup>5</sup>/Абсе<sup>6</sup>: «*21 мая пришли в старый город Схиссорнум (Schissornum), где*

---

<sup>1</sup> Альбом зарисовок и реляции Христофоро де Каstellи, с. 411.

<sup>2</sup> Множественное число слова “*Princeps*”: *Mediae Latinatis Lexicon Minus*. Composit J. F. Niermayer, in Universitate Amsterdamenti professor. Lexique Latin Médiéval-Français/Angles. A Medieval Latin-French/English Dictionary. Fasciculus I, Leiden, 1976, с. 850; И. Х. Дворецкий. Латинско-русский словарь. Издание второе, переработанное, дополненное. М., 1976, с. 810.

<sup>3</sup> Т. Чичинадзе. Материал для истории Грузии. *Грамота*. – В журн.: «Квали». №20, 1897, с. 394 (на грузинском языке).

<sup>4</sup> Б. Хорава. Взаимоотношения между Одиши и Абхазией, с. 79.

<sup>5</sup> Так у М. Тамарашвили (М. Тамарашвили. История католичества..., с. 144).

<sup>6</sup> Б. Хорава предполагает, что речь должна идти о р. Беслети, а не о Кодори, как это предполагал Ил. Табагуа: Б. Хорава. Взаимоотношения между Одиши и Абхазией (XV-XVIII вв.), с. 94; Ил. Табагуа. Грузия в архивах и книгохранилищах Европы (XIII – I четверть XX вв.). Т. 3, с. 160.

река Аус разделяет Абхазию от Мегрелии». <sup>1</sup> Названный город это Сухуми, так думает Ил. Табагуа. <sup>2</sup> С ним соглашаются Б. Хорава <sup>3</sup> и З. Папаскири <sup>4</sup> (к этому вопросу мы вернёмся чуть ниже). Должно быть р. Беслети разделяла владения Сетемани Шарвашидзе (зятком которого был Леван II Дадияни), <sup>5</sup> с Одиши.

В связи с личностью Сетемани привлекает интерес приписка Каstellи к рисунку №16, которую Б. Гиоргадзе переводит так: «Старый князь абхазов. Портрет Сетемани, князя Абхазии, народа более гордого, чем мегрелы, отец княгини Дареджан». <sup>6</sup> Сам автор эту приписку уже делает не на латыни, а на итальянском: “Ppe (сокращенное *Principe* – К.К.) de abassa il Vecchio. Il Ritrato di Settemani, Principe de populi Abaza nazione fiero del Mengrelo e Padre della Principessa Darincia”. <sup>7</sup> Здесь видно, что перевод не совсем точно передаёт авторский смысл. В частности: 1) “**Settemani, Principe de populi Abaza**” значит не «Сетемани, князь Абхазии», а – «Сетемани, князь абхазского *народа*»; 2) “**Abaza nazione fiero del Mengrelo**” переводится не как абхазы «народ более гордый, чем мегрелы», а как «абхазы, *гордый народ мегрелов*». Следовательно, вышеуказанная цитата Каstellи должна переводиться так: «Старый князь абхазов. *Портрет Сетемани, князя абхазов, гордого народа мегрелов и отца княгини Дареджан*».

ან კლდეებში გაყვანილი მალაროს არსებობაზე. ხეობის სიღრმეში განმარტოებულად მდებარე მთის საკანის შესასვლელი კარით ყოფილა დაკეტილი.<sup>1</sup> მოგზაურის მიერ მოცემული გამოქვაბულის გეოგრაფიული აღწერიდან ირკვევა, რომ ეს ადგილი მდებარეობდა მდ. აბაშის მარცხენა მხარეს და მდინარეზე არსებული წყალვარდნილის ჩრდილოეთით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ იგულისხმება სოფელ პირველი ბაღდის აღმოსავლეთით, 0,5 კმ-ზე, აბაშის მარცხენა მხარეს, მოთენას მთაზე, ეოცენური ასაკის შრეებრივ კირქვებში გამომუშავებული და მოთენასავე სახელით ცნობილი მღვიმე.

მეოგალებიდან (ნაოლაგენიდან) 15-იოდე ვერსზე აიხვალდი ასახელებს მდ. **საჩურას** (საცხურას), რაც დადიანის საზაფხულო ბანაკს ჩაუდის გვერდით სოფელ სალხინოში. **საჩურა** იგივეა, რაც მდ. **ნაჩხურა**. მოედინება ასხის კირქვული მასივის კარსტული ძაბრიდან, მინისქვეშა ნაკადის სახით, ზ. დ. 320 მ სიმაღლიდან. უერთდება მდ. ტეხურს მარცხენა მხრიდან, სოფ. სალხინოს ტერიტორიაზე. მდინარის სიგრძე 12 კმ-ია. მდინარისთვის დამახასიათებელი წყალცივობა გახდა სახელდების საფუძველიც: **ნაჩხურა** იგივეა, რაც „ცივწყალა“.<sup>2</sup> მდინარის სახელწოდების ადგილობრივ ვარიანტებად დადასტურებულია აგრეთვე **ჭაჩხურა/ჭაჩხუა/ნაჩხვია/ნაჩხუა**.<sup>3</sup>

მცირე მანძილის გავლის შემდეგ აიხვალდი მიადგა დადიანის საზაფხულო სადგომს **სალხინოში**. მოგზაური ფიქრობდა, რომ აქ ნახავდა სამეგრელოს მბრძანებლის მშვენიერ შენობებს, მაგრამ ტყიდან გასულს, მდინარის წინ, პატარა მოედანზე „კაბიტკის“ მსგავსი რამდენიმე, მრგვალი, დაწული ქოხის, ქვის ძველი ეკლესიისა და მის უკან მდგარი დადიანის მოძველებული და მორყეული სასახლის მეტი არაფერი შეუმჩნევია.

სალხინო თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სოფლების – ნაჩხურუს, ვახას, ლეგულორდავეს, ლესხულუხეს, ლეცავესა და პატარა ჟინოთის ცენტრს წარმოადგენს. მარტვილს 15 კმ-ით არის დაშორებული და გაშლილია ტეხურისა და ნაჩხურის ხეობებში, ვაკეზე, მთებსა და გორაკ-ბორცვებზე. გოგილო და დემურ ბასილაიები სოფლის სახელწოდების წარმოქმნას ამ ადგილის დადიანთა რეზიდენციად გადაქცევას უკავშირებენ და დაასკვნიან, რომ ტოპონიმის „დამკვიდრება“ უნდა მომხდარიყო XVIII ს. 30-იანი წლები-

<sup>1</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ..., გვ. 173-174. **ლ. მარუაშვილი**. შუქი სიბნელეში. თბ., 1963, 89-91.

<sup>2</sup> **ი. კეკელია**. მარტვილის რაიონის ოიკონიმია. ქუთაისი, 2010, გვ. 125-127; **ო. ხუხუა**. სალხინო თუ ნაჩხურა? – გაზ. „შრომის დროშა“, №86, 1980; **ო. ხუხუა**. ტოპონიმების – „სალხინოსა“ და „ნაჩხურუს“ წარმოშობის ისტორიისათვის. – გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესია (მასალები). თბ., 1981.

<sup>3</sup> **პ. ცხადაია**. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი). თბ., 2012, გვ. 656.

დან.<sup>1</sup> არჩილ ბატონიშვილისა და გიორგი გეგელიას რჩევით ფიცრულის ნაცვლად ორსართულიანი ქვის სასახლის მშენებლობის დაწყება სალხინოში სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანის (1804-1840 წწ., გარდაიცვალა 1846 წელს) სახელთანაა დაკავშირებული, რაც მის შვილიშვილს, პრინცესა სალომე მიურატს, დედამისის – ეკატერინე დედოფლის (ჭავჭავაძის) გარდაცვალების შემდეგ დაუსრულებია (XIX. ს 80-იან წლებში). მანამდე აქ სამეგრელოს მთავრებს ხის ოდა ედგათ.

სალხინოდან რამდენიმე საათის შეუსვენებელი მგზავრობის შემდეგ აიხვალდი სწევია კირქვიანი მთის წვერზე აღმართულ **ნაქვიშის ციხეს**. ესაა თანამედროვე ჭაქვინჯის ციხე. „ის არც განსაკუთრებით დიდია და არც ძალიან ძველი. გალავანზე შეინიშნება რამდენიმე პატარა კოშკი, ალბათ ჯარისკაცებისთვის სათოფურებად (ამბრაზურებად). ციხეში არის ეკლესია, რომელიც ვერ ვნახე, რადგან შიგნით არ შემიშვეს დადიანის საგანგებო ნებართვის უქონლობის გამო, რაც საამისოდ აუცილებელი ყოფილა. მცველებს უმკაცრესად ჰქონდათ ნაბრძანები, მისი ნებართვის გარეშე არავინ გაეტარებინათ. თუმცა სამხედრო მეციხოვნე რაზმი არ დგას, მაგრამ რამდენიმე ზარბაზანი კი არის ციხეში. ციხისაგან 60 ბიჯის მოშორებით შიშველ მოედანზე იდგა ერთადერთი კოშკი, რომლის შესახებაც მითხრეს, რომ მას ციხესთან ჰქონდა მინიქვეშა დამაკავშირებელი გვირაბი. ერთ-ერთმა უწინდელმა მბრძანებელმა ეს ციხე ააშენა თურქების წინააღმდეგ“.<sup>2</sup>

ვახუშტის რუკებისა და ნაშრომის მიხედვით „ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა“ მდებარეობს ხორგისწყლის (ალბათ ხობისწყლის) აღმოსავლეთით, მაგრამ ეს შეცდომაა და, როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, აღნიშნული პუნქტი მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე.<sup>3</sup> ვახუშტის თვით ციხის სახელწოდებაც განსხვავებული ფორმით აქვს მოცემული. უფრო ადრინდელ, ლევან II დადიანის 1640 წლით დათარიღებულ წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერაში დასახელებულია „ჭაქვინჯის“, ხოლო მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „ჭაქვიჯის“ ფორმით. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია „ჭაქვიჯი“.<sup>4</sup> ნ. დადიანი რამდენჯერმე ასახელებს ტოპონიმ „ჭაქვიჯს“.<sup>5</sup> XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ოდიშში მიუთითებს ჭაქ-

<sup>1</sup> გ. ბასილაია, დ. ბასილაია. ჩვენი სალხინო. თბ., 2008, გვ. 20.

<sup>2</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 184.

<sup>3</sup> თ. ბერაძე. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. IV. თბ., 1971, გვ. 58.

<sup>4</sup> საქართველოს ისტორიული რუკა, 1923.

<sup>5</sup> ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. პურჯანაძემ. თბ., 1962, გვ. 236.

ვინჯის ციხეს.<sup>1</sup>

წერილობით წყაროებში გვხვდება ტოპონიმის განსხვავებული ფორმაც – **ნაქვიში**. კერძოდ, ლევან V დადიანის მიერ წალენჯიხის დეკანოზ ნიკოლოზ თვალთვამისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ამისი მოწმე... **ნაქვიშის ციხის** და მისი შემავალის, თქვენი მოურავი მხეიძე პეტრე“.<sup>2</sup>

შემდეგი პუნქტი, რასაც ედუარდ აიხვალდი ასახელებს, დადიანის საზაფხულო რეზიდენცია **ზუგდიდია**. მოგზაური გვაუწყებს, რომ დადიანებმა თავიანთი რეზიდენცია აქ ორიოდ საუკუნის წინ გადმოიტანეს და დასახლდნენ, თუმცა ახლა ეს სახლები მეტწილად დანგრეული იყო. ამჟამინდელმა დადიანმა ლევან გრიგოლის ძემ ერთი წლის წინ დაიწყო ქვის ძალზე მაღალ საფუძველს დაყდრნობილი ახალი მშენიერი სასახლის მშენებლობა. მშენებლები რუსი ჯარისკაცები არიან, რომელსაც დადიანი დღიურ საფასურს უხდის. ხის მთავარი შენობის გარდა აიხვალდი მთავრის ეზოში ასახელებს კიდევ რამდენიმე დამატებით ნაგებობას, რასაც ფლობენ დადიანის ამალის წევრი თავადები.<sup>3</sup>

აიხვალდი ასახელებს **ანაკლიის** დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. მისივე ცნობით, აღნიშნული ციხე ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანს. 1779 წელს ანაკლიის ციხეს დაპატრონებია აფხაზეთის მთავარი ქელემ ბეი შარვაშიძე, ხოლო მაშინდელი მმართველი მთავრის – გიორგის უფროსი ვაჟი და მემკვიდრე, მცირეწლოვანი ლევანი მძევლად აუყვანია. რუსეთის მთავრობამ ქელემ ბეი აიძულა, რომ ახალგაზრდა მთავარი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა.<sup>4</sup> აიხვალდი გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძვეს ანაკლია“.<sup>5</sup>

შავი ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. მასზე ცნობები დაუცავს აგრეთვე იაკობ რაინეგსს, რომელიც ამ დასახლებულ პუნქტს შეცდომით ენგურის მარჯვენა ნაპირზე მიუთითებს.<sup>6</sup>

ვახუშტი მას მოიხსენიებს **ანაკრიას** ფორმით: ენგურის „...მიერთვის ზღვას ანაკრიას“.<sup>7</sup> უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. გიულდენშტედტის თქმით, ანაკლია ეწოდება ციხეს ენგურის შესართავ-

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თარგმანი და გამოკვლევა **გ. გელაშვილისა**. ტ. I. თბ., 1962, გვ. 188, 199, 325.

<sup>2</sup> ქუთაისის მუზეუმი, საბ. №1503.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 185.

<sup>4</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 214.

<sup>5</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 211.

<sup>6</sup> იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 108.

<sup>7</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა., გვ. 779.

თან.<sup>1</sup> ანაკლია მოხსენიებულია მორიც ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ადგილი და სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო პუნქტი.<sup>2</sup>

აიხვალდის ჩანაწერებში დაცულია ცნობა მდ. ანაკლიასა და ერთი ციხის ნაშთის შესახებ. საუბრობს რა სოფლის ჭაობიან გზებზე, შენიშნავს, რომ „მდინარე ანაკლია ამ დროს არაა სიცოცხლისათვის უხიფათო გასასვლელად. ამასთან, როგორც მე მითხრეს, აქეთ არაფერია სანახავი: მხოლოდ ცოტა რაოდენობის გლეხის ქოხებია და ერთი მეგრული ციხის ნანგრევები, რომელიც 100 წელზე მეტის არ უნდა იყოს“.<sup>3</sup> მდინარე „ანაკლიას“ სახელწოდებით სოფლის ტოპონიმიაში დამოწმებული არ არის. ვერც იმის გარკვევა ხერხდება, თუ რომელ ციხეს გულისხმობს აიხვალდი „მეგრული ციხის ნანგრევებში“...

**რედუტ-კალეს** შესახებ ედუარდ აიხვალდი შემდეგ ცნობებს გვანვდის: „რედუტ-კალე ანაკლიიდან 60 ვერსით უნდა იყოს დაშორებული. ძალზე მომქანცველი გზა სულ ჭაობებსა და უმთავრესად ხშირ და გაუვალ ტყეებში გადის, სადაც საფლობის სიღრმე წყრთას აღწევს... ხობის აქეთა მხარეს რედუტისკენ მიმავალი საფოსტო გზა შეუდარებლად უკეთესია. ამ პუნქტში უნინ სრულებით არ იყო სახლები. ორიოდე წლის წინ ნავსადგურის აგების შემდეგ საზღვარგარეთთან ვაჭრობით მიღებულმა შემოსავალმა და საბაჟო გადასახადმა მნიშვნელოვანი შემოსავალი შეადგინა. ამიტომ გადაწყდა ნავსადგურის გაშენება-გაფართოება. რუსეთმა სანაპირო ზოლის დათმობის სანაცვლოდ დადიანს გადაუხადა 2300 ვერცხლის მანეთი. ეს ადგილი დადიანს ადრე არაფერს აძლევდა. სამაგიეროდ ვაჭრობა და საბაჟო შემოსავალი წლიდან წლამდე იზრდება. წინათ აქ არ იდგა არავითარი შენობა, ახლა კი სახლების მეტი წილი მდ. ხობის ნაპირზეა. საბაზრო მოედანზე დუქნების ორი რიგია, ხოლო მათ ზემოთ საფოსტო გზა გადის. მოედნის შუაში შუადღემდე აღმართულია ციხის დროშა. დუქნებში უმთავრესად იყიდება არაყი, თამბაქო, ხორცი, პური და სხვა სურსათ-სანოვაგე, მცირე რაოდენობით კი – ფართლეული. უნინ არსებული ჭაობიანი ნიადაგი ამომშრალია და მასზე რიყის ქვებია დაყრილი. ამას გარდა გაყვანილია თხრილებიც, გაზაფხულზე დიდი რაოდენობით დაგროვილი წყლის სადენად. კარანტინი შედგება ლობეშემოვლებული ოთხი პატარა სახლისაგან და მდებარეობს მდინარე ხობის მარჯვენა ნაპირზე. კარანტინში მყოფ მოგზაურებს შეუძლიათ გარშემო სეირნობა, მაგრამ საზღვრის გადალახვა გუშაგების მიერ ეკრძალებათ.

ბაზრის ბოლოს ჩამოედინება პატარა მდინარე **სივა (ცივი)**, რომელიც აქ ერთვის ხობს. ხოლო ზღვასთან ახლოს ძევს თვით რედუტი. მისი

<sup>1</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 325, შენიშვნა.

<sup>2</sup> მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო **გია გელაშვილმა**. თბ., 2002, გვ. 134.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ..., გვ. 197.

უმნიშვნელო სიმაღლის მიწაყრილი აქა-იქ ჩამოქცეულია. მასზე ყოველი მიმართულებით დგას ქვემეხები. თვით რედუტში არის კომენდანტის საცხოვრებელი, ორიოდ შენობა გარნიზონისათვის, ყაზარმა და ჰოსპიტალი; აგრეთვე დამხმარე შენობები ზოგიერთი მოხელისათვის...

რედუტის მდებარეობა არაჩვეულებრივი ნესტიანობის გამო ძალზე არაჯანსაღია. დიდი ნიაღვრების დროს მდინარე ხობისწყალი კალაპოტში რამდენიმე ფუტით იწვეს და წალეკავს ხოლმე მთელ არემარეს. ბაზრის წინ გამდინარე სივა (ცივი) ერთვის ხობს, ამ უკანასკნელის ზღვაში შესართავიდან ერთ ვერსზე. ზღვის ძლიერი შტორმისას წყალი ძალზე ღრმად იჭრება ნაპირზე და აღწევს სივას ხობთან შეერთებამდე, ისე, რომ ციხე წყალში ექცევა. ამ დროს წყალი სიმაგრის შიგნით ერთი ფუტის სიმაღლეზე დგას და ყველაფერს ლეკავს. ამით კი ადგილის ნესტიანობა კიდევ უფრო მეტად იზრდება... რედუტ-კალეში ჯერ კიდევ არაა შუქურა. ღამის წყვდიადში ადგილის გაგნების მიზნით გემიდან გასროლილ ქვემეხს კომენდანტი მაშინვე ქვემეხის გასროლით პასუხობს და აძლევს ცეცხლის ნიშანს. ამის საშუალებით გემები შემოდინან ნავსადგურისკენ, ან კიდევ მთელი ღამით მალალ ბოძზე ჰკიდებენ ნათურას... ციხე ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 30 ნაბიჯზე მდებარეობს, ხოლო მისი მიწაყრილის უკან ამოღებულ ჭაში ერთი საჟენი სიღრმის ძალიან კარგი, სავსებით უმარილო წყალია“.<sup>1</sup>

რედუტ-კალე ქართველ მკვლევართა მიერ გაიგივებულია შუა საუკუნეების ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებში დასახელებულ **კემხელთან//კემხალთან** და თანამედროვე სოფ. **ყულევთან** ხობის მუნიციპალიტეტში. ყულევი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, ზღვასთან ხობისწყლის შესართავთან, და ხობს 18 კმ-ით არის დაშორებული. სოფ. ყორათიდან ხობისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს ერთი ქუჩა, რაც მიემართება ისტორიული ციხე-სიმაგრის ნანგრევებამდე. სწორედ ამ ერთ ქუჩაზეა განთავსებული სოფლის მთელი მოსახლეობა. **რედუტ-კალე** არაქართული ჰიბრიდული ტოპონიმი: **რედუტი** ფრანგულად „მცირე ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს, ხოლო **კალე** თურქული სიტყვაა და იგივეა, რაც „კოშკი“.<sup>2</sup>

რედუტ-კალედან ფოთისკენ მიმავალ გზაზე, რედუტიდან 4 ვერსის დაშორებით აიხვალდი მიუთითებს რუსების სასაფლაოს არსებობას.<sup>3</sup> როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობოდა მისი წინამორბედი მოგზაურის – მორიც ვაგნერის ჩანაწერებში დაცულ მსგავს ცნობებს რედუტ-კალესა და მის შემოგარენზე.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 197-204.

<sup>2</sup> საკითხისათვის ვრცლად იხ. **ზ. ქირია**. სოფელ ყულევის ისტორიიდან. – ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI. თბ., გვ. 220-222.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 205.

<sup>4</sup> მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გვ. 139.

აიხვალდისეული სივა, იგივე ცივი, ხობისწყლის მარცხენა შენაკადის, არხის სახელწოდებაა. თვით ამ უკანასკნელს მარცხენა მხრიდან შეერთვის ღელე ციას სახელწოდებით, რომლის სიგრძეც 7-8 კმ-ია და სოფ. ჭალადიდში, კადალიონში იღებს სათავეს. ცივის არხი მოიხსენიება ლევან II დადიანის ერთ-ერთ სიგელში: „ჭვირისა და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობელისა არის უცილობელი“.<sup>1</sup> მაშასადამე, ამ სიგელის მიხედვით, XVII საუკუნისათვის სახოფოს საზღვარი ცივსა და ჭურინზე გადის. XVI ს. I ნახევარში ცივი რიონის პარალელურად და მისგან არც ისე შორს მიედინებოდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც რიონმა ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა, ცივი შეუერთდა რიონს. ამჟამად ცივი ორია: ერთი რიონის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს, ხოლო მეორე – ხობისწყლის მარცხენა შენაკადს. ამ უკანასკნელს სახელად ცია შერჩა.<sup>2</sup>

სამეგრელოს დასახლებულ პუნქტებს შორის მოგზაური ასახელებებს სოფელ ხორგას, სადაც მას ერთ აზნაურთან გაუთეგია ღამე, რადგან უგზობობისა და ცხენების დაღლილობის გამო გზის გაგრძელება შეუძლებელი ყოფილა. „მთლიანად აღებული აქ, სამხრეთ სამეგრელოში, რედუტისკენ, სადაც მეტი მოძრაობაა, უკეტესად ცხოვრობენ, ვიდრე ზუგდიდის იქითა მხარეს. ამიტომ გლეხებს აქ მეტი პირუტყვი ჰყავთ, აქვთ უკეტესი სახლები, უკეთესად აცვიათ და ა. შ. მათ მდინარე ხობის საშუალებით, რომელზეც ძევს თვით სოფელი... ჩააქვთ რედუტში ხეტყე, მორები, ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და ამგვარად შოულობენ ცოტა ფულს...“.<sup>3</sup> აიხვალდის ცნობით, ხორგა საკმაოდ ვრცელი სოფელია და რამდენიმე ვერსის გავლაა საჭირო სოფლის ბოლოში გასასვლელად. მისი ერთი ნახევარი დადიანის საკუთრებას წარმოადგენს, მეორე ნახევარს კი თავადი ჯაიანი ფლობს. ამ უკანასკნელის სახლის წინ გაედინებოდა მდ. ხობი. საცხოვრებელი წარმოადგენდა მუხისგან ახლად ნაგებ და საკმაოდ მშვენიერ შენობას.<sup>4</sup>

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ხორგის სახელით ოთხი სოფელია ცნობილი ხობის მუნიციპალიტეტში: გამოღმა შუა ხორგა, გაღმა შუა ხორგა, გამოღმა პირველი ხორგა და გაღმა პირველი ხორგა. ფაქტობრივად ხორგად იწოდებოდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ხობისწყლის ორივე მხარეს, პირველ ხორგასა და ქარიატას შუა.<sup>5</sup> ხორგა მოიხსენიება შუა საუკუნეების არაერთ საისტორიო წყაროში.

სამეგრელოს დასახლებული პუნქტებიდან სამოგზაურო ჩანანერებში გვხვდება აგრეთვე სენაკი. ასე ეწოდება ამჟამად ქალაქს და ად-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. ტფ., 1921, გვ. 23.

<sup>2</sup> პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი. თბ., 2007, გვ. 225.

<sup>3</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 198.

<sup>4</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 198-199.

<sup>5</sup> პ. ცხადაია. სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, გვ. 227.

მინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონის (მუნიციპალიტეტის) ცენტრს ოდიშის დაბლობზე, ტეხურის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 28 მ-ზე. ამასთანავე, ძველი სენაკი სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია, რაც სენაკს 7 კმ-ით არის დაშორებული.

რედუტიდან 22 ვერსის მოშორებით აიხვალდი ასახელებს ხორგას სადგურს, ხოლო ამ უკანასკნელიდან 17 ვერსზე – **სახარბედიო**: „აქ სამეგრელოს მთები საფოსტო შარას სულ უფრო ახლოს ადგებიან და დაფნის ტყეები დიდი რაოდენობით ჩნდებიან. ჩვენ გადავვებით ხილით ერთ მდინარეზე“.<sup>1</sup>

სოფელი სახარბედიო მდებარეობს ციის ორივე ნაპირსა და ეკის მთისკალთაზე და თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის. სახარბედიოდან აიხვალდს ამოფულურული პატარა ნავით გადაუცურავს ძალზე სწრაფი და იმ დროს ძალზე ადიდებული მდ. **ტეხურა**. გაუვლია აგრეთვე მდ. **აბაშა**, რომლის სახელსაც ატარებდა სადგურიც: „ამ სადგურამდე გავვებით აბაშაზე, რომელიც ატარებს მის სახელს; ის აქ საკმაოდ ღრმა წყალს მიაქანებდა, რაც ცხენებს მუცლამდე სწვდებოდა, თუმცა არ იყო ისეთი ჩქარი, როგორც ტეხურა“.<sup>2</sup>

აბაშა ეწოდება ქალაქს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (მუნიციპალიტეტის) ცენტრს ოდიშის დაბლობზე, ამავე სახელწოდების მდინარესა და ნოღელას შორის. აბაშა ზ. დ. 23 მ. სიმაღლეზეა. ამ პუნქტს თავის სამოგზაურო ჩანაწერებში მოიხსენიებს ჟაკ ფრანსუა გამბა, სადაც საუბარია აბაშის კაზაკთა პოსტზე, რაც ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე მდებარეობდა.<sup>3</sup>

რედუტ-კალედან უკან გამობრუნებული აიხვალდი სადგურ აბაშიდან 12 ვერსის გავლის შემდეგ ცხენისწყლის ძველ კალაპოტთან მისულა, შემდეგ კი ახალ კალაპოტზე ბორანით გადასულა და გუბისწყლის სადგურის გავლით გზა გაუგრძელებია ქუთაისისკენ. ამით სრულდება სამეგრელოში გერმანელი ბუნებისმეტყველის მოგზაურობის ვრცელი და უაღრესად საინტერესო აღწერილობა.<sup>4</sup>

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერების მნიშვნელობა, რომელიც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას XIX საუკუნის პირველი მესამედის სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე.

<sup>1</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 225-226.

<sup>2</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 226.

<sup>3</sup> ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I. ფრანგულიდან თარგმნა **მზია მგალობლიშვილმა**. თბ., 1987, გვ. 128-129. უფრო ვრცლად იხ. **ი. კეკელია**. აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი. ქუთაისი, 2011, გვ. 10-17.

<sup>4</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ., გვ. 226.

**IGOR KEKELIA**

**QUESTIONS OF SAMEGRELO'S HISTORICAL GEOGRAPHY  
IN EDUARD EICHWALD'S TRAVELLER'S NOTES  
AND MODERN HISTORIOGRAPHY**

A large political, economical, ethnographical, geological description of Samegrelo in the travelling notes of Karl Eduard Eichwald, a famous German scientist and traveler. The given research shows the importance of the travelling notes of Eduard Eichwald, which extend our Knowledge about Samegrelo's historical geographic questions of the first third of the 19<sup>th</sup> century.

**ИГОРЬ КЕКЕЛИА**

**НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ МЕГРЕЛИИ  
В ПУТЕШЕСТВЕННЫХ ЗАПИСЯХ ЭДУАРДА АЙХВАЛЬДА  
И СОВРЕМЕННАЯ ИСТОРИОГРАФИЯ**

Обширное политическое, экономическое, геологическое описание дано в путешественных записях известного немецкого учёного и путешественника Эдуарда Айхвальда. Весьма ценны его сведения о княжестве Самегрело. Эти записи заполняют наше познания новыми нюансами об исторической географии Мегрелии первой трети XIX века.



## ალექსანდრა მღებრიშვილი

### გორი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში (60-იანი წლების ჩათვლით)

გორის ისტორია ათეულ საუკუნეებზე მეტს მოიცავს. ამის შესახებ არაერთი ცნობაა შემორჩენილი. ამ ცნობათა სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი ხდება, რომ, თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გორისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ უცხოელი მოგზაურები და არა მხოლოდ ისინი.

„გორის დაარსება შემთხვევითი არ იყო. იგი შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილში მდინარეების ლიახვის, მტკვრისა და მეჯუდას შესაყარში, მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას მდებარეობდა და კეტავდა აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-სამხრეთის გზებს. ვისაც გორი „ეჭირა“, იგი ტრადიციულად ქართლსაც ფლობდა, ამიტომ მის დასაკავებლად ყოველთვის ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა“.<sup>1</sup>

გორის ისტორიის შესწავლით სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი გახლდათ დაკავებული. ამ თემის ცალკეული საკითხებით დაინტერესებული იყვნენ: სერგი მაკალათია, ელენე კავლელაშვილი, თამარ მესხი და სხვები. ცალკე უნდა აღინიშნოს პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის ღვაწლი, რომელმაც თავისი „გორის ისტორიის“<sup>2</sup> ორტომეულით დიდი წვლილი შეიტანა გორის ისტორიის შესწავლის საქმეში. ზემოხსენებულთა გარდა, ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ჩვენ მიერ აღებული მიმართულებით საგულისხმო კვლევითი სამუშაო აქვს ჩატარებული, პროფ. ი. ალიმბარაშვილია.

სადღესოდ ჩვენს მიზანს წარმოადგენს XIX ს. იმ რუსულ წყაროთა წარმოჩენა, რომელნიც საინტერესო ცნობებს გვანვდიან საკვლევო საკითხის მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ერთგვარად საზოგადოების ყურადღების მიღმა არიან დარჩენილნი. XIX ს. რუსულ წყაროთა შორის, ჩვენს ხელთ არსებულთაგან უძველესი, სადაც გორი მოიხსენიება 1805 წ. „კავკასიის აღწერა“, რომელშიც მუხრანის, დუ-

<sup>1</sup> ი. ალიმბარაშვილი. უცხოელთა თვალთ დანახული გორი (X-XIX სს.) /ხელნაწერი/, გვ. 4.

<sup>2</sup> პროფ. ე. მამისთვალიშვილის ეს ნაშრომი საგულისხმო ცნობებს შეიცავს გორის დაარსების, კულტურის, ყოფის, ვაჭრობის, განათლების, მოსახლეობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ. იგი ავტორის მიერ წლების მანძილზე გაწეული შრომის შედეგია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკითხის შესწავლის თვალსაზრისით.

შეთის, ანანურის და ახალგორის გვერდით გორი ციხესიმაგრედ მოიხსენიება. ამავე წყაროს მიხედვით ამ დროისათვის ქართლში 1682 სოფელია.<sup>1</sup> გორს ბერძნების მიერ დაარსებულ მცირე ციხე-სიმაგრედ მოიხსენიებს მომდევნო ჩვენთვის საინტერესო წყარო: «Гори, при устье Меджуды, впадающей в Куру, небольшая крепость. Многие писатели полагают, что она основана Греками или Римлянами, и была первая, в которой введена Христианская вера».<sup>2</sup>

საგულისხმოა, რომ XIX ს. პირველი ნახევრის რუსი ავტორები აღტაცებულნი საუბრობენ გორის და მისი ციხის მოსახერხებელი ადგილმდებარეობის შესახებ. გორის ციხე, რომლის დაარსების დროდ უძველესი პერიოდებია დასახელებული, ქართლის მთავარ თავდაცვით ნაგებობადაა გამოცხადებული. ა. მურავიოვი<sup>3</sup> მიუთითებდა, რომ გორის ციხის ადგილმდებარეობაზე უკეთესი ადგილი ძნელი შესარჩევი იქნებოდა და ციხე-სიმაგრის ასაშენებლად. იგი უძველესი დროიდან რამდენჯერმე განახლდა და მეფე ერეკლე მეორის დროს ჯერ კიდევ შესწევდა უნარი, მტერი შეეჩერებინა. მოგვიანებით, რუსთა შემოსვლის შემდეგ მასში თითქმის აღარაფერი დარჩა ერთი დაცარიელებული ეკლესიის გარდა, რომელსაც მეფე თამარის პერიოდს მიაკუთვნებენ. გორის ციხეს მშვენიერი ტერასა აქვს. ნაგებობის რიგი თავისებურებანი ციხესიმაგრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებენ. იგი ერთგვარი გასაღების როლს ასრულებდა ქართლში, ლიახვის და მტკვრის შესართავთან.

აღსანიშნავია, რომ ამავე ტექსტში ატენი პატარა, მხიარულ ქალაქად მოიხსენიება: «Невозможно было избрать лучшего места для крепости... Основание крепости относят ко временам самым отдаленным, но она была несколько раз обновляема, и даже при Царе Ираклии еще могла отражать напор врагов... Теперь по водворении мира, ничего в ней не оста-

<sup>1</sup> Я. Ланген. Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии. Перевод с французского. СПб., 1805, გვ. 51.

<sup>2</sup> Подробное описание Персии и государств Кабула, Сеидстана, Синди Бальха, Белудшистана, земли Хорассана; также Грузии и Персидских провинций, присоединенных к России. Часть вторая. М., 1829, გვ. 83.

<sup>3</sup> ანდრეი ნიკოლოზის ძე მურავიოვი (1806-1874) რუსი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. საკუთარ ნაწარმოებთა უმეტესობაში აღწერდა წმინდა მიწებს. 1837 წელს არჩეულ იქნა რუსეთის აკადემიის წევრად. სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობების დროს შეაგროვა მართლმადიდებლური ხატებისა და სხვა რელიქვიების მდიდარი კოლექცია, რომელიც მოგვიანებით გადასცა რუმინანცევთა მუზეუმს. მის შრომათა შორისაა: *История Российской церкви* (1838). Первые четыре века христианства (1840). История святого града Иерусалима от времен апостольских и до наших времен (1844). Сношения России с Востоком по делам церковным (1858-1860). Путешествие ко святым местам в 1830 году (1832). Грузия и Армения (1848) და ა.შ. ა. მურავიოვის თბულებანი თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა ევროპულ ენებზე.

лось, кроме одной церкви, также опустевшей, которую относят, как все древнее, к Царице Тамаре.

Весьма замечательна терраса, многими уступами спускающаяся к реке, с крытыми ходами, для тайного добытия воды. Колоссальное ее устроение свидетельствует о важности самой крепости, служившей ключом Карталинии, на слиянии Ляхвы и Куры. Один из очаровательных видов сей живописной страны, открывается с вышгорода Гори на всю равнину, далеко бегущую к снежному хребту Кавказа... На коническом утесе противоположного берега белеет древняя обитель креста, куда часто притекают для молитвы благочестивые жители Гори; вдали раскрывается устье Атенского ущелья. Малый но веселый городок, домами своими, облепил со всех сторон осеняющий его утес, как дети робко держатся за одежду матери; панорама сия достойна лучшей кисти наших живописцев».<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, ოქონის ხატების შესახებ საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში აქტუალური განსჯის საგანს წარმოადგენს. სხვადასხვა დროს აღნიშნული საკითხის შესახებ საგულისხმო ცნობები აქვს წარმოდგენილი: ვახუშტი ბატონიშვილს,<sup>2</sup> ალექსანდრე გარსევანიშვილს,<sup>3</sup> მარი ბროსეს,<sup>4</sup> დიმიტრი ბაქრაძეს,<sup>5</sup> მოსე ჯანაშვილს,<sup>6</sup> საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, 1917-1918 წლებში, კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილს)<sup>7</sup> და ა.შ.

პროფ. ი. ალიმბარაშვილის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მთავარ სინდინდეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავიათ ოქონის ხატებს. ისინი საქართველოში რამდენიმეა და მის სხვადასხვა კუთხეში არსებულ ოქონის ტაძრებში იყვნენ დაბრძანებულნი. ოქონის ხატს უმნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ერის ცხოვრებაში. იგი მოჰყავდათ „თავდებად“ წყალობის, ნასყიდობის, სასისხლო სიგელებში, მისი „მეოხებითა და შეწევნით“ ხდებოდა მინების ყიდვა-გაყიდვა და ა.შ. ამავე დროს,

<sup>1</sup> **А. Муравьев.** Грузия и Армения, часть III, СПб., 1848, გვ. 91-93.

<sup>2</sup> **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1973, გვ. 144.

<sup>3</sup> **ა. გარსევანიშვილი.** ქალაქი გორი და სასწაულთ-მოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი. – *ცისკარი*, 1868, №2.

<sup>4</sup> **M. Brosset.** Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans j'Arménie, exécuté en 1847-1848. St.-Petersbourg, 1851, VI, გვ. 49-52.

<sup>5</sup> **Д. Бакрадзе.** Кавказ в древних памятниках христианства. Т. I. Тифлис, 1875, გვ. 118.

<sup>6</sup> **М. Джанашвили.** Гори и его окрестности, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Тифлис, 1904, вып. 34, გვ. 167.

<sup>7</sup> **Г. Садзагелов-Иверели.** Исторический очерк Оконской чудотворной иконы Божией Матери, находящейся в Горийской Оконской Богородиной церкви. – *Пастырь*, 1890, №12-13, გვ. 20-22.

თავისი ძალისა და ფასეულობიდან გამომდინარე, მუდმივად იყო ქართველ მეფე-მთავართა ცილობის ობიექტი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „მოგზაურობდა“.<sup>1</sup>

ბუნებრივია, აღნიშნული საკითხით დაინტერესება დიდი გახლდათ XIX საუკუნის რუს მოგზაურთა შორისაც, რომელთა შრომებშიც არაერთი საყურადღებო ცნობაა დაცული. ამჯერად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შევეხებით, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო მოსაზრებებს შეიცავს ამ პერიოდში გორში დაბრძანებული ოქონის ხატის, მისი ეტიმოლოგიის, ტაძრის წინამძღვართა წარმომავლობის შესახებ.

ქვემოთ მოტანილი სტრიქონების ავტორზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენი ნელთალრიცხვის VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს სურვილით ჩამობრძანებულ, ტილოზე დაწერილ, ღვთისმშობლის დასაკეც ხატს, რომელიც გასაოცარი სიმრთელით შემონახულიყო გორში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში. ხატს, იმავე იმპერატორის დავალებით, ჩამოჰყოლია მცველი, რომელიც საქართველოში დასახლებულა და საუკუნეების განმავლობაში მის გვარში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს საპატიო მოვალეობა.

«Между осмью церквами различных исповеданий в Гори, одна в особенности привлекла мое внимание, драгоценною святынею, в ней хранящеюся с шестаго века, когда Грузія была подвластна Императорам Греческим. Великій Иустиніан, столько заботившійся о распространении Христианства, прислал владетелю Иверіи Стефану, возведенному им в придворный сан Курапалата, икону складную, писанную на холсте, Деисус, т. е. Спасителя, с Божією Матерію и Предтечею по сторонам. Она доселе сохранилась в Успенской церкви. с удивительною целостію, хотя отчасти сыпались краски. Живопись отличается от так называемой Византійской, X века, светлым колоритом и более пріятными очерками. Не знаю почему образ сей называется у Грузин оконіос, не от Греческаго ли слова икона? Но вот еще замечательное событие: Император прислал при сей иконе своего придворнаго іерея, іоаннікія Горгіани, и род его с тех пор поселился в Грузіи; церковь же и чудотворная икона потомственно переходили от отца к сыну, до наших времен. Старец священник, показывавшій мне сокровище своей церкви, носит тоже имя Горгіани и надеется что его потомки сохранят древнее достояніе отцев своих. Как умиительно такое преемство в священнодействии. Мудрено ли, что на таких твердых началах, не поколебалась в православіи единоверная нам Церковь Иверская?».<sup>2</sup> ამავე პერიოდის წყაროებში წინა პლანზეა წამოწეული საქართველოში კათოლიკე

<sup>1</sup> ი. ალიმბარაშვილი. ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან. თბ., 2012, გვ. 12.

<sup>2</sup> А. Муравьев. Грузія и Армения, გვ. 93-94.

მისიონერთა დამკვიდრების მომენტი.

ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და კრიტიკოსი მ. ბერძენოვი (1829-1874) XIX ს. შუა წლებში გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი და აქტიური თანამშრომელია. 1864-1874 წლებში იგი კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის წევრის პოზიციაზე მოღვაწეობს. აქტიურად იყო ჩართული ამ კომისიის მიერ მომზადებული „აქტების“ მრავალტომეულის შედგენაში. მასვე ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოქვეყნებული შრომები: „თბილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ (1870), „სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში“ (1869), „ეთნოგრაფიული ნარკვევები საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთზე“ და ა.შ.

ავგუსტინელთა ორდენის კათოლიკე მისიონერებმა, რომლებიც შირაზში ქეთევან დედოფლის მონამეობრივი აღსასრულის თვითმხილველნი გახდნენ, თეიმურაზის გამეფების შემდეგ საქართველოში ჩამოიტანეს დედოფლის ნეშტის ნაწილები. მადლიერმა მეფემ ყველა პირობა შეუქმნა ორდენს, დამკვიდრებულიყო გორში, რაც გახდა საფუძველი საქართველოს ფარგლებში მათი პროპაგანდის დასაწყისისა.

გორში ჩამოსვლის შემდეგ კათოლიკე მისიონერთა საქართველოში დამკვიდრების შესახებ ნ. ბერძენოვი (ბერძენიშვილი) წერდა: «Католическіе миссіонеры Августинскаго ордена в Ширазе, очевидцы этой кончины, взяли священныя останки мученицы<sup>1</sup> и положили в кивот. Когда же в Грузіи воцарился сын Кетевани Теимураз, они принесли ему в дар часть мощей его матери, голову, правую руку и немного сгущенной обгорелой крови, а другія частицы отправили в бельгійскій город Намюр, в велико-лепном соборе коего оне и донныне сохраняются. Обрадованный царь щедро одарил миссіонеров и дозволил им основаться в Гори: это было началом их пропаганды в пределах Грузіи».<sup>2</sup>

ამის შემდეგ XVII ს. 30-ანი წლებიდან საქართველოში, კერძოდ გორში, ჩამოდიან არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე. მომდევნო წელს მათ მოსდევს პიეტრო ავიტაბილე ექვს თეათინელ მისიონერთან ერთად: „გორში ცხოვრობდნენ აგრეთვე იტალიელი კაპუცინელები... ამ ბერებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოპოვებული კათოლიკურ მოსახლეობაში არა მარტო თავიანთი ღვთისმოსაობით და იტალიელი კაპუცინელებისათვის დამახასიათებელი ხელოვნებით გულითადად მოეპყრან მოსახლეობის დაბალ ფენებს, არამედ უფრო მეტად სიკეთით... კათოლიკური ეკლესიის აშენების გარდა ამ ბერებს ემადლიერებიან აგრეთვე ჰოსპიტლისა და სკოლის აგებისთვისაც, სადაც ბავშვები მშობლიურ ენასთან ერთად ცოტა იტალიურსაც სწავლობენ“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მხედველობაში გვყავს კახეთის სამეფოს დედოფალი ქეთევანი (1570-1624).

<sup>2</sup> **Н. Берзенов.** Краткій историческій и географическій указатель. Тифлис, 1864, გვ. 15.

<sup>3</sup> მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო **გ. გელაშვილმა**. თბ., 2002, გვ. 110.

იმავე 30-ანი წლებიდან (1632) გორში ჩამოდიან: ვინჩენცო კარიფა, დონ კრისტოფორე დე კასტელი, ანტონიო ჯანდანა, გაეტანო კორლიტო, მატეო ფლორინო, იერონიმე კარფა და სხვები. გორში ამდენი მისიონერის თავმოყრამ განაპირობა მისიონერთა კონვენტის დაარსების იდეის დაბადებაც.

გორის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვანვდის რუსი პუბლიცისტი და ეთნოგრაფი ნიკოლოზ ვორონოვი. მისი პირველი სტატია „საგზაო შენიშვნები რუსეთის გზებზე“ გამოქვეყნდა 1858 წელს გაზ. „ოდესის მოამბეში“. თანამშრომლობდა ისეთ გამოცემებში, როგორებიც იყო: «Вестник с Кубани», «Московски вестник» და ა.შ. 1868-1877 წლებში სტატისტიკური განყოფილების უფროსად მუშაობს კავკასიის ერთ-ერთ სამმართველოში. იმავდროულად 1875-1877 წლებში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მმართველი და მისი გამოცემების რედაქტორია. 1877-1880 წლებში გაზეთ «Кавказ»-ის რედაქტორ-გამომცემლის თანამდებობაზე მოღვაწეობს. ვორონოვის რედაქციით 1868-1881 წლებში თბილისში გამოიცა ათტომეული «Сборник сведений о кавказских горцах». გარდა აღნიშნული შრომისა 1869 წელს, ასევე მისი რედაქციით, გამოიცა «Сборник статистических сведений о Кавказе» (ნან. I).

სწორედ ამ უკანასკნელ ნაშრომში ვორონოვი გორის და მისი ციხესიმაგრის შესახებ წერდა: გორი, მაზრის მთავარი ქალაქია ჯანსაღი კლიმატით, მუდმივი ქარებით და ნოყიერი ნიადაგით. ავტორის აზრით, ქალაქმა სახელწოდება მიიღო მის შუაგულში არსებული გორაკისაგან:

«Горійскій уезд составлял царство карталинское, главным городом коего был Гори. Климат здоровый, но постоянные ветры, дующіе из окрестных ущелій, причиняют болезни простуднаго свойства. Почва плодородна при обильной поливке, но растительности в городе весьма мало. Г. Гори (по-русски – холм) получил названіе от горы, находящейся посреди города, по которой постепенно понижаются башни крепости, соединенныя зубчатыми стенами; крепость эта сооружена императором Византійским Иракліем в первой четверти VII века. Гори не имеет предместій и приписанных к нему селеній. Общее число жителей г. Гори 3915 душ; из них мужескаго пола – 2201, женскаго – 1714. Все жители г. Гори податнаго сословія, за исключеніем 14 лиц, пріобревших право личнаго дворянства на государственной службѣ».<sup>1</sup>

ამავე ავტორის ცნობით, დასახელებული პერიოდის გორში არ-

<sup>1</sup> Н. И. Воронов. Сборник статистических сведений о Кавказе (издаваемый Кавказским Отделом Императорскаго Русскаго Географическаго Общества). Том I, Тифлис, 1869, გვ. 78.

ცოტა მცირე რაოდენობის ქარხანა ფუნქციონირებს, მათ შორის: ორი ზეთსახდელი, ექვსი სამეთუნეო, სამი სამღებრო და შვიდი აგურის.

ასევე, ერთობ განვითარებულია კომერციული და სავაჭრო ურთიერთობანი. საკუთარი კომერციული საქმიანობების საჭიროებიდან გამომდინარე, გორის მცხოვრებთ ხშირად უწევდათ საზღვარგარეთ იმპერიის ზოგიერთ ქალაქში ბაზრებზე გამგზავრება. ამასთან, გარკვეული ნაწილი მუდმივად ვაჭრობდა თბილისში. ამ მიზნებით ყოველწლიურად სხვადასხვა ვადით გაიცემოდა ოთხ ათეულამდე პასპორტი და ა.შ.<sup>1</sup>:

«Положение г. Гори на большой торговой дороге, соединяющей порт на Черном море – Поти с Тифлисом, коммерческим центром Закавказского края, причиною, что в нем торговля развита сильнее, нежели в других уездных городах Тифлисской губернии. Однакож и здесь, как и в прочих городах замечается тоже явление, что торговля, собственно городская, ограничивается предметами первой потребности и посвящена преимущественно снабжению уезда красными товарами русского и европейского произведений. Горійцы предпримчивее жителей других городов в торговых оборотах, некоторые из них съиздавна ездят за границу, на Нижегородскую и другія ярмарки, а также постоянно и на значительныя суммы торгуют в Тифлисе».<sup>2</sup>

გარდა სავაჭრო-კომერციული ურთიერთობებისა ვორონოვი გარკვეულ ცნობებს იძლევა გორის, როგორც ქალაქის აღწერილობის შესახებ. მისი აზრით, სხვა საბაზრო ქალაქებთან შედარებით გორის უპირატესობა განპირობებულია მისი ადგილმდებარეობით. იგი მდებარეობს დიდ სავაჭრო გზაზე, ასევე გააჩნია ტელეგრაფის სადგური, რომელიც დაკავშირებულია ყველა რუსულ და ევროპულ ხაზთან.

ავტორის თქმით, ამ პერიოდში გორში არ მოიპოვება ქალაქის ხარჯზე არსებული საქველმოქმედო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ხოლო, რაც შეეხება გორში არსებულ შენობა-ნაგებობებს, სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: ქვისგან აგებულია მართლმადიდებლური ექვსი ტაძარი, სომხურ-გრიგორიანული – სამი, რომაულ-კათოლიკური – ერთი, სამლოცველო – შვიდი, ქვის სახაზინო სახლი – თექვსმეტი, ქვის კერძო სახლი – 828, ხის – 140 და დუქანი – 261.<sup>3</sup>

«Улицы и площадь в г. Гори не вымощены, но благодаря песчаному грунту берегов р. Куры, засыпанных кроме того речным гравием, а также каменистому грунту на возвышенности, на которой стоит старая крепость, город избавлен от большой грязи. Он не освещается фонарями, и только лавки, как и в других уездных городах Тифлисской губернии, в темныя но-

<sup>1</sup> Н. И. Воронов. Сборник статистических сведений о Кавказе, გვ. 79.

<sup>2</sup> Н. И. Воронов. Сборник статистических сведений о Кавказе, გვ. 79.

<sup>3</sup> Н. И. Воронов. Сборник статистических сведений о Кавказе, გვ. 78, 80.

чи снабжены освещением от хозяев, нанимающих и ночных караульных. Несколько домов, порядочно построенных, древняя церковь и громадные остатки крепости дают г. Гори красивый и довольно живописный вид, особенно с западной стороны».<sup>1</sup>

ზემოთ მოხმობილი მასალები ცხადყოფს, რომ XIX ს. პირველ ნახევარში გორს არაერთი რუსულენოვანი წყარო შეხება და დაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ ინტერესი არც XIX ს. მეორე ნახევარში განელებულა.

## **ALEXANDRE MGHEBRISHVILI**

### **GORI IN THE 19<sup>TH</sup> CENTURY RUSSIAN SOURCES (UP TO 1860'S)**

History of Gori counts many centuries. Numerous facts prove it. Based on these facts, due to its strategic location, Gori attracted great interest from foreign travelers and so on. The article presents the Russian sources of the 19<sup>th</sup> century, which give us interesting facts around the question of our research. But, unfortunately, they are still out of the interest of the society. The oldest Russian source of the 19<sup>th</sup> century is dated back to 1805 year “The Description of the Caucasus,” where Gori is named as a castle together with Mukhrani, Dusheti, Ananuri, and Akhagori. The Russian publicist and ethnographer N. Voronov provides considerable information about Gori. The information presented in the paper make clear that in the 1<sup>st</sup> half of the 19<sup>th</sup> century there were numerous Russian sources about Gori, and even in the 2<sup>nd</sup> half the interest remained the same.

---

<sup>1</sup> Н. И. Воронов. Сборник статистических сведений о Кавказе, гл. 80.



## АЛЕКСАНДР МГЕБРИШВИЛИ

### ГОРИ В РУССКИХ ИСТОЧНИКАХ XIX ВЕКА (До 60-х годов включительно)

История Гори насчитывает более десятка веков. Это подтверждается многими источниками, судя по которым становится ясно, что интерес к Гори из-за его стратегического положения, живой интерес проявляли иностранные путешественники и не только они. В статье поставлена задача ознакомления с русскими источниками, передающими сведения об интересующей теме и оставшимся без должного внимания исследователей. Среди выявленных русских источников XIX века, упоминающих Гори, первым является «Описание Кавказа» 1805 года, в котором Гори, наряду с Мухрани, Душети, Ананури и Ахалгори, значится как крепость. Значительные сведения о Гори сообщают русский публицист и этнограф Н. Воронов и др. Таким образом, вышеуказанные сведения доказывают, что в первой половине XIX в. Гори упоминался в ряде русскоязычных источников и можно с уверенностью сказать, что интерес к вопросу не исчезал и во второй половине XIX века.

## მთარ გოგოლიშვილი

### ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გულო კაიკაციშვილი

1875 წელი. ქობულეთში მღელვარებაა. ერი და ბერი, დიდი თუ პატარა, „ოლქად“ აღსდგა დამპყრობელ თურქთა წინააღმდეგ. ქართველი საზოგადოება იმედით შეცქეროდა ქობულეთელთა გამირულ ბრძოლას და მტრის უღლისაგან ამ კუთხის გამოსხნის გეგმებს ადგენდა. სერგეი მესხმა პატრიოტული წერილით მიმართა აჭარლებს და სთხოვა, აცნობონ ბრძოლის მსვლელობა. ამის პასუხად, 1875 წ. 17 დეკემბერს გაზეთ „დროებაში“ (№142) დაიბეჭდა ვრცელი სტატია „წერილი რედაქტორთან“, რომელსაც ხელს აწერდა „ქობულეთელი სოფლის სამეზბას მცხოვრები გულაი კაიკაციშვილი“. ასე გაიცნო ქართველმა ხალხმა თავისი კუთხის უანგარო მამულიშვილი.

ამ დღიდან გულო კაიკაციშვილის სახელი არ მოსცილებია ქართული პრესის ფურცლებს და თავისი პუბლიცისტური წერილებით უფროსი თაობის პატრიოტ მამულიშვილებთან ახმედ ხალიფაშვილთან, ლომან ქარცივაძესთან, აბდულ მიქელაძესთან, „აჭარელ ხასანაისთან“ და სხვებთან ერთად დაულალავად იბრძოდა ეროვნული თვითშეგნების ამალღებისათვის. იგი ენერგიულად გამოდიოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ, ზრუნავდა აჭარის სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებისა და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის გ. კაიკაციშვილმა იმითაც გაითქვა სახელი, რომ იყო აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე და მგრძნობიარე სიტყვაც წარმოსთქვა პოეტის ნეშტის წინაშე. ეს სიტყვა, რომელიც შესანიშნავია ორატორული ხელოვნების თვალსაზრისითაც, გაჟღენთილია არამარტო ღრმა სიყვარულით პოეტისადმი, არამედ დიდი მოქალაქეობრივი პათოსითაც. მასში ჩანს გ. კაიკაციშვილის, როგორც უკეთესი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლის სახეც.

გ. კაიკაციშვილი სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს აჭარის, კერძოდ კი ქობულეთის მხარის საჭირობოროტო საკითხებზე „დროებაში“, „ივერიაში“, და „სახალხო ფურცელში“.

საკმაოდ მრავალფეროვანია გ. კაიკაციშვილის წერილების თემატიკა. XIX ს. 70-იან წლებში ავტორი თურქთა წინააღმდეგ ქობულეთელთა გამირული ბრძოლის მემატინაე. ამ საკითხს მიუძღვნა მან შესანიშნა-

ვად დანერვილი ვრცელი სტატია „ნერილი რედაქტორთან“,<sup>1</sup> „დროების“ კორესპონდენცია“<sup>2</sup> და სხვა, რომლებსაც თურქთა ბატონობის დროინდელ ქობულეთზე წყაროების სიმცირის გამო გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

აღნიშნულ წერილებში, გ. კაიკაციშვილმა „პანიობას, ბებიის ნასწავლი“ ქართული ანბანით, მოკლედ, მაგრამ შინაარსიდან ჩამოაყალიბა აჯანყების გამომწვევი მიზეზები. „სოფლის ამწერლები მოვიდნენ (ქობულეთში – **ო.გ.**), კაცებს და ქალებს სულეებით წერენ, სახლებს, კარებს, მინას და ყოველიფერს გვიფასებენ“, – წერს ავტორი და შესანიშნავად გადმოგვცემს XIX ს. 30-70-იან წლებში აჭარის გათურქებისათვის ოსმალეთის მიერ გატარებული რეფორმების ე.წ. თანზიმათის შედეგებს. „ყველაფერის აღწერაში“ გ. კაიკაციშვილი სამართლიანად ხედავს უდიდეს საფრთხეს, რაც ამ შემთხვევაში ქართველობას გაქრობით ემუქრებოდა.

გ. კაიკაციშვილი ყურადღებას ამახვილებს ნიზამში აჭარიდან რეზერვების განწვევის შესახებ და მასაც, სავსებით სწორად, მოძრაობის ერთ-ერთ მიზეზად თვლის. მართლაც, თუ XIX ს. 30-40-იან წლებში ოსმალეთმა მიიტანა მინათმფლობელობის ქართულ წესზე და ნაწილობრივ გაიმარჯვა კიდეც, სამაგიეროდ 60-70-იან წლებში მან ამ კუთხიდან რეგულარულ არმიასი მოსახლეობის განწვევისათვის დაიწყო ბრძოლა. ხალხმა დროულად შეაფასა ამ ღონისძიების არსი, სალდათობაშიც საფრთხე დაინახა და იარაღით სცადა ფიზიკური არსებობის შენარჩუნება.

ამავე წერილებში გ. კაიკაციშვილი აღწერს ქობულეთელთა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, რამაც დააჩქარა აჯანყება. იგი აღნიშნავდა: „სამართალი არ გვაქვს, არც გვაძლევს ვინმე. კლასი არ გვაქვს, გზი არ გვაქვს, ხელობა არ ვიცით. მართალია პანია სიმინდის და ღომის მუშაობა დაგვირჩა ხელში, მაგრამ ვერ გადაგვიწყვეტია მით სახვანთქრო გადასახადი მივცეთ, თუ ცოლ-შვილი ვარჩინოთ. საშოვარზე წასვლით მოხერხდებოდა ორიოდე გრომის შოვნა, წერს შემდეგ ავტორი, მაგრამ ქობულეთში ესეც შეუძლებელია – უკაცო ოჯახში ქალ-ბაღანაი შიმშილით მოგვიკდება, ცხენს, ხარს, შინაურს (პირუტყვს) მოგვპარავენო“. გ. კაიკაციშვილი აქ ააშკარავებს თურქული ადმინისტრაციის მოუქნელ საქმიანობას. კერძოდ, მკაცრად აკრიტიკებს ქობულეთის კაიმაკამს, რომელიც „ზის ოდაში ქალაქს“ და „ვერაფერს სამართალს ექცევა“. ამის გამო, დასძენს ავტორი, „ყველანი შეწუხებული ვართ“.

მომდევნო პერიოდის სტატიებში გ. კაიკაციშვილი წერს ქობულეთის მიმართულელებით რუსეთ-თურქეთის ომის ცალკეულ ოპერაციებზე, თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებაზე. ამ კუთხისათვის მოძმეთა დიდ ფინანსურ დახმარებასა და მორალურ მხარდაჭერაზე.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, № 143, 1875.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, № 92, 1876.

ქობულეთელ პატრიოტებთან ყურშუმ ჭყონიასთან და სხვებთან ერთად იგი სიხარულით შეხვდა დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნებას. 1879 წ. 17 ივნისს მან ვრცელი წერილი გაუგზავნა „დროებას“, თან თავმდაბლად მოიბოდიშა, „კაი ხანია, მე თქვენი გაზეთის დასაბეჭდავად არაფერი მომიწერია და ნუ გამინყრებით“. ეს წერილი საინტერესოა თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების მნიშვნელობის შეფასების თვალსაზრისით. მასში ავტორი იუმორით აღწერს ხინოს, რომელიც თურქობის დროს „ავაზაკების ბუდეც წარმოადგენდა“. მხოლოდ საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ „დამყარდა ამ კუთხეში წესრიგი... რავარც შეიტყვეს ხინოვლებმა, რომ რუსის ნაჩაღნიკს კი ქონია ძალა მთავრობიდგანო, ყველამ სილალი (იარალი) დაანყოდა კარგი ფართო თოხები ეილეს“. გ. კაიკაციშვილი თავის სიტყვებს ფაქტობრივი მასალითაც ამტკიცებს: „ხინოელი უსუფა მადლიშვილი ჩამევიდა და მითხრა, რომ ხინოში თხა და მგელი ერთად არიან მინდორშიო, მარა მგელი ვერ ბედავს თხას რომ აწყინოსო; ეშინია, ნაჩაღნიკი შეიტყობს... და გამაფაქებს“. დასასრულს, თითქოს აჯამებდა ზემოთქმულს, ავტორი დასძენდა: „კაცი ხინოში ახლა ფინთ საქმეს ველარ მორთავსო“.<sup>1</sup>

გ. კაიკაციშვილი მწარედ განიცდიდა მუჰაჯირობას – თურქთა აგენტურისგან გაბრიყვებულთა გასახლებას „დამღუპველ ოსმალებში“. 1878 წ. 13 აგვისტოს გაზ. გაზ. „დროებაში“, (№165) დაბეჭდილ წერილში იგი გამოთქვამდა რა სიხარულს „ორი ძმის სამუდამოდ შეერთების“ გამო, ამავე დროს საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა იმ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებზე, რაც მოჰყვებოდა მუჰაჯირობას არამარტო ამ კუთხის ცხოვრებაში, არამედ მთელი საქართველოსთვის. მუჰაჯირობის შეჩერების ერთ-ერთ ფაქტორად გ. კაიკაციშვილი თვლის ქობულეთის უფროსად გრიგოლ დავითის ძე გურიელის დანიშვნას. ეს მოთხოვნა არაა შემთხვევითი. გრ. გურიელი აჭარაში საკმაოდ პოპულარული პიროვნება იყო, რომელსაც ქობულეთის მონინავე ოჯახებთან ნათესაობაც ჰქონდა. იგი ხასიათდებოდა ტაქტითა და გულისხმიერებით. ასე რომ მას შეეძლო მუჰაჯირობის შეზღუდვა. გ. კაიკაციშვილი კიდევ წერს, გრ. გურიელი „ნუგემინს გვეტყოდის და ჩვენც დავუჯერებთ იმასო“.<sup>2</sup>

აღნიშნულ საკითხს ავტორი შემდეგაც დაუბრუნდა. 1882 წ. 17 აგვისტოს გაზ. „დროებაში“, (№172) გამოქვეყნებულ წერილში გ. კაიკაციშვილმა წამოაყენა პრაქტიკული წინადადება, რომ მუჰაჯირთა თავისუფალი მიწები ზემო აჭარის მოსახლეობას გადასცემოდა. ამით ქართველობა ორმხრივ მოგებული დარჩებოდა. ჯერ ერთი, მთის მცხოვრებლები მიიღებდნენ მიწებს და გაიუმჯობესებდნენ ეკონომიკურ მდგომარეობას და, მეორეც, ზღვის სანაპირო ზონა კვლავ შეივსებოდა

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, № 125, 1879.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, №165, 1878.

ქართველებით.

1895 წ. 1 ნოემბერს გაზ. „ივერიაში“ (№236) დაიბეჭდა გ. კაიკაციშვილის გულთბილი წერილი, რომელიც თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული აჭარისადმი ქართველი საზოგადოების დიდ ზრუნვას ეხება. კერძოდ აქ ავტორი გამოთქვამს მადლობას ზაქ. ერისთავისადმი, რომლის ხარჯითაც მისმა შვილმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. „ეს პირველი მაგალითი არის, რომ ქართველ მაჰმადიანს საქართველოში საშუალო სწავლა მიეღოს... და უმაღლეს სასწავლებელში შესულიყოს“ – წერდა გ. კაიკაციშვილი და იქვე აღნიშნავდა: „იმედი მაქვს ჩემი შვილი, – ეს ახალგაზრდა ქართველი, აღიჭურვება რა ცხოველმყოფელის სწავლა-მეცნიერებით, არ დაივიწყებს, რომ იგი ქართველია და სხვებთან ერთად მოვალეა ერთგულად ემსახუროს თავის ქვეყანას, რომელმაც სიყვარულით მიიღო იგი თავის მზრუნველობის ქვეშ. იმედია განათლებით აღჭურვილი და მამულიშვილობის სიყვარულით აღვსილი სამაგიეროდ ეცდება ერთი ათასად მიუძღვნას ქვეყანას დღეს მისგან მინიჭებული და ნათელს მოჰფენს, ნათელს ერთობა-ძმობისას ოდესმე მონყვეტილს მხარეს საქართველოსას“. სამწუხაროდ, არ გაუმართლდა – ოდესას წარგზავნილი მისი ვაჟი ასლანი უდროოდ დაიღუპა. ოდესელმა ქართველებმა მწარედ დაიტირეს თანამემამულე. სტუდენტი რეჟებ ნიჟარაძე აცნობებდა რა პ. უმიკაციშვილის ოჯახს თავიანთ მწუხარებას, ამავე დროს წერდა: „დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი პროფ. პეტრიაშვილი და მელიქიშვილი, რომლებსაც არ დაუკლიათ სანყალი ასლანისათვის არც ზრუნვა და არც მატერიალური შემწეობა“.<sup>1</sup>

დამგლოვიარებულ მშობლებს სამძიმარი გამოუცხადა ქართველი ინტელიგენციის მრავალმა წარმომადგენელმა. სამგლოვიარო დეპეშა იყო აკაკი წერეთლისაგანაც. სამწუხაროდ, დღეს იგი დაკარგულია.

სხვათაშორის, გ. კაიკაციშვილის აღნიშნულ წერილს გამოეხმაურა ანტონ ფურცელაძე, რომელმაც 4 ნოემბერს, იმავე გაზეთში (№239) დაბეჭდა სტატია აჭარაში სწავლა-განათლების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მისი სიტყვით „უმთავრესი დონე ჩვენი ერთმანეთთან მოკლედ დაკავშირებისა, საბოლოოს დამკვიდრებისა, არის სწავლა-განათლება“. აქ არის საჭირო დიდი დახმარება. ის, რაც მოხდა ახალციხე-ახალქალაქში, საიდანაც ჩვენი უყურადღებობით მაჰმადიანი ქართველები წავიდნენ ოსმალეთში, არ უნდა განმეორდეს აჭარაში. ამიტომ ხშირად ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, აღნიშნავს ანტონ ფურცელაძე, რომ „საჭიროა ერთი ათი ადგილი მაინც დავუთმოთ ჩვენს თავად აზნაურთა სასწავლებელში... ახლად შემოერთებული ქვეყნის მოზარდობას... დავზარდოთ ამ სკოლის ხარჯით და თვით უმაღლეს სასწავლებელში გავგზავნოთ და დავამთავრებინოთ ამათ სწავლა ამავე სკოლის

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, №236, 1895.

ხარჯით. მართალია, ათი ვაკანსია არ არის ბევრი, მაგრამ ათი რომ ჩვენ დავზარდოთ, ათი იმერეთის თავადაზნაურთა სასწავლებელმა – ერთი ათი თხუთმეტი წლის განმავლობაში შეადგენს იმოდენა რიცხვს მაინც ამ გაზრდილთ პირთ შექმნებათ გააღვიძონ და გააძლიერონ სწავლა განათლების სურვილი თავის ქვეყანაში, გააძლიერონ ძმური სიყვარული და ერთობა ჩვენსა და იმათს შორის“.<sup>1</sup>

გ. კაიკაციშვილის პიროვნების დახასიათებისათვის საინტერესოა წერილი „დრო არის ყურადღება მივაქციოთ ქალების აღზრდას ქობულეთ-აჭარაში“.<sup>2</sup> მასში ავტორი გვევლინება როგორც ქალთა ემანსიპაციისა და განათლების დაუღალავ მებრძოლად. გ. კაიკაციშვილი ხატოვნად აღწერს ქობულეთელთა სწრაფვას ცოდნის დაუფლებისაკენ. „თუ აგერ ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი მამები გვილოცავდნენ თოფ-იარაღს, ეხლა მათ მაგიერ გოგებაშვილის დედა ენას გვანვდიან. თუ ამდენხანს... სისხლის ალებაში გამოიხატებოდა ვაჟყაცობა, ეხლა ჩვენი ვაჟყაცობა ის არის ვინც შვილებს სასწავლებელში აბარებს“. ავტორის სიტყვით, ეს სრულიადაც არ კმარა. საჭიროა განათლება მივსცეთ ქალებს, რადგან „დიდად მწამს მათი დიადი დანიშნულება ადამიანის ცხოვრება-ში და მით უფრო ქართველთა ერისაში“. ამიტომ, გ. კაიკაციშვილის აზრით, „საჭიროა დიდებულმა საქართველოს შვილებმა მიხედოს ამ მხრიდანაც ქართველ სამაჰმადიანოს და ქალების ბატონყმობა გააბათილონ და მით პირველი საძირკველი დაუდვან იმ დიად შენობასა, რომლის აშენებას დღეს ლამობს მთელი საქართველო“. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ „ჩვენი ქალების აღზრდა წააგავს ნაპერწკალს, რომლიდანაც შეიძლება ადამიანმა აღანთოს სინათლის ლამპარი მთელ ქართველ სამაჰმადიანოში. ქალს თავისი სინაზით და სიკეკლუცით, დედობრივი სიყვარულით იმოდენა შეუძლია გააკეთოს, რასაც ვერ შეძლებს მამაკაცი თავისი უხვი ძალით“.<sup>3</sup>

ამავე წერილში ავტორი ეხება ერთ საკითხს, რომელიც XIX საუკუნის დამლევს გაზ. „კვალში“ დისკუსიის საგანიც იყო. ესაა უცხო ტომის შვილებზე ქართველთა დაქორწინება. გ. კაიკაციშვილის პასუხი მოკლეა. იგი საერთოდ არაა სხვა ქვეყნის წამომადგენლებზე ქართველთა დაქორწინების წინააღმდეგი, მაგრამ გ. წერეთლის მსგავსად ამ სფეროში გარკვეულ შეზღუდვებს მოითხოვს. მისი სიტყვით „ქართველი დედები მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმრები უცხო ტომისანი არიან, ქართველ შვილებს უზრდიან საქართველოსა და სხვა ტომის დედები, მიუხედავად ქართველი მამებისა, უზრდიან უცხო ბავშვებს, რომლებსაც რჩებათ მარტო ქართველი გვარები: ძე და შვილი“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, №239, 1895.

<sup>2</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 685, 1916.

<sup>3</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 685, 1916.

<sup>4</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 685, 1916.

დასასრულს, არ შეიძლება შევჩერდეთ აკაკი წერეთლის ცხედართან 1915 წ. 8 თებერვალს დიდი მგზნებარებით წარმოთქმულ გ. კაიკაციშვილის სიტყვაზე. ეს სიტყვა იმდენად ამაღლებელია, იმდენად დიდი სიყვარულითა და შინაგანი განცდითაა დაწერილი, რომ ვბეჭდავთ მთლიანად.

„ნამდვილო ქართველო, თავადო აკაკი! ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილია მთელი საქართველოს ერი. სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ეხვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვენიან: დარჩიო ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან. მაგრამ არამგონია, უენო ხარ, სულია ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ მიიღებს იმ შევედრებას. არა, ვგონებ მისთვის არიან მოსულნი, რომ თავყვანი სცენ, ვითა ცხოველისმყოფელს შენს დიდებულ გვამს. მეც ამათ რიცხვში ურევივარ მოხუცებული, უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგზავნილი სამესხეთოს მხრიდან, იმ მხირად, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამომგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგიერადაც თავყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და თუ მოვახერხე, ორიოდე სიტყვა გითხრა. – საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე. სპარსნი თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველი ერის სადიდებელ ნაშთებს და ამგვარად საქართველოს ისტორია, ქართველთა ერის წამების ისტორია არის. მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში, მტერთან ბრძოლის დროს, მოხდება, რომ ორი მტრის ტყვეით განგმირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე კი სულ მტერს წაუყვანია ტყვედ და ჩაუგდია განუწყვეტილ სატანჯველში.

აი სწორედ ქართველმა ერმა ოსმალეთთან მრავალი საუკუნის ბრძოლის დროს, დაჰკარგა ერთი მისი ძმა-მხარე სამცხე-სათაბაგო, უპირველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა რუსთაველი და მრავალნი მებრძოლნი გმირნი. და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თავალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს კი წარსულ რუს-ოსმალეთის ბრძოლის დროს მოხდა განგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, როდესაც შევინახეთ ქართული დედა ენა, ჩვენც ველირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც ვითარცა უკვდავი შენ აღუნთე ქართველ ერს.

მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი საათი ვერ მოეფინა ყველგან სინათლე. და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ; და გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვანათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისა-

გან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით. აღარ შეგანუხებ, გაცხონოს ღმერთმა და გისურვებ, შენფერი შვილი ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, განათებულს შენგან ანთებული ჟინჟილით“.<sup>1</sup>

გ. კაიკაციშვილის ამ სიტყვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში. უკვე 12 თებერვალს გაზ. „სახალხო ფურცელი“ დაბეჭდა ვრცელი წერილი „უნდა დავებმართ!“; რომელშიც იყო მოთხოვნა ომით განადგურებული და რეპრესიებით შეწუხებული აჭარისათვის „დაუყოვნებლივი და სერიოზული დახმარების“ გასანევა.<sup>2</sup> ანალოგიური იყო ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია „უშველოთ ჩაგრულ ძმებს“.<sup>3</sup> მალე ამავე ჟურნალში (№26, 1915) დაიბეჭდა იოსებ იმედაშვილის წერილიც „უქმად არ გაჰქრება“, სადაც მაღალი შეფასება მისცა გ. კაიკაციშვილის სიტყვას როგორც „მთელი გამაჰმადიანებულ ქართველთა გულისნადებს“ და მას „გულისგულიდან აღმომსკდარი“ ისტორიული სიტყვა უწოდა. აქვე ავტორმა საქართველოს სახელით განაცხადა: „ქრისტიანი ქართველი არ მოისვენებს სანამ ფეხზე არ წამოაყენებს დღეს ნაბორძიკებულ თავის ძმას და მით თითონაც წელში არ გასწორდებაო“.<sup>4</sup>

ასეთია თავისი კუთხის უმნიკლო პატრიოტის, მამულის უანგარო მსახურის გულო კაიკაციშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. იგი უდავოდ ღირსია დაფასებისა და არ დავინწყებისა.

---

<sup>1</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 20, 1915.

<sup>2</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 12 თებერვალი

<sup>3</sup> თეატრი და ცხოვრება, №26, 1915

<sup>4</sup> თეატრი და ცხოვრება, №26, 1915



## **OTAR GOGOLISHVILI**

### **FROM THE HISTORY OF NATIONAL LIBERATION MOVEMENT IN THE SOUTH-WESTERN GEORGIA.**

***GULO KAIKATSISHVILI***

1875 year. Excitement in Kobuleti. The whole Nation, young and old people, stood against the conqueror – Turkey. Georgian society was looking hopefully at the heroic struggle of Kobuleti people against Turkish people and they were planning how to help them out of the trouble. Sergey Meskhi wrote the patriotic letter to Adjarian people and asked them to write about the process of struggle. As an answer, 17<sup>th</sup> December of 1875, in the newspaper “*Droeba*” (#142), was printed the extensive article “The letter to the Editor,” which was signed by “Gulai Kaikatsishvili, living in the village Sameba, Kobuleti.” In this way Georgian people acquainted with a unselfish patriot of his country.

## **ОТАР ГОГОЛИШВИЛИ**

### **ИЗ ИСТОРИИ НАЦИОНАЛЬНО-ОСВОБОДИТЕЛЬНОГО ДВИЖЕНИЯ В ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ.**

***ГУЛО КАИКАЦИШВИЛИ***

1875 год. Волнение в Кобулету. Весь народ встал против Турции. Грузинская общественность планировала как помочь жителей Кобулету выйти из беды. Сергей Месхи написал патриотическую письмо о Аджарии и попросил их написать о процессе борьбы. В ответ, 17 декабря 1875 г. в газете «*Дрозба*» (№ 142), была напечатана обширная статья «*Письмо в редакцию*», автором которой был Гуло Каикацишвили, уроженец села Самеба Кобулетского района. Таким образом, грузинский народ познакомился с бескорыстным патриотом своей страны.

## ჯემალ გამახარია, ტატიანა ეროხინა

### წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) რიაზანის წმინდა სამების მონასტერში (1909 წლის იანვარი – 1910 წლის თებერვალი)

გამოჩენილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, 1921-1927 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმინდა აღმსარებელი ამბროსის ბიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რიაზანის წმინდა სამების მონასტერში მისი იძულებით გამწესებისა და ფაქტობრივად ტუსაღის მდგომარეობაში იქ გატარებულ ერთწლიან პერიოდს. მართალია, უკანასკნელი წლების განმავლობაში წმინდანის ცხოვრება-მოღვაწეობას არაერთი საფუძვლიანი მონოგრაფია, კრებული და სხვა ნაშრომი მიეძღვნა,<sup>1</sup> მაგრამ საქართველოს საარქივო დანესებულებებში თუ წიგნსაცავებში სათანადო წყაროების სიმწირის გამო ამბროსი ხელაიას ბიოგრაფიის რიაზანის ეპიზოდი დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ არის. აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორება შესაძლებელი ხდება რიაზანის ოლქის სახელმწიფო არქივში მისი დირექტორის ტატიანა სინელნიკოვას, აგრეთვე ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორის ტატიანა ეროხინას<sup>2</sup> კეთილი ნებითა და უშუალო ძალისხმევით გამოვლენილი ადრე უცნობი მასალების საფუძველზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულწილად გაშუქებულია წმინდა აღმსარებელი ამბროსის რიაზანში გადასახლების მიზეზები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.<sup>3</sup> როგორც ცნობილია, 1908 წლის 28 მაისს ოფიციალურად დღემდე დაუდგენელმა პირებმა საქართველოს ეგზარქოსი არქიეპისკოპოსი ნიკონი (სოფიისკი) სიცოცხლეს გამოასალმეს. დანყებულმა გამოძიებამ ფიზიკური მკვლელის ვინაობა ვერ დაად-

<sup>1</sup> ნ. პაპუაშვილი. ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში. თბ., 2005; ს. ვარდოსანიძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.). თბ., 2009; წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარია. თბ., 2006; ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). 150-ე წლისთავისთვის. თბ., 2012; დ. დარსალია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) კომუნისტური მართლმსაჯულების წინაშე. თბ., 2011 და ა.შ.

<sup>2</sup> სტატიის ავტორები ჯემალ გამახარია და ტატიანა ეროხინა (რიაზანის მკვიდრი, ამჟამად კი მოსკოვში მოღვაწე ჟურნალისტი), მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო-საარქივო ინსტიტუტიდან თანაკურსელები არიან (1971-1976 წწ.).

<sup>3</sup> ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), გვ. 61-72.

გინა. ამ ვითარებაში ხელისუფლებამ გააძლიერა დევნა და ზენოლა ე.წ. „ინტელექტუალურ დამნაშავეებზე“ – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოძრაობის აქტივისტებზე, რომლებმაც, გამოძიების აზრით, ეგზარქოსის მკვლელობა იდეოლოგიურად შეამზადეს. თბილისის საოლქო სასამართლოს პარალელურად, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის საქმეს 1908 წ. სექტემბერში პეტერბურგიდან მოვლენილი სპეციალური კომისიაც სწავლობდა, რომელსაც უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კანცელარიის ვიცე-დირექტორი ვიქტორ იაცკევიჩი ედგა სათავეში. 1908 წ. 23 ნოემბერს თბილისის ოხრანკამ ვ. იაცკევიჩის ავტოკეფალური მოძრაობის აქტიური წევრების საკმაოდ მოზრდილი სია მიანოდა, რომელშიც ეპისკოპოსების ლეონიდეს (ოქროპირიძე), კირიონისა (საძაგლიშვილი) და პეტრეს (კონჭოშვილი) შემდეგ მეოთხე ნომრად არქიმანდრიტი ამბროსის სახელი ფიგურირებდა. მისი დახასიათებაც ყველასგან განსხვავებული იყო. ოხრანკის დოკუმენტის მიხედვით, არქიმანდრიტი ამბროსი არის „ძალიან ჭკვიანი და უნარიანი ადამიანი, ითვლება ავტოკეფალური მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწედ“.<sup>1</sup>

1908 წ. 22 დეკემბერს უწმინდესმა სინოდმა ვ. იაცკევიჩის კომისიის დასკვნებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მიიღო ბრძანებულება საქართველოს ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებელ ეპისკოპოს გრიგოლის (ვახნიანი) მიმართ, რომელიც ითვალისწინებდა არქიმანდრიტ ამბროსის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრობიდან, აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობიდან განთავისუფლებას და რიაზანის სამების მონასტრის ძმების რიგებში ადგილობრივი მღვდელმთავრის ეპისკოპოს ნიკოდიმის განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ გადაყვანას. საეკლესიო მთავრობის საგანგებო განკარგულებამდე მას ღმრთისმსახურების უფლებაც ჩამოერთვა.<sup>2</sup>

1909 წ. 22 იანვარს თბილისის სამღვდელოებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა არქიმანდრიტი ამბროსი დიდი სიყვარულითა და გულისტკივილით გააცილეს. 28 იანვარს იგი რიაზანში ჩავიდა და სამების მონასტერში დაბინავდა. რიაზანის წმინდა სამების მამათა მონასტერი ოლქისა და სრულიად რუსეთის მასშტაბითაც კი ერთ-ერთი უძველესი და სახელგანთქმული ქრისტიანული სავანეა, რომელიც არაუგვიანეს XIV ს. პირველ ნახევარში უნდა იყოს დაარსებული. 1386 წელს მას დიმიტრი დონელის მიერ რიაზანში საპატიო საელჩო მისიით გამოგზავნილი ღირსი მამა სერგი რადონეჟელი სტუმრობდა, რომელმაც მოსკოვისა და რიაზანის სამთავროები სამუდამოდ ერთმანეთთან დააკავშირა. მონასტერი არაერთხელ იქნა დარბეული მონღოლ-თათართა შემოსევების შედეგად. მისი აღდგენა-აღმშენებლობა საუკუნეების მანძილზე

<sup>1</sup> ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), გვ. 66.

<sup>2</sup> ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), გვ. 343-345.

მიმდინარეობდა. საბოლოო სახე მან XX ს. დამდეგს მიიღო.<sup>1</sup> არქიმანდრიტი ამბროსი რიაზანის მონასტერში სწორედ იმ ხანებში ჩავიდა.

1907 წლიდან მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას რიაზანისა და ზარაისკის ეპისკოპოსები ითავსებდნენ. ეპისკოპოსი ნიკოდიმი (ბოკოვი), რომელსაც უწმინდესი სინოდისაგან არქიმანდრიტ ამბროსიზე განსაკუთრებული ზედამხედველობის განხორციელება ჰქონდა დავალებული, რიაზანისა და ზარაისკის ეპარქიას 1906 წ. 3 ნოემბრიდან 1911 წლის 29 ივლისამდე განაგებდა. 1907 წლიდან იგი რიაზანის სამეპის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობასაც ითავსებდა. ეპისკოპოსი ნიკოდიმი საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანი იყო მხურვალე ღმრთისმსახურის დიდი გამოცდილებითა და აკადემიური განათლებით. ისევე როგორც თავის დროზე (1901 წ.) არქიმანდრიტ ამბროსის, რიაზანის მღვდელმთავარსაც უფრო ადრე (1891 წ.) ყაზანის სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, ურთიერთობის პრობლემა, სავარაუდოდ, მათ არ უნდა ჰქონოდათ (კონკრეტული ფაქტი მათი უშუალო ურთიერთობის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის), თუმცა უწმინდესი სინოდის 1908 წ. 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, ეპისკოპოს ნიკოდიმს, როგორც ზემოთ ითქვა, ამბროსი ხელაიაზე განსაკუთრებული ზედამხედველობის დანესებას ავალებდა.

რიაზანის სამეპის მონასტერში გატარებული პირველი თვენახევარი არქიმანდრიტ ამბროსისთვის, როგორც მოგვიანებით, თავადაც წერდა, საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. მომქანცველი მგზავრობისა და სულიერი ტანჯვის გამო, ის ლოგინად ჩავარდა. ამას დაერთო სუსხიანი ზამთარი, დიდთოვლობა, რის გამოც არქიმანდრიტი ამბროსი თავის ნესტიან სენაკში იყო გამოკეტილი.<sup>3</sup> რიაზანის ოლქის სახელმწიფო არქივის დოკუმენტებში პირველად იგი მხოლოდ 1909 წ. მარტში მოიხსენიება, როცა სამეპის მონასტრის ბინადართ საბანკო „საძმო შემოსავალი“ გაუნაწილეს. სათანადო უწყისში, სადაც მამა ამბროსის სახელი 11-ე ნომრად ფიგურირებს, მისივე ხელით გაკეთებულია ასეთი ჩანაწერი: «Тринадцать рублей получил. Архим. Амвросий» („ცამეტი მანეთი მივიღე“. არქიმანდრიტი ამბროსი).<sup>4</sup>

რიაზანის ეპარქიის სასულიერო კონსისტორიამ არქიმანდრიტ ამბროსისთან დაკავშირებული პირველი გადაწყვეტილება მხოლოდ ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, 1909 წ. 6 აპრილს, მიიღო. თავის სხდომაზე კონსისტორიამ განიხილა უწმინდესი სინოდის 1908 წ. 22 დეკემბრის №16513 ბრძანებულება რიაზანისა და ზარაისკის ეპისკოპოს ნიკოდიმის

<sup>1</sup> *Государственный Архив Рязанской Области*, ф. 627, оп. 59, д. 255, лл. 15-20; ф. Р-6788, оп. 1, д. 842, лл. 1-18; **Т. П. Синельникова**. *Рязанский Свято-Троицкий монастырь*. – *Рязанский Церковный Вестник*, № 1-2, 2004, გვ. 63-68.

<sup>2</sup> *Рязанская Епархиальная Ведомости*, 1908, 15 декабря, № 24.

<sup>3</sup> **ჯ. გამახარია**. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), გვ. 346.

<sup>4</sup> *Государственный Архив Рязанской Области*, ф. 969, оп. 1, д. 30а, лл. 5-5об.

მიმართ, რომელიც იყო ანალოგიური იმავე დღეს საქართველოს ეგზარქოსის მოვალეობის შემსრულებლის ეპისკოპოს გრიგოლის მიმართ მიღებული ზემოთმოტანილი ბრძანებულებისა დაკავებული თანამდებობებიდან არქიმანდრიტ ამბროსის განთავისუფლებისა და რიაზანის სამეზბის მონასტრის საძმოს რიგებში მისი ჩარიცხვის შესახებ. საეპარქიო სასულიერო კონსისტორიის გადაწყვეტილებით, უწმინდესი სინოდის აღნიშნული ბრძანებულება, მამა ამბროსის ფორმულიართან ერთად, ცნობისთვის რიაზანის სამეზბის მონასტრის ხაზინადარის მოვალეობის შემსრულებელს მღვდელმონაზონ ვასილს გადაეგზავნა.<sup>1</sup>

სწორედ მღვდელმონაზონი ვასილი – რუსული ეკლესიის მომავალი წმინდანი იყო ის პიროვნება, რომელიც უწმინდესი სინოდის 1908 წ. 22 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად, სამეზბის მონასტერში არქიმანდრიტ ამბროსის მიმართ დანესებულ ზედამხედველობას უშუალოდ ახორციელებდა. ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გავეცნოთ მამა ვასილ ცვეტკოვის (1867-1937 წწ.) ბიოგრაფიას. დაამთავრა რიაზანის სასულიერო სასწავლებელი (1884 წ.), 1893 წლიდან შეუდგა ღმრთისმსახურებას ნიკოლო-რადოვიცის მონასტერში (რიაზანის ეპარქია), სადაც ის იყო ჯერ მორჩილი, ბერად აღკვეცის შემდეგ (1896 წ.) – მთავარდიაკონი, 1899 წლიდან – მღვდელმონაზონი. იმავე წლიდან რიაზანის სამეზბის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც 1902 წელს ხაზინადრად დაინიშნა.

1906 წ. 13 იანვარს თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და „განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ“ რიაზანის ეპარქიის პრონის მონასტერში გადაიყვანეს, საიდანაც 1907 წ. აგვისტოში კვლავ სამეზბის მონასტერში დააბრუნეს; 1908 წ. ივნისიდან ხაზინადარის მოვალეობის შემსრულებელია, 1910 წ. 30 იანვრიდან – ხაზინადარი, 1911 წ. 26 ივლისიდან – წინამძღვრის მოადგილე (наместник); იმავე წელს პრონის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა, 1912-1916 წლებში ასტრახანისა და შემდეგ კვლავ რიაზანის ეპარქიებში მსახურობდა. 1916 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილი მამა ვასილი კიდევ 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მღვდელმსახურებას გულმოდგინედ ეწეოდა. 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ „კონტრრევოლუციური მოღვაწეობის“ ბრალდებით იგი დააპატიმრა და იმავე წელს სიკვდილით დასაჯა. რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის 2003 წ. 7 მაისის გადაწყვეტილებით, მამა ვასილი წმინდანთა დასში შეირაცხა წმინდა მღვდელმონაზონის სახელით.<sup>2</sup>

ამრიგად, 1909 წელს რიაზანის სამეზბის მონასტერში რამდენადმე უჩვეულო ვითარებაში ერთმანეთს შეხვდა მომავალში ქართული და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების ორი წმინდანი – გადასახლებაში მყოფი უფლებაყრილი წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და მისი ფაქტობრივი ზედამხედველი წმინდა მღვდელმონაზონ ვასილი (ცვეტკოვი).

<sup>1</sup> Государственный Архив Рязанской..., ф. 627, оп. 1, д. 700, лл. 90, 178-179.

<sup>2</sup> Православная Энциклопедия, т. VII. М., 2004, გვ. 58; Государственный Архив Рязанской Области, ф. 627, оп. 240, д. 70, лл. 40-41.

1909 წ. 14 ოქტომბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა უწმინდესი სინოდის იმავე წლის 7 აპრილის №4354 ბრძანებულება (ამ შემთხვევაშიც განიხილვა ხდება დიდი დაგვიანებით), რომლითაც უწმინდესმა სინოდმა უარი თქვა არქიმანდრიტ ამბროსის რამდენიმე თხოვნის (პეტერბურგში ჩასვლის ნებართვისა და მისთვის წაყენებული ბრალდებების გაცნობის, საქმის განხილვის დაჩქარების შესახებ და ა.შ.) განხილვაზე და დაკმაყოფილებაზე. უწმინდესი სინოდის 1909 წ. 7 აპრილის ბრძანებულება საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ, თავისი გადანყვეტილებით, რიაზანის ეპისკოპოს ნიკოდიმს გადაუმისამართა. იმავე წლის 25 ოქტომბერს ეპისკოპოსმა ნიკოდიმმა იგი ეპარქიის სასულიერო კონსისტორიას გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი 1909 წ. 9 ნოემბერს რიაზანის სამების მონასტრის მღვდელმონაზონ ვასილს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორიდან შემოსული დოკუმენტების არქიმანდრიტ ამბროსისთვის გაცნობა დაავალა.<sup>1</sup>

ამრიგად, უწმინდესი სინოდის გადანყვეტილებას მისი ადრესატი მხოლოდ 7 თვის დაგვიანებით გაეცნო. როგორც ირკვევა, რიაზანის სამების მონასტერში გადასახლებული არქიმანდრიტ ამბროსის საქმის გამოძიება მისი მონაწილეობის გარეშე პეტერბურგში მიმდინარეობდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რიაზანის სახელმწიფო საოლქო არქივში არ მოიპოვება ცნობები რუსეთის იუსტიციის მინისტრის ი. შჩეგლოვიტოვის **ხელმძღვანელობით** წარმოებული გამოძიების შესახებ, რომელსაც არქიმანდრიტ ამბროსის რეაბილიტაცია მოჰყვა. რიაზანის სამების მონასტერში შედგენილი ახალი **ფორმულარიდან ვიგებთ, რომ უწმინდესი სინოდის 1909 წ. 11 დეკემბრის №16889 ბრძანებულების საფუძველზე, არქიმანდრიტ ამბროსის ერთი წლის წინ ჩამორთმეული ღმრთისმსახურების უფლება აღუდგინეს. მას წინ უძღოდა უწმინდესი სინოდის იმავე წლის 3 დეკემბრის № 9782 გადანყვეტილება მამა ამბროსისთვის ღმრთისმსახურების უფლების აღდგენის თაობაზე.**<sup>2</sup>

რიაზანის სამების მონასტრის ტერიტორიაზე უძველესი ნეკროპოლი ფუნქციონირებდა, სადაც ადგილობრივი სასულიერო მოღვაწეები და წარჩინებული სამოქალაქო პირები განისვენებდნენ. მათ შორის იყო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე გამოჩენილი რუსი ხუროთმოძღვარი მ. კაზაკოვი (1738-1812 წწ.), აგრეთვე ცნობილი გვარების სხვა წარმომადგენლები (ნარიშკინები, ორლოვები, კროპოტკინები და ა.შ.). ნეკროპოლში დაკრძალულთა შორის იყვნენ ანდრონიკოვებიც (ანდრონიკაშვილები), რომელთა ვინაობა ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

არქიმანდრიტი ამბროსი მისთვის მიჩენილი მღვდელმონაზონ ვასილის თანხლებით ნეკროპოლს სწირად ათვალიერებდა. მღვდელმონა-

<sup>1</sup> Государственный Архив Рязанской Области, ф. 627, оп. 1, д. 700, лл. 249, 250.

<sup>2</sup> Российский Государственный Исторический Архив (С.-Петербург), ф. 796, оп. 189, д. 807, л. 140 об; Государственный Архив Рязанской Области, ф. 627, оп. 240, д. 76, л. 52.

ზონმა მისი ყურადღება ქართველი „დედოფლის“ საფლავზე მიაპყრო. აღმოჩნდა, რომ ნეკროპოლში დაკრძალული იყო არა ქართველი დედოფალი, არამედ მისი მსახური. საფლავის ქვაზე მამა ამბროსიმ ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებული შემდეგი წარწერა ამოიკითხა: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს მტვერი საქართველოს დედოფლის მხლებელის მარიამისი, რომელიცა აღსრულდა 22 აგვისტოსა ყვა ნელსა ოცდამეთვრამეტისა წლისა შობითგან“ (*«Под сим камнем покоится прах грузинской царицы фрейлины девицы Марии, скончавшейся 22 августа 1821 года на 38 году от рождения»*).<sup>1</sup>

მოგვიანებით, 1917 წ. 9 მარტს, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა არქიმანდრიტ ამბროსის წერილი „ქართველის საფლავი ქალაქ რიაზანში“. მასში გამოთქმული საინტერესო ვარაუდი მარიამისა და „საქართველოს დედოფლის“ ვინაობის თაობაზე გადამოწმებას და დაზუსტებას საჭიროებს, რაც საქართველოს შესახებ რიაზანის სახელმწიფო საოლქო არქივში აღმოჩენილი სხვა მასალებით უნდა გახდეს მომავალში შესაძლებელი. ზემოხსენებულ წერილში არქიმანდრიტი ამბროსი წერდა: „ჩემ რიაზანში ყოფნის დროს ერთადერთ ნუგეშად მიმაჩნდა ამ საფლავთან მისვლა და მთელი საათობით ჯდომა, რადგანაც აქ ვგრძნობდი რაღაც მშობლიურს და ვნუგეშობდი რაღაც ოცნებებით. აქ ხშირად ფიქრებში გართულს ცრელმებიც კი ვერ შემეცავებია“.<sup>2</sup>

რიაზანის სამების მონასტერში არქიმანდრიტ ამბროსის იძულებითი ყოფნა 105 წლის წინ, ახალი სტილით 1910 წ. 7 იანვარს (1909 წ. 25 დეკემბერს), მონასტრის თაღებქვეშ წარმოთქმული ბრწყინვალე სამობაო ქადაგებით დაგვირგვინდა. მისი სრული ტექსტი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული და აქვე დანართის სახით რუსულ (დედნის) და ქართულ ენებზე (ქართული თარგმანი სტატიის ავტორთა მიერ არის შესრულებული) ქვეყნდება.<sup>3</sup> რუსეთის იმპერიაში, მათ შორის საქართველოში მაშინ არსებული საეკლესიო, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების, აქედან გამომდინარე, საკუთარი მდგომარეობის გათვალისწინებით, სამობაო ქადაგების ლეიტმოტივად მამა ამბროსიმ შეგნებულად აირჩია ამქვეყნად ქრისტეს მოვლინებასთან დაკავშირებული ანგელოზთა დიდებისმეტყველება: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა, 2. 14). ქადაგების ტექსტის დამუშავებისას, მასში საკმაოდ ხშირად მოტანილ ბიბლიურ ცნებებს, აგრეთვე სხვა კონკრეტულ ფაქტებს დავეურთეთ მითითებები სათანადო წყაროებზე, რომლებიც კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

რიაზანის სამების მონასტერში 1909 წელს წარმოთქმულ სამობაო

<sup>1</sup> ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), გვ. 346.

<sup>2</sup> ჯ. გამახარია. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), გვ. 347.

<sup>3</sup> საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 31.

ქადაგებაში მამა ამბროსიმ შესანიშნავად განმარტა ანგელოზთა დიდების-მეტყველების, განსაკუთრებით „და ქვეყანასა ზედა მშვიდობის“ დედააზრი. მისი მოსაზრებები დღესაც უაღრესად აქტუალურია საქართველოსთვის; აქტუალურია იგი სიძულვილის, მკვლელობების, საერთაშორისო ტერორიზმის, ომების, ეკონომიკური სიდუხჭირის კრუნჩხვებში მბორგავი თანამედროვე მსოფლიოსთვის. თავის ქადაგებაში არქიმანდრიტი ამბროსი ადამიანებს ჭეშმარიტი მშვიდობისკენ, ქრისტესმიერი სიყვარულისკენ, თანხმობისკენ, სიკეთისკენ, თითოეული ჩვენთაგანის „შიგნით არსებულ მხეცის – ძმათასიძულვილიანობის“ მოკვდინებისკენ მოუწოდებს.

საეკლესიო ხელისუფლებას, როგორც გაირკვა, მის მიერ უსამართლოდ დასჯილი, შემდეგ კი კვლავ მის მიერვე რეაბილიტირებული მამა ამბროსის სამომავლო ბედი უნდა გადაეწყვიტა. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია რიაზანის ოლქის სახელმწიფო არქივში აღმოჩენილი კიდეც ერთი ჩვენთვის ადრე უცნობი დოკუმენტი – უწმინდესი სინოდის 1910 წ. 4 თებერვლის №1638 ბრძანება ნოვგოროდის ეპარქიის სტარაია რუსას უფლის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ თეოდორეს განთავისუფლებისა და ამ თანამდებობაზე რიაზანის სამების მონასტრის საძმოს წევრის არქიმანდრიტ ამბროსის დანიშვნის შესახებ.<sup>1</sup> იმავე წლის 10 და 15 თებერვალს რიაზანის საეპარქიო სასულიერო კონსისტორიამ მიიღო გადაწყვეტილება უწმინდესი სინოდის 4 თებერვლის ბრძანების არქიმანდრიტ ამბროსისთვის გამოცხადების შესახებ.<sup>2</sup>

ამ აქტებით ქართველი სასულიერო მოღვაწის ერთწლიანი ფაქტობრივი პატიმრობა რიაზანის სამების მონასტერში დასრულდა. ამბროსი ხელაიამ კარგად უწყოდა, რომ ის, პირველ რიგში, პოლიტიკური მოტივებით იდევნებოდა. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებდა, რომ ოფიციალურად მისთვის ბრალი წაყენებული არ ყოფილა; მთელი წლის განმავლობაში, როცა ი. შჩეგლოვიტოვის კომისია ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის გარემოებებს და ამ საქმეში არქიმანდრიტ ამბროსის შესაძლო მონაწილეობას იკვლევდა, თავად ეჭვმიტანილი არც კი დაკითხულა. მის პიროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს სასულიერო მთავრობა ყურადღებას ნაკლებად აქცევდა, როგორც მისთვის უმნიშვნელოს და, აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ დიდი დაგვიანებით განიხილავდა. უწმინდესმა სინოდმა ამბროსი ხელაიას რეაბილიტაცია ნაწილობრივ მოახდინა – სამშობლოში ცხოვრებისა და იქ სამსახურის უფლების გარეშე. ეს და სხვა ფაქტები ირიბად მიუთითებენ წმინდა აღმსარებელი ამბროსის საქმეში არა კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების, არამედ, როგორც თავადაც მიიჩნევდა, პოლიტიკური სარჩულის არსებობაზე.

<sup>1</sup> *Рязанския Епархиальные Ведомости*, 1910, 1 марта, № 5.

<sup>2</sup> *Государственный Архив Рязанской Области*, ф. 969, оп. 1, д. 32, л. 2 об.



**СЛОВО В ДЕНЬ РОЖДЕСТВА ХРИСТОВА, СКАЗАННОЕ В ЦЕРКВИ  
РЯЗАНСКОГО ТРОИЦКОГО МОНАСТЫРЯ В 1909 ГОДУ [25.XII]  
«СЛАВА В ВЫШНИХ БОГУ, И НА ЗЕМЛИ МИР,  
В ЧЕЛОВЕЦЕХ БЛАГОВОЛЕНИЕ» [ЛУКА, 2. 14]**

Так воспевали ангелы в тот момент, когда занималась заря хр̄тва [христианства], – в ту благословенную и приснопоминаемую ночь, когда Сын Божий, Господь наш Иисус Христос изволил родиться от Препоблагословенной Девы Марии в яслях Вифлеемских [Лука, 2. 7, 12], когда Он воплотился ради спасения рода человеческого.

Какой же смысл, православные христиане, имеет это ангельское славословие? Какую цель имели они, воспевая эту хвалебную песнь Богу?

Здесь, подчеркивая слова: «и на земли мир», я имел намерение сказать несколько слов в разъяснение того, о каком мире возвестили нам ангелы, и служим ли мы обладателями этого мира, который с пришествием Спасителя должен царствовать между нами.

Для того, чтобы уяснить себе это, мы должны вспомнить учение Прав[ославной] Церкви о первородном грехе [Быт., 3. 1- 24], которым человек безконечно оскорбил Бога, которым человек, порвав связь с началом добра, уклонился в сторону зла и неповиновения воли Божией. Человечество, – сдвинутое, так сказать, с правильного пути грехопадением первого человека, – пошло как бы по наклонной плоскости, на путь греховный, воспитало в себе злую волю, утвердилось во зле. Оно погрязло в ужасных беззакониях, греховность его дошла до такой степени, что дальше в этом направлении некуда было идти. Для того, чтобы избавить род человеческий от этого падения, дать человеческой жизни нормальное и правильное направление к добру, понадобилась величайшая жертва Спасителя, ибо человечество очутилось в том тупике, из которого ему без помощи свыше нельзя было выйти. Это сознавал и языческий мир. Лучшие сыны язычества высказывали то убеждение, что человечеству нет возможности самому спастись, если Сам Бог не поможет ему, не придет на землю и не научит, как жить, чтобы спастись. Ожидание Спасителя было всеобщее, оно и исполнилось. Когда преумножился в роде человеческом грех, тогда стала преизбыточествовать благодать Божия.

Рожденный от Пресвятой Девы Марии – Спаситель Своими Крестными заслугами примирил нас с Богом [К Рим., 5. 1, 10; II Коринф., 5. 18; К

Колосс., 1. 20, 22], сделал нас ему своими. Приняв человеческую природу, Он возвысил и нашу природу на столько, что мы сделались достойными называться сынами Божиими, а Бога – называть Отцом своим небесным.

Примирившись с Богом, мы получили душевное спокойствие, сознание удовлетворенности, получили возможность быть в мире с самим собою, со своею совестью [Ис., 53. 5; Лука, 1. 79; Иоанн, 14. 27; 16. 33; 20. 19].

Наконец, исполняя в точности Евангельское учение и заветы Христа, Его заповеди, мы имеем возможность быть в мире и с окружающими нас людьми [Лев., 26. 6; Пс., 28. 11; 143. 3; Зах., 8. 19; Ис., 52. 7; 57. 19; Марк, 9. 50; К Рим., 12. 18; I Фес., 5. 13].

Таким образом, ангелы своим славословием возвестили нам о том мире, который должен царствовать между христианами в земной их жизни, т.е. о мире с Богом, с самим собою и со всеми окружающими нас людьми.

Но наблюдается ли, православные хрне [христиане], среди нас существование такого мира? Своими грехами, неисполнением воли Божией, не нарушаем ли мы этого возведенного ангелами мира с Богом и с самим собою? – Существует ли среди нас, среди христиан, мир в отношении друг к другу и, если существует, то что значат такие проявления нехристианской жизни, как вражда, ненависть, грабежи, преследования, убийства и тому подобная, которая теперь в нашей жизни стали обычными явлениями? – Войны народов между собою с их ужасными последствиями, старание изобрести все более и более усовершенствованные орудия для массовых взаимоистреблений – все это разве может служить признаком наступления всеобщего мира между народами, исповедующими хрскую [христианскую] религию?

Если целью рождения Богочеловека было принести мир роду человеческому, то почему эта цель не достигается?

Да, православные хрне [христиане], Спаситель принес нам мир, лучше сказать, научил нас, как мы должны вести себя, чтобы мы были носителями и обладателями мира, но пользоваться или нет теми средствами, которые для этой цели даны нам Богом, это зависит от нас, от нашей свободной воли.

По словам Григория Богослова, недостаточно носить название христианина, а надо быть таковым на деле. Нужно исполнять заповеди Христа, имя Котораго мы носим [Иак. 3. 14-26]. Если мы будем хорошими исполнителями воли Божией, Евангельских заповедей, – будем следовать заветам Христа, мир, безусловно, будет царствовать между нами.

Возьмем несколько примеров для подтверждения той мысли, что

подчинение нашей воли воле Божией, исполнение заповедей Божиих служит единственным и верным средством для воцарения мира в нашей жизни.

Господь дал нам новую заповедь, которую древний ветхозаветный мир не знал, – заповедь о любви. «Заповедь новую даю вам, - говорит он своим ученикам, а в лице их и всем последователям Его учения, - да любите друг друга» [Иоанн, 13. 34]. По этой заповеди, мы должны любить ближнего своего, как самого себя [Матф. 5. 43; Марк, 12. 31; Лука, 10. 27; Иак., 2. 8], причем ближними, как разъяснил Спаситель в притче – о Милосердном самарянине, должны считаться не одни близкие по крови, по телесному происхождению и по вере, но и всякий человек, какого бы он ни был происхождения и веры [Лука, 10. 25-35]. В другом месте Спаситель прямо заповедал нам, чтобы мы любили врагов своих и благодетельствовали ненавидящим нас [Матф., 5. 44; Лука, 6. 27, 28, 35]. На кресте Он Сам молился за тех, которые распинали Его, – просил Бога, чтобы Он простил им их ужасно злодейское преступление [Лука, 23. 34] и тем научил нас, долженствующих быть Его подражателями, как мы должны относиться к своим врагам. Древний ветхозаветный закон: «око за око и зуб за зуб» [Исх., 21. 24; Лев., 24. 20; Второзак., 19. 21; Матф., 5. 38] заменен всепрощающей хр̑скою [христианскою] любовью. Если бы мы были точными исполнителями этой заповеди Христовой, то возможны ли были такие проявления среди христиан, как ссоры, раздоры, вражда и несогласия? Если хр̑не [христиане] терпеливо будут переносить причиняемые им обиды, если ударившему в одну щеку, как заповедал Спаситель, подставляли бы и другую [Матф., 5. 39] – и если мы будем стараться не воздавать ближнему своему злом за зло, а прощать им их прегрешения по отношению к нам, то у нас не будет поводов к враждебным действиям друг против друга, не будет поводов к такому частому проявлению братоубийств и кровопролитий, какия мы теперь наблюдаем, и мир будет царствовать между нами.

Жгучий вопрос нынешняго времени – это имущественное неравенство; это служит причиною многих нежелательных явлений среди нас, причиною беспорядков и волнений, но, если мы, христиане, были бы хорошими исполнителями заветов Христа, это имущественное неравенство по своим последствиям не было бы так губительно для рода человеческого. Заповедь Христа о призрении бедных, о благотворении неимущим, правильный взгляд на богатство и на его употребление [Марк, 10. 21-25; Лука, 12. 13-21; 18. 22-25; Иак., 5. 1-11], постоянное памятование богатыми участи богатого в притче о богатом и Лазаре [Лука, 16. 19-31], – все это могло служить верным средством к уврачеванию язв, проистекающих от резкого

деления рода человеческого на две неравные половины: на богатых со скоплением капиталов в их руках и – бедных, нуждающихся в ежедневном насущном хлебе.

Богатство – дар Божий, данный избранникам для того, чтобы иссушить слезы голодающих. Нечто подобное тому, что должно наступить в будущем, мы видим и на заре христианской Церкви. В век апостольский благотворительность была поставлена на должных и широких началах. По замечанию Деяний Апостольских, тогда все христиане составляли как бы одно семейство, у всех верующих было как бы одно сердце и одна душа и не было между ними нуждающихся, ибо имеющие достаток и обладавшие богатством избыток своего достояния приносили в храм и клали к ногам апостолов, а те употребляли их на дела благотворения [Деян., 2. 44-47; 4. 32-37]. Вечери любви, которые ежедневно устраивались и которые представляли из себя не что иное, как трапезы, предназначенные для бедных, вдов и сирот, служили особым родом благотворения [Википедия. Агапа].

С другой стороны, и бедные должны помнить, что Бог благословил достаток только тем, которые неустанно трудятся. Лениость, нищенство по профессии противно Богу. По слову Божию, только трудящийся достоин пропитания и милости [Пс., 127. 2; Прит., 10. 4; 12. 11; 13. 4; Еккл., 3. 24; 5. 11, 18; Иак., 5. 4, 7; I Фес., 5. 12; II Фес., 3. 10].

Источник нищеты, бедствий, умопомрачений, доводящих часто до преступлений и даже до таких преступлений, как братоубийство, – злоупотребление спиртными напитками или так называемое пьянство. Разве это зло, это величайшее зло в мире допустимо для тех, которые неуклонно исполняют заповедь Божию о воздержании и умеренности в пище и питье? [Еккл., 10. 17; Лука, 23. 34; К Рим., 13. 13; I Коринф., 8. 8, 13; 6. 12; 10. 31; 11. 24- 34] Не даром Св[ятное] Писание говорит, что пьяницы Царствия Божия не наследуют [I Коринф., 6.10].

Нет нужды говорить о других заповедях, ибо и сказанное ясно подтверждает основную нашу мысль. Итак, если у нас будет твердая вера и если с этою верою будет соединено точное исполнение воли Божией, Евангельских заповедей, то, повторяю, мир будет царствовать между нами.

Веруем, что настанет время, когда все изобретаемая для более удобного массового истребления людей усовершенствованные орудия будут, как выражается пророк Михей, переделаны на орала (Мих. 4, 3) [Исаия, 2.4], ибо не даром и прав[ославная] Церковь ежедневно молится «о мире всего мира», но это время еще очень далеко от нас. А приблизить его зависит от нас. Для приближения того времени, когда на земле будет царст-

воватъ мир между всеми, необходимо, чтобы мы – христиане – занялись умертвлением своего, внутри нас живущаго зверя – братоненавистничества [К Кол., 3. 5-8], – заняться своим внутренним усовершенствованием, перестройкой своей жизни по началам евангельским, исполнением воли Божіей, его заповедей. Когда же каждый из нас будет иметь глубокую веру, имея такую веру, будет неуклонно исполнять свои хръские [христианские] обязанности, заветы Христа, – тогда несомненно наступит то вожделенное и чаемое время, о наступлении котораго возвещали ангелы, восхваляя Родившагося в Вифлееме Спасителя. Тогда будет едино стадо и един пастырь [Иоанн, 10. 16], и это будет время всеобщаго братства и мира. Тогда вместе с ангелами и мы будем иметь право достойно славословить Бога и воспевать: «Слава в вышних Богу и на земли мир, в человецех благоволение».

Будем же, православные хръне [христиане], стараться, чтобы мы были достойными носителями имени Христа, поработаем над исправлением своей жизни, над устройством ея по началам Евангельским, заветам Христа, чтобы, будучи точными исполнителями заветов Христовых, своими добрыми богоугодными делами ускорили ожидаемое время наступления всеобщаго мира, пророчески возвещеннаго ангелами. Да поможет нам Бог в этой работе над собою для утверждения мира между нами, и тогда особенно радостно и с дерзновением будем воспевать Богу ангельское славословие: «Слава в вышних Богу, и на земли мир, в человецех благоволение». Аминь!

Только вера в Бога и взаимная любовь народов могут утвердить на земле мир и братство во Христе и доставить нам всем вечное блаженство на небе. Да осуществляется в нас, земнородных, смысл ангельской пеніи: «(Слава в вышних Богу, и на земли мир, в человецех благоволение)» и да воцарится между нами Бога благоволение.

**სიტყვა ქრისტეშობის დღეს, თქმული რიყანის  
სამების მონასტრის ეკლესიაში 1909 წელს [25. XII]  
„დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზელა  
მშვიდობა, კასთა შორის სათნოება“ [ლუკა, 2. 14]**

ასე გალობდნენ ანგელოზები მაშინ, როცა ქრისტიანობის ალიონი დგებოდა, – იმ კურთხეულ და მარად სახსოვარ ღმერთს, როდესაც ძემ ღმერთისამ, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ბეთლემის ბაგებში ყოვლად კურთხეულ ქალწულ მარიამისგან გაჩენა ინება [ლუკა, 2. 7, 12], როდესაც ის ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად განკაცდა.

რა აზრს შეიცავს, მართლმადიდებელნი ქრისტიანებო, ანგელოზთა ეს დიდებისმეტყველება? რა მიზანს ისახავდნენ ისინი, როცა ღმერთს ამ სახოტბო სიმღერას უგალობდნენ?

აქ, ხაზს ვუსვამ რა სიტყვებს: „და ქვეყანასა ზელა მშვიდობა“, მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა იმის განმარტებისთვის, თუ როგორი მშვიდობის შესახებ გვამცნეს ჩვენ ანგელოზებმა და გვაქვს თუ არა ეს მშვიდობა, რომელიც უფლის მოსვლის შემდეგ ჩვენს შორის უნდა სუფევდეს.

რათა ამაში გავერკვეთ, ჩვენ უნდა გავიხსენოთ მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრება პირველადი ცოდვის შესახებ [დაბ., 3. 1-24], რომლითაც ადამიანმა უსაზღვროდ შეურაცხყო ღმერთი, რომლითაც ადამიანმა, განწყობა რა კავშირი სიკეთის სანყისთან, ბოროტებისაკენ და ღმერთის ნების დაუმორჩილებლობისკენ გადაიხარა. კაცობრიობა, რომელიც პირველი ადამიანის შეცოდებით აცდა, ასე ვთქვათ, სწორ გზას, თითქოს თავქვე ცოდვილი გზით წავიდა, საკუთარ თავში ბოროტი ნება ჩაინერგა, ბოროტებაში განმტკიცდა. იგი საშინელ უკანონობაში ჩაეფლო, მისი ცოდვილიანობა იმ ზომამდე მივიდა, რომ შემდგომში ამ მიმართულებით გზა უკვე არსაით იყო. იმისათვის, რომ ადამიანთა მოდგმა ამ დაცემისგან ეხსნა, ადამიანური ცხოვრებისთვის სიკეთისკენ ნორმალური და სწორი მიმართულება მიეცა, საჭირო გახდა მაცხოვრის უდიდესი მსხვერპლი, ვინაიდან კაცობრიობა იმ ჩიხში აღმოჩნდა, საიდანაც იგი ზემოდან დახმარების გარეშე ვერ გამოვიდოდა. ამას გრძნობდა წარმართული სამყაროც. წარმართობის საუკეთესო შვილებმა ის რწმენა გამოთქვეს, რომ კაცობრიობას თვითგადარჩენის შესაძლებლობა არა აქვს, თუ მას თავად ღმერთი არ დაეხმარება, დედამიწაზე არ ჩამოვა და არ ასწავლის, როგორ იცხოვროს, რათა გადარჩეს. მაცხოვრის მოლოდინი იყო საყოველთაო და ის კიდევაც გამართლდა. როცა ადამიანთა მოდგმაში ცოდვა მომრავლდა, მაშინ ღმერთის მაღლი ყოვლად მოჭარბებული გახდა.

ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან შობილმა მაცხოვარმა ჯვარცმის ვნებების დამსახურებებით ჩვენ ღმერთთან შეგვარიგა [რომ., 5. 1, 10; II კორინთ., 5. 18; კოლ., 1. 20, 22], მისთვის თავისიანებად გავგზავნა. მიიღო რა ადამიანური ბუნება, მან ჩვენი ბუნებაც იმდენად აღამ-

ალლა, რომ ღირსნი გავხდით ღმრთის შვილების სახელი გვრქმეოდა, ღმრთისთვის კი ჩვენი ზეციური მამა გვენოდებინა.

შევეურიგდით რა ღმერთს, ჩვენ სულიერი სიმშვიდე, კმაყოფილების შეგრძნება მოვიპოვეთ; საკუთარ თავთან, საკუთარ სინდისთან მშვიდობიანად ყოფნის შესაძლებლობა მოვიპოვეთ [ეს., 53. 5; ლუკა, 1. 79; იოანე, 14. 27; 16. 33; 20. 19].

დაბოლოს, როცა ზუსტად შევასრულებთ ბიბლიურ მოძღვრებას და ქრისტეს მცნებებს, ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებთანაც მშვიდობიანად ყოფნის შესაძლებლობა გვეძლევა [ლევ., 26. 6; ფს., 28. 11; 143. 3; ეს., 52. 7; 57. 19; ზაქ., 8. 19; მარკოზი, 9. 50; რომ., 12. 18].

ამრიგად, ანგელოზებმა თავიანთი დიდებისმეტყველებით გვამცნეს იმ მშვიდობის შესახებ, რომელიც ქრისტიანებს შორის მათ მიწიერ ცხოვრებაში უნდა სუფევდეს, ანუ ღმერთთან, საკუთარ თავთან და ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან მშვიდობის შესახებ.

მაგრამ შეინიშნება კი, მართლმადიდებელნი ქრისტიანენო, ჩვენს შორის ამგვარი მშვიდობის არსებობა? ჩვენი ცოდვებით, ღმრთის ნების შეუსრულებლობით ჩვენ ხომ არ ვარღვევთ ანგელოზობის მიერ უწყებულ მშვიდობას ღმერთთან და საკუთარ თავთან? არსებობს კი ჩვენს შორის, ქრისტიანებს შორის, მშვიდობა ერთმანეთის მიმართ და, თუ არსებობს, მაშინ რას ნიშნავს არაქრისტიანული ცხოვრების ისეთი გამვლინებანი, როგორიცაა მტრობა, სიძულვილი, ძარცვები, დევნა, მკვლევლობები და ა. შ., რომლებიც ამჟამად ჩვენს ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხალხთა შორის ერთმანეთთან ომები მათი საშინელი შედეგებით, მასობრივი ურთიერთგანადგურების სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებული იარაღის გამოგონების მცდელობა, – განა ეს ყოველივე ქრისტიანული მოდგმის ხალხთა შორის საყოველთაო მშვიდობის დადგომის ნიშანი შეიძლება იყოს?

ღმერთკაცის დაბადების მიზანი თუ იყო ადამიანთა მოდგმისთვის მშვიდობის მოტანა, მაშინ ამ მიზანს რატომ ვერ ვაღწევთ?

დიახ, მართლმადიდებელნი ქრისტიანენო, მაცხოვარმა ჩვენ მშვიდობა მოგვიტანა, უკეთ რომ ვთქვათ, გვასწავლა როგორ უნდა მოვიქცეთ, რათა ვიყოთ მშვიდობის მატარებელნი და მფლობელნი. მაგრამ ვისარგებლებთ თუ არა იმ საშუალებებით, რაც ამ მიზნით ღმერთმა გვიბოძა, ეს ჩვენზე, ჩვენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული.

გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით, არ არის საკმარისი ქრისტიანის სახელი ატარო, არამედ საქმითაც ასეთი უნდა იყო. უნდა სრულდებოდეს მცნებანი ქრისტესი, რომლის სახელსაც ჩვენ ვატარებთ [იაკობი, 3. 14-26]. თუ ჩვენ ღმრთის ნების, ბიბლიურ მცნებათა კარგი შემსრულებლები ვიქნებით, თუ ქრისტეს აღთქმას მივყვებით, ჩვენს შორის მშვიდობა უსათუოდ გამეფდება.

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი იმ მოსაზრების დასადასტურებლად, რომ ჩვენი ნების ღმრთის ნებისადმი დამორჩილება, ღმრთის ნე-

ბათა შესრულება ჩვენს ცხოვრებაში მშვიდობის გამეფების ერთადერთ და სწორ საშუალებას წარმოადგენს.

უფალმა ჩვენ ახალი მცნება მოგვცა, რომელსაც ძველი აღთქმის არქაული სამყარო არ იცნობდა – მცნება სიყვარულის შესახებ. „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ, – ეუბნება ის თავის მოსწავლეებს, ხოლო მათი სახით მისი მოძღვრების ყველა მიმდევარს, – გიყვარდეთ ერთმანეთი“ [იოანე, 13. 34]. ამ მცნების მიხედვით, ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვითარცა თავი ჩვენი [მათე, 5, 43; მარკოზი, 12. 31; ლუკა, 10. 27; იაკობი, 2. 8], თანაც მოყვასებად, როგორც მაცხოვარმა კეთილმონყალე სამარიელის შესახებ იგავში განმარტა [ლუკა, 10. 25-35], უნდა ითვლებოდნენ არა მარტო სისხლით, ფიზიკური წარმომავლობითა და რწმენით ახლობელნი, არამედ ყოველი ადამიანი, როგორი წარმომავლობისა და რწმენისაც არ უნდა იყოს იგი. სხვა ადგილას მაცხოვარმა მოგვცა მცნება, რომ ჩვენ გვიყვარდეს ჩვენი მტერი და ვიყოთ კეთილისმყოფელები ჩვენს მოძულეთა მიმართ [მათე, 5. 44; ლუკა, 6. 27-28, 35]. ჯვარზე გაკრული, ის ლოცულობდა იმათზე, ვინც იგი ჯვარზე გააკრა: შესთხოვდა ღმერთს, აპატიოს მათ თავისი საშინლად ბოროტი დანაშაული [ლუკა, 23. 34] და ამით გვასწავლა ჩვენ, ვისაც გვმართებს ვიყოთ მისი მიმბაძველები, როგორ უნდა მოვეპყრათ ჩვენს მტრებს. ძველი აღთქმის უძველესი კანონი „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“ [გამ., 21. 24; ლევ., 24. 20; მეორე სჯ., 19. 20; მათე, 5. 38] შეცვლილია ყოვლისმიმტევებელი ქრისტიანული სიყვარულით. ჩვენ რომ ვიყოთ ქრისტეს ამ მცნების ზუსტი შემსრულებლები, იქნებოდა კი შესაძლებელი ისეთი გამოვლინებები ქრისტიანთა შორის, როგორიცაა ჩხუბი, განხეთქილებები, მტრობა და შეუთანხმებლობები? თუ ქრისტიანები მოთმინებით აიტანენ მათ მიმართ მიყენებულ შეურაცხყოფას, ვინც ერთ ყვრიმალში შემოგვკრავს, იმას როგორც მაცხოვარმა გვიანდერდა, მეორეს მიუშვერდით [მათე, 5. 39] და ჩვენ თუ შევეცდებით მოყვასს ბოროტებისთვის ბოროტებითვე არ გადაუხადოთ, არამედ თავიანთი შეცოდებანი ჩვენს მიმართ მათ მივუტევოთ, მაშინ ერთმანეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედებებისთვის საბაბი არ გვექნება, ძმათამკვლევლობისა და სისხლისღვრების ისეთი ხშირი გამოვლინებებისთვის, როგორსაც ჩვენ ახლა თვალს ვადევნებთ, საბაბი არ გვექნება და ჩვენს შორის მშვიდობა გამეფდება.

თანამედროვეობის მწვავე საკითხი – ეს არის ქონებრივი უთანასწორობა; ეს არის ჩვენს შორის ბევრი არასასურველი მოვლენის მიზეზი, უნესრიგობათა და მღელვარებათა მიზეზი, მაგრამ ჩვენ, ქრისტიანები, ქრისტეს მცნებათა კარგი შემსრულებლები რომ ვიყოთ, ეს ქონებრივი უთანოსწორობა თავისი შედეგებით ადამიანთა მოდგმისთვისთვის ასეთი დამლუპველი არ იქნებოდა. ქრისტეს მცნება ღარიბზე მზრუნველობის შესახებ, სწორი შეხედულება სიმდიდრეზე და მის მოხმარებაზე [მარკოზი, 10. 21-25; ლუკა, 12. 13-21; 18. 22-25; იაკობი, 5. 1-11],



მდიდრების მიერ მუდმივი დამახსოვრება მდიდრის ხვედრისა იგავში მდიდრისა და ლაზარეს შესახებ [ლუკა, 16. 19-31], – ეს ყველაფერი იმ ნყლულების მკურნალობის სწორი საშუალება იქნებოდა, რომლებიც მომდინარეობენ ადამიანთა მოდგმის უთანასწორო ნაწილებად დაყოფისგან: მდიდრებად, მათ ხლში დაგროვილი კაპიტალებით, და ღარიბებად, რომლებსაც უჭირთ ყოველდღიური პური არსობისა.

სიმდიდრე – ღმრთის ნაბოძვარია, რომელიც რჩეულთ იმისთვის ეძლევათ, რომ დამშეულთ ცრემლები შეუშრონ. ქრისტიანული ეკლესიის გარიჟრაჟზე ჩვენ ვხედავთ რალაც იმდაგვარს, რაც მომავალში უნდა დადგეს. მოციქულთა ხანაში ქველმოქმედება სათანადო და ფართო საწყისებზე იყო დაყენებული. როგორც მოციქულთა საქმეშია აღნიშნული, მაშინ ყველა ქრისტიანი თითქოს ერთ ოჯახს წარმოადგენდა, ყველა მორწმუნეს თითქოს ერთი გული და ერთი სული ჰქონდა და მათ შორის შეჭირვებულები არ იყვნენ, რადგანაც შეძლებულებს და მდიდრებს თავიანთი ქონების ნამეტი ტაძარში მიჰქონდათ და მოციქულთა ფერხთით ალაგებდნენ. ისინი კი მას საქველმოქმედო საქმეებისთვის იყენებდნენ [საქმეები, 2. 44-47; 4. 32-37]. სიყვარულის საღამოები, რომლებსაც ყოველდღე აწყობდნენ და რომლებიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ღარიბთა, ქვრივთა და ობოლთათვის განკუთვნილი ტრაპეზი, ქველმოქმედების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენდა.

მეორეს მხრივ, ღარიბებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ ღმერთმა შეძლება მხოლოდ იმათ უკუერთხა, ვინც დაუღალავად შრომობს. სიზარმაცე, მათხოვრის პროფესია ღმრთისთვის სათნო არ არის. ღმრთის სიტყვის მიხედვით, მხოლოდ მშრომელია სარჩოსა და მოწყალების ღირსი [ფს., 127. 2; იგავი, 10. 4, 12; 12. 11; 13. 4; ეკლეს., 3. 24; 5. 11, 18; იაკ., 5. 47; I თეს., 5. 12; II თეს., 3. 10].

სიღარიბის, გასაჭირის, გონების დაბნელების წყარო, რომელსაც ხშირად დანაშაულობებამდე მივყავართ, ისეთ დანაშაულობამდეც კი, როგორიცაა ძმათა კვლა, არის სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება, ანუ ეგრეთ წოდებული ლოთობა. განა ეს ბოროტება, ეს უდიდესი ბოროტება მსოფლიოში დასაშვებია იმათთვის, ვინც განუხრელად ასრულებს ქრისტეს მცნებას საჭმელში და სასმელში თავშეკავებისა და ზომიერების შესახებ? [ეკლეს., 10. 17; ლუკა, 23. 34; რომ., 13. 13; I კორინთ., 6. 12; 8. 8, 13; 10. 31; 11. 24-31] ტყუილუბრალოდ არ ამბობს წმინდა წიგნი, რომ ლოთები ღმრთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ [I კორინთ., 6. 10]. სხვა მცნებებზე საუბრის აუცილებლობა არ არის, რადგანაც ნათქვამიც ჩვენს ძირითად მოსაზრებას ნათლად ადასტურებს. ამრიგად, თუ ჩვენ მტკიცე რწმენა გვექნება და ამ რწმენასთან უფლის ნების, ბიბლიური მცნებების ზუსტი შესრულება გაერთიანდება, მაშინ ჩვენს შორის მშვიდობა გამეფდება.

გვწამს, რომ დადგება ჟამი, როდესაც უფრო მოხერხებულად ადამიანთა გასანადგურებლად გამოგონილი ყველა გაუმჯობესებული იარა-

ლი, როგორც წინასწარმეტყველი მიქა ამბობს, სახნისებად გადაკეთდება (მიქ., 4. 3) – [ეს., 2. 4], რადგანაც მართლმადიდებელი ეკლესიაც ყოველდღე ტყუილად არ ლოცულობს „მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის“, მაგრამ ეს ჟამი ჩვენგან ჯერ კიდევ შორსაა. მისი მოახლოება კი ჩვენზეა დამოკიდებული. იმ ჟამის მოახლოებისთვის, როდესაც დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობა გამეფდება, აუცილებელია, რათა ჩვენ – ქრისტიანები – ჩვენს შიგნით არსებული მხეცის – ძმათასიძულვილიანობის – მოკვდინებით დავკავდეთ [კოლ., 3. 5-8] და საკუთარი თავის შინაგანი სრულყოფით, საკუთარი ცხოვრების ბიბლიურ სანყისებზე გარდაქმნით, ღმრთის ნების, მის მცნებათა შესრულებით დავკავდეთ. როცა თითოეულ ჩვენთაგანს ექნება მტკიცე რწმენა, ექნება, რა ასეთი რწმენა, თავის ქრისტიანულ მოვალეობებს, ქრისტეს აღთქმას განუხრელად შეასრულებს, მაშინ უეჭველად დადგება ის სანუკვარი და მოსალოდნელი ჟამი, რომლის შესახებ ანგელოზები გვამცნოდნენ, როცა ხოტბას ასხამდნენ ბეთლემში შობილ მაცხოვარს. მაშინ ერთიანი სამწყსო და ერთიანი მწყემსი იქნება [იოანე, 10. 16], და ეს საყოველთაო ძმობისა და მშვიდობის ჟამი იქნება. მაშინ ანგელოზებთან ერთად, ჩვენც გვექნება უფლება ღირსეულად განვადიდოთ ღმერთი და ვიგალობოთ: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება“.

მოდით, შევეცადოთ, მართლმადიდებელნი ქრისტიანნი, ქრისტეს სახელის ღირსეული მატარებლები რომ ვიყოთ, ჩვენი ცხოვრების გამოსწორებაზე, ბიბლიურ, ქრისტეს აღთქმათა სანყისებზე მის მოსაწყობად ვიმუშაოთ, რათა ქრისტეს აღთქმათა ზუსტად შემსრულებლებმა ჩვენი კეთილი ღმრთივსათნო საქმეებით საყოველთაო მშვიდობის დადგომის მოსალოდნელი ჟამი დავაჩქაროთ, რომელიც ანგელოზებმა წინასწარმეტყველურად გვამცნეს. დაე, შეგვენიოს ჩვენ ღმერთი ამ საკუთარ თავზე მუშაობაში ჩვენს შორის მშვიდობის დასამკვიდრებლად, და მაშინ განსაკუთრებული სიხარულითა და შემართებით ვუგალობებთ ღმერთს ანგელოზთა დიდებისმეტყველებას: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ამინ!

მხოლოდ ღმრთისადმი რწმენას და ხალხთა ურთიერთსიყვარულს ძალუძს დედამიწაზე მშვიდობისა და ქრისტესმიერი ძმობის დამკვიდრება და ყველა ჩვენთაგანისთვის სამუდამო ზეციური ნეტარების მონიჭება. დაე, ახდეს ჩვენში, ამქვეყნიურებში, ანგელოზთა გალობის აზრი („დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება“), დაე, ჩვენს შორის მშვიდობა და ღმრთის სათნოება გამეფდეს.

**JEMAL GAMAKHARIA, TATYANA EROKHINA**

**SAINT AMBROSE (KHELAIA) AT THE HOLY TRINITY  
MONASTERY IN RYAZAN  
(JANUARY 1909 – FEBRUARY 1910)**

The one year period of Saint Ambrose (Khelaia) the Confessor's forced excardination into the Holy Trinity Monastery of Ryazan owing to the murder of the Exarch of Georgia Nikon (28<sup>th</sup> of May of 1908) and his activities in the Monastery are not appropriately studied by the Georgian historiography, due to the scarcity of the historical sources. The materials having been found in the Ryazan Region State Archive (Tatyana Sinelnikova, Tatyana Erokhina) enable at least partial correction of the above mentioned defect. Among the found materials is a brilliant Christmas Sermon preached by Archimandrite Ambrose in the Ryazan Holy Trinity Monastery on the 7<sup>th</sup> of January of 1910 (By the Julian Calendar on the 25<sup>th</sup> of December of 1909). This sermon is fully published here as an appendix in Russian (original text) and Georgian languages (translated by the authors). The preaching being delivered 105 years ago is absolutely timely and urgent for Georgia and the whole world. It calls on people to the True Peace, Consent, Kindness, and destruction of the beast – "the hatred towards our brothers living inside each of us."

Different notions from the Bible and certain other facts are often mentioned in the text of the Sermon. The authors of the article made references for them and put them in the square brackets.

In February of the year of 1910 terminated the factual one year captivity of the Georgian spiritual figure in the Ryazan Trinity Monastery. He was not accused of any crime during the whole year. Investigation into the case of Archimandrite Ambrose followed by his acquittal and rehabilitation had been carried out in Petersburg without the participation and inquiry of Archimandrite Ambrose. The above mentioned facts together with the other ones existing in the case of the Saint Confessor Ambrose witness not about the particular signs of an offence, but about the existence of the policy point.

**ДЖЕМАЛ ГАМАХАРИЯ, ТАТЬЯНА ЕРОХИНА**

**СВЯТОЙ ИСПОВЕДНИК АМВРОСИЙ (ХЕЛАЯ) В РЯЗАНСКОМ  
ТРОИЦКОМ МОНАСТЫРЕ  
(ЯНВАРЬ 1909 – ФЕВРАЛЬ 1910 ГОДОВ)**

Вопрос высылки из Грузии Святого Исповедника Амвросия и его пребывания в Рязанском Троицком Монастыре, что было связано с убийством экзарха Грузии Никона (28 мая 1908 года), в должной мере не изучен в историографии. Причиной тому явилось отсутствие соответствующих исторических источников. Частичное восполнение указанного пробела становится возможным благодаря новым материалам, выявленным в Государственном Архиве Рязанской Области (Татьяна Синельникова, Татьяна Ерохина). Среди выявленных документов есть и блестящая проповедь произнесенная 7 января 1910 года (25 декабря 1909 г.) в Рязанском Троицком Монастыре архимандритом Амвросием, полный текст которой на русском и грузинском языках (переведен авторами) здесь же публикуется. Произнесенная 105 лет тому назад проповедь весьма актуальна и сегодня для Грузии, России, всего мира. Она призывает людей к истинному христианскому миру, любви, согласию, добру, «умертвлению своего, внутри нас живущего зверя – братоненавистничества».

В своей Рождественской проповеди отец Амвросий довольно часто обращается к различейм библейским заповедям, а также некоторым другим историческим фактам и событиям. Авторами статьи сделаны ссылки на соответствующие источники с заключением их в квадратные скобки.

Больше года длилась фактическая ссылка архимандрита Амвросия, продолжавшаяся с января 1909 до февраля 1910 годов. За это время ему не было предъявлено обвинения, он даже не допрашивался. Расследование дела, завершившееся оправданием и реабилитацией архимандрита Амвросия, велось в Петербурге без его привлечения. Эти и другие факты прямо или косвенно подтверждают наличие в деле Святого Исповедника Амвросия не признаков уголовного преступления, а, как он сам предполагал, политического подтекста.

## დღივითი სილაქაქი

### საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დისკუსია სახალხო გვარდიის შექმნის თაოზაზე 1918 წლის ზაფხულში

ქართული რეგულარული და მოხალისეთა სამხედრო შენაერთების ფორმირება ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო. ერთის მხრივ, იქმნებოდა ქართული საარმიო კორპუსი და, მეორე მხრივ კი, წითელი გვარდიის ნაწილები. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ქართულმა კორპუსმა, რომელიც ამიერკავკასიის არმიის შემადგენლობაში შედიოდა, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, კორპუსის მეთაურის თანამდებობა გაუქმებულ იქნა და ჯარები მთავრობამ დაუქვემდებარა სარდალს, რომელიც იმავდროულად სამხედრო მინისტრის თანაშემწედ დაინიშნა, კორპუსის შტაბი კი გარდაიქმნა საქართველოს რესპუბლიკის საველე შტაბად.<sup>1</sup> მთავრობის მიერ განხორციელებული ცვლილებები დროებითი მოვლენა იყო და დღის წესრიგში დადგა შეიარაღებული ძალების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ქვეყანაში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კი, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ რთული იყო. ქვეყნის რეალურ სამხედრო ძალას წარმოადგენდა მცირერიცხოვანი პოლკები ნაკლებად საიმედო პირადი შემადგენლობით, ასევე იდეურად საიმედო, მაგრამ მოხალისეებისაგან დაკომპლექტებული წითელი გვარდიის ნაწილები. ამავედროულად ოსმალურ სამხედრო შენაერთებს ეკავათ ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის ოლქები, ადგილი ჰქონდა ბოლშევიკურ გამოსვლებს, ქვეყანაში კი შემოდინდა გერმანული სამხედრო მისია საკუთარი ჯარებითურთ.

პირველი და უმთავრესი საკითხი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების ფორმირების პროცესში დაისვა, გახლდათ ის, თუ რა ტიპის უნდა ყოფილიყო ქვეყნის სამხედრო ძალა. ეს საკითხი ახალი არ იყო და ამ თემაზე მსჯელობა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდეც მიდიოდა როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე პრესაში.<sup>2</sup> დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი საკითხი

<sup>1</sup> განმარტებითი წერილი ძირითადი კანონისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ. – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, (შემდეგში: სცსა) ფ. №1836, აღწ. 1, ს. 183, ფურც. 9.

<sup>2</sup> მაგალითად, კაპიტანმა ქუთათელაძემ, 1918 წ. მაისში გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაბეჭდა სტატიების ციკლი სადაც ასაბუთებდა საქართველოსათვის რე-

პრაქტიკულად დადგა დღის წესრიგში. ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის, ქვეყნის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის, ჯარის იდეალი იყო შვეიცარიული სახალხო მილიციის სისტემის მსგავსი შეიარაღებული ძალები, თუმცა ისინი, არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე, რეგულარული არმიის შექმნის წინააღმდეგი არ იყვნენ, მაგრამ ამავედროულად არ სურდათ წითელი გვარდიის გაუქმება. მათი აზრით, მომავალში, როდესაც ქვეყანაში და მის გარშემო მშვიდობა დაისადგურებდა და ქვეყანასაც ეყოლებოდა საკმარისი რაოდენობით განრთვნილი მამაკაცი, ჯარის ორგანიზაციის ორი სახე – რეგულარული არმია და სახალხო გვარდია – მილიციური სისტემის შეიარაღებული ძალის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

სამხედრო მალაჩინოსანთა დიდი ნაწილისათვის მიუღებელი იყო ორი ტიპის შეიარაღებული ძალის შექმნა. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამ კვირაში, 1918 წ. 17 ივნისს ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიაში გაიმართა მსჯელობა გვარდიის კანონპროექტის შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები – ვლადიმერ გობეჩია, ნოე ჟორდანია, სოსიკო მდივანი, იოსებ გედევანიშვილი, დავით ვაჩნაძე, კოტე აფხაზი, ვიქტორ თევზაია – და მოწვეული სამხედრო სპეციალისტები: გენ. გიორგი კვინიტაძე, გენ. სტიფანე ახმეტელი (ახმეტელაშვილი) და პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე. იმ დროისათვის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და შემდგომში მთავრობის მეთაური სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია გვარდიის არსებობის აუცილებლობას ასაბუთებდა ანარქიის და რევოლუციის პირობებში წესრიგის დაცვის აუცილებლობითა და ფინანსური სირთულეების გათვალისწინებით. ის ამტკიცებდა, რომ გვარდია გამოდგებოდა გარეშე მტრისაგან ქვეყნის დასაცავად, სანამ არმია მობილიზებას მოახდენდა, ასევე გვარდია, როგორც კადრი, მომავალში გამოდგებოდა შვეიცარიული მილიციის ტიპზე გადასვლისას.

ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე არ დაეთანხმა ნოე ჟორდიანას არგუმენტებს. მისი მტკიცებით, ორგვარი ჯარის შექმნა უფრო მძიმედ დაანებოდა ქვეყნის ბიუჯეტს, შინაური ანარქიის ჩაქრობას კი უკეთ მოახერხებდა ერთ მთავარსარდალს დამორჩილებული ერთი სახის ჯარი, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ არა მარტო მუშები, არამედ ვაჭრებიცა და სხვა სოციალური წრის ადამიანები. მისივე თქმით, ქვეყნის მოსახლეობა კულტურულად არ იდგა შვეიცარიის სიმალღეზე და აქ შვეიცარიული ტიპის მილიციის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა

---

გულარული არმიის შექმნის უპირატესობას, მილიციურ ძალებთან შედარებით. ეს სტატიები 2011 წელს გამოიცა ცალკე ბროშურად პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის რედაქტორობით. იხ.: *კაპიტანი ქუთათელაძე*. რეგულარული ჯარი და ქართველი ერის თვისებები. თბ., 2011, გვ. 21-22.

და ვერც სახალხო გვარდია ივარგებდა მომავალი მილიციის კადრად.

ამავე სხდომაზე, ჯარსა და გვარდიას შორის ანტაგონისტური განწყობის ჩამოყალიბებაზე გაამახვილა ყურადღება გენერალმა კოტე აფხაზმა: „გვარდიის პრივილეგიები მაინც და მაინც დაიბადება. მაგალითად ავიღოთ გუშინდელი დიდი ამბით სანდარში მოკლული გვარდიელის დამარხვა, ეს ჰგვანდა რუსეთის თვითმყრობელ მთავრობის მიერ გოროდოვოის დამარხვას. რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ფაქტს უბრალო ჯარის კაცზე რომელიც ისევე სამშობლოსათვის კვდება და ამოდენა ყურადღებას კი არავინ აქცევს მის სიკვდილს. ამისათვის ეს სახალხო გვარდია არ უნდა გავაცალკეოთ და უნდა დაუმორჩილოდ სამხედრო სამინისტროს როგორც სხვა რეგულიარული ჯარი“.<sup>1</sup> გენერალმა კვინიტაძემ, რომელიც სხდომაზე მინვეული სპეციალისტის სტატუსით იმყოფებოდა, დაიწუნა მილიციური წესი: კულტურული, გეოგრაფიული და ფინანსური ფაქტორებიდან გამომდინარე, ხოლო სახალხო გვარდიის კანონპროექტი, მისი თქმით, არ ითვალისწინებდა მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს.<sup>2</sup>

ამის შემდეგ სხდომაზე განვითარებული ამბების შესახებ ოქმი მეტად მცირე ინფორმაციას იძლევა. იქ აღნიშნულია, რომ კვინიტაძეს უპასუხა ჟორდანიამ და კამათი შუალამემდე გაგრძელდა. ამის შემდეგ კამათი შეწყდა და, როგორც აღმოჩნდა, სხდომის წევრების უმეტესი ნაწილი გვარდიის წინააღმდეგი არ იყო. გადაწყდა, კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა მომავალი დღისათვის გადადებულიყო.<sup>3</sup> მეორე დღეს კომისიამ კანონპროექტი მუხლობრივად განიხილა, შეიტანა ცვლილებები და ეროვნულ საბჭოს გადაუგზავნა. სხდომის ოქმი მეტად მშრალია და მოცემულია მხოლოდ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები, თუმცა ამ სხდომის დეტალებს ვრცლად მოგვითხრობს გენერალი კვინიტაძე.<sup>4</sup>

<sup>1</sup> სცსა, ფ. №1836, აღწ. 1, საქმე 193, ფურც. 1-2. აღნიშნული დოკუმენტი სრულად გამოცემულია ჟურნალ მხედარში 1991 წელს (იხ.: მხედარი. სამხედრო-ისტორიული ჟურნალი, №1. თბ., 1991, გვ. 64-66). ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია სახალხო გვარდიის კანონპროექტის მიღების ისტორიის შესახებ, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

<sup>2</sup> სცსა, ფ. №1836, აღწ. 1, საქმე 193, ფურც. 2, მხედარი, გვ. 65.

<sup>3</sup> სცსა, ფ. №1836, აღწ. 1, საქმე 193, ფურც. 2, მხედარი, გვ. 65.

<sup>4</sup> გენერალი კვინიტაძე საკუთარ მემუარებში წერს, რომ აღნიშნული სხდომა გაიმართა დაახლოებით 20 ივნისს (იხ. გ. კვინიტაძე. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921. ნ. 1. თბ., 1998, გვ. 59), რაც შეცდომაა. ეროვნული საბჭოს სამხედრო კომისიის სხდომები გაიმართა 17, 18 და 20 ივნისს. გენერალი კვინიტაძე საკუთარ მემუარში აღწერს სხდომაზე კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას, რაც შედგა არა 17 ან 20 ივნისის, არამედ 18 ივნისის სხდომაზე. ამასთანავე, 20 ივნისის სხდომის დამსწრეთა შორის გენერალი კვინიტაძე საერთოდ არ ფიგურირებს (იხ. სცსა, ფ. №1836, აღწ. 1, საქმე 193, ფურც. 3) და არც კანონპროექტის განხილვა არ მომხდარა ამ დღეს. რაც შეეხება, თუ ვინ ესწრებოდა 18 ივნისის განხილვას, საერთოდ არ აქვს მითითებუ-

გენერალი იხსენებდა, რომ იგი მართალია, წინააღმდეგი იყო გვარდიის ტიპის ორგანიზაციისა, მაგრამ თანხმდებოდა, არმიის ჩამოყალიბებამდე, მისი არსებობის აუცილებლობაში. როდესაც კანონპროექტის განხილვისას თითოეულ პუნქტზე მიდიოდა დავა, კვინიტაძე ასაბუთებდა გვარდიის როგორც შეიარაღებული ძალების გამოუსადეგარობას, რამაც ნოე ჟორდანიას ძალიან გააბრაზა და აღელვებულმა განაცხადა, რომ „შეუძლებელია სამხედრო სამინისტროს სათავეში იდგეს (იმ დროს კვინიტაძე, გახლდათ სამხედრო მინისტრის თანაშემწე – დ.ს.) გვარდიისადმი ასე მტრულად განწყობილი პიროვნება“.<sup>1</sup> კომისიამ კანონპროექტში ცვლილებები შეიტანა და გადაეგზავნა განსახილველად ეროვნულ საბჭოს. სხდომაზე მთავარი ცვლილება კანონპროექტის მეორე მუხლში შევიდა, რომლის მიხედვითაც გვარდიაში სამსახური არ ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან (საბოლოო რედაქციაში სამსახურის ნაცვლად ჩაინერა ბეგარა – დ.ს.). მანამდე წარდგენილ ვარიანტში კი საუბარი იყო, იმის შესახებ, რომ გვარდიაში მიიღებდნენ ისეთ პირებს, რომლებიც არ იყვნენ სამხედრო სამსახურში გასაწვევი.<sup>2</sup>

რა განსხვავება იყო ამ ორ ვარიანტს შორის, რომელსაც თითქოს ერთი და იგივე მნიშვნელობა გააჩნდა? ან რატომ იყო მნიშვნელოვანი? ამ მუხლის მნიშვნელობა ის გახლდათ, რომ მუშავდებოდა სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების კანონი, რაც 2 თვის შემდეგ – 20 აგვისტოს იქნა დამტკიცებული. ამ კანონის მიხედვით 20-დან 45 წლამდე მოქალაქეები სამხედრო ვალდებულები იყვნენ, ხოლო ომის დროს შეიძლებოდა განვეულიყო მამაკაცები 17-დან 50 წლამდე. შესაბამისად, სამხედრო სამსახურის ასაკის მამაკაცების განწვევა ომის დროს უნდა მომხდარიყო რეგულარულ ჯარში, გვარდიის წევრები კი ამავე ასაკის მამაკაცები იყვნენ და, გვარდიის კანონის მეორე მუხლის თანახმად, გვარდიის წევრობა მათ სამხედრო სამსახურისაგან არ ათავისუფლებდათ.

ასე რომ, „მობილიზაციის შემთხვევაში ისინი ჯარის ნაწილებში უნდა დაფანტულიყვნენ“.<sup>3</sup> კანონპროექტის პირველი ვარიანტი უფრო მეტად იძლეოდა ინტერპრეტირების საშუალებას. პუნქტი შეიძლებოდა წაკითხულიყო ისე, რომ გვარდია არ ათავისუფლებდა არმიიდან მხოლოდ წვევამდებლებს და არ იყო დაკონკრეტებული, რომ გვარდიაში სამსახური არ ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან არამარტო წვევამდელს, არამედ საერთოდ არავის. მთლიანობაში ეს ცვლილებები უფ-

---

ლი სხდომის მდივანს. კვინიტაძის მეშუარის მიხედვით, სხდომას ესწრებოდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, რომელიც არც 17-ში და არც 20-ში სხდომის დამსწრეთა შორის არ ფიგურირებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კვინიტაძის მიერ აღწერილი სხდომა გაიმართა 18 ივნისს.

<sup>2</sup> გ. კვინიტაძე. მოგონებები..., გვ. 64.

<sup>3</sup> მხედარი, გვ. 61, 64.

<sup>3</sup> გ. კვინიტაძე. მოგონებები..., გვ. 64.



რო თეორიული ხასიათის გამოდგა, ვიდრე პრაქტიკული, რადგანაც ომის დროს გვარდიელები არ ნაწილდებოდნენ რეგულარულ არმიაში და საკუთარი ქვედანაყოფებით გადიოდნენ ბრძოლის ველზე და მთავარსარდალსაც, რომლის განკარგულებაშიც ისინი იგზავნებოდნენ, გარკვეულ შემთხვევებში მხოლოდ პირობითად ემორჩილებოდნენ. ამ მუხლის პრაქტიკაში გატარებას ხელს უშლიდა როგორც პოლიტიკური ნების არარსებობა, ისე ორგანიზაციული სირთულე. 1918 წ. 21 ივნისს, სახალხო გვარდიის კანონპროექტის განხილვა უკვე ეროვნულ საბჭოში დაიწყო.

სხდომაზე ნოე ჟორდანიამ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. მან ისაუბრა გვარდიის დამსახურების შესახებ; იმაზე, რომ გვარდია მუდმივ ჯარს ხელს არ შეუშლიდა და ერთობლივად შეებრძოლებოდნენ მტერს; გვარდია იქნებოდა ერთგვარი რეზერვი არმიისათვის და მომავალში, გვარდიის გაფართოებით, ნიადაგი შეუმზადდებოდა სახალხო მილიციას. ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი გვარდიის მიზანშეწონილობის შესახებ, შემდეგ კი დაიწყო მუხლობრივი განხილვა. კანონპროექტი შევიდა უმნიშვნელო ცვლილებები და მიღებულ იქნა, რის შემდეგაც საბოლოო რედაქციის გასაკეთებლად გადაეგზავნა პრეზიდიუმს.<sup>1</sup> სარედაქციო კომისიამ 2 ივლისს ეროვნულ საბჭოს უკან დაუბრუნა კანონის საბოლოო რედაქცია და დამტკიცებულ იქნა იმავე დღეს.

კანონის მიხედვით, გვარდიის მიზანს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვას შეადგენდა. გვარდიაში სამსახური შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც არ ირიცხებოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში და გვარდიაში სამსახური არავის ათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისაგან, სახალხო გვარდიელი ვალდებული იყო, მთავრობის მოწოდებისთანავე გამოცხადებულიყო საკუთარ რაიონულ შტაბში, იმ იარაღით და აღკაზმულობით, რომელიც მას მიბარებული ჰქონდა შტაბისაგან. მოხალისეთათვის გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, თუმცა სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს მას ეძლეოდა მთავრობისაგან დახმარება, ხოლო ინსტრუქტორები და ოფიცრები სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისაგან ჯამაგირს იღებდნენ.

უმალლესი მმართველი ორგანო იყო მთავარი შტაბი, რომელსაც ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარე შტაბის მიერ წარმოდგენილ კანდიდატებისაგან. მთავარი შტაბი რეგიონებში ფუნქციონირებას ახდენდა რეგიონალური შტაბების მეშვეობით. სახალხო გვარდიის განვევა შეეძლო მთავრობის თავმჯდომარეს, თუ მისთვის შეუძლებელი იყო ამ უფლებით სარგებლობა, გვარდიის გამონვევის უფლება ჰქონდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. საგანგებო ვითარებაში ამ ფუნქციით სარგებლობა შეეძლო მთავარ და რაიონულ შტაბებს. რაც შეეხება გვარდიისა და რეგულარული არმიის ურთიერთდამოკიდებულებას, სახალხო

---

<sup>1</sup> მხედარი, გვ. 67.

გვარდიის მთავარი შტაბისათვის გამოყოფილი თანხა შედიოდა სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში.

სამხედრო სამინისტროს უნდა გადაეცა გვარდიისათვის ყოველგვარი მოწყობილობა, რასაც ამ უკანასკნელის საჭიროება მოითხოვდა. მთავარი შტაბი ასევე სამინისტროსაგან იღებდა ნებართვას ამა თუ იმ ნაწილის შედგენისას, რომელთა განრთვნაზე თვითონ უნდა ეზრუნათ.<sup>1</sup> 1918 წელს მიღებული სახალხო გვარდიის კანონით არ დაკონკრეტებული სახალხო გვარდიის შენაერთების რაოდენობა და, აქედან გამომდინარე, არც საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურა. გვარდიის ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე კამათი პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ხშირად იმართებოდა და ის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც არ შეწყვეტილა, საგაზეთო სტატიებში, ნარკვევებსა თუ მემუარულ ლიტერატურაში.

რა შედეგები მოყვა ორი ტიპის შეიარაღებული ძალის ჩამოყალიბებას? პირველ რიგში, წარმოიშვა ანტაგონიზმი ამ ორ ძალას შორის, როგორც გენერალი მაზნიაშვილი აღნიშნავდა – „გვარდია იყო პირმშო შვილი, ჯარი კი – გერი“.<sup>2</sup> მართალია, ჯარისკაცისა და გვარდიელის მატერიალური მდგომარეობა ერთმანეთისაგან რადიკალურად არ განსხვავდებოდა, სამაგიეროდ, ეს განსხვავება ატარებდა საკმაოდ გამოხატულ მორალურ ხასიათს. ქვეყანაში დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისის შემდეგ, ყველაზე დიდი ზარ-ზეიმით თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში აღინიშნებოდა 12 დეკემბერი – სახალხო გვარდიის დღე.<sup>3</sup> ჯარი ასეთ დაფასებას მოკლებული იყო. პირველი რესპუბლიკის დროს ხშირად გამოიყენებოდა შეიარაღებული ძალებისადმი მისალმების შემდეგი ფორმულა – „გაუმარჯოს/მივესალმებით ჩვენს სახელოვან გვარდიას და ნორჩ ჯარს“.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 12 მარტის პირველ ისტორიულ სხდომაზე, სტუმრის რანგში დასასწრებად ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პარლამენტის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ, სახალხო გვარდიას გამოუყო ხუთი ადგილი, ხოლო სამხედრო სამინისტროს კი – მხოლოდ სამი.<sup>4</sup> ჯარისადმი ერთგვარი ზემოდან ყურების დამოკიდებულება არსებობდა გვარდიაში. მაგალითად, 1920 წ. მაისში, სახალხო გვარდიის მესამე კონფერენცია ძმურ

<sup>1</sup> სცსა. ფონდი №1836, აღწერა 1, საქმე 170, ფურც. 24-25; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ.16-18; მხედარი, გვ. 73-75.

<sup>2</sup> გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი. თბ., 1927, გვ. 8.

<sup>3</sup> გვარდიამ 1917 წ. 29 ნოემბერს (ახალი სტილით 12 დეკემბერს) ჩაატარა თბილისის არსენალის აღების ოპერაცია, სადაც განთავსებული რუსული გაბოლშევიკებული გარნიზონი საკუთარი არტილერიით დამოკლეს მახვილივით ეკიდა თბილისის თავზე.

<sup>4</sup> სცსა, ფ. №1836, აღწ. 1, ს. 394, ფურც. 1.

სალამს უძღვნიდა „ნორჩ“ თანამებრძოლ რეგულარულ ჯარს და ჰპირდებოდა, რომ მთელი სახალხო გვარდია გვერდში ამოუდგებოდა „ახალგაზრდა“ ჯარს და მასთან ერთად დაიცავდა ქვეყანას.<sup>1</sup>

გვარდია მშვიდობიანობის პერიოდში არ ემორჩილებოდა სამხედრო სამინისტროს, ეს კი შეიარაღებულ ძალებს შორის კოორდინაციას ასუსტებდა, რასაც ყველაზე ცუდი შედეგები ბრძოლის ველზე მოყვებოდა, როდესაც გვარდია, ხშირ შემთხვევაში, წარმოჩინდებოდა როგორც უდისციპლინო შენაერთი, რომელიც სარდლობის ბრძანებებს არ ემორჩილებოდა. მაგალითად, სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომში, როდესაც სამტრედიელმა გვარდიელებმა ორჯერ აიღეს სტრატეგიული სიმაღლე შულავერთან და დაღამებისას ორივეჯერ დატოვეს ლამის სიცივისა და დისლოკაციის ადგილზე სოფელ სარაჩლოში ჩაის დაღვევის სურვილის გამო.<sup>2</sup> ან კიდევ საბჭოთა რუსეთთან 1921 წლის ომში ოსიურთან გამართულ ბრძოლაში, როდესაც ლამით საკუთარი ინიციატივით მოიხსნენ ფრონტიდან და ბრძოლის ველზე მარცხენა ფლანგი სრულიად მოაშვივლეს, რამაც გამოიწვია გენერალ კვინიტაძის მიერ დაგეგმილი ოპერაციის ჩაშლა და ქართველთა მარცხი.<sup>3</sup> თუმცა გვარდიელებს ვერ დაუჟკარგავთ ქვეყნის შიგნით და გარეშე მტრებთან ბრძოლებში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში დიდ დამსახურებას, ასევე, მთელ რიგ შემთხვევებში, დიდ ინდივიდუალურ სიმამაცეს, რაც წარმატების მომტანი ხდებოდა, მაგალითად, თუნდაც იმავე სომხეთ-საქართველოს ომის დროს ეკატერინენფელდისათვის ბრძოლაში.<sup>4</sup>

გვარდიას მართავდა არა პროფესიონალი სამხედროები, არამედ მმართველი პოლიტიკური ძალის, სოციალ-დემოკრატებისაგან დაკომპლექტებული მთავარი შტაბი და საოლქო და რაიონული შტაბები, თუმცა საბრძოლო შენაერთების მეთაურები პროფესიონალი სამხედროები იყვნენ. ამავდროულად გვარდიის შემადგენლობაში შედიოდა პირველი რესპუბლიკის გამორჩეული სამხედრო შენაერთები: მრისხანე ჯავახიანი-ტარებელთა რაზმი და საკავალერიო დივიზიონი, რომელსაც რუსეთის სამხედრო ატაშე პავლე სიტინი თავის საიდუმლო მოხსენებებში ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ საუკეთესო შენაერთად მოიხსენიებდა.<sup>5</sup>

რა იყო ის მიზეზები, რის გამოც მმართველმა პოლიტიკურმა და-

<sup>1</sup> სცსა, ფ. №1969, აღნ. 2, ს. 92, ფურც. 28.

<sup>2</sup> ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007, გვ. 390.

<sup>3</sup> დ. სილაქაძე. ოსიურის ბრძოლა (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ., 2011, გვ. 254.

<sup>4</sup> ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური..., გვ. 359-369.

<sup>5</sup> სცსა, ფ. №1874, აღნ. 1, ს. 5, ფურც. 38.

ლამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არ გააუქმა გვარდია? ერთ-ერთი მიზეზი ალბათ მმართველი სოციალისტური ძალის იდეალიზმი, მათთვის სამხედრო ძალების მოწყობის საუკეთესო ვარიანტი შვეიცარიული სახალხო მილიცია იყო, რასაც ყოველთვის აღნიშნავდნენ, მაგრამ, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, რეგულარული ჯარის ჩამოყალიბებაზე უარს არ ამბობდნენ. მომავალში კი, როდესაც ქვეყანაში და მის გარშემო სიმშვიდე დაისადგურებდა, მათი აზრით, სახალხო გვარდია შვეიცარიული მილიციის კადრად გამოადგებოდათ. მათი იდეალიზმის კიდევ ერთი გამოვლინება გახლდათ ის, რომ გვარდიაში ინერგებოდა პრინციპები, რომლის მიხედვითაც გვარდიელების მორჩილება უფრო მეტად ეყრდნობოდა „მასიურ შეგნებას“, ვიდრე მკაცრ სამხედრო დისციპლინას. ეს ჩანაფიქრი მეტად კეთილშობილური გახლდათ, მაგრამ იმ რთულ პერიოდში გარეშე მტერთან ბრძოლაში ნაკლებად გამოსადეგი.

მმართველი პოლიტიკური ძალის იდეალიზმთან ერთად, არსებობდა ასევე რეალური საფრთხეები, რის გამოც სოციალ-დემოკრატებმა არ დაუშვეს გვარდიის გაუქმება. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ბოლშევიკური საფრთხე ჯარის ნაწილებში, რისი მაგალითებიც დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო და გაბოლშევიკებულ ჯარისკაცთა რამდენიმე ამბოხი (თელავში, ქუთაისში, გორში) გვარდიელებმა იარაღის ძალით ჩაახშვეს.<sup>1</sup> დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, ბოლშევიკების არალეგალური მუშაობა ქართული ჯარის ნაწილებში არ შეწყვეტილა და რამდენიმე საბრძოლო შეტაკებასაც ჰქონდა ადგილი.<sup>2</sup>

ბოლომდე არ იყო ნდობა ოფიცერთა კორპუსის მიმართ, როგორც არც ისე დიდი ხნის წინ – რევოლუციამდე – ბარიერის მეორე მხარეს მდგომი ადამიანებისა. არსებობდა შიში მათში „ბონაპარტიზმის“ შესაძლო გამოვლინებისა, მით უფრო, რომ 1917 წ. აგვისტოში რუსეთში დროებით მთავრობის წინააღმდეგ კორნილოვის ამბოხისა და სამხედრო დიქტატურის დამყარების მცდელობა მოხდა.

იყო შიში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ქვეყანაში შემოსული გერმანელების შესაძლო ალიანსისა და მათ მიერ სამხედრო გადატრიალების მოწყობისა. ეროვნულ-დემოკრატი რევზა გაბაშვილი საკუთარ მემუარებში წერს, რომ გერმანული სამხედრო-დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელმა ბარონმა კრესენშტაინმა მას შემდეგი წინადადებით მიმართა: „თქვენი მთავრობა სრულებით არ ფიქრობს სახელმწიფოს აშენება-გამაგრებაზედ, არამედ მხოლოდ რევოლუციონურ ცარცვა-გლეჯაზედ. ამას ბოლო უნდა მოეღოს! მე ვხედავ, თქვენ არა გაქვთ საკმაოდ დიდი ორგანიზაცია, საბოლოო გადატრიალება მოახდინ-

<sup>1</sup> ტ. ლაბარტყავა. რევოლუციური მოძრაობა ჯარის ნაწილებში საქართველოში 1917-1921 წწ. თბ.1977, გვ. 101-105.

<sup>2</sup> ტ. ლაბარტყავა. რევოლუციური მოძრაობა..., გვ. 122-124; 144-145; 173.

ნოთ. სამაგიეროდ, მე უკვე იმდენი ჯარი მყავს, 24 საათში შემძლია განვადარდო მაგათი გვარდიის ბანდები და, - ხელი გაიშვირა სასახლისაკენ, - თითო კამარაზედ, თითო მინისტრი ჩამოვკიდო. მაგრამ, ეს იქნებოდა გარეშე ძალის ჩარევა შინაურ საქმეებში, რასაც მე ვერ ვიზავ როგორც საქართველოს მეგობარი. თუ თქვენ თვითონ მოახერხებთ, გინდ ერთი საათით, სასახლის დაჭერასა და მთავრობის გარეკვას; გამოაცხადებთ ამ მომხდარ გადატრიალებას, მაშინ მე მთელი ჩემი უფლებით და ჯარით დავიცავ ახალ რეჟიმსაო“.<sup>1</sup>

რ. გაბაშვილის მემუარის თანახმად, მისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა მისივე თანაპარტიელს გრიგოლ ვეშაპელსა და პარტიის კიდევ ერთ წევრს, ეს აზრი ჭკუაში დაჯდომიან და ქართველ ოფიცრებთან გაქცეულან, რომელთაც ამაზე კატეგორიული უარი განუცხადებიათ, იმ მოტივით, რომ მათთვის წარმოუდგენელი იყო საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ წასვლა.<sup>2</sup> ამავე ისტორიას, ოღონდ სრულიად საპირისპიროდ იხსენებდა თვითონ კრესენშტაინიც საკუთარ მემუარში, რომელიც მან 1943 წელს დაწერა და სახმელეთო ჯარების არქივს გადასცა და მიუთითა, რომ მემუარი ეყრდნობოდა, პირად დღიურებს და დაწერა არა გამოსაქვეყნებლად, არამედ მხოლოდ ოჯახისათვის.<sup>3</sup>

გერმანელი გენერალი წერს, რომ მისთვის გასაგები იყო ის, რომ საქართველოს მთავრობაში მყოფი თავდაჯერებული მარქსისტები, როგორც კაიზერული გერმანიის გენერალსა და არისტოკრატს უნდობლად ეკიდებოდნენ და მათ შინაგან საქმეებში ჩარევის ეშინოდნენ. „ამ უნდობლობას ეროვნულ-დემოკრატიების მოუხეშავი საქციელიც აძლიერებდა. მათი პარტია, ძირითადად, უფლებააყრილი თავდაზნაურებისაგან, ექსპროპრიირებულ მიწისმფლობელთაგან, დათხოვნილ ოფიცერთაგან და მოკლედ, ყველანაირი კონსერვატიული და რეაქციული ელემენტებისაგან შედგებოდა. ამ საზოგადოებრივი იერარქიითაც აგრეთვე ჩვენთან ახლოს მდგომმა ბატონებმა ხელგაშლილად მიგვიღეს, მაშინვე სცადეს ჩვენით ესარგებლათ და არც მალავდნენ რასაც ჩვენგან ელოდნენ – ჩვენ მათ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობასა და თავიანთი ძველი უფლებების აღდგენაში უნდა დავხმარებოდით“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. – დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტ. 3 თბ., 1992, გვ. 250-251.

<sup>2</sup> რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს, გვ. 251.

<sup>3</sup> მემუარს მიუნხენის სამხედრო არქივში 2001 წელს მიაკვლია ისტორიკოსმა ნოდარ მუშკუდიანმა, რომელმაც ის ქართულად თარგმნა, შესანიშნავი ნარკვევი და კომენტარები დაურთო და გამოსცა. იმავე პერიოდში მემუარს მიუნხენის სამხედრო არქივში მიაკვლია დავით პაიჭაძემ და გერმანულად გამოსცა კიდევც (იხ.: *General der Artillerie a. D Friedrich Freiherr Kress von Kressenstein. Meine Mission in Kaukasus.* Verlag „Samschoblo“. Tbilissi, 2001).

<sup>4</sup> ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი. ჩემი მისია კავკასიაში. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა. ქუთაისი 2002, გვ. 78-79

გერმანული მისიის ხელმძღვანელისავე მტკიცებით, მათ დიდი ტაქტი და თავშეკავება დასჭირდათ სოციალ-დემოკრატების დასარწმუნებლად, რომ მათ საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდნენ.<sup>1</sup> ის, რომ ოპოზიციურ ძალთა და მათთან დაახლოებული სამხედროთა ნაწილი მზად იყო გერმანელების დახმარებით სისხლი დაეღვარა და საკუთარი მთავრობა ამ გზით დაემხო, კარგად ჩანს გიორგი მაჩაბლის მიერ სპირიდონ კედიასადმი 1928 წელს მინერილ პირად წერილში. მაჩაბელი ნაწილობადა, რომ მან, სპირიდონმა, მიხაკო წერეთელმა და სხვებმა არ დაუჯერეს ლეო კერესელიძეს, არ ისარგებლეს კერესელიძის ლეგიონით და გერმანელებით, რის ნაცვლადაც ადვილად დათანხმდნენ კრესს სოციალისტურ მთავრობასთან თანამშრომლობაზე.<sup>2</sup>

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს იმის მტკიცებას, თუ რომელმა მხარემ რომელს შესთავაზა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, მთავარია, რომ ირკვევა ასეთი წინადადების რეალურად არსებობა, რაც, ბუნებრივია, მთავრობის ყურამდეც აღწევდა კიდეც. სწორედ ამაზე უნდა მიაწინებდეს ეროვნულ საბჭოში სახალხო გვარდიის კანონის მიღების პროცესში 1918 წ. 21 ივნისს გამართულ დებატებზე ნოე ყორდანას გადაკრული სიტყვა ეროვნულ-დემოკრატებისადმი უცხო ძალებთან თანამშრომლობაზე: „ნაც-დემოკრატებმა სთქვეს, რომ თუ 90 პროცენტი მასისა თქვენ მოგდევთ და ჩვენისთანა უმნიშვნელო პარტიის რატომ გეშინიათო, ჩვენ თქვენი კი არ გვეშინია, უბედურება იმაშია, რომ თქვენ იმედებს ამყარებთ სხვა ძალებზე, რომელიც ჩვენი ერის ფარგლების გარეშეა (ტაში)“.<sup>3</sup> ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია მმართველი პოლიტიკური ძალის შიში და გვარდიის გაუუქმებლობის კიდევ ერთი მოტივიც.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატები ვერ შეელიენ ერთგულ სამხედრო შენაერთს – წითელ გვარდიას და გარდაქმნეს ის სახალხო გვარდიადა, რითაც დაუშვეს ორი ტიპის შეიარაღებული ძალის არსებობა ქვეყნაში, რაც ხშირად ანტაგონიზმს იწვევდა მათ შორის და საერთო საქმეს აფუჭებდა კიდეც. ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, 1918 წ. ზაფხულში სახალხო გვარდიის შექმნა არა მხოლოდ პარტიული კაპრიზი, არამედ გარკვეული ობიექტური საფრთხეებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება იყო.

<sup>1</sup> ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი. ჩემი მისია..., გვ. 79.

<sup>2</sup> მასალები სპირიდონ კედიას პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო *ოთარ ჯანელიძემ*. თბ., 2007, გვ. 47; *ო. ჯანელიძე*. გენერალ ფონ კრესის მემუარები და 1918-1921 წლების ქართული სინამდვილე. – ანალები. №7, 2011. თბ., 2011, გვ. 257-258.

<sup>3</sup> მხედარი, გვ. 69.

## DIMITRI SILAKADZE

### THE DECLARATION OF INDEPENDENCE OF GEORGIA AND THE DISCUSSION REGARDING THE FOUNDATION OF PEOPLE'S GUARD DURING THE SUMMER OF 1918

After the declaration of independence of Georgia the issue of the military forces became one of the most significant problems for the country. Finally, it was decided that the military forces had to consist of the regular army and the People's Guard. Part of the officers and political parties were opposing this decision. They thought that such decision would antagonize two types of the military forces; there would be the problem of coordination; the People's Guard would have privileges, etc. Nevertheless, their arguments were not considered by the ruling political force, who presumed the Swiss type militia as the ideal military system and thought that, after the establishment of peace in the region, it would be possible to create the desirable system. Because of this, the existence of the people's guard was essential for them. Besides, there were certain threats which had to be considered by the ruling Social-Democratic Party. There was a need of the reliable guard against the soldiers of the regular army with disposition towards the Bolsheviks. There was also a fear of the coup d'état from certain political forces, with the help of the German mission in Georgia. There are sources that confirm that there really was such a threat. The government also did not trust the officers and was afraid of the possible "Bonapartist" coup, like Gen. Kornilov's mutiny in Russia. Therefore, the ruling political party decided to keep the People's Guard, which was the Red Guard of the party before the declaration of independence. Based on the above-mentioned facts, it can be said that the formation of the guard in 1918 was the decision made because of the certain objective threats.

## **ДМИТРИЙ СИЛАКАДЗЕ**

### **ОБЪЯВЛЕНИЕ НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ И ДИСКУССИЯ ОТНОСИТЕЛЬНО ОБРАЗОВАНИЯ НАРОДНОЙ ГВАРДИИ ЛЕТОМ 1918 ГОДА**

После объявления независимости Грузии вопрос структуры вооруженных сил стал одной из важнейших проблем для страны. В конце концов, было принято решение о том, что вооруженные силы должны были состоять из регулярной армии и Народной Гвардии. Большая часть офицерского корпуса и оппозиционных политических партий выступали против такого решения. По их мнению, это вызвало бы антагонизм между двумя типами вооруженных сил, возникла бы проблема координации, у гвардии были бы привилегии и т.д. Несмотря на это, правящая политическая сила не приняла во внимание эти аргументы, так как для неё идеальной военной системой была милиция швейцарского типа. По мнению правительства, после установления мира в регионе формирование такой системы стало бы возможным и существование Народной Гвардии было очень важным для этого. Кроме того, были и определённые угрозы, из-за которых упразднение Народной Гвардии было нежелательно. Существовала необходимость иметь надёжную силу против солдат регулярной армии, которые потенциально могли быть настроены в пользу большевиков. Были опасения, что некоторые политические партии намеревались устроить государственный переворот и вовлечь в этот процесс германскую миссию в Грузии. Правительство не доверяло и офицерскому корпусу из боязни о возможности «бонапартистского» переворота, по примеру мятежа ген. Корнилова в России. Исходя из этого, правительство сохранило Народную Гвардию, которая до объявления независимости была Красной Гвардией партии. Таким образом, можно сказать, что решение о формировании гвардии в 1918 году было принято из-за определённых объективных причин.



## კახაბერ ყალიჩავა

### რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ბანსორცილავული საპასპორტო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი

XXI საუკუნის დასაწყისთან ერთად, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონებში ახალი პოლიტიკური გეგმის გატარების ერთგვარ ღერძად გვევლინება ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცემული კანონი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წ. 1 ივლისს. აღნიშნული პოლიტიკით რუსეთმა საქართველოს ფაქტობრივად „ნაართვა“ მოქალაქეები. ყველაფერმა ამან კი საბოლოოდ რუსეთის მმართველი წრეებისთვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების გამამართლებელი „იურიდიული არგუმენტის“ როლი შეასრულა. ოფიციალურმა კრემლმა არაერთხელ განაცხადა, რომ 2008 წ. აგვისტოში ისინი იცავდნენ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე, თუმცა, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, კრემლის არცერთ მოხელეს არ უღიარებია, რომ პასპორტიზაციის პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის მიერ ყველანაირი, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული და თავად რუსული სამართლებრივი ნორმების დარღვევით იქნა გატარებული.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში რუსული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა დღეისათვის საკმაოდ მწირია, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან სამეცნიერო სივრცეში. კონკრეტულად, აღნიშნული პრობლემის კვლევა გვხვდება მხოლოდ ერთ ამერიკელ ავტორთან, იმ დროისათვის ბოსტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტთან – კრისტოფერ ნატოლისთან: „ეროვნების იარაღად გამოყენება: საქართველოში რუსეთის საპასპორტო პოლიტიკის ანალიზი“.<sup>1</sup> გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერესო საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნაში,<sup>2</sup> ასევე

<sup>1</sup> **Kristopher Natoli.** Weaponizing Nationality: An Analysis of Russia's Passport Policy in Georgia. – *International Law Journal*, Volume 28, Issue 2. Boston University School of Law. Summer 2010, გვ. 389-417.

<sup>2</sup> *Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia.* In 3 volumes. September 2009, Volume II, გვ. 147-183.

ორეგონის უნივერსიტეტის სტუდენტის ვინსენტ მ. არტმანის სამაგისტრო ნაშრომში: „საპასპორტო პოლიტიკა“: პასპორტიზაცია და ტერიტორიულობა საქართველოს დე ფაქტო ერთეულებში“.<sup>1</sup> ამასთან ერთად, რუსული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ შესახებ მნიშვნელოვან წყაროებად უნდა მივიჩნიოთ თავად რუსული და ქართული კანონმდებლობა – ამ ორი ქვეყნის კანონები მოქალაქეობის შესახებ.

სტატიის მიზანია რუსული საპასპორტო პოლიტიკის არალეგიტიმურობის ჩვენება როგორც საერთაშორისო, ასევე ქართულ და რუსულ კანონმდებლობასთან მიმართებით.

სანამ უშუალოდ რუსეთის მიერ განხორციელებულ „პასპორტიზაციის პოლიტიკაზე“ დავიწყებდეთ საუბარს, მანამდე ორი სიტყვით შევეხოთ თავად – მოქალაქეობის – როგორც იურიდიული მოვლენის მნიშვნელობას. მოქალაქეობა სახელმწიფო მოვლენაა და გულისხმობს სახელმწიფოსთან ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს, რომელიც: ა) წესდება მოცემული სახელმწიფოს მიერ; ბ) ხასიათდება მხარეთა ურთიერთობის სიმტკიცით და გ) შეიცავს სახელმწიფოსა და პირის უფლებებსა და მოვალეობებს.<sup>2</sup> როგორც ცნობილია, მოქალაქეობის შექმნის რამდენიმე წესი არსებობს: 1) საერთო წესი; 2) დაბადება; 3) ნატურალიზაცია.<sup>3</sup> რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკა მიეკუთვნება მოქალაქეობის შექმნის ზემოაღნიშნულ, მესამე წესს – ნატურალიზაციას, რის მიხედვითაც, ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის მინიჭება ხდება სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის პირადი თხოვნის ან თანხმობის საფუძველზე.<sup>4</sup>

რაც შეეხება ნატურალიზაციის განხორციელების წესებსა და ნორმებს, უნდა ითქვას, რომ მათ განსაზღვრავს თავად მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მიმნიჭებელი სახელმწიფო.<sup>5</sup>

2002 წელს მიღებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის მეთოთხმეტე მუხლში მოცემულია ის პირობები, რომელთა შესრულებისა და დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ხდება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება შესაძლებელია იმ პირებისთვის, რომლებიც „ფლობდნენ სსრკ მოქალაქეობას, ცხოვრობენ და ცხოვრობდნენ

<sup>1</sup> Vincent M. Artman. “Passport Politics”: Passportization and Territoriality in the De Facto States of Georgia. Presented to the Department of Geography and the Graduate School of the University of Oregon in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts. June 2011.

<sup>2</sup> ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 2010, გვ. 201.

<sup>3</sup> ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 201.

<sup>4</sup> ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 201.

<sup>5</sup> ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 202.

სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე, არ მიუღიათ აღნიშნულ სახელმწიფოთა მოქალაქეობა და შედეგად დარჩნენ მოქალაქეობის გარეშე“.<sup>1</sup> 2002 წელს მიღებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის სწორედ ეს მუხლი და ამ მუხლის აღნიშნული მე-6 პუნქტი იქცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კრემლის მიერ რუსული მოქალაქეობის „დარიგების“ წინაპირობად.

რუსეთის პასპორტიზაციის პოლიტიკის საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით განსახილველად მეტად მნიშვნელოვანია ბოსტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლის ყურნალში 2010 წელს გამოქვეყნებული კრისტოფერ ნატოლის სტატია. პასპორტიზაციის საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მიმოხილვის შემდეგ, ნატოლი საუბრობს რუსეთის საპასპორტო პოლიტიკის შესახებ საქართველოში და აქცენტს აკეთებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზე, როდესაც იმპერიის დაშლის შემდეგ 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა. ავტორის თქმით, ერთი სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის შემდეგ მისი იურიდიული მემკვიდრეობა გადადის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოზე. თუკი წინამორბედი სახელმწიფოს სამართლებრივ აპარატში არ მოიძებნებოდა არანაირი კანონი ეთნიკური უმცირესობისათვის ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მინიჭებისა, მაშინ შესაბამისად, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოც ვერ მიანიჭებს ეთნიკურ უმცირესობებს საკუთარ მოქალაქეობას წინამორბედი სახელმწიფოს სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით. ასეთ დროს, გარდამავალ პერიოდში უნდა შეიჩრეს დროის გარკვეული მცირე მონაკვეთი, შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების შესამუშავებლად და ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობისთვის მოქალაქეობის მისანიჭებლად.

ნატოლი ხაზს უსვამს დროის მცირე მონაკვეთის ფაქტორს, რომელიც თან ახლავს ერთი სახელმწიფოს არსებობის დასრულებასა და მისი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს გამოსვლას მსოფლიო ასპარეზზე და ამბობს, რომ სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში უნდა მოხდეს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ საკუთარი მოქალაქეობის მიკუთვნებულობა მისთვის სასურველი სახელმწიფოსათვის.<sup>2</sup> ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ კი, როგორც დავინახეთ, რუსული მოქალაქეობის მიღება, საბჭოთა იმპერიის დაშლიდან ათ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ დაიწყო, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან მნიშვნელოვან გადახვევას

<sup>1</sup> «...б) имели гражданство СССР, проживали и проживают в государствах, входивших в состав СССР, не получили гражданства этих государств и остаются в результате этого лицами без гражданства.» Федеральный закон «О Гражданстве РФ» От 31.05.2002. № 62-ФЗ. იხ.: [http://www.consultant.ru/popular/civic/34\\_2.html#p193](http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193).

<sup>2</sup> **Kristopher Natoli.** Weaponizing Nationality, გვ. 409.

წარმოადგენს. სწორედ ეს სამართლებრივი ასპექტი წარმოადგენს რუსეთის მიერ განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკის კრიტიკის ძირითად ხაზს კრისტოფერ ნატოლის ნაშრომში. სხვა მხრივ, ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს მოქალაქეობის მინიჭებისა თუ ჩამორთმევის მაგალითებს საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს რუსეთის მიერ განხორციელებული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ მიმართებაზე თავად რუსულ და ქართულ კანონმდებლობასთან, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ პასპორტიზაციის პოლიტიკას ეხება, წარმოადგენს დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ჰაიდი ტალიავინის მეთაურობით. პასპორტიზაციის პოლიტიკის სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა მოცემულია მისიის დასკვნის მეორე ტომის მესამე თავის მესამე ქვეთავში.<sup>1</sup> მისიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის აღიარებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფარგლებში, რაც საქართველოს 1995 წ. 24 აგვისტოს კონსტიტუციაშიც სათანადოდ არის ხაზგასმული, რომლის მეორე მუხლის მიხედვით, „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“.<sup>2</sup>

აქედან გამომდინარე, როგორც აფხაზეთი, ისევე ცხინვალის რეგიონი საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია ადასტურებს ამ რეგიონების მოსახლეობის ქართულ მოქალაქეობას, რაც, მისიის სრულიად სამართლიანი შეხედულებით, გამომდინარეობს საქართველოს მიერ მიღებული მოქალაქეობის კანონიდან, რის მიხედვითაც, იკრძალება ორმაგი მოქალაქეობა და საქართველოს მოქალაქე იმავდროულად ვერ გახდება სხვა ქვეყნის მოქალაქე.<sup>3</sup> მისიის დასკვნისათვის უფრო მეტი სიცხადის შესაძენად მოვიყვანთ 1993 წ. 25 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებულ კანონს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. აღნიშნული კანონის მესამე მუხლის ა პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება: „ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისთვის, თუ სამი

<sup>1</sup> *Independent International Fact-Finding Mission...*, vol. II, გვ. 147-183.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია. იხ.: <http://laws.codexserver.com/37.htm>.

<sup>3</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. იხ.: [http://rrc.ge/law/Saqkan\\_1993\\_25\\_03\\_Q.htm?lawid=1985&lng\\_3=ge](http://rrc.ge/law/Saqkan_1993_25_03_Q.htm?lawid=1985&lng_3=ge).

თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის ვადაში მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს“.<sup>1</sup> იმავე 1993 წლის 24 ივნისს საქართველოს რესპუბლიკამ მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რის მიხედვითაც ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადა, საქართველოს მოქალაქეობის სურვილის არქონის შემთხვევაში მსურველთა წერილობითი განაცხადის გაკეთების შესახებ, გაგრძელდა ექვს თვემდე.<sup>2</sup> თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ არც აფხაზებს და არც ოსებს 1993 წლის 24 დეკემბრამდე წერილობით არ განუცხადებიათ საქართველოს მოქალაქეობის გაუქმების შესახებ, ცხადი გახდება, რომ 2002 წლის შემდეგ მათ მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის დარღვევით მოხდა. ამგვარად, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია, აფხაზებისა და ოსების მოქალაქეობრივი სტატუსის შესახებ ასკვნის შემდეგს: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები, რომელთაც წერილობითი ფორმით უარი არ განუცხადებიათ საქართველოს მოქალაქეობაზე 1993 წლის 24 დეკემბრამდე, იქცევიან საქართველოს მოქალაქეებად საქართველოსა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით“.<sup>3</sup>

რუსეთის „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის მიერ ქართული საკანონმდებლო ნორმების დარღვევის მიმოხილვის შემდეგ, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომისია მიმოხილავს თავად რუსულ კანონმდებლობას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ და ასკვნის, რომ რუსეთის ფედერაციის საპასპორტო პოლიტიკა თავად რუსული კანონმდებლობასთანაც კი ვერ მოდის შესაბამისობაში. კომისია „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის“ მეთვრამეტე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით ასკვნის, რომ: „ხალხთა ერთადერთ ჯგუფს, რომელნიც არ ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და რომელთაც რეგისტრაციის გავლით შეუძლიათ მიიღონ რუსული მოქალაქეობა, წარმოადგენენ მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელნიც მოსახლეობენ ყოფილი სსრკ-ს შემადგენელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე“.<sup>4</sup> მისიის დასკვნით, ამ ადამიანებს რუსეთის მოქალაქეობის მოსაპოვებლად 1993 წლის 6 თებერვლამდე უნდა გაეწეოთ რეგისტრაცია. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, იკვეთება ორი ფაქტორი: 1) აფხაზებსა და ოსებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდათ საქართვე-

<sup>1</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

<sup>2</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. იხ.: [http://rrc.ge/law/SaqKan\\_1993\\_24\\_06\\_Q.htm?lawid=1984&lng\\_3=ge](http://rrc.ge/law/SaqKan_1993_24_06_Q.htm?lawid=1984&lng_3=ge).

<sup>3</sup> *Independent International Fact-Finding Mission...*, vol. II, გვ. 154.

<sup>4</sup> *Independent International Fact-Finding Mission...*, vol. II, გვ. 164.

ლოს მოქალაქეობა და არ წარმოადგენდნენ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთა რეგისტრაციასაც ითვალისწინებს ზემოაღნიშნული კანონი – რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ; 2) იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ აფხაზები და ოსები მოქალაქეობის არმქონე პირებს წარმოადგენდნენ (რაც არარეალურია), თავად რუსული კანონის მიხედვითაც ვერაფრით გამოვიყვანთ ლეგიტიმურად მათ მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას, რადგან რეგისტრაცია რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად 1993 წლის 6 თებერვლამდე – ამ ხალხს არ გაუვლია. გარდა ამისა, საკუთარი დასკვნის მეორე ტომის მეექვსე თავის მეოთხე ქვეთავში, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ინტერვენციაზე საუბრისას, ნათქვამია, რომ რუსეთის ინტერვენციას საქართველოში „ბლიცის“ სახე არ ჰქონია და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე და ევაკუაციაზე არ ყოფილა ფოკუსირებული,<sup>1</sup> რადგან, როგორც გვახსოვს, რუსულმა სამხედრო ნაწილებმა დასავლეთ საქართველოდანაც განხორციელეს შეტევა ქართულ სოფლებსა და ტერიტორიებზე, მაშინ, როდესაც მთელი ქართული არმიის ძირითადი ნაწილი ფოკუსირებული იყო ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მოქმედებებთან ერთად, რუსული არმია საკმაოდ „წარმატებით“ ახორციელებდა მაროდორობას დასავლეთ საქართველოს სოფლებში, რისი ამსახველი ფოტო, ვიდეო თუ სხვა სახის მასალა საკმაოდ რაოდენობით არის შემორჩენილი და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის.<sup>2</sup>

საბოლოოდ, მისია ასკვნის, რომ რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული საპასპორტო პოლიტიკა წარმოადგენს კრემლის მიერ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში პირდაპირ ჩარევას, რითაც რუსეთმა საქართველოს, ფაქტობრივად წაართვა უფლება საკუთარ მოქალაქეებზე იურისდიქციის გავრცელებისა, რადგან ქართული კანონმდებლობა არ უშვებს ორმაგ მოქალაქეობას.<sup>3</sup>

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, აფხაზებისა და ოსების მიერ ქართული მოქალაქეობის ფლობასთან დაკავშირებით, განსხვავებულ შეხედულებას აფიქსირებს ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ჯერარდ ტოული სტატიაში: „რუსეთის კოსოვო: სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოს ომის კრიტიკული გეოპოლიტიკა“.<sup>4</sup> ავტორის თქმით, აფხაზები და ოსები სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ოფიციალურად არასოდეს ფლობდნენ საქართველოს მოქალაქეობას. ამ ფაქტს ტოული უკავში-

<sup>1</sup> *Independent International Fact-Finding Mission...*, vol. II, გვ. 288.

<sup>2</sup> რუსულმა ინტერნეტსერვერებმა 2008 წელს საქართველოდან მოპარული უნიტაზი „ალმოაჩინა“. იხ.: <http://droni.ge/?m=3&AID=4257>.

<sup>3</sup> *Independent International Fact-Finding Mission...*, vol. II, გვ. 172-173.

<sup>4</sup> **Gerard Toal.** “Russia’s Kosovo: A Critical Geopolitics of the August 2008 War over South Ossetia.” – *Eurasian Geography and Economics*. Vol. 49, No.6 (2008), გვ. 670-705.

რებს საქართველოში პასპორტების გაცემის სისტემის მოუნესრიგებლობას სააკაშვილის რეფორმებამდე.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში ჩნდება ორი მარტივი შეკითხვა: 1) ხომ არ ფიქრობს ავტორი, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმიქონე აფხაზებსა და ოსებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჰქონდათ რუსული მოქალაქეობა? 2) თუკი ტოულს საუბარი აქვს სააკაშვილის რეფორმამდე პასპორტების გაცემის სისტემის მოუნესრიგებლობაზე საქართველოში, მაშინ, მისი ლოგიკით, უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას ქართული მოქალაქეობის მიღება მხოლოდ სააკაშვილის მოსვლის – 2004 წლის – შემდეგ უნდა დაეწყო. ამ ლოგიკით ხელმძღვანელობის შემთხვევაში კი, შესაძლოა იმ დასკვნამდეც კი მივიდეთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ ქართულზე ადრე რუსული მოქალაქეობა მიიღო, რაც არარეალურია. ამის საილუსტრაციოდ მიმოვიხილოთ თავად რუსული კანონმდებლობა.

1991 წლის 28 ნოემბრის „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონი“ და 1993-95 წლების შესწორებების შემდეგ, მისი ზემოაღნიშნული, მეთვრამეტე მუხლი, „ტალიანინის მისიის“ მიერ მოცემული ინტერპრეტაციისაგან განსხვავდება რამდენიმე დეტალით. მეთვრამეტე მუხლის 1 პუნქტში ნათქვამია, რომ რეგისტრაციის წესით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება შეუძლიათ: „ყოფილ სსრკ-ს მოქალაქეებს, რომელნიც მოსახლეობენ ყოფილი სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე, ასევე მათ ვინც რუსეთის ფედერაციაში საცხოვრებლად გადმოვა 1992 წლის 6 თებერვლის შემდეგ, თუკი 2000 წლის 31 დეკემბრამდე განაცხადებენ საკუთარი სურვილის შესახებ მოიპოვონ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა“.<sup>2</sup> ამგვარად, როგორც ვხედავთ, რუსულ დოკუმენტში საუბარია არა 1993 წლის 6 თებერვლამდე რეგისტრაციის გავლაზე, არამედ 1992 წლის 6 თებერვლის შემდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსული ადამიანების მიერ 2000 წლის 31 დეკემბრამდე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის სურვილის გამოხატვასა და შემდგომ რეგისტრაციაზე, რაც, თავის მხრივ, მაინც არ განხორციელებულა აფხაზური და ოსი მოსახლეობის მიერ, რადგან როგორც ვიცით, 2002 წელს რუსული საპასპორტო პოლიტიკის დაწყებამდე, ამ რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობის ნა-

<sup>1</sup> **Gerard Toal.** *Russia's Kosovo...*, გვ. 694.

<sup>2</sup> «Граждане бывшего СССР, проживающие на территориях государств, входящих в состав бывшего СССР, а также прибывшие для проживания на территорию Российской Федерации после 6 Февраля 1992 года, если они до 31 Декабря 2000 года заявят о своем желании приобрести гражданство Российской Федерации;» – Закон РФ от 28 ноября 1991 г. N1948-I «О гражданстве Российской Федерации» (с изменениями от 17 июня 1993 г., 6 февраля 1995 г.). იხ.: [http://www.democracy.ru/library/laws/federal/1948-I\\_fz/page2.html](http://www.democracy.ru/library/laws/federal/1948-I_fz/page2.html).

წილი შესაძლოა რუსული მოქალაქეობის მიღების სურვილს გამოხატავდა, მაგრამ მათ მიერ რუსული მოქალაქეობის მასიურად მიღება, ამ პერიოდში არ მომხდარა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისთვის მეტად რთულია გაიზიაროს „რუსული არგუმენტი“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მოსახლეობისათვის რუსული მოქალაქეობის დარიგების ლეგიტიმურობის შესახებ. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ვინსენტ არტმანი, საკუთარ ნაშრომში ხაზს უსვამს სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებას, რაც მხოლოდ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, ქვეყნის მოქალაქეობის შესახებ კანონის საფუძველზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლები უზრუნველყო საქართველოს მოქალაქის დოკუმენტით. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეობის სურვილიც არ ჰქონდათ აფხაზებსა და ოსებს, მაგრამ ამის მიუხედავად, არტმანის თქმით: „1993 წელს დე ფაქტო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ნამდვილად იქცნენ საქართველოს მოქალაქეებად“.<sup>1</sup> როგორც დავრწმუნდით, ლეგიტიმური თვალსაზრისით, ამ ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით.

ზემოთ მოცემული მიმოხილვის მიუხედავად, დაკვირვებული მკითხველის თვალი მარტივად შეამჩნევს ერთ მნიშვნელოვან მომენტს. კერძოდ კი იმას, რომ ქრონოლოგიურად საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონზე (1993 წელი) ადრე მიღებულ იქნა კანონი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ (1991 წელი). აქედან გამომდინარე, შესაძლოა, გაჩნდეს შეკითხვა: არსებობდა კი კონკრეტული კანონი საქართველოში, რის მიხედვითაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე ვრცელდებოდა საქართველოს მოქალაქეობა 1991 წელს, როდესაც სსრკ დაიშალა? ამაზე პასუხი ცალსახაა: დიახ, არსებობდა! ეს იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 28 ივნისს მიღებული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.<sup>2</sup> აღნიშნული დოკუმენტი ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს, რადგან როგორც მკვლევარი ალექსი გუგუშვილი აღნიშნავს, იგი წარმოადგენდა დადგენილებას, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოში მოქმედი, პოსტსაბჭოთა, ლეგიტიმური ორგანოს – უზენაესი საბჭოს – მიერ.<sup>3</sup> აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა პირი, „რომელიც მუდმივად არის

<sup>1</sup> Vincent M. Artman. “Passport Politics”, გვ. 119.

<sup>2</sup> საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე. – საქართველოს პარლამენტის არქივი, ფონდი №1165, არქივი №2946, აღწერა №8.

<sup>3</sup> Alexi Gugushvili. Country Report: Georgia. EUDO Citizenship Observatory. European University Institute. September 2012, გვ. 3.



ჩანერილი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის“.<sup>1</sup> მე-8 მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიიღებოდა პირი, რომელიც: „ა) მუდმივად ცხოვრობდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; ბ) იცის ქართული ენა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა; ...დ) აქვს საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი სამუშაო ადგილი ან მუდმივი შემოსავლის ლეგალური წყარო ან აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე“.<sup>2</sup>

В свое время мы имели возможность коснуться разрушения и освобождения Эшерского городища на рубеже IV-III вв. до н.э., бывшего по версии М. Высокого и А. Скакова одним из основных эпизодов какого-то большого конфликта в Северной Колхиде. Тогда мы были склонны приписывать данное нападение находящимся под боспорским влиянием синдомеотским, или каким-либо еще северным племенам, с возможным участием боспорских владетелей, вероятно имевших союзников среди местных, сепаратистски настроенных греков.<sup>2</sup> К сожалению, тогда мы не располагали данными о возможном длительном нахождении на указанной территории меотских отрядов, а также – о следах конфликта между «джантух-лариларскими» племенами (т.е., сванами) и населением остальной части Абхазии.<sup>3</sup> Честно говоря, совершенное явно с моря нападение на Эшеру не очень вписывается непосредственно в предложенную А. Скаковым картину конфликта, но его можно так или иначе представить одним из эпизодов «смутного времени», всех аспектов которого мы сейчас уяснить не в состоянии. Однако в целом, думается, можно принять версию М. Высокого и А. Скакова в качестве рабочей гипотезы и посмотреть, к каким выводам она может привести.

Вместе с тем, на наш взгляд, версия эта несколько надуманная. Ее очевидная цель – показать греков Диоскурии, как самостоятельную политическую силу. Однако (если мы ее примем), кто сказал, что нанять меотов могли только греки? Все это вполне вписывается и в версию о Колхидском царстве. Ведь начало периода эллинизма, по мнению исследователей –

---

<sup>1</sup> М. Высокий. Греческая колонизация Восточного Причерноморья., с. 405.

<sup>2</sup> См. Н. Берулава. Город Диоскурия-Себастополис и район Сухумской., с. 74-85.

<sup>3</sup> А. Ю. Скаков, А. И. Джопуа. Древнейшие погребения Джантухского могильника. – *Историко-археологический альманах*. Вып. 9. Армавир-Краснодар-Москва. 2009. с. 17-27; А. Ю. Скаков. К вопросу о выделении археологических культур в Западном Закавказье. – *Традиции народов Кавказа в меняющемся мире*. Сборник статей к 100-летию со дня рождения *Леонида Ивановича Лаврова*. СПб., 2010. с. 48-67.

время предполагаемого его ослабления, возможно и дезинтеграции.<sup>1</sup> В таких условиях вполне возможна была угроза со стороны вышедших из под контроля сванских (или, по терминологии А. Скакова, «джантухско-лариларских») племен, оспаривавших первенство у колхов. Последующее «могущество» соанов ведь не могло возникнуть на пустом месте и беспроблемными васалами колхов они не были никогда, включая лазский период.

Подобная ситуация должна была беспокоить как греков, так и колхов и обратиться за помощью к меотам могли и те и другие. А могли и сваны, тем более, что большинство дорог, через которые могли прибыть меоты, контролировали они.<sup>2</sup> И, что немаловажно, они располагали золотом для найма. К тому же, отмеченные автором основные следы возможных военных действий выявляются на территории колхов (и греков-колонистов), в то время как меотское влияние чувствуется на границах «джантух-лариларского» и «ингур-рионского» ареалов. Т.о., сванские племена вместе с меотами вполне могли быть нападающей стороной, а колхи и находящиеся под их покровительством греки (а также – племена «бзыбской культуры») – обороняющейся. Впрочем, если учесть, что нападение на Эшеру явно произошло с моря,<sup>3</sup> проблема должна была быть гораздо шире, включать в себя как элементы междоусобной войны, так и внешние вторжения, привлечение зарубежных союзников и т. п.

В последней главе труда А. Скакова – **«Этническая номенклатура региона в начале нашей эры»** дана этно-племенная карта региона этого периода. Учёный разделяет мнение о наличии в это время сложных этнополитических и миграционных процессов, приведших к смещению ряда этнонимов Северо-Западного Кавказа и Абхазии на юго-восток и кардинальном изменении этнической ситуации региона. Правда, во второй половине рассматриваемого периода (II-III вв.), он констатирует уже обратное движение – в северо-западном направлении,<sup>4</sup> очевидно, под давлением картвельских племен. А. Скаков придерживается традиционных взглядов на этническую принадлежность перечисляемых Аррианом «раннегосударственных образований», относя лазов к картвелам, а абазгов и апсилов – к предкам абхазов.<sup>5</sup> Открытым оставляет вопрос о санигах, связь которых как с позднейшими садзами, так и с какими-либо картвельскими

---

<sup>1</sup> М. П. Инадзе. Древнеколхидское общество, с. 271.

<sup>2</sup> А. Ю. Скаков. Абхазия в античности. Попытка анализа..., с. 50, 72.

<sup>3</sup> Ю. Виноградов. Бронзовая плита с надписью из Вани. Приложение: Надпись на бронзе из Эшеры. – ВДИ, 1995, №3.

<sup>4</sup> А. Ю. Скаков. Абхазия в античности. Попытка анализа..., с. 74-76.

<sup>5</sup> А. Ю. Скаков. Абхазия в античности. Попытка анализа..., с. 76.



племенами считает неаргументированной.<sup>1</sup> Впрочем, он не исключает «возможность проживания в данном регионе отдельных картвельских племен», одним из которых «могли бы быть свано-колхи Птолемея».<sup>2</sup>

«Свано-колхи» (как, вероятно, и «соаны»), это, очевидно, другое название санигов иначе как объяснить отсутствие последних у Птолемея (как и столь внезапное, полное исчезновение вроде бы мощнейшего в регионе, соанского объединения)? В любом случае, стоит отметить констатацию автором наличия картвельских племен к северу от собственно Колхиды даже в этот период. Эти же данные Птолемея обесценивают замечание автора о том, что сваны якобы граничили с Диоскурией лишь с востока. И сванские и колхские племена жили как восточнее, так и западнее этого города. Авторы, локализирующие санигов западнее Диоскурии, просто не пишут о том, что находилось в тот момент к востоку и северо-востоку от неё. Сванети, или ее часть, вполне могли входить в царство санигов, хотя его центр, возможно, переместился на запад. В любом случае, столь внезапное исчезновение весьма мощного соанского объединения трудно объяснить, если не допустить, что соаны и были санигами.

На этом мы завершаем критический обзор публикации А. Скакова. Подитоживая наши наблюдения, мы признаём, что в целом рассматриваемая статья российского археолога представляет определённый научный интерес в плане постановки и решения тех или иных вопросов этнокультурной истории древней Колхиды и, безусловно, заслуживает внимания.

Как уже было отмечено выше, главной целью автора явно было – показать, что грузины не являются единственными аборигенами Восточного Причерноморья и, следовательно, их претензии на историческое наследие могут быть оспорены. Оспорены, конечно же, прежде всего другими обитателями данного региона – абхазами. В этой связи, естественно, интерес вызывает прежде всего территория между рр. Псоу и Ингури. Именно это является политическим составляющим данной публикации. Чтобы разобраться как всё это удалось А. Скакову, следовало бы с начала разъяснить грузинскую точку зрения на проблему.

Принято считать, что грузины оспаривают право аборигенности и, как следствие – все политические права абхазов в этом регионе, на основании «пришлости» последних. В том числе – и право считать эту страну своей. Однако, в данном положении неверно расставлены акценты. Безусловно, Абхазия является единственной родиной именно для абхазов,

---

<sup>1</sup> А. Ю. Скаков. Абхазия в античности. *Попытка анализа...*, с.76.

<sup>2</sup> А. Ю. Скаков. Абхазия в античности. *Попытка анализа...*, с. 76.

когда бы они ни появились на данной территории. И если даже кто-нибудь когда-нибудь сумеет доказать, что предки нынешних абхазов являются относительно недавними пришельцами или, как считает антрополог В. Алексеев, некогда говорили на одном из картвельских диалектов и лишь потом «перешли на адыгскую речь»<sup>1</sup> (что нередко воспринимается, как вариант той же гипотезы), это не отменит того факта, что данная нация в своем нынешнем виде сложилась здесь, когда бы это ни произошло.<sup>2</sup>

Другое дело, что и для грузин, хотя их понятие родины гораздо шире, оно все же включает в себя и Абхазию, причем для их немалой части – Абхазию в первую очередь. И грузины, соответственно, являются здесь не диаспорой, а коренным населением, пусть и не единственным коренным. Право на такое отношение грузинам дает история данного региона, где грузинский элемент присутствовал всегда, с древнейших времен, будучи то в большинстве, то в меньшинстве, а порой, вероятно, превалировал здесь безраздельно.

Обычно это называют «двуаборигенностью» и данный термин всегда вызывал в сепаратистских кругах критику по формуле: «на одной территории двух аборигенов быть не может» (еще как может и таких примеров немало – вообще, понятие «одна территория» – искусственное, не существует территории, которая никогда не делилась на части). Абхазские ученые всегда бескомпромиссно пытались доказать, что территория между Псоу и Ингури (по крайней мере) всегда была исконно абхазской и ничей больше.<sup>3</sup> При этом особое значение придается выше рассмотренному, древнейшему периоду истории, поскольку «исконность» понимается, как изначальное владение.

Чего в такой ситуации должны ожидать заказчики от российского ученого, работающего на идеологическом фронте в условиях «холодной войны» с Грузией? Безусловно, в первую очередь – опровержения доводов противной стороны. Но какое из вышеприведенных положений он опровергнет? Всё, что следует из приводимых им, долго собираемых и взвешиваемых доводов, это то, что археологическая культура Колхиды не совсем однородна и в ней можно вычленить локальные варианты, дающие осно-

---

<sup>1</sup> В. П. Алексеев. Происхождение народов Кавказа. М., 1974, с. 193-194.

<sup>2</sup> З. В. Папаскири. Абхазия и абхазы в общегрузинском этно-культурном и политико-государственном пространстве. Часть I. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа. Т. 2. Вып. 2, 2008. CA&CC Press®, Швеция, с. 129. – [http://www.ca-c.org/c-g/2008/journal\\_rus/c-g-2/10.shtml](http://www.ca-c.org/c-g/2008/journal_rus/c-g-2/10.shtml).

<sup>3</sup> Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этнокультурной истории Абхазов, с. 437.

вания для предположений (только предположений!) о проживании в некоторых регионах античной Колхиды некартвельских этнических групп.

Что на это можно ответить? А то, что представить себе территориально более-менее обширную археологическую культуру, которая была бы полностью однородной вообще трудно, если не невозможно. Тем более – на территории со столь разнообразным ландшафтом, как Кавказ. Данные культуры формировались и развивались на протяжении веков, охватывая территории с различающимися географическими, природно-хозяйственными, климатическими, внешнеполитическими и прочими условиями. Формировались они в условиях племенной разобщенности и замкнутости, которая едва ли могла быть полностью преодолена даже при наличии объединяющего несколько племенных общностей ранегосударственного образования. Ничего удивительного, если в подобной ситуации в единой материальной культуре выделяются локальные варианты, которые при желании можно объявить, как это и делает А. Скаков, *«рядом самостоятельных, хотя и родственных культур»*, входящих в некую *«культурно-историческую общность»*.<sup>1</sup>

Этногенез – процесс сложный и представить изначально «этнически чистую» народность, без иноэтничных примесей, невозможно пожалуй, даже теоретически. Племена-носители той или иной археологической культуры, распространяясь по ойкеуму, встречались с инородными группами, подчас интегрируя или полностью асимилируя их. Затем и в их исконный ареал могли вторгнуться и интегрироваться другие иноэтничные элементы. Но интеграция и ассимиляция – процесс двусторонний и материальная культура поглощаемого этноса также может оставить следы в культуре этноса-победителя или его части. Наконец, материальная культура входящих в единый культурный ареал племен должна испытывать и влияние соседних культур. Причем, испытывать в разной степени в разных своих частях, в зависимости от степени соседства и интенсивности контактов. К тому же, неоднократно упоминаемая выше интеграция иноязычных племен не обязательно должна быть полной. Интегрируемые племенные группы вполне могут довольно долгое время сохранять свой язык, принимая при этом материальную культуру своих соседей даже в большей степени, чем некоторые этнически более близкие последним, но географически более далекие племена той же культуры.

Вопрос об отношении культурной и языковой близости древних народов, как, кстати, отмечает и А. Скаков, – спорный и делать конкретные

---

<sup>1</sup> А. Ю. Скаков. Абхазия в античности. *Попытка анализа...*, с. 36.

выводы здесь следует весьма осторожно. Известно например, что языки двух картвельских этнографических групп, некогда входивших и в ареал Колхидской культуры и в Колхидское государство – мегрелов и сванов, хотя и имеющие общий корень, по сей день достаточно сильно различаются и факт наличия в прошлом этой общей для них археологической культуры (как и в целом, последующего вхождения в единую грузинскую народность) нисколько не мешает этому обстоятельству. В то же время восточногрузинские племена, по языку пожалуй еще более близкие мегрело-чанам (собственно колхам), чем сваны, в большинстве своем ни в ареал Колхидско-кобанской культуры, ни в Колхидское царство вовсе не входили, хотя часть их (в первую очередь месхов-мосхов) вероятно, была некогда под политическим влиянием колхов и даже жила вперемешку с ними, в конце концов колхизировавшись.

В такой ситуации принципиально исключать возможность проживания на каком-то этапе в отдельных областях древней Колхиды и более-менее воспринявших колхидскую материальную культуру некартвельских этнических групп столь же бессмысленно, как и в случае с любой другой этнокультурной общностью и не стоило здесь ломиться в открытые двери.<sup>1</sup> Другой вопрос, есть ли возможность выяснить, где конкретно жили эти гипотетические инородные племена, кем они конкретно были и что с ними в итоге стало. Вот здесь и кроется самый интересный момент (главная неожиданность для наших абхазских коллег) умозаключений А. Скакова.

Пытаясь вычленив внутри исторической Колхиды собственно колхскую этническую территорию он, вместе с центральной Колхидой, вдруг, взял да включил в нее и нынешний Сухумский район, а также, как минимум, часть Гудаутского (по крайней мере, район Эшеры, являвшейся по его мнению частью г. Диоскурии, на каком-то этапе даже её центром). Да ещё и плюс ко всему, и в районе нынешней абхазо-российской границы (т.е., бассейн р. Псоу) нашёл ареал проживания картвельских племен – мосхов, а нагорье севера и востока Абхазии (*«Джантухско-лариларскую культуру»*) при всех оговорках связал с «соанами» (сванами). И это в то время, когда племена кораксов и колов, которых абхазские ученые однозначно объявляют исключительно предками нынешних абхазов, автор вообще вынес за пределы Абхазии (и надо сказать, довольно убедительно)!

Теперь зададимся сакральным вопросом: так чья же была террито-

---

<sup>1</sup> Ещё акад. Н. А. Бердзенишвили считал «антиисторичным» утверждение об этнической однородности древней Колхиды и «колхов». См.: **Н. А. Бердзенишвили.** Вопросы истории Грузии. Тб., 1990, с. 538 (нагруз. яз.).

рия Абхазии в этот древнейший период истории? После всего вышесказанного, если и удастся вычлениить где-нибудь в горах Абхазии уголок для потенциальных предков современных абхазов, то неизбежно встанет вопрос – как они туда попали и как сумели не только избежать асимилиации, но в итоге размножиться и занять всю Абхазию?

Гораздо естественнее будет предположить, что абхазо-адыгских племен на данной территории в тот период вообще не было и они пришли позже. Но когда и откуда пришли? Если уж предполагать наличие в ареале колхских племен каких-то инородных элементов, то гораздо увереннее можно говорить и о наличии в античную эпоху на Северо-Западном Кавказе (во всяком случае в его приморских районах) картвельского элемента. Л. Соловьев именно этим объяснял наличие здесь обильной свано-мегрельской топонимики.<sup>1</sup> В этой связи обычно вспоминают упоминание Аррианом в районе Туапсе топонима Старая лазика.<sup>2</sup> Но есть и более конкретный, развернутый вариант, почему-то упорно не замечаемый исследователями: Аноним V в. (иногда называемый Псевдо-Аррианом, поскольку повторяет сведения Арриана, автора II в.) отмечал, что от Старой Ахеи (в 35 км. севернее Туапсе) до р. Ахеунта (нын. Шахэ), где в его время живет народ зигов, прежде обитали «иниохи (гениохи), кораксы, колики, меланхлены, махелоны, колхи и лазы».<sup>3</sup>

Нетрудно заметить, что из перечисленных народов, по крайней мере, три последних явно картвельские. Происхождение остальных неясно, хотя исключать и их принадлежности к тому же этносу также нельзя. Напомним, что Арриан считается одним из наиболее надежных авторов, к тому же факт обитания в данном регионе картвельских племен подтверждается самим наличием топонима Старая Лазика. Единственный этноним, который здесь можно более-менее уверенно причислить к абхазо-адыгской группе, это зиги (джики?), описанные как недавние пришельцы в Северо-Восточном Причерноморье, вытеснившие оттуда всех прочих. Победа над исконными племенами региона становится понятной только если предположить, что «зиги» – термин собирательный для большой группы племен. Не отражен ли в данном отрывке факт появления в Северо-Восточном Причерноморье

---

<sup>1</sup> Л. Н. Соловьев. Диоскурия-Сébastополис-Цхум. – *Труды Абхазского гос. музея*. 1947. Вып. 1. Сухуми, 1947, с. 128.

<sup>2</sup> Фл. Арриан. *Объезд Эвксинского Понта*, №28 (Перевод П. И. Прокурова). – В. В. Латышев. *Известия древних писателей о Скифии и Кавказе*. Ч. I. Греческие писатели. – *Вестник древней истории*. №3, 1948, с. 271.

<sup>3</sup> В. В. Латышев. *Известия древних писателей, греческих и римских, о Скифии и Кавказе*. СПб., 1890, с. 278.

абхазо-адыгских народов, вытеснивших более древнее население?

К сожалению неясно, к какому времени относится этот процесс. Напомним, что здесь речь идет не об Абхазии, где, следуя элементарной логике, абхазо-адыги должны были появиться еще позже. Ясно, что для автора это событие относительно недавнее, но кто этот автор? Аноним V в. или живший тремя веками раньше Арриан, сведения которого Аноним повторяет? Учитывая, что появление «горской стихии» в Абхазии акад. Г. А. Меликишвили датирует рубежом н.э., вышеприведенный отрывок, свидетельствующий о наличии сложных миграционных процессов в соседних регионах Кавказа, скорее должен принадлежать самому Арриану. Но и эта, наводнившая Абхазию «стихия» (появившиеся в тот период в Абхазии апсилы, абазги и пр.) очевидно, должна была быть в основном частью не зигского объединения, а вытесненных им прежних обитателей Северо-Восточного Причерноморья, среди которых силен был картвельский элемент, так что появление абхазо-адыгов в Колхиде даже в это время – еще не факт. Эта сложнейшая проблема требует дальнейшего изучения.

Несколько слов в этой связи хотелось бы сказать и о крупных северных соседях Колхиды – гениохах. Мы уже говорили о неправомочности столь резкого разделения гениохов и колхов. Можно ли уверенно утверждать, что разница между ними была намного больше, чем, к примеру, между эграми и лазами? На наш взгляд, при определении этнического происхождения гениохов следует учесть, что источники подчеркивают разноплеменность гениохов, разное происхождение гениохских племен.<sup>1</sup> Это явно означает нечто большее, чем просто деление на несколько племен, иначе то же самое можно было бы сказать практически о любом древнем народе. Исходя из этого, именно этноним «гениохи» (а не «колхи», как все время пытается доказать А. Скаков) правильнее считать собирательным для нескольких разноязычных групп, в определенной степени объединенных какими-то общими историческими преданиями.

Как известно, гениохских «царств» было несколько (предположительно – четыре). Вполне возможно, что эти «царства» были разноязычными. Кроме того, эти «царства» делились на «скептухии», из коих некоторые также могли быть иноязычными общинами. И если гениохи говорили не менее, чем на четырех языках, то после всего вышесказанного трудно представить, что в их число не входил какой-нибудь диалект собственно колхского (занского) и сванского языков. Оставшиеся два языка могли быть и картвельскими (картвельских языков и диалектов в то время, вероятно, было

---

<sup>1</sup> В. В. Латышев. Известия древних писателей..., с. 179, 276.

больше, чем сейчас) и абхазо-адыгскими и ирано-скифскими, но непосредственно соседствовали с колхами скорее всего колхоязычные гениохи.

И, несмотря на то, что гениохи в общем и целом всегда входили в ареал колхидской археологической культуры (не этим ли вызвана была известная пассивность российских археологов в изучении их территории?), вхождение в разные политические структуры, вероятно, должно было стилизовать и некоторые различия в материальной культуре даже этих гениохов с собственно колхами. Исходя из этого, даже наличие того, что А. Скаков называет «бзыбской культурой» еще не гарантирует резких этнических отличий данного региона от остальной Колхиды. Этническое ядро гениохов (т.е., та группа, от которой название «гениохи» распространилось на остальные) первоначально могло быть и колхоязычным (мегрело-чанским) и сванским, и каким-либо еще. Традиционное, хотя и не бесспорное, представление о поэтапности заселения на протяжении всей бронзовой эпохи западного Закавказья поочередно адыго-черкесскими, затем сванскими и в итоге – колхскими племенами (которое, очевидно, разделяет и А. Скаков) говорит скорее в пользу сванов, поскольку, согласно вышеприведенной схеме, именно они должны были непосредственно предшествовать колхам на их земле. Однако это не означало сохранения данной группой какого-то особого положения на протяжении веков. Если между гениохскими «царствами» все это время и сохранялся какой-то политический союз, то гегемония, вероятно, неоднократно переходила от одного из них к другому в зависимости от ситуации. Все вышеприведенные данные не исключают, конечно же, того факта, что первоначальный регион формирования картвельского этноса лежал, очевидно, к югу от Главного Кавказского хребта, однако уже в античную (а судя по археологическим и мифологическим данным, и в бронзовую) эпоху протокартвельские племена были весьма существенно представлены и к северу от него.

Таково наше общее впечатление от публикации А. Скакова. Суммируя умозаключения российского учёного в двух словах, можно выделить следующие основные выводы автора: Колхидская (а тем более – Колхидско-кобанская) культура, как и последующая материальная культура Восточного Причерноморья, не вполне однородна, на основании чего нельзя исключать (как, впрочем, и утверждать), что отдельные ее варианты могут принадлежать этнически отличающимся от колхов племенным группам, в т.ч. и не картвельским. Собственно колхам, однако, принадлежала территория не только Мегрелии (междуречье Ингури-Риони), но и нынешней Абхазии, во всяком случае – ее центральные районы, включая Сухумский.

В дальнейшем, в начале н.э., правда, колхи были существенно оттеснены на юго-восток, но вскоре сумели частично восстановить ситуацию, прочно утвердившись в восточной части нынешней Абхазии, а также аннексировав Апсилию и подчинив Абазгию. О границах последних, впрочем, уверенно ничего сказать нельзя, но и в конце античного периода ареал общего распространения абхазских (или считающихся таковыми) племен, даже включая интегрированную в Царство Лазов Апсилию, едва ли заходил намного юго-восточнее Диоскурии. Во всяком случае, до Ингури не доходил.

В целом, изложенная в вышеприведенной статье концепция А. Скакова ближе всего примыкает к компромиссным взглядам, господствовавшим в советское время и худо-бедно устраивавшим обе стороны. Впрочем, тогда тоже были разночтения: абхазские историки, на словах не отрицая культурную, а возможно и политическую близость населения Абхазии («колхов в широком смысле») с «собственно колхами» (мегрело-чанами), все же пытались представить это население, как абхазоязычный субстрат, а территорию Абхазии, соответственно – как исконную колыбель исключительно своего этноса.<sup>1</sup> Вопрос об абхазо-грузинских этнических границах той эпохи обычно обходился стороной, хотя предполагалось, что они приблизительно соответствовали административным границам Абхазской АССР (правда, порой, намекалось, на что предки абхаз-адыгов были первопоселенцами не только территории нынешней Абхазии, но и всей древней Колхиды, во всяком случае, восточного побережья Чёрного моря уж точно.<sup>2</sup>

Грузинские же ученые напротив, полагали, что в этнический ареал «собственно колхов» входила во всяком случае весьма значительная часть нынешней Абхазии, хотя также старались не заикливаться на этом щекотливом моменте. Какому из этих вариантов ближе концепция автора, предоставляем судить читателям. Нетрудно заметить, что целью наших комментариев была не столько критика отдельных положений автора (что было бы затруднительно сделать в полном объеме в рамках одной статьи), сколько констатация того факта, что концепция А. Скакова, если даже принять ее полностью, при объективном рассмотрении скорее подкрепляет традиционный грузинский взгляд на проблему, чем абхазский. Дело в том, что А. Скаков – надо отдать ему должное – профессионал, для которого профессиональная этика, очевидно, не является отвлеченным понятием и не дает ему (в отличие от его предшественника Ю. Воронова) полностью жертвовать объективностью в угоду конъюнктуре.

---

<sup>1</sup> **З. В. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. М., 1964, с. 131-134

<sup>2</sup> **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории Абхазов, с. 117.



## ნოდარ ბერულავა, ზურაბ პაპასქირი

### რუსი არქეოლოგის მოულოდნელი აღიარებებისა და ზოგიერთი მცდარი დაზუსტების შესახებ

#### **ბამონხაურება ალექსანდრე სკაკოვის სტატიაზე: „აფხაზეთი ანტიკურ ხანაში. წერილობითი წყაროების ანალიზის მცდელობა“**

სტატიაში გაანალიზებულია ცნობილი რუსი არქეოლოგის ალექსანდრე სკაკოვის ერთ-ერთი ბოლო სტატია, რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია ავტორის შეხედულებები ძველი აფხაზეთის ისტორიასა და არქეოლოგიაზე. ა. სკაკოვის ამ პუბლიკაციის ძირითად აზრს წარმოადგენს თეზა ანტიკური კოლხეთის ტერიტორიაზე ერთიანი კულტურის არარსებობისა და მისი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელის შესახებ. საკითხის ამგვარი დასმის მიზანი იყო კოლხეთზე, როგორც ძირძველ ქართულ რეგიონზე და ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანზე მეცნიერებაში თითქმის საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების უარყოფა. როგორც რუსი არქეოლოგის განსახილველი ნაშრომის ანალიზმა აჩვენა, ავტორმა არა თუ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, არამედ, მას, ნებისთ თუ უნებლიედ, მოუხდა იმ უცილობელი ჭეშმარიტების აღიარება, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე (სულ ცოტა დიოსკურია-სებასტოპოლისის, ანუ დღევანდელი სოხუმის სამხრეთით) უძველეს დროში ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველური (კოლხურ-ზანური, სვანური) ტომები.

**NODAR BERULAVA, ZURAB PAPASKIRI**

**ABOUT UNEXPECTED REVELATIONS AND SOME MISCONCEPTIONS  
OF RUSSIAN ARCHAEOLOGIST**

***ON THE ARTICLE OF ALEXANDER SKACKOV:  
“ABKHAZIA IN ANTIQUITY. ATTEMPT TO ANALYZE WRITTEN SOURCES”***

The article is a critical review of the publication of the Russian archaeologist Alexander Skakov, in which is summarized some of the findings of author on the history and archeology of modern Abkhazia. Key messages of A. Skakov is the denial of ethnic and cultural unity of ancient Colchis and considering it as a kind of cradle of Georgian statehood. As the analysis of this publication of the Russian researcher showed, the author not only failed to achieve the intended purpose, but on the contrary, he was forced to admit most of the territory of modern Abkhazia (at least the territory of south-Dioskuriady Sebastopolis, is current Sukhumi) residence Kartvelian ( Zano-Colchian, Svan) tribes in ancient times.

## ენო სარჩილაჰა

### ეკლესია და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში (ბალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ქორწინების ინსტიტუტის მნიშვნელობა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულია. მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა განვითარების გრძელი გზა განვლო. ქორწინების ფორმები და ამ ფორმებისათვის ნიშანდობლივი წეს-ჩვეულებები საზოგადოების განვითარების შესაბამისად იცვლებოდა და ვითარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ წყაროებში, სამართლებრივ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფოლკლორულ მასალებში ქორწინების ინსტიტუტის შესახებ დაგროვდა უამრავი ცნობა, საუკუნეების მანძილზე იგი მაინც აუხსნელი ფენომენი იყო. მართალია, საქორწინო ურთიერთობის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულია არაერთი ნაშრომი, მაგრამ დღეს ეს საკითხი ისევე აქტუალურია, როგორც ადრე, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს მის დიდ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე.

საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების ერთ-ერთ ძირითად და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ საფეხურს ჯვრისწერა წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჯვრისწერა სამურზაყანოში კვირის ყველა დღეს არ ტარდებოდა. ოთხშაბათი და პარასკევი, ქრისტიანულ რელიგიის მიხედვით, მარხვის დღეებად ითვლებოდა და ამიტომ ქორწილის რიტუალის ჩატარება მიუღებელი იყო. მარხვის დროს ეკლესიაც კრძალავდა დაქორწინებას და ჯვრისწერას: „უკეთუ ვინმე მარხვაში ხსნილად ქორწილი ქნას – სამი ძროხა მიართვას“.<sup>1</sup> გარდა ამისა, პარასკევი, მეგრულად „ობიშხა“, ე. ი. დღე ობისა — წვიმის ღმერთის დღედ იყო აღიარებული.<sup>2</sup> ქორწინებასთან დაკავშირებულ ყველა რიტუალს კვირის „მაგარ“ დღეებში ასრულებდნენ. ამიტომ ქორწილი ინიშნებოდა ხუთშაბათს, შაბათს ან კვირას.<sup>3</sup>

ჯვრისწერა სარძლოს სოფლის ეკლესიაში ტარდებოდა, მაგრამ ხშირი იყო ასევე ჯვრისწერის სასიძოს სოფლის ეკლესიაში ჩატარების შემ-

<sup>1</sup> ქორნიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორღანიას მიერ. წიგნი II, ტფ., 1897, გვ. 276.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ნ. I. – თბულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979, გვ. 179.

<sup>3</sup> ავტორის საველე ეთნოგრაფიული დღიური, 1998.

თხვევებიც. ვაჟი აფრთხილებდა თავის სოფლის მღვდელს მოსალოდნელი ჯვრისწერის შესახებ,<sup>1</sup> ხოლო თუ ჯვრისწერა სარძლოს სოფელში ჩატარდებოდა, მაშინ მღვდელს საპატარძლოს მშობლები აფრთხილებდნენ.

ჯვრისწერის დღისათვის ნეფე-დედოფალი მეფეგარეებს ირჩევდნენ. მათ ევალეობდათ სიძე-დედოფლის გვერდით ყოფნა და თვალყურის დევნება, რათა ვინმეს სიძე-დედოფლისათვის არ ევნო.<sup>2</sup> ქორწინების საიდუმლოებას მეგრელები „გორგინუას“ უწოდებენ.<sup>3</sup> გორგინი გვირგვინია, აქედან მივიღეთ გორგინუა, რაც დაგვირგვინებას ნიშნავს.

ქრისტიანობამ, აუცილებლობის წესით შემოიღო ჯვრისწერა და ქორწინება საიდუმლოებად გამოაცხადა. საიდუმლოება ქორწინების გაფორმების რელიგიურ რიტუალში – გვირგვინის კურთხევაში მდგომარეობდა. ქრისტიანობამ ცოლ-ქმრობისათვის ახალი წესები შემოიღო, რაშიც მთავარ როლს ეკლესიის მსახურები ასრულებდნენ.

წყვილთა დასაქორწინებლად როგორც ნეფისათვის, ისე საპატარძლოსათვის რეკომენდაცია უნდა გაეწია ნეფის სოფლის ეკლესიის მოძღვარს პატარძლის სოფლის მოძღვართან და, პირიქით, რათა მას არ დაებრკოლებინა გვირგვინის კურთხევა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: „1888 წელსა ივლისის ოთხსა დღეს ესე მიეცა ჩვენ სამღვდელო და საეკლესიო მსახურთაგან ჩვენი მრევლის სამურზაყანოს უჩასტკის ს. მეორე ჭიბურისხინჯის მცხოვრების მიხაილ დავითის ძე აქირთავას, რომელსაც სურს ჯვარის დანერა ამავე უჩასკის ს. საბერიო ცხოვრების თავადის ან. გარდაცვალებულის გვაჯი შარვაშიძის ასულის ანასტასიასთან მას შინა რომელ იგი არის როგორც სჩანს საეკლესიო საბუთიდან ოცდასამის წლის ქალწულია, პირველის ქორწინებითა მართლმადიდებლის სარწმუნოების არის ქრისტიანობრივ მოვალეობასა აღსარებისა და ზიარებისასა ასრულებდა. დამაბრკოლებელი მიზეზი დაქორწინებისა შემდგომ სამ გზის გამოცხადებისა კერძო პირთაგან არ აღმოჩენილა რა აგრეთვე ჩვენის არ აქვს დაბრკოლება რასაც ვამონმებთ ჩვენი ხელის მონერითა და დასმითა საეკლესიო ბეჭედითა მეორე ჭიბურისხინჯის პრიხოდის მღვდელი ნიკოლოზ საჯაია“.<sup>4</sup>

„ესე მიეცა რწმუნებული ჩემდამი სამურზაყანოს საბლაღაჩინოს მაზრის, საბერიოს მცხოვრების ან. უკვე გარდაცვალებულის თავადის

<sup>1</sup> **А. Гвасалия.** Селения Цаленджиха Зугдидского уезда Кутаисской Губернии. – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (შემდეგ – СМОМПК), вып. XIX, отд. III. Тифлис, 1894, გვ. 155.

<sup>2</sup> **ლ. მელიქიძევილი.** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. თბ., 1986, გვ. 54.

<sup>3</sup> **ჟან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **მ. მგალობლიძევილმა**. თბ., 1975, გვ. 174.

<sup>4</sup> **ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი** (შემდგომ – **ზსიემ**), დოკ. 8912.

გვაჯი შარვაშიძის ასულს ანასტასიას მას შნ(შინა) რ(ომე)ლ, თხოვნისა ძმების მისისა, ყ(ოვლა)დ სამღვდელო სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ მისცა მას შერვაშიძის ასულს მწყემსთ მთავრული კურთხევა და ნებართვა მონერილობით, 31 წარსული მაისიდამ, ამ შესვლისათვის პირველს სჯულიერს ქორწინებაში აღრჩეული მის მიე საქმროის აზნაური მიხეილ დავითის ძის აქირთავასთანა, ვინაიდგან იგი არს სრულ ნლოვანი, შობიდან არის ოცდასამი — 23 წლის უკეთურ რასაკვირველია თვინიერ მისი დედის თხოვობით უნებლებსა და უთანხმოებისა, სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი არა აღმოჩნდების მათი ჯვარისწერისადმი. დასარწმუნებლად რომლისა მიცემულისა მოწმობისა ესე მისს, ანასტასია შარვაშიძის ასულისადმი ჯეროვანის ხელის მონერით და ზედდასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა 4 ივლისსა 1888 წელად სამურზაყანოს საბლალაჩინოს მაზრისა მღვდელ იოანე (გვარი ვერ ამოვიკითხე — **ნ.ბ.**).<sup>1</sup>

აღნიშნული დოკუმენტაცია ეკლესიას სჭირდებოდა იმისათვის, რომ ოფიციალურად გაეფორმებინა ქორწინების აქტი, გაეგო სასიძოს ნლოვანება, სარწმუნოება, იცოდა თუ არა მან ქრისტიანული მოძღვრების ისტორია და სხვა. ყოველი ჯვრისწერა საეკლესიო დავთარში უნდა გატარებულიყო, რომელსაც „გამოკითხვა ქორწინებისა“ ეწოდება და საერთო იყო საქართველოს ყველა ეკლესიისთვის, საილუსტრაციოდ გავეცნოთ ერთ-ერთ მათგანს:

„გამოკითხვა ქორწინებისა“

„1875 წელსა ნოემბრის 10 დღესა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის უქაზით ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიისა“.

სამღვდელო პირთ მოახდინეს გამოკითხვა ქორწინების მსურველთათვის და აღმოჩნდა შემდეგი:

1. სასიძო: გლეხი იოანე ივანიკას ძე გამისონია, სცხოვრობს ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის სამრევლოში.
2. სარძლო: გლეხი ანნა ზურაბი ქირიას ასული, სცხოვრობს ვიდრე აქამამდე ხეთის წმინდა გიორგის ეკლესიის სამრევლოსა შიდა.
3. ასაკი შეუღლებისათვის აქვთ სრული, სახელდობრ: სასიძო 32 წლისა, სასძლო 18 წლისა და ორნივ იმყოფებიან მთელს ჭკუაზედ.
4. იმათ შორის ნათესაობა სულიერი, ანუ ხორციელი ნათესაობა და თვისება აკრძალული წმ. ეკლესიის კანონით, არავითარი არ არის რა.
5. სასიძო მეორე ქორწინებისა და სარძლო პირველის ქორწინებისანი.
6. დაქორწინებას შეუდგებიან ისინი თავიანთის ურთიერთობის თანხმობით და სურვილით, და არა ძალდატანებით, და ამაზედ აქვთ მშობელთა ნება სრულიად.
7. სამ გვარის აღნიშნულს ეკლესიაში მომხდარის განცხადებით

<sup>1</sup> ზსიემ, დოკ. 9006.

დაბრკოლება ამა ქორწინებისადმი არავითარ არავის არ გამოუცხადებია.

8. ამ ქორწინების დაუბრკოლებლობის შესამოწმებლად წარმოიდგინებიან წერილობითი დოკუმენტნი: სულიერისა მამისსა მისისა მღვდელისა გიორგი კუკავასაგან.
9. ამის გამო აღნიშნულ პირთ ქორწინება განზრახულ არს აღსრულდეს ზემოთ მოხსენებულს ეკკლესიაში, ამა ზუგდიდის მაცხოვრის შინა, დაწესებულ დროს, გარეშე მოწმეების დასწრებით.
10. რომ ყოველივე აქ ნაჩვენები სასიძოზედ და სასძლოზედ ჭეშმარიტია, ამათ მოწმობენ თავიანთის ხელმოწერით, როგორითაც თვით იგინი, აგრეთვე თითოეულის იმათგანის თავდებნი, ისე, რომ უკეთუ რაიმე აღმოჩნდეს სიცრუე, მაშინ ხელმოწერით ბრალეულნი არიან სამსჯავროს წინაშე საეკკლესიო კანონისა და სამოქალაქო სჯულდების ძალით.

სასიძო: გლეხი ივანე ივანიკას ძე გამისონია, რადგან მან წერა არ იცის მის გამო მისი თხოვნით მის მაგიერ ხელს ვანერ მთავარი დიაკონი პეტრე ჯიქია.

სარძლო: გლეხი ანნა ზურაბის ასული, რადგან მან წერა არ იცის ხელს ვანერ პეტრე ჯიქია.

სასიძოს თავდებნი: გლეხნი თუყვა, ერჩქინდია და ტაბუ ჭაჭუები (ხელს ანერს პეტრე ჯიქია).

სასძლოს თავდებნი: ბურდლუ და ეგნატე კუკავა (ხელს ანერს პეტრე ჯიქია).

გამოკითხვა მოახდინეს: ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელმან: პავლე ჯიქია<sup>1</sup>.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ გარკვეული დროის მანძილზე ეკლესია სამჯერ აცხადებდა იმის გამოსავლენად, იყო თუ არა ამ ჯვრისწერის წინააღმდეგი ვინმე და თუ ასეთი არავინ აღმოჩნდებოდა დასაქორწინებელ ქალ-ვაჟს გვირგვინის კურთხევის ნებას რთავდა.

გარდა ამ დოკუმენტებისა ჯვრისწერისას ეკლესიას მშობლების თანხმობა უნდა ჰქონოდა: „ესე მიეცა ასულს ჩემს პელაგიას მასშინა, რომელ იგი მიჰყავს სჯულიერს საცოლედ ზუგდიდის უეზდის სოფლის მცხოვრებს შარგან (სახელი ვერ ამოვიკითხე — **ნ.ს.**) ძე ანაჩიას, ჩემის მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქუთ ჩემის მხრის ქორწინებით შესვლასა ზედა მას შინა ხელ ვანერ მე მართა ახულტთას ასული ვამოწმებ ჭაქვინჯის წმინდა მთ. ეკლესიის ღერბის დასმითა მე მღვდელი დიონოზ შელია“<sup>2</sup>.

მღვდელიც წერილობით აფორმებდა თანხმობას იმის თაობაზე, რომ სამრევლოდან გასულ პიროვნებას ჯვარი სადაც უნდოდა იქ დაენ-

<sup>1</sup> ზსიემ, დოკ. 5416.

<sup>2</sup> ზსიემ, დოკ: 5565.

ერა: აქ განსაზღვრული არ იყო წყვილს ჯვარი მაინცდამაინც ქალის თუ სასიძოს სოფლის ეკლესიაში დაენერათ. „ნარმოვადგენთ თავის ნა-ნარმოები საქმეს ქალადდებითა ეპისკოპოზის დაბალი ჩინის გარდან-ყვეტილებას ამ ჩემი სამრეკლო ვამეყი ოთხოზორიას ჯვარი დასწეროთ თვითონ მღვდელნი თავისუფლებას გაძლევთ სადაც სურდეთ იქ ჯვარი დაინეროს. ჩვენ მოხსენებაში დაინახავთ ჩვენგან თავისუფლებას. გთხოვთ ორსულობა გამოიკითხოთ რიგისამებრ მოწყალეო“.

დარჩელის პრიხოდის მულუდელი ანდრია ქირია.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, დოკუმენტში ხაზგასმულია მოთხოვნა გამოი-კითხოს ქალის ორსულობა, რადგან ფეხმძიმე ქალის ჯვრისწერა საეკ-ლესიო კანონით აკრძალული იყო. საეკლესიო ჯვრისწერის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: პატარძალი არის ქალწული ქორწინებამდე. ამ-ის შესახებ ივ. ჯავახიშვილი საინტერესო წყაროს განიხილავს: „ამ და-ნაშაულის სანაზღაუროდ უკ(ე) თუ მღვდელმან ორსულს ჯ(ვარ) დაწე-როს გ. ძროხა მიართვას, თუ იცოდეს, თუ არ იცოდეს ა(ს) და მექორ-წინემ გ. ძროხა მიართვას.“<sup>2</sup>

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე სამურზაყანოშიც, ჯვრისწერამდე ქალ-ვაჟის სქესობრივი ურთიერთობა სატიკად იყო აკრ-ძალული. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმრო ჯარიმდებოდა: „უკეთუ ჯუარ დაუწერად კაცმან ცოლი დააორსულს — სამი ძროხა მიართვას“. თუ მღვდელმა იცოდა ქალის ორსულობის შესახებ, მაგრამ წყვილს ჯვარს დასწერდა, მაშინ ისიც ჯარიმდებოდა: „უკეთუ მღვდელმან ორსულ ქალს ჯვარი დასწეროს, სამი ძროხა მიართვას“.<sup>3</sup> გარდა დაჯარიმებისა, შეიძ-ლებოდა მისთვის მღვდელმსახურებაც აეკრძალათ. ამის შესახებ არა-ერთი ცნობა გვხვდება ქართულ წერილობით წყაროებში.<sup>4</sup> ეკლესია კრძა-ლავდა როგორც ორცოლიანობას, ასევე ნაძალადევ ქორწინებას: „თუ მღვდელმან ამგვარად მოქმედსა კაცთა ჯვარი დასწეროს, განიკუეთოს და უკეთუ შეინახოს სამი ძროხა მიართვას“.<sup>5</sup> ყოფილა შემთხვევები, როდესაც მღვდელს აიძულებდნენ, მოტაცებულ ქალისათვის ჯვარი და-ენერა.<sup>6</sup> ამისათვის წერილი გაეგზავნა ყოვლად უსამღუდელესობისადმი საქართველოს ექსარხოსს, რომ „გთხოვთ ინებოთ ჯეროვნად დამოძღ-ვრებასა დაახსნა თუ რა მოქმედება გეგულვების შესახებელად ამისა საგნისა“.<sup>7</sup> ამ შემთხვევაში მღვდლისათვის მღვდელთმსახურება არ აუკ-რძალავთ, რადგან ის აიძულეს, ჯვარი დაენერა.

<sup>1</sup> ზსიემ, დოკ. 5147.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, ტფ., 1928, გვ. 160.

<sup>3</sup> ქრონიკები და სხვა მასალა., წიგნი II., გვ. 276.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თბ., 1928 გვ. 231; ი. დო-ლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. თბ., 1963, გვ. 468.

<sup>5</sup> ქრონიკები და სხვა მასალა., წიგნი II., გვ. 276.

<sup>6</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 2, ს. 3507.

<sup>7</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 2, ს. 3507.

როდესაც დამაბრკოლებელი მიზეზები აღარ არსებობდა, მღვდელი შეუდგებოდა ჯვრისწერას. მეჯვარის მოვალეობას წარმოადგენდა ნეფე-დედოფლის ეკლესიაში ან მარანში შეყვანა, სადაც ჯვრისწერა უნდა მომხდარიყო. მღვდელი დასაქორწინებულთ თავზე დაადგამდა ტოტები-ან გვირგვინს, რომელსაც სამეგრელოში „ძაფეძიას“ უწოდებდნენ.<sup>1</sup> იგი დაინწყებდა ლოცვას, რის შემდეგ აიღებდა ღვინით სავსე ბარძიშს ხელში და მიანოდებდა ჯერ სასიძოს და შემდეგ სარძლოს. ამ დროს, მღვდელის თხოვნით, საპატარძლოს პირბადე უნდა მოეხსნა და სასიძო გვირგვინის ქვეშ პირველად დაინახავდა საპატარძლოს სახეს. ჯვრისწერამდე სასიძოსთვის საპატარძლოს სახე დაფარული უნდა ყოფილიყო. მომავალი ცოლ-ქმარი ერთმანეთს მხოლოდ საქორწინო ცერემონიალის დროს ეცნობოდნენ.<sup>2</sup> საცოლის სახის დამალვის ჩვეულება არსებობდა მსოფლიოს მრავალ ხალხებში, თანამედროვე ევროპაშიც.<sup>3</sup> სწორედ ჯვრისწერის დროს იცოდნენ სასიძობმა გვირგვინის კურთხევაზე უარის თქმა, როცა აღმოჩნდებოდა, რომ პატარძალი შეცვლილი იყო. ასეთი სიყალბე ჯვრისწერისას ხშირად მომხდარა. მშობლები გადანახულების დროს ვაჟის ნათესავებს უფრო ღამაზე ქალს აჩვენებდნენ, ხოლო ჯვრისწერისას მას შეუცვლიდნენ, ამიტომ გვირგვინის ქვეშ სულ სხვა ქალი აღმოჩნდებოდა. ამ დროს სასიძოს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ჯვრისწერაზე,<sup>4</sup> სამურზაყანოში სასიძოს უფლება არ ჰქონდა საცოლე ენახა, თუმცა აფხაზებში სასიძოს შეეძლო მისულიყო სასიმამროს სახლში და საცოლე ენახა.<sup>5</sup> ეს წესი საქმროს მიერ საცოლის ნახვა ფიქსირდება მთიულეთსა და ფშავშიც.<sup>6</sup>

ღვინის სმის დროს მეჯვარე ნეფე-დედოფლის ტანსაცმლის ერთმანეთს გადააკერებდა<sup>7</sup> მღვდელი კვლავ წარმოსთქვამდა რამდენიმე ლოცვას და სამჯერ შემოუფვიდა ტრაპეზს. მას უკან მიჰყვებოდა ნეფე-დედოფალი და მეჯვარეები. ტრაპეზის შემოვლის შემდეგ მღვდელი სამ-სამჯერ ნეფე-დედოფალს ღვინოს შეასმევდა და ჯვარს დასწერდა.

<sup>1</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 260.

<sup>2</sup> Л. Морган. Древнее общество. Л., 1934, გვ. 26.

<sup>3</sup> М. Меретуков. Свадебные обряды Абдзехов. – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 264.

<sup>4</sup> თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 98.

<sup>5</sup> И. С. Державин. Свадьба в Абхазии. – СМОМПК, вып. 36, отд. II. Тифлис, 1906, გვ. 30; С. Т. Званба. Этнографические этюды. Сухуми, 1955, გვ. 28; И. С. Патеипа. Свадьба в Абхазии. Сухуми, 1978, გვ. 12.

<sup>6</sup> Н. Г. Волкова, Г. Н. Джавахишвили. Бытовая культура Грузии в XIX-XX вв. Традиции и инновации. М., 1982, გვ. 121-124.

<sup>7</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ა. ქყონიასი. მეორე გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 86; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 176.



ამ დროს მეჯვარე მათ მიკერებულ ტანსაცმლის ხანჯლით განაცალკევებდა. ეს წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო ცნობილი.<sup>1</sup> ნეფედედოფლის ტანსაცმლით „გადაბმა“ უძველესი ხალხური ჩვეულება უნდა ყოფილიყო, რომელიც ჯვრისწერის ქრისტიანულმა წესებმაც შეითვისა. ამით აღინიშნებოდა საქორწინო კავშირი, რომელიც არ უნდა განყვეტილიყო. ეს ალბათ, მაგიური ქცევა იყო, რითაც საქორწინო წყვილის ავი სულებისგან დაცვას ცდილობდნენ. ტანსაცმლის მიკერების და განცალკევების შემდეგ გვირგვინის კურთხევის წესი დასრულებულად ითვლებოდა. ჯვრისწერის ფულს სასიძო ან მისი ოჯახის, რომელიმე წევრი გადაიხდიდა. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ქორწინების წესში მონაწილეობის მიღებით ჯვრისწერა შემოსავლის წყაროდ გაიხადა,<sup>2</sup> რასაც წერილობითი მონაცემებს ადასტურებს.<sup>3</sup>

ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ პირველად დამბაჩას მეჯვარე ისროდა, რაც ჯვრისწერით გამოწვეული სიხარულის გამოხატულება იყო. ქრისტიანული ეკლესიისათვის სავალდებულო წესებთან ერთად ჯვრისწერის ცერემონიაში ყურადღებას იპყრობს წარმართული საწესჩვეულებო ელემენტებიც. კერძოდ, ასეთია ეკლესიაში შეყვანისა და გამოყვანის, პატარძლის სახლიდან გაცილების და ნეფის ოჯახში შეყვანის დროს ამოწვდილი ხანჯლებით კართან დადგომა, დამბაჩის გასროლა და სხვა. აღნიშნული ჩვეულებანი საკმაოდ ძველი ჩანს და მისი ელემენტები საქორწინო რიტუალების დროს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ქრისტიანობამაც გაითავისა. ჩვენი ვარაუდით, აქ უნდა ვლინებოდეს იარაღის მაგიური ძალის შესახებ უძველესი რწმენა, რომელსაც უნდა დაეთრგუნა ავი სულები. ეს ჩვეულება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება.<sup>4</sup> ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ, ახალდაქორწინებულების შუაში გავლა ცუდის მომასწავებელი იყო.<sup>5</sup> ჯვრისწერის დროს ეკლესიის კედელზე დამსწრეთა მიყრდნობა სასტიკად იკრძალებოდა.<sup>6</sup> ხალხური რწმენით ეს დღესაც მოქმედებს, რადგან თუ ვინმე ამ დროს

<sup>1</sup> თ. სახოკია. მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 175; ნ. ვეფხიაშვილი. ეკლესია და საქორწინო ტრადიცია (სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). – ქრისტიანობა და საქართველო. თბ., 2001, გვ. 35.

<sup>2</sup> გ. ნადარეიშვილი. ძველი ქართული საოჯახო სამართალი. თბ., 1974, გვ. 26.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XII საუკუნეებში, ტფ., 1934, გვ. 14; იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. თბ., 1936, გვ. 164.

<sup>4</sup> М. Ковалевский. Закон и обычаи на Кавказе, т. I-II, 1890, გვ. 48; А. Гвасалия. Селения Цаленджиха Зугдидского уезда., გვ. 156; Г. Ф. Чурсин. Очерки по этнологии Кавказа. Тифлис, 1913, გვ. 125.

<sup>5</sup> Я. И. Тепцов. Из быта и веровании мингрелцев. – СМОМПК, вып. XVII, отд. III. Тф., 1894, გვ. 8.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების არქივი, ჟან მურიე. სამეგრელო. M<sup>1</sup>, 196, გვ. 21.

კედელს მიეყრდნობა ქალს თურმე ცუდი ორსულობა ექნებოდა და მშობიარობა გაუძნელდებოდა. ასევე, ახალ დაქორწინებულებს თუ ქალი შეხვდებოდა პირველი, ოჯახში პირველი ქალი გარდაიცვლებოდა, ან თუ შეუღლებულთა შორის ქალი გაივლიდა ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზი ქალი გახდებოდა. იგივე ნესი ეხებოდა კაცსაც.<sup>1</sup>

ჩვენს ხელთ არსებული საეკლესიო საბუთებიდან დოკუმენტები მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე. ამ პერიოდის შემდეგ ჯვრისწერის პირობები შეიცვალა. ამ დროიდან სამურზაყანოში ჯვრისწერა ეკლესიაში იშვიათად ტარდებოდა. ჯვრისწერა გაემიჯნა ქორწილს. მთხრობელები მიუთითებენ, რომ მამის სახლიდან ქალი პირდაპირ ვაჟის სახლში მიჰყავდათ და ჯვრისწერა ეკლესიაში არ ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ათეისტურ გარემოში გასაგები მიზეზების გამო ჯვრისწერისათვის თავის არიდება გასაკვირი არ იყო და სამურზაყანოში ჯვრისწერის რიტუალობა ეკლესიიდან კვლავ მარანსა და კერასთან გადმოინაცვლა.

ჯვრისწერის მარანში ამ კერასთან ჩატარების ტრადიცია ადრეც არსებობდა. ისეთ შემთხვევაში, როცა ეკლესია განსაზღვრული მიზეზის გამო ემიჯნებოდა საქორწინო ურთიერთობის სფეროს, წინა პლანზე მარანი და კერა გამოდიოდა. ჯვრისწერის საიდუმლო აღსარება კვლავ საკრალურ ადგილას ხდებოდა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც სამურზაყანოში საქორწინო ტრადიციაში ეკლესიის ფუნქციური დატვირთვა ძალზე შემცირდა. მიუხედავად ამისა, მაინც ჯვრისწერა ტრადიციულ ყოფაში სავალდებულო მოვლენა იყო. ეკლესიის ადგილი შინაარსობრივად მარანმა და კერის კულტმა დაიკავა. მათ გარშემო განხორციელებული ცერემონიალი საეკლესიო რიტუალის ტიპიურ განმეორებას წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს წინაქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებული რიტუალების შერწყმასთან. ქართულ ქრისტიანულ საზოგადოებაში ეკლესიას ბუნებრივია მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ჯვრისწერა ტარდებოდა ქორწილის პირველ ეტაპზე, ქალი ქმრის სახლში მხოლოდ ჯვარდანერილი უნდა შესულიყო.<sup>2</sup> აფხაზებში ჯვრისწერას თუ სავალდებულოდ ჩათვლიდნენ ქორწილის შემდეგ ჩაატარებდნენ.<sup>3</sup>

ივანე ჯავახიშვილმა XV-XVI საუკუნეების წყაროების შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ ქართველები ზოგჯერ საეკლესიო ქორწინებას და ჯვრისწერის წესებს არ ასრულებდნენ, ხოლო სახელმწიფო კანონმდებლობა ამ დარღვევათა წინააღმდეგ სასჯელის სათანადოდ ფორ-

<sup>1</sup> ავტორის საველე ეთნოგრაფიული დღიური, 2000.

<sup>2</sup> **ლ. მელიქიშვილი.** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. თბ., 1986, გვ. 40; **ვალ. ითონიშვილი.** ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები. თბ., 1989, გვ. 173; **ს. მაკალათია.** მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1983, გვ. 164; **ნ. მაჩაბელი.** ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბ., 1978, გვ. 40.

<sup>3</sup> **И. С. Державин.** Свадьба в Абхазии, გვ. 101.

მებს იყენებდა.<sup>1</sup> სამურზაყანოში ეკლესიის გვერდის ავლით წყვილთა ჯვრისწერის შემთხვევები ძალიან ხშირი იყო, მაგრამ არ იქნებოდა მართებული, თუ ვიტყვით, რომ მოსახლეობა ეკლესიაში ჯვარს არ იწერდა. ეკლესიაში და მის გარეთ გვირგვინის კურთხევის წესი ერთნაირად იყო დამახასიათებელი და ერთ-ერთი მათგანის უგულებელყოფა მიზანშეწონილი არ იყო.

კ. ჰანი წერდა: თუ მეგრელებისთვის ქორწინება კანონიერად მხოლოდ მღვდელის კურთხევის შემდეგ ითვლებოდა, სამურზაყანოელებს არ სჭირდებოდათ საეკლესიო კურთხევა.<sup>2</sup> ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ეკლესიის ფუნქციონალური დატვირთვა მინიმუმამდე იყო დასული და ჯვრისწერის საიდუმლო კ. ჰანის დროსაც ნაწილობრივ საკრალურ ადგილას იყო გადანაცვლებული.

ამრიგად, ჯვრისწერისათვის საჭირო იყო რიგი წერილობითი საბუთების შექმნა. თუ ეს რეკომენდაციები და მოწმობები დასმულ კითხვაზე დადებითად პასუხობდნენ, მღვდელი ნეფე-დედოფალს ჯვარს დაწერდა. ყოველივე ამის შემდეგ გაიცემოდა მოწმობა ეკლესიის მიერ, რომელიც ქორწინებას კანონიერად ჩათვლიდა. ქართულ ქრისტიანულ საზოგადოებაში ეკლესიას გადამწყვეტი ადგილი ეკავა. იგი იძლეოდა ოჯახის შექმნის უფლებას, რასაც გარკვეული ცერემონიალით აღასრულებდა ჯვრისწერის რიტუალი, რომელიც საქორწინო ურთიერთობის მონესრიგებაში გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელია. სამურზაყანოული ჯვრისწერა, წერილობითი თუ საველე-ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ლოკალურთან ერთად, ზოგადქართული ნიშნებითაც ხასიათდებოდა.

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 160.

<sup>2</sup> К. Ф. Гань. Поездка в Мингрелию, Самурзакань и Абхазию. – Газ. «Кавказский вестник», №4. 1902, გვ. 29.

**NINO KHARCHILAVA**

**CHURCH AND THE WEDDING TRADITIONS IN SAMURZAKANO.  
ACCORDING TO THE ETHNOGRAPHIC DATA  
OF GALI DISTRICT**

According to the existing church data, the documents contain the information of the period from the 17<sup>th</sup> century to the 1920's. There existed a tradition for holding wedding ceremony in *marani* (location for storing wine in special pitchers) or at the hearth at those times. In case if church, for a specific reason, stayed apart from the sphere of wedding relationship, *marani* and hearth were senior for holding wedding ceremony. Sacrament of wedding ceremony still used to happen at a sacred place, even after the fact when the function of church had been reduced a lot in Samurzakano. The religious ceremony carried out around those places was a typical repetition of church ritual. Naturally the church had held an important place among Georgian Christian Society. Therefore, lots of written materials were needed for wedding ceremony. If these recommendations and certificates were legal a priest would hold a wedding ceremony. After all those processes a certificate used to be given by the Church in order to prove that the marriage has been legal. The Church held a crucial place among the Georgian Christian society. The right to start a family was given by the church. The wedding ceremony had the most important function in regulating of marriage relationships. The wedding ceremony in Samurzakano, according to both written and ethnographic data together with local material, were characterized by common Georgian symbols.

## **НИНО ХАРЧИЛАВА**

### **ЦЕРКОВЬ И БРАЧНЫЕ ТРАДИЦИИ В ИСТОРИЧЕСКОМ САМУРЗАКАНО. ПО ЭТНОГРАФИЧЕСКИМ МАТЕРИАЛАМ ГАЛЬСКОГО РАЙОНА**

В статье на основании церковных документов охватывающих период с XVIII до 20-х годов XX века, освещены брачные традиции в Самурзакано. Примерно с XVI века, как известно, территория нынешней Абхазии из высокоразвитого феодального региона, где процветала христианская культура и книжность, начала резко отставать от остальных областей Грузии и за короткий срок превратилась в отсталый край с примитивным патриархальным хозяйством и реанимированными языческими верованиями. В определённой степени коснулось это и Самурзакано. И здесь христианская церковь начала постепенно сдавать позиции. Это отразилось, в частности, и на обряд таинства венчания. В изучаемый период, венчание хотя и было обязательной традицией, но оно проводилось не в церкви, а в сакральном месте – у очага и в марани (винный погреб). Венчание проводилось на первом этапе свадьбы, женщина должна была войти в дом мужа только после венчания. Среди абхазов допускалось венчание (если сочли бы нужным) после свадьбы. Обряд венчания оформлялся письменно и церковь выдавала соответствующее свидетельство, которое считало брак законным. Таким образом, обряд венчания в Самурзакано, несмотря на отдельные различия, всё же следовал выработанным в Грузии общим принципам.

## **თამარ ანთაქი, მერაბ კალანდია**

### **საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები**

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ და ნაპოლეონის ეპოქამ დააჩქარა მოდერნიზაციის პროცესი. ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება შეუქცევად ხასიათს იღებს.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიის შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს. საქართველოში ამ პრობლემით დაინტერესებამ საინტერესო ფერისცვალება განიცადა და პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. ამ კუთხით ეს თემა ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ეს საკითხი ამ რაკურსით გაგვეშუქებინა. ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს თვალი გავადევნოთ თუ რა ძირითადი ეტაპები განვლო ამ პრობლემატიკით დაინტერესებამ საქართველოში. თემა არის საინტერესო და აქტუალური.

საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქით დაინტერესება ორი მიმართულებით წარმართა. ის საკითხის პოპულარიზაციის და შესწავლის შეხამების, შერწყმის, ერთგვარ მცდელობად გვევლინება. ეს იყო საკითხისადმი პრაქტიკული, სწორი, მიდგომა. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიით დაინტერესებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და საინტერესო გზა განვლო. აღნიშნული პრობლემის გაშუქების საკვანძო მომენტებად უნდა მივიჩნიოთ: საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიით დაინტერესების ათვლის წერტილად XIX საუკუნის დასაწყისი უნდა იქნას აღებული, როდესაც ჩნდება ცალკეული, სპორადული, ცნობები აღნიშნულ თემაზე. ეს საინტერესოა.

პირველ ყოვლისა, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა ინფორმაცია გააჩნდათ საქართველოში საფრანგეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე. ერთი შეხედვით ისე ჩანს თითქოსდა არავითარი. პოლიტიკურად დაუძღურებული, დაქსაქსული, ფიზიკური განადგურების პირას მისული სუვერენობა დაკარგული საქართველო თითქოსდა შორს იდგა ამ პროცესებისგან და ინფორმირებული არ იქნებოდა იმის თაობაზე, რაც საფრანგეთში ხდებოდა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. ერთი შეხედვით, ეს მართლაც ასე ჩანს, მაგრამ სინამდვილეში რა ხდებოდა? იყო კი რეალ-

ობა ისეთ მარტივი, როგორც ეს ზედაპირზე ძეგს? უნდა ვივარაუდოთ, რომ რეალობა გაცილებით უფრო სხვაგვარი და საინტერესო შეიძლება ყოფილიყო. ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენაზე, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის ხანა იყო, საქართველოში არანაირი ინფორმაცია არ ჰქონოდათ.

ჩვენი აზრით, საყურადღებოა აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიერ პროფ. ვარლამ დონაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს გამოთქმული მოსაზრება თითქოსდა „მოსკოვის არქივებში დაცული მასალებიდან ჩანს საფრანგეთის რევოლუციას გარკვეული კავშირი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური ბედის გადაჭრის საქმესთან XVIII საუკუნის მიწურულს“.<sup>1</sup> სავსებით ვეთანხმებით აკად. ნ. ბერძენიშვილს, რომ დისერტანტი უნდა გარკვეულიყო ამ საკითხში და გამოეკვლია თუ რაში იყო საქმე, მაგრამ ის ასე არ იქცევა და ამ თემის გამორკვევას გვერდს უვლის, თუმცა, ვფიქრობთ, სასურველი იყო ღვანლმოსილ მეცნიერს კონკრეტულად მიეთითებინა თუ რა მასალები ჰქონდა მხედველობაში. ეს ძალიან გაგვიადვილებდა ამ თემის შემდგომ შესწავლას. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამის დამადასტურებელ პირდაპირ ცნობებს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ იძულებული ვართ ვარაუდების, ჰიპოთეზების, სფეროთი შემოვიფარგლოთ. „მეცნიერება ჰიპოთეზების სასაფლაოა“.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, საქართველოს სამეფო კარს საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის შესახებ ინფორმაცია რამოდენიმე არხიდან შეიძლება მიეღო. პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფო კარი, ამ მოვლენაზე ინფორმირებული იქნებოდა იმ მრავალრიცხოვანი კათოლიკე მისიონერების საშუალებით, რომლებიც მრავლად იყვნენ საქართველოში. ისინი საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის მოღვაწეობას, უმთავრესად, უარყოფითად ეკიდებოდნენ. ასეთი ხედვა კარგად გამოხატავდა კლერიკალურ-მონარქისტული წრეების განწყობილებას. საქართველოში საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე ინფორმაციის მიღების მეორე გზა იქნებოდა რუსეთი, სადაც საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებული იმის თაობაზე თუ რა ხდებოდა საფრანგეთში. მესამე გზა შეიძლება ყოფილიყო მაჰმადიანური სამყარო სტამბოლი, კაირო, სადაც საქართველოს მეფეებს მრავლად ყავდათ თავისი მსტოვრები. რა თქმა უნდა, ეს წრეები საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონისადმი უპირატესად ნეგატიურად იქნებოდნენ განწყობილი. ამიტომ იმ ეპოქის საქართველოში ამ საკითხისადმი კლერიკალურ-კონსერვატიული მიდგომის დომინანტი გამორიცხულად არ მიგვაჩნია. მიუხედავად ამისა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა) – ფონდი 471, ანაწერი 19, საქმე 3324.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონისადმი ერთგვაროვანი არ იქნებოდა. მათი ერთი ნაწილი, რომელიც კონსერვატიულად იყო განწყობილი, საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების ძალისხმევით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონისადმი, უპირატესად, ნეგატიურ დამოკიდებულებას გამო ამჟღავნებდა. ეს იყო ერთი ხედვა. იყო სხვა მიდგომაც. მათი მეორე ნაწილი, რომელიც პროდასავლური ორიენტაციის მომხრე იყო და უმთავრესად ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებდა აქცენტს, თანაუგრძნობდა საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპს (1789-1792) და ხოტბას ასხავდა ნაპოლეონს. მათი მთავარი ტონისმიმცემი დავით ბატონიშვილი იყო.<sup>1</sup>

ისტორიულმა მონაკვეთმა XIX საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ამ პრობლემით დაინტერესების უვერტურად გაიყვანა და, ჩვენი აზრით, საქართველოში ამ თემატიკის გაშუქების შესავალად, წინაისტორიად, შეიძლება მივიჩნიოთ.

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, კონკრეტულად კი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ხანაში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები.<sup>2</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამან გარკვეული სტიმული მისცა ამ თემატიკით შემდგომ დაინტერესებას. მის კულმინაციად, მწვერვალად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონი“ (1838) და ალექსანდრე ორბელიანის წერილი „ნაპალიონი და ანგლიის მაშინდელი მთავრობა“ (1844) მიგვაჩნია.<sup>3</sup> თავდაპირველად ამ დაინტერესებამ ასახვა პოვა ეპისტოლარულ ჟანრში და სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. აქ ასახვა სავსებით რეალური ვითარება. ეს ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

მკვეთრად იცვლება ვითარება XIX საუკუნის შუა ხანებიდან. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც გაჩნდა ქართული პერიოდული პრესა. ეს დაინტერესება ახალ ფაზაში შედის. ამ თემატიკის პოპულარიზაცია ქართულმა ჟურნალისტიკამ, პუბლიცისტიკამ, იტვირთა და უმთავრესად ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე პოვა ასახვა. აღნიშნული პრობლემის გააზრების დროს ისინი, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებდნენ აქცენტს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. მისი პუბლიცისტური წერილები სამეცნიერო პუბლი-

<sup>1</sup> *Акты собранные Кавказскою Археогрфическою Коммиссиею*. Под ред. **А. П. Бер-же**. Т. 2. Тифлис, 1868, გვ. 68; **ვ. დონაძე**. საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი). თბ., 1978, გვ. 15.

<sup>2</sup> **გ. გოზალიშვილი**. 1832 წლის შეთქმულება, ნაწ. 3. თბ., 1976.

<sup>3</sup> **ნ. ბარათაშვილი**. ლექსები, პოემები. თბ., 1968; **ალ. ორბელიანი**. ნაპალიონი და ანგლიის მაშინდელი მთავრობა – წიგნში: „სიტყვა მამულის ტრაპეზზედ“, თბ., 1999, გვ. 149-152. ვრცლად იხ. **მ. კალანდაძე**. ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. თბ., 2008, გვ. 31-44 და 44-55.



ცისტისის შესანიშნავი ნიმუშია. ნიკო ნიკოლაძე საკმაო ჩახედულებას იჩენს, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიაში, ისე ისტორიოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი პოლემიკა გერმანელ ისტორიკოსთან ჰაინრიხ ფონ ზიბელთან. ყველაფერი ეს იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე სიახლე იყო და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებიდან ის განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებს და შესაძლოა ცოტათი აიდიოლებს კიდევ ჟორჟ ჟაკ დანტონს. ამგვარი მიდგომა კარგად გამოხატავდა ლიბერალური ინტელიგენციის განწყობილებას.<sup>1</sup> ამიტომ, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ვ. დონაძის მოსაზრება თითქოს და „საფრანგეთის დიდი რევოლუციის შეფასების დროს ქართული საზოგადოებრივი აზრი რადიკალურ-დემოკრატიულ პოზიციებზე იდგა“.<sup>2</sup> ეს გადაჭარბებული შეიძლება იყოს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ რეალობაში ჩნდება ცნობები ნაპოლეონის მოღვაწეობაზე.<sup>3</sup> ამ მონაკვეთმა 1918 წლამდე გასტანა მის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს XIX საუკუნის 80-იან წლები, როდესაც დაარსებული იქნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციამ კიდევ უფრო ლაღად გაშალა ფრთები. გაჩნდა თარგმნილი ლიტერატურა, რომელმაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში. ეს შესამჩნევად ავსებდა იმ ხარვეზს, რომელიც ქართულ სინამდვილეში არსებობდა და ამის ნაყრუება, ვფიქრობთ, გამართლებული არ უნდა ჩანდეს: ამ მონაკვეთის შიგნით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნიშანსვეტად გვევლინება 1905-1907 წლების რევოლუცია. მან ახალი მძლავრი სტიმული მისცა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ფედერალისტური პარტიის წევრის ვ. ლორთქიფანიძის ნარკვევი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. საფრანგეთის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებას ავტორი პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობს და ის უმთავრესად ოლარის და ბლოსის წიგნებით ხელმძღვანელობს.<sup>4</sup> სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ თარგმნილი ლიტერატურის ბუმი, სწორედ, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდს ემთხვევა.<sup>5</sup> ამიტომ ეს

<sup>1</sup> **ნ. ნიკოლაძე.** რამოდენიმე სიტყვა ერთი მეტად ძველი საკითხის გამო. — *თბზულებანი*. ტ. 1. თბ., 1962, გვ. 195; **ნ. ნიკოლაძე.** ახალი საფრანგეთი. — *ჟურნ. „კრებული“*, 1, 1870, გვ. 125-126; **ვ. დონაძე.** საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხები..., გვ. 36-37; **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006, გვ. 11-15; **მ. კალანდაძე.** ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწ. 1. თბ., 2007, გვ. 267.

<sup>2</sup> **ვ. დონაძე.** საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური..., გვ. 42.

<sup>3</sup> **რ. დაუშვილი.** ევროპული საისტორიო მწერლობა XIX საუკუნის მეორე ნახევარის საქართველოში. თბ., 2003, გვ. 76.

<sup>4</sup> **ვ. ლორთქიფანიძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია, წიგნი 1. თბ., 1905, გვ. 3.

<sup>5</sup> **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული..., გვ. 16-31.

მონაკვეთი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან 1918 წლამდე აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

აღნიშნული პრობლემით დაინტერესების მეორე პერიოდი 1918 წელს დაიწყო, როდესაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. ამ დაინტერესებას მძლავრი სტიმული მისცა ორმა გარემოებამ: 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის სულის ხსენების დღეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს მონაკვეთი მართალია საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ რალაც პოზიტიურის გაკეთება მაინც მოხერხდა და ამის მიჩუმება, გვერდის ავლა, როგორც ამას საბჭოთა იდეოლოგია აკეთებდა, მართებული არ იქნებოდა. დამოუკიდებელ საქართველოში დიდი ყურადღება მიექცა მსოფლიო ისტორიის სწავლებას, პოპულარიზაციას და შესწავლას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის უგულვებელყოფა, იგნორირება, რომელმაც ფაროდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ხანაში ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსა მოკლებულია.

საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების საერთო სურათი, საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით გამრუდებული იქნა. ეს მონაკვეთი ამ პრობლემით დაინტერესების ისტორიიდან ფაქტობრივად გაქრა, გაუჩინარდა, ელიმინირებული, ამოღებული, იქნა, მივიწყების მტვერმა დაფარა. ეს შეუსაბამობა უნდა გასწორდეს და ამ მონაკვეთს უნდა დაუბრუნოთ თავისი კუთვნილი ადგილი ამ თემით დაინტერესების საკითხში. ამიტომ ეს ხანა დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქა 1918-1921 წლები პირობით ამ პრობლემატიკის დამუშავების მეორე პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ისტორიით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინა, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა იდეოლოგები, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, სადაც, ბუნებრივია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის გაშუქებას სათანადო ყურადღება ექცევა.

აღნიშნული საკითხის პოპულარიზაცია მეცნიერულ ელფერს იძენს და ასახვას პოეებს ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ჟურნალისტების და პუბლიცისტებისაგან ესტაფეტა მეცნიერებმა მიიღეს. იკვეთება ამ საკითხების პირველი სერიოზული გაშუქების კონტურები, წანამძღვრები. ამ სახელმძღვანელოებს მარტო წმინდა შემეცნებითი დატვირთვა როდი გააჩნია. ის წარმოად-

გენს აღნიშნული საკითხის გააზრების ერთ-ერთ პირველ სერიოზულ მცდელობას ქართულ რეალობაში და ისტორიოგრაფიული დატვირთვა აქვს. ეს სახელმძღვანელოები საქართველოში აღნიშნული თემატიკის ლიბერალური პოზიციებიდან გაშუქების კულმინაციად, მწვერვალად, უნდა მივიჩნიოთ.<sup>1</sup> ასეთი მიდგომა სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის საერთო მოთხოვნებს და ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა მაშინაც და ყავს დღესაც, თუმცა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად ძნელია მივიჩნიოთ და მას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.<sup>2</sup> საფიქრელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ თემატიკით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა.

საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. 1921 წ. თებერვალში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის ანექსია, ოკუპაცია. საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ბუნებრივია, ამ ფაქტმა თავისი გამოძახილი პოვა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ამიერიდან მისი განვითარება სულ სხვა გზით წარმართა. აქედან იწყება საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის მესამე პერიოდი. აღნიშნული პრობლემის შესწავლა საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკითხი არის საინტერესო, რთული და მრავალნახნაგოვანი. მისი აპოლოგეტური შეფასება, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხში ამ მემკვიდრეობის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური შეფასება საკამათო შეიძლება იყოს და სწორხაზოვნად მიგვაჩნია. საჭიროა უფრო დაბალანსებული მიდგომა. ეს უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნიდა აღნიშნულ თემაზე.

საბჭოთა საქართველოში აღნიშნული საკითხის სწავლებამ, პოპულარიზაციამ და შესწავლამ მკვეთრად გამოხატული მეცნიერული დატვირთვა შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. საკით-

---

<sup>1</sup> **დ. უზნაძე, ი. გველესიანი.** ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნე). თბ., 1919; **ს. ავალიანი.** ახალი ისტორია, (XIX საუკუნე). თბ., 1920; **თ. ჭუმბურიძე.** ახალი ისტორია ქუთაისი, 1920; **ალ. წერეთელი.** მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები. თბ., 1920.

<sup>2</sup> **მ. კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე როგორც ისტორიკოსი – ანალები, №9, 2013, გვ. 87-117; **მ. კალანდაძე.** დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე. – ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაკვეთი №12. თბ., 2013, გვ. 451-459; **მ. კალანდაძე, დ. უზნაძე** იაკობინთა ბელადებზე – ქართული დიპლომატია, წელიწდეული 16. თბ., 2013, გვ. 326-341; **მ. კალანდაძე, დ. უზნაძე** იაკობინთა დიქტატურაზე – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №4. 2013, გვ. 119-142; **მ. კალანდაძე, დ. უზნაძე** ნაპოლეონზე. – ჩვენი მწერლობა. №23, 2012, გვ. 28-32.

ხისადმი მარქსისტული მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო ცრუმეცნიერულად აღიქმებოდა და იდეენებოდა, ითრგუნებოდა. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ჩიხური გზაა. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა საბოლოო ჯამში ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო.

ქართველმა ისტორიკოსებმა აირჩიეს მეცნიერული პრობლემა და მოგვცეს მისი მარქსისტული გაშუქება. ემპირიზმის, ფაქტოლოგიის, დონეზე, პროგრესი აშკარაა და ამაზე თვალის დახუჭვა მართებული არ იქნებოდა. თუ ამ შრომებს ძალად თავსმოხსეულ მარქსისტულ დებულებებს ჩამოვაშორებთ მასში ღირებული მაინც რჩება. ესაა ამ შრომებში თავმოყრილი მდიდარი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალა, საინტერესო წყაროები რომელსაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია, ახლა მას სულ სხვა ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეთ. კონცეფტუალურად ეს შრომები დღეს უკვე მოძველებულია და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. სახელმწიფო ცდილობს ძალით მოახვიოს თავს ისტორიკოსს მისთვის სასურველი იდეოლოგია. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა კონკრეტულად რომელიმე ისტორიკოსს, არამედ იმ რეჟიმს, რომელიც აიძულებს მას შეზღუდულ ჩარჩოებში მოექცეს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბურჟუაზიულ-კლასობრივ ხასიათზე აქცენტირება და ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე ყურადღების გამახვილება, რაც შეინიშნება აკად. ევგენი ტარლეს საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე ამის ნათელი მაგალითი უნდა იყოს. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია „იაკობინოცენტრისტული“ იყო და საფრანგეთის დიდი რევოლუციის იაკობინური გააზრების მომხრედ გვევლინება. ამით მან ხარკი მოუხადა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, დიქტატს. დიდი არჩევანი არ არსებობდა. უნდა აგერჩია უარესს და ცუდს შორის. ფსონი უკანასკნელზე დადეს. ეს იმ რთულ ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი ჩანდა, რომელსაც აქვს თავისი პლუსი და მინუსი. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და სუბერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

საქართველოში ამ საკითხის სერიოზული შესწავლის ინიციატორებად ამ დარგის ფუძემდებლები, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები, პროფ. გრიგოლ ნათაძე და პროფ. ალ. ნამორაძე მოგვევლინენ. ფაქტობრივად, მათ საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ამ თემატიკის სერიოზულ მეცნიერულ სწავლებას, პოპულარიზაციას და შესწავლას. ამ პრობლემატიკის დამუშავების საქმეში მათი დამსახურება,

სწორედ, ამაში მდგომარეობდა.<sup>1</sup> მისასაღმებელი იყო აკად. ევგენი ტარლეს წიგნების „ნაპოლეონი“ და „ტალიერანი“ ქართულ ენაზე თარგმნა. გამოვიდა ნაპოლეონის ჩანაწერების პირველი ტომი.

მასწავლებლების დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელეს მათმა მოწაფეებმა. ნათქვამი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეხება პროფ. გივი კილურაძეს და პროფ. კოტე ანთაძეს. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესწავლის მწვერვალად, კულმინაციად, პროფ. გივი კილურაძის სოლიდური გამოკვლევა „საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის დროს“ მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ პროფ. გივი კილურაძის ნაშრომზე დადებითი აზრის იყო ცნობილი ისტორიკოსი პროფ. ბორის პორშნევი. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა პროფ. გ. კილურაძის ნაშრომის რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოცემა. ეს ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებების საკავშირო და საერთაშორისო აღიარება იყო. პროფ. გივი კილურაძე საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის და ისტორიოგრაფიის ნომერ პირველ სპეციალისტად გვევლინება.<sup>2</sup> მას გვერდში ამოუდგა მისი უმცროსი კოლეგა პროფ. კოტე ანთაძე. მან თავისი წვლილი შეიტანა და წინ წაწია საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია და შესწავლა.<sup>3</sup> ცოტა სხვა კუთხით შეეხო ამ თემას პროფ. ვარლამ დონაძე თავის საინტერესო ნაშრომში „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999; **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში. თბ., 2006, გვ. 44-63, 63-121; **М. Каландадзе.** Александр Георгиевич Наморадзе (1890-1958) – *Новая и новейшая история*, №4, 1998, გვ. 170-177; **М. Каландадзе.** У истоков изучения истории западной Европы в Грузии – წგნ.: **Н. Дубровский.** Труды. Тб., 2004, გვ. 3-44; **М. Kalandaze.** Die Anfänge des Studiums der mittel-alterlichen und neueren Geschichte Westropas in Georgien. – *Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens.* 23. Jahrgang 2000. SHAKER VERLAG. Aachen, გვ. 48-58.

<sup>2</sup> **კ. ანთაძე.** გივი კილურაძე ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1983; **მ. კალანდაძე.** პროფესორი გივი კილურაძე. – *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 359. თბ., 2005, გვ. 160-173; **М. Kalandadze.** Ein georgischer Erforscher der Neuen Geschichte Nesteurapas. – *Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens.* 30. Jahrgang 2007. SHAKER VERLAG. Aachen, გვ. 45-56.

<sup>3</sup> **კ. ანთაძე.** ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978. უფრო ვრცლად იხ. **მ. კალანდაძე.** პროფესორი კონსტანტინე ანთაძე. თბ., 2014, გვ. 33-86.

<sup>4</sup> ვრცლად იხ. **ვ. თვალავაძე.** ვარლამ დონაძე. თბ., 1993; **მ. კალანდაძე.** პროფესორი ვარლამ დონაძე. – *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, ნაკვეთი 4. თბ., 2008, გვ. 384-402.

ქართული ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობდა ნაპოლეონის აღმოსავლურ პოლიტიკას და საქართველოს ადგილს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა: პროფ. ილია ტაბაღუას, პროფ. შოთა ხანთაძის, პროფ. გივი კილურაძის, პროფ. არჩილ ჩხეიძის, პროფ. ირინა ნაჭყეიას, დოც. მირიან ეფრემიძის და ვიქტორ ნოზაძის შრომები. დასასრულს უნდა დავძინოთ. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ ვერ მოხერხდა ნაპოლეონზე ა. მანფრედის საინტერესო წიგნის თარგმნა ქართულ ენაზე. ეს წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა ქართულად კი არ გვაქვს. სამწუხაროა.

საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნიშანსვებად XX საუკუნის მინურული, სახელდობრ 90-იანი წლების დასაწყისი, გვევლინება. საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატის ხანა გასრულდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გაჩნდა თავისუფალი არჩევანი. აქედან იწყება საფრანგეთის დიდი რევოლუციით და ნაპოლეონის ეპოქით დაინტერესების ახალი მეოთხე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. მისი მთავარი თვისებაა ამ ეპოქის ისტორიის მარქსიზმისაგან განმეხდა. საჭიროა ამ თემების სხვაგვარად გააზრება. ამას კი დრო ჭირდება.

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება ვიფიქროთ თითქოს ამ მიმართულებით თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაფერი არ კეთდებოდეს. რალაც ნამდვილად კეთდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ გასაკეთებელი. ცხადია, მაინც ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. ყინული თანდათანობით დაიძრა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს შრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ. უახლოეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დაინტერესების კულმინაციად პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი ნაპოლეონზე და ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ საქართველოში ნაპოლეონის საზოგადოების დაარსება გვევლინება. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნი ნაპოლეონზე<sup>1</sup>. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ ნაყოფიერად იღწვის საქართველოში ნაპოლეონის საზოგადოების თავმჯდომარე პროფ. ალექსანდრე მიქაბერიძე. მან რამდენიმე საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა. საქართველოში გამოვიდა მის მიერ თარგმნილი ნაპოლეონის მამლუქის რუსტამის მემუარები. უყურადღებოდ, არც საფრანგეთის დიდი რევოლუციის თემატიკა რჩება. დიდი ადგილი ეთმობა აღნიშნული პრობლემის შესწავლას საქართველოში ეს საკითხი –

<sup>1</sup> დ. ცისკარიშვილი. ნაპოლეონი, წ. 1. თბ., 1994, წ. 2. თბ., 1997. ვრცლად იხ. მ. კალანდაძე. წიგნი ნაპოლეონის შესახებ. – ჟურნალი: „კლდეკარი“, №1. 2000, გვ. 205-220.

ჯერ არ ყოფილა ისტორიოგრაფიაში სათანადოდ დამუშავებული და ახალია. ამიტომ მისი კვლევა პერსპექტიული ჩანს.

ამრიგად, აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება:

1. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციით და ნაპოლეონის ეპოქით დაინტერესების პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინეს, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ, საბჭოთა ეპოქაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოში 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. დამოუკიდებელ საქართველოში აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს სწორი კურსი უნდა ქონოდათ აღებული და უმთავრესად აქცენტს აკეთებდნენ პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ამგვარი მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ევროპული, პირველ რიგში რუსული ისტორიოგრაფიის კეთილისმყოფელი გავლენის შედეგი უნდა იყოს. მას ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა მაშინაც და ყავს დღესაც. ამ თვალსაზრისს აქვს მოქალაქეობის უფლება და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.
2. აღნიშნული პრობლემის შესწავლა საქართველოში სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა ეპოქაში გვიმტკიცებდნენ და მან, ვფიქრობთ, საინტერესო ევოლუცია, მეტამორფოზი, განიცადა თავისუფალი აზროვნებიდან, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებებიდან მარქსიზმისაკენ და მარქსიზმიდან ისევ თავისუფალი აზროვნებისკენ, ლიბერალური ღირებულებისაკენ. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს გზა სწორხაზოვნად კი არაა, ზიგზაგისებურად, სპირალურად, უნდა წარმოვიდგინოთ. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი უნდა იყოს. ამ პრობლემის გაშუქების დროს ქართულ ისტორიოგრაფიას, სწორი გზით ვითარდებოდა და თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, საფიქრელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამ თემატიკის დამუშავებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.

**TAMAR ANTADZE, MERAB KALANDADZE**

**THE KEY POINTS IN THE STUDY OF THE FRENCH REVOLUTION  
AND NAPOLEONIC ERA IN GEORGIA**

History of studying the French Revolution and Napoleonic era in Georgia has a great tradition. The key points in the study are the following:

The beginning of the 19<sup>th</sup> century is the period, when we have the first sporadic notes on the subject. Therefore, the period from the beginning of the 19<sup>th</sup> century till 1860's can be considered as the prologue of the future interest in the problem. From 1860's we have much more interest, which expresses itself in the local newspapers. It was based on the progressive and liberal values. This period continues until 1918 and can be divided into three subperiods.

The second period has strict chronological frames. In 1918-1921, when Georgia was an independent state, the popularization of history of the French Revolution and Napoleonic era became more scholarly issue. The first steps in that direction were made in that time. The best examples are the first textbooks of Modern history, which were published in 1918-1921.

The situation had changed drastically after the sovietisation of Georgia. The problem is studied by several scholars, but it cannot be considered as a continuation of the previous liberal studies. The study of the problem was one-sided and proceeded exclusively in the ideology of Marxism-Leninism.

After the break-up of the Soviet Union the fourth period of study has begun and it continues today. The works about the problem are the first steps on a way of returning towards the normal scholarly research.



**ТАМАР АНТАДЗЕ, МЕРАБ КАЛАНДАДЗЕ**

## **КЛЮЧЕВЫЕ ВОПРОСЫ ИЗУЧЕНИЯ ВЕЛИКОЙ ФРАНЦУЗСКОЙ РЕВОЛЮЦИИ И ЭПОХИ НАПОЛЕОНА В ГРУЗИИ**

История изучения Великой Французской Революции и эпохи Наполеона имеет большую традицию в Грузии. В этом процессе можно выделить следующие ключевые этапы:

Первые спорадические заметки относительно данного вопроса появились уже в начале XIX века. Таким образом, период от начала до 60-х годов XIX века можно считать прологом изучения данной проблемы. Начиная с 60-х годов XIX века заинтересованность стала повышаться, что выразилось в журналистских и публицистических очерках, которые основывались на прогрессивно-либеральных ценностях. Этот период продолжался до 1918 года и может быть разделён на три субпериода.

Второй период имеет чёткие хронологические рамки – 1918-1921 годы. Во время независимости Грузии началось научное изучение данного вопроса, что, в первую очередь, отображают тогдашние учебники по Новой истории. Ситуация резко изменилась после советизации Грузии. Проблема изучалась на научном уровне, но этот процесс оказался односторонним и протекал исключительно в русле идеологии марксизма-ленинизма.

После распада СССР, начался четвёртый период изучения, который продолжается по сей день. Труды в этом направлении представляют собой первые шаги к возвращению к нормальному научному исследованию Великой французской революции и эпохи Наполеона.

## მერაბ კალანდაძე

### პროფესორი გივი კილურაძე და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკითხები

ქართული საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს პროფ. გივი კილურაძეს, როგორც დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ ყოფილ საბჭოთა კავშირში. ეს ქართული ისტორიოგრაფიის დიდი აღიარება იყო.<sup>1</sup>

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი დამსახურება ამით არ ამოიწურება. პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის კიდევ ერთი პატარა ნახნაგია, რომელიც დღემდე სრულიად შეუსწავლელი იყო და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მასზე ორიოდ სიტყვა გვეთქვა. ეს მას სულ სხვა კუთხით წარმოაჩენს. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზატორს. ის იყო ახალი ისტორიის არა მარტო ჩინებული მკვლევარი, არამედ კიდევ უფრო კარგი პოპულარიზატორი. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ჩრდილში არ უნდა მოექცეს. ეს სწორი არ იქნება.

როგორ უნდა შევაფასოთ ეს მემკვიდრეობა? უწინარესად საჭიროა სწორი კრიტერიუმი შევიმუშავოთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი გადასახედიდან ამ შრომების განსჯა იოლი გზით სიარული იქნებოდა და სწორხაზოვნად მიგვაჩნია. საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ მეცნიერული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. პროფ. გივი კილურაძის შემოქმედება ამის კიდევ ერთი მკაფიო ნიმუშია. მან აიღო მეცნიერული საკითხი და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. ეს იმ რთული პოლიტიკური სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ამ გზით ძალიან ბევრი მიდიოდა. ფართო არჩევანი არ არსებობდა. განსხვავებული აზრი იდევნებოდა, იზღუდებოდა. არჩე-

<sup>1</sup> კ. ანთაძე. გივი კილურაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1983; მ. კალანდაძე. პროფესორი გივი კილურაძე. – კრებული, მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი. თბ., 1998; მ. კალანდაძე. პროფ. გივი კილურაძე. – თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 359. თბ., 2005; M. Kalandadze. Ein georgischer Erforscher der Neuen Geschichte Westeuropas. – *Georgica*. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 30 Jahrgang 2007. SHAKER VERLAG. Aachen.

ვანი იყო უარესსა და ცუდს. შორის. არჩევანი ამ უკანასკნელზე გაკეთდა. იმ პოლიტიკურ ვითარებაში ეს იყო სწორი ნაბიჯი. ამიტომ ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ასე უფრო ადეკვატური იქნება.<sup>1</sup>

პროფ. გივი კილურაძე არასოდეს არ ყოფილა ვინრო ემპირიკოსი, ფაქტოლოგი, ისტორიკოსი. ის ფართო დიაპაზონის მკვლევარი ისტორიკოსი გახლდათ, რომელსაც ემპირიასთან ერთად, ძალზედ იზიდავდა ისტორიის თეორიული საკითხები, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ისტორიოგრაფიული.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით პროფ. გივი კილურაძის დაინტერესების პლუსად საკითხისადმი ფართო მიდგომა მიგვაჩნია. მან თავისი წვლილი შეიტანა აშშ-ს ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის და ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ ეს დაინტერესება თავისი ასახვას, უმთავრესად, სასწავლო ლიტერატურაში პოვებს. სახელდობრ, ახალი ისტორიის ქრესტომათიაში და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებში.

დავინწყოთ ახალი ისტორიის ქრესტომათიით. ეს საშუალებას მოგვცემს გავაშუქოთ აშშ-ს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში პროფ. გივი კილურაძის წვლილი. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დაინტერესება დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხებით. ეს იყო სწორი ნაბიჯი. პირველწყაროების კარგად ცოდნა სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაზე და მისი მეცნიერული შესწავლის და პოპულარიზაციის საიმედო საფუძველია.

ახალი ისტორიის ქრესტომათიაში, ბუნებრივია, დიდი ყურადღება ეთმობა დამოუკიდებლობისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახ-

---

<sup>1</sup> **მ. კალანდაძე.** დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1999; **მ. კალანდაძე.** პროფ. უშანგი სიდამონიძე. თბ., 2004; **მ. კალანდაძე.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006; **М. Каландадзе.** Александр Георгиевич Наморадзе (1890-1958) – *Новая и новейшая история*, №4, 1998; **М. Каландадзе.** У истоков изучения истории Западной Европы в Грузии. – *Вгн.: Н. Дубровский.* Труды. Тб., 2004; **М. Kalandadze.** Die Anfänge des Studiums der Mittelalterlichen und neueren Geschichte Westeuropas in Georgien. – *Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens.* 23 Jahrgang 2000. SHAKER VERLAG. Aachen; **М. Kalandadze.** Uschangi Sidamonidze – ein Opfer des totalitären Regimes. – *Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens.* 28 Jahrgang 2005. SHAKER VERLAG, Aachen.

აღშენების ბრძოლის ამსახველი პირველწყაროების პუბლიკაციას. ეს ძალიან კარგია. ამ პრობლემაზე არსებული წყაროების ქართულ ენაზე პუბლიკაციას თავისი შემეცნებითი და მეცნიერული დატვირთა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი სტუდენტებს, დაეხმარება ამ მოვლენაზე საერთო წარმოდგენის შექმნაში. ისინი გააცნობიერებდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზეზებს, მსვლელობას, მის შედეგებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე არსებული წყაროებით ქართული ისტორიოგრაფია არც დღეს და არც მაშინ განებივრებული არ ყოფილა, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება. გადაიდგა პირველი ნაბიჯი ამ ხარვეზის შევსების გზაზე. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ეს გარკვეული წინსვლა იყო.

ქრესტომათიაში განხილულია შემდეგი თემები: მარქსიზმის კლასიკოსები ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისა და აშშ შექმნის შესახებ. ბრიტანეთის პოლიტიკა კოლონიებში და დამოუკიდებლობისათვის ომის მიზეზები. ოპოზიციის ზრდა. რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა. დამოუკიდებლობისათვის ომი (1776-1783). დანიელ შეისას აჯანყება (1786). აშშ შექმნა. კონსტიტუციის მიღება.<sup>1</sup> მან აირჩია მეცნიერული საკითხი და მარქსისტულ აპკში გაახვია. თუ მას მარქსისტული გარესამოსს შემოვაცლით, მასში რაციონალური მარცვალი აუცილებლად დარჩება და ეს უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია დღესაც საინტერესოა და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია, ხოლო მარქსისტული გაშუქება ძალად თავსმოხვეულია. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია დანიელ შეისას აჯანყების მაღალი შეფასება.<sup>2</sup> სინამდვილეში მას არ ჰქონია ასეთი დიდი მნიშვნელობა.

ქრესტომათიაში შეგროვებული წყაროები საინტერესოა და საერთო წარმოდგენას შეგვიქმნის ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპებზე, იმ ორიენტირებზე, რომელზედაც აქცენტს აკეთებდა ევროპულ-ამერიკული საზოგადოება ჯერ კიდევ ახალი დროის გარიჟრაჟზე, მე-18 საუკუნის მიწურულს. ის კარგადაა ჩამოყალიბებული 1776 წლის 4 ივლისს მიღებულ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში. „ყველა ადამიანი შექმნილია, როგორც თანასწორი და ყველა მათგანი გამჩენმა აღჭურვა ხელშეუვალი უფლებებით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ხალხთა შორის შექმნილია მთავრობები, რომლებიც სამართლიანი ხელისუფლებით აღჭურვილნი არიან მართულთა თანხმობით. თუკი მმართველობის არსებული ფორმა

<sup>1</sup> ქრესტომათია ახალ ისტორიაში. გ. კილურაძის და მ. მამფორიას რედაქციით. ნან. პირველი. თბ., 1979, გვ. 203-242.

<sup>2</sup> ქრესტომათია ახალ ისტორიაში, გვ. 221-222.

მათი (ხალხის) მიზნებისათვის დამლუპველი ხდება, მაშინ ხალხს უფლება აქვს შეცვალოს ან გაუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა, დაფუძნებული იმ პრინციპებზე და ხელისუფლების ისეთ ორგანიზაციაზე, რომელსაც ხალხის აზრით ყველაზე უფრო მეტად შეუძლია უზრუნველყო მისი უსაფრთხოება და ბედნიერება“.<sup>1</sup> ვფიქრობთ, ეს იყო მთავარი. მკითხველს მეტად შეფარვით, ძალიან ფრთხილად, ეზოპეს ენით, მიაწვდიან, თუ რაზე უნდა გაემახვილებინათ ყურადღება.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ვერ მოხერხდა ქრესტომათიის მეორე მონაკვეთის გამოცემა, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ამსახველი წყაროები. ეს არის მეტად საინტერესო პერიოდი 1787 წლიდან 1865 წლამდე. მნიშვნელოვანწილად, ამითაა გამოწვეული, რომ ამ დარგში ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის საკითხებით შემოიფარგლება.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში. აშშ-ს ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საკითხში მისი ერთ-ერთი დამსახურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში პროფ. გივი კილურაძის კიდევ ერთ ნაწილად აშშ-ს ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით დაინტერესება გვევლინება. მან თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული აზროვნების, ისტორიოგრაფიის, პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი წიგნის „ახალი ისტორია“, პირველი ნაწილი, სადაც ამ საკითხის განხილვას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.<sup>2</sup> მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მოგვცა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული აზროვნების, ისტორიოგრაფიის, განვითარების საერთო სურათი. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საინტერესო ისტორიოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფიაზე, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო მოთხოვნებს. არც მანამდე და არც მას შემდეგ ქართული ისტორიოგრაფია ამ სახის შრომებით ამერიკულ ისტორიოგრაფიაზე განებივრებული არ ყოფილა. გადაიდგა პირველი ნაბიჯი ამ ხარვეზის შევსების გზაზე. ეს მისასალმებელი იყო. ამ მონაკვეთის შემეცნებითი და მეცნიერული მნიშვნელობა, სწორედ ამაში

<sup>1</sup> ქრესტომათია ახალ ისტორიაში, გვ. 217.

<sup>2</sup> გ. კილურაძე, ახალი ისტორია. ნაწილი 1. თბ., 1970, გვ. 159-195, 213-237.

უნდა მდგომარეობდეს.

ეს მონაკვეთი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი:

1. ამერიკელი განმანათლებლების ისტორიული შეხედულებები;
2. XIX ს. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფია;
3. ისტორიული აზროვნება აშშ-ში XX ს. I ნახევარში;
4. II მსოფლიო ომის შემდგომი ამერიკული ისტორიოგრაფია.

პროფ. გივი კილურაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მიღწევების გათვალისწინებით მოახერხა ერთიან, მწყობრ, სისტემად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიენოდებინა ქართველი მკითხველისათვის, ისტორიკოსი სტუდენტისათვის რთული კალეიდოსკოპი იმ მრავალრიცხოვანი მიმართულებების, სკოლების და გამოჩენილი ამერიკელი ისტორიკოსთა ნააზრევისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამერიკის ახალი ისტორიის შესწავლის დროს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიოგრაფიაში.

თუ ამ მსჯელობას მარქსისტულ გარესამოსს ჩამოვაცლით რაციონალური მარცვალის უეჭველად რჩება და, სწორედ, ეს ფასეული უნდა წამოვნიოთ წინ. პირველ რიგში, ეს არის მისი ანალიტიკური აზროვნება, ღრმა ერუდიცია, მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება, გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი. ის საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებს XIX-XX საუკუნეების ამერიკულ ისტორიოგრაფიაში. კარგად იცნობს მათ შრომებს და სწორედ გადმოგვცემს მათ შეხედულებებს. მაგრამ ინტერპრეტაციაში შეზღუდულია. ის ხარკს უხდის ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების პოპულარიზაციის საქმეში. განსაკუთრებით მისასალმებლად მიგვაჩნია მისი დაინტერესება თეორიული საკითხებით, რომლის შესახებაც ქართულ ენაზე დღემდე თითქმის არაფერი დანერვილა. ამ ხარვეზის გამოსწორების გზაზე პირველი ნაბიჯი, სწორედ, პროფ. გივი კილურაძემ გადადგა. მის მეცნიერულ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი ღირებულება განსაზღვრავს.

პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის საქმეში. ეს ამ სფეროში მისი კიდევ ერთი დამსახურება იყო.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი დაინტერესება ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნით. ეს საკითხებით ბუნებრივია და ამ ისტორიული მოვლენების მნიშვნელობით გახლდათ განპირობებული. საძირკველი ჩაეყარა ახალ სახელმწიფოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა და დიდი როლი შეასრულა. საკ-

მარისია აღინიშნოს, რომ დროის ძალიან მცირე მონაკვეთში ის ზესახელმწიფოდ მოგვევლინა.

თემა არის აქტუალური და საინტერესო. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ დაწერილა, მაშინ, ასეთი ჩანაფიქრი საკმაოდ ადვილი გასაგები გახდება. ეს იყო სწორი ნაბიჯი. მას უნდოდა თავისი წვლილი შეეტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ხარვეზის შევსების საქმეში.

უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემატიკით დაინტერესება ჩანაფიქრის ფარგლებს არ გასცილებია და მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული ახალი ისტორიის ქრესტომათიაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია მას განზრახული ჰქონდა დაენერა სამეცნიერო პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისთვის ომზე. ქრესტომათიაში მან გამოაქვეყნა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი წყაროები. ეს დასაწყისი იყო. ამას ექნებოდა გაგრძელება. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი მისი ნაადრევი გარდაცვალების გამო განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ის რეალურად არსებობდა და, სწორედ, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მისი ხაზგასმა.

ქრესტომათიაში გამოქვეყნებული წყაროები ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. მან აღნიშნული საკითხის შესწავლის შესავალად, უფერტიურად, გაიჟღერა. ამას უნდა მოყოლოდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნაზე, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მისი უეცარი გარდაცვალების გამო, ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

მაშ ასე, ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ასეთი სურათი იკვეთება. მან თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში. ეს პირველი ნაბიჯი იყო. ამას უნდა მოყოლოდა სამეცნიერო პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, მაგრამ ამ კარგ ჩანაფიქრს განუხორციელება არ ეწერა.

მეორე სერიოზული თემა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაში დაამუშავა პროფ. გივი კილურაძემ, ეს გახლდათ აშშ-ს ისტორია მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ქრონოლოგიურად ის მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ერთ მნიშვნელოვან და მეტად საინტერესო მონაკვეთს 1870 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე 1918 წელს. ეს ისტორიული ნარკვევი მან დაწერა ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსათვის და სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა. ფაქტობრივად, ეს გახლავთ, საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე

1870-1918 წლებში. ამ საკითხზე ქართულ ენაზე მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება და ეს ნარკვევი შეძლებისდაგვარად ცდილობს შეავსოს ეს ხარვეზი და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მისი მნიშვნელობა მის შემეცნებით დატვირთვაში მდგომარეობდა.

სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი სამ ნაწილადაა დაყოფილი: ამერიკის შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1870-1898), ამერიკის შეერთებული შტატები 1898-1914 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში.<sup>1</sup>

მან მოგვცა აშშ-ს ისტორიის ამ მეტად საინტერესო ეპოქის შიდა პერიოდიზაცია. ამ ეპოქის აშშ-ს ისტორიის შიგნით მიჯნად აღებულია 1898 წელი, კონკრეტულად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის ომი. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამერიდან აშშ აქტიურად ჩაება მსოფლიო პოლიტიკაში.<sup>2</sup>

საინტერესოა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის შინაარსი. ყურადღების კონცენტრაცია ხდება სამი დიდი პრობლემის ირგვლივ: ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები, ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო პოლიტიკა, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა. სახელმძღვანელოში სოციალ-ეკონომიკური თემატიკის დომინანტი პოლიტიკური ისტორიაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არყოფილა და ის, პირველ ყოვლისა, ძალად თავსამოხვეული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისადმი ხარკის მოხდად გვევლინება.

სახელმძღვანელოში ვრცლად არის განხილული ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია პირველი მსოფლიო ომის დროს 1914-1918 წლებში. ომის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტი მხოლოდ მოჩვენებითი იყო და რეალურად ის ანტანტას ემხრობოდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აშშ-ს მოკავშირეობა ანტანტის წარმატების საიმედო საწინდარი გახლდათ. ეს ალიანსი, ცხადია, ცარიულ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მრავალი გარემოებით იყო გამონვეული. მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებით. ის ფინანსურად და ეკონომიკურად ინგლისთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. გერმანიის გამარჯვების პერსპექტივა შეერთებული შტატებისთვის ნაკლებად ხელსაყრელი იყო და მის გეგმებში არ შედიოდა. ერთი

<sup>1</sup> **გ. კილურაძე.** ამერიკის შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (1870-1898.) – *ახალი ისტორია*. წიგნი 1. (1870-1900). თბ., 1973, გვ. 199-240; **გ. კილურაძე.** ამერიკის შეერთებული შტატები 1898-1914 წლებში. – *ახალი ისტორია*. წიგნი მეორე, 1900-1918. თბ., 1975, გვ. 112-151; **გ. კილურაძე.** ამერიკის შეერთებული შტატები პირველი მსოფლიო ომის წლებში. – *ახალი ისტორია*. წიგნი მეორე, 1900-1918. თბ., 1975, გვ. 426-447.

<sup>2</sup> *ახალი ისტორია*. წიგნი პირველი. თბ., 1973, გვ. 240; **მ. კალანდაძე.** ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პერიოდიზაცია. – *კლიო*, №25. თბ., 2005.



ქვეყნის გამარჯვება მათ არ აწყობდა, რადგან აშშ-ს საგარეო პოლიტიკა დიდ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობებზე გახლდათ გათვლილი.<sup>1</sup> ის ამოცანები, რომლებიც ომში ჩაბმით, აშშ-მ დაისახა, გეგმაზომიერად სრულდებოდა. 1918 წელმა კიდევ უფრო განამტკიცა აშშ-ს პოზიციები, ხოლო ომის დამთავრებისას იგი აღწევს მიზანს. აშშ მთავარი არბიტრის როლში გამოდის და მსოფლიოს თავის სურვილებს უკარნახებს.<sup>2</sup>

თუ ამ თემებზე მსჯელობას ძალად თავსმოხვეულ მარქსისტულ-ლენინურ გარესამოსს ჩამოვაცლით, მაშინ რეალურად ხელში შეგვრჩება საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე 1870-1918 წლებში, რომელიც ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი სტუდენტებს, შეძლებისდაგვარად დაეხმარება საერთო წარმოდგენა შეიქმნან ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ამ მონაკვეთზე. მისი შემეცნებითი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მაშ ასე, პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში პროფ. გ. კილურაძის ღვაწლზე სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა რომ შეგვექმნას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ის, რაც მან დაწერა, არამედ ის, რისი გაკეთება მას განზრახული, ჩაფიქრებული, ჰქონდა. ეს ასპექტი, ვფიქრობთ, საინტერესოა და ამ სფეროში მის მიერ განუული შრომის ადეკვატური სურათის შექმნაში დაგვეხმარებოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, რომ მან ვერ მოასწრო დაწერა ჩაფიქრებული სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაზე. ეს შეავსებდა იმ თეთრ ლაქას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს. ხელსაყრელი შანსი დაიკარგა. მან დაწერა საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ისტორიაზე 1870-1918 წლებში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის შენაძენი იყო. მან აიღო სერიოზული მეცნიერული საკითხი და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“.

ამ თემაზე საუბარს, ალბათ, ამით დავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება, რომელსაც, ჩვენი აზრით, თავისი მნიშვნელობა აქვს. პროფ. გივი კილურაძის წვლილი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში ამით არ ამოიწურება და აქ წერტილის დასმა ნაადრევი იქნებოდა. აი, რა გვაქვს მხედველობაში. პროფ. გივი კილურაძე მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის მთავარ მოთავედ. კათედრას არ ყავდა კვალიფიცირებული ამერიკანისტი. ამიტომ მან 1976 წელს მოსკოვში მიავლინა ახალგაზრდა ისტორიკოსი

<sup>1</sup> ახალი ისტორია. წიგნი მეორე. თბ., 1975, გვ. 437-439.

<sup>2</sup> ახალი ისტორია. წიგნი მეორე. თბ., 1975, გვ. 446.

ვასილ კაჭარავა, რომელიც პროფ. ნიკოლოზ სივარჯიას ხელმძღვანელობით, დასპეციალდა ამერიკის შეერთებული შტატების უახლეს ისტორიაში. დღეს უკვე უნივერსიტეტში გვაქვს ამერიკის შესწავლის ცენტრი, რომელიც ფართო მეცნიერულ და შემეცნებით საქმიანობას ეწევა და პოპულარობას უწევს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლას, არამედ სხვა დარგებსაც. მთლიანად ამერიკანისტიკას. არადა ყველაფერი ასე უბრალოდ იწყებოდა. პროფ. გ. კილურაძის ეს ნაბიჯი, ჩვენი აზრით, ამ სფეროში მის კიდევ ერთ დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამრიგად, პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, რაც უმთავრესად ასახვას პოეზებს ახალი ისტორიის ქრესტომათიაში და სახელმძღვანელოებში. ეს იმუამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მის მეცნიერულ მნიშვნელობას განაპირობებდა მისი შემეცნებითი დატვირთვა. ამ საკითხებზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით არა-თუ მაშინ, დღესაც არა ვართ განებივრებული.

საქართველოში დიდი ხნის მანძილზე არ გვყავდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის კვალიფიციურებული სპეციალისტი, ამერიკანისტი. ამიტომ ამ ვაკუუმს ხშირად ახალი ისტორიის სპეციალისტები ავსებდნენ. პროფ. ალექსანდრე ნამორაძის და პროფ. გივი კილურაძის მეცნიერული მემკვიდრეობა, ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი კარგი ნიმუშია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო კარგი ცხოვრებით გამოწვეული და მეტად ნიშანდობლივი გახლდათ ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

პროფ. გივი კილურაძის მთავარ დამსახურებად ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის პოპულარიზაციის რამდენიმე მიმართულებით წარმართვა მიგვაჩნია. ასეთ მრავალფეროვნება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ერუდიციას, ფართო განათლებას.

1. პროფ. გივი კილურაძემ თავისი წვლილი შეიტანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, წყაროთმცოდნეობის პოპულარიზაციის საქმეში. ეს კარგად აისახა ახალი ისტორიის ქრესტომათიაში.
2. განსაკუთრებით მისასალმებელი უნდა იყოს პროფ. გივი კილურაძის დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხებით. ამ თემის განხილვას დიდი ადგილი აქვს დათმობილი მის სახელმძღვანელოს „ახალი ისტორიის“ პირველ ნაწილში. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის თეორიულ საკითხებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იწერებოდა და თუ დღეს ჩვენ მშობლიურ ენაზე აშშ-ს ისტორიის წყაროთმ-

ცოდნეობაზე და ისტორიოგრაფიაზე რაიმე გაგვაჩნია, ამაში თავისი წვლილი, სწორედ, პროფ. გივი კილურაძეს მიუძღვის. ქართულ რეალობაში ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი მან გადადგა.

3. გ. პროფ. გ. კილურაძემ თავისი სიტყვა თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ემპირიული, ფაქტოლოგიური, ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მის დაინტერესება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიით. ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. ახალი ისტორიის ქრესტომათიაში გამოქვეყნდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამსახველი მასალა, წყაროები, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ჩაფიქრებული სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის დაწერა ვერ მოასწრო. მან ახალი ისტორიის მეორე პერიოდის სახელმძღვანელოში დაწერა საინტერესო ისტორიული ნარკვევი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე 1870-1918 წლებში.
4. და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პროფ. გივი კილურაძე მოგვევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლის მეცნიერულ რელსებზე გადაყვანის მთავარ მოთავედ და ინიციატორად, რაც, ჩვენი აზრით, ამ დარგში მის კიდევ ერთ დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსის, ვასილ კაჭარავას თანადგომა გვაქვს მხედველობაში.

## **MERAB KALANDADZE**

### **PROFESSOR GIVI KIGHURADZE ON THE ISSUES OF THE U.S. HISTORY**

Prof. Givi Kighuradze has made his contribution in the popularization of the US history in Georgia. He was working in several directions. Prof. Givi Kighuradze did not confine himself to the popularization of empirical history, and he paid attention to the issues of source studies and historiography of the USA. It is most significant that he was interested in the theoretical issues, which practically are not covered in Georgia even today. It was Prof. Givi Kighuradze, who made the first steps in that direction. He chose significant problem and studied it from the Marxist viewpoint. The popularization of the US history became scholarly issue, but this process was one-sided and proceeded exclusively in the ideology of Marxism-Leninism. "This was our misfortune, not our crime."

## **МЕРАБ КАЛАНДАДЗЕ**

### **ПРОФЕССОР ГИВИ КИГУРАДЗЕ О ВОПРОСАХ НОВОЙ ИСТОРИИ США**

Проф. Гиви Кигурадзе внёс свой вклад в дело популяризации новой истории Соединенных Штатов Америки. Он работал в нескольких направлениях. Проф. Гиви Кигурадзе не ограничился популяризацией только эмпирической истории и большое внимание уделил вопросам источниковедения и историографии истории США. Особенно важным является его заинтересованность теоретическими вопросами, которых в Грузии сегодня почти никто не касается. Именно проф. Гиви Кигурадзе сделал первые шаги в этом направлении. Он выбрал важную проблему и изучил её с марксистской точки зрения. Популяризация истории США приобрела научный характер, но этот процесс оказался однобоким и протекал исключительно в русле идеологии марксизма-ленинизма. «Это было нашим несчастьем, а не преступлением».

## ზაალ გოგენია

### „ოპარაცია ნიკოლაი“ და ანდრე ნინის საქმე

1936 წელს, სტალინის მითითებით, ესპანეთში დაწყებული ანტიტროცკისტული კამპანიის უშუალო მსხვერპლი გახდა კატალონიაში მოქმედი მარქისტული ერთიანობის მუშათა პარტია „პოუმი“ და მისი ლიდერი ანდრე ნინი.

საბჭოთა მემუარულ და სამეცნიერო ლიტერატურაში „პოუმი“ ცალსახად მიიჩნეოდა ტროცკისტულ ორგანიზაციად, თუმცა თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში რუსმა მეცნიერი მ. მეშჩერიაკოვი, რომელმაც გაანალიზა პარტიის პროგრამული დოკუმენტები, ხელმძღვანელი პირების სტატიები და სიტყვები, მივიდა დასავლურ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის წინ მიღებულ დასკვნამდე – „არ არის საფუძველი ეს პარტია მივიჩნიოთ ტროცკისტულად“ – და დაასახიათა ის მემარცხენე ექსტრემისტულ ორგანიზაციას.<sup>1</sup>

თვითონ ლევ ტროცკი პოუმის და მისი ლიდერის შესახებ წერდა: „ნინს უწოდებენ „ტროცკისტს“, /რომელიც/ სრულიად საფუძვლიანად აპროტესტებდა ამას. როგორც მაურინის, ისე ნინის ხელმძღვანელობისას, პოუმი მეოთხე ინტერნაციონალისადმი მტრულად იყო განწყობილი, მართალია, 1931-33 განმავლობაში ნინი, რომელიც მაშინ არ იყო პოუმის წევრი, ჩემთან მეგობრულ მიმონერას აწარმოებდა, მაგრამ უკვე 1933 წლის დასაწყისიდან უთანხმოებამ პრინციპულ საკითხებზე ჩვენს შორის სრული განხეთქილება გამოიწვია. ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩვენ ვცვლიდით მხოლოდ პოლემიკურ სტატიებს. პოუმმა გარიცხა ტროცკისტები თავისი რიგებიდან. „გპუ“ ტროცკისტებს უწოდებს ყველას, ვინც იმყოფება ოპოზიციაში საბჭოთა ბიუროკრატიათან. ეს ადვილებს სისხლიან ანგარიშსწორებას“.<sup>2</sup>

სტალინისთვის პოუმი და მისი ლიდერი მიუღებელი იყო და ამის ბევრი მიზეზი არსებობდა. პარტიის ბეჭდური ორგანოები გამოირჩეოდნენ მწვავე ანტისაბჭოთა კამპანიით, იბეჭდებოდა შემდეგი ტიპის ტექსტები: „ესპანელო მუშებო! ნუ ენდობით სსრკ-ს დახმარებას, კარგად დაფიქრდით ამ ახლადგამომცხვარი მეგობრების ნამდვილ მიზნებზე“

<sup>1</sup> М. Мещеряков. Коммунистическая партия Испании и Коминтерн. – *Новая и новейшая история*, №5, 1991, გვ. 10-26.

<sup>2</sup> Л. Троцкий. Убийство Андрея Нина агентами ГПУ. (Перевод с французского). – *Бюллетень оппозиции (большевиков-ленинцев)*, N58-59, (<http://web.mit.edu/fjk/www/FI/BO/BO-58.shtml>).

და ა.შ. *“La Batalla”*-მ გააკრიტიკა მოსკოვის სასამართლო პროცესები „ტროცკის ტერმინოლოგიით“ და განაცხადა, რომ ბოლშევიკური წყობა სსრ კავშირში გადაიზარდა „შხამიანი დიქტატორის ბიუროკრატიულ რეჟიმში“.<sup>1</sup>

საბჭოთა ტერორს გზა გაუხსნა 1937 წ. მაისის მოვლენებმა ბარსელონაში. დაიგეგმა „ოპერაცია ნიკოლაი“, მიმართული „პოუმის“ და ანდრე ნინის წინააღმდეგ, რასაც მისი ფიზიკური განადგურება მოჰყვა. ამ მოვლენებიდან 78 წელი გავიდა, თუმცა საკითხი დღესაც პოლემიკის საგანია და აშკარად სცდება ისტორიოგრაფიული ინტესების ჩარჩოებს. სამოქალაქო ომის დროს ნინის გაუჩინარებაზე უამრავი ვერსია გამოითქვა, თუმცა ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ იგი მოკლული იყო სტალინის აგენტების მიერ. ესპანეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა მოსკოვში შემუშავებულ „ოფიციალურ ვერსიას“, რომლის თანახმადაც ნინი, იყო რა მეხუთე კოლონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და საერთაშორისო ფაშიზმის მსახური, გაიქცა სალამანკაში ან ბერლინში. ბოლო პერიოდში საკითხი კვლავ აქტუალური გახდა, როცა 2008 წ. მაისის დასაწყისში გაზეთმა *“ABC”* გამოაქვეყნა ცნობა ალკალა დე ენარესში სამოქალაქო ომის დროინდელი საერთო საფლავის აღმოჩენის შესახებ. აღმოჩენილ იქნა ძვლები, რომელთა შორის შესაძლოა ყოფილიყო ნინის ცხედრის ნაწილებიც.<sup>2</sup>

როგორც ითქვა, სამოქალაქო ომის პერიოდში თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი ნინის ბედთან დაკავშირებით. მართლაც, როცა 1937 წ. ივნისში ნინი ვერ მოიძებნა ვერცერთ ოფიციალურ იზოლატორში და რომლის შესახებ ხელისუფლებიდან არავის შეეძლო რამის ახსნა, მისი პარტიული მეგობრები დარწმუნებული იყვნენ ლიდერის მკვლელობაში თუმცა მყარი მტკიცებულებები არ ჰქონდათ. პოუმის იატაკქვეშა ჟურნალები *“La Batalla”* და *“Juventud Obrera”* იმთავითვე აცხადებდნენ ამას ივლისის თვეში. ასევე მუშათა მოძრაობის ისეთმა გამორჩეულმა ფიგურებმა, როგორებიც იყვნენ ვიქტორ სერუი, ფედერიკა მონტსენი, ან ლევ ტროცკი, 1937 წ. ზაფხულში გამოაცხადეს კომუნისტების მიერ ნინის მკვლელობის შესახებ და დაადანაშაულეს საბჭოთა ხელმძღვანელობა.<sup>3</sup>

ლ. ტროცკის სიტყვებით: „როცა ანდრე ნინი დააპატიმრეს ბარსელონაში, უმცირესი ეჭვიც არ გაჩენილა იმისა, რომ „გპუ“-ს აგენტები მას ცოცხალს არ გამოუშვებდნენ. სტალინის ზრახვები აშკარად გამ-

<sup>1</sup> **М. Новиков.** СССР, Коминтерн и гражданская война в испании. Т. 2. Ярославль, 1995, გვ. 92.

<sup>2</sup> **Paloma Cervilla.** Defensa ocultó un mes el hallazgo de la fosa común en Alcalá de Henares. [http://www.abc.es/hemeroteca/historico-06-03-2008/abc/Nacional/defensa-oculto-un-mes-el-hallazgo-de-la-fosa-comun-en-alcala-de-henares\\_1641700269773.html](http://www.abc.es/hemeroteca/historico-06-03-2008/abc/Nacional/defensa-oculto-un-mes-el-hallazgo-de-la-fosa-comun-en-alcala-de-henares_1641700269773.html).

<sup>3</sup> **P. Pagès i Blanch.** El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica. – *Ebre* 38, Núm 4, 2010, გვ. 59.

ჟღავნდა, როცა გპუ-მ, რომელსაც თავის ბრჭყალებში ჰყავს მოქცეული ესპანური პოლიცია, გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ნინს და მთელი პოუმის ხელმძღვანელობას ბრალი ედებოდა ფრანკოს აგენტობაში. ამ ბრალდების უსუსურობა ნათელია ყველასთვის, ვინც კი იცნობს ესპანური რევოლუციის თუნდაც უბრალო ფაქტებს. პოუმის წევრები გმირულად იბრძოდნენ ფაშისტების წინააღმდეგ ესპანეთის ყველა ფრონტზე. ნინი ძველი და მოუსყიდველი რევოლუციონერია. ის იცავდა ესპანელი და კატალონელი ხალხის ინტერესებს საბჭოთა ბიუროკრატის აგენტებისგან. სწორედ ამიტომ გპუ-მ თავიდან მოიშორა კარგად მომზადებული „რედიტ“ ბარსელონის ციხეზე. თუ რა როლი ითამაშა ამ საქმეში ესპანეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ შეიძლება მხოლოდ ვარაუდები გამოითქვას“.<sup>1</sup>

1938 წ. ბოლოს პოუმის წევრმა იგნასიო იგლესიასმა, ანდრეს სუარესის ფსევდონიმით, ბარსელონაში გამოაქვეყნა ანგარიში *“La represión y el proceso contra el POUM”* („პოუმის დევნა და პროცესი მის წინააღმდეგ“). ავტორი პოუმის წინააღმდეგ რეპრესიების და სასამართლო პროცესის გვერდით ვრცლად საუბრობს ანდრეს ნინის საქმის შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ პოუმის ლიდერი ბარსელონაში დაკავების შემდეგ გადაიყვანეს ვალენსიაში სადაც სრულად მონყვიტეს გარე სამყაროს. სამი დღის შემდეგ ის გადაიყვანეს მადრიდში პირველად სპეციალური ბრიგადის საპატიმროში პასეო დე ლა კასტელიანაზე, ხოლო მოგვიანებით სპეციალურ „ჩეკაში“ ატოჩას ქუჩაზე. იქიდან კვლავ დააბრუნეს პასეო დელ კასტელიანაზე და ბოლოს წაიყვანეს ალკალა დე ენარესში. მიზანი ამ ბოლო გადაადგილებისა იყო მისი გაქრობა და ქორის გავრცელება, თითქოს ნინი გატაცებულ იქნა გესტაპოს მიერ.<sup>2</sup> იგნასიო იგლესიასს დართული აქვს ე.წ. „მოკვლევა“, რომელიც პირადად ნინის ცოლმა, ოლგა ტარეევა-პავლოვამ განახორციელა. ეს არის მისი შეხვედრები იუსტიციის მინისტრ, მანუელ ირუხოსთან, რომელიც, როგორც ჩანს, მომხდართი მართლაც შეწუხებული იყო.

პირველი შეხვედრა შედგა 1937 წ. 22 ივნისს, რა დროსაც გაირკვა, რომ მინისტრებიდან არც ერთმა არ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში. ირუხოს არ სჯეროდა მაკომპრომეტირებელი დოკუმენტების არსებობის და იმის, რომ პოუმელები ფაშისტების აგენტები იყვნენ. მინისტრი ძალიან იყო გაბრაზებული და დაპირდა მისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს იღონებდა გაუჩინარებულთა მოსაძებნად და ესპანური პოლიციისთვის გადასაცემად.

მეორე და მესამე შეხვედრების დროს ირუხომ განაცხადა, რომ ნინი ცოცხალია და ამაში სრულიად იყო დარწმუნებული. ის და შინაგან

<sup>1</sup> Л. Троцкий. Убийство Андрея Нина агентами ГПУ...

<sup>2</sup> I. Iglesias. La represión y el proceso contra el POUM. – Edición digital de la Fundación Andreu Nin, noviembre, 2005, გვ. 63 (<http://www.fundanin.org/ProcesoPOUM.pdf>).

საქმეთა მინისტრი ცდილობდნენ მის „გამოხსნას“, მაგრამ ვერ ამბობდა ვისგან. შინაგან საქმეთა მინისტრი ამ მიზნით ჩავიდა მადრიდში, მაგრამ დაბრუნდა მის გარეშე.<sup>1</sup>

სხვა შეხვედრების დროსაც (9 აგვისტო) „კითხვაზე ვინ შეიძლება იცოდეს, რა შეემთხვა ნინს? მინისტრი პასუხობდა: „ნდობით აღჭურვილმა პირებმა“ და გულისხმობდა კომუნისტ მინისტრებს. „იუსტიციის მინისტრმა იცის კონფიდენციალურად, რომ ნინი არის მადრიდში, მაგრამ ძნელია მისი პოვნა. მართალია, მის ხალხს არ უნახავს, მაგრამ არის ხალხი, ვინც ის ნახა“ და ა.შ.<sup>2</sup>

ნაშრომში მოყვანილია 1937 წ. 20 აგვისტოს ოლგა ტარეევას განცხადება ბარსელონის სასამართლოში სადაც ხაზს უსვამდა, რომ ნინის დაპატიმრება მოხდა უსაფრთხოების გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე, თუმცა დაკავებაზე უშუალო ბრძანება გასცა ბარსელონის პოლიციის შეფმა ბურილიომ. ის დააკავეს 16 ივნისს თავის კაბინეტში. გადაიყვანეს საზოგადოებრივი წესრიგის გენერალურ კომისარიატში, საიდანაც ერთ საათში ჩასვეს ავტომანქანაში და უცნობი მისამართით წაიყვანეს. ამ განცხადებაში ოლგა ტარეევა ნინის გაუჩინარებას კარლ ლიბკნეხტის, როზა ლუქსემბურგის და ჯაკომო მატეოტის საქმეებს ადარებდა, ანუ მისთვის ნათელი იყო, რომ ნინმა იგივე ბედი გაიზიარა, რაც დასახელებულმა ევროპელმა რევოლუციონერებმა.<sup>3</sup> საქმის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად, კითხვაზე რა დაემართა ამხანაგ ნინს, იგლესიასი პასუხობს: ან მოკლეს, ან გადაიყვანეს საბჭოთა კავშირში.<sup>4</sup>

იგლესიასის გამოძიების პარალელურად, პოუმის სხვა ლიდერმა ხუან ანდრადემაც გამოიკვლია საკითხი 1938 წ. ნოემბერში ბარსელონის ციხეში დაწერილ ბროშურაში სახელწოდებით „ანდრე ნინის მკვლელობა, რომელიც არასდროს გამოქვეყნებულა ესპანეთში. ის დასაბეჭდად იყო გამზადებული პარიზში, რენე ლეფევრის გამომცემლობა „სპარტაკუსში“ 1939 წელს, მაგრამ განადგურდა გესტაპოს აგენტების მიერ. საბედნიეროდ, გადარჩა ხელნაწერი ტექსტი, რომელიც ინახებოდა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საიდანაც პოუმის წევრის და ყურნალისტის ვილბალდო სოლანოს წყალობით, რენე ლეფევრის გამომცემლობამ გამოსცა ამჯერად 1975 წელს სათაურით *“Espagne: Les fossoyeurs de la Revolution Sociale”* („ესპანეთი: სოციალისტური რევოლუციის მესაფლავეები“).

ავტორი ამტკიცებდა შემდეგს: „1937 წლის 16 ივნისს 4 საათზე ნინი გამოიყვანეს ბარსელონიდან ავტომობილით, რომელსაც მართავ-

<sup>1</sup> I. Iglesias. *La represión y el proceso contra el POUM*, გვ. 57.

<sup>2</sup> I. Iglesias. *La represión y el proceso contra el POUM*, გვ. 58.

<sup>3</sup> I. Iglesias. *La represión y el proceso contra el POUM*, გვ. 60.

<sup>4</sup> I. Iglesias. *La represión y el proceso contra el POUM*, გვ. 66.



დნენ გპუ-ს და კომუნისტური პარტიის აგენტები. ძნელი გასარკვევია, ქარავანი გაჩერდა თუ არა ვალენსიაში, მაგრამ აშკარაა, რომ სწრაფად განაგრძეს გზა მადრიდისკენ. დედაქალაქში ჩასვეს საიდუმლო „ჩეკაში“ პასეო დე ლა კასტელიანაზე. ორი დღის შემდეგ გადაიყვანეს ალკალა დე ენარესის იზოლირებულ შენობაში და 22 ივნისს რუსი ოფიცრების და პოლონელების ჯგუფმა ამ იატაკქვეშა ციხიდან გამოიყვანეს და მუხანათურად მოკლეს, ისე, რომ აქამდე გაურკვეველია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, მისი ტყვეობის და სიკვდილის კონკრეტული გარემოებები“.<sup>1</sup>

ანდრადეს მიხედვით, მადრიდის პოლიციას პირველი ჩვენება ნინმა 17 ივნისს მისცა. ის ალკალა ენარესში ნინის გადაყვანას ვარაუდობს 19 ივნისს და, მისი ვერსიით, ბოლოს მას იცავდნენ მადრიდელი პოლიციელები ხუან ბაუტისტა, კარმონა დელგადო და სანტიაგო გონსალეს ფერნანდესი. ანდრადესთვის ალექსანდრე ორლოვი იყო ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა ნინის მოკვლა და რომლის ძალაუფლება მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერი მინისტრისა. ის ადანაშაულებდა ასევე ლეონ ნარვიჩს, საბჭოთა აგენტს, რომელიც ჩანერგილი იყო პოუმში და რომლის ფოტოები გამოიყენეს შემდგომი პროცესებისთვის. ასახელებს სპეციალური ბრიგადის წევრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ნინის დაკავებაში: ფერნანდო ვალენტინი, კარლოს რამალიო, ხასინტო როსელი, მანუელ აგირე, ანდრეს სურეიო, ხავიერ ხიმენესი, პედრო დე ბუენი, ანხელ აპარისიო და სიპრიანო ბლასი; პოლიციის უფროსებს: მადრიდის პოლიციის უფროსი დავიდ ვასკესი, უშიშროების გენერალური დირექტორი ვიცე პოლკოვნიკი ანტონიო ორტეგა, ბარსელონის პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი რიკარდო ბურილიო.<sup>2</sup>

ანდრადე წერს, რომ იუსტიციის მინისტრ მანუელ ირუხოს გულწრფელად სურდა აეცილებინა ტერაქტი ნინის წინააღმდეგ. მან გაგზავნა მადრიდში ნდობით აღჭურვილი ორი აგენტი, რათა გაერკვიათ ნინის ადგილმდებარეობა. მათ არა მხოლოდ გაიგეს, სად იყო ნინი, არამედ ნახეს კიდეც ის. შემდეგ შეხვდნენ რესპუბლიკელ გენერალ მიახას და მოახსენეს მას, რომ ნინი იყო გენერალ ორლოვის ჩეკაში. სატელეფონო საუბრის დროს მიახამ მოსთხოვა ორლოვს, დაკავებული გადაეცა სახელმწიფო ორგანოებისთვის. ორლოვი მზად იყო, ნინი გადაეცა პირადად შინაგან საქმეთა მინისტრ ხულიან სუგასატოიასთვის. მინისტრი ამ მიზნით ჩავიდა მადრიდში, თუმცა ორლოვმა მას შეატყობინა, რომ ანდრე ნინი გაქრა დაკავების ადგილიდან. სუგასატოია დამშვიდებული დაბრუნდა ვალენსიაში ისე, რომ „არანაირი ზომა არ მიუღია“. ორლოვს ჰქონდა მეტი ძალაუფლება, ვიდრე იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრს ერთად აღებული.<sup>3</sup>

<sup>1</sup> P. Pagès i Blanch. El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica, გვ. 60.

<sup>2</sup> P. Pagès i Blanch. El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica, გვ. 61.

<sup>3</sup> W. Solano. La larga marcha por la verdad sobre Andreu Nin. – *Texto fechado el 8 de*

სამოქალაქო ომის დროს, როგორც ვნახეთ, გააჩნდათ საკმაო სა- ფუძველი, რათა გამოეტანათ დასკვნა: ნინი მოკლული იქნა საბჭოთა ემისრების მიერ ესპანელების თანამონაწილეობით. 1953 წელს ეს ვერ- სია გააამყარა ხესუს ერნანდესმა, რომელიც იყო ესპანეთის კომპარტი- ის პოლიტიუროს წევრი და განათლების მინისტრი ლარგო კაბალიერ- ოს და ნეგრინის მთავრობებში. უკვე დევნილობაში, როცა კომუნისტურ პარტიასთან განყვეტილი ჰქონდა კავშირები, ერნანდესმა გამოაქვეყნა თავისი მემუარები საინტერესო სათაურით: „მე ვიყავი სტალინის მინის- ტრი“.<sup>1</sup>

ნინის წამების შესახებ ერნანდესი ყვება საშინელ ამბებს, რომელ- საც დღეს ზოგი ისტორიკოსი ეჭვქვეშ აყენებს (მაგალითად, ანხელ ვი- ნიასი): „ორლოვმა და მისმა ბანდამ გაიტაცა ნინი იმ მიზნით, რომ მიეღ- ოთ მისგან აღიარება რომელიც შეავსებდა ფრანკოს სამსახურში მყოფი ჯაშუშების რიცხვს (...) წამება დაიწყო „მშრალი“ მეთოდებით, ეს იყო შეუბრალებელი დაკითხვები 10, 20, 30 საათის განმავლობაში, რა დრო- საც ჯალათები ერთი და იგივე კითხვებს უსვამდნენ (...), მაგრამ ანდრე ნინი წინააღმდეგობას უწევდა და არ ნებდებოდა, მათ უარი თქვეს მშრალ მეთოდზე და დაიწყეს უფრო სასტიკი მეთოდის გამოყენება, ხორცის ამოგლეჯა, კიდურების დამტვრევა, ფიზიკური ტანჯვა. ნინმა გაუძლო წამებას და ტკივილს... გაშმაგებულ ორლოვს, სკანდალის ში- შით, ბრაზისგან დუჟი სდიოდა“.<sup>2</sup>

ერნანდესი დარწმუნებული იყო, რომ ნინის სიჩუმემ გამოიწვია მისი სიკვდილი. ამასთან, იტალიელ კომუნისტს ვიტორიო ვიდალის – ერთ-ერთს კომინტერნის მრავალრიცხოვანი აგენტებიდან – მიანერდა გეგმის შემუშავებას, რომლითაც უნდა მომხდარიყო ნინის გატაცების სიმულირება გესტაპოს აგენტების მიერ, რათა შემდგომში დაერწმუნე- ბინათ საზოგადოება ნინის ჯაშუშობაში.<sup>3</sup>

საბოლოო და უტყუარი ვერსია, «НКВД»-ს დოკუმენტებზე დამყა- რებული, გამოჩნდა 1992 წელს ჟურნალისტ დოლორეს ჟენოვესის წყა- ლობით, რომელმაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოიპოვა საიდუმლო დოკუ- მენტები სუკის და კომუნისტური ინტერნაციონალის არქივებში. ჟურ- ნალისტური გამოძიების შედეგი იყო 60-ნუთიანი დოკუმენტური ფილ- მი, რომელიც კატალონიის ტელევიზია TV3-მა გადასცა 1992 წლის 5 ნოემბერს.

---

*febrero de 1993 y publicado en la revista Utopie Critique, Paris, nº 4, cuarto trimestre de 1994. (<http://fundanin.org/solano8.htm>).*

<sup>1</sup> გამოცა 1953 წელს მექსიკაში სათაურით: «Yo fui ministro de Stalin», 1954 წელს მადრიდში – ოდნავ შეცვლილი სათაურით: «Yo fui ministro de Stalin en España».

<sup>2</sup> **J. Hernández.** I Was a Minister of Stalin – excerpt. How the NKVD framed the POUM. [https://www.marxists.org/history/spain/writers/hernandez/persecution\\_of\\_poum.html](https://www.marxists.org/history/spain/writers/hernandez/persecution_of_poum.html).

<sup>3</sup> **J. Hernández.** I Was a Minister of Stalin – excerpt...

თხრობა იწყება იმით, რომ კომინტერნის აგენტი უნგრელი ერნე გერე (ერნე ზინგერი) პოუმზე შესატყვად ნიადაგს ამზადებდა. 1937 წლის 22 მაისს მოსკოვში გააგზავნა ხელნაწერი ფრანგულ ენაზე, სადაც „პოუმის ტროცკისტების“, როგორც „მაისის კრიზისის“ წამქეზებლების და იდეოლოგების წინააღმდეგ სერიოზული ზომების მიღებისკენ მოუწოდებდა, ჟენერალიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის უმოქმედობის საპასუხოდ.<sup>1</sup>

მაშინ, როცა გერე იდეოლოგიურად ამზადებდა ოპერაციას, ესპანეთში «НКВД»-ს ხელმძღვანელი და ესპანეთის მთავრობის მრჩეველი დაზვერვა-კონტრდაზვერვის ორგანიზების საქმეში ალექსანდრე ორლოვი (იგივე ლეიბა ლაზარეს ძე ფელდბინი, ასევე ცნობილი როგორც „შვედი“) იწყებს ოპერაციის დაგეგმვა-განხორციელებას. «НКВД»-ს არქივში ესპანური რეზიდენტურის საქმეებში არსებული დოკუმენტები ამტკიცებს, რომ მასალები, რის საფუძველზეც დააპატიმრეს ნინი, გაყალბებული იყო ალექსანდრე ორლოვის პირადი ხელმძღვანელობით.

1937 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის სამხედრო დაზვერვამ, ორლოვის აგენტების დახმარებით, გამოაშკარავა ფრანკისტული ჯაშუშური ქსელი, ხავიერ ფერნანდეს გოლფინის მეთაურობით. პოუმის არც ერთი წევრი არ ყოფილა გარეული ამ ამბავში, მაგრამ ორლოვს თავისმა მდიდარმა გამოცდილებამ უკარნახა, რომ უნდა ესარგებლა ამ ხელსაყრელი შემთხვევით, რათა დაედანაშაულებინა პოუმი ფალანგისტებთან თანამშრომლობაში და საბოლოოდ გაენადგურებინა იგი. ამ გეგმაზე დაწვრილებით საუბრობს 1937 წლის 23 მაისს მოსკოვში გაგზავნილ წერილში.

*„გამომდინარე იქიდან, რომ ამ საქმემ სერიოზული გავლენა მოახდინა სამხედრო და სამთავრობო წრეებზე და რომ ეს საქმე კარგად არის დოკუმენტურად დადასტურებული, მე გადავწყვიტე გამოვიყენო საქმის მნიშვნელობა მასში პოუმის ხელმძღვანელობის ჩასართავად (კავშირები, რომლებსაც ჩვენ მართლაც ვეძებთ გამოძიების პროცესში). ჩვენ შევადგინეთ დართული დოკუმენტი, რომელიც ამხელს პოუმის ხელმძღვანელობას ფალანგასთან თანამშრომლობაში. ამ დოკუმენტის შინაარსს დაევიფრავთ ჩვენს ხელთ არსებული ფრანკოს შიფრით და მივანერთ კასა დელ კამპოში საცეცხლე წერტილების განლაგების გეგმის ფურცლის მეორე მხარეს. ამ ჯაშუშურმა დოკუმენტმა ხუთ ხელში გაიარა. ხუთივე ფაშისტმა აღიარა დოკუმენტის ერთმანეთისთვის გადაცემა ფრანკოსთან გადასაგზავნად. სხვა დოკუმენტზე ჩვენ მივანერთ უჩინარი მელნით უმნიშვნელო შინაარსის რამდენიმე სტრიქონს და ესპანელებთან ერთად სწორედ ამ დოკუმენტიდან დავიწყებთ საიდუმლო*

<sup>1</sup> M. D. Genovès. Operación Nikolai. El secuestro y asesinato de Nin (1992). – <http://banderaroja.blogspot.com/2013/07/operacion-nikolai-el-secuestro-y.html>, 33:27 წთ.

კრიპტოგრამების ძებნას. ამ დოკუმენტზე ჩვენ გამოვცდით რამდენიმე გამამჟღავნებელს. განსაკუთრებული გამამჟღავნებელი აღმოაჩინეს რამდენიმე სიტყვას და სტრიქონს. შემდეგ დავიწყებთ ყველა დოკუმენტის გასინჯვას და, ამრიგად, გამოვაკლებთ ჩვენს მიერ შედეგნილ წერილს, რომელიც ამხელს პოუმის ხელმძღვანელობას. ესპანეთის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი დაუყოვნებლივ გაემგზავრება ვალენსიაში სამხედრო სამინისტროს შიფრგანყოფილებაში წერილის გასაშიფრად. თუკი განყოფილება რამე მიზეზით ვერ შეძლებს ამას, ჩვენ დავხარჯავთ რამდენიმე დღეს და გავშიფრავთ წერილს. ამ საქმიდან დიდ ეფექტს ველოდებით“.<sup>1</sup>

საიდუმლო ტექსტი დაწერა ალბერტო კასტილიამ, დაშიფრული წერილების სპეციალისტმა, რომელიც ჩანერგილი იყო ფალანგაში, თუმცა მისი შედგენა მიენერება საბჭოთა აგენტ გრიგულევიჩს, ცნობილ როგორც „იუზიკი“ (იგივე ხოსე ოკამპო, ხოსე ესკოი, მიგელი).<sup>2</sup> დაშიფრული მესიჯი ეჭვს არ ტოვებდა ფალანგისტურ ჯაშუშურ ქსელში პოუმის თანამონაწილეობის შესახებ. ტექსტი შემდეგი შინაარსის იყო: „თქვენი ბრძანების შესასრულებლად (მესიჯი ფრანკოსთვის) პირადად მე წავედი ბარსელონაში, პოუმის წევრ „N“-თან შესახვედრად. მას გადავეცი ყველა თქვენი მითითება... „N“ დამპირდა, რომ გააგზავნიდა ახალ აგენტს მადრიდში, პოუმის საქმიანობის გასააქტიურებლად. ამით პოუმი უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება ჩვენი მოძრაობის სასარგებლოდ“.<sup>3</sup> რა თქმა უნდა, „N“ იყო ანდრე ნინი, პოუმის ხელმძღვანელი. ამ მანევრმა იმუშავა.

16 ივნისს უშიშროების სამსახურის გენერალური დირექტორის, ანტონიო ორტეგას ბრძანებით მადრიდიდან ჩამოსულმა პოლიციელების სპეციალურმა ბრიგადამ დაიწყო ნინის და პოუმის სხვა ხელმძღვანელების დაკავების ოპერაცია. მადრიდის ეროვნული არქივში დაცული დოკუმენტის წყალობით ირკვევა, რომ ნინი დაკავებიდან რამდენიმე საათში ბარსელონის პოლიციიდან წაიყვანეს მადრიდში ვალენსიის გავლით, სადაც 17 ივნისს ჩასვეს სპეციალური ბრიგადის სატუსალოში, მაგრამ რამდენადაც ეს ადგილი სათანადო პირობებს არ აკმაყოფილებდა, ის გადაიყვანეს ალკალა დე ენარესში, ძველ სახლში, რომელიც იყო სატანკო ბრიგადის კონტროლქვეშ. აქ ნინმა მისცა 4 ჩვენება, პირველი 18-ში, ორი – 19-ში, ბოლო და უკანასკნელი – 21-ში. ის კატეგორიულად უარყოფდა ბრალდებებს ჯაშუშობის შესახებ და ამ მაქინაციაებში კომუნისტურ პარტიას ადანაშაულებდა. სწორედ აქედან 22 ივნისს ღამით

<sup>1</sup> **О. Царев, Дж. Костелло.** Роковые иллюзии. Из архивов КГБ, дело Орлова, сталинского мастера шпионажа, М., 1995, გვ. 327.

<sup>2</sup> საუბარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორზე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტზე იოსებ რომუალდის ძე გრიგულევიჩზე.

<sup>3</sup> **M. D. Genovès.** Operación Nikolai., 37:23-37:37 წთ.

შეიარაღებული პირების ჯგუფი შეიჭრა სახლში მის გასატაცებლად.<sup>1</sup>

ჟენოვესი თვლის, რომ ალკალა ენარესში, იგნასიო სისნეროსის და მისი მეუღლის კონსტანსა დე ლა მორა მაურას სახლის სარდაფში ნინი აწამეს, რათა მიეღოთ სასურველი აღიარებითი ჩვენება, მაგრამ წამებასაც არ გამოუღია ნაყოფი. მან ან ვერ გაუძლო წამებას და შემოაკვდა მწამებლებს, ან კიდეც, იმის შიშით, რომ მისი განთავისუფლება გაამჟღავნებდა «HKVD»-ს დაკითხვის მეთოდებს, ორლოვმა გადაწყვიტა მისი ფიზიკური განადგურება.

ესპანეთის რეზიდენტურის საქმიდან ცალკე აღებული არც ერთი დოკუმენტი არ წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, მაგრამ მამხილებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, განსაკუთრებით ერთი დაშიფრული წერილი ორლოვის საქმიდან, ამკარად მიუთითებს მის მონაწილეობას. ესაა ანგარიში, რომელიც მან გააგზავნა მოსკოვში 24 ივნისს ოპერაციის დეტალების შესახებ, რომელსაც პირობითად ერქვა „ნიკოლაი“. ამ ანგარიშში ორლოვი, „ლიტერული“ საქმეებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით, აღწერს პოუმის ლიდერის ციხიდან გატაცებას და საუბრობს პირებზე, რომელთა მხოლოდ ინიციალებია მოცემული. ამ წერილის მეოთხე პუნქტი განსაკუთრებით მამხილებელ ხასიათს ატარებს, უფრო მეტიც, იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ თვითონ ორლოვი პირადად მონაწილეობდა ნინის გატაცებაში და ალკალა დე ენარესიდან მის გაყვანაში ავტომობილის საბარგულით.

აი ეს დოკუმენტიც: „ნიკოლაის“ საქმის ძირითადი მონაწილეები არიან - 1. ლ., 2. ა.ფ., 3. ი. მ. ეს უკანასკნელი იყო ირიბი თანამზრახველი. როცა მას მიჰქონდა საჭმელი საპატიმრო ადგილას და მას გაუღეს კარები, ჩვენი ხალხი შევიდა ეზოში. პოლტავსკის უნდა შეეტყობინებინა თქვენთვის პარიზიდან, ოპერაციის ბოლო მონაწილის - იუზიკის თქვენთან წამოსვლის შესახებ... მისი ხელით დაინერა თქვენთვის ცნობილი დაშიფრული დოკუმენტი. იუზიკი ჩემი თარჯიმანი იყო ამ საქმეში და ჩემთან იჯდა მანქანაში იმ შენობის ახლოს საიდანაც გამოიყვანეს ობიექტი... ჩვენ ვერიდებოდით ზედმეტ ყურადღებას პატრულის მხრიდან, როცა გადმოგვექონდა ტვირთი“.<sup>2</sup>

ეს ტვირთი ნარკოტიკებით გაბრუებული ნინი იყო თუ მისი ცხედარი? ითვლება, რომ ნინი ამ დროს ჯერ კიდეც ცოცხალია. ამრიგად, გატაცებაში ორლოვის მონაწილეობა ამკარაა. ასევე ნათელია მკვლელობაში მონაწილეობაც.

დამატებითი მტკიცებულებაა ფანქრით დაწერილი წერილი 164-ე გვერდად ჩაკერებული ოპერატიული დოსიეს პირველ ტომში, ნომრის, თარიღის და ავტორის გარეშე, რომელიც, შესაძლოა, დაწერილია იუზი-

<sup>1</sup> M. D. Genovès. Operación Nikolai., 45:23 წთ.

<sup>2</sup> O. Царев, Дж. Костелло. Роковые иллюзии..., გვ. 331; M. D. Genovès. Operación Nikolai., 47:44-48:03 წთ.

კის მიერ. *“N” ალკალა დე ენარესიდან პერალეს დე ტახუნიას მიმართულებით, შუა გზაში, გზიდან 100 მეტრში, ველზე. /ესწრებოდნენ/ „ბომი“, „შვედი“ „იუზიკი“, ორი ესპანელი, „პიერი“ მისი მძღოლი ვიქტორი“.*<sup>1</sup>

ამრიგად, ამ დოკუმენტის მიხედვით ნინის ფიზიკური განადგურების და ცხედრის მოშორების ოპერაციას ესწრებოდნენ შვედი ანუ ორლოვი, იუზიკი ანუ გრიგულებიჩი, პიერის სახელით ცნობილია უნგრელი ერნე გერე, თუმცა ზოგიერთ ავტორთან ეს შეიძლება ყოფილიყო ნაუმ ეიტინგონი, ორლოვის მოადგილე, რომელიც ასევე ატარებდა მეტსახელს „პიერი“. რაც შეეხება მკვლევლობის თარიღს, უნდა მომხდარიყო 21 ივნისს და 24 ივნისს შორის, როგორც ჩანს, უფრო შესაძლოა, ეს მოხდა 21-ში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორლოვი ამერიკაში ემიგრაციის შემდეგ ტყუილად გამოძიების ფედერალური ბიუროს და აშშ-ს სენატის გამოძიებლებთან. ის უარყოფდა მის წინააღმდეგ ბრალდებებს გამოქვეყნებულს ნანილობრივ ვ. კრივიცკის და ხ. ერნანდესის მემუარებში. „ეს აბსოლუტურად იდიოტური მტკიცებაა“, – ამბობდა ის და უწოდებდა მას ტროცკისტულ მონაგონს. ის ამტკიცებდა, რომ არ შეეძლო მკვლევლობის ჩადენა, რადგან იყო მხოლოდ და მხოლოდ ატაშე პოლიტიკურ საკითხებში. ორლოვი თქმით, მას რომ ებრძანებინა ნინის მოკვლა, ეს მოახდენდა რუსეთის დისკრედიტაციას მთელი მსოფლიოს თვალში. მისი აზრით, სტალინმა ბრძანა ნინის მოკვლა და მისი ბრძანება მოყვანილ იქნა სისრულეში რუსი ბოლოდინის მიერ, რომელიც მოგვიანებით ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.<sup>2</sup>

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ორლოვის ვერსიაში არის ის, რომ, საბოლოო ჯამში, იგი მაინც აღიარებდა სტალინის ბრძანებით ნინის მკვლევლობის ფაქტს. მისი მცდელობა, ბრალი გადაეტანა ვინმე ბოლოდინზე ახლა უკვე მხილებულია ზემოხსენებული დოკუმენტებით როგორც სიცრუე.

აღნიშნულ დოკუმენტურ ფილმს ნინის მკვლევლობის შესახებ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პრაქტიკულად კატალონიის მთელი პრესა წერდა ამ საკითხზე. ფილმის ჩვენებას მოჰყვა ანდრე ნინის მშობლიური ქალაქის ელ ვენდრელის სოციალისტი ალკალდის მარტინ კარნისერის მოწოდებები, რომ მადრიდის რეგიონის ხელმძღვანელობას ჩაეტარებინა სამუშაოები ნინის საფლავის მოსაძებნად. მადრიდის რეგიონის მთავრობას 1983-1995 წლებში ხელმძღვანელობდა ასევე სოციალისტი ხოაკინ ლეგინა. 1992 წ. 20 ნოემბერს სხვადასხვა გაზეთები ბეჭდავდნენ ცნობებს, რომლის მიხედვითაც ერთი დღით ადრე მადრიდის მთავრობამ დაავალა შესაბამის ორგანოებს, მოეძებნათ ანდრე ნინის საფლავი და მიუთითა მადრიდის ლოეჩეს და კამპო რეალის მუნიციპა-

<sup>1</sup> M. D. Genovès. Operación Nikolai..., 55:46-56:03 წთ.

<sup>2</sup> O. Царев, Дж. Костелло. Роковые иллюзии..., გვ. 330.

ლიტეტები, სადაც შესაძლო იყო მისი არსებობა.<sup>1</sup>

იმ დროს ვერავინ წარმოიდგენდა როგორი იქნებოდა ძიების შედეგები. 16 წელი დასჭირდა ხოაკინ ლეგინას, რომ საბოლოოდ ეთქვა, თუ რა ბედი ენია მადრიდის რეგიონის მთავრობის გადაწყვეტილებას. ლორენსო ფერნანდესთან თანაავტორობით ყოველთვიურ ჟურნალ *“Claves de razón práctica”* (პრაქტიკული აზროვნების გასაღები) გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ანდრე ნინი. სიკვდილი დასაფლავების გარეშე“ (2008 წელი №187, გვ. 42-46) ლეგინა საუბრობდა იმ სამუშაოებზე რომელიც ჩატარდა 1993 წ. ბოლოს და რომელიც არასდროს გამხდარა საჯარო. „მთელი წლის განმავლობაში დაუსრულებლად ვურევდით ერთმანეთში დოკუმენტებს და რუკებს... მაგრამ ერთი ნიჩაბი მიწა არ ამოტრიალებულა“, ლეგინა და ფერნანდესი ყვებიან, რომ პირველი რაც გააკეთეს, ეს იყო 1937 წლის ყველა კარტოგრაფიული დოკუმენტაციის შეკრება და მათი შესწავლა. შედეგად, მივიდნენ დასკვნამდე, რომ გათხრების წარმოება, შემდგომი დაზუსტების გარეშე, განწირული იყო კრახისთვის“.<sup>2</sup>

ამ მომენტში გამოჩნდა ახალი პერსონაჟი ხუან კობო ორტსი, რომელიც 2008 წ. დეკემბერს სტატიაში: „სიკვდილის როკვა ანდრე ნინის გარშემო“, სთავაზობდა განსხვავებულ ვერსიას ნინის მკვლელობის შესახებ. მასში ვკითხულობთ, რომ მკვლელობა და დასაფლავება მოხდა 202-ე კილომეტრში მადრიდი-ალბასეტეს გზაზე. ამ მონაცემების მიხედვით, ნინი მოკვდა, როცა «HKVD»-ს აგენტებმა ის წაიყვანეს მანქანით მადრიდიდან ვალენსიაში, საიდანაც აპირებდნენ საბჭოთა კავშირში გემით გადაყვანას. იგეგმებოდა მოსკოვში დიდი პროცესი, ბარსელონაში 1937 წ. მაისის მოვლენებთან დაკავშირებით. „ჩემი მონაცემებით ნინმა ჩაშალა მისი გამტაცებლების გეგმები, შეებრძოლა მათ მანქანაში, და ერთ-ერთმა ჩახმახს გამოჰკრა ხელი 202-ე კილომეტრზე. მისი ცხედარი ერთ-ერთ არხში ჩამარხეს. სხვათა შორის, ეს ვერსია ორი წლის შემდეგ დადასტურებულ იქნა სხვა სანდო წყაროს მიერ“.<sup>3</sup>

აქედან გამომდინარე, ხელით ნანერ იმ დოკუმენტს, რომელზეც ჩვენ ზევით ვისაუბრეთ, კობო ორტსი არ აღიარებს. ის ეყრდნობოდა საკუთარი მამის მონაცემებს, რომელიც სამოქალაქო ომის დროს მუშაობდა საიდუმლო სამსახურში და, თუმცა პირდაპირ არ მონაწილეობდა ნინის მკვლელობაში, იცნობდა იმათ, ვინც ჩართული იყო ამ საქმეში. ის ფაქტი, რომ კობოს არ სურდა ისტორიის გამჟღავნება, სანამ ცოცხალი იყო მისი დედა და, სხვა მიზეზებიც, კობოს ჰიპოთეზის ჭეშმარიტებაზე ბევრ ეჭვს აჩენს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> P. Pagès i Blanch. El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica, გვ. 64.

<sup>2</sup> P. Pagès i Blanch. El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica, გვ. 65.

<sup>3</sup> P. Pagès i Blanch. El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica, გვ. 65.

<sup>4</sup> P. Pagès i Blanch. El asesinato de Andreu Nin, mas datos par ala polemica, გვ. 65.

„ოპერაცია ნიკოლაის“ ვერსია ისტორიკოსებმა სრულად გაიზიარეს. ცოტამ თუ დააყენა ეჭვქვეშ მასში გამოყენებული წყაროს ნამდვილობა. ისტორიკოსები აღიარებენ, რომ ყველა კვალი მიდის ორლოვამდე, თუმცა მაინც გაჩნდა ოდნავ განსხვავებული ვერსიები, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა დოლორეს ჟენოვესის მტკიცებებს. ასეთია, მაგალითად, ბრიტანელი ისტორიკოსი ელენ გრეჰემი.

ნიგნში „ესპანეთის რესპუბლიკა ომში“ ავტორი აღიარებს ორლოვის როლს, როგორც «НКВД»-ს შეფის, რომელსაც უნდა სცოდნოდა გატაცების და მკვლელობის ყველა დეტალი. ის რომ მონაწილეობდა ფალანგისტების ეპიზოდში ნინის მაინკრიმინირებელი დოკუმენტების ფალსიფიცირებაში, მაგრამ გრეჰემი ნინის მკვლელობის საქმეში უფრო მნიშვნელოვან როლს აკისრებს ესპანელ კომუნისტებს, თუმცა კონკრეტის გარეშე. მისი სიტყვებით, „როგორც ისტორიკოსები, უნდა ვიყოთ ფრთხილი, რომ რუსები მივიჩნიოთ ერთადერთ ავტორებად“.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანია ესპანელი ისტორიკოსის ანხელ ვინიასის მოსაზრებები. ვინიასის ტრილოგიაში ესპანეთის რესპუბლიკის შესახებ ნინის მკვლელობის თემა გაშუქებულია მეორე ნიგნში სახელწოდებით: „რესპუბლიკის ფარი“. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინიასი მთლიანობაში ადასტურებს ორლოვის მაქსიმალური პასუხისმგებლობის შესახებ ვერსიას. ის 16 ივნისს ნინის დაკავებიდან 22 ივნისს მის გაქრობამდე პირველ პლანზე აყენებს ორლოვის პასუხისმგებლობას და ამტკიცებს, რომ როგორც «НКВД»-ს შეფმა ესპანეთში მან დაგეგმა აბსოლუტურად ყველაფერი თავიდან ბოლომდე.

ვინიასი, თუ ერთის მხრივ გვერდს უვლის ვიტორიო ვიდალის როგორც „გაქცევის გეგმის“ ავტორს და ამასაც ორლოვს მიაწერს, გერეს წილ პასუხისმგებლობას ორლოვის თანამშრომელს ნაუმ ეიტინგონს აკისრებს, რომელიც მონაწილეობდა ნინის მკვლელობაში. ვინიასთან ესპანელი კომუნისტების საკითხი ძალიან ბუნდოვანია, თუმცა მათი როლი უარყოფილი არაა.

ანხელ ვინიასის აზრით, ნინი 22 ივნისის ღამეს მოკლეს, ასევე არ მომხდარა ე.წ. ორმაგი დაპატიმრება, რაზედაც ჟენოვესი საუბრობს, ანუ პირველად ალკალა დე ენარესის ციხეში, ხოლო შემდეგ – იდალგო დე სინეროსის სახლში. ის მხოლოდ ციხეს აღიარებს.<sup>2</sup>

ისტორიკოსების დასკვნებთან ერთად მრავლადაა სხვა ვერსიებიც ნინის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არაა გამყარებული დოკუმენტებით და მეტი დაბნეულობა შეაქვს საკითხის გარკვევაში. ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ

<sup>1</sup> H. Graham. La República española en guerra. Barcelona, 2006, გვ. 314.

<sup>2</sup> A. Viñas. El escudo de la República. El oro de España, la apuesta soviética y los hechos de mayo de 1937, Barcelona, 2007, განსაკუთრებით მე-15 (გვ. 575-604) და მე-16 (გვ. 605-627) თავები.



ჟურნალისტ ხერმან სანჩესის განსხვავებული ვერსია (გამოქვეყნდა 1995 წელს). სანჩესი ნინის მკვლელობის ოპერაციის ბოლო ფაზაზე გამოყოფდა იოსიფ გრიგულევიჩის „იუზიკის“ დიდ როლს, რომელიც, ჟენოვესის ვერსიაში და «НКВД»-ს წყაროების მიხედვით, იყო ორლოვის თარჯიმანი და თან ახლდა მას მკვლელობის დღეს. მისი აზრით, მკვლელობა მოხდა ალბასეტეს რაიონში და არა ალკალა დე ენარესსა და პერალეს დე ტახუნიას შორის, რასაც შეცდომით ამტკიცებენ<sup>1</sup>.

და ბოლოს, დასკვნის სახით, ყველა ვერსიის შეჯერება-განზოგადების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი:

პოუმთან ბრძოლაში კრემლის ჩართულობა თავიდანვე არანაირ ეჭვს არ იწვევს და ამას მოწმობს საარქივო დოკუმენტები კომუნისტური ინტერნაციონალის თუ სუკის არქივებიდან. ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც დაიწყო 1936 წლის დეკემბრიდან და დროში დაემთხვა ანდრე ნინის გამოდევნას კატალონიის ჟენერალიტეტიდან, მოსკოვიდან იყო მართული. 1937 წლის იანვარ-მაისში ჩასული ცნობები კრემლს პარტიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე განუწყვეტელი მონიტორინგის საშუალებას აძლევდა. 1937 წლის მაისიდან მოყოლებული 1938 წლის მიწურულამდე ანუ პოუმის სასამართლო პროცესამდე ყველა ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ საზოგადოება დაერწმუნებინათ იმაში რისიც არავის სჯეროდა.

შეთქმულება პოუმის წინააღმდეგ, რომლის კულმინაცია იყო ანდრე ნინის მკვლელობა, დაგეგმილი იყო ესპანეთში საბჭოთა საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლის ალექსანდრე ორლოვის და მისი აგენტების მიერ, კომინტერნის აგენტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ოპერაციის სხვადასხვა ეტაპზე.

ესპანელებს არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ საქმეში. ცალსახაა, რომ ნინის დაკავებაში დიდი როლი ითამაშეს თვითონ ესპანელებმა. ამ პუნქტში ჩნდება კითხვები: საბოლოო გატაცებაში და მკვლელობაში მონაწილეობდნენ თუ არა ესპანელები. პასუხი დადებითია, თუმცა დღემდე არაა ცნობილი მათი ვინაობა.

რესპუბლიკური მთავრობის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არიან ავტორები, რომლებიც მთავრობის და კონკრეტულად ნეგრინის პასუხისმგებლობას ან გამორიცხავენ, ან ამსუბუქებენ (მაგალითად ანხელ ვინიასი). მართალია, ნინის საქმე მთავრობის კონტროლს გარეთ იყო, მაგრამ ფაქტია, ნეგრინმა მიიღო ის ახსნა-განმარტება, რომელიც მას მზა სახით მიანოდეს ორლოვმა და მისმა აგენტებმა.

არის კონკრეტული კითხვები, რომლებზეც პასუხი არ არსებობს. ზუსტად მაინც არაა ცნობილი, როდის მიიყვანეს ნინი ალკალა დე ენარესში, ზუსტად როდის მოკლეს იგი, მოკლეს თუ წამების დროს შემოაკვდათ, რომელ ციხეში აწამეს, სად გადამაღეს მისი ცხედარი და ა.შ.

<sup>1</sup> *El mundo*, 14 de mayo de 1995.

## ZAAL GOGENIA

### OPERATION “NIKOLAI” AND THE CASE OF ANDREU NIN

The Workers’ Party of Marxist Unification (*POUM*) and its leader Andreu Nin became the victims of the anti-Trotskyite campaign started by Stalin’s order in 1936. There are many questions regarding the case of Andreu Nin. During the civil war everyone had their own versions regarding the fate of Andreu Nin and 55 years were needed to confirm some of them. Many questions were answered in the documentary of Dolores Genovès, which was broadcasted by TV3, the Catalanian TV station, in December 1992.

Nevertheless, the historians have expressed several versions regarding the specific details of “Operation Nikolai.” The most interesting are the views of Helen Graham, Angel Viñas, etc.

Based on different versions, archive data, and relevant researches the following conclusions are to be made:

1. There are no doubts that the Kremlin was openly fighting against *POUM*. This is confirmed by the documents from the Comintern and *KGB* archives.
2. The conspiracy against *POUM* and the assassination of Andreu Nin were planned the Alexander Orlov, the *NKVD* representative, and his agents. The members of Comintern were used actively on various stages of operation.
3. There were some Spaniards, who participated in kidnapping and assassination of Andreu Nin, but their names remain unknown.
4. Some authors either renounce or mitigate the guilt of the Spanish Government and of Prime Minister Juan Negrín in the case of Andreu Nin. Nevertheless, it is obvious that Negrín had no objections to the explanations made by Orlov and his agents.
5. There are still some unanswered questions. It is impossible to say when was brought Nin to Alcalá de Henares; when was he killed; was he assassinated or he died during the torture; in which prison was he tortured; where was hidden his corpse, etc.

## ЗААЛ ГОГЕНИЯ

### ОПЕРАЦИЯ «НИКОЛАЙ» И ДЕЛО АНДРЕ НИНА

Жертвами начатой по указу Сталина в 1936 г. антитроцкистской кампании стали действовавшая в Каталонии Рабочая Партия Марксистского Единства (ПОУМ) и её лидер Андре Нин. Существует много вопросов по делу Андре Нина. Во время гражданской войны все объясняли по своему исчезновению Андре Нина и понадобилось 55 лет для подтверждения ранее высказанных версий. На многие из вопросов были даны ответы в исследовании Долорес Женовес и её документальном фильме «Операция Николай», которое было показано на каталонском телевидении ТВ-3 в декабре 1992 года.

Несмотря на это, современными историками высказаны различные версии относительно конкретных деталей «Операции Николай». Интересные мнения встречаются в работах Элен Грэхем, Анхель Виньяс и др.

На основе различных версий, архивных материалов и соответствующих исследований можно сделать следующие выводы:

1. Нет никаких сомнений в том, что Кремль открыто боролся против ПОУМ. Это подтверждается документами из архивов Коминтерна и КГБ.
2. Заговор против ПОУМ и убийство Андре Нина были спланированы представителем НКВД Александром Орловым и его агентами. На различных этапах операции активно подключались члены Коминтерна.
3. В похищении и убийстве участвовали и испанцы, однако до сих пор неизвестны их имена.
4. Некоторые авторы отрицают либо смягчают вину правительства и конкретно премьер-министра Хуана Негрина в деле Нина. Тем не менее, Негрин с охотой принял объяснения, которые были представлены Орловым и его агентами.
5. Существуют конкретные вопросы на которых пока нет ответов. Доподлинно неизвестно, когда был доставлен Нин в Алькала-де-Энарес, когда его убили, был ли он убит или он умер во время пытки, в какой тюрьме его пытали, куда был спрятан его труп и т.д.

## თეიმურაზ პაპასქირი

### თურქეთის საკითხი სსრკ-გერმანიის ურთიერთობებში 1940 წელს

საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკაში თითქმის ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა თურქეთის საკითხს. გამონაკლისი არც მეორე მსოფლიო ომის დროინდელი პერიოდი იყო. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში განიცადა საბჭოთა პოლიტიკამ სერიოზული სახეცვლილება ამ მიმართულებით. თავდაპირველად ის აქცენტს აკეთებდა მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხზე და მონტრეს კონვენციის რევიზიაზე, მოგვიანებით კი გაცხადდა საბჭოთა ტერიტორიული პრეტენზიებიც.

მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე (1940 წლის ივნისის ჩათვლით) საბჭოთა პოზიციები ძირითადად თანხვედრაში იყო საკითხისადმი გერმანიის დამოკიდებულებასთან. უფრო მეტიც, ინტერესების ერთგვარი, უნებლიე დამთხვევა ამ საკითხზე საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის შეინიშნება ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1939 წლის ივნისში გერმანიის ელჩმა სსრკ-ში ვერნერ ფონ შულენბურგმა ბერლინს აცნობა, რომ საბჭოთა მხარემ, კერძოდ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვლადიმირ პოტიომკინმა შეძლო თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულების გაფორმების შეჩერება.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მცირეოდენი განმარტება. ვ. პოტიომკინი თურქეთში გაემგზავრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, მაქსიმ ლიტვინოვის დავალებით 1939 წლის აპრილის მიწურულს. პოტიომკინის თურქეთში ყოფნის პერიოდში საბჭოთა მთავრობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი შეითავსა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მეთაურმა ვიჩესლავ მოლოტოვმა, რომელთან კონფლიქტის გამოც დატოვა პოსტი ლიტვინოვმა (იხ.: *Документы внешней политики СССР* (შემდგომში *ДВП СССР*), 1939. Т. XXII. В 2 кн. Кн. 1. Январь – август. Москва: *Международные отношения*, 1992, გვ. 327). აღსანიშნავია, რომ პირველივე დეპუტით მოლოტოვმა პოტიომკინს შეატყობინა, რომ შეეძლო თურქეთის დატოვება, ვინაიდან მისი „ძირითადი მისია იყო ზონდაჟი და ინფორმაციის მოპოვება“ (იხ.: *ДВП СССР*, 1939, т. XXII, кн. 1, გვ. 328). ძნელი დასაჯერებელია, რომ მოლოტოვის მიერ გამოთქმული მოტივი სინამდვილეს შეეფერებოდეს, რადგანაც მოლაპარაკებების ჩატარების ინიციატივა საბჭოთა მხარისაგან მოდიოდა და მიზნად ისახავდა „ბალკანეთსა და შავი ზღვის აუზში შექმნილი ახალი სიტუაციის გამო... შესაძლო აგრესიისაგან თავდაცვის ზომების განსაზღვრას“ (იხ.: *ДВП СССР*, 1939, т. XXII, кн. 1, გვ. 278-279).

შულენბურგი მაშინ ამას ხსნიდა იმ გარემოებით, რომ თურქეთისა და საბჭოთა მხარის პოზიციები თანხვედრაში უნდა ყოფილიყო და ბრიტანელებთან შეთანხმებები ერთდროულად უნდა გაფორმებულიყო.<sup>1</sup> ძნელი სათქმელია რამდენად სწორია შულენბურგისეული ეს ახსნა. დღესაც კი ამ საკითხის განხილვისას საკმაოდ დიდ სირთულეებს ვაწყდებით ინფორმაციის ნაკლებობის გამო, თუმცა არსებული მონაცემები (კერძოდ, თურქეთის პრეზიდენტის ისმეთ ინონიუსა და მეჭმეთ სარაჯოლლუს პოტიომკინთან 1939 წლის 5 მაისს გამართული შეხვედრის ჩანაწერი) გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ, როგორც ჩანს, შულენბურგი ცდებოდა პოტიომკინის ქმედებების შეფასებაში.

პირველ რიგში, აქ საყურადღებოა ერთი გარემოება: ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ თურქები, პირიქით, ელოდნენ, როდის გაფორმდებოდა ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ბრიტანეთს შორის (და არა საბჭოთა მხარე არწმუნებდა მათ მოცდას). არ არის გამორიცხული, ამგვარი მოლოდინის მიზეზი იყო ის, რომ თურქული მხარე 1939 წლის გაზაფხულზე ბოლომდე არ იყო დარწმუნებული ბრიტანეთისა და საფრანგეთის მზადყოფნაში, წინ აღდგომოდა ლერძის ქვეყნების ექსპანსიას. ფაქტობრივად, ყოველივე ამაზე მიაწინა თურქეთის პრეზიდენტმა ისმეთ ინონიუმ პოტიომკინს მასთან 1939 წლის 5 მაისს გამართული შეხვედრისას.<sup>2</sup> ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია – ყოველივე ეს ემთხვეოდა გერმანიის ინტერესებსაც. გერმანია იმ დროს ასევე ყოველნაირად ცდილობდა თურქეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელშეკრულების გაფორმებისთვის ხელის შეშლას.<sup>3</sup>

23 აგვისტოს, პაქტის ხელმოწერის წინ საბჭოეთის ლიდერ იოსებ სტალინთან გამართული მოლაპარაკებების დროს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას თურქეთის პოზიციით და აცხადებდა, რომ ინგლისმა 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დახარჯა თურქეთში ანტიგერმანული პროპაგანდის გასატარებლად.<sup>4</sup> სწორედ ამიტომ, გერმანული მხარე ცდილობდა საბჭოთა კავშირის გამოყენებასაც და სთხოვდა მას, გამო-

---

საბჭოთა მხარეს სურდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეჭმეტ სარაჯოლლუს თბილისში ან ბათუმში ჩამოსვლა, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ მიიღო ეს შემოთავაზება (გარკვეული პრობლემების მომიზეზებით) და ითხოვა პოტიომკინის ჩასვლა ანკარაში (იხ.: *ДВП СССР, 1939*, т. XXII, кн. 1, გვ. 281), რაც განხორციელდა კიდევც.

<sup>1</sup> *Documents on German Foreign Policy (შემდგომში DGFP), 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. VI. The Last Months of Peace: March – August 1939. London: Her Majesty's Stationary Office, 1956, გვ. 644.*

<sup>2</sup> იხ.: *ДВП СССР, 1939*, т. XXII, кн. 1, გვ. 333.

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. VI, გვ. 658-659, 671-673.*

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. VII. The Last Days of Peace: August 9 – September 3, 1939. London: Her Majesty's Stationary Office, 1956, გვ. 226.*

ეყენებინა თავისი გავლენა, რათა თურქეთი ნეიტრალური დარჩენილიყო.<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ მოლოტოვი გაგებით მოეკიდა ამ თხოვნას და აღნიშნა, რომ სსრ კავშირისთვის ასევე სასურველი იყო თურქეთის ნეიტრალურად დარჩენა.<sup>2</sup>

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა და თურქეთმა გაააქტიურა მცდელობები ინგლისთან და საფრანგეთთან ხელშეკრულების ხელმოსაწერად. ამ დროისთვის უკვე არსებობდა თურქეთ-ბრიტანეთისა (1939 წლის 12 მაისი) და თურქეთ-საფრანგეთის (1939 წლის 23 ივნისი) დეკლარაციები. ანკარის თანდათანობით გადახრას ინგლის-საფრანგეთის ბლოკისკენ თავისი მიზეზები გააჩნდა. პირველ რიგში, თურქეთი უფრთხოდა იტალიის გააქტიურებას ხმელთაშუაზღვისპირეთში, მეორე მხრივ კი, ფრანგები დაპირდნენ მათ ჰატაის პროვინციის გადაცემას (მანამდე სირიას ეკუთვნოდა), რაც მოხდა კიდევ ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, 29 ივნისს. ბუნებრივია, ეს ინვევდა გერმანიის უკმაყოფილებას, რის შესახებაც გერმანიის მთავრობამ არაერთხელ მიმართა თურქეთის ხელისუფლებას.<sup>3</sup> თუმცა, როგორც ეს სწორად შენიშნა გერმანიის ელჩმა თურქეთში ფრანც ფონ პაპენმა, ამ ქმედებებს შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ცალ-ცალკე ხელშეკრულებების გაფორმების ნაცვლად თურქეთის მთავრობამ დაიწყო ფიქრი ინგლისთან და საფრანგეთთან სამმხრივი პაქტის გაფორმებაზე,<sup>4</sup> რაც მოგვიანებით განხორციელდა კიდევ.

ბუნებრივია, ეს განსაკუთრებით მიუღებელი იყო გერმანიისთვის, რომელიც უკვე ამ ქვეყნებთან საომარ მოქმედებებში იმყოფებოდა, მაგრამ არც სსრ კავშირისთვის, რომელიც იმ მომენტში გერმანიის პირდაპირ მოკავშირეს წარმოადგენდა, იყო მაინცდამაინც მომგებიანი თურქეთის გადასვლა მოწინააღმდეგის ბანაკში. ამიტომ 1939 წლის შემოდგომაზე მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკებები მეჭმეტ სარაჯოლლუსთან. მოსკოვი უკვე ცდილობდა თურქეთთან არა ნეიტრალიტეტის, არამედ ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერას.<sup>5</sup> სარაჯოლლუ მოსკოვში 1939 წლის 26 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე იმყოფებოდა, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. უფრო მეტიც, როგორც თურქი მკვლევარი იუჯელ გიუჩლუ ამტკიცებს, მოსკოვში მოლაპარაკე-

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. VII, გვ. 496.*

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. VII, გვ. 522.*

<sup>3</sup> იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. VI, გვ. 764-765.*

<sup>4</sup> იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. VI, გვ. 1009.*

<sup>5</sup> *ДВП СССР, 1939. Т. XXII. В 2 кн. Кн. 2. Сентябрь – декабрь. Москва: Международные отношения, 1992, гв. 148.* უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მხარემ პირველი შეხვედრისას (1939 წლის 1 ოქტომბერი) ასევე სცადა თურქეთის დარწმუნება, არ დაედო ხელშეკრულება ინგლისთან და საფრანგეთთან, მაგრამ სარაჯოლლუსგან უარი მიიღო (იხ.: *ДВП СССР, 1939, т. XXII, кн. 2, гв. 146-147.*)

ბების ჩაშლამ დააჩქარა ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმების ხელმოწერა,<sup>1</sup> რომელიც 19 ოქტომბერს შედგა და ამით საკითხი ფაქტობრივად დაიხურა. როგორც მოლოტოვის მიერ 1939 წლის 31 ოქტომბერს გაკეთებული მოხსენება ცხადყოფს, საბჭოთა კავშირი მეტად უკმაყოფილო დარჩა ასეთი გადაწყვეტილებით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და იმავდროულად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა აღნიშნა, რომ თურქეთმა საბოლოოდ თქვა უარი ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე. მან ასევე განაცხადა, რომ საბჭოთა მხარე „არ აპირებდა მარჩიელობას, ინანებდა თუ არა თურქეთი ამ ნაბიჯს“, რამაც „დარბაზში გამოცოცხლება გამოიწვია“.<sup>2</sup> გარდა ამისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა პასაჟმაც. 1939 წლის 31 ოქტომბრის სიტყვაში მოლოტოვმა კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს საბჭოთა მხარემ თურქეთისაგან მოითხოვა ყარსისა და არტაანის (თურქ. არდაჰანი) გადაცემა.<sup>3</sup> აქ საინტერესო ის არის, რომ 1939 წლის შემოდგომაზე მსგავსი ხმების გავრცელება სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მიერ არ არის დაფიქსირებული. ჩვენი აზრით, მოლოტოვის ეს განცხადება გარკვეულწილად დიპლომატიური ხრიკი იყო და არარსებული ხმების უარყოფით მან ფაქტობრივად დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირს გააჩნდა პრეტენზიები თურქეთისადმი.<sup>4</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც გერმანია იყო მაინცდამაინც დაინტერესებული საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ხელშეკრულების გაფორმებით. როგორც ეს ჩანს რიბენტროპის 7 ოქტომბრის წერილიდან შულენბურგისადმი, მთავარი ამოცანა იყო, რომ საბჭოთა მხარეს დაერწმუნებინა თურქეთი, რათა ამ უკანასკნელს გადაეფიქრებინა ინგლისთან და საფრანგეთთან პაქტის დადება. გარდა ამისა, აქვე საბჭოთა მხარეს ახსენებდნენ, რომ, თურქეთთან ხელშეკრულების გაფორ-

---

<sup>1</sup> **Yücel Güçlü.** The Uneasy Relationship: Turkey's Foreign Policy towards the Soviet Union at the Outbreak of the Second World War. – *The Turkish Yearbook*, vol. XXVIII, 1998, გვ. 133.

<sup>2</sup> იხ.: *Внеочередная пятая сессия Верховного Совета СССР 31 октября – 2 ноября 1939 г.* Стенографический отчет. Издание Верховного Совета СССР. Москва, 1939, გვ. 20.

<sup>3</sup> *Внеочередная пятая сессия Верховного Совета СССР 31 октября..*, გვ. 20.

<sup>4</sup> აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1945 წელს, პოტსდამის კონფერენციაზე საბჭოთა მხარემ ოფიციალურად მოითხოვა ართინის, არტაანისა და ყარსის ოლქები (იხ.: *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conference of Berlin (The Potsdam Conference), 1945. Vol. II.* United States Government Printing Office, Washington, 1960, გვ. 257, 267; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. VI. Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (17 июля – 2 августа 1945г.). Сборник документов. Москва, 1980, გვ. 145).

მების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ჩაენერა დოკუმენტში პუნქტი, რომლითაც სსრ კავშირი უარს იტყოდა გერმანიის წინააღმდეგ ნებისმიერ აქციაში მონაწილეობაზე, რადგანაც ეს გამომდინარეობდა სსრკ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტიდან.<sup>1</sup>

აღნიშნული წერილი შულენბურგმა საბჭოთა მხარეს მომდევნო დღეს გააცნო. გერმანიის ელჩთან შეხვედრისას მოლოტოვმა განმარტა, რომ პაქტი ამას არ ითვალისწინებდა, მაგრამ საბჭოთა კავშირი, გერმანიასთან მეგობრობის გამო, მაინც გააკეთებდა ასეთ ჩანაწერს, თუმცა იქვე ეჭვი გამოთქვა თურქეთთან ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობაში.<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ შულენბურგის მოხსენებაში არ გვხვდება მოლოტოვის სიტყვები, თითქოს საბჭოთა მხარის აზრით, „მსგავსი ჩანაწერის აუცილებლობა არ გამომდინარეობდა პაქტით აღებული ვალდებულებებიდან“.<sup>3</sup> არადა, სსრკ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების IV პუნქტი ცალსახად განსაზღვრავდა, რომ ხელმომწერი მხარეები არ უნდა გაერთიანებულიყვნენ მეორე მხარის წინააღმდეგ პირდაპირ თუ ირიბად მმართველი სახელმწიფოების დაჯგუფებაში.<sup>4</sup>

ჩვენი აზრით, გერმანული დოკუმენტი უფრო ზუსტად ასახავს მოლოტოვისა და შულენბურგის საუბრის შინაარსს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანიის ელჩი აუცილებლად შეატყობინებდა თავის ხელმძღვანელობას, რომ საბჭოთა მხარე პაქტის პირობებს განსხვავებულად განიხილავდა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ 18 ოქტომბერს სტალინმა, სარაჯოლლუსთან უკანასკნელი საუბრისას, თავად მოსთხოვა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს თურქეთ-საფრანგეთ-ინგლისის სამმხრივ შეთანხმებაში ისეთი მუხლის შეტანა, რომელიც ხელშეკრულებას გაუქმებულად გამოაცხადებდა მისი როგორც სსრ კავშირის, ისე გერმანიის წინააღმდეგ გამოყენების შემთხვევაში.<sup>5</sup>

აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს შეხვედრა უბრალოდ გასაიდუმლოებული იყო. როგორც ი. გიუჩლუ აღნიშნავს, თურქულ არქივებში სარაჯოლლუს მოსკოვში ვიზიტის შესახებ საერთოდ არაფერი იძებნება.<sup>6</sup> აზერბაიჯანელ ისტორიკოსის ჯამილ ჰასანლის (მან ამ საკითხის ირგვლივ არსებული რუსულ არქივების მასალები დაამუშავა) დაკვირვებით კი სარაჯოლლუმ მოსკოვი 16 ოქტომ-

<sup>1</sup> იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. VIII. The War Years: September 4, 1939 – March 18, 1940.* Washington: United States Government Printing Office, 1954, გვ. 236.

<sup>2</sup> იხ.: *ДВП СССР, 1939, т. XXII, кн. 2, гв. 170.*

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. VIII, гв. 244.*

<sup>4</sup> იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. VII, гв. 246; ДВП СССР, 1939, т. XXII, кн. 1, гв. 333.*

<sup>5</sup> იხ.: *Yücel Güçlü. The Uneasy Relationship..*, გვ. 133.

<sup>6</sup> *Yücel Güçlü. The Uneasy Relationship,* გვ. 134.



ბერს დატოვა,<sup>1</sup> ამდენად მან არაფერი იცის სტალინისა და სარაჯოლ-ლუს 18 ოქტომბრის საუბარზე.

მიჯობრუნდეთ საბჭოთა მხარის პოზიციას. აშკარა იყო, რომ ოფიციალური მოსკოვი სულ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა თურქეთის პოზიციის ცვლილებით. 1939 წლის 7 დეკემბერს სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ალექსეი ტერენტიევი იტყობინებოდა, რომ თურქული გაზეთები უკიდურესად ანტისაბჭოთა განწყობილებით გამოირჩევიან და რომ სსრკ-ფინეთის ომთან დაკავშირებით საბჭოთა მხარეს „აგრესორად“ და „დამპყრობლად“ მოიხსენიებენ. ა. ტერენტიევის თქმით, ეს თურქეთის მთავრობის მიერ იყო ინსპირირებული.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, 1939 წლის მიწურულსა და 1940 წლის პირველ ნახევარში თურქეთის მთავრობის მიმართ რაიმე ოფიციალურ დემარშს ადგილი არ ჰქონია. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ საფრანგეთის ომიდან გამოსვლის შემდეგ. უკვე 1940 წლის 25 ივნისს შედგა მოლოტოვის შეხვედრა სსრ კავშირში იტალიის ელჩ აუგუსტო როსოსთან,<sup>3</sup> რომელზეც მეტად საყურადღებო მომენტი იქნა დაფიქსირებული. მოლოტოვმა იტალიელ დიპლომატს გადასცა ბარათი. ამ დოკუმენტის მნიშვნელობის გამო მოვიყვანთ ამონარიდს, რომელიც, ჩვენი აზრით, ცხადყოფს საბჭოთა მხარის განწყობას თურქეთის მიმართ 1940 წლის ზაფხულში:

*„...თურქეთი უნდობლობას იწვევდა სსრკ-ს (და არა მარტო სსრკ-ს) მიმართ გამჟღავნებული არამეგობრული დამოკიდებულების გამო, კერძოდ, ინგლისსა და საფრანგეთთან პაქტის დადებასთან დაკავშირებით. ეს უნდობლობა ძლიერდება თურქეთის მისწრაფების გამო, საბჭოთა კავშირს უკარნახოს თავისი მისწრაფებები შავ ზღვაზე სრუტეებში ერთპიროვნული ბატონობის გზით, აგრეთვე, ბათუმის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებიდან საბჭოთა კავშირისთვის დამუქრების პრაქტიკის ათვისებით. რაც შეეხება თურქეთის სხვა რაიონებს, სსრკ ითვალისწინებს იტალიის ინტერესებს, აგრეთვე გერმანიის ინტერესებს და მზადაა, მოელაპარაკოს მათ ამ საკითხზე.*

<sup>1</sup> იხ.: **Джамил Гасанлы.** СССР – Турция: от нейтралитета к холодной войне (1939-1953). Москва: «Центр Пропаганды», 2008, გვ. 64.

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1939*, т. XXII, кн. 2, გვ. 379-380.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა 1939 წლის დეკემბერში, როდესაც საბჭოთა მხარემ დაადასტურა იტალიელები ფინელების დახმარებაში. ამასთან დაკავშირებით, 9 დეკემბერს სსრ კავშირმა გამოიწვია თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნიკოლაი გორელკინი (იხ.: *ДВП СССР, 1939*, т. XXII, кн. 2, გვ. 387), რასაც იტალიის ხელისუფლების მიერ ანალოგიური ნაბიჯი მოჰყვა. ქვეყნებს შორის სრული დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა მხოლოდ 1940 წლის ივნისში და პირველი სრულფასოვანი შეხვედრა მოლოტოვსა და როსოს შორის შედგა 20 ივნისს (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*. Т. XXIII. В 3 кн. Кн. 1. 1 Января – 31 октября 1940 г. Москва: Международные отношения, 1995, გვ. 355-356).

რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვას, სსრკ სავსებით სამართლიანად თვლის, რომ იტალიამ მიიღოს უპირატესი მდგომარეობა ამ ზღვაში. ამასთან, სსრკ იმედოვნებს, რომ იტალია გაითვალისწინებს სსრკ-ს, როგორც მთავარი შავიზღვისპირა სახელმწიფოს, ინტერესებს“.<sup>1</sup>

უნდა ითქვას, რომ მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ სრუტეების საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა მხარემ თავისი პოზიციები დააფიქსირა არა მხოლოდ იტალიასთან, არამედ ინგლისთანაც. ისინი აცხადებენ, რომ 1940 წლის 1 ივლისს სტალინიმა მოინონა დიდი ბრიტანეთის ელჩ სტაფორდ კრიპსის მიერ წამოყენებული თხოვნა თურქეთსა და რუსეთს შორის შუამავლობის შესახებ, იმ პირობით, რომ მოხდებოდა მონტრეს კონვენციის რევიზია. მათი თქმით, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი იდენმა მას შემდეგ თქვა უარი ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების გადადგმაზე, რაც წააწყდა თურქების უარყოფით რეაქციას.<sup>2</sup> როგორც სტალინისა და კრიპსის საუბრის რუსული ჩანაწერიდან ირკვევა, საბჭოთა ლიდერმა მართლაც წარმოთქვა შემდეგი ფრაზა: „...მე ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობები (იგულისხმება სსრკ-თურქეთის ურთიერთობები – თ.პ.) ნამდვილად საჭიროებს გაუმჯობესებას. თუ დიდი ბრიტანეთი აპირებს ზომების მიღებას ამ ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, ჩვენ სანინალმდეგო არაფერი გვექნება“.<sup>3</sup>

ერთი შეხედვით, ეს თითქოს მართლაც არის თანხმობა, თუმცა, ჩვენი აზრით, აქ უფრო ადგილი ჰქონდა უბრალოდ დიპლომატიურ პასუხს, რადგანაც, როგორც საუბრის დანარჩენი ნაწილი ცხადყოფს, სტალინი პრაქტიკულად ყველა საკითხზე აფიქსირებდა თავის პოზიციას და სულაც არ აღეშვებდა, რამდენად მისაღები იყო ის ბრიტანული მხარისთვის.<sup>4</sup> თანაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ სტალინი, იმ დროისთვის არსებულ სიტუაციაში, რაიმე რევერანსებზე წასულიყო ბრიტანელების მიმართ. ამას ადასტურებს ისიც, რომ, მიუხედავად დიდი მცდე-

<sup>1</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 1, გვ. 373-374. აღსანიშნავია, რომ როსომ პრაქტიკულად სრულად გადასცა ამ ბარათის შინაარსი შულენბურგს, რომელმაც დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ ბერლინს (DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. X. The War Years: June 23 – August 31, 1940. Washington: United States Government Printing Office, 1957, გვ. 22-23).

<sup>2</sup> Sir Llewellyn Woodward. British Foreign Policy in the Second World War. Vol. I. London: Her Majesty's Stationary Office, 1970, გვ. 504-506; William Hale. Turkish Foreign Policy since 1774. Third Edition. London and New York: Routledge, 2013, გვ. 61. უნდა აღინიშნოს, კიდევ ერთი ავტორი, კერძოდ, ალექსანდერ მაკფი, ისე ხატავს სიტუაციას, თითქოს სტალინიმა თავად გაანდო ეს სურვილი კრიპსს (იხ.: A. L. Macfie. The Turkish Straits in the Second World War, 1939-45. – In: Middle Eastern Studies, Vol. 25, No. 2 (Apr., 1989), გვ. 242). ეს, ცოტა არ იყოს, გასაკვირიცაა, რადგანაც ის ეყრდნობა ლეველინ ვუდჰორდის მონაცემებს – თ.პ.

<sup>3</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 1, გვ. 397.

<sup>4</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 1, გვ. 394-399.

ლობებისა, ამ საუბარიდან თვეზე მეტი ხნის განმავლობაში კრიპსი შეხვედრითაც კი ვერ შეხვდა მოლოტოვს.<sup>1</sup> გარდა ამისა, 13 ივლისს მოლოტოვმა შულენბურგს გადასცა მემორანდუმი კრიპსისა და სტალინის შეხვედრის შესახებ, რომელშიც მოცემული იყო კრიპსის კითხვები და სტალინის პასუხები.<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ მემორანდუმი მთავრდება და თურქეთის საკითხით და მასში მოცემული იყო სტალინის სიტყვები, რომ „საბჭოთა კავშირი ნამდვილად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის ექსკლუზიურ იურისდიქციას სრუტეებზე და თურქეთის მხრიდან პირობების დიქტატს შავ ზღვაში“, რაზეც თურქეთის ხელისუფლება ინფორმირებული იყო.<sup>3</sup> ასე რომ, რაიმე გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება სტალინისა და კრიპსის საუბრისადმი ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია.

ამასობაში საუბრები თურქეთის საკითხზე გასცდა კულისებს და ოფიციალურ დონეზე გადაინაცვლა. თურქეთის მიმართ საბჭოთა მხარის განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ე.წ. მე-5<sup>4</sup> და მე-6<sup>5</sup> „თეთრი წიგნების“ გამოქვეყნებამ. 5 ივლისს საბჭოთა ოფიციალურმა გამოცემებმა „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ თავისი პირველი გვერდები ანტითურქულ სტატიებს დაუთმეს<sup>6</sup> და

---

<sup>1</sup> მოლოტოვმა კრიპსი მიიღო 7 აგვისტოს და მასთან საუბარი საკმაოდ მკაცრ ტონში აწარმოა (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 485-488), რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ 1940 წლის ზაფხულში საბჭოთა მხარე დიდ ბრიტანეთთან რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე წასვლას არც აპირებდა.

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. X, გვ. 207-208. მოლოტოვისა და შულენბურგის 13 ივლისის შეხვედრის ამსახველ საბჭოთა დოკუმენტში რატომღაც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გერმანიის ელჩს გადასცა სტალინისა და კრიპსის საუბრის ჩანაწერი (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 434), რაც აშკარად არასწორია. შულენბურგის მიმონერა რიბენტროპთან ცხადყოფს, რომ საუბარი იყო სწორედ მემორანდუმზე, რომელშიც მოკლედ იყო გადმოცემული შეხვედრაზე განხილული საკითხები (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. X, გვ. 208).

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. X, გვ. 208. ვინაიდან საბჭოთა კავშირი სისტემატურად ითხოვდა მონტრეს კონვენციის რევიზიას, ეს ფრაზა არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, თუ როდის მოხდა თურქეთის ხელისუფლების ინფორმირება ამ საკითხზე – 1940 წლის ივლისში თუ უფრო ადრე – **თ.პ.**

<sup>4</sup> *Weitere Dokumente zur Kriegsausweitungspolitik der Westmächte. Die Generalstabsbesprechungen Englands und Frankreichs mit Belgien und den Niederlanden. Fünftes Weißbuch der Deutschen Regierung. Auswärtiges Amt, 1940, Nr. 5.*

<sup>5</sup> *Die Geheimakten des französischen Generalstabes. Sechstes Weißbuch der Deutschen Regierung. Auswärtiges Amt, 1939/41, Nr. 6.* ამ კრებულიდან მოყვანილ თითოეულ დოკუმენტზე მითითებულია გვერდების ორი ვარიანტი: პირველზე მოცემულია გერმანული თარგმანი, მეორეზე – ფრანგული ორიგინალის ასლი – **თ.პ.**

<sup>6</sup> *Документы, разоблачающие англо-французских организаторов войны.* – Газ. «Правда», №185, 5 июля 1940 г., გვ. 1; *Разоблаченные планы организаторов войны.* – Газ. «Известия», №153, 5 июля 1940 г., გვ. 1.

გადმოხედავს ამ კრებულების რამდენიმე დოკუმენტი.<sup>1</sup> განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწორედ ირანისა და, განსაკუთრებით, თურქეთის მონაწილეობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაგეგმილ შესაძლო ოპერაციებში. „პრავდაში“ განხილული იყო თურქეთში საფრანგეთის ელჩის, რენე მასილის 14 მარტის წერილი, რომელშიც ის საფრანგეთის მთავრობას აცნობებდა, რომ თურქეთი არ შეუშლიდა ხელს ბაქოს და ბათუმის დაბომბვას<sup>2</sup> და გენ. მაქსიმ ვეიგანის 1940 წლის 7 მარტის დეპეშა გენ. მორის გამლენისადმი ბაქოს თურქული აეროდრომებიდან დაბომბვის შესაძლებლობის შესახებ.<sup>3</sup> „იზვესტია“ ყურადღებას ამახვილებდა რენე მასილის 14 მარტის წერილის სხვა ნაწილზე, რომელშიც ის ბაქოს დაბომბვის შესაძლო შედეგებზე საუბრობდა.<sup>4</sup>

თურქული მხარე უალრესად შეაშფოთა აღნიშნულმა პუბლიკაციებმა. ნ. ივლისს, ნ. ტერენტიევი დაემშვიდობა სარაჯოლლუს (სსრკ-ს ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი სერგეი ვინოგრადოვი რამდენიმე დღეში უნდა ჩასულიყო თურქეთში – თ.პ.), რომელმაც წუხილი გამოთქვა ამ დოკუმენტების „მოსკოვის მიერ არასწორი გაგების გამო“ და უარყო თურქული მხარის მონაწილეობა ნებისმიერ სახის ანტისაბჭოთა აქციაში.<sup>5</sup> ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ შეხვედრის ჩანაწერის კიდევ ერთმა ნაწილმა, რომელშიც სარაჯოლლუმ ხაზი გაუსვა, რომ თურქეთმა თავის დროზე სასტიკად დაგმო ბათუმისა და ბაქოს თავზე უცნობი თვითმფრინავების მიერ განხორციელებული გაფრენები და დაიმუქრა მომავალში მათი ჩამოგდებით.<sup>6</sup> პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა დოკუმენტების კრებულში რატომღაც არ არის დაფიქსირებული პროტესტი თურქეთის მისამართით ბათუმის თავზე ამოუცნობი თვითმფრინავის გადაფრენის გამო, თუმცა, როგორც ჩანს, რაღაც სახის გაფრთხილებას ნამდვილად ჰქონდა ადგი-

<sup>1</sup> *Документы германской шестой „Белой книги“. О планах нападения Франции и Англии на СССР и об участии в этом нападении Турции и Ирана.* – Газ. «Правда», №185, 5 июля 1940 г., გვ. 2; *Пятая „Белая книга“ германского министерства иностранных дел.* – Газ. «Правда», №185, 5 июля 1940 г., გვ. 3-4; *Документы германской шестой „Белой книги“. О планах нападения Франции и Англии на СССР и об участии в этом нападении Турции и Ирана.* – Газ. «Известия», №153, 5 июля 1940 г., გვ. 2-3; *Пятая „Белая книга“ германского министерства иностранных дел.* – Газ. «Известия», №153, 5 июля 1940 г., გვ. 3.

<sup>2</sup> იხ.: Газ. «Правда», №185, 5 июля 1940 г., გვ. 1; შდრ.: *Die Geheimakten des französischen Generalstabes*, გვ. 60, 234-235.

<sup>3</sup> იხ.: Газ. «Правда», №185, 5 июля 1940 г., გვ. 1; შდრ.: *Die Geheimakten des französischen Generalstabes*, გვ. 57-58, 229-230.

<sup>4</sup> Газ. «Известия», №153, 5 июля 1940 г., გვ. 1; შდრ.: *Die Geheimakten des französischen Generalstabes*, გვ. 60, 234-235.

<sup>5</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 420.

<sup>6</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 420-421.

ლი.<sup>1</sup> მეორეც, საინტერესოა, თუ საიდან იცოდა სარაჯოლლუმ ამოუცნობი თვითმფრინავების მიერ ბაქოზე გადაფრენის ამბავი, როდესაც საბჭოთა მხარემ ოფიციალურად ირანელებთან დააფიქსირა მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით შემოფრენა მის ტერიტორიაზე?<sup>2</sup>

აქვე ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფაქტი: მიუხედავად „პრაკდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნებული გამანადგურებელი სტატიებისა, საბჭოთა ხელმძღვანელობამ არც თურქეთის ელჩი დაიბარა განმარტებების მისაღებად და არც რაიმე სახის ოფიციალური ნოტა გადასცა თურქეთის ხელისუფლებას. თურქეთის ელჩი ალი ჰაიდარ აქტაი, რომელიც, საკუთარი ინიციატივით, ორჯერ ესტუმრა საგარეო საქმეთა სამინისტროს 9 და 11 ივლისს, მაგრამ ის მოლოტოვმა არ მიიღო და მას შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე სოლომონ ლოზოვსკი, თუმცა ამ უკანასკნელსაც არ დაუფიქსირებია რაიმე ოფიციალური პროტესტი.<sup>3</sup> იგივე სურათს ვხედავთ იმ პერიოდის სხვა საუბრებშიც საბჭოთა და თურქ დიპლომატებს შორის.<sup>4</sup> მხოლოდ 9 აგვისტოს, პუბლიკაციებიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, მიიღო მოლოტოვმა აქტაი. აღნიშნული შეხვედრისას მთავარმა საბჭოთა დიპლომატმა აღნიშნა, რომ არ არსებობდა საფუძველი ურთიერთობების გაუარესებისთვის, მაგრამ მათი გაუმჯობესებისთვის თურქეთის მთავრობას უნდა ეფიქრა, თუ რა ჰქონდა გასაკეთებელი.<sup>5</sup>

ამასთან დაკავშირებით, დგება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: რა უნდა გაეკეთებინა თურქეთს სსრ კავშირთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად? ამკარაა, რომ აქ არ მიდიოდა საუბარი უბრალოდ ინგლისთან ხელშეკრულების განწყვეტაზე. ისმის კითხვა, ხომ არ ჰქონდა საბჭოთა კავშირს რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთთან უკვე 1940 წელს.<sup>6</sup> აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე ისტორიკოსების დი-

<sup>1</sup> იხ.: *Внешняя политика Советского Союза. Доклад Председателя Совета Народных Комиссаров и Народного Комиссара Иностранных Дел тов. В. М. Молотова на заседании Верховного Совета СССР 1 августа 1940 года.* – Журн. «Военная мысль», №8, 1940, გვ. 7.

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 211-212. როგორც შემდგომ გაირკვა დიდ ბრიტანეთში საბჭოთა ელჩის ივანე მაისკის წერილიდან, ბაქოს გადაუფრინა და საჰაერო ფოტოგადაღება ანარმოა ირანიდან აფრენილმა ინგლისურმა თვითმფრინავმა (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, 420, გვ. 227-228).

<sup>3</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 432-433.

<sup>4</sup> მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ რუმინეთში სსრკ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ა. ლავრენტიევის საუბრები რუმინეთში თურქეთის ელჩ ჰამდულაჰ სუფი ტანრიოვერთან (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 423-424, 429-432, 442-444).

<sup>5</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 1, გვ. 498.

<sup>6</sup> საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1945-1947 წლებში საბჭოთა მხარემ რამდენიმეჯერ ოფიციალურად დააყენა ეს საკითხი, რისთვისაც შესამზადებელი კამ-

დი ნაწილი ამ საკითხს ან გვერდს უვლის,<sup>1</sup> ან უბრალოდ ხელალებით უარყოფს ასეთ შესაძლებლობას, თანაც არგუმენტაციის გარეშე.<sup>2</sup> ამის საპირისპიროდ ზოგიერთ მკვლევარს, პირიქით, ეჭვიც არ ეპარება ასეთი პრეტენზიების არსებობაში.<sup>3</sup> ჩვენ ვეთანხმებით ამ უკანასკნელ მოსაზრებას, თუმცა, ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ საჭიროა მეტი დასაბუთება, რადგანაც ის მონაცემები, რომელთაც ეყრდნობა ინგლისელი ისტორიკოსი ნიკოლას ტამკინი, როგორც ჩანს, არცთუ ზუსტად ასახავს ვითარებას. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. ტამკინის მიერ მოყვანილი ამონარიდები ჰაიდარ აქტაის ორი წერილიდან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომელიც ხელში ჩაუვარდა ინგლისის დაზვერვას. თავის პირველ წერილში აქტაი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს „თურქეთისა და ირანისაგან საზღვრის გასწორებას“,<sup>4</sup> მეორე წერილში კი მოჰყავს მონაცემები ბათუმის საკონსულოდან, რომ დადის „ხმები თითქოს რუსები (ასეა ტექსტში – თ.პ.) სადაცაა დაიკავებენ ყარსს“.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, ნ. ტამკინს ყურადღება არ მიუქცევია, რომ აქტაის წერილები დათარიღებულია 1940 წლის 9 და 11 ივლისით, ანუ ზუსტად იმ დღეებით, როდესაც ის ცდილობდა მოლოტოვთან შეხვედრას, მაგრამ მიიღო მხოლოდ ლოზოვსკიმ.<sup>6</sup> ჩვენი აზრით, ერთადერთი, რაზეც მიუთითებს აღნიშნული წერილები, არის ის, რომ ამ დღეებში საბჭოთა მთავრობას, ლოზოვსკის პირით, ნამდვილად არ ნაუყენებია

---

პანია უკვე 1944 წლის მიწურულიდან დაიწყო. ამის შესახებ დანვრილებით იხ.: *ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან: საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში*. მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო *ჯაბა სამუშიამ*. თბილისი: „არტანუჯი“, 2003.

<sup>1</sup> იხ.: **Harry N. Howard**. Germany, Soviet Union, and Turkey During World War II. – *The Department of State Bulletin*, vol. XIX, No. 472, July 18, 1948, გვ. 63-78; **Б. М. Поцхверия**. Советско-турецкие отношения и проблема Проливов накануне, в годы второй мировой войны и в послевоенные десятилетия. – В кн.: *Россия и Черноморские проливы (XVIII-XX столетия)*. Отв. ред.: **Л. Н. Нежинский, А. В. Игнатьев**. Москва: «Международные отношения», 1999, გვ. 438-506; **Bülent Gökay**. Soviet Eastern Policy and Turkey, 1920-1991: Soviet Foreign Policy, Turkey and Communism. Routledge, 2006; **Джамиль Гасанлы**. СССР – Турция: от нейтралитета к холодной войне (1939-1953).

<sup>2</sup> **გიორგი სანიკიძე**. რამდენიმე მოსაზრება ირანისა და თურქეთის „კრიზისების“ შესახებ (II მსოფლიო ომის შემდგომი პირველი წლები). – *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VII. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, გვ. 166.

<sup>3</sup> **Nikolas Tamkin**. Britain, Turkey and the Soviet Union, 1940-1945: Strategy, Diplomacy and Intelligence in the Eastern Mediterranean. Palgrave Macmillan, 2009, გვ. 19-25.

<sup>4</sup> **Nikolas Tamkin**. Britain, Turkey and the Soviet Union, 1940-1945, გვ. 22.

<sup>5</sup> **Nikolas Tamkin**. Britain, Turkey and the Soviet Union, 1940-1945, გვ. 22.

<sup>6</sup> ჩვენი ვარაუდით, ტამკინისთვის ეს ამბავი უბრალოდ უცნობი იყო – **თ.პ.**

რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი.<sup>1</sup> ამას ადასტურებს თურქეთში გერმანიის ელჩი ფრანც ფონ პაპენიც, რომელიც 16 ივლისს ატყობინებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ სავარაუდოდ აქტა-იმ აცნობა ოფიციალურ ანკარას, რომ არანაირ მოთხოვნებს ჯერ ადგი-ლი არ ჰქონია. გარდა ამისა, მან იმავე წერილში აღნიშნა, რომ თურქე-ბი ასეთი მოთხოვნებისთვის მზად იყვნენ და არმია უკვე მობილიზებუ-ლი ჰყავდათ.<sup>2</sup> ფონ პაპენის უფრო გვიანდელი წერილიდან (1940 წლის 9 აგვისტო) ნათელი ხდება, რომ თურქეთმა სრული მობილიზაცია მო-ახდინა არა მარტო საბჭოთა კავშირთან საზღვარზე, არამედ თრაკიასა და ბოსფორის სრუტის გარშემოც.<sup>3</sup>

ერთი შეხედვით, ისე ჩანს, რომ 1940 წლის ივლისში საბჭოთა მხა-რეს ნამდვილად არ მიუძღრებოდა თურქეთის ხელისუფლებისადმი ტერი-ტორიული პრეტენზიებით. ამას თითქოს ადასტურებს 1940 წლის 12 ივ-ლისს საბჭოთა კავშირის ოფიციალური სააგენტო TACC-ის მიერ გავრცე-ლებული განცხადება, რომლითაც უარყოფილ იქნა დასავლურ პრესაში გავრცელებული ჭორები, თითქოს საბჭოთა კავშირმა ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა თურქეთს.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, არსებობს ერთი ცნობა, რომელიც გვხვდება გერმანიის საგარეო ურთიერთობების ამსახ-ველ კრებულში და რომელშიც პირდაპირ არის საუბარი საბჭოთა მოთ-ხოვნებზე. ესაა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს VII პოლიტი-კური განყოფილების დირექტორის, ვილჰელმ მელხერსის მოხსენებითი ბარათი (დათარიღებულია 1940 წლის 23 ივლისით), რომელშიც ის აღ-წერს საუბარს გერმანიაში თურქეთის საელჩოს მრჩეველ მ. ალკენდთან.<sup>5</sup>

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ალკენდმა მელხერსს შეატყობინა, რომ ის ელაპარაკა საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანს (გა-საგები მიზეზების გამო, ალკენდმა არ დააკონკრეტა მისი გვარი), რო-მელმაც დაუდასტურა, რომ საბჭოთა მხარემ ოფიციალურად დააყენა ორი კავკასიური პროვინციის დაბრუნების საკითხი და მოითხოვა ორი

---

<sup>1</sup> ამაზე მეტყველებს შულენბურგის მიერ სწორედ 11 ივლისს გაგზავნილი მოხ-სენებაც რიბენტროპისადმის, რომელშიც ის პირდაპირ წერს, რომ ირანისა და თურქეთის ელჩები ამტკიცებენ, რომ „ჯერჯერობით არანაირი მოთხოვნები არ წაყენებულა“ (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 195*).

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 233*.

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 489*.

<sup>4</sup> Газ. «Правда», №192, 12 июля 1940 г. გვ. 1. განსხვავებით 1939 წლის შემოდ-გომისაგან, ამჯერად ევროპაში ასეთი ხმები ნამდვილად მუსირებდა – **თ.პ.**

<sup>5</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 280-281*. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტს მოიხსენიებს ნ. ტამკინიც, ოღონდ მას ის რატომღაც ბრიტანელე-ბის მიერ ხელთ ჩაგდებულ მოხსენებებში მოცემული ინფორმაციის ამსახველად მიაჩნია (იხ.: **Nikolas Tamkin. Britain, Turkey and the Soviet Union, 1940-1945, გვ. 22**). დოკუმენტის შინაარსიდან კი აშკარა ხდება, რომ მელხერსის ბარათში სულ სხვა წყაროზეა საუბარი.

ბაზა სრუტეებზე.<sup>1</sup> აქვე მან ახსენა, რომ საბჭოთა მოთხოვნებს თურქულმა მხარემ უარით უპასუხა. ალკენდის წყაროს თანახმად, პასუხის საბოლოო რედაქტირება მოახდინა თავად პრეზიდენტმა ისმეთ ინონიუმ, რომელმაც აღნიშნა, რომ თურქეთმა პირველი მსოფლიო ომის შედეგად ტერიტორიის 2/3 დაკარგა და ის მოქცეული იყო „უკიდურესად მჭიდრო საზღვრებში“, რომლის „კიდევ უფრო შემცირება თურქეთის მოსახლეობას უბრალოდ აუტანელ მდგომარეობაში“ ჩააყენებდა.<sup>2</sup> ალკენდმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ სრუტეების საკითხს მონტრეს კონვენცია არეგულირებდა და საბჭოთა მხარე მშვენივრად ხედავდა, რომ თურქეთი არ ატარებდა მტრულ ხომალდებს. ალკენდის თქმით, თუ საბჭოთა კავშირი კვლავ დააყენებდა ტერიტორიული პრეტენზიების მოთხოვნას, ამას შედეგად მხოლოდ ომი მოჰყვებოდა. ალკენდმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მხარეს ძალზე გაუჭირდებოდა კავკასიური პროვინციების აღება, რადგანაც ისინი იოლი დასაცავი იყო.<sup>3</sup>

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ დოკუმენტიდან? პირველ რიგში, აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ფრაზამ: „ორი კავკასიური პროვინციის დაბრუნების საკითხი“. ჩვენი აზრით, სწორედ ეს სიტყვები ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ნამდვილად აუთენტურ ინფორმაციასთან. ეს მეტად საეჭვოდ ემთხვევა მოლოტოვის მიერ 1939 წლის 31 ოქტომბერს წარმოთქმულ ფრაზას, რომელზეც ჩვენ ზევით ვისაუბრეთ. ამასთან, ძნელი წარმოსადგენია, რომ ალკენდს შეეთხზა ისტორია, თითქოს პრეზიდენტმა უშუალოდ მოახდინა საბოლოო პასუხის რედაქტირება. ამავდროს, სავარაუდოა, რომ როგორც მოთხოვნების, ისე თურქული პასუხის მიწოდება მოხდა უშუალოდ თურქეთში, საბჭოთა საელჩოს გავლით,<sup>4</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში აქტაი ალბათ ბევრად უკეთესად იქნებოდა ინფორმირებული მოვლენების მსვლელობაზე.<sup>5</sup> გარდა ამ-

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 281.*

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 281.*

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 281.*

<sup>4</sup> ჩვენი აზრით, ეს საერთოდ ზეპირი ფორმით მოხდა. მსგავსი რამ საბჭოთა დიპლომატიაში არცთუ იშვიათი იყო. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 25 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გენერალური მდივანი არკადი სობოლევის მიერ ბულგარეთის პრემიერ მინისტრ ბოგდან ფილოვისთვის ზეპირად გადაცემული წინადადება ერთობლივი დახმარების პაქტის გაფორმების შესახებ (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. XI. The War Years: September 1, 1940 – January 31, 1941. Washington: United States Government Printing Office, 1960, გვ. 713; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941. Т. XXIII. В 3 кн. Кн. 2 (ч. 1). 1 ноября 1940 г. – 1 марта 1941 г. Москва: Международные отношения, 1998, გვ. 137).*

<sup>5</sup> ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ, გერმანელების ცნობით, აქტაი 26 ივლისსაც ამბობდა, რომ საბჭოთა მხარეს ჯერ კიდევ არანაირი მოთხოვნები არ წაუყენებია თურქეთისათვის (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 322).*



ისა, ამ შემთხვევაში მოლოტოვის სიტყვები, რომელიც მან 9 აგვისტოს შეხვედრისას უთხრა თურქეთის ელჩს – „თურქეთის მთავრობა, თავის მხრივ, უნდა ხედავდეს, თუ რა აქვს მას გასაკეთებელი სსრკ-სთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად“<sup>1</sup> – სრულიად სხვა აზრს იძენს და გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე ხდება.

არსებობს კიდევ ერთი დასაბუთება, რომელიც ამ შემთხვევაში უკვე დოკუმენტურ ხასიათს ატარებს. როგორც ფონ პაპენის წერილების ზემოთ მოყვანილი ამონარიდები ცხადყოფენ, თურქებმა მობილიზაცია მოახდინეს კავკასიისა და სრუტეების დასაცავად. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უბრალოდ პრესაში მოარული ჭორებით ყოფილიყო გამოწვეული. სამაგიეროდ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოლოტოვმა 1940 წლის 21 სექტემბერს გრაფ ფონ შულენბურგს ოფიციალურად გადასცა ის სამახსოვრო წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 25 ივნისს მიანოდა იტალიის ხელისუფლებას,<sup>2</sup> მაშინ ყველაფერი ნათელი ხდება.

უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გარემოება მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, რაც, როგორც ჩანს, იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ არის შესული გერმანული დოკუმენტების კრებულში. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ დაიწყო საბჭოთა მხარემ ამ საკითხის წინ წამოწევა გერმანიასთან მოლაპარაკებებში მაინცდამაინც 1940 წელს და არა, ვთქვათ, ერთი წლით ადრე, პაქტის გაფორმების დროს? სხვათა შორის, როგორც ირკვევა, 1939 წლის აგვისტოში ადოლფ ჰიტლერი მზად იყო, თურქეთის მიმართულებით საბჭოთა კავშირის ყველა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, რის შესახებაც სათანადო ინსტრუქციებიც მისცა რიბენტროპს, მაგრამ 1939 წელს ეს საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ დამდგარა,<sup>3</sup> რასაც ასევე ჰქონდა თავისი ახსნა. ჩვენი აზრით, 1939 წლის აგვისტოში სტალინმა თურქეთის საკითხის განხილვისაგან თავი იმის გამო შეიკავა, რომ ის არ ელოდა გერმანიის გამარჯვებას საფრანგეთსა და ინგლისთან ომში. შეიძლება ითქვას, რომ ეს, გარკვეულწილად, სიფრთხილე იყო მისი მხრიდან, რომ არ მომხდარიყო ინგლისსა და საფრანგეთთან კონფლიქტის დროზე ადრე პროვოცირება. სხვათა შორის, ეს შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ, ირიბ არგუმენტად იმის სასარგებლოდ, რომ რუსმა მკვლევარმა ტ. ბუშუევამ მართლაც მიაკვლია არქივებში სტალინის მიერ 1939 წლის 19 აგვისტოს პოლიტბიუროს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის ამსახველ დოკუმენტს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 1, გვ. 498.

<sup>2</sup> იხ.: ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 1, გვ. 617-618.

<sup>3</sup> DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 11.

<sup>4</sup> Т. С. Бушueva. «...Проклинаая – попробуйте понять...». – *Новый Мир*, №12, 1994, გვ. 232-233. აღნიშნული სიტყვის ტექსტი იხ.: В. Л. Дорощенко. Сталинская про-вокация второй мировой войны. Приложение. Текст речи Сталина на заседании Политбюро ЦК ВКП(б) 19 августа 1939 года. – В сб.: *Другая война 1939-1945*. Под

1940 წლის ივლისისთვის ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სტალინისთვის მეტად მოულოდნელად გერმანიამ იოლად დაამარცხა საფრანგეთი, რის შემდეგაც სტალინი ერთპიროვნულად, გერმანიის თანხმობის გარეშე ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა და თურქეთის საკითხზე ჰიტლერთან მოლაპარაკებების გამართვა უკვე აუცილებელი გახდა. გარდა ამისა, 1940 წლის 28 ოქტომბერს იტალია თავს დაესხა საბერძნეთს, რამაც თურქეთის პრობლემის გადაწყვეტის გადავადება უკვე შეუძლებელი გახდა.

ბუნებრივია, მკვლევართა ნაწილი ჩათვლის, რომ სტალინის მიერ თურქეთის საკითხის ამ პერიოდში წინ წამოწევა უფრო იმით იყო განპირობებული, რომ თურქეთის დამცველთა რიგებს გამოაკლდა საფრანგეთი, ხოლო ინგლისისთვის უკვე მეტად პრობლემური იქნებოდა საბჭოთა ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, ერთი მეტად საყურადღებო მომენტი იჩენს თავს. 1939 წელს სტალინს არაფერი არ უშლიდა ხელს, რომ თურქეთის საკითხი ჩაერთო კიდევ ერთ პუნქტად პაქტის საიდუმლო ნაწილში. მიუხედავად ამისა, მან ეს არ გააკეთა. როგორც ჩანს, ის საჭიროდ არ თვლიდა ამ საკითხის განხილვას ჰიტლერთან, რადგანაც მიაჩნდა, რომ თურქეთის პრობლემის გადაწყვეტაში მისი მთავარი მოწინააღმდეგე იქნებოდა არა გერმანია, არამედ ინგლისი და საფრანგეთი. ამიტომ, ჩვენი აზრით, მან არ გარისკა ზედმეტი მოთხოვნით ხელშეკრულების გაფორმების ეჭვქვეშ დაყენება.

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, სტალინის ეს ნაბიჯი მცდარი აღმოჩნდა. საფრანგეთზე გამარჯვების მიღწევის შემდგომ, 1939 წლის აგვისტოსგან განსხვავებით, ჰიტლერი სულაც არ იყო თურქეთის საკითხში უპირობო დათმობების მომხრე. გა-

---

общей редакцией академик **Ю. Н. Афанасьева**. Москва: Российский Государственный Гуманитарный Университет, 1996, გვ. 73-75. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი გეორგი დიმიტროვი ასევე ადასტურებს, რომ 1939 წლის 7 სექტემბერს სტალინმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა შეხვედრაზე, რომელსაც, მასთან ერთად, ესწრებოდნენ მოლოტოვი და სკპ(ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი ანდრეი ჟდანოვი ესწრებოდნენ. დიმიტროვის გადმოცემით, სტალინმა თქვა, რომ ომის პერიოდში „არანაირი აზრი არ ჰქონდა კაპიტალისტური ქვეყნების დაყოფას ფაშისტურად და დემოკრატიულად“ და რომ ჰიტლერი, „ყოველგვარი სურვილისა და გააზრების გარეშე, არყევდა ყველაზე მდიდარ კაპიტალისტურ რეჟიმებს, პირველ რიგში, ინგლისს“. საბჭოთა ლიდერი ომს განიხილავდა როგორც სამუალებას, რომ „განადგურებულიყო მონობა“ (როგორც ჩანს, მონობაში სტალინი აქ განიხილავდა მუშათა „ჩაგვრას“ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში – **თ.პ.**) და ვერაფერს ცუდს ვერ ხედავდა იმაში, რომ „პოლონეთის განადგურებით მომხდარიყო სოციალისტური სისტემის გავრცობა ახალ ტერიტორიებსა და ხალხებზე“ (იხ.: *The Diary of Georgi Dimitrov, 1933-1949*. Introduced and edited by **Ivo Banac**. New Haven, CT: Yale University Press, 2003, გვ. 115-116). როგორც ვხედავთ, დიმიტროვის მიერ მოყვანილი პასაჟები სრულად ჯდება 19 აგვისტოს სიტყვის ტექსტში – **თ.პ.**

დამწყვეტი მოლაპარაკებები ამ მიმართულებით 1940 წლის 12-13 ნოემბერს გაიმართა, როდესაც მოლოტოვი ეწვია ბერლინს. აღსანიშნავია, რომ 1940 წლის ნოემბერში საბჭოთა მხარე უკვე პრაქტიკულად არც მალავდა თავის მისწრაფებებს თურქეთის მიმართ. გამგზავრებამდე მოლოტოვისთვის მიცემულ დირექტივებში პირდაპირ წერია, რომ „თურქეთის... საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება ჩვენი მონაწილეობის გარეშე“.<sup>1</sup>

თავის მხრივ, ჰიტლერმა თავისი პოზიციები ნათლად ჩამოაყალიბა იტალიის ლიდერ ბენიტო მუსოლინისთან 1940 წლის 28 ოქტომბერს ფლორენციაში გამართული შეხვედრის დროს. რაიხსკანცლერმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო, მთელი ძალებით წინ აღდგომოდნენ სსრ კავშირის მისწრაფებებს ბოსფორის მიმართულებით და ამიტომ სტალინის ყურადღება უნდა მიეპყროთ ინდოეთისაკენ. ის უნდა ჩაერთოთ ერთიან ფრონტში ინგლისის წინააღმდეგ.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ჰიტლერი არ თვალთმაქცობდა. ამაზე მეტყველებს უშუალოდ მოლოტოვის ვიზიტის წინ გერმანული მხარის მიერ მომზადებული მემორანდუმი, რომელიც ცხადყოფს, რომ საბჭოთა მხარის მიერ გერმანელების წინადადებების მიღების შემთხვევაში, სსრ კავშირი შეუერთდებოდა 1940 წლის 27 სექტემბერს გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის დადებულ ე.წ. „სამმხრივ პაქტს“.

საგულისხმოა, რომ დოკუმენტს თან უნდა დართოდა ორი საიდუმლო ოქმი. პირველი ოქმით განსაზღვრული იქნებოდა მხარეების ტერიტორიული ექსპანსიის მიმართულებები და საბჭოთა კავშირს შეეძლებოდა გაფართოება სამხრეთით ინდოეთის ოკეანემდე.<sup>3</sup> მეორე საიდუმ-

<sup>1</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*. Т. XXIII. В 3 кн. Кн. 2 (ч. 1). 1 ноября 1940 г. – 1 марта 1941 г. Москва: Международные отношения, 1998, გვ. 31. აღსანიშნავია, რომ დირექტივაში იგივე ხასიათის ჩანაწერი იყო ირანთან მიმართებაშიც, თუმცა იქვე გამოთქმული იყო სურვილი, რომ ამაზე საჭიროების გარეშე საუბარი არ ღირდა (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 31). აქედან აშკარაა, რომ სტალინს ირანის მიმართაც გააჩნდა გარკვეული მისწრაფებები, რომელთა განხორციელებაც მოგვიანებით, 1945-1946 წლებში სცადა. ამ საკითხზე დანვრლებით იხ.: **Джамиль Гасанлы**. СССР-Иран: Азербайджанский кризис и начало холодной войны (1941 – 1946 гг.). Москва: Герои Отечества, 2006.

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 417, 418. უნდა ითქვას, რომ მუსოლინი აღტაცებით შეხვდა ჰიტლერის ამ წინადადებას (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 421).

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 508-509. აღნიშნული დოკუმენტის პირველი პუნქტით გერმანიის ტერიტორიული ინტერესების მთავარ სფეროდ ცხადდებოდა ცენტრალური აფრიკა, ევროპაში კი ის უნდა დაეკმაყოფილებულიყო იმ ტერიტორიული რევიზიებით, რომლებიც მოჰყვებოდა ინგლისთან ზავის დადებას; მეორე მუხლით იტალიის ინტერესების სფეროდ განისაზღვრებოდა ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა, ევროპასთან დაკავშირებით კი გამეორებული იყო გერმანიასთან მიმართებით არსებული ფორმულა; მესამე პუნქტში გაცხადებული იყო იაპონიის ინტერესები იაპონიის სამხრეთით, აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 509).

ლო ოქმით, გერმანიას, იტალიას და სსრ კავშირს საერთო ინტერესების სფეროდ უნდა გამოეცხადებინათ თურქეთის ჩამოცილება ინგლისისაგან და მონტრეს კონვენციის შეცვლა ახალი ხელშეკრულებით, რომლითაც საბჭოთა კავშირი მიიღებდა ბოსფორსა და დარდანელში სამხედრო ხომალდების თავისუფალი გადაადგილების უფლებას (გერმანიას და იტალიას ასეთი უფლება არ ექნებოდათ). სანაცვლოდ, სამივე ქვეყანას უნდა დაედასტურებინა თურქეთის არსებული საზღვრები.<sup>1</sup>

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბერლინის მოლაპარაკებების წინ მხარეების პოზიციები სრუტეების საკითხზე დიამეტრულად საპირისპირო იყო. ეს ნათლად გამოჩნდა უშუალოდ მოლაპარაკებების დროსაც. მართალია, 12 ნოემბერს მხარეებს შორის სერიოზულ განხილვას ადგილი არც ჰქონია, მაგრამ უკვე პირველივე შეხვედრისას, რომელიც გაიმართა რიბენტროპსა და მოლოტოვს შორის, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებებისას ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო, იყო თურქეთისა და სრუტეების საკითხი. მან თქვა, რომ გერმანიას, იტალიას და საბჭოთა კავშირს ერთობლივი პოლიტიკით უნდა გაეთავისუფლებინათ თურქეთი ბრიტანეთთან კავშირისაგან და მონტრეს კონვენცია შეეცვალათ ახალი ხელშეკრულებით, რომელიც საბჭოთა მხარეს მისცემდა გარკვეულ პრივილეგიებს. მათ ასევე შეეძლოთ რაიმე ფორმით თურქეთის საზღვრების გარანტიის მიცემა“.<sup>2</sup> გარდა ამისა, მან პირდაპირ განაცხადა, რომ გერმანიას არ გააჩნდა რაიმე ტერიტორიული მისწრაფებები თურქეთის მიმართ,<sup>3</sup> ხოლო საბჭოთა კავშირს თავისუფლად შეეძლო თავისი სურვილების განხორციელება აზიის იმ ნაწილებში, რომელთა მიმართ მესამე რაიხს დაინტერესება არ გააჩნდა, კერძოდ, სპარსეთის ყურისა და არაბეთის ზღვის მიმართულებით.<sup>4</sup>

იმავე დღეს გამართულ ჰიტლერისა და მოლოტოვის პირველი შეხვედრაც<sup>5</sup> გარკვეულწილად მოთელვით ხასიათს ატარებდა. ჰიტლერ-

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 510.*

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 40.* გერმანულ დოკუმენტში უკანასკნელი ფრაზა ოდნავ სახეცვლილია და შემდეგნაირად არის მოყვანილი: „მხარეებს უნდა გადაეწყვიტათ, თუ რამდენად იყო მიზანშეწონილი თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება“ (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 538-539*). ეს სხვაობა საკმაოდ მნიშვნელოვანია აზრობრივად და, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში რუსული დოკუმენტი უფრო სწორია, ვინაიდან მისი კონტექსტი ზუსტად ჯდება გერმანელების მიერ მომზადებული საიდუმლო ოქმის შინაარსში.

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 538; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 39.*

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 537-538; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 39.*

<sup>5</sup> ჰიტლერისა და მოლოტოვის ორივე შეხვედრას ესწრებოდა რიბენტროპიც, თუმცა საბჭოთა ჩანაწერებში ეს ფაქტი რატომღაც იგნორირებულია – **თ.პ.**

მა ზოგადად ისაუბრა მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ გერმანიას არანაირი პოლიტიკური ინტერესი არ გააჩნდა ბალკანეთში.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, მცირე ხანში მან განმარტა, რომ გერმანია არ დაუშვებდა სალონიკში ინგლისელების მიერ პლაცდარმის შექმნას.<sup>2</sup> მოლოტოვმა ჰკითხა რაიხსკანცლერს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა სალონიკი, რაზეც ჰიტლერმა უპასუხა, რომ საჭირო იყო რუმინეთის ნავთობის ველების დაცვა.<sup>3</sup> იქვე მან ხაზი გაუსვა, რომ მშვიდობის დამყარებისთანავე გერმანული ჯარები რუმინეთს დატოვებდნენ.<sup>4</sup> გარდა ამისა, ჰიტლერმა აღნიშნა ისიც, რომ სსრ კავშირი ოკეანეში გასასვლელს შავი ზღვიდან მაინც ვერ მიიღებდა, რადგანაც ხმელთაშუა ზღვა იტალიის გავლენის სფეროში ხვდებოდა.<sup>5</sup> შეხვედრის დასკვნით ნაწილში მოლოტოვმა ასევე ერთგვარად შეაჯამა შექმნილი ვითარება და შესაძლებლად ჩათვალა შავი ზღვისა და თურქეთის საკითხების განხილვა.<sup>6</sup>

პირველი დღის შედეგები მოლოტოვმა შეაჯამა სტალინისთვის გაგზავნილ ორ მოხსენებაში. პირველში მოცემული იყო რიბენტროპთან შეხვედრის შინაარსი, მეორეში კი – ჰიტლერთან. ბოლო მოხსენებაში საბჭოთა დიპლომატმა აღნიშნა, რომ ჰიტლერი აშკარად დაინტერესებული იყო სსრ კავშირთან მეგობრობის გამყარებითა და გავლენის სფეროებზე მოლაპარაკებით. თურქეთთან მიმართებაში კი მოლოტოვმა „შეამჩნია“ გერმანიის სურვილი, საბჭოთა კავშირი „დაჯახებოდა“ თურქეთს, რომლისგანაც თავად გერმანელებს მხოლოდ ნეიტრალიტეტი სურდათ.<sup>7</sup> მოლოტოვს დიდი დრო არ დასჭირვებია იმის გასარკვევად, რომ ის ცდებოდა თავის შეფასებებში. მეორე დღეს გამართულმა მოლაპარაკებებმა ნათლად აჩვენა, რომ გერმანია სულაც არ აპირებდა ყოფილიყო ისეთი დამომობი, როგორი შთაბეჭდილებაც მოლოტოვს დარჩა პირველი დღის შემდეგ.

მეორე დღის შეხვედრების წინ მოლოტოვმა მოსკოვიდან ახალი

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 545; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 45.*

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 547; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 45.*

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 547.* საინტერესოა, რომ რუსულ ჩანაწერში, რომელიც, პრინციპში, შეხვედრის მოკლე შინაარსს უფრო წარმოადგენს, მოლოტოვის ეს კითხვა და ჰიტლერის პასუხი გამოტოვებულია.

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 547; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 45.*

<sup>5</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 45.* აღნიშნული მონაკვეთი არ გვხვდება გერმანულ ჩანაწერში, თუმცა, როგორც მოვლენების შემდგომი განვითარება ცხადყოფს, ეს პასაჟი სინამდვილეს შეესაბამება.

<sup>6</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 548; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 46.*

<sup>7</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 46.*

ინსტრუქციები მიიღო. პირველი დეპემის თანახმად, სრუტეებთან დაკავშირებით მას ხაზი უნდა გაესვა, რომ სსრ კავშირი, პირველ რიგში, დაინტერესებული იყო არა გასასვლელით, არამედ შემოსასვლელით, რადგანაც ისინი ყირიმის ომის დროს (1853-1856) და 1918-1919 წლებში გამოყენებულ იქნა რუსეთის ტერიტორიაზე შემოსაჭრელად. ამავე დროს, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ბულგარეთის თანხმობაზე საბჭოთა ჯარების თავის ტერიტორიაზე გატარებაზე, რათა ამ უკანასკნელებს დაეცვათ შემოსასვლელი შავ ზღვაში.<sup>1</sup> მეორე ინსტრუქციაში ეს საკითხი კიდევ უფრო გაშლილი იყო. სტალინი მოლოტოვს სთავაზობდა, თურქეთის საკითხში ჯერჯერობით მშვიდობიან მოწესრიგებაზე ესაუბრა, მაგრამ ხაზი გაესვა, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ბულგარეთის მხრიდან საბჭოთა ჯარების გატარებისა და ბულგარეთისთვის საბჭოთა გარანტიების მიცემის შემთხვევაში.

ამავე დროს, თუ გერმანელები შესთავაზებდნენ მოლოტოვს თურქეთის გაყოფას, მას ღიად უნდა ესაუბრა ამ თემაზე ჯერ კიდევ მოსკოვში მიღებულ დირექტივაში მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.<sup>2</sup> აღნიშნული დოკუმენტი უკვე საბოლოოდ ცხადყოფს, რომ საბჭოთა მხარე 1940 წელს გააჩნდა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ. დგება მხოლოდ საკითხი, ვის შორის უნდა გაყოფილიყო თურქეთის ტერიტორია. ჯ. ჰასანლი ფიქრობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო სსრ კავშირი და ბულგარეთი,<sup>3</sup> მაგრამ აშკარაა, რომ ის ცდება. გაუგებარია, რატომ უნდა დაეყენებინა გერმანიას ამ ორ სახელმწიფოს შორის თურქეთის გაყოფის საკითხი. ჩვენი აზრით, ნათელია, რომ გაყოფაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიეღო იტალიასაც.

მეორე დღის შეხვედრების დროს თურქეთის საკითხი სისტემატურად განიხილებოდა ბულგარეთისა და რუმინეთის საკითხებთან ერთად. ჰიტლერისა და მოლოტოვის შეხვედრისას საკითხი წამოჭრა გერმანიის რაიხსკანცლერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დასავლეთში შეთანხმების მიღწევის შემდეგ (აქ 1939 წლის პაქტი და მისი საიდუმლო შეთანხმებები იგულისხმებოდა – **თ.პ.**) დადგა აღმოსავლეთის მოწყობის დროც. მან აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ სსრკ-თურქეთის ურთიერთობებს არ ეხებოდა და მოიცავდა აზიის დიდ რეგიონს, მათ შორის, ცენტრალურ აზიას, რომელსაც გერმანია მიიჩნევდა საბჭოთა გავლენის სფეროდ.<sup>4</sup>

პასუხად მოლოტოვმა მიუთითა საბჭოთა კავშირის, როგორც შავიზღვისპირა სახელმწიფოს ინტერესებზე, ვინაიდან სრუტეები რამდენი-

<sup>1</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 60-61.

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 61. საინტერესოა, რომ ამავე ინსტრუქციის თანახმად, მოლოტოვს ეკრძალებოდა სპარსეთის მიმართ არსებული „დიდი ინტერესის“ გამომჟღავნება.

<sup>3</sup> **Джамиль Гасанлы**. СССР – Турция: от нейтралитета к холодной войне, გვ. 82.

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 559; *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 46.

მეჯერ იქნა გამოყენებული რუსეთზე თავდასხმისათვის. გარდა ამისა, ის შეეხო რუმინეთის გარანტიების საკითხსაც.<sup>1</sup> მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მხარე უკმაყოფილო იყო რუმინეთისთვის გარანტიების სსრკ-სთან შეუთანხმებლად მიცემით, რამაც განაპირობა მათი ანულირების საკითხის დაყენება დღის წესრიგში, რის პასუხადაც „ფიურერმა განაცხადა იმ პერიოდში მათი აუცილებლობის შესახებ და მათი გაუქმების შეუძლებლობაზე“, რაც მოლოტოვის თქმით, ვნებდა საბჭოთა კავშირის ინტერესებს.<sup>2</sup> აქვე საბჭოთა დიპლომატმა ჰკითხა ჰიტლერს, თუ როგორი რეაქცია ექნებოდათ გერმანიასა და იტალიას საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთისათვის, სრუტეებთან ყველაზე ახლოს მდებარე ქვეყნისათვის, ისეთივე გარანტიების მიცემის შემთხვევაში, როგორც მისცეს გერმანიამ და იტალიამ რუმინეთს. ამავე დროს, მოლოტოვმა ხაზი გაუსვა, რომ ეს საკითხი წინასწარ იქნებოდა შეთანხმებული გერმანიასთან და, შესაძლებლობის ფარგლებში, იტალიასთანაც.<sup>3</sup>

<sup>1</sup> 1940 წლის 30 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც რუმინეთის ხელისუფლებამ დაუთმო ტრანსილვანიის ნაწილი უნგრეთს და სამხრეთ დობრუჯა ბულგარეთს, გერმანიისა და იტალიის მთავრობებმა რუმინეთს ალუთქვეს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. X, გვ. 584*). მოგვიანებით, 1940 წლის ოქტომბერში გერმანელებმა სამხედრო ძალებიც შეიყვანეს რუმინეთში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მათ შეყვანამდე, 20 სექტემბერს მომზადებულ დოკუმენტში აღნიშნული ძალების ნამდვილად ამოცანად, რომელიც რუმინელებისგანაც კი უნდა ყოფილიყო დამალული, იყო „ნავთობის ველების დაცვა მესამე ძალის მხრიდან ხელში ჩაგდებისა და განადგურებისაგან“. დოკუმენტის კიდევ ერთი პუნქტის თანახმად, მათ დაევალებოდა რუმინეთის ჯართან ერთად შეტევის განხორციელება, თუ საბჭოთა კავშირი წამოიწყებდა ომს გერმანიასთან (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 144-145*). ფაქტობრივად, ამკარა იყო, რომ ამ ე.წ. „მესამე ძალის“ ქვეშ იგულისხმებოდა საბჭოთა კავშირი. აქვე ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემორანდუმის მიხედვით, გერმანია იმ ეტაპზე ამკარად არ აპირებდა სსრ კავშირთან დაპირისპირების ინიცირებას.

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series (1937-1945), vol. XI, გვ. 559-560; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), гв. 70*. კიდევ ერთ რუსულ წყაროში, კერძოდ, საბჭოთა თარჯიმანის, ვ. ბერეჟკოვის მემუარებში დაფიქსირებულია, თითქოს მოლოტოვმა აქ მოითხოვა რუმინეთისათვის მიცემული გარანტიების ანულირება (**В. М. Бережков**. Страницы дипломатической истории. Москва: *Международные отношения*, 1987, გვ. 26), მაგრამ, როგორც ჩანს, მან შეცდომა დაუშვა საუბრის გადმოცემისას, რადგანაც პირდაპირი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული არც საბჭოთა და არც გერმანულ ჩანაწერში და ამ დემარშს ადგილი უფრო ადრე, კერძოდ, 1940 წლის 21 სექტემბერს ჰქონდა (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 138-142; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 1, гв. 618-621*). რიბენტროპმა ამ კონკრეტულ საკითხზე პასუხი გასცა 13 ოქტომბერს სტალინისათვის გაგზავნილ წერილში (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 294-295*).

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 560; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), гв. 70*.

ჰიტლერმა და რიბენტროპმა სცადეს ბულგარეთის საკითხიდან ყურადღების გადატანა და აღნიშნეს, რომ გერმანია და იტალია მხარს უჭერდნენ მონტრეს კონვენციის რევიზიას საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.<sup>1</sup> გერმანიის რაიხსკანცლერს მაინც მოუწია ამ თემაზე რეაგირება, როდესაც მოლოტოვმა ისევ წამოსწია წინ ბულგარეთის გარანტიების საკითხი. ჰიტლერმა განაცხადა, რომ თუ ბულგარეთისათვის მისაცემი იყო რუმინეთის მსგავსი გარანტია, ჩნდებოდა კითხვა, ბულგარეთს თავად თუ სურდა ამგვარი გარანტიის მიღება, რაზეც, ფიურერის თქმით, მას ინფორმაცია არ გააჩნდა, თანაც ამ საკითხზე აუცილებელი იყო იტალიელების პოზიციის გათვალისწინებაც. ამის შემდეგ ჰიტლერი ისევ შეეხო მონტრეს კონვენციის რევიზიის შესაძლებლობას და აღნიშნა, რომ ის მთლიანად უჭერდა მხარს საბჭოთა მოთხოვნებს ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი თქმით, მხოლოდ საბჭოთა სამხედრო ხომალდებს უნდა ჰქონოდათ სრუტეების თავისუფალი გავლის უფლება, სხვა ქვეყნებისთვის კი ისინი ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ჰიტლერი აშკარად მისდევდა წინასწარ დასახულ გეგმას, მაგრამ, თავის მხრივ, იგივეს აკეთებდა მოლოტოვიც, რომელმაც პასუხად ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირს სურდა სრუტეების გავლით თავდასხმის აცილება თავიდან და თურქეთთან ამ საკითხის მოგვარება, რასაც ხელს შეუწყობდა ბულგარეთისთვის მიცემული გარანტიები. მისი თქმით, საჭირო იყო საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა „არა მხოლოდ ქალაღზე, არამედ რეალობაში“, რასთან დაკავშირებითაც ის კვლავ მიუბრუნდა ბულგარეთის თემას. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა გარანტია გამოირიცხავდა ბულგარეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და უზრუნველყოფდა ამ უკანასკნელს ეგეოსის ზღვაზე გასასვლელით.<sup>3</sup> როგორც ჩანს, ჰიტლერი მეტად გაღიზიანდა ამ თემის კვლავ წამოწევი<sup>4</sup> და მოლოტოვს გაუმეორა, რომ ბულგარეთს მსგავსი გარანტია არ მოუთხოვია. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ მუსოლინის გარეშე ის ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა. ჰიტლერმა აქვე ხაზი გაუსვა, რომ გერმანია არ იყო დაინტერესებული შავი ზღვის გასასვლელებით, მაგრამ თუ მას გაუჩნდებოდა საბჭოთა

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 560.* როგორც ზემოთ აღნიშნა, საბჭოთა ჩანაწერში, რიბენტროპის ყოფნა შეხვედრის მსვლელობისას საერთოდ არ არის დაფიქსირებული და, შესაბამისად, არც მისი სიტყვები არის მოყვანილი.

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 560-561; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), гв. 70.*

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 561; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), гв. 70-71.*

<sup>4</sup> ჰიტლერის უკიდურესი გაღიზიანება დაფიქსირებული აქვს ვ. ბერეჟკოვს (იხ.: **В. М. Березков.** Страницы дипломатической истории, გვ. 26-27), რაც, როგორც ჩანს, შეესაბამება სინამდვილეს კიდევ.



კავშირთან დაძაბულობის შექმნის სურვილი, ამისთვის სრუტეები მას არ სჭირდებოდა.<sup>1</sup> შეხვედრის ბოლოს კი რაიხსკანცლერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებდა<sup>2</sup> და ამით საკითხის განხილვა შეწყდა. ის განახლდა მოგვიანებით, უკვე მოლოტოვისა და რიბენტროპის ბოლო საუბრისას.

აღნიშნული შეხვედრისას რიბენტროპმა მოლოტოვს გააცნო გერმანული წინადადებები, კერძოდ, საიდუმლო ოქმები, რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი.<sup>3</sup> როგორც გაირკვა, აღნიშნული შეთავაზება საბჭოთა მხარისთვის ბოლომდე მისაღები არ იყო და სრუტეების საკითხი მოლოტოვმა კვლავ ბულგარეთისთვის გარანტიების მიცემის პრობლემას დაუკავშირა.<sup>4</sup> მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თითქოს საბჭოთა კავშირი სრუტეებით დაინტერესებული იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეშინოდა ინგლისის თავდასხმის<sup>5</sup> სსრკ-ზე სრუტეების გავლით.<sup>6</sup> რო-

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 561; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 71.* აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჩანაწერში ჰიტლერის უკანასკნელი ფრაზა არ გვხვდება, რაც, ჩვენი აზრით, შემთხვევითი ნამდვილად არ არის.

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 562.*

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 564-566; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 73-74.*

<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ნაწილი გერმანულ დოკუმენტში დიდი შემოკლებითაა გადმოცემული და მოლაპარაკებების მსვლელობა პრაქტიკულად მხოლოდ საბჭოთა ჩანაწერებში არის დაფიქსირებული (შდრ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 567-568; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 74-76).*

<sup>5</sup> თავის დროზე ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მოლოტოვმა აქ სერიოზული დიპლომატიური შეცდომა დაუშვა, ვინაიდან ინგლისის ჩათვლა სსრკ-სთვის საფრთხედ ნიშნავდა დიდ ბრიტანეთთან ომში გერმანიის გამარჯვების ეჭვქვეშ დაყენებას (იხ.: **თეიმურაზ პაპასქირი**, ვ. მოლოტოვის ვიზიტი ბერლინში და ბულგარეთის საკითხი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში 1940წ. შემოდგომაზე. – *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*, I, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბილისი: *სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2007, გვ. 285), რასაც აცხადებდა ჰიტლერი (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 543; ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2, ч. 1, გვ. 42*), თუმცა, როგორც ირკვევა, საბჭოთა დიპლომატმა აქ გამოიყენა თავად რაიხსკანცლერის სიტყვები, რომ „გერმანია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ინგლისთან“ (იხ.: *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2, ч. 1, გვ. 65*). გერმანულ ჩანაწერში ამ ეპიზოდს ვერ ვხვდებით, მაგრამ შეხვედრის დასასრულს მოყვანილია მოლოტოვის სიტყვები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ჰიტლერმა ნამდვილად თქვა ეს ფრაზა (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 569*). შესაბამისად, თუ ვინმეს მხრიდან იყო დაშვებული ამ საკითხთან მიმართებაში შეცდომა, ეს იყო ჰიტლერი, და არა მოლოტოვი.

<sup>6</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 75.* განსხვავებები გერმანულ და საბჭოთა ჩანაწერებს შორის სწორედ ამ ადგილიდან იწყება. გერმა-

გორც ჩანს, რიბენტროპი სერიოზულად გააღიზიანა სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამ სიტყვებმა. მან თარჯიმანს შეაწყვეტინა მოლოტოვის სიტყვის თარგმნა და განაცხადა, რომ გერმანიას სურდა თურქეთის ჩამოცილება ინგლისისაგან, ხოლო სრუტეები გერმანიისთვის მეორეხარისხოვანი საკითხი იყო, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირისათვის ის მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა და მისი გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო, პირველ რიგში, სწორედ სსრკ-ს ინტერესების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭირო იქნებოდა იტალიის ზოგიერთი მისწრაფების უგულებელყოფა.<sup>1</sup> თავის მხრივ, მოლოტოვმა განაცხადა, რომ გერმანიისთვის სრუტეების საკითხი მეორეხარისხოვანი კი არა, მეთაქმარისხოვანი იყო, იტალიისთვის კი – მეხუთეხარისხოვანი. მისი თქმით, მხოლოდ ბულგარეთისთვის გარანტიების მიცემა უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებას სრუტეების მხრიდან.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოთმინების ფიალა აქ ამოიწურა და მან პირდაპირ უთხრა საბჭოთა ვიზავის, რომ ბულგარეთის გარანტიების საკითხის განხილვისას იტალიის პოზიცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რადგანაც ის ხმელთაშუაზღვისპირა სახელმწიფო იყო. აქვე მან არ გაიზიარა მოლოტოვის შენიშვნა იმის შესახებ, რომ იტალიას შავი ზღვიდან არასდროს არავინ არ დამუქრებია. რიბენტროპმა განაცხადა, რომ ის არ იყო საზღვაო ექსპერტი, რათა შეეფასებინა იტალიის სტრატეგიული მდგომარეობა. ამიტომ გარანტიების საკითხი იტალიასთან აუცილებლად უნდა შეთანხმებულიყო, ისევე როგორც თავად ბულგარელებსაც უნდა გამოეთქვათ ამის სურვილი. იქვე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სთხოვა მოლოტოვს, განემარტა, თუ როგორ უზრუნველყოფდა ბულგარეთისათვის მიცემული გარანტიები სსრკ-ს უსაფრთხოებას.<sup>3</sup>

საუბრის მსვლელობიდან გამომდინარე, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ რიბენტროპის ეს რეპლიკა მოულოდნელი აღმოჩნდა მოლოტოვისთვის, რომელმაც ფაქტობრივად თავი აარიდა პასუხს და აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარეს სურდა უბრალოდ გერმანიის მთავრობის თვალსაზრისის გაგება ბულგარეთისთვის საბჭოთა გარანტიების მიცემის საკითხთან დაკავშირებით.<sup>4</sup> რიბენტროპმა კვლავინდებურად გაიმეორა, რომ გერმანიის მთავრობას არ შეეძლო პოზიციის დაფიქსირება იტალიასთან

---

ნულ ჩანანერში არ არის დაფიქსირებული მოლოტოვის სიტყვები კონკრეტულად ინგლისის მხრიდან არსებული საფრთხისაგან თავის დასაცავი გარანტიების შესახებ და გამოტოვებულია მთელი მონაკვეთი საუბრისა, როდესაც რიბენტროპმა გააწყვეტინა სიტყვა თარჯიმანს. ამიტომ, ჩვენი აზრით, საბჭოთა ჩანანერი აქ ბევრად უფრო სანდოა.

<sup>1</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 75.

<sup>2</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 75.

<sup>3</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 75-76.

<sup>4</sup> ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 76.

კონსულტაციების გარეშე და აქვე ჰკითხა თავის კოლეგას, თუ რას ფიქრობდა ის გერმანულ შეთავაზებებზე.<sup>1</sup> სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა კმაყოფილება გამოთქვა მონტრეს კონვენციის რევიზიასთან დაკავშირებით იტალიის პოზიციაზე, თუმცა ისევე განაცხადა, რომ მხოლოდ თურქეთთან მოლაპარაკება არ იყო საკმარისი და საჭირო იყო რეალური გარანტიები. მისი თქმით, ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირის მიერ ბულგარეთისთვის გარანტიების მიცემით, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მოახდენდა სრუტეების გარანტირებას სსრ კავშირისთვის.<sup>2</sup> აქვე მან აღნიშნა, რომ, როგორც საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო თავისი მოსაზღვრე ქვეყნების, კერძოდ, რუმინეთისა და უნგრეთის ბედ-იღბლითაც. ასევე მოლოტოვს აინტერესებდა ლერძის ქვეყნების დამოკიდებულება იუგოსლავიისა და საბერძნეთისადმი და აგრეთვე თუ რჩებოდა ძალაში პოლონეთთან წინაწინა მიღწეული შეთანხმება.<sup>3</sup>

ჩვენი აზრით, მოლაპარაკებების ამ მომენტში მოლოტოვს აშკარად ნერვებმა უმტყუნა. სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას აქ საბერძნეთისა (რომელთანაც იტალია ორი კვირა იყო, რაც ომს აწარმოებდა) და პოლონეთის ხსენება (ეს უკანასკნელი უკვე არ არსებობდა და გაყოფილი იყო გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის). ნათელია, რომ საბჭოთა დიპლომატი იმედგაცრუებული იყო მოლაპარაკებების მსვლელობით და აშკარად არ ელოდა სრუტეების საკითხში გერმანელებისაგან ასეთ წინააღმდეგობას. უნდა ითქვას, რომ შეხვედრა ამით ფაქტობრივად დასრულდა და მხარეებმა ზოგადი ფრაზებით დაიწყეს საუბარი, თუმცა მიწურულს მოლოტოვი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა გერმანულ წინადადებებს და აღნიშნა, რომ კონკრეტული პასუხის გაცემა სტალინთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან კონსულტაციის გარეშე არ შეეძლო, რადგანაც ეს ახალი საკითხი იყო. ამიტომ ის შესაძლებლად თვლიდა რიბენტროპის წინადადების მიღებას, რომ აღნიშნული პრობლემების განხილვა გაგრძელებულიყო საელჩოების გავლით.<sup>4</sup> დამშვიდობებამდე კი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გარკვეულწილად დიპლომატიური „ჩხვლეტა“ მიაყენა თავის ვიზავის, როდესაც განაცხადა, რომ არ ნანობდა საჰაერო განგაშს,<sup>5</sup> რადგანაც

<sup>1</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 76.

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 76.

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 568; *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 76-77.

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 569; *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 78.

<sup>5</sup> შეხვედრა გაიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბომბსაფარში, რადგანაც 13 ნოემბერს ინგლისელებმა ბერლინზე საჰაერო შეტევა მიიტანეს (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 562).

სწორედ მისი წყალობით შედგა ამომწურავი საუბარი რიბენტროპთან.<sup>1</sup>

მოლოტოვმა თავისი იმედგაცრუება ვერც სტალინისადმი გაგზავნილ დეპეშაში დამალა. მოკლედ აცნობა რა საბჭოთა ლიდერს მოლაპარაკებების შინაარსი, მან დასძინა: „ასეთია ძირითადი შედეგები. დასაკვეხნი არაფერია, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, გავარკვიე ჰიტლერის ახლანდელი გუნება-განწყობილება, რომლისთვისაც მოგვინევს ანგარიშის განწევა“.<sup>2</sup> უკმაყოფილების კიდევ ერთი გამოხატულება იყო ის ფაქტიც, რომ მოლოტოვმა თან წამოიყვანა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ალექსეი შკვარცევი, რომელიც რამდენიმე დღეში გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან.<sup>3</sup>

მიუხედავად მოლაპარაკებებისას გაცდილი ფიასკოსი, საბჭოთა მხარეს მაინც ჰქონდა დარჩენილი ერთი მარტივი გამოსავალი: უარი ეთქვა თურქეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე (უკვე აშკარაა, რომ სრუტეების საკითხი არ იყო მთავარი, რადგანაც გერმანული პროექტი ფაქტობრივად აკმაყოფილებდა საბჭოთა მხარის ყველა მოთხოვნას ამ მიმართულებით) და გადაედო ამ საკითხის გადაწყვეტა უფრო ხელსაყრელი მომენტისთვის. ამას ცხადყოფს ჰიტლერის 1940 წლის 20 ნოემბრის საუბარი უნგრეთის პრემიერ მინისტრ გრაფ პალ ტელეკისთან.

ამ შეხვედრისას, რომელიც უნგრეთის „სამმხრივ პაქტთან“ შეერთების აღსანიშნავად მოეწყო, რაიხსკანცლერმა პირდაპირ განაცხადა, რომ მიუხედავად სსრ კავშირთან არსებული ხელშეკრულებებისა, ის მხოლოდ სამხედრო ძალას განიხილავდა არსებული სიტუაციის უცვლელობის გარანტიად. ამავე დროს, ის ფიქრობდა, რომ თუ საბჭოთა მხარე რეალისტურად მიუდგებოდა საკითხს, შეიძლებოდა მიეღო გერმანელების წინადადება და თავისი ყურადღება მიექცია სამხრეთ აზიისათვის.<sup>4</sup>

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 570.* ეს რეპლიკა არ არის დაფიქსირებული საბჭოთა ჩანაწერში, თუმცა აშკარაა, რომ ის ნამდვილად ითქვა. უფრო მეტიც, ვ. ბერეჟკოვი მოლოტოვს მიაწერს შემდეგ ფრაზას: „თუ ინგლისი დამარცხებულია, მაშინ რატომ ვზივართ ამ ბომბსაფარში? და ვისი ბომბები ეცემა იმდენად ახლოს, რომ მათი აფეთქების ხმა აქაც კი ისმის?“ (იხ.: **В. М. Бережков.** Страницы дипломатической истории, გვ. 31). ეს ცალსახად მცდარი ინფორმაციაა. რასაკვირველია, ასეთ არადიპლომატიურ განცხადებას მოლოტოვი არ გააკეთებდა. შესაძლოა, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მან ეს სიტყვები მართლაც თქვა ვიწრო წრეში, მაგრამ დაუჯერებელია, რომ ასეთი თავხედობა მას რიბენტროპთან შეხვედრის დროს გამოეჩინა.

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 81.*

<sup>3</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 630.* როგორც ჩანს, ა. შკვარცევს საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის ჰიტლერის გუნება-განწყობილებებზე არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება დაბრალდა – **თ.პ.**

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 633, 634.* ჰიტლერი აუცილებლად თვლიდა ამ მიმართულებით ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმას, რასაც ადვანსტურებს მისი 20 ნოემბრის წერილი მუსოლინისადმი (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 641.*) იგივე დაადასტურა მან 22 ნოემბერს რუ-

ამ შეხვედრამ ჩვენი ყურადღება კიდევ ერთი რამის გამო მიიპყრო. ბულგარეთისთვის საბჭოთა გარანტიების საკითხზე საუბრისას, ჰიტლერმა ხაზი გაუსვა, რომ აქ გერმანიას გააჩნდა მნიშვნელოვანი ინტერესი, კერძოდ, რუმინეთიდან ნავთობის მიღების უზრუნველყოფა.<sup>1</sup> როგორც ეს დოკუმენტი ცხადყოფს, თავის დროზე ჩვენს მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ბულგარეთის გარანტიების საკითხი, პირველ რიგში, სწორედ რუმინეთის გამო არ აწყობდა ჰიტლერს, სავსებით სწორი გამოდგა.<sup>2</sup>

მიუხედავად ამისა, როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, სტალინი სულაც არ აპირებდა უკანდახევას. მან გადანყვიტა, ბულგარეთი პირდაპირ ჩაერთო საქმეში და დაჰპირებოდა მას სრულ მხარდაჭერას თურქეთის წინააღმდეგ ოპერაციის მოწყობაში. 19 ნოემბერს მოლოტოვი შეხვდა ბულგარეთის ელჩს საბჭოთა კავშირში ივან სტამენოვს და შესთავაზა საბჭოთა გარანტიები. გარდა ამისა, ის დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა ბულგარეთს ასეთი გარანტიები უკვე მიღებული იტალიისგან, ვინაიდან ბერლინში გამართული მოლაპარაკებებისას მას უთხრეს, რომ ბულგარეთის საკითხზე საჭირო იყო კონსულტაციების გამართვა იტალიასთან. მოლოტოვი ბულგარელებს აგრეთვე დაჰპირდა ყველანაირ დახმარებას, როგორც ფულით, ისე საქონლით.<sup>3</sup> უფრო მეტიც, მან ბულგარელებს შესთავაზა დახმარება თავისი ეროვნული მისწრაფებების შესრულებაში თურქეთის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის მიმართ.<sup>4</sup>

ჰიტლერს პრაქტიკულად სრული ინფორმაცია ჰქონდა საბჭოთა აქტივობების შესახებ.<sup>5</sup> უფრო მეტიც, ის ბოლომდე მიხვდა, თუ რას აპირებდა სტალინი. 23 ნოემბერს გერმანიაში ბულგარეთის ელჩ პერვან დრაგანოვთან შეხვედრისას ჰიტლერმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ვერ ბედავდა თურქეთზე პირდაპირი შეტევის მიტანას და ამისთვის აქეზებდა ბულგარეთს. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდშიც კი რაიხსკანცლერი არ კარგავდა იმედს, რომ სტალინი მიხვდებოდა თავისი მისწრაფებების შეუძლებლობას და დათანხმდებოდა მიმართულების შეცვლას,<sup>6</sup> მაგრამ ეს ასე არ მოხდა. 25 ნოემბერს საბჭოთა მხარემ ბულგარეთის ხელისუფლებას ოფიციალურად აცნობა თავისი მზადყოფნის შესახებ, მხარი დაეჭირა ბულგარეთის პრეტენზიებისათვის დასავლეთ

---

მინეთის პრემიერ მინისტრ იონ ანტონესკუსთან საუბარში (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 667, 668*).

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 633-634.*

<sup>2</sup> თეიმურაზ პაპასქირი. ვ. მოლოტოვის ვიზიტი ბერლინში და ბულგარეთის საკითხი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში..., გვ. 288.

<sup>3</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 110.*

<sup>4</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 673.* რუსულ დოკუმენტში ეს ფრაზა არ გვხვდება, მაგრამ შემდგომი მოვლენები ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში ჩანანერი ამკარად რედაქტირებულია.

<sup>5</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 647, 653-654.*

<sup>6</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945), vol. XI, გვ. 675.*

თრაკიაზე<sup>1</sup> და დახმარებოდა მას თურქეთის თავდასხმის შემთხვევაში, თუ ბულგარეთის ხელისუფლება დაეხმარებოდა სსრ კავშირს შავ ზღვასა და სრუტეებში მისი ინტერესებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში.<sup>2</sup> იმავე დღეს მოსკოვში მოლოტოვმა შულენბურგს გადასცა თავისი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში საბჭოთა კავშირი მზად იყო, შეერთებოდა „სამმხრივ პაქტს“.

სულ წამოყენებულ იქნა ოთხი მოთხოვნა:

1. გერმანიას უნდა გამოეყვანა ყველა თავისი შენაერთი ფინეთიდან, რომელიც, 1939 წელს მიღწეული შეთანხმებებით, საბჭოთა ინტერესების სფეროში შედიოდა;<sup>3</sup>
2. საბჭოთა კავშირის უსაფრთხოება სრუტეებში უნდა განმტკიცებულიყო სსრკ-ბულგარეთის პაქტით და უნდა შექმნილიყო ბაზა საბჭოთა ქვეითი და საზღვაო ძალებისათვის ბოსფორისა და დარდანელის მისადგომებთან;
3. ბათუმისა და ბაქოს სამხრეთით მდებარე ტერიტორიები სპარსეთის ყურემდე უნდა გამოცხადებულიყო საბჭოთა ინტერესების სფეროდ;
4. იაპონიას უარი უნდა ეთქვა ნავთობისა და ქვანახშირის კონცეციებზე ჩრდილოეთ სახალინში.

გარდა ამისა, დამატების სახით დაზუსტებული იყო, რომ თუ თურქეთი შეუერთდებოდა ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულებას,<sup>4</sup> გერმანია, იტალია და სსრ კავშირი მას მისცემდნენ ტერიტორიული მთლიანობის გარანტიებს. ამავე დროს, უნდა დადებულიყო კიდევ ერთი საიდუმლო ოქმი ამ სამი ქვეყნის მონაწილეობით, რომლის თანახმადაც ბულგარეთი უნდა შესულიყო საბჭოთა კავშირის შავი ზღვისპირა საზღვრების უსაფრთხოების ზონაში და გაფორმებულიყო პაქტი სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის, რომელსაც არანაირად არ უნდა შეეღებოდა ბულგარეთის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და მისი შიდაპოლიტიკური წყობა.<sup>5</sup>

როგორც ჩანს, სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ბულგარელები

<sup>1</sup> დასავლეთ თრაკიის დიდი ნაწილი 1920 წლიდან საბერძნეთის შემადგენლობაში შედიოდა, ედირნეს (ადრიანოპოლის) ზონა კი თურქეთს ეკუთვნოდა – თ.პ.

<sup>2</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 110. საბჭოთა წინადადებები სრულად არის მოყვანილი გერმანული დოკუმენტების კრებულში (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 772-773).

<sup>3</sup> მოლოტოვის ვიზიტის დროს ფინეთის საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე იხ.: **თეიმურაზ პაპასქირი**. ფინეთის საკითხი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობებში 1940წ. ნოემბერში. – *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*, V, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბილისი: *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2008, გვ. 631-645.

<sup>4</sup> „სამმხრივი პაქტი“ საბჭოთა კავშირის შეერთების შემთხვევაში უნდა გადაკეთებულიყო „ოთხმხრივ პაქტად“ – თ.პ.

<sup>5</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 137; *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 714-715.

მხარს დაუჭერდნენ მის წინადადებებს, რადგანაც 25 ნოემბერს ის, მოლოტოვსა და ვლადიმერ დეკანოზოვთან ერთად,<sup>1</sup> ესაუბრა გეორგი დიმიტროვს. საბჭოთა ლიდერმა გააცნო მას საბჭოთა წინადადებები, რომლებიც იმ დღეს იქნა წარდგენილი ბულგარეთის ხელისუფლებისადმი, მათ შორის საბჭოთა კავშირის მზადყოფნა, მხარი დაეჭირა ბულგარეთის ტერიტორიული პრეტენზიებისათვის საბერძნეთისა და თურქეთისადმი.<sup>2</sup> ამაზე მეტყველებს სტალინის სიტყვებიც, რომლითაც მან შეაფასა თურქეთი: „რა არის თურქეთი? იქ არის ორი მილიონი ქართველი, მილიონ-ნახევარი სომეხი, მილიონი ქურთი და ა.შ. თურქები სულ რაღაც ექვსი თუ შვიდი მილიონი არიან“. ამ „ექვსი თუ შვიდი მილიონ თურქს“ ის „აზი-აში განდევნას უპირებდა“.<sup>3</sup> აქვე ის ხაზს უსვამდა, რომ საჭირო იყო ამ წინადადებების ბულგარელების ფართო წრეებისთვის გაცნობა და მიიჩნევდა, რომ ინგლისი სულაც არ იყო დამარცხებული.<sup>4</sup> ამ შეხვედრის შემდეგ დიმიტროვმა სასწრაფოდ გააგზავნა დეპეშა სოფიაში და ბულგარულ კომუნისტებს მოუწოდა, მაქსიმალური მობილიზება მოეხდინათ საბჭოთა წინადადებების გავრცელებისა და პოპულარიზებაში.<sup>5</sup>

სტალინის ვარაუდები მცდარი აღმოჩნდა. 30 ნოემბერს ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივან პოპოვმა ამცნო სსრკ-ს ელჩს ბულგარეთში ალექსანდრ ლავრიშჩევს, რომ ბულგარეთი ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას აპირებდა. გარდა ამისა, ბულგარელებს სურდათ თავიანთი ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნება, რაც გამორიცხავდა კონფლიქტს თურქეთთან. ი. პოპოვი ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ ბულგარეთის ხელისუფლება განიხილავდა „სამმხრივ პაქტთან“ მიერთების საკითხს და ასეთ ვითარებაში კიდევ ერთი პაქტის ხელმოწერაზე მოლაპარაკებების წარმოება გამოიწვევდა მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს (იგულისხმება გერმანია – **თ.პ.**) დაეჭვებას.<sup>6</sup> საბჭოთა მხარემ მაინც არ აღიარა მარცხი და კიდევ ერთხელ სცადა ბულგარეთის მთავრობის მომხრობა,<sup>7</sup> მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.<sup>8</sup> რაც შეეხება გერმანელების რეაქციას საბჭოთა წინადადე-

<sup>1</sup> სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე და იმავდროულად (26 ნოემბრიდან) სსრკ-ს ელჩი გერმანიაში – **თ.პ.**

<sup>2</sup> *The Diary of Georgi Dimitrov, 1933-1949*, გვ. 136.

<sup>3</sup> *The Diary of Georgi Dimitrov, 1933-1949*, გვ. 137.

<sup>4</sup> *The Diary of Georgi Dimitrov, 1933-1949*, გვ. 137.

<sup>5</sup> *The Diary of Georgi Dimitrov, 1933-1949*, გვ. 137-13. როგორც ჩანს, სწორედ ამ დეპეშის შედეგი იყო ბულგარეთში სასწრაფოდ დაბეჭდილი პამფლეტები, რომლებიც გავრცელდა მოსახლეობაში, რაშიც ბულგარეთის ხელისუფლებამ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებზე მიიტანა ეჭვი (იხ.: *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 726).

<sup>6</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 159-160.

<sup>7</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 806-807.

<sup>8</sup> *ДВП СССР, 1940 – 22 июня 1941*, т. XXIII, кн. 2 (ч. 1), გვ. 211.

ბებზე, ოფიციალურად არანაირი პასუხი არ ყოფილა. კულისებს მიღმა კი გერმანელებმა სერიოზულად შეუწყვეს ხელი თურქეთსა და ბულგარეთს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის დეკლარაციის ხელმოწერას 1941 წლის 17 თებერვალს.<sup>1</sup> გარდა ამისა, 1941 წლის 1 მარტს ბულგარეთი შეუერთდა „სამმხრივ პაქტს“, რის სანაცვლოდაც მან მიიღო გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე.<sup>2</sup>

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სტალინის პოზიცია თურქეთთან მიმართებაში ფაქტობრივად გადამწყვეტი გამოდგა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ალიანსის დასრულებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერლინში წარმოდგენილ გერმანულ წინადადებებზე საბჭოთა მხარის თანხმობის შემთხვევაში ჰიტლერი ისე ცალსახად არ გადწყვეტდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ოპერაციას. ფაქტია, რომ სწორედ ბერლინის მოლაპარაკებების ფაქტობრივი ჩაშლის შემდგომ ერთი თვის თავზე მან ხელი მოაწერა სსრკ-ზე თავდასხმის გეგმას და ამაში დიდი როლი ითამაშა სწორედ თურქეთის საკითხმა. ასე რომ, სტალინის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1940 წელს, რომელიც პრაქტიკულად დადასტურებულია ჩვენს მიერ მოყვანილი დოკუმენტებით, გახდა საბოლოოდ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი დამაჩქარებელი ფაქტორი.

---

<sup>1</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*, vol. XI, გვ. 1203-1204.

<sup>2</sup> *DGFP, 1918-1945. Series D (1937-1945)*. Vol. XII. *The War Years: February 1 – June 22, 1941*. Washington: United States Government Printing Office, 1962, გვ. 203.



## TEIMURAZ PAPASKIRI

### THE TURKISH QUESTION IN THE SOVIET-GERMAN RELATIONS IN 1940

The paper, on the basis of numerous documental sources and critical analysis of the existing literature, deals with the Soviet territorial claims towards Turkey in 1940. The Turkish issue always had an important place in the Soviet foreign policy during the Second World War but it became especially significant after the fall of France in June 1940. The publication of the German Fifth and Sixth White Books presented the much-needed pretext for bringing forward the issue. Although we still have no direct proof of the Soviet claims towards Turkey during the summer of 1940, there are numerous sources, which show that the Soviets had an intention to take the Turkish Straits under their control. There are also some indications that they presented claims regarding two bordering provinces of Kars and Ardahan, but the Turks answered with mobilization both at the border and in the Straits.

The first documental source, which clearly proves the Soviet territorial claims towards Turkey, is the instruction sheet given to Vyacheslav Molotov, the Soviet foreign minister, before his visit to Berlin in November 1940. According to the Soviet leader Joseph Stalin, the “fate of Turkey could not be decided without the Soviet Union, which had serious interests” there. Even more undisguised was Stalin’s second directive, which was given to Molotov on November 13, before the second day of the talks with the German leadership. Molotov was ordered to “open the cards” if “the Germans proposed the division of Turkey.” But the Soviet government had misunderstood the German readiness to the concessions. Adolf Hitler figured out the that the Soviet proposal regarding the guarantees to Bulgaria and the bases at the Straits was directed not only towards Turkey, but against Romania too. He tried to direct the Soviet interests towards the Indian Ocean, but failed. Even after the deadlock in the talks with the Germans, the Soviet leadership tried to achieve their goals. They directly contacted the Bulgarian government and tried to persuade them to launch hostilities against the Turks. The Soviets were ready to help the Bulgarians with everything they needed for this enterprise, but they misunderstood the Bulgarian intentions too. As a result, the Soviet proposals were declined by the Bulgarian government. At the same time, Hitler, who became ascertained that Stalin’s intentions towards the Straits and Bulgaria were actually pointed against Germany and signed the “Barbarossa Plan.” Therefore, it can be said that the Soviet territorial claims towards Turkey speeded up the future conflict between former allies.

## ТЕЙМУРАЗ ПАПАСКИРИ

### ТУРЕЦКИЙ ВОПРОС В СОВЕТСКО-НЕМЕЦКИХ ОТНОШЕНИЯХ В 1940 ГОДУ

В статье, на основе многочисленных документальных источников, а также критического осмысления существующей литературы, рассмотрен вопрос территориальных претензий Советского Союза в отношении Турции. Турецкий вопрос всегда занимал важное место в советской внешней политике, но особенное значение он приобрёл после капитуляции Франции в июне 1940 года. Публикация 5-й и 6-й «Белых книг» германского министерства иностранных дел представила советскому правительству нужный предлог для постановки своих требований. Несмотря на то, что на данный момент не обнаружено прямого документального подтверждения тому, что советская сторона предъявила территориальные претензии Турции летом 1940 года, существуют многочисленные источники, доказывающие, что советская сторона намеревалась взять Проливы под свой контроль. Есть также сведения о советских претензиях относительно Карсской и Ардаганских областей, на что турецкая сторона ответила мобилизацией как в приграничных областях, так и в районе Проливов.

Первым документальным подтверждением советских притязаний на территорию Турции можно считать директиву, которая была дана В. Молотову перед его визитом в Берлин в ноябре 1940 г. Согласно инструкции лидера СССР И. Сталина, «Вопрос о Турции и ее судьбах не может быть решен без нашего участия, так как у нас есть серьезные интересы в Турции». Еще более откровенной была вторая директива Сталина, данная 13 ноября, перед очередным раундом переговоров с немецким руководством. Молотову было предписано: «Если немцы предложат раздел Турции... открыть... карты в духе директивы». Как выяснилось, советская сторона неправильно поняла позиции немецкого руководства. Адольф Гитлер догадался, что советское предложение о гарантиях Болгарии и базах в районе Проливов было направлено не только против Турции, но и против Румынии. Он постарался направить экспансию советской стороны в сторону Индийского океана, но не смог добиться желаемого. В свою очередь, советское руководство, даже после провала переговоров с немцами, попыталось осуществить свои намерения, в этот раз, при помощи Болгарии, однако болгарское руководство отказалось открыто выступить против Турции. В то же время, Гитлер, который удостоверился, что Сталин продолжал свои попытки взять под контроль Проливы и Болгарию, подписал план «Операции Барбаросса». Таким образом, можно сказать, что советские территориальные претензии к Турции ускорили возникновение конфликта между бывшими союзниками.

## ალექსანდრ მასლოვი

### გენერალი პავლე აბრამიძე. ბიოგრაფიული ჩანაწერები

გენერალ პავლე ივლიანეს ძე აბრამიძის სახელი იშვიათად გვხვდება ისტორიულ გამოკვლევებში, რისი ძირითადი მიზეზი გახდა მისი დატყვევება გერმანელების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს. ვინაიდან ტყვეების პრობლემა, პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიზეზების გამო, საბჭოთა კავშირში სამეცნიერო ლიტერატურაში პრაქტიკულად არ ყოფილა შესწავლილი, გენ. პ. აბრამიძეც პრაქტიკულად მივიწყებულ იქნა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, შესაბამისი საარქივო ფონდების გასაჯაროების შემდგომ, ჩვენ შესაბამისი სამუშაო ჩავატარეთ და გამოვაქვეყნეთ პ. აბრამიძის ბიოგრაფიის ფრაგმენტები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ჩეხეთში, შესაბამისად, ინგლისურ და ჩეხურ ენებზე.<sup>1</sup> აღნიშნული გამოკვლევით, რომელშიც გამოყენებულია ადრე გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტები, ჩვენ ვეცდებით, უფრო დანვრილებით გავაშუქოთ ამ ადამიანის ბედ-იღბალი.

პავლე ივლიანეს ძე აბრამიძე დაიბადა 1910 წელს ქუთაისის ოლქის სოფ. ვანში.<sup>2</sup> 1926 წელს დაასრულა სამხედრო ქვეითთა სასწავლებელი, 1927 წლიდან განეწიანდა კომუნისტური პარტიის რიგებში. იყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის მონაწილე 1939-1940 წლებში. 1939 წლიდან, მას შემდეგ, რაც მას მიენიჭა ბრიგადის მეთაურის სამხედრო ნოდება, განეკუთვნებოდა უმაღლეს სამეთაურო შემადგენლობას. 1940 წლის 4 ივნისიდან მიენიჭა გენერალ-მაიორის ნოდება. იყო წითელი დროშის ორდენის სამგზის (1940, 1946, 1953) კავალერი.<sup>3</sup>

<sup>1</sup> **Alexander A. Maslov.** Captured Soviet Generals: The Fate of Soviet Generals Captured in Combat 1941-45. London–Portland, OR: Frank Cass & Co, 2001, გვ. 11, 29, 49, 52-54, 87, 95-96, 99, 106, 119, 131, 133, 140, 202, 224, 302, 307; **Alexander A. Maslov.** Forgiven by Stalin – Soviet generals who returned from German prisons in 1941-45 and who were rehabilitated. – *Journal of Slavic Military Studies*, #2, 1999, გვ. 176-177; **Alexander A. Maslov.** Zajati Sovětšti generalove. Praha: BB/art s.r.o., 2004, გვ. 27, 44, 66, 69-71, 104, 112, 113, 123, 138, 151, 158, 222.

<sup>2</sup> Главное Управление Кадров и Военного Образования Министерства Обороны Российской Федерации, Четвёртое Управление, Учётно-послужная карта генерал-майора Абрамидзе П. И.

<sup>3</sup> Главное Управление Кадров и Военного Образования Министерства Обороны Российской Федерации, Четвёртое Управление, Учётно-послужная карта генерал-майора Абрамидзе П. И.

1940 წლის აგვისტოში პ. აბრამიძე სათავეში ჩაუყენეს 72-ე მსროლელთა დივიზიას, რომელიც უკრაინის დასავლეთ საზღვრის ერთ-ერთ მონაკვეთს იცავდა. იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული შენაერთის გამოყენება იგეგმებოდა კარპატის მთებში შესაძლო საბრძოლო მოქმედებებში, 1941 წლის დასაწყისში დივიზია გადაკეთდა სამთო მსროლელ დივიზიად, რასაც მოჰყვა პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების შესაბამისი ზრდა.

იმ დროისათვის დივიზიაში საერთო მდგომარეობა არცთუ სახარბიელო იყო, რისი დამადასტურებელი საბუთებიც საკმაოდ ბევრია. ასე, 93-ე სასაზღვრო ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობების დროებითი შემსრულებელი მაიორი ცელიკოვი ატყობინებდა გენ. აბრამიძეს და უკრაინის სსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სასაზღვრო ძალების უფროსს, გენერალ-მაიორ ვ. ხომენკოს, რომ 1941წ. 7 იანვარს, სოფ. მონასტირუეცში, საზღვრიდან 500-600 მეტრში დაკავებულ იქნა 72-ე დივიზიის 133-ე პოლკის 1-ლი ბატალიონის მე-3 ასეულის წითელარმიელი. იყო რა ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, მან აღნიშნული სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლში ატეხა დებოში და ჩამტვრია ფანჯრები. ადგილზე მისული ასმეთაური ასევე ნასვამი აღმოჩნდა. დოკუმენტში აღნიშნულია: „სასაზღვრო სოფლების მოსახლეთა შორის, სადაც განთავსებულია წითელი არმიის ნაწილები, არსებობს არაჯანსაღი განწყობილებები და საუბრები სამხედრო მოსამსახურეთა საქციელის გამო“.<sup>1</sup>

4 თვის მანძილზე (1940 წ. დეკემბრიდან 1941 წ. მარტის ჩათვლით) შენაერთის ნაწილებში დაფიქსირდა დეზერტირობის 16 და ნაწილის თვითნებურად დატოვების 40 შემთხვევა. აღნიშნულ ფაქტებს ზრდის ტენდენცია გააჩნდათ. 1941 წ. 2 მაისს პ. აბრამიძისა და დივიზიის შტაბის მეთაურ პ. ჩერნოუსის მიერ ხელმოწერილი ბრძანების თანახმად, 1941 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ბოლო კვარტალთან შედარებით, შეიმჩნეოდა მსგავსი საგანგებო შემთხვევების ზრდა. კერძოდ, 133-ე მსროლელთა პოლკში თვითნებურად დატოვების 9 ფაქტით მეტი დაფიქსირდა. „მთავარ ბოროტებას, – აღნიშნული იყო დოკუმენტში, – წარმოადგენს სიმთვრალე, რომლის გამოც არის ჩადენილი დეზერტირობისა და ნაწილის თვითნებურად დატოვების შემთხვევების 50%“.<sup>2</sup>

1940 წლის ნოემბრიდან 1941 წლის 20 მარტამდე 187-ე მსროლელთა პოლკში 80 მეთაური ან პოლიტმუშაკი იმყოფებოდა ჰაუპტვახტში საერთო ჯამში 380 დღის განმავლობაში. ამ პერიოდში მათ ჯამურად 4815 მანეთი დაეკვიტათ.

1941 წლის მარტში შენაერთში 750 დისციპლინარული გადაცდომა

<sup>1</sup> Центральный Архив Министерства Обороны Российской Федерации (შემდგომში ЦАМО РФ), ф. 1207-А, оп. 1, д. 1, л. 24.

<sup>2</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 2, д. 2, л. 184.

დაფიქსირდა, რომელთა შორის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის წევრებმა ჩაიძინეს 29, კომკავშირლებმა – 270, უპარტიოებმა – 451; საშუალო რგოლის მეთაურებზე მოდიოდა გადაცდომის 73 ფაქტი, დაბალი რგოლის მეთაურებზე – 92, რიგით ჯარისკაცებზე – 585.

1941 წლის დასაწყისის ერთ-ერთ დოკუმენტი ცხადყოფს, თუ როგორი დამოკიდებულება იყო სხვადასხვა ერის ჯარისკაცებს შორის. რიგითების 30% მეტი იყვნენ უზბეკები, ყაზახები, სომხები და არასლავური წარმოშობის სხვა ეროვნების წარმომადგენლები. „დივიზიის შენაერთებში არსებობს შეხედულება, რომ არარუს ნითელარმიელებთან ერთად არაფრის გაკეთება არ არის შესაძლებელი, მათთან ერთად ომის წარმოება არ შეიძლება“.<sup>1</sup>

ხელმძღვანელობის მიერ მე-8 მსროლელი კორპუსის ბრძოლისუნარიანობის შემოწმების შემდეგ, 1941წ. 18 იანვარს გამოცემულ იქნა აღნიშნული შენაერთის სარდალმა, გენერალ-მაიორმა მ. სნეგოვმა გამოსცა ბრძანება. დოკუმენტის თანახმად, „ყოველდღიურ საბრძოლო მზადებაში მეომრებისა და სამეთაურო შემადგენლობის ჩართულობა არასრულია, დიდია ხალხის გადინება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე. ძალზე დაბალია მეთაურთა მომზადებისა და საშტაბო საქმიანობის, ასე შტაბის მეთაურების მომზადების დონე. შტაბის მეთაურებმა ცუდად იციან ფუნქციონალური ვალდებულებები“.<sup>2</sup>

პოლიტიკური მომზადების ერთ-ერთი შემოწმების (1941წ. დასაწყისი) შედეგად გამოვლინდა, რომ 7176 საბჭოთა ჯარისკაცისა და დაბალი რანგების მეთაურებიდან „ფრიადზე“ სწავლობდა 1812, „კარგზე“ – 2474, საშუალო ცოდნა გამოამჟღავნა 2699-მა ადამიანმა, ხოლო ცუდი – 191-მა.

მეტად საყურადღებოა პ. აბრამიძისა და პ. ჩერნოუსის მიერ 1941წ. 7 აპრილს ხელმოწერილი ბრძანება №0118, რომელიც გამოცემულ იქნა ნაწილების მორიგი ინსპექციის შემდეგ. მასში ნათქვამი იყო: „ფიზიკურ მომზადებაში სრული უძლურება გამოამჟღავნეს როგორც მსროლელმა, ისე საარტილერიო პოლკებმა და ეს შედეგები აშკარად დაუშვებელია. ხიშტებით ბრძოლასა და ხელყუმბარების ტყორცნაში ვერც ერთი ნაწილი, უბრალო შენაერთიც კი ვერ შევიდა შეფასებაში. სამეთაურო შემადგენლობა საერთოდ არ ფლობს სასროლ იარაღს... არ წარმოადგენს მაგალითს საცეცხლე მომზადებაში და თავისი ხელქვეითებისთვის რეალური ცოდნის გადაცემა არ შეუძლია“.<sup>3</sup> 1941წ. 28 აპრილს კი ამავე სარდლების მიერ გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ცხენების მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 1, д. 1, л. 434.

<sup>2</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 1, д. 1, л. 435.

<sup>3</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 2, д. 2, л. 153.

<sup>4</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 2, д. 2, л. 162.

საინტერესოა აგრეთვე მომავალ მონინალმდეგესთან და შესაძლო საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი. ასე, მაგალითად, დივიზიის მეთაურის 1941წ. 17 აპრილის ბრძანებით გერმანული თვითმფრინავებისა და სხვა საფრენი საშუალებების მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შემთხვევაში საჰაერო თავდაცვის საშუალებები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა მოყვანილიყო, თუმცა ცეცხლის გახსნა იკრძალებოდა.<sup>1</sup>

იმავე პერიოდში (1941წ. აპრილი) შენაერთის დაზვერვითი ბატალიონის სამეთაურო შემადგენლობამ შემდეგი ხასიათის განკარგულებები მიიღო: დამუშავდეს თემები „ქვეითი ბატალიონის შეტევითი ბრძოლა გერმანული პოლკის წინააღმდეგ“ და „ქვეითი ბატალიონის თავდაცვითი ბრძოლა გერმანული პოლკის წინააღმდეგ“.<sup>2</sup>

რამდენად იყო პასუხისმგებელი გენ. პ. აბრამიძე დივიზიის, ბრძოლისუნარიანობის ასეთი დაბალი დონის გამო, მით უფრო, რომ მისი შენაერთი, ისევე როგორც ყველა სამთო მსროლელი დივიზია, საბჭოთა ჯარების ელიტურ ნაწილებს ეკუთვნოდა? ჩვენი აზრით, მისი ბრალი აქ მინიმალური იყო. რისი შეცვლა შეეძლო მას კარდინალურად 10 თვის განმავლობაში დისციპლინის თვალსაზრისით, როდესაც, საბჭოთა რეალობიდან გამომდინარე, მას მიენოებოდა დაბალი ხარისხის მქონე, ცუდად აღზრდილი და ნაკლებად განათლებული ე.წ. „ადამიანური მასა“? რასაკვირველია, მოცემული დრო ნამდვილად არ იყო საკმარისი ასეთი რთული ამოცანების გადასაჭრელად.

შეეძლო თუ არა დივიზიის მეთაურს გაეუქმებინა ზემდგომი სარდლობის ბრძანება და მიეცა უფლება მის ხელქვეით მყოფი საჰაერო თავდაცვის ძალებისათვის, გაეხსნათ ცეცხლი საზღვრის დამრღვევთა წინააღმდეგ? ეს კითხვა უფრო რიტორიკულ ხასიათს ატარებს.

ზემოჩამოთვლილმა გარემოებებმა, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა კატასტროფა, რომელიც განიცადა დივიზიამ სამხრეთ ფრონტის უმანის თავდაცვითი ოპერაციის დროს 1941 წლის აგვისტოში. საბრძოლო მოქმედებები დასრულდა გერმანელების მიერ გენერალ-მაიორ პ. პონედელინის ოპერატიული დაჯგუფების (მე-6 და მე-12 არმიები). ტყვედ ჩავარდა 100 ათასამდე ჯარისკაცი, მათ შორის, 11 გენერალი: პ. აბრამიძე, ნ. კირილოვი, ი. კორნილოვი, ი. მუზიჩენკო, ს. ოგურცოვი, პ. პონედელინი, ვ. პროხოროვი, ნ. პროშკინი, მ. სნეგოვი, ს. ტკაჩენკო, ი. ტონკონოგოვი.

ტყვეობაში ყოფნის პერიოდში პ. აბრამიძე სამხედრო ტყვეების სამ ბანაკში იყო გამწესებული: ზამოსტიე (პოლონეთის ტერიტორიაზე), ოფიცერთა სპეციალიზირებული ბანაკი Oflag-XIII D ჰამელბურგში (ნიურნბერგის მახლობლად), ციხე-სიმაგრე ვაისენბურგში (ბავარია). 1945

<sup>1</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 1, д. 1, л. 506.

<sup>2</sup> ЦАМО РФ, ф. 1207-А, оп. 1, д. 1, л. 174.

წლის აპრილში ის აშშ-ს ჯარებმა გაათავისუფლეს და გადააგზავნეს საბჭოთა მისიაში რეპატრიაციის საკითხებში, რომელიც პარიზში მდებარეობდა.<sup>1</sup> იმავე წლის მაისიდან ის იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც გადიოდა სპეციალურ სახელმწიფო შემონმებას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებში. განსაკუთრებით მოწმდებოდა დატყვევების გარემოებები და ის, თუ როგორ იქცეოდა გენ. აბრამიძე ტყვეობაში. მუშაობის შედეგად, სპეცკომისიამ მისი მაკომპრომეტირებული ფაქტების დადგენა ვერ შეძლო: ტყვედ ის ჩავარდა მტრის მიერ ალყაში მოქცევის შედეგად, მას შემდეგ რაც ამონურულ იქნა ბრძოლის ნარმოების ყველა საშუალება; ტყვეობაში იქცეოდა ღირსეულად და გერმანელებთან არ უთანამშრომლია.

სპეცსამსახურების დასკვნის საფუძველზე, 1945 წლის დეკემბერში შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება გენ. პ. აბრამიძის საბჭოთა არმიაში აღდგენის შესახებ და გაამწესა ის თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების მთავარი განყოფილების დაქვემდებარებაში.<sup>2</sup>

ამის შემდეგ გენ. აბრამიძე, შეიარაღებულ ძალებში დიდი ხნით არყოფნისა და მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიღებული სამხედრო გამოცდილებისა და სამხედრო ხელოვნების სიახლეების დაუფლების მიზნით, ჩარიცხულ იქნა უმაღლეს სამხედრო აკადემიასთან არსებული დივიზიის მეთაურთა გადამზადების კურსებზე, სადაც ის სწავლობდა 1946 წლის მარტიდან 1947 წლის იანვრამდე.

1947-1949 წლებში პ. აბრამიძეს ეკავა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამხედრო კათედრების უფროსის თანამდებობები.<sup>3</sup> როგორც ვხედავთ, ის გამწესებულ იქნა მისი რანგისთვის შედარებით შეუფერებელ, მეორეხარისხოვან თანამდებობებზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლებას კვლავინდებურად გააჩნდა გარკვეული უნდობლობა ტყვეობაში ნამყოფი გენერლისადმი.

<sup>1</sup> Главное Управление Кадров и Военного Образования Министерства Обороны Российской Федерации, Четвёртое Управление, Учётно-послужная карта генерал-майора Абрамидзе П. И.

<sup>2</sup> საყურადღებოა უმანთან ტყვედ ჩავარდნილი სხვა სარდლების ბედი. ვ. პროხოროვი, ნ. ტროშკინი, ს. ტკაჩენკო ტყვეობაში დაიღუპნენ. ს. ოგურცოვი ტყვეობიდან გაიქცა, შეუერთდა საბჭოთა პარტიზანებს და ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა. ნ. კირილოვი და პ. პონედელინი საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ დაადანაშაულეს სამშობლოს ღალატში და დახვრიტეს (ისინი შემდგომ რეაბილიტირებულ იქნენ). ი. კორნილოვი, ი. მუზიჩენკო, მ. სნეგოვი და ი. ტონკონოგოვი აღდგენილ იქნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში.

<sup>3</sup> Главное Управление Кадров и Военного Образования Министерства Обороны Российской Федерации, Четвёртое Управление, Учётно-послужная карта генерал-майора Абрамидзе П. И.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ წითელი დროშის ორი ორდენი მან მიიღო უკვე ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ (1946 და 1953 წლებში), რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მთავრობის გარკვეულწილად წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე ტყვეობაში ნამყოფი ოფიცრების მიმართ. 1956 წელს, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის გამო, გავიდა თადარიგში სამხედრო ფორმის ტარების უფლებით. ტყვეობაში ყოფნის პერიოდი – 3 წელიწადი და 8 თვე – ჩაეთვალა საერთო სტაჟში.<sup>1</sup>

პ. აბრამიძე გარდაიცვალა თბილისში 1989 წელს.<sup>2</sup> თავისუფლებისმოყვარე ხალხის მესხიერებაში ის ყოველთვის დარჩება მამაც ჯარისკაცად, რომელსაც არ შეუბღალავს თავისი ღირსება არც ბრძოლის ველზე და არც გერმანელების ტყვეობაში.

---

<sup>1</sup> Главное Управление Кадров и Военного Образования Министерства Обороны Российской Федерации, Четвёртое Управление, Учётно-послужная карта генерал-майора Абрамидзе П. И.

<sup>2</sup> ჩვენს ხელთ არსებული, არა საბოლოო, თუმცა სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულთა შორის ყველაზე სრული მონაცემებით, მონინააღმდეგის (გერმანელების და ფინელების) ტყვეობაში 1941-დან 1945 წლამდე იმყოფებოდა 82 საბჭოთა გენერალი (ამ სიაში არ შედიან უმაღლეს ოფიცერთა რანგში შემავალი ის პირები, რომელთაც გააჩნდათ 1935 წელს შემოღებული სამხედრო წოდებები – ბრიგადის მეთაური, ბრიგადის კომისარი, დივიზიის მეთაური და ა.შ.). მათგან უკანასკნელი გარდაიცვალა სწორედ პ. აბრამიძე (პ. სისოევი გარდაიცვალა 1981 წელს, ი. ალექსეევი, ი. ტონკონოგოვი და პ. ცირულნიკოვი – 1985 წელს, მ. ბორისოვი – 1987 წელს).



**ALEXANDER MASLOV**

**GENERAL PAVLE ABRAMIDZE.  
BIOGRAPHICAL SKETCHES**

The name of major general Pavle Abramidze is rarely mentioned in the historical researches, which is caused by the fact that he was captured by the Germans during the Second World War. Since the Soviet historiography, due to the political and ideological reasons, paid virtually no attention to the problem of captivity during the Second World War, MG P. Abramidze was nearly forgotten. The article is based on the previously unpublished archival sources and sheds light upon the activities of MG P. Abramidze during the Second World War.

**АЛЕКСАНДР МАСЛОВ**

**ГЕНЕРАЛ ПАВЕЛ АБРАМИДЗЕ.  
СТРАНИЦЫ БИОГРАФИИ**

Имя генерала Павла Ивлиановича Абрамидзе редко встречается в исторических исследованиях, что, в основном, вызвано фактом его пленения во время Второй мировой войны. Поскольку историографией СССР, по политико-идеологическим причинам, проблема плена периода Второй мировой войны практически не изучалась, ген. П. И. Абрамидзе был почти забыт. В статье, на основе ранее неопубликованных архивных средств, освещена деятельность ген. П. И. Абрамидзе во время Второй мировой войны.

## გიორგი ცოგია

### ლიტანტანის ინციდენტი

1945 წლის თებერვალში გაიმართა იალტის კონფერენცია, სადაც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების გარდა, უინსტონ ჩერჩილს და იოსებ სტალინს შორის შედგა მოლაპარაკება საბჭოთა კოლაბორაციონისტების შესახებ.<sup>1</sup> ძირითადად, ეს უკავშირდებოდა „კაზაჩი სტანის“ (*«Казачий Стан»*) კაზაკებს, მაგრამ არავინ არ აძლევდა არანაირ განტანის სხვა საბჭოთა მოქალაქეებსა თუ რუს ემიგრანტებს, რომ იალტის ეს შეთანხმება მათზე არ იმოქმედებდა.

ვერმანტში მიღებული იყო ეროვნული სამხედრო ნაწილების ფორმირება ყოფილი ტყვეების ან ემიგრანტებისაგან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. არსებობდა გენერალ ვლასოვის „რუსეთის განმათავისუფლებელი არმია“ (POA),<sup>2</sup> SS-ის დივიზია „გალიჩინა“; დივიზიები „თამარა“ და „თამარა-II“ და სხვ.<sup>3</sup> ისინი დიდი ეფექტურობით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათი ნაწილი მონაწილეობას იღებდა მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტებასა და ანტიპარტიზანულ მოქმედებებში.<sup>4</sup>

<sup>1</sup> საქმე ძირითადად ტყვეებს ეხებოდა. Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945 гг. Сборник документов. Том IV. Крымская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (4–11 февраля 1945 г.). М., 1979, გვ. 284.

<sup>2</sup> ეს იყო, ალბათ, ყველაზე ცნობილი კოლაბორაციონისტული შენაერთი. მისი სარდალი იყო ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა გენერალი ანდრეი ვლასოვი. რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც თეთრგვარდიელები, ისე ყოფილი წითელარმიელები. – **Й. Хоффманн.** История власовской армии. Пер. с нем. Е. Гессен. Париж, YMCA-PRESS, 1990, გვ. 23.

<sup>3</sup> საერთოდ, საბჭოთა კოლაბორაციონიზმი საკმაოდ საინტერესო მოვლენაა. ანტი-საბჭოური მოძრაობების და სამხედრო შენაერთების ბირთვს წარმოადგენდნენ ან თეთრგვარდიელი ოფიცრები, ან ნაციონალისტები. ასევე დიდ ნაწილს იკავებდნენ ტყვეები (რომლებს დიდი არჩევანი არ ჰქონდა – ან სამსახური გერმანელებთან, ან სიკვდილი). იხ.: **А. Цыганок.** Русский коллаборационизм в ВОВ. – <http://www.pmoney.ru/txt.asp?id=570273&rbr=205>.

<sup>4</sup> განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შშ-ის დივიზია „გალიჩინა“-ს მოქმედებები პოლონეთში – მონაწილეობა სოფელ გუტა პენიაცკას წინააღმდეგ მიმართულ სადამსჯელო ოპერაციაში, სადაც განადგურებულ იქნა 172 სახლი და მოკლულ იქნა 500-მდე ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები. იხ.: **Організація українських націоналістів і Українська повстанська армія.** НАН України; Інститут історії України. Відп. ред. **С. В. Кульчицький.** Розділ 5. **І. І. Ільошин.** Бойові дії ОУН і УПА на антипольському фронті. Київ: Наук. думка, 2005, გვ. 283-285.

რა თქმა უნდა, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, არ აღმოჩენილიყვნენ საბჭოთა ჯარების ხელში. უმრავლესობა დასავლეთელ მოკავშირეებს ნებდებოდა, თუმცა ნაწილს არ უმართლებდა და საბჭოთა შენაერთებს უვარდებოდა ხელთ. ემიგრანტების ერთ-ერთმა ლიდერმა კი მეტად ორიგინალურ ხერხს მიაგნო როგორც თავისი თავის, ისე საკუთარი შენაერთის გადასარჩენად.

1945 წ. 2 მაისს გვიან საღამოს, ლიხტენშტაინის სასაზღვრო პოლიციის უფროსს შეატყობინეს, რომ საზღვარს უახლოვდებოდა სამხედრო კოლონა. გზის ორივე მხარეს მოძრაობდნენ ქვეითი ჯარისკაცების შეიარაღებული ჯგუფები, გზაზე ნელა მოძრაობდა ტრანსპორტი. კოლონის თავზე ფრიალებდა რუსული სამფეროვანი დროშა. ჯარისკაცების უნიფორმაზეც ასეთი ფერის დროშა იყო გამოხატული. კოლონა გაჩერებას არ აპირებდა და სასაზღვრო პოლიციის უფროსმა გასცა ბრძანება ცეცხლის გახსნის შესახებ. რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ კოლონა შეჩერდა. მანქანიდან, რომელიც კოლონის სათავეში იდგა, ოფიცერი გადმოვიდა ძახილით: „შენწყვიტეთ სროლა, აქ რუსი გენერალია!“ ამ სიტყვების შემდეგ, მანქანიდან თვითონ გენერალიც გადმოვიდა. ეს იყო ბორის ალექსის ძე ხოლმსტონ-სმისლოვსკი, მისი საიმპერატორო აღმატებულების გვარდიის პოლკის ყოფილი გენერალი, იმ მომენტისთვის კი პირველი რუსული ეროვნული არმიის სარდალი.<sup>1</sup>

ბორის სმისლოვსკი დაიბადა 1897 წელს ფინეთში. ჯარში მან კაპიტნის წოდებამდე იმსახურა. სამოქალაქო ომის შემდეგ კი, სადაც ის თეთრგვარდიელების მხარეს იბრძოდა, წავიდა ემიგრაციაში ჯერ პოლონეთში, შემდგომ კი გერმანიაში, სადაც სამხედრო აკადემიაში სწავლობდა. ის თვლიდა, რომ რუსეთის განთავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ უცხოეთის დახმარებით. როდესაც გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, სმისლოვსკი გახდა სასწავლო ბატალიონის მეთაური.<sup>2</sup> დროთა განმავლობაში იყო შექმნილი 12 ასეთი ბატალიონი. ვერმანის უმაღლესმა სარდლობამ 1943 წ. დასაწყისში ამ ჯარებიდან შექმნა ცალკე დივიზია „რუსეთი“ (*“Russland”*), რომელიც ვერმანის რეგულარულ ნაწილად ითვლებოდა.<sup>3</sup> დივიზია „რუსეთი“ შერეულ ხასიათს ატარებდა და მასში შედიოდნენ როგორც მეფის არმიის, ისე წითელი

<sup>1</sup> 1945 წ. 12 თებერვლიდან 4 აპრილამდე ამ შენაერთს ეწოდებოდა „სპეციალური დანიშნულების მწვანე არმია“, მერე კი – პირველი რუსული ეროვნული არმია. მისი რიცხოზობივი რაოდენობა 6 ათასიდან 10 ათასამდე იყო. **С. Дробязко, А. Карашук.** Русская освободительная армия. Москва, 1999, გვ. 14.

<sup>2</sup> ბატალიონი შედგებოდა იმ რუსი მოხალისეებისაგან, რომლებმაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა ისურვეს. **Н. Толстой.** Жертвы Ялты. Русские в Третьем рейхе. Перевод с английского **Е. С. Гессен.** М., 1996, გვ. 39.

<sup>3</sup> ასე გრძელდებოდა 1945 წ. 4 აპრილამდე, როცა დივიზიამ მიიღო დასახელება „რუსული ეროვნული არმია“ და მოკავშირე ჯარის სტატუსი. **С. Дробязко, А. Карашук.** Русская освободительная армия, გვ. 15.

არმიის ოფიცრები.<sup>1</sup>

1945 წ. 10 მარტს, როდესაც საომარი მოქმედებები დასასრულს მიუახლოვდა, დივიზიას მიენიჭა პირველი რუსული ნაციონალური არმიის სტატუსი, თავად სმისლოვსკის კი ვერმახტის გენერალ-მაიორის წოდება მისცეს.<sup>2</sup> მისთვის უკვე დიდი ხანი იყო, რაც ნათელი გახდა, რომ გერმანია ომს წააგებდა<sup>3</sup> და გადაწყვიტა, გადაერჩინა თავისი ხალხი. სწორედ ამიტომ, 1945 წ. 2 მაისს, 11 საათზე სალამოს, სამხედრო კოლონა, რომელიც შედგებოდა 494 ადამიანისაგან (462 მამაკაცი, 30 ქალი, 2 ბავშვი), ლიხტენშტაინის ტერიტორიაზე შევიდა.<sup>4</sup> მართალია, სმისლოვსკი თავშესაფარს ითხოვდა თავისი ხალხისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ერთ-ერთ მანქანაში იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე, დიდი თავადი ვლადიმირ კირილის ძე.<sup>5</sup>

რუსული მონარქისტული მოძრაობა მთლიანობაში საკმაოდ დიდ აქტიურობას იჩენდა მეორე მსოფლიო ომის დროს. არა ერთი სამხედრო ორგანიზაცია იქნა შექმნილი.<sup>6</sup> ვლადიმირ კირილის ძემ თავისი მამის, კირილ ვლადიმირის ძის მაგალითს მიბაძა და საკუთარი თავი „რუსული საიმპერატორო სახლის“ ლიდერად გამოაცხადა.<sup>7</sup> ომის დაწყების

---

<sup>1</sup> მთავარი პოსტები ეკავათ თეთრგვარდიელ ოფიცრებს, მაგალითად, დივიზიის შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი ს. ნ. რიასნიანსკი. 1-ლი პოლკის მეთაური – პოდპოლკოვნიკი ტარასოვ-სობოლევნი, მე-2 პოლკის მეთაური – პოდპოლკოვნიკი ბობრიკოვი (С. Дробязко, А. Карашук. Русская освободительная армия, გვ. 4).

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ სმისლოვსკი ვლასოვს მხარს არ უჭერდა. ვლასოვის დოქტრინა და საკადრო პოლიტიკა აგებული იყო პრინციპზე: „ბოლშევიკების მიერ მოტყუებული საბჭოთა მოქალაქეები“, რისი კატეგორიული წინააღმდეგი იყო მონოდებით მონარქისტი სმისლოვსკი (С. Дробязко, А. Карашук. Русская освободительная армия, გვ. 15).

<sup>3</sup> ამას სმისლოვსკი ჯერ კიდევ 1943 წელს მიხვდა (იხ.: С. Дробязко, А. Карашук. Русская освободительная армия, გვ. 15).

<sup>4</sup> ძირითადი დანაკარგები დივიზიამ განიცადა მოკავშირეების დაბომბვების გამო (იხ.: Н. Толстой. Первая Русская Национальная Армия Хольмстон-Смысловского в княжестве Лихтенштейн. – *Родина*», июнь-июль 1991 (<http://vojniki.org/ww2/main/3>).

<sup>5</sup> საერთოდ, რომანოვები აქტიურად იყვნენ ჩართული რუსულ კოლაბორაციონისტულ მოძრაობაში. «Братство Русской Правды», «Казачий Стан», «Русский отряд 9-ой армии вермахта», და ა.შ. К. А. Залесский. Кто был кто во Второй мировой войне. Союзники Германии. Т. 2. М., 2004, გვ. 492.

<sup>6</sup> მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „რუსული სახალხო ლაშქარი“, რომელმაც ერთხელ, 1943 წელს, კორსუნ-შევჩენკოს რაიონში მიიღო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში, ისიც შემთხვევით, და კატასტროფული მარცხი განიცადა (იხ.: С. А. Александров. Политическая история Зарубежной России. – Русская военная эмиграция 1920-1940 годов. *История. Публицистика. Исследования* (<http://rovs.atropos.spb.ru/index.php?view=publication&mode=text&id=33>).

<sup>7</sup> მამამისს, კირილე ვლადიმირის ძეს შეგვიძლია თვითმარქვია ლიდერი ვუნოდოთ. საქმე იმაშია, რომ ნიკოლოზ II-მ არ სცნო მისი ქორწინება მის ბიძამ-

შემდეგ მონარქისტებში განხეთქილება დაიწყო, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო ნაკლებ ბოროტებად: ჰიტლერი თუ სტალინი? ვლადიმირ კირილის ძემ არჩევანი ჰიტლერზე შეაჩერა.<sup>1</sup> შესაბამისად, 1945 წლისათვის, როდესაც ომის დასასრული მოახლოვდა და გერმანია დამარცხებული აღმოჩნდა, მისი მდგომარეობა გართულდა და ვლადიმირ კირილის ძე შეუერთდა 1-ელ რუსულ ეროვნულ არმიას.<sup>2</sup>

საზღვარს მომდგარი კოლონის შესახებ სასაზღვრო დაცვის ოფიცრებმა უმალ აცნობეს თავის ხელისუფლებას. ლიხტენშტაინის მთავრობამ გადაწყვიტა, დაეკმაყოფილებინა სამხედროების თხოვნა და თავშესაფარზე უარი უთხრა მხოლოდ დიდ მთავარს, რომელიც შემდეგ დღეს დააბრუნეს ავსტრიაში.<sup>3</sup> თავიდან არსებობდა საფრთხე, რომ ფრანგი მაკიზარები<sup>4</sup> გადალახავდნენ საზღვარს და მოიტაცებდნენ რუს ოფიცრებს, მაგრამ ფრანგულმა სარდლობამ აკრძალა ოპერაციის ჩატარება.<sup>5</sup>

---

ვილზე – ვიქტორია მელიტაზე, ედინბურგის ჰერცოგის ქალიშვილზე. ქორწინების შემდეგ, ნიკოლოზ II-მ ჩამოართვა კირილე ვლადიმირის ძეს საიმპერატორო ოჯახის წევრის ყველა უფლება, მათ შორის, ტახტის მემკვიდრეობის უფლებაც. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში ბევრმა გავლენიანმა რუსმა მონარქისტმა მხარი მანც მას დაუჭირა (იხ.: **С. А. Александров. Политическая история Зарубежной России...**).

<sup>1</sup> 22 ივნისის შემდეგ, მონარქისტების ბანაკში განხეთქილება დაიწყო, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო რუსეთისთვის ნაკლები ბოროტების განსახიერებად? საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა ჰიტლერზე, რადგან ვლადიმირ კირილეს ძე – ტახტის მემკვიდრე – მომხრე იყო „რუსული მინების დიქტატორის საშუალებით განმედაზე“, რათა თავად ის არ ყოფილიყო ამაში დამნაშავე (*«Руки царя не должны быть обагрены кровью»* (**С. А. Александров. Политическая история Зарубежной России...**)).

<sup>2</sup> ამის მიზეზი იყო წითელი არმიის წინსვლა (იხ.: **С. А. Александров. Политическая история Зарубежной России...**).

<sup>3</sup> მას შემდეგ, რაც ვლადიმირ კირილეს ძეს უარი უთხრეს თავშესაფარში, ის დაბრუნდა ამერიკულ საოკუპაციო ზონაში. ომის შემდეგ ვლადიმირ კირილის ძე ცხოვრობდა მადრიდში. 1948წ. 13 აგვისტოს ის დაქორწინდა ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანსკიზე. ამ ქორწინების აღიარების ფაქტზე დღემდე მიდის დავა-კამათი. ერთი მხრივ, ლეონიდა ბაგრატიონი სამეფო ოჯახიდან არის, მეორე მხრივ – ქორწინების მომენტისათვის ბაგრატიონები საქართველოს აღარ მართავდნენ. შემდგომში ვლადიმირ კირილის ძე თავის ცოლთან ერთად (ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანსკი) ცხოვრობდა პარიზში. ის გარდაიცვალა 1992 წელს 21 აპრილს აშშ-ში, კერძოდ, ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამში (იხ.: **С. А. Александров. Политическая история Зарубежной России...**).

<sup>4</sup> ამ შემთხვევაში მათ, პირველ რიგში, ეშინოლათ კომუნისტი პარტიზანების **Н. Толстой. Жертвы Ялты**, გვ. 451.

<sup>5</sup> მაკიზარები (იგივე მაკი) – ფრანგი პარტიზანების დასახელება, რომლებიც შეიქმნა საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში (კაპიტულაციის შემდეგ საფრანგეთი ორ ნაწილად იქნა დაყოფილი – ჩრდილოეთ საფრანგეთი ნაცისტების მიერ იქნა ოკუპირებული, სამხრეთ საფრანგეთი კი ვიშის მთავრობის კონტროლის ქვეშ იყო). მას შემდეგ, რაც 1942 წ. 8 ნოემბერს ამერიკელებმა დესანტი გადასხეს ჩრდილოეთ აფრიკაში, გერმანელებმა სამხრეთ საფრანგეთის ოკუპაცი-

რუს ოფიცრებს უფრო სერიოზული საფრთხეც ემუქრებოდათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იალტის კონფერენციაზე მიღწეული იქნა შეთანხმება რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებისა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეების სსრ კავშირისათვის გადაცემის შესახებ.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბი ამ პროცესმა, რომლის ყველაზე ცნობილი ეპიზოდია დონელი, ყუბანელი და თერგისპირა კაზაკების (რომლებიც გერმანიის მხარეს იბრძოდნენ) დეპორტაცია, მიიღო ავსტრიის ტერიტორიაზე. მხოლოდ ლიენციში (აღმოსავლეთ ტიროლი) საბჭოთა ხელისუფლებას გადასცეს 50 ათასი კაზაკი თავისი ოჯახებით.<sup>1</sup> მაისის ბოლოს კი გახდა ცნობილი გენერალ ვლასოვის ბედი.<sup>2</sup> ამიტომ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა განწყობა იყო შენაერთში, როცა 16 აგვისტოს ისინი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს. მიუხედავად ამისა, ხან თხოვნით და ხან მუქარით, საბჭოთა მხარემ მიიღო 200-მდე ადამიანის თანხმობა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. სხვათა შორის, ეს საკმაოდ საინტერესო ციფრია. ის იმის დასტურია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოკავშირეები პირდაპირ არ გადასცემდნენ რუს ტყვეებს საბჭოთა მხარეს, სსრ კავშირში დაბრუნების მოსურნეთა რიცხვი მაინც დიდი იქნებოდა.

პირველი რუსული ეროვნული არმიის ოფიცერთა კორპუსის პირადი შემადგენლობის ამგვარ გადანყვეტილებას სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა: ნაწილზე თითქოს ჰიპნოზური ზემოქმედება მოახდინა იმ ხალხის დანახვამ, რომლებზეც ისინი დამოკიდებულები იყვნენ რამდენიმე ხნის წინ (საუბარია საბჭოთა მოქალაქეებზე); მეორე ნაწილს იმის ემინოდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ძალით გამოაგდებდნენ; რამდენიმე პირმა ამნისტიის დაპირებას დაუფერა, ნაწილს კი უბრალოდ ნოსტალგია მიეძალა.<sup>3</sup> თავისი ზეგავლენა ასევე იქონია ლიენციის მოვლენებმა და იმის მინიშნებებმა, რომ ლიხტენშტაინშიც იგივე განმეორდებოდა.<sup>4</sup>

სსრკ-ში დაბრუნების მოსურნე რეპატრიანტები ჩასვეს მატარებელში და გაგზავნეს ავსტრიის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში. თავდაპირველად მათ ჰქონდათ კონტაქტი ლიხტენშტაინში დარჩენილებთან, რომლებსაც ვენიდან რამდენიმე წერილიც გაუგზავნეს, მაგრამ შემდეგ

---

აც მოახდინეს, რასაც მოჰყვა პარტიზანული დაჯგუფებების ინტენსიური შექმნა. **J. Kessel. Army of Shadows. London: Cresset Press, 1944, გვ. 102.**

<sup>1</sup> მათი დიდი უმრავლესობა დახვრეტილ იქნა. **Н. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 451.**

<sup>2</sup> ვლასოვი ტყვედ იქნა აყვანილი 1945 წ. 12 მაისს. ის გადაიყვანეს მოსკოვში და 1946 წ. 1 აგვისტოს ჩამოახრჩვეს. **Н. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 343.**

<sup>3</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დივიზია, დაკომპლექტებული იყო თეთრგვარდიელებით, რომლებსაც უკვე 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ ნანახი სამშობლო. **Н. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 451.**

<sup>4</sup> იგულისხმება ლიენციის მოვლენები, როცა საბჭოთა კავშირს გადასცეს ყველა რუსი, რომლებსაც ჰქონდა საბჭოთა მოქალაქეობა 1939 წლიდან დანყებული. **Н. Толстой. Жертвы Ялты, გვ. 209.**

სიჩუმემ დაისადგურა და რეპატრიანტებისაგან არანაირი ინფორმაცია არ მოდიოდა.<sup>1</sup> ბუნებრივია, ეს იმით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა კავშირში მათ სასტიკად გაუსწორდნენ და, უკეთეს შემთხვევაში, ხანგრძლივი გადასახლება მიუსაჯეს.

ლიხტენშტაინში დარჩენილები ბევრად უფრო იღბლიანები აღმოჩნდნენ. მათ ერთ წელზე მეტი იცხოვრეს სამთავროში, სანამ არგენტინამ არ მიიღო ისინი ემიგრანტების სტატუსით. 100-ზე მეტი რუსი, რომელთა შორის იყო გენერალი სმისლოვსკიც, გაემგზავრა არგენტინაში.<sup>2</sup> არსებობს ცნობები, რომ სანამ გენერალი სმისლოვსკი ლიხტენშტაინში იმყოფებოდა, მას არაერთხელ ესტუმრნენ აშშ-ს სტრატეგიული სამსახურის სამმართველოს ევროპული ბიუროს უფროსი ალენ დალესი და სხვა მაღალჩინოსანი პირები, თუმცა ჩვენ პირადად ეჭვი გვეპარება მათ სისწორეში, რადგანაც გენერალი ერთი დღეც კი არ იყო ნამყოფი საბჭოთა კავშირში და არ იცოდა, იქ რა ხდებოდა, ასე რომ, მისი პერსონა ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო საინტერესო ამერიკელთათვის.

ლიხტენშტაინის ინციდენტი ერთ-ერთი საინტერესო მომენტია მეორე მსოფლიო ომის დასკვნითი ეტაპის ისტორიიდან. ის საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითია ანტიკომუნისტური მოძრაობის ისტორიიდან. პირველი რუსული ეროვნული არმიის გადასვლა ლიხტენშტაინში, პირველ რიგში, იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, როდესაც სამხედრო შენაერთმა ითხოვა თავშესაფარი ნეიტრალურ სახელმწიფოში.<sup>3</sup> ამავე დროს, მართალია, ოფიცრების ნაწილი საბჭოთა პროპაგანდის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ეს იყო ლამის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც უმრავლესობამ მაინც თავი შეიკავა სსრკ-ში დაბრუნებისაგან.

<sup>1</sup> ვენა საბჭოთა საოკუპაციო ზონის ცენტრი იყო. *Россия и СССР в войнах XX века: Потери Вооружённых Сил. Под общей редакцией Г. В. Кривошеева.* М., 2001, გვ. 306.

<sup>2</sup> როგორც ცნობილია, არგენტინამ არა მარტო რუსი ემიგრანტები, არამედ გერმანელი ნაცისტებიც ბლომად შეიფარა. მათ შორის ყველაზე ცნობილი პიროვნებები, უდავოდ, ადოლფ აიხმანი და იოზეფ მენგელე არიან. სმისლოვსკი არც ახალ სამშობლოში, არგენტინაში, დარჩენილა უსაქმოდ. მან პრეზიდენტ პერონის მრჩევლის სტატუსი მიიღო (1948-1955წწ.). შემდგომ ის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადაბარგდა და 1966-1973 წლებში იყო ბუნდესვერის გენერალური შტაბის მრჩეველი. მან დააარსა ე.წ. „სუვოროველთა კავშირი“ (*«Суворовский союз»*). სმისლოვსკი გარდაიცვალა ლიხტენშტაინში, 1988 წელს.

<sup>3</sup> დივიზია „რუსეთს“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰქონდა მოკავშირე ჯარის სტატუსი (იხ.: **С. Дробязко, А. Карашук.** *Русская освободительная армия*, გვ. 15).

## GIORGI TSOMAIA

### THE LIECHTENSTEIN INCIDENT

On May 2, 1945, the military unit with Russian tricolour flag reached the state border of the Principality of Liechtenstein. Those were the soldiers of the so-called First Russian Army, which consisted of the Russian émigrés. They were headed by their commander, General Boris Holmston-Smyslovsky. He asked for the refuge for his soldiers. After brief negotiations the Liechtenstein government agreed to this request and gave its permit to 494 persons to enter its territory.

As it was decided in Yalta in February 1945, the British agreed to hand over all the Soviet prisoners of war, which were liberated from the Germans. Nevertheless, there were occasions when the British handed to the Soviets the émigrés, who never were the citizens of the USSR. The most notable case was the so-called repatriation of the Cossacks in Lienz. It became one of the reasons, why the part of the officers of the First Russian Army agreed to the Soviet proposal to return their homeland. The other part agreed because of the fear that they would be transferred by force to the Soviets. Some of them decided to trust the promise of amnesty. As a result, up to 200 persons returned to the USSR. In the best cases they were exiled for a long term.

At the same time, the officers, who decided to stay in Liechtenstein, were in a much better situation. Most of them stayed there for one year and after that Argentina gave the émigré status to them.

The passage of the First Russian Army to Liechtenstein is one of the notable moments during the final part of the Second World War. This was the only case when the military unit asked for the refuge in the neutral state. Besides that, although some of the officers became the victims of the Soviet propaganda, this is one of the few occasions when the most part of the officers refused to return to the USSR.



## ГЕОРГИЙ ЦОМАЯ

### ЛИХТЕНШТЕЙНСКИЙ ИНЦИДЕНТ

2 мая 1945 года к границе Княжества Лихтенштейн подошла колонна с российским триколором. Это были части т.н. Первой русской армии, которая была укомплектована российскими эмигрантами. Во главе колонны был командующий армии, ген. Борис Алексеевич Хольмстон-Смысловский. Он потребовал убежища для своих солдат. После непродолжительных переговоров, правительство Лихтенштейна решило удовлетворить эту просьбу и впустило 494 человек на свою территорию.

В результате решений достигнутых в Ялте в феврале 1945 года, англичане согласились передать СССР всех освобожденных советских пленных. Тем не менее, были случаи, когда Советскому Союзу были переданы эмигранты, которые никогда не были гражданами СССР. Особенно примечательным с этой точки зрения была передача казаков в Лиенце. Это стало одной из причин, из-за которой часть офицеров Первой русской армии согласилось на советское предложение о возвращении на родину. Другая часть согласилась из-за опасений, что их всё равно силой бы передали советской стороне. Некоторые поверили заверениям об амнистии. Всего в СССР вернулось до 200 человек, которые, в лучшем случае, были приговорены к долгосрочной ссылке.

В отличие от них, оставшиеся в Лихтенштейне оказались в намного лучшей ситуации. Большинство из них прожило около года в княжестве, после чего получила статус эмигранта в Аргентине.

Переход Первой русской армии в Лихтенштейн весьма примечательное явление в истории заключительной части Второй мировой войны. Это был единственный случай, когда военное соединение попросило убежище в нейтральном государстве. Кроме того, несмотря на то, что часть офицеров оказалась жертвой советской пропаганды, это чуть ли не единственный случай, когда большинство всё-таки воздержалось от возвращения в СССР.

## ფატი შაყლაშვილი

### კოსოვოს სერბების საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს

კოსოვოსა და მეტოქიის<sup>1</sup> ტერიტორიებიდან სერბების მასობრივი განდევნა, მსოფლიო კულტურის ძეგლების ნგრევა, ტერორისტული აქტები, ეთნიკური წმენდა რომლის მოწმეც გავხდით საუკუნის გასაყარზე, მოწმობს იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული სამყაროსთვის ფრიადღიერი რეგიონის ისტორია კვლავ უკანონობის და ძალადობის მაგალითებმა დაჩრდილა. დაახლოებით მეოთხედი მილიონი სერბი და სხვა არაალბანური წარმომავლობის მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მშობლიური კერა და სერბეთსა და ჩერნოგორიას თავშეფარებულნი ლტოლვილად ქცეულიყო. ალბანელმა ექსტრემისტებმა დაუნდობლად გაანადგურეს მართლმადიდებლური ძეგლები, ეკლესიები, სასაფლაოებიც კი.

ის, რაც კოსოვოსა და მეტოქიაში მოხდა სულ ახლო ისტორიულ წარსულში, ადვილად პოულობს ანალოგს კოსოვოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდთან, რომელიც უკავშირდება მეორე მსოფლიო ომს.

1941 წლის აპრილში ფაშისტებთან იუგოსლავიის მარცხისთანავე ქვეყანაში დამყარდა საოკუპაციო რეჟიმი, რომლის ხელშეწყობით ალბანელმა ნაციონალისტებმა გააჩაღეს ტერორისტული საქმიანობა სერბი მოსახლეობის წინააღმდეგ. დაიწყო სერბეთიდან და ჩერნოგორიიდან სერბული ელემენტის გაძევება, ფიზიკური ლიკვიდაცია, მათი სახლების და ქონების დატაცება. პირველ მსხვერპლად იქცნენ სერბი კოლონისტები, ისინი, ვინც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გადასახლდნენ კოსოვოსა და მეტოქიაში. ალბანელთა რაზმები დაუნდობლად აძევებდნენ მათ საკუთარი საცხოვრებლებიდან. გაჩაღდა დიდი ალბანური ნაციონალიზმის აქტიური პროპაგანდა. ალბანურ მოსახლეობაში ნერგავდნენ

---

<sup>1</sup> მეტოქია სერბულ ენაზე ნიშნავს „საეკლესიო მიწას“. ალბანელები, თავი რომ აარიდონ სახელწოდების ქრისტიანული წარსულის მინიშნებას, კოსოვოს და მეტოქიის ავტონომიურ ოლქს იხსენიებდნენ კოსოვოს სახელით. სერბებისთვის კი „კოსოვოს“ და „მეტოქიას“ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან ეს გარკვეულწილად ხაზს უსვამს სერბების ისტორიულ უფლებას ამ ტერიტორიებზე. მეტოქია დღევანდელი კოსოვოს ტერიტორიის 35%-ს მოიცავს. რაც შეეხება თანამედროვე მსოფლიოს აზრს, მან ეს საკითხი უკვე გადაწყვიტა – ამ მხარეს ცნობს, როგორც „კოსოვო“-ს. **Е. Ю. Гуськова.** История югославского кризиса (1990-2000). М., 2001, გვ. 698.

და აღვივებდნენ სერბების მიმართ სიძულვილს, შედეგად, ანტისერბული განწყობა გაძლიერდა და ყოფილი მეზობლები ერთმანეთის მტრებად გადაიქცნენ.

1941 წლის აპრილიდან სერბები მუდმივ ტერორში, სიკვდილის მუქარის ქვეშ ცხოვრობდნენ. 1942 წელს სერბეთის სამხრეთ საზღვარი აღმოჩნდა გერმანელთა საოკუპაციო ზონაში. აპრილში მიტროვიცასა და რაშკაში გამართულ კონფერენციაზე შეიკრიბა დაახლოებით 60 ათასი ლტოლვილი, განიხილეს სერბი ლტოლვილების დაბრუნების საკითხი, მაგრამ ამ ფაქტმა შედეგი ვერ გამოიღო. სერბების გასახლებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1942 წლის ივნისში კოსოვოში იმყოფებოდა ალბანეთის მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენელი მუსტაფა ქრუი, რომელიც შეხვდა ალბანელ ლიდერებს. მისი მითითებით, ყველა სერბი უნდა გამოეცხადებინათ კოლონისტად და ამ რანგში გადაეცათ ალბანური და იტალიური ხელისუფლებისათვის, რომლებიც მათ გადააგზავნიდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე განლაგებულ საკონცენტრაციო ბანაკებში. სერბების მასობრივი მკვლელობები და დეპორტაცია შეუქცევადი გახდა.

სერბული მართლმადიდებლური ეკლესიების წმინდა სინოდის კანცელარიის დოკუმენტებში მოთხრობილია იმ საშინელი დანაშაულების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა კოსოვოს სერბებს: ძალადობა, ეკლესიების ნგრევა, ქონების დატაცება, მასობრივი დაპატიმრება, განდევნა საკუთარი ქვეყნიდან. 1941 წლის 17 აპრილს ქ. პრიზრენში შევიდნენ იტალიელი მეზობლები. დაიწყო დაპატიმრებების და გადასახლების ახალი ეტაპი. კოსოვოდან და მეტოქიდან განდევნილების საერთო რაოდენობა აღწევდა 100 ათასს, ოკუპაციის დროს დაღუპულთა ზუსტი რიცხვი დადგენილი არ იყო. ტრაგიკული ბედი გაიზიარეს სერბული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმაც. რაშკა-პრიზრენის ეპარქიის არქივში საკმაო ინფორმაციაა დაცული ომში დაღუპული ეკლესიის მსახურების შესახებ. მაგალითად, დევიჩის მონასტრის წინამძღვარი დამასკინ ბოშკოვიჩი ჯერ სცემეს, შემდეგ ქვებით ჩაქოლეს და დახვრიტეს. ასეთივე ბედი ეწიათ ქ. პეჩის საპატრიარქოს იღუმენს იოან ზეტევიჩს, ბინჩის მონასტრის წინამძღვარს იოან მინოვიჩს, მღვდლებს რადულ ბოჟოვიჩს, ტიხომირ ბალშიჩს, უროშ პოპოვიჩს, ლუკა პოპოვიჩს და მრავალ სხვას. დაარბიეს და გაძარცვეს ეკლესიები, დააზიანეს ფრესკები, ხატები, ღვთისმსახურებისთვის საჭირო ჭურჭელი და საეკლესიო ნივთები. ოკუპანტებმა გაძარცვეს სერბების სულიერი და ეროვნული მემკვიდრეობა, ისევე როგორც მატერიალური სიმდიდრეები.<sup>1</sup>

„სერბეთში გერმანიის მეურნეობის წარმომადგენლის“ ნეიჰაუზე-

<sup>1</sup> K. Olshausen. Zwischenspiel auf der Balkan. Die deutsche Politik gegenüber Jugoslawien und Griechenland vom März bis Juli 1941. Beiträge zur Militär- und Kriegsgeschichte. hrsg.v. Militärgeschichtlichen Forschungsamt. B/14. Stuttgart, 1973, გვ. 308.

ნის მითითებით, მთელი პური, პროდუქტები, ტყის მასალები და მინერალები უნდა გადაეგზავნათ გერმანიაში. გერმანელმა მრეწველებმა დაიტაცეს და თავის კონტროლს დაუქვემდებარეს მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები, სავაჭრო და სატრანსპორტო ორგანიზაციები, მათ ხელში აღმოჩნდა თითქმის ყველა ძლიერი სანარმოს აქციები“.<sup>1</sup>

სერბი ეპისკოპოსის ათანასი ევტიჩის, რომელმაც აღწერა კოსოვოს და მეტოქიის სერბების ტრაგედია 1941-1990 წლებში, ჩანაწერებში, მრავალთა შორის, დაცულია 1941 წლის 20 ივლისით დათარიღებული ცნობა, რომელიც ეკუთვნის მღვდელ დიმიტრი შეკულარაცს. იგი აღწერს: „მე მეუღლით და ექვსი ბავშვით მაშინ გავიქეცი, როცა ჩვენს მოკვლას აპირებდნენ, ისევე როგორც ეს გაუკეთეს სერბების უმრავლესობას. ქვეყანაში სრული ქაოსია, ალბანელები შეუბრალებლად ესხმიან თავს სერბებს, ძარცვავენ, სცემენ, ჰკლავენ, რამდენჯერმე ვცადეთ მათ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. სერბი ხალხი პანიკაშია, სტოვებენ ყველაფერს და გარბიან. მე მცირეწლოვანი ბავშვებით, რომელთაგან უფროსი 11 წლისაა, ქ. პეჩში გავიქეცი, სადაც რაჰკა-პრიზრენის ეპისკოპოსი და ორი მღვდელი დაგვეხმარა და ერთად მივმართეთ გერმანელთა მთავარსარდალს (ისინი უკვე შემოსულები იყვნენ), დაგვეხმარებოდნენ ალბანელებისგან თავის დაცვაში და მივიღეთ უარი იმ მოტივით, რომ მათ (გერმანელებს) არ ჰყავდათ საკმარისი მეზობლები სოფლის დასაცავად. პეჩიდან ჩაკორის მიმართულებით წასვლა გადაწყვიტე, მივრბოდით ტყეში და ალბანელები ფეხდაფეხ მოგვსდევდნენ. ჩემი ეკლესია დაანგრიეს, მდგომარეობა აუტანელია. უკან ალბათ არასდროს დავბრუნდები...“.<sup>2</sup>

ამავე ჩანაწერებშია მოყვანილი სტუდენტ ბრანისლავ ლესკოვიცის ცნობა: „იუგოსლავიის ნაწილის კაპიტულაციისთანავე პრიზრენში შემოვიდნენ იტალიელი მეზობლები. პრიზრენის ალბანური მოსახლეობა გულითადად შეეგება იტალიურ ნაწილებს. ჩვენთვის ეჭვს აღარ იწვევდა ის ფაქტი, რომ მომავალში ჩვენი (სერბების) მდგომარეობა გაუარესდებოდა. დაახლოებით 1941 წლის 20 აპრილიდან დაიწყო სერბების დაპატიმრება. 20-30 ადამიანი, რომლებიც ხელისუფლებას წარმოადგენდნენ, გამოკეტეს პრიზრენის მუნიციპალიტეტის შენობაში, სახლის ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ გაჰყავდათ ისინი შენობის... ეზოში და მხეცურად სცემდნენ, ხოლო რამდენიმე დღის შუალედით ხუთი ადამიანი ქალაქგარეთ გაჰყავდათ და ხვრეტდნენ. მათი მსხვერპლი გახდა ორი ძმა მარიანოვიჩი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები და მრავალი სხვა...“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ფ. შეყლაშვილი. გერმანიის ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში XX ს-ის 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. თბ., 2009, გვ. 153.

<sup>2</sup> K. Olshausen. Zwischenpiel auf der Balkan, გვ. 308-309.

<sup>3</sup> K. Olshausen. Zwischenpiel auf der Balkan, გვ. 320.

პრიზრენში თანდათან ჩამოყალიბდა ალბანური ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ძირითადად ომამდელი ალბანეთის ჩინოვნიკებით იყო დაკომპლექტებული. ალბანელთა ალიანსი დამპყრობლებთან არც იყო გასაკვირი. ცნობილი ფაქტია, რომ ისტორიულად, ჯერ კიდევ ოსმანთა დაპყრობების პერიოდიდან, ალბანელები ადვილად ექცეოდნენ დამპყრობლების გავლენაში. ეს განპირობებული იყო ალბანელების ჩამორჩენილი ცხოვრების დონით, მათ არ გააჩნდათ მყარი რელიგიური საყრდენი და უფრო ეფექტურად ინტეგრირებული აღმოჩნდნენ ოსმანთა იმპერიის სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში. სერბული ელემენტი თანდათან იდევნებოდა კოსოვოსა და მეტოქიის ტერიტორიებიდან, შესაბამისად, საუკუნეების შემდეგ, სერბული ეთნოსი საშინელ უმცირესობაში მოექცა (ცნობისათვის: 1455წ. კოსოვოში მოსახლეობის 98% იყვნენ სერბები, 1% – ალბანელები, 1% – დანარჩენი, ხოლო 2007წ. – სერბები – 5%, ალბანელები – 92%, დანარჩენი – 3%).<sup>1</sup>

სამხედრო ხელისუფლება იტალიურმა არმიამ იგდო ხელთ. შეიქმნა ჟანდარმერია, მოგვიანებით კი – ალბანურ-იტალიური პოლიცია, სადაც ჭარბობდა ალბანელთა გავლენა. სერბების დაპატიმრების ახალი ეტაპი გაგრძელდა 1943 წლამდე. მათ გზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. შემოდგომაზე დაიწყო ტერორის ახალი ტალღა, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ ხორვატი უსტაშებიც.<sup>2</sup> ემზადებოდნენ რა კაპიტულაციისთვის, იტალიელებმა, სამოქალაქო ხელისუფლება ჯერ კიდევ ზაფხულში თანდათან გადააბარეს ალბანელებს. შედეგად, სერბები სრულად მოექცნენ ალბანელების ტერორის ქვეშ. 1941 წელს მეტოქიის ნაწილი ფორმალურად იქნა ანექსირებული ალბანეთის სასარგებლოდ. ალბანელები, გერმანელებთან შეთანხმების თანახმად, მეტოქიის დარჩენილ ნაწილს და მთლიანად კოსოვოს „ახალ ალბანეთად“ მოიაზრებდნენ.<sup>3</sup> კოსოვოს და მეტოქიის წარმომადგენლები შეიყვანეს ტირანას ერთიან ალბანურ პარლამენტში, „დიდი ალბანეთის“ შექმნის იდეა თანდათან რეალური ხდებოდა.

ალბანელებმა 1941 წლის აპრილიდან 1942 წლის აგვისტომდე დაახლოებით 10 ათასი სერბი გაანადგურეს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტრაგიკული ბედი მათთან ერთად გაიზიარეს ეკლესიის მსახურებმაც. რაშკა-პრიზრენის ეპარქიის არქივში დაცული უამრავი ცნობებით და წერილებით, რომლებიც სიკვდილით დასჯილ მართლმადიდებელ

<sup>1</sup> ფ. შეყლაშვილი. კოსოვო – გადაჭრილი პრობლემა თუ ახალი კრიზისის დასაწყისი. – „საისტორიო ვერტიკალები“, №16, 2008, გვ. 76.

<sup>2</sup> მსოფლიო ომში ფაშისტების მომხრე ხორვატმა უსტაშებმა მილიონნახევრამდე სერბი მხეცურად მოკლეს. მათ ჰქონდათ გარკვეული მიზანი – სერბების ნაწილი გაენადგურებინათ, ნაწილი – სამშობლოდან განედევნათ, ნაწილი კი – მოექციათ კათოლიკურ სარწმუნოებაზე.

<sup>3</sup> K. Hildebrand, K. Drechsler, H. Dress, G. Hass. Europa-pläne des deutschen Imperialismus im zweiten Weltkrieg. – *Zeitschrift für Geschichtswissenschaft*. №7, 1971, გვ. 14.

სერბებს ეკუთვნით, ცნობილი ხდება, რომ სერბული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურები იქცნენ არა მარტო ალბანელების, არამედ ოკუპანტებისა და პარტიზანი კომუნისტების მსხვერპლად. მათ ფაქტობრივად ყველაფერი გაანადგურეს. ეკლესიებს საპატიმროებად იყენებდნენ. დარბეულ სერბულ სინმინდეებს შორის იყო კოსოვოს გმირების ძეგლიც.

ოკუპანტებისგან ქვეყნის განთავისუფლების შემდეგაც კი განდევნილმა სერბებმა ვერ შეძლეს დაბრუნებოდნენ წინანდელ კერას. ხელმძღვანელობდა რა პოლიტიკური მოტივებით, იუგოსლავიის კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეაფერხა მათი დაბრუნების საკითხი. 1945 წ. 6 მარტს მიიღეს დადგენილება „კოლონისტების წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების დროებითი აკრძალვის“ შესახებ, რის გამოც 100 ათასამდე სერბმა ვერ შეძლო დაბრუნება კოსოვოში.<sup>1</sup> 1946 წლის იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით ჩამოყალიბდა კოსოვოს და მეტოქიის სოციალისტური ავტონომიური მხარე. იოსიფ ბროზ ტიტო იმედოვნებდა ალბანეთის შესვლას იუგოსლავიის შემადგენლობაში და ახალისებდა ალბანელების გადასახლებას კოსოვოში, ხოლო სერბი მოსახლეობის დაბრუნებისას დაწესდა ზღვარი.

ვინაიდან ცხოვრების დონე კოსოვოში უკეთესი ჩანდა, ვიდრე მეზობელ ალბანეთში, გაძლიერდა ლტოლვილთა ნაკადი ალბანეთიდან. იოსიფ ბროზ ტიტოს ომისშემდგომი კომუნისტური პოლიტიკა ფაქტობრივად ამყარებდა ალბანელების მიღწეულ პოზიციებს. შემდეგშიც კოსოვოს ავტონომიურ ოლქში ალბანური გავლენა ძლიერდებოდა. ყოველგვარი ალბანური უპირატესობით სარგებლობდა, რაც, გარკვეულწილად, ხდებოდა სერბული ეთნოსის შევიწროების ხარჯზე.

60-70-იან წლებში ალბანელი რადიკალების ტალღამ საგრძნობლად გააფართოვა კოსოვოს ავტონომია. გახშირდა შეტაკებები ეროვნულ ნიადაგზე, დაპირისპირება კიდევ მეტად გაძლიერდა 80-90-იან წლებში. 1999 წლის ომის შემდეგაც ალბანელი ლტოლვილების ძირითადი მასა უკან დაბრუნდა, სერბი მოსახლეობის დიდი ნაწილი კი იძულებული გახდა, საცხოვრებელი რეგიონის გარეთ ექებნა. ამ და სხვა ფაქტორებმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე ეტაპზე კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, სადაც დღეს დიდ უმრავლესობას წარმოადგენს ალბანური მოსახლეობა.

ეპოქების განმავლობაში სერბების მუდმივმა დევნამ საკუთარი კერიდან, ომის დროს განხორციელებულმა გენოციდმა და მათ წინააღმდეგ ჩადენილმა ბევრმა მსგავსმა დანაშაულმა სერბები საკუთარ სამშობლოში, კოსოვოსა და მეტოქიაში („ძველი სერბეთი“), უმცირესობაში მოაქცია. ეს ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანამედროვე ეტაპზე კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

<sup>1</sup> ფ. შეყლაშვილი. კოსოვო – გადაჭრილი პრობლემა..., გვ. 76.

**PATIMA SHEKLASHVILI**

**THE ISSUE OF THE KOSOVO SERBS DURING  
THE SECOND WORLD WAR**

The events that happened in Kosovo and Metohija in the recent historical past can be easily considered the analog of one of the roughest periods of the history of Kosovo related to the Second World War. In April 1941 upon defeating of Yugoslavia by the Germans the occupation regime was established in the country through which the Albanian nationalists roused terrorist activities against the Serbian population. There began expatriation of the Serbian element from Kosovo, there were cases of physical liquidation, plunder of their houses and property.

At the expense of oppression of the Serbian ethnos in Kosovo Autonomous District the Albanian influence intensified. The permanent pursuit of the Serbians from their home throughout epochs, the genocide performed during the war and many similar outrages committed against them have turned the Serbians in their own historical homeland, Kosovo and Metohija, into insignificant ethnic minority. These factors have played most important role in declaration of independence of Kosovo at the present stage.

**ПАТИМА ШЕКЛАШВИЛИ**

**ВОПРОС КОСОВСКИХ СЕРБОВ ВО ВРЕМЯ  
ВТОРОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ**

События, которые случились в Косово и Метохии в недалёком прошлом легко находят сходство с одним из тяжелейших периодов истории Косово, а именно, со Второй мировой войной. В апреле 1941 года, после захвата Югославии немцами, в стране был установлен оккупационный режим, посредством которого албанские националисты начали терроризировать сербское населения. Началось изгнание сербов из Косово. Процесс сопровождался убийствами, грабежами и насилием.

Благодаря угнетению сербского населения в Косовском автономном крае, албанское влияние усилилось. Постоянное давление на сербов в течение продолжительного времени, геноцид осуществленный во время Второй мировой войны и подобные акты насилия превратили сербов в этническое меньшинство в своей исторической родине – Косово и Метохии. Эти факторы сыграли решающую роль в провозглашении независимости Косово.

## შალვა კიკალიშვილი

### ჰოლ ბრემერი და აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ 2003-2004 წლებში

2003 წლის 20 იანვარს შეიქმნა ერაყის რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების სამმართველო, რომლის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა გადამდგარი გენერალი **ჯეი გარნერი**. ეს მოხდა ჯერ კიდევ სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე და ამ ფაქტმა ნათლად აჩვენა, რომ აშშ-ს ძალიანაც არ სურდა ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესში ჩართვა და მათი ფოკუსი ჰუმანიტარულ კრიზისზე უფრო იყო მიმართული, რადგან გარნერი მეთაურობდა ოპერაციას სახელად „უზრუნველგყოთ კომფორტით ერაყის ქურთისტანი“, რათა გადაადგილებული ქურთები დაეპურებინათ და მათი რეპატრიაცია მოეხდინათ.<sup>1</sup> 19 მარტს, ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის დაწყების დღეს, აღნიშნული სამმართველო გარდაიქმნა კოალიციურ დროებით ხელისუფლებად, რომელიც თავდაცვის დეპარტამენტს ექვემდებარებოდა და რომელსაც გარნერი 21 აპრილს ჩაუდგა სათავეში (მანამდე აღნიშნულ ორგანოს ოფიციალური ხელმძღვანელი არ ჰყავდა, თუმცა რეალურად ამ ფუნქციას სწორედ გარნერი ასრულებდა). გარნერს არ მოეწონა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილი 1000-გვერდიანი დოკუმენტი – „ერაყის პროექტის მომავალი“ – და უგულვებელყო ის. როგორც გორდონი და ტრეინორი ამტკიცებენ, დოკუმენტის იგნორირება სწორედ სახელმწიფო დეპარტამენტისა და პენტაგონის დაპირისპირების გამო მოხდა.<sup>2</sup>

გარნერს, რომელიც მართლაც სხვანაირად უყურებდა ერაყის საკითხს, ჰქონდა მცდელობა, რომ ერაყში სასწრაფოდ, არა უგვიანეს ივლისის შუა რიცხვებისა, ჩაეტარებინა არჩევნები. მისი თქმით, „რაც ჩვენ გვჭირდება, არის ერაყის ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც ხალხის თავისუფალ ნებას გამოხატავს. ეს მათი ქვეყანაა... მათი ნავთობია“.<sup>3</sup> 2004 წ. 18 მარტს მან BBC-ს განუცხადა: „მე უპირატესობას ვანიჭებდი ერაყელებისთვის ხელისუფლების რაც შეიძლება მალე გადაცემას. ეს

<sup>1</sup> **Douglas Feith**. War and Decision: Inside the Pentagon at the Dawn of the War on Terrorism. New York: Harper Collins Publishers, 2008, გვ. 349.

<sup>2</sup> **Michael Gordon, Bernard Trainor**. Cobra II: The Inside Story of the Invasion and Occupation of Iraq. London: Atlantic Books, 2007, გვ. 182.

<sup>3</sup> **Greg Palast**. Unreported: The Zarqawi Invitation. ZNet, June 10, 2006. Accessed on March 25, 2015 at <http://www.gregpalast.com/unreported-the-zarqawi-invitation>.



კი არჩევნების სახით უნდა მომხდარიყო... მე ვთვლიდი, რომ ერაყელები თავად უნდა გამხდარიყვნენ საკუთარი ბედ-იღბლის პატრონები“.<sup>1</sup> როგორც ჩანს, სწორედ ასეთი დამოკიდებულების ბრალი იყო ის, რომ გარნერი სასწრაფოდ, უკვე 2003 წ. 12 მაისს ჩაანაცვლეს პოლ ბრემერით.

კოალიციური დროებითი ხელისუფლების ახალ ხელმძღვანელს, ლუისის პოლ ბრემერს უფრო მეტი საერთო ჰქონდა ნეოკონსერვატორებთან, მაგ. პოლ ვულფოვიცთან. ჩავიდა თუ არა ერაყში, ბრემერმა გარნერს აცნობა, რომ ერაყის არმიას არ აღადგენდა და არც ბაასის პარტიასთან იმუშავებდა. მან ადგილობრივი არჩევნებიც გააუქმა, რაც ერაყელების მიერ იყო დაგეგმილი. მან ცვლილებები შეიტანა კოალიციური დროებითი ხელისუფლების ფუნქციებშიც. მართალია, თავიდან ეს ერთეული გათვალისწინებული იყო როგორც სამოქალაქო მთავრობა, მაგრამ იგი მაინც უფრო სამხედრო გახლდათ, რადგან შედგებოდა მრავალი სარეზერვო ოფიცრისაგან, თუმცა ოფიცრების დიდ ნაწილს უკვე ჰქონდა სათანადო სამოქალაქო გამოცდილება. არსებობდა საშუალო რანგის სპეციალისტების სერიოზული დეფიციტი. არაბული ენის მცოდნე რეგიონული ექსპერტებიც კი არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობით. ბრემერს თავისი მოადგილე ოფიციალურად არ დაუნიშნავს, მაგრამ კლეიტონ მაკმანაუეი ითვლებოდა მის უახლოეს მრჩეველად და მისი არყოფნის შემთხვევაში მეთაურობდა კოალიციურ დროებით ხელისუფლებას.<sup>2</sup> რამსფელდის ფორმალური ბრძანებით ბრემერს ჰქონდა კოალიციური ერთობლივი ძალების (JTF-7) მეთაურის გენერალ რიკარდო სანჩესის მხარდაჭერაც.

თავიდანვე დაბნეულობას იწვევდა კოალიციური დროებითი ხელისუფლების ურთიერთობა ვაშინგტონთან. ეს დანაყოფი ერთდროულად იყო თავდაცვის დეპარტამენტის ნაწილი, მრავალეროვნული ორგანიზაცია და უცხო ქვეყნის მთავრობა. ბრემერიც, ერთი მხრივ, რამსფელდს ემორჩილებოდა, თუმცა პატაკს პრეზიდენტის სპეციალურ დესპანსაც აბარებდა.<sup>3</sup> ეს კი იწვევდა გარკვეულ გაუგებრობას ურთიერთობის სტატუსზე. რამსფელდმა ბრემერის შტაბის უფროსს აუკრძალა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურში აყვანა, ვინაიდან ამ უკანასკნელებს პირდაპირ უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია ვაშინგტონში. თავდაპირველად თავდაცვის დეპარტამენტი ბრემერის პატაკს არ აწვდიდა სახელმწიფო დეპარტამენტს, თეთრ სახლსა და ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს. შემდგომაც კი აგვიანებდა ინ-

<sup>1</sup> David Leigh. General Sacked by Bush says he Wanted Early Elections. The Guardian. March 18, 2004. Accessed on March 25, 2015 at <http://www.guardian.co.uk/world/2004/mar/18/iraq.usa>).

<sup>2</sup> James Dobbins, Seth G. Jones, Benjamin Runkle, Siddharth Mohandas. National Security Research Division. Occupying Iraq. Carnegie Corporation of New York. Rand Corporation, 2009, გვ. 16 ([http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2009/RAND\\_MG847.pdf](http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2009/RAND_MG847.pdf)).

<sup>3</sup> James Dobbins, Seth G. Jones., Occupying Iraq, გვ. 17.

ფორმაციის მიწოდებას.<sup>1</sup>

ოკუპაციის სანჯის პერიოდში ძირითადი ხარვეზები მოდის სწორედ პოლ ბრემერისა და კოალიციური დროებითი ხელისუფლების შეცდომებზე. პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ერთგვარი დაპირისპირების გამო ვერ ხერხდებოდა კოორდინირებული მუშაობა და გეგმების შეთანხმება. **დაგლას ფეისი** ასკვნის, რომ ბუშის ადმინისტრაციის მთავარი წევრებიდან და სახელმწიფო დეპარტამენტიდან უხალისოდ უდგებოდნენ საკითხს, რადგან პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდნენ, თუმცა ვერცერთი ვერ შეეწინააღმდეგა მას დისკუსიისას.<sup>2</sup> **რიჩარდ არმიტეჯი** აღნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკაში, რომელიც კონდოლიზა რაისის მიერ უნდა ყოფილიყო კოორდინირებული, ეფექტური ნაბიჯები არ იყო გადადგმული.<sup>3</sup>

დამატებით, ომის შემდგომ ამერიკამ ვერ შეძლო ძალის ერთიანობის შენარჩუნება. კოალიციის დროებითი ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნა ერაყში. სინამდვილეში კი ასე არ მომხდარა – ცენტრალურმა სარდლობამ და კოალიციის დროებითმა ხელისუფლებამ სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს მოქმედება. ცენტრალური სარდლობა რამსფელდს აბარებდა პატაკს. მართალია, **პოლ ბრემერს** უნდა ჩაეებარებინა პატაკი რამსფელდისათვის, მაგრამ ის ამას არ ასრულებდა. შედეგად, არ იყო ლიდერთა ერთობლიობა და, აქედან გამომდინარე, არც ძალის ერთობლიობა.<sup>4</sup> უფრო მეტიც, უწყებათაშორისი დებატები ვაშინგტონში უარყოფდა აღმდგენი პროგრამისთვის ძალის საჭიროებას.<sup>5</sup>

ბრემერმა საკუთარ თავს ფაქტობრივად დიქტატორის უფლებები მიანიჭა. 14 თვის მანძილზე ბრემერმა 100 ბრძანება გასცა, რაც აშშ-ს სამხედროებისა ან ერაყის მთავრობის მიერ უნდა ყოფილიყო აღსრულებული. გაეროს სპეციალური დესპანი ლახდარ ბრაჰიმი ბრემერს „*ერაყის ახალ დიქტატორსაც*“ კი უწოდებს.<sup>6</sup> მან თავის თანაშემწეებს განუცხადა 2003 წ. 12 მაისს, რომ დემოკრატია ვერ იმუშავებდა, თუ პოლიტიკურ სტრუქტურებს არ ექნებოდათ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა. ამის უზრუნველყოფა კი პოლიტიკური პარტიების, თავისუფალი პრესის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო ხარ-

<sup>1</sup> **James Dobbins, Seth G. Jones.**, Occupying Iraq, გვ. 18.

<sup>2</sup> **Douglas Feith.** War and Decision, გვ. 272.

<sup>3</sup> **Bob Woodward.** Plan of Attack. New York: Simon & Schuster, 2004 (e-Book), Epilogue.

<sup>4</sup> **John Davis.** Presidential Policies and the Road to the Second Iraq War. Howard University, 2006, გვ. 435.

<sup>5</sup> **Ali Allawi.** The Occupation of Iraq: Winning the War, Losing the Peace. Yale University Press, 2007, გვ. 81.

<sup>6</sup> **Antonia Juhasz.** The Bush Agenda: Invading the World, One Economy at a Time. New York: HarperCollins Publishers, 2006, გვ. 197.

ჯებში ანგარიშვალდებულებით იყო შესაძლებელი.<sup>1</sup> პოლ ბრემერი ერაყში ჩავიდა მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის სამხედრო ოპერაციები წარმატებით დასრულდა. იგი იტყვის, რომ მას რთული როლი დაეკისრა ერაყის აღმშენებლობის საქმეში. იგი კოალიციის გამოწვევებს სამ პუნქტში აღწერს: „**ერაყელი ხალხისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ერაყის დაყენება უფრო გახსნილ, ჰუმანურ და დემოკრატიული საზოგადოების გზაზე, ბოლოს ერაყის მომაკვდავი და დახურული ეკონომიკის რეფორმა**“. მისივე თქმით, პირველი პუნქტი სამხედროების მისია იყო, ხოლო ბოლო ორი – კოალიციური დროებითი მთავრობის.<sup>2</sup>

ბრემერის ერაყში ჩასვლით ამერიკელების პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. **ბრედ სუონსონი**, კოალიციური დროებითი მთავრობის წევრი, ამერიკელების ერაყში ყოფნას ორი ფაზით აღწერს:

1. თავდაჯერებულობის ფაზა, როდესაც ნაკლები სამხედრო ძალით, მცირე გეგმით, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ დაიპყრო ქვეყანა და ვარაუდობდა ექვსი კვირის მანძილზე დაეტოვებინა ის ფუნქციონირებადი მთავრობით;
2. ქედმაღლობის ფაზა, რაც ითვალისწინებდა ამერიკის დიდ ფინანსურ და ადამიანისეულ ჩარევას მას შემდეგ, რაც გააზრებულ იქნა პრობლემის სირთულე, რათა პრობლემა მანც გადაწყვეტილიყო.<sup>3</sup>

ბრემერს სჯეროდა, რომ ძლიერი პოლიტიკური ინფრასტრუქტურის შექმნით, აშშ-ს შეეძლო წარმატების მიღწევა ერაყში. მას სურდა გერმანული და იაპონური მოდელების გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქაოსი, სამოქალაქო ომი და ტირანია გამეფდებოდა.<sup>4</sup> ორი ვარიანტი არსებობდა: პირველი – მმართველობის დაუყოვნებლივ, არჩევნების გარეშე, გადაბარება ერაყული მთავრობისათვის ან მეორე – მმართველობის შენარჩუნება და შედარებით ნელი, ფრთხილი პოლიტიკური პროცესის შედეგად სუვერენიტეტის აღდგენა.<sup>5</sup> ერაყელებისათვის ხელისუფლების გადაცემის ირგვლივ არსებული განსხვავებული მოსაზრებების გამო ამერიკის შეერთებული შტატები გრძელვადიან ოკუპაციის ან ალმოჩნდა ჩართული. ძირითადად ეს იყო იმის მიზეზი, რომ უფრო მეტად ინკლუზიური პოლიტიკური გარემოს შექმნა სურდათ.<sup>6</sup> ერაყში

<sup>1</sup> **Paul Bremer, Malcolm McConnell.** My Year in Iraq: The Struggle to Build a Future of Hope. New York: Simon & Schuster, 2006, გვ. 19.

<sup>2</sup> **Paul Bremer, James Dobbins, David Compert.** Early Days in Iraq Decision of The CPA. Survival Vol. 50, No. 4. 2008, გვ. 21 (<http://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/00396330802328925>).

<sup>3</sup> **George Packer.** The Assassins' Gate: America in Iraq. New York: Farrar, Straus and Giroux, 2005, გვ. 187.

<sup>4</sup> **Paul Bremer, Malcolm McConnell.** My Year in Iraq, გვ. 205.

<sup>5</sup> **Paul Bremer, James Dobbins, David Compert.** Early Days in Iraq, გვ. 33.

<sup>6</sup> **Peter Galbraith.** The End of Iraq: How American Incompetence Created a War Without End. New York: Simon and Schuster, 2006, გვ. 116.

მიმდინარე სირთულეების გვერდით ბუშის ადმინისტრაციამ გადახედა სანყის გეგმებს ომის შემდგომი ერაყის შესახებ. ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესის თავიდან აცილება შეუძლებელი ჩანდა. ამერიკელი სამხედროების რიცხვი გაიზარდა, რამაც ბალდადში უფრო დიდი პატრულირება გამოიწვია. 2003 წლის ივნისმა აშკარად გამოაჩინა ცვლილება ამერიკის პოლიტიკაში – ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესისაკენ სწრაფვა ცხადი გახდა.<sup>1</sup>

ბრემერმა გადაწყვიტა, შეექმნა სამოქმედო გეგმა, რადგან ვაშინგტონის ომისშემდგომმა გეგმებმა არ გაამართლეს.<sup>2</sup> ბრემერმა უარი თქვა ერაყის დროებითი მთავრობის შექმნაზე, რადგან, მისი აზრით, ერაყის ლიდერებს არ ჰქონდათ სათანადო კომპეტენცია და ისინი არანარმომადგენლობითები იყვნენ.<sup>3</sup> ფეისი ირწმუნება, რომ შეჭრის წინ ერაყის ხელისუფლების შექმნის იდეა არ მოსწონდათ ადმინისტრაციას. მაგრამ ომის შემდგომ ერაყის მთავრობის შექმნა, რომელიც ცნობილი იყო ერაყის დროებითი ხელისუფლების სახელით, დამტკიცებულ და მოწონებულ იქნა პრეზიდენტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ. პაუელმა და არმიტეჯმა სცადეს ამ გეგმის შეჩერება, მაგრამ გარნერმა მაინც დაიწყო მისი განხორციელება, თუმცა, საბოლოო ჯამში, ბრემერმა უარი თქვა მასზე.<sup>4</sup>

ფეისი ასევე ბრალდებად აყენებს ერაყის პოლიტიკური კონფერენციის გადადებას ერთი წლით, რამაც დიდი ზიანი მოუტანა პოსტსადაპურ ერაყს.<sup>5</sup> მისივე თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გამონვევის წინაშე აღმოჩნდნენ, დაასკვნეს რა ექსპატრიატი პოლიტიკოსების არაკომპეტენტურობა და ლეგიტიმურობის სიმცირე.<sup>6</sup> იგი ასკვნის, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურსა და სახელმწიფო დეპარტამენტს გარკვეული გავლენა ჰქონდათ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და მეთაურთა ყრილობაზე, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს ერაყში დიდი გავლენა ჰქონდათ ბრემერის ხედვებზე ერაყის ექსპატრიატების შესახებ. ცენტრალურ მმართველობაში ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმაც შეძლეს გარკვეულწილად ერაყის ექსპატრიატების შესახებ შეექმნათ წარმოდგენა სამხედრო მეთაურებისათვის. ამის მიზეზი იყო ის მოსაზრებაც, რასაც მეთაურები განიხილავდნენ – ერაყელთა გადამზადება და წვრთნა დროის ხარჯვა იყო.<sup>7</sup>

<sup>1</sup> **Daalder, Ivo, and Lindsay, James.** America Unbound: The Bush Revolution in Foreign Policy. Washington, D.C.: The Brookings Institution, 2003, გვ. 154.

<sup>2</sup> **Paul Bremer, Malcolm McConnell.** My Year in Iraq, გვ. 154.

<sup>3</sup> **Douglas Feith.** War and Decision, გვ. 445-446.

<sup>4</sup> **Douglas Feith.** War and Decision, გვ. 375.

<sup>5</sup> **Douglas Feith.** War and Decision, გვ. 282.

<sup>6</sup> **Douglas Feith.** War and Decision, გვ. 279.

<sup>7</sup> **Douglas Feith.** War and Decision, გვ. 370.

მაშინაც კი, როდესაც ბრემერმა შექმნა ერაყის მმართველი საბჭო, მან გადწყვიტა ამ ორგანოსთვის არ მიეცა დამოუკიდებელი მმართველობის უფლება და ის კოალიციური დროებითი მთავრობის ქვეშ მოაქცია, თუმცა მმართველობა არ გაუზიარებია მასთან.<sup>1</sup> 2003 წ. 13 ივლისს კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ შექმნა ერაყის მმართველობის საბჭო, რომელიც 6 ერაყელი ლიდერისაგან, ერთი გარე და 18 სხვა წევრისგან შედგებოდა. ისინი კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ შეარჩია.<sup>2</sup>

ერთ-ერთი პირველი, რაც ბრემერმა ჩასვლისას გააკეთა, იყო კონსულტაციების წამოწყება, რაც საბოლოოდ მმართველი საბჭოს შექმნით დაგვირგვინდა. ეს იყო ერაყის ემიგრანტებისა და ადგილობრივი ლიდერებისაგან დაკომპლექტებული ორგანო, რომლებიც თავად ბრემერმა აირჩია გაეროსა და ამერიკელი და ბრიტანელი რეგიონული ექსპერტების ჯგუფის მხარდაჭერით. ეს დანაყოფი ძირითადად რჩევების მისაცემად შეიქმნა. დაგეგმილი იყო მისი გავლენის ზრდა მომდევნო თვეებში.<sup>3</sup>

ავვისტოში ბრემერმა მმართველ საბჭოს ნება დართო, დაენიშნა ერაყელი მინისტრები სააგენტოების მეთაურებად. აქედან გამომდინარე, კოალიციური დროებითი მთავრობის მრჩეველებს შედარებით მნიშვნელოვანი როლი მიენიჭათ, მათ შეუნარჩუნდათ ვეტოს უფლება ძირითად საკითხებზე. ჯერ კიდევ ვაშინგტონში ბრემერს უთხრეს, რომ ამერიკელი სამხედროების ძირითადი ნაწილი ერაყიდან მომდევნო თვეებში უნდა გამოსულიყო და 2003 წ. შემოდგომისთვის მხოლოდ 30 000 სამხედრო დარჩებოდა. ამიტომ ბალდადში ჩასვლისთანავე მან საკუთარ მოხელეებს განუცხადა, რომ წესრიგი და კანონი უნდა გამხდარიყო პრიორიტეტი, თუმცა მალევე ორი ბრძანებით ხელი შეუწყო უწესრიგობასა და აჯანყებებს.<sup>4</sup>

პირველივე ბრძანებით მან ბაასის პარტიის წევრებს აუკრძალა მთავრობაში ყოფნა. 2003 წ. 16 აპრილს კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ დაშალა ბაასის პარტია. ინდივიდები, რომლებიც უმალლესი მენეჯმენტის სამ საფეხურზე იყვნენ, უნდა დაკითხულიყვნენ ბაასის პარტიასთან თანამშრომლობის გამოსავლენად.<sup>5</sup> მოგვიანებით ბრემერი ახსნის, რომ მას მაღალი რანგის ბაასისტებისაგან უნდოდა თავის შეკავება, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიციელები, მასწავლებლები და ექიმებიც კი გაუშვეს სამსახურებიდან. მეორე ბრძანების მიხედვით კი დაშალეს ერაყის არმია და ათასობით შეიარაღებული ადამიანი უმუ-

<sup>1</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 447.

<sup>2</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 447.

<sup>3</sup> James Dobbins, Seth G. Jones, Benjamin Runkle, Siddharth Mohandas. Occupying Iraq, გვ. 20.

<sup>4</sup> James Dobbins, Seth G. Jones., Occupying Iraq, გვ. 21.

<sup>5</sup> Coalition Provision Authority Order 1, 2003. Accessed on March 25, 2015 at <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB418/docs/9a%20-%20Coalition%20Provisional%20Authority%20Order%20No%201%20-%2005-16-03.pdf>.

შევარი დარჩა.<sup>1</sup>

ამ ორმა ბრძანებამ ბრემერისა და ამერიკული ოკუპაციის ოპოზიციონერები ოფიციალურად გააქრო, მაგრამ ასევე შეიქმნა განათლებული და კარგად შეიარაღებული საზოგადოების ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა აჯანყებას. ამ ბრძანებებიდან რამდენიმე თვეში ქვეყანა გაეხვა ქაოსში. ჟურნალისტები და მკვლევარები კი ცდილობდნენ გარკვევას, თუ ვის კისერზე იყო ამ ორი საბედისწერო ბრძანების გაცემა. ჩარლზ ფერგიუსონი, იკვლევს რა საკითხს და ატარებს მრავალ ინტერვიუს სხვადასხვა რანგის სპეციალისტებთან, ამ ორი ბრძანების შემოქმედად ასახელებს უოლტერ სლოკომბერს, რომელიც კოალიციურ დროებით მთავრობაში მრჩევლად მუშაობდა.<sup>2</sup> ის უსაფრთხოების საკითხების მეთაურად დაინიშნა ჯერ კიდევ ბრემერის ერაყში ჩასვლამდე. სწორედ მას და მრავალ სხვა თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელს ეგონა, რომ კარგი იქნებოდა ერაყის არმიის დაშლა და ახლის შექმნა. სწორედ ამას ემსახურებოდა ბრემერის 16 მაისის ბრძანებაც, რომელიც 19 მაისს რამსფელდმა დაამტკიცა. 22 მაისს ამის შესახებ პრეზიდენტსა და სხვა მაღალჩინოსნებს ეცნობა. არავის გაუპროტესტებია ბრძანების შინაარსი. 2004 წლის დასაწყისისთვის აშშ-ს ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ უნდა აღედგინათ ერაყის არმია და პოლიცია. მართალია, გადადგმულმა ნაბიჯებმა გაზარდა რაოდენობა, მაგრამ ხარისხი ძალიან დაბალი იყო. ამიტომ მიიჩნევა, რომ ბრემერის 14-თვიანი მმართველობისას ძალოვანი სტრუქტურების დაშლა ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება იყო.<sup>3</sup>

არმიისა და პოლიციის აღდგენის მცდელობა ძალიან დუნედ და წარუმატებლად მიმდინარეობდა. ბრემერი ეთანხმებოდა გენერალ სანჩესს, რომ ამერიკელებს უნდა ეთავათ ახალი არმიის გადამზადება, თუმცა რეალურად საქმის შესრულება ძალიან ჭიანურდებოდა. პოლიციის აღსადგენად ნიუ იორკის პოლიციის ყოფილი უფროსი ბერნარდ კერიკი ჩაიყვანეს ბაღდადში. მაგრამ მან არ დაუთმო თავისი დრო ახალი წევრების რეკრუტირებასა და წვრთნას. სულ რაღაც 4 თვეში კერიკმა დატოვა ბაღდადი და ბრემერმა კვლავ თავის თავზე აიღო საპოლიციო ძალების შეკრებისა და წვრთნის გეგმა.<sup>4</sup>

დებეასიფიკაციის გეგმა დენაციფიკაციის მოდელს ემყარებოდა, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბებში. გერმანიის შემთხვევაში საუბარი იყო მოსახლეობის 2,5 პროცენტზე,<sup>5</sup> ხოლო ერაყში – 0.1 პროცენ-

---

<sup>1</sup> **Coalition Provision Authority Order 2, 2003.** Accessed on March 25, 2015 at <http://www2.gwu.edu/~nsarchiv/NSAEBB/NSAEBB418/docs/9b%20-%20Coalition%20Provisional%20Authority%20Order%20No%202%20-%2008-23-03.pdf>.

<sup>2</sup> **Charles H. Ferguson.** No End in Sight: Iraq's Descent into Chaos. Documentary Film. 2007. Accessed on March 25, 2015, <https://www.youtube.com/watch?v=ykpf5nDIs9M>.

<sup>3</sup> **James Dobbins, Seth G. Jones.**, Occupying Iraq, გვ. 22.

<sup>4</sup> **James Dobbins, Seth G. Jones.**, Occupying Iraq, გვ. 24.

<sup>5</sup> **John H. Herz.** Political Science Quarterly, Vol. 63, No. 4 Dec., 1948, გვ. 577.

ტზე.<sup>1</sup> მეორე განსხვავება კი ისაა, რომ გერმანიაში მაღალი რანგის ნაციონალიზმის მიმართ გატარდა რეპრესიები, ხოლო ერაყში იგი თითქმის ყველას შეეხო. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. თავდაცვის დეპარტამენტის მიერ შეგულიანებულმა ბრემერმა საქმის შესრულება მმართველ საბჭოს გადააბარა, ამ უკანასკნელმა კი პირდაპირ შემსრულებლად აჰმედ ჩალაბი აირჩია. მას და მის მიმდევრებს კი ნაკლებ აინტერესებდათ ბაასის პარტიის წევრების აღდგენა სხვადასხვა სამსახურებში მათი დანაშაულის სიმსუბუქის მიუხედავად. მალევე ბრემერი მიხვდა თავისი გადანყვეტილების სიმცდარეს. იგი განიცდიდა დიდ წნეხს შიიტი და ქურთი ლიდერებისაგან, რომ პროცესი გაგრძელებულიყო. ბრემერმა საბოლოოდ მაინც სძლია მმართველი საბჭოს წნეხს და დააბრუნა სამსახურში რამდენიმე ათასი მასწავლებელი.<sup>2</sup>

ერაყში ეკონომიკური სტაბილურობის შექმნა ეყრდნობოდა გეგმის ნაწილს, რომელიც შესრულებული იყო კომპანია „ბირინგ პოინტის“ მიერ. გეგმა ბუშის ადმინისტრაციას 2003 წ. 21 თებერვალს გადაეცა,<sup>3</sup> მაგრამ კონტრაქტს ხელი მხოლოდ 2003 წ. 24 ივლისს მოაწერეს. კონტრაქტის სათაური გახლდათ: „ეკონომიკური გამოკეთების სტიმულირება, რეფორმა და მდგრადი ზრდა ერაყში“. ეს კონტრაქტი თებერვლის გეგმისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. კონტრაქტის მიხედვით უნდა შეექმნათ სრულიად თავისუფალი ბაზარი, მთლიანად უნდა გაექროთ ცენტრალიზებული, შეჭრამდე არსებული ეკონომიკა. კონტრაქტში ნახსენებია: „ზომები მიღებული იქნება იმისათვის, რომ შეიქმნას საფუძველი მუშა ეკონომიკისათვის, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის მოცემული სიტუაცია, რაც ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარების შედეგად შეიქმნა... საუბარია შემდეგ რეფორმებზე – ფისკალურ რეფორმას, ფინანსური სექტორის რეფორმას, ვაჭრობის, საკანონმდებლო და მარეგულირებელ რეფორმასა და პრივატიზაციას“.<sup>4</sup>

ეს რეფორმებიც, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდებოდა, ბრემერის მთავრობას ოპოზიცია რომ ჰყოლოდა. ამიტომ მისმა პირველმა და მეორე ბრძანებამ ერაყი განმინდა ყოველგვარი პოლიტიკური ოპოზიციისაგან. მისი მომდევნო კანონები ძირითადად ხელს უწყობდა „ბირინგ პოინტის“ მიზნების გატარებას. მაგალითად, მე-12 ბრძანებამ გააუქმა ყოველგვარი ტარიფი, საბაჟო გადასახადი, იმპორტის გადასახადი, ლიცენზიის თანხა და მსგავსი ხარჯები ერაყში შემომავალ ყველა

<sup>1</sup> James Dobbins, Seth G. Jones., Occupying Iraq, გვ. 113.

<sup>2</sup> James Dobbins, Seth G. Jones., Occupying Iraq, გვ. 113.

<sup>3</sup> Antonia Juhasz. The Bush Agenda: Invading the World, One Economy at a Time. New York: HarperCollins Publishers, 2006, გვ. 195.

<sup>4</sup> USAID Stimulating Economic Recovery, Reform and Sustained Growth in Iraq. 2003. Accessed on March 25, 2015 at [http://pdf.usaid.gov/pdf\\_docs/pdabz046.pdf](http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pdabz046.pdf).

პროდუქციაზე.<sup>1</sup> მე-17 ბრძანებით კოალიციის ჯარებსა და ყველა კონტრაქტორს იმუნიტეტი მიენიჭა ერაყის კანონებისაგან.<sup>2</sup> 37-ე ბრძანებით ერაყის პროგრესირებადი გადასახადების სისტემა შეიცვალა ბრტყელი გადასახადებით, რაც ძალიან უნდოდა ისეთ რესპუბლიკელებს, როგორებიც იყვნენ ჯეფ კემპი, სტივ ფორბსი და ფილ გრეჰემი.<sup>3</sup> 39-ე ბრძანებით მოხდა სახელმწიფოს კუთვნილი ყველა ბიზნესის პრივატიზაცია, უცხოურ ფირმებს მიეცათ უფლება 100% წილი ჰქონოდა ერაყის ბიზნესში, ერაყიდან შესაძლებელი გახდა ნებისმიერი რაოდენობის თანხის შეუზღუდავად გადარიცხვა.<sup>4</sup> მე-40 ბრძანებით უცხოელებს შეეძლოთ ერაყული ბანკების 50%-იანი წილის ფლობა ფლობა,<sup>5</sup> თუმცა 94-ე ბრძანებით ეს შეზღუდვაც მოიხსნა და 50% გაიზარდა 100%-მდე.<sup>6</sup>

ამ ბრძანებების გამო ერაყში ცხოვრება გაჭირდა, უმუშევრობამ მოიმატა და პროდუქციის ფასი გაძვირდა. ცენტრალურ ბანკთან ერთად ახალი ვალუტაც კი გამოიცა, რათა მოეხდინათ დინარის სტაბილიზირება. სტაბილურობა, უსაფრთხოება, წესრიგი ჩანასახშივე გაქრა. მიუხედავად ამისა, 2004 წელს ერაყში შეინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა 46,5 პროცენტით,<sup>7</sup> რაც უბრალოდ ბრწყინვალე მიღწევა იყო. ამერიკელებისთვის სამწუხაროდ, ეს შედეგი ვერ შეინარჩუნეს დაწყებული აჯანყებების გამო.

ბრემერიც არ იყო აღფრთოვანებული ერაყელი ლიდერების უნარებით. მისი აზრით, მათ აკლდათ თავდადება, ბეჯითობა და მმართველობისთვის საჭირო ჩვევები. შესაბამისად, მან გადაწყვიტა ერაყის მართვა, სანამ სათანადო სამოქალაქო საზოგადოებას არ ჩამოაყალიბებდა, განავითარებდა დემოკრატიას და ახალ მმართველობას არ შექმნიდა. კოალიციური დროებითი ხელისუფლება სათავეში უნდა დარჩენილიყო მრავალწლიანი წელი, სანამ ამის მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი ახალი კონსტიტუციისა და არჩევნების შექმნით. რამსფელდის აზრით კი, ბრემერის ეს კონცეფცია და ამისთვის შესასრულებელი სამუშაოები არ იყო საჭირო.<sup>8</sup>

<sup>1</sup> **Coalition Provision Authority Order 12, 2003.** Accessed on March 25, 2015 at <http://www.iraqcoalition.org/regulations/CPAORD12.pdf>.

<sup>2</sup> **Coalition Provisional Authority Order 17, 2003.** Accessed on March 25, 2015 at [http://www.usace.army.mil/CEHR/Documents/COALITION\\_PROVISIONAL.pdf](http://www.usace.army.mil/CEHR/Documents/COALITION_PROVISIONAL.pdf).

<sup>3</sup> **Coalition Provisional Authority Order 37, 2003.** Accessed on March 25, 2015 at [http://www.iraqcoalition.org/regulations/20030919\\_CPAORD\\_37\\_Tax\\_Strategy\\_for\\_2003.pdf](http://www.iraqcoalition.org/regulations/20030919_CPAORD_37_Tax_Strategy_for_2003.pdf).

<sup>4</sup> **Coalition Provision Authority Order 39, 2003.** Accessed on March 25, 2015 at [http://www.iraqcoalition.org/regulations/20031220\\_CPAORD\\_39\\_Foreign\\_Investment\\_.pdf](http://www.iraqcoalition.org/regulations/20031220_CPAORD_39_Foreign_Investment_.pdf).

<sup>5</sup> **Coalition Provision Authority Order 40, 2003.** Accessed on March 25, 2015 at [http://www.casi.org.uk/info/cpa/20030924\\_CPAORD40.pdf](http://www.casi.org.uk/info/cpa/20030924_CPAORD40.pdf).

<sup>6</sup> **Coalition Provision Authority Order 94, 2004.** Accessed on March 25, 2015 (<http://www.iasplus.com/asia/iraqbankinglaw.pdf>).

<sup>7</sup> **James Dobbins, Seth G. Jones.**, *Occupying Iraq*, გვ. 32.

<sup>8</sup> **Douglas Feith.** *War and Decision*, გვ. 458.



ბრემერმა დაასკვნა: „ერაყიდან განდევნილი ლიდერების ჯგუფი არ ასახავდა ერაყელი მოსახლეობის ბალანსს...“. მისი აზრით, სუნიტები მცირედ იყვნენ წარმოდგენილნი, ქურთები კი – ზედმეტად. ჯგუფში არ შედიოდნენ ქალები ან მნიშვნელოვანი ერაყული უმცირესობების წარმომადგენლები – ქრისტიანები და თურქმანები. იგი ამატებს, რომ ჯგუფი იყო „ცუდად ჩამოყალიბებული“ და „მცირე წარმომადგენლებით დაკომპლექტებული“.<sup>1</sup>

ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და სახელმწიფო დეპარტამენტში ხაზს უსვამდნენ ერაყის საზოგადოებაში ღრმა დაყოფას, რაც სადამის ხანგრძლივი ტირანიის შედეგი იყო. მათი აზრით, აშშ იძულებული იქნებოდა, გრძელვადიანი პროცესი წამოეწყო ერაყის წარმომადგენლობითი მთავრობის გზაზე დასაყენებლად. ბრემერი კვლავ ირწმუნებოდა, რომ პრეზიდენტი მარტის თვისათვის დაეთანხმა მცირეგადიანი ოკუპაციის იდეას.<sup>2</sup> ფეისი აკრიტიკებს ბრემერს, რადგან იგი არ ენდობოდა ერაყელებს და არ სურდა მათთვის ძალაუფლების გადაცემა. მისი აზრით, ბრემერს რომ მოენდომებინა, შეძლებდა ერაყელი პოლიტიკოსების წინ წამოწევას. ამის მაგალითად მას მოჰყავს 2003 წლის 15 ნოემბრის შეთანხმება, რის შედეგადაც შეიქმნა გარდამავალი ადმინისტრაციული კანონი, დაიშალა ერაყის მმართველი საბჭო და შეიქმნა დროებითი ხელისუფლება.<sup>3</sup> ბრემერი მუდმივად წნეხის ქვეშ იყო. 2003 წლის ოქტომბრიდან მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. იგი იმედგაცრუებით ასკვნის: „თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია გაუმკლავდეს სირთულეებს ნ თვეში, ჩვენ მივიღებთ მეტად „მოუნესრიგებელ“ საუკუნეს“.<sup>4</sup> ბრემერმა უთხრა ენდრიუ კარდს, რომ ერაყელებისათვის მმართველობის ადრე გადაცემა „პრეზიდენტის წარმოდგენას ერაყზე გაართულებდა, თუ საერთოდ შეუძლებელს არ გახდიდა“. ბრემერი აცნობიერებდა გრძელვადიანი ოკუპაციის საშინაო შედეგებს, მაგრამ მოითხოვდა აშშ-ს „გაეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო ერაყისათვის ხუთი, ათი ან ოცი წლის შემდგომ პერიოდში“.<sup>5</sup>

ბრემერს სურდა კოალიციური დროებითი მთავრობის მართვის ზედმინევიანი გეგმის შექმნა. მას ამბიციური ხედვა ჰქონდა, დამსხვრეული ქვეყანა გადაექცია აყვავებულ, სამართლიან, მშვიდობისმოყვარე ქვეყნად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით.<sup>6</sup> ბრემერმა თავისი შვილსაფეხურიანი გეგმა წარმოადგინა „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში:

<sup>1</sup> Paul Bremer. Facts for Feith: CPA History. Nationalreview Online, 2008. Accessed on March 25, 2015 at <http://www.nationalreview.com/articles/223954/facts-feith/i-paul-PaulBremer-iii>.

<sup>2</sup> Paul Bremer. Facts for Feith: CPA History...

<sup>3</sup> Paul Bremer. Facts for Feith: CPA History...

<sup>4</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 189.

<sup>5</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 206.

<sup>6</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 115.

„ერაყის გზა დამოუკიდებლობისაკენ“ 2003 წ. 8 სექტემბერს.<sup>1</sup> მისი თქმით, კოალიციური დროებითი ხელისუფლება და ერაყის მმართველობის საბჭო შეთანხმდნენ, რომ პირველი ნაბიჯი იქნებოდა კონფერენციის მოწვევა ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად. ეს ერაყელი ხალხის მიერ უნდა ყოფილიყო რატიფიცირებული. ამას არჩევნები მოჰყვებოდა, ერაყის სუვერენული მთავრობით და ოკუპაციის დასასრულით. ეს პოლიტიკური თანმიმდევრობა, ბრემერის აზრით, საჭირო იყო კოალიციური დროებითი მთავრობის შექმნის შემდეგ ლიდერების უმოკლეს ვადაში დასაკომპლექტებლად.<sup>2</sup> თუმცა ფეისი აღნიშნავს, რომ ბრემერის სტატია „ვაშინგტონ პოსტში“ იყო უხეში გადახრა ადმინისტრაციის ერაყის დროებითი მთავრობის სტრატეგიიდან. იგი უფრო იყო სახელმწიფო დეპარტამენტის მრავალწლიანი ოკუპაციის გარდამავალი სამოქალაქო ხელისუფლების მაგალითი. ბრემერმა თავიდანვე აცნობა მმართველ საბჭოს, რომ კოალიციური დროებითი მთავრობიდან ხელისუფლების გადაცემის პროცესი დამოუკიდებელი იყო შემდეგზე:

1. მუდმივი კონსტიტუციის შექმნა;
2. რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციის შესახებ;
3. საერთაშორისოდ აღიარებული გენერალური ასამბლეისა და კაბინეტის შესაქმნელად არჩევნების ჩატარება;
4. ერაყისათვის სუვერენიტეტის დაბრუნება.<sup>3</sup>

15 ნოემბრისათვის ვაშინგტონმა გამოსცა ახალი გეგმა ერაყისათვის. 2004 წლის 28 თებერვლისთვის უნდა დაესრულებინათ შუალედური კონსტიტუცია (გარდამავალი ადმინისტრაციული კანონი). გაზაფხულზე არაპირდაპირი წესით უნდა აერჩიათ გარდამავალი პარლამენტი. 30 ივნისისთვის ამ პარლამენტის მიერ არჩეული მთავრობა გადაიბარებდა სუვერენიტეტს. 2005 წლის მარტისათვის დამფუძნებელი ასამბლეის არჩევა მოხდებოდა კონსტიტუციის დასაწერად. აგვისტოსთვის კი რეფერენდუმი უნდა ჩატარებინათ კონსტიტუციის მიღება-არმიღების საკითხზე. ამ ყველაფერს კი დააგვირგვინებდა ახალი მთავრობის არჩევნები 2005 წლის ბოლოსათვის.<sup>4</sup>

2003 წ. 16 ივნისის აიათოლა სისტანის ფატვამ უარყო კოალიციური დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენლების დაწერილი კონსტიტუცია. რა თქმა უნდა, ამან გაართულა ხელისუფლების გადაცემის პროცესი. ამასთან, რამსფელდს სურდა შეთანხმებული განრიგი ერაყის დამოუკიდებლობის ადრეული აღიარებისათვის, რათა ამერიკას მოეშორებინა ოკუპანტი ძალის იარლიყი. აშშ-ს არ სურდა, შე-

<sup>1</sup> Paul Bremer. Iraq's Path to Sovereignty. – *The Washington Post*, September 8, 2003. Accessed on March 25, 2015 at <http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/yeariniraq/documents/bremerplan.html>).

<sup>2</sup> Paul Bremer, James Dobbins, David Compert. *Early Days in Iraq*, გვ. 38.

<sup>3</sup> Paul Bremer. Iraq's Path to Sovereignty.

<sup>4</sup> Larry Diamond. *What Went Wrong in Iraq*. Foreign Affairs, Vol. 83, No. 5, 2004.

წინააღმდეგეობდა არჩევნებს.<sup>1</sup>

რამსფელდმა ბრემერი დაიბარა 13 სექტემბერს, რათა ერჩია მისთვის ძალაუფლება გადაეცა ერაყის მმართველი საბჭოსათვის ან რომელიმე ჯგუფისთვის.<sup>2</sup> რამსფელდს ყველანაირად სურდა გრძელვადიანი ოკუპაციის თავიდან აშორება. მისი აზრით, კოალიციური დროებითი მთავრობის დაშლის თარიღი უნდა გაცხადებულიყო, სასურველ თარიღად მას 2004 წ. ივნისი მიაჩნდა. ბრემერის 7-საფეხურიანი გეგმა საბოლოო ჯამში უარყოფილ იქნა. ამის მაგივრად დროებითი კონსტიტუცია შეთანხმდა, რადგან არჩევნები ოკუპაციას კიდევ უფრო გააგრძელებდა.<sup>3</sup> ვიცეპრეზიდენტი ჩეინიც არ იყო კმაყოფილი მდგომარეობით. მისი აზრით, კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებამ და პოლ ბრემერის მეთაურად დანიშვნამ შეანელა ხელისუფლების გადაცემის პროცესი.<sup>4</sup> გეგმა შეიცვალა აიათოლა სისტანისა და ვაშინგტონს შორის არსებული წინააღმდეგობის გამო. 2003 წ. 15 ნოემბერს აშშ-ს მთავრობის დამტკიცებით, კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ და მმართველმა საბჭომ ახალი გეგმა წარმოადგინეს.

გეგმის მიხედვით, მათ ერაყელ ექსპერტებთან ერთად უნდა ემუშავათ დროებითი კონსტიტუციის შესამუშავებლად, რაც ერაყელი პოლიტიკოსებისათვის შექმნიდა სამართლებრივ ბაზას და არჩევნებისკენ გაკაფავდა გზას. შეთანხმების მიხედვით, არაპირდაპირად არჩეულ ერაყულ მთავრობას უნდა მიეღო ხელისუფლება კოალიციისაგან. აიათოლა სისტანი შეთანხმების ამ ნაწილს არ ეთანხმებოდა. კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ და გაერომ ერთად შეიმუშავეს სისტანისთვის პასუხი და გარკვეულ კონსენსუსსაც მიაღწიეს. ყველა მხარე შეთანხმდა, რომ დროებით კონსტიტუციას შეიმუშავებდა მმართველი საბჭო და ერაყელი ექსპერტები 2004 წ. გაზაფხულზე, კოალიციური დროებითი ხელისუფლება კი ხელისუფლებას გადასცემდა არარჩეულ, წარმომადგენლობით დროებით მთავრობას 2004 წ. 1 ივლისს.<sup>5</sup> რაც შეეხება კონსტიტუციას, იგი საბოლოოდ 2005 წ. 15 ოქტომბერს მიიღეს. შედგა რეფერენდუმი, რომელიც 79%-იანი წარმატებით დასრულდა. მას ხმა მხოლოდ სუნიტმა არაბებმა არ მისცეს. ერაყი გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ, დემოკრატიულ და ფედერალურ სახელმწიფოდ, მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით.<sup>6</sup>

ბრემერი ფიქრობდა, რომ ერაყელთა ჯგუფი, რომელიც ვერ წყვეტდა ყველაზე ზოგად საკითხებსაც კი, არ იყო მზად ერაყის სამარ-

<sup>1</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 167.

<sup>2</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 167.

<sup>3</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 464.

<sup>4</sup> Robert Draper. Dead Certain: The Presidency of George W. Bush. New York: Free Press, 2008, გვ. 387.

<sup>5</sup> Paul Bremer, James Dobbins, David Compert. Early Days in Iraq, გვ. 39.

<sup>6</sup> ნ. გელოვანი. შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში. — ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VI. თბ., 2009, გვ. 143.

თავად ან თუნდაც ამ პასუხისმგებლობის გასაზიარებლად.<sup>1</sup> ერაყის მმართველ საბჭოს უფრო ნაკლები ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე ერაყის დროებით ხელისუფლებას.<sup>2</sup> ფეისის თქმით, ბრემერმა გამგზავრებამდე მიიღო შესაბამისი კონსულტაციები ვაშინგტონში ერაყის დროებით ხელისუფლების შექმნის შესახებ, მაგრამ ბალდადში ჩასვლის შემდეგ მან გადაიფიქრა და პენტაგონის მსგავსი მარტივი გეგმა მოიფიქრა, რომლის მოქნილობაშიც ის დარწმუნებული იყო.<sup>3</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ბრემერი ერაყში ჩასვლამდეც ფიქრობდა, რომ ერაყის ლიდერები უუნარონი იყვნენ ხელისუფლების ადრეულ სტადიაზე გადასაბარებლად. ამ მოსაზრების დამცველთა სურვილს იგი აღწერს, როგორც „უგუნურ ფანტაზიას“.<sup>4</sup>

ბრემერის გეგმა გარდამავალი ადმინისტრაციული კანონის მიხედვით, იყო შეექმნა გაერთიანებული, დემოკრატიული და სტაბილური ერაყი, რომელსაც ჰქონდა კარგი ეკონომიკა და წარმომადგენლობითი მთავრობა.<sup>5</sup> ბრემერს სურდა, შეექმნა ერაყის ხელისუფლება, რათა ერაყელებისათვის ეჩვენებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულად იყო განწყობილი პოლიტიკური რეფორმის შესასრულებლად და ხელისუფლების ერაყელებისათვის გადასაცემად. ბრემერი ხაზს უსვამდა, რომ მისი სურვილი იყო, გაეფართოებინა პოლიტიკური სპექტრი და იგი ყველა ერაყელის წარმომადგენლობითად ექცია. ამის შესახებ მან ერაყის ოპოზიციას პირველივე შეხვედრისას განუცხადა.<sup>6</sup>

ბრემერს სჯეროდა, რომ მას პირდაპირი მანდატი ჰქონდა პრეზიდენტისაგან, რომელმაც ბრემერს უთხრა, რომ მას სურდა ერაყელი ხალხისათვის წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნა და რომ მათ არ მიატოვებდა. ბუშმა დაასკვნა: „ჩვენ დავრჩებით, სანამ საქმე არ შესრულდება. შენ შეგიძლია ჩემი მხარდაჭერის იმედი გქონდეს, პოლიტიკური კალენდარისა თუ მედიის განცხადებების მიუხედავად“.<sup>7</sup> 2003 წ. 12 ნოემბრის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრებაზე ვაშინგტონში ბუშმა განაცხადა: „მე მჯერა ერაყელი ხალხის ისტორიული სიკეთის. მათ აქვთ მშვიდობაში ცხოვრების ინსტინქტი, რომელიც უნივერსალური ღირებულებებით არის მართული. ეს კი პოლიტიკაზე მაღალია... ყველასათვის მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ჩვენ კურსს გავაგრძელებთ და მე განზრახული მაქვს წარმატების მიღწევა“.<sup>8</sup> ბრემერის თქმით, დროებითი კონსტიტუცია ან გარდამავალი ადმინისტრაცი-

<sup>1</sup> Paul Bremer, James Dobbins, David Compert. Early Days in Iraq, გვ. 37.

<sup>2</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 447.

<sup>3</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 437.

<sup>4</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 440-441.

<sup>5</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 115.

<sup>6</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 78.

<sup>7</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 12.

<sup>8</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 227.

ული კანონი იყო კოალიციური დროებითი მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ერაყის პოლიტიკური მომავლისთვის.<sup>1</sup>

ბრემერის გეგმამ, ფეისის მიხედვით, გამოიწვია გრძელვადიანი სტრატეგიული ზიანი. პირველ რიგში, მან ხელი შეუწყო აჯანყებულებს სახალხო მხარდაჭერის მოპოვებაში. გეგმამ დაადასტურა აჯანყების მეთაურთა მოსაზრება აშშ-ს დომინანტობისა და ექსპლუატაციის შესახებ. მან ასევე დემოკრატიული ოპოზიციის შექმნაც დააზარალა. მან ერაყის ყველა პრობლემა – პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური – აშშ-ს ხელმძღვანელობის პრობლემად აქცია.<sup>2</sup>

ბრემერმა განუცხადა ვაშინგტონში უფროსობას, რომ მას სამი მთავარი მიზანი ჰქონდა. პირველ რიგში, მას სურდა, უკან დაეტოვებინა პროფესიონალური, არაკორუმპირებული და ადამიანის უფლებების მალიარებელი საპოლიციო ძალები. შემდგომ უნდა შეექმნათ ჯარი, რომელიც არ ჩაერეოდა საშინაო საქმეებში და საბოლოოდ ძალაუფლება გადაეცა კონსტიტუციაზე დაყრდნობით არჩეული ერაყული მთავრობისათვის.<sup>3</sup> ბრემერის მიზანი იყო, შეექმნა ისეთი ერაყი, რომელსაც წარმომადგენლობითი მთავრობა ჰქონდა. იგი აღიარებდა, რომ ეს იყო კომპლექსური გამოწვევა, რომელსაც დრო სჭირდებოდა, რადგან ერაყელებს თვითმმართველობისა და დამხმარე ინსტიტუტების მცირე გამოცდილება ჰქონდათ. მისი ამბიციია იყო დემოკრატიის გამგები მთავრობის შექმნა.<sup>4</sup> 2003 წ. 22 სექტემბერს მმართველი საბჭოსათვის ძალაუფლების შესაძლო გადაცემის განსახილველად ვულფოვიცი ბრემერს შეხვდა. ამ შეხვედრისას ბრემერი კვლავ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერაყის მმართველი საბჭო უბრალოდ არაკომპეტენტური იყო. მისი აზრით, საბჭოს წარმომადგენლობების სიმცირეც აკნინებდა. ბრემერს სჯეროდა ვულფოვიცის შეხედულების, რომ დემოკრატიული ერაყი რეგიონში რევოლუციას მოახდენდა, მაგრამ აქვე დასძინა, რომ მოთმინება იქნებოდა საჭირო ამისათვის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ერაყი საერთოდ აითვისებდა დემოკრატიას.<sup>5</sup> ბრემერის ერაყში მუშაობის მიზანი იყო არა მხოლოდ დემოკრატიის ჩამოყალიბება, არამედ სოციალური შოკის მშთანთქმელების შექმნა, რაც დემოკრატიის სტაბილურობას უზრუნველყოფდა. იგი შენუხებული იყო ადმინისტრაციის კონკრეტული წარმომადგენლებით და მათ უწოდებდა ეროვნული ერთიანობის ჩამოყალიბების პროცესის ამრიდებლებს.<sup>6</sup>

ფეისის აზრით, აშშ-მ სასიკვდილო შეცდომები დაუშვა ერაყში, მაგრამ ყველაზე დიდ შეცდომად მაინც მიაჩნია სადამის რეჟიმის დამ-

<sup>1</sup> Paul Bremer, James Dobbins, David Compert. Early Days in Iraq, გვ. 39.

<sup>2</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 516.

<sup>3</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 203.

<sup>4</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 116.

<sup>5</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 171.

<sup>6</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 12.

ხობიდან მალევე ძალაუფლების გადაცემის პროცესის ვერშესრულება. სწორედ ამან შექმნა წარმოდგენა ერაყის მოსახლეობაში, რომ აშშ არა განმათავისუფლებელი, არამედ ოკუპანტი იყო. იგი ხსნის: „მრავალი ერაყელის პირადი ღირსება და ეროვნული სიამაყე შეილახა. თავის მხრივ, ამან ბაასისტებს, უცხოელ ჯიჰადისტებსა და ექსტრემისტებს მისცა საშუალება, გააქტიურებულიყვნენ ერაყის ავად განწყობილ მეზობლებთან ერთად“.<sup>1</sup> ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოშიარ ზე-ბარი „უოლ სტრიტ ჯორნელში“ აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი შეცდომა იყო მისიის შეცვლა განმათავისუფლებლობიდან ოკუპანტობაზე.<sup>2</sup> ფეისი ირნმუნება, რომ განთავისუფლება და არა ოკუპაცია იყო მთავრობის მაღალი ფენების კონცეფცია. პრეზიდენტი ბუში ხაზს უსვამს „განთავისუფლებას და არა ოკუპაციას“ როგორც საკუთარ პრინციპს. მთავრობის ყველა სააგენტოს შორის იყო კონსენსუსი, რომ ოკუპაცია გამოიწვევდა პარტიზანულ ომს, ტერორიზმსა და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას.<sup>3</sup> ჯორჯ პეკერსაც იგივე აზრი აქვს და გარნერის ცვლილებას ბრემერით აღწერს, როგორც რაციონალურ გადაწყვეტილებას და მცდელობას ერაყის კონტროლი დაებრუნებინათ ერაყელებისათვის.<sup>4</sup>

ბრემერი კი კარგავდა მოთმინებას. კოალიციური დროებითი ხელისუფლება სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდა ერაყში. 2004 წ. 21 აპრილის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრებაზე იგი აღნიშნავს, რომ რაც უფრო დიდ ხანს ჩერდება ერაყში, „უფრო რწმუნდება ხელისუფლების ერაყელებისათვის რაც შეიძლება მალე გადაცემის სისწორეში“.<sup>5</sup> 2004 წ. 19 იანვარს ბრემერი შეხვდა კოფი ანანს ნიუ იორკში, სადაც მან ხაზი გაუსვა, რომ კოალიცია მიესალმებოდა „გაეროსთან გრძელვადიანი პატრნიორობის“ ჩამოყალიბებას და გაეროს წარმომადგენლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობაც დადო.<sup>6</sup> 2004 წ. 23 აპრილს მან განაცხადა დებაასიზაციის პოლიტიკის შემსუბუქების შესახებ. არმიის მრავალი ოფიცერი და მასწავლებელი კვლავ აიყვანეს სამსახურში.<sup>7</sup>

**ალი ალავი,** ერაყის მმართველობის საბჭოს მინისტრი, აღწერს ორ მიზეზს, რამაც ხელი შეუწყო სიტუაციის გაუარესებას ერაყში. პირველ რიგში, კოალიციურმა დროებითმა მთავრობამ არ შეიმუშავა ახალი მმართველობის სისტემა, როგორც ეს ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მათ არ შეცვალეს უმაღლეს ემელონებში მთავრობის წევრები

<sup>1</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 368.

<sup>2</sup> Robert Pollock. The Voice of Iraq. // *The Wall Street Journal*, June 24, 2006. Accessed on March 25, 2015 at <http://www.wsj.com/articles/SB115110398646189506>.

<sup>3</sup> Douglas Feith. War and Decision, გვ. 368.

<sup>4</sup> George Packer. The Assassins' Gate: America in Iraq. New York: Farrar, Straus and Giroux, 2005, გვ. 144.

<sup>5</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 343.

<sup>6</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 281.

<sup>7</sup> Paul Bremer, Malcolm McConnell. My Year in Iraq, გვ. 342.

ერაყის ექსპატრიატებით. არსებული ვითარება ბაასის მთავრობის უბრალო გაგრძელება იყო. მეორე, კოალიციურ დროებით მთავრობას არ ჰქონდა მანდატი პირდაპირ ემართა ქვეყანა და შესაბამისად განეხორციელებინა რეფორმები. ეს ქმედებები ეწინააღმდეგებოდნენ განთავისუფლების სურვილს და ერაყში გრძელვადიანი დისლოცირების შიშს უფრო ამძაფრებდნენ. ეს კი ამერიკელებისათვის არ იყო მისაღები.<sup>1</sup>

გაეროს ერაყის მისიის პოლიტიკური მრჩეველი **ლასან სალამე** ასკვნის, რომ პრობლემა არა ბალდადში, არამედ ვაშინგტონში იყო. ეს იყო ომი, რომელიც გადანყვიტა, იბრძოლა და მოიგო ახალი ტიპის ამერიკელებმა – იდეოლოგთა ჯგუფმა, რომლებიც განსხვავდებოდნენ იმ სტერეოტიპული ჩინოვნიკებისაგან, რომლებიც 50 წლის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის საკითხით იყვნენ დაკავებულნი.<sup>2</sup> აშშ-მ ვერ გათვალა ის, რომ ასეთი სუსტი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაში გარდამტეხი ცვლილებების გატარება იქნებოდა გრძელი და დამლელი პროცესი. ბუშის ადმინისტრაციამ ვერ განსაზღვრა, რომ ეროვნული დემოკრატიის მშენებლობა ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერას საჭიროებს.<sup>3</sup> ბუშის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო ოკუპაციაში ჩაბმული ლიდერების მომარაგება რეგიონის ექსპერტებით.

ნაწილობრივ ერაყში დაწყებული პრობლემები იმის ბრალიც იყო, რომ ადმინისტრაციაში მომუშავეები არ იყვნენ კვალიფიციური ერაყისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეში. 11 სექტემბრის შემდგომ პრეზიდენტის ირგვლივ შეკრებილი ხალხი ნამდვილად არ განიცდიდა ინტელექტის ნაკლებობას, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან და ისლამური სამყაროს გამოწვევებთან მუშაობის გამოცდილება. ადმინისტრაციაში მრავალი პირი კონცენტრირებას საბჭოთა კავშირზე ახდენდა, მაგრამ როდესაც პრობლემების ცენტრმა გადაინაცვლა ახლო აღმოსავლეთში, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, რაც უნდა გადაედგათ იმ გუნდით, რაც ადმინისტრაციას ჰყავდა. როგორც შემდგომში **ზალმაი ხალილზადი** აღნიშნავს, სტრატეგი, რომელსაც არ აქვს გუმანი და ცოდნა იმ რეგიონისა, რომელზეც მუშაობს, აუცილებლად შექმნის პრობლემებს. აშშ-ს მთავრობას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის ხალხი უმაღლეს დონეზე, რომლებსაც განსაკუთრებული ცოდნა ექნებოდა ერაყსა და ახლო აღმოსავლეთზე. 9/11-ის შემდეგ მალევე აშშ-ს დააკლდა რეგიონული ექსპერტიზა და გამოცდილება, უნარები, რომლებიც გრძელვადიან წვრთნას საჭიროებდნენ საზოგადოების სირთულისა ან თუნდაც ენის შესწავლაში“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> **Ali Allawi.** The Occupation of Iraq: Winning the War, Losing the Peace. Yale University Press, 2007, გვ. 161.

<sup>2</sup> **George Packer.** The Assassins' Gate, გვ. 214.

<sup>3</sup> **Ian Shapiro.** Containment: Rebuilding a Strategy against Global Terror. Princeton: Princeton University Press, 2007, გვ. 38.

<sup>4</sup> **Zalmay Khalilzad.** Conversations with History: Responding to Strategic Challenges of the Post 9/11 World. University of California, Berkeley: Institute of International Studies,

ყოფილი ელჩი ტიმ კარნი ამბობს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის პროფესიონალ არაბისტებსაც კი არ იყენებდნენ, რადგან, მათი აზრით, ერაყი ვერ იქნებოდა დემოკრატიული.<sup>1</sup> გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედებისას რეალური სიტუაცია უნდა გამოეყენებინათ, რაც ჭირდა იმის გამო, რომ ამერიკას არც დრო ჰქონდა დარჩენილი და არც გამართული სადაზვერვო მონაცემები ერაყის შიდა ვითარების შესახებ.

ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო ის, რასაც ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ინსტიტუტი შეჭრამდე გამართულ სამდღიან სემინარზე ურჩევდა აშშ-ს სააგენტოებს – არსებობდა შეუსაბამობა და ხარვეზი აშშ-ს რიტორიკასა და რეალურ მოქმედებას შორის.<sup>2</sup> ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის წარმომადგენელი აღინაგინა რომანოვსკი იმავე სემინარზე აცხადებდა, რომ ერაყში დემოკრატიის დამკვიდრება მძიმე იქნებოდა. მისი თქმით, ერაყს არასდროს ჰქონია ცენტრალიზებული მმართველობა, რომელსაც დემოკრატიული ლეგიტიმურობა ექნებოდა. იგი მიიჩნევდა, რომ აშშ-ს ძალები საკმარისი აღმოჩნდებოდა რეჟიმის დასამხობად, მაგრამ არა იმ მისწრაფების განსახორციელებლად, რაც აშშ-ს ჰქონდა ამ ქვეყნის მიმართ.<sup>3</sup> ვაშინგტონის ოფისებსა და ლონდონში მიღებულ გულუბრყვილო იდეალისტურ გადაწყვეტილებებს ნაკლები ჰქონდა საერთო ფაქტებთან და რეალურ ვითარებასთან.<sup>4</sup>

აჯანყება არ იყო გარდაუვალი. იგი გაამწვავა სამხედრო და პოლიტიკურმა შეცდომებმა. მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა ომი მინიმალური სამხედრო ძალებით დაეწყო, აშშ-მ ომის შემდგომ წესრიგის დამყარება ვერ შეძლო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძალებისა და დამხმარე შენაერთების განთავსებაზე უარის თქმით, ერაყის არმიის დაშლითა და ათასობით შეიარაღებული ადამიანის ქუჩაში გაშვებით, ადგილობრივი არჩევნების გადადებით დიდი ზიანი მიაღწა ომისშემდგომ სტაბილიზაციას. ამაში ბრემერს დიდი წვლილი მიუძღვის.

პირველ რიგში, ბრემერის გეგმამ ხელი შეუწყო აჯანყებას სახალხო მხარდაჭერის მოპოვებაში. მან დაადასტურა აჯანყებულების მოსაზრება აშშ-ს ოკუპანტობის შესახებ და ასევე დააზარალა დემოკრატიული ოპოზიციის შექმნის იდეა. ერაყის ყველა პრობლემა – პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური – შტატების პრობლემად იქცა. აშშ-მ ვერ გათვალა ის, რომ სუსტი დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაში გარდამტეხი ცვლილებების გატარება იქნებოდა გრძელი და დამღლევი პროცესი. ბუშის ადმინისტრაციამ ვერ განსაზღვრა, რომ დემოკრატიის

---

2009. Accessed on March 25, 2015 (<http://globetrotter.berkeley.edu/people9/Khalilzad/Amb%20Khalilzad%20transcript.pdf>).

<sup>1</sup> **Peter Galbraith.** The End of Iraq, გვ. 95.

<sup>2</sup> **Thomas Ricks.** Fiasco: The American Military Adventure in Iraq. New York: Penguin, 2006, გვ. 65.

<sup>3</sup> **Thomas Ricks.** Fiasco, გვ. 65.

<sup>4</sup> **Ali Allawi.** The Occupation of Iraq, გვ. 130.



მშენებლობა ადგილობრივი ჯგუფების მხარდაჭერას საჭიროებდა. ბუშის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო ოკუპაციაში ჩაბმული ლიდერების მომარაგება რეგიონის ექსპერტებით, რაც თავისთავად დიდი ხარვეზია.

ბრემერის ორი ბრძანების გამო დამძიმდა ისედაც გართულებული ვითარება. დებაასიფიკაციის უშუალო აღსრულება დაევალა ოპოზიციონერ აჰმედ ჩალაბის, რაც დიდი შეცდომა იყო. ამ უკანასკნელის მოქმედებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და განათლებული, ინტელექტუალი და პროფესიონალი კადრები ქუჩაში აღმოჩნდნენ. ამას ზედ დაერთო ძალოვანი სტრუქტურების დაშლა. მართალია, ერაყის არმია და პოლიცია კორუმპირებული იყო, არც სათანადო წვრთნა და აღჭურვილობა ჰქონდა, მაგრამ გათავისუფლებულმა და შეიარაღებულმა ერაყელებმა ჩვეულებრივ მოსახლეობაში დაიწყეს გათქვეფა. აჯანყებისათვის სასათბურე პირობები შეიქმნა.

ეს ორი ბრძანება დღემდე ყველაზე დიდი კრიტიკის საგანია. შეიქმნა განათლებული და კარგად შეიარაღებული საზოგადოების ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა აჯანყებას. ამ ბრძანებებიდან რამდენიმე თვეში ქვეყანა გაეხვა ქაოსში. რა თქმა უნდა, იყო მცდელობა აღედგინათ არმია და პოლიცია, თუმცა პროცესი ძალზე დუნედ და წარუმატებლად ხორციელდებოდა. 2004 წ. შუახანებისათვის ერაყი პრაქტიკულად უკონტროლო ტერიტორიად იქცა, რაც ამერიკელებისთვის სერიოზულ პრობლემად იქცა.

მრავალი მიზეზი დასახელდა ერაყში წარუმატებლობის გამომწვევად. თავი და თავი ვაშინგტონში დაწყებული შეუსაბამობები და სააგენტოთა არასათანადო კომუნიკაცია გახლდათ. იქმნება სურათი, რომ ვერცერთი მნიშვნელოვანი სააგენტო ვერ ახდენდა საკითხის მართებულად განხილვასა და კვლევას. ყველაზე დიდი ბრალი კი, ჩვენი აზრით, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს მიუძღვის. მათი მუშაობისას გამოვლენილი ფაქტების სიმწირე ან ზოგადად ერაყის შიდა პოლიტიკური ვითარების არცოდნა უმთავრესი მიზეზია ერაყის ომის შემდგომი პრობლემებისა. უნდობლობა ერაყის ოპოზიციის მიმართ და ერაყის არმიის დაშლა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს ხელმძღვანელობას რამსფელდის დოქტრინის შესაბამისად სამხედროთა მცირე კონტინგენტი ჰყავდა მობილიზებული, ერაყში დაწყებული აჯანყებების ამკარად ხელისშემწყობი ფაქტორია.

გასაგებია, რომ რამსფელდს სურდა თავისი რევოლუციური მიდგომის მაქსიმალურად გამოყენება და მცირე სამხედრო ძალის ჩაბმა ომის პროცესში, მაგრამ გაუგებარია, რატომ გადაწყვიტეს, რომ ომის შემდგომ ერაყის კონტროლისთვის არ გამოეყოთ დამატებითი ძალები, როგორც არაერთი გენერალი მოითხოვდა ამას. ფაქტი ფაქტად რჩება – ომის შემდეგ შექმნილმა დროებითმა კოალიციურმა ხელისუფლებამ დაკარგა ქვეყანაზე კონტროლი, რამაც საბოლოოდ აჯანყებების წინაშე დააყენა ამერიკელი და კოალიციური სამხედრო ძალები, რაშიც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა პოლ ბრემერის გადაწყვეტილებებმაც.

## SHALVA KIKALISHVILI

### PAUL BREMER AND THE U.S. POLICY TOWARDS IRAQ IN 2003-2004

The paper deals with the US policy towards Iraq in 2003-2004 and shows the role of Paul L. Bremer, the then Administrator of Coalition Provisional Authority in Iraq. Based on the data, given in the documents and scholarly researches, the following conclusions are made:

After the war the order was not established in Iraq and it has its own reasons. First of all, based on Rumsfeld's policy there was the lack of military forces. Number of troops was enough to occupy the country, but for aftermath stabilization, control and security there was need of much more power.

Another reason for chaos in Iraq was CPA leader Paul L. Bremer. His primary objective was to prepare ground for the elections for the government that would be based on democratic principles. This was the continuation of the main Neoconservative ideology – export of democracy. His direct responsibility was to promote civil order and the normal functioning of the government. However, it was ruled out with the steps taken by his logic. While studying the period his governance (May 2003 – June 2004) in Iraq, it is clear that, he was working not only for the spread of democracy, but for the private business companies as well, to create for them proper environment.

Bremer's main mistakes are his first two orders based upon which he started the process of de-ba'athification and fired thousands of people, including from military or law-enforcement agencies. Implementation of the de-ba'athification was granted to opposition leader Ahmed Chalabi. This was the biggest mistake. His actions had no limits and intellectual and professional staff found themselves thrown out to the streets. It is true that Iraq's army and police forces were corrupted and they did not have proper trainings but after they were fired, they mixed with civilians. There were created favourable conditions for the uprising.

Rebellion was not imminent. It was fuelled by the military and political mistakes. Once USA has decided to start a war with minimal military force, she has not been able to establish order after the war. By refusing to deploy vital and auxiliary forces; by dissolving the Iraqi Army, because of which thousands appeared in the streets; by delaying elections and transfer of power post-war stabilization was seriously damaged.

## **ШАЛВА КИКАЛИШВИЛИ**

### **ПОЛ БРЕМЕР И ПОЛИТИКА США В ИРАКЕ В 2003-2004**

В статье освещена политика США в Ираке в 2003-2004 годах и показана роль Пола Бремера – Председателя Коалиционного Совета Ирака. На основе данных архивных документов и научных исследований сделаны следующие выводы:

После войны порядок в Ираке так и не был восстановлен и у этого были свои причины. В первую очередь, из-за политики Д. Рамсфельда, не хватало военных. Количество солдат было достаточно для оккупации страны, однако последующая стабилизация, контроль и безопасность требовали гораздо больше войск.

Другой причиной возникшего в Ираке хаоса был Председатель КСИ Пол Бремер. Его главной целью была подготовка демократических выборов нового правительства Ирака. Это было продолжением экспорта демократии – основной идеологии неоконсерваторов. Его прямыми обязанностями были обеспечение гражданского порядка и нормального функционирования правительства. Несмотря на это, его действия имели полностью противоположный эффект. Изучая период его правления (май 2003 – июнь 2004 гг.), становится ясно, что он действовал не только для распространения демократии, но и для создания тепличных условий для частных компаний.

Главными ошибками Бремера явились два его первых приказа, которые начали процесс дебаасификации в Ираке. В результате, тысячи иракцев, в том числе и военные с полицейскими, остались без работы. Во главе процесса дебаасификации был поставлен лидер оппозиции Ахмед Чалаби, что явилось самой большой ошибкой. В результате его неограниченных действий подавляющее большинство профессиональных кадров практически были выброшены на улицу. Армия и полиция Ирака действительно были коррумпированы и не были обучены соответствующим образом, но после их роспуска, они смешались с гражданскими лицами. Тем самым, были созданы благоприятные условия для восстания.

Восстание можно было предотвратить. Ему способствовали военные и политические ошибки. После того, как правительство США решило начать войну с минимальным количеством военных, ему не удалось установить порядок после войны. Послевоенная стабилизация оказалась под угрозой из-за отказа от использования дополнительных сил, роспуска иракской армии, переноса выборов и замедления процесса передачи власти.

**მ მ ი ს ე ქ მ**

**ქ ი უ ლ ი შ ა რ ტ ა ვ ა – 70**

**ზ უ რ ა ბ პ ა პ ა ს ქ ი რ ი**

**სოხუმი – 1993. შეხვედრები ქიული შარტავასთან**

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ეროვნული მეობისა და სამშობლოს ერთიანობის გადარჩენისათვის თავგანწირული ბრძოლის ქეშმარიტად გამირული ეპოპეაა. თითქმის ყველა ეპოქაში საქართველოს ჰყავდა მამულისათვის თავგადადებული რაინდები, რომლებიც თავიანთი პატრიოტული შემართებითა და მონამეობრივი აღსასრულით დიდ ზნეობრივ მაგალითს აძლევდნენ შთამომავლობას. საქართველო დღემდე სწორედ ქვეყნისათვის დამაშვრალ ამ დიდ მამულიშვილთა გაუტყენელმა სულმა და თავდადება მთიყვანა. სწორედ ისინი მოსავენ განსაკუთრებული შარავანდედით ჩვენი ერის სიდიადეს და დღესაც გვამხნევენ, გვადილევენ სტიმულს ქართული სახელმწიფოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში. სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა ამ ბრწყინვალე გალერეას XX საუკუნის მიწურულს კიდევ ერთი დიდი სახელი შეემატა – **ჟიული შარტავა...**

ჟიული შარტავაზე უკვე ბევრი რამ დაინერა, უფრო მეტიც დაინერება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მცირე მოგონება მომავალ ეროვნულ გამირთან 1993 წლის ზაფხულში სოხუმური შეხვედრებიდან მიღებული შთაბეჭდილებებია.

მართალია, მე იმ თაობის კომკავშირელი ვარ (თანაც ერთი ხანობა, როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრიც კი ვიყავი), როდესაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ჟიული შარტავა ხელმძღვანელობდა, მაგრამ იმ პერიოდის სხვა კომკავშირელი ლიდერებისაგან (იოსებ ორჯონიკიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე...) განსხვავებით, მას არასოდეს შეეხვედრივარ და პირადი ნაცნობობა არ მქონია. მიუხედავად ამისა, ჟიული შარტავაზე, როგორც ახალგაზრდობის ენერგიულ და ნიჭიერ თავკაცზე გარკვეული წარმოდგენა მქონდა და მის მიმართ ერთგვარი სიმპატიებით ვიყავი განწყობილი. რამდენადაც მახსოვს ის იყო ინიციატორი ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ზეიმებისა, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობოდა რუხ-

ში და რომლის უცვლელი მონაწილე მეც გახლდით.

შემდეგ იყო მოღვაწეობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც, როგორც იტყვიან, ჟიული შარტავა იმჟამინდელი საქართველოს პარტიული ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის „მარჯვენა ხელი“ იყო და უფრო მეტიც, მის სავარაუდო „მემკვიდრედაც“ მოიაზრებოდა. მაგრამ ჟ. შარტავას კარიერული წინსვლა შეაჩერა ხელისუფლების ცვლამ 1985 წელს. მას მოუწია ცენტრალური კომიტეტიდან წასვლამ და პარტიული მუშაობა რუსთავეში გააგრძელა, სადაც ნაყოფიერი საქმიანობით დაამახსოვრა თავი რუსთაველებს. ამიტომაც იყო, რომ 1992 წელს რუსთაველებმა ის საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. და აი 1993 წლის 18 ივლისს აფხაზეთში გახურებული სამხედრო მოქმედებების დროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ მანამდე თითქოს ერთგვარად ჩრდილში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა სრულიად მოულოდნელად ფრონტის წინა ხაზზე გააგზავნა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა.

ეს იყო აფხაზეთის ომის უკიდურესად მწვავე პერიოდი. 1993 წლის ივლისის დამდეგს ტამიშთან განცდილი მარცხის მიუხედავად, მონინალმდეგე მაინც ინარჩუნებდა უპირატესობას ფრონტებზე. სეპარატისტთა ფორმირებები რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით აგრძელებდნენ შეტევას სოფ. შრომის მიმართულებით და თანდათანობით სულ უფრო უახლოვდებოდნენ სოხუმს. ქართულმა მხარემ ამჯერადაც ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა, კვლავ გაეაქტიურებინა სამშვიდობო დიალოგი. ასეთ ვითარებაში აფხაზეთში საჭირო გახდა ახალი ლიდერი, რომელთანაც როგორც აფხაზები, ისე რუსებიც მეტი ერთუზიანობით მიუსხდებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ამიტომ თბილისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პოსტებიდან თამაზ ნადარეიშვილის განთავისუფლებისა და ამ თანამდებობებზე ჟიული შარტავას დანიშვნის შესახებ.

მთავარი მოტივაცია, რის გამოც არჩევანი ჟიული შარტავას კანდიდატურაზე გაკეთდა იყო მისი კომკავშირული წარსული. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ პარტიულ და კომკავშირულ სტრუქტურებში მოღვაწეობის პერიოდში მას ჰქონდა ახლო კავშირები როგორც აფხაზ ლიდერებთან, ისე კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ბორის პასტუხოვთან. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, მაშინ როდესაც ჟ. შარტავა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ამდენად მისი „ხელქეითი“ იყო.

ჟ. შარტავა საკმაოდ აქტიურად შეუდგა თავის მოღვაწეობას აფ-

ხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის რანგში. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ჩემი პირველი შეხვედრა-გაცნობა ბატონ ჟიულის-თან. ეს იყო ალბათ სოხუმში მისი ჩამოსვლის პირველივე კვირას. იმჟამად მე ვმსახურობდი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის შტაბში, პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროს ოფიცრად. მახსოვს, შუაღლე იყო, მე, სამხედრო ფორმაში გამონწყობილი – ჩემი განუყრელი „პაპკით“ გამოვედი „კომპოზიტორთა სახლის“ (იქ იყო განთავსებული ჩვენი განყოფილება) ეზოდან და ქალაქის ცენტრისკენ ფეხით გავუყევი თბილისის გზატკეცილს. მოულოდნელად ჩემს წინ ჩერდება ავტომანქანა („ჟიგუ-ლი“-2106) და მძღოლი მიღებს უკანა კარს.

მე ეს ჩვეულებრივ მოვლენად ჩავთვალე, ვიფიქრე, რომ რომელიმე ნაცნობია და ზედმეტი მოპატიჟების გარეშე ჩავჯექი მანქანაში. გავიხედე, მანქანას მართავს ბატონი ვასილ კადინეცი, ყველასათვის ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება, რომელსაც იმ დროს მაღალი თანამდებობა ეკავა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროებით მთავრობაში. მის გვერდით კი – ჩემსკენ ზურგით – ზის ვილაც მამაკაცი, რომლის სახეს მე ვერ ვხედავ. მისალმების შემდეგ ვ. კადინეცი მიმართა გვერდით მჯდომს: „ბატონო ჟიული, გაიცანით, ეს გახლავთ პროფესორი ზურაბ პაპასქირი. სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი“. უცნობი მობრუნდა თბილად მომესალმა, მე ადგილზე გავშრი – ჩემს წინაშე თვით ჟიული შარტავა იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ბატონ ვასილსა და ბატონ ჟიულს ახლო მეგობრობა აკავშირებდათ, რომელსაც სათავე, როგორც ჩანს, ვ. კადინეცის საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობისას – ის ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი იყო – ჩაეყარა. როგორც შემდეგ გავიგე, ბატონი ჟიული ვ. კადინეცის სახლში (ქალაქიდან მოშორებით – „კაშტაკში“) დაბინავებულია და მთელი ომი იქიდან დადიოდა სამსახურში.

ეს მაშინაც და მით უფრო დღევანდელი (საყოველთაო „ჯიპომანის“) გადასახედიდან გაუგონარი ამბავი იყო. ავტონომიის მთავრობის მეთაური და ამავდროს (ადგილზე) უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირი – გენერალი, ქალაქში გადაადგილდებოდა არა შავი „ვოლგით“ და დაცვის თანხლებით, არამედ, როგორც ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამას ბატონი ჟიული კონსპირაციის მიზნით აკეთებდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ფაქტი მის უბრალოებაზე მეტყველებს.

აქ მცირე განმარტებაა საჭირო იმის თაობაზე, თუ რატომ წარმადგინა ბატონმა ვასილმა მე უნივერსიტეტის რექტორად. საქმე იმაშია, რომ სადღაც 1993 წ. მაის-ივნისში, როდესაც ფრონტზე ერთგვარმა სიმშვიდემ (მოჩვენებითმა) დაისადგურა და ქართული ხელისუფლების პოზიციები რამდენადმე განმტკიცდა (15-18 მარტის სამხედრო წარმატების შემდეგ), ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი მთავრო-

ბის მეთაურმა ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა წამოსწია 1989 წელს ცნობილი მოვლენების შედეგად გახლეჩილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ერთიან საუნივერსიტეტო ცენტრად გაერთიანებისა და ფუნქციონირების განახლების ჩემს მიერ ჯერ კიდევ 1992 წლის დეკემბერში ინიცირებული იდეა.

მომზადდა სამთავრობო განკარგულების პროექტი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმში დარჩენილი ნაწილისა და თსუ სოხუმის ფილიალის გაერთიანების ბაზაზე ახალი ერთიანი საუნივერსიტეტო კომპლექსის – ზურაბ ანჩაბაძის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, რომელიც ერთობლივი გადაწყვეტილებით (ეს შეთანხმებული იყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან) დაამტკიცა კიდევ თავდაცვის საბჭომ და მინისტრთა საბჭომ. ამავე გადაწყვეტილებით მე დავინიშნე გაერთიანებული უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელად. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. კადინეცს, როდესაც ის აცნობდა ჩემს თავს ბატონ ჟიულის უნივერსიტეტის რექტორად. მაგრამ მალე ვითარება ფრონტზე კვლავ დაიძაბა და უნივერსიტეტისათვის არავის ეცალა, ხოლო 1993 წლის 27 ივლისის სოჩაში დადებული შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტების გაერთიანების იდეამ საერთოდ აზრი დაკარგა. მიუხედავად ამისა, მოგვიანებითაც, როდესაც მე (ძირითადად როგორც ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრი) ვმონაწილეობდი ცალკეულ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის კომიტეტში, ბატონი ჟიულის თვალში კვლავ ვრჩებოდი „უნივერსიტეტის რექტორად“.

მინდა გავიხსენო ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა-თათბირი, რომელიც გაიმართა მთავრობის სახლში უშუალოდ 27 ივლისის სოჩის შეთანხმების ხელმოწერის წინ. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ვითარება გუმისთის მიმართულებით ქართული მხარისათვის დამძიმდა. გაჩნდა სოხუმის დაკარგვის რეალური საფრთხე. ასეთ ვითარებაში ჟ. შარტავას ხელმძღვანელობით სოხუმში შედგა თავდაცვის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები (მათ შორის, მეც). ა. ცქიტიშვილმა, II საარმიო კორპუსის მეთაურმა გენ. ზაურ უჩაძემ, აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა გენ. იური კეშელავამ, სხვა კომპეტენტურმა პირებმა ფრონტებზე (განსაკუთრებით გუმისთის მიმართულებით) შექმნილი მდგომარეობა შეაფასეს, როგორც უკიდურესად მძიმე და ერთადერთ გამოსავლად „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერა მიიჩნიეს. ამ მოსაზრების წინააღმდეგ სხდომის არცერთი მონაწილე (მათ შორის, არც თა-

ვისი რადიკალიზმით ცნობილი, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბორის კაკუბავა) არ გამოსულა.

ასე, სამხედროების, პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თანხმობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1993 წ. 27 ივლისის ყბადაღებული სოჩის შეთანხმების „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“. მე კარგად მახსოვს, თუ როგორი დამუხტული იყო ჟიური შარტავა. სხდომის მსვლელობისას ის რამდენიმეჯერ გავიდა თავის კაბინეტში სოჩაში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობის თაობაზე ახალი ინფორმაციების მისაღებად, რომელსაც იქვე გვაცნობდა.

დაწყებული 1993 წლის ზაფხულიდან დღემდე არ წყდება კამათი პოლიტიკოსებსა და ექსპერტ-სპეციალისტებს შორის ამ შეთანხმების დადების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. ანალიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ შეთანხმებას მიიჩნევს კაპიტულანტიურად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ე. შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ თითქოს წინასწარგანზრახვით მოაწერა ხელი შეთანხმებას და ამით მოამზადა ნიდაგი აფხაზეთის ჩაბარებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო წასვლა ამგვარ ლალატზე. ყოველი შემთხვევისათვის, ასეთ შორსმიმავალ დასკვნას ძალზე სერიოზული, სათანადო დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული არგუმენტაცია სჭირდება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვუხსნით პასუხისმგებლობას ე. შევარდნაძესა და მის გუნდს იმ კატასტროფული შედეგებისათვის, რაც მოჰყვა სოჩის შეთანხმებას, მაგრამ ჩვენ საქართველოს ხელისუფლებას დანაშაულად ვუთვლით არა იმას, რომ მან მოაწერა ხელი წამგებიან დოკუმენტს (როგორც უკვე აღინიშნა, იმჟამად სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობდა), არამედ იმას, რომ მან ქვეყანა მიიყვანა ამ იძულებითი ნაბიჯის გადადგამაზე. რასაკვირველია, სოჩის შეთანხმება არ იყო იდეალური ქართული მხარისათვის, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის აბსოლუტურად წამგებიანი (თანაც ისეთ უმძიმეს ვითარებაში, როგორიც შეიქმნა ივლისის მინურულისათვის), მით უფრო, მოლალატეობრივი დოკუმენტი იყო. მართალია, შეთანხმების მიხედვით ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს უნდა დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია და მომხდარიყო რეგიონის საერთო დემილიტარიზაცია, მაგრამ ქართულ მხარეს ეძლეოდა შინაგანი ჯარის შენაერთის ყოლის უფლება, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, უნდა გაერთიანებულიყო შინაგანი ჯარის აფხაზურ პოლკთან და მათ ერთად უნდა დაეცვათ მართლწესრიგი ავტონომიურ რესპუბლიკაში. ერთი შეხედვით, ამ თითქმის უტოპიური იდეის რეალიზაცია იმ პერიოდში ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ მხარეების კეთილი ნების შემთხვევაში მისი მთლიანად გამორიცხვაც არ შეიძლება.



არანაკლებ უტოპიური იყო იმ პუნქტის რეალიზაციაც, რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურების საქმიანობის განახლებას, რაც გულისხმობდა ვ. არძინბასა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის, აგრეთვე მთავრობის გუდაუთაში გახიზნული ნაწილის დაბრუნებას სოხუმში და მათ ერთობლივ მუშაობას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ქართულ ნაწილთან. პირველ რიგში, ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ქართული საზოგადოებრიობა, რომელსაც, ყოველივე მომხდარის შემდეგ, ვერ წარმოედგინა ცხოვრება ვ. არძინბას რეჟიმის ქვეშ.

ამრიგად, სოჩის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებაში ასე პირდაპირ საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველი პუნქტები თითქოს არ იყო დაფიქსირებული. მისი მთავარი ნაკლი იყო ის, რომ აღნიშნული შეთანხმება არ შეიცავდა მისი შესრულების კონტროლის რეალურ მექანიზმებს და რომ ის, ისევე როგორც მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი, არ შესრულდა და ფარატიანა ქალაქად იქცა. გარდა ამისა, არავითარი გამართლება არა აქვს საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან გამოჩენილ მიაშიტიობასა და დოცლასობას. 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბრის მხარე გამოცდილების შემდეგ ე. შევარდნაძე და მისი გარემოცვა მხოლოდ სიტყვაზე არ უნდა ნდობოდა კრემლს და მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან მომავალი „სამშვიდობო“ ინიციატივების მიმართ. სწორედ ამის პატიება არ შეიძლება და არა იმის, რომ მან მაინც მოაწერა ხელი სოჩის შეთანხმებას.

მაგრამ მოუზრუნდეთ შეხვედრებს ჟიული შარტავასთან. 27 ივლისის „სოჩის შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ აფხაზეთში ვითარება თითქოს დამშვიდდა. მხარეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იცავდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. უფრო მეტიც, სოხუმის რაიონის მალალმთიან სოფელ ლინდავაში, ფრონტის ხაზზე, ქართველ და აფხაზ მეომრებს შორის საფეხბურთო მატჩიც კი შედგა. სოხუმში მიდიოდა მზადება სასწავლო წლის დასაწყებად. დღეს ზოგიერთები დანაშაულად უთვლიან საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას იმას, რომ 1 სექტემბერს სოხუმის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესი განახლდა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ამაში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის და გადაწყვეტილება სასწავლო პროცესის განახლების თაობაზე სოხუმში მიიღეს. ამ შემთხვევაში ინიციატივა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიდან (მათ შორის იყო ამ სტრიქონების ავტორიც) მოდიოდა. თვით ჟიული შარტავა სიფრთხილეს იჩენდა და დიდხანს წინააღმდეგი იყო სწავლის დაწყებისა.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთგვარი „საკონსულტაციო“ შეხვედრა მის კაბინეტში, რომელშიც ვმონაწილეობდით განათლების მინისტრი ჯანო ჯანელიძე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის

ინსტიტუტის რექტორი პროფ. ვახტანგ ფრუიძე, თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორი თეიმურაზ მიზჩუანი და მე. ჩვენ შევეცადეთ დაგვერწმუნებინა მთავრობის მეთაური 1993 წლის 1 სექტემბერს სასწავლო პროცესის დაწყების მიზანშეწონილობაში. ხაზს ვუსვამდით, რომ ამ აქტს ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. სწავლის დაწყება, ჩვენი აზრით, მხნეობას შეჰმატებდა ქართულ მოსახლეობას, აამაღლებდა მის მორალურ სულისკვეთებას. თანაც, ამით ქართული მხარე მთელ მსოფლიოს აჩვენებდა თავის სამშვიდობო განწყობას, სურვილს ყოველგვარი პანიკის გარეშე შესდგომოდა მშვიდობიან ცხოვრებას, რომლისკენაც მოუწოდებდა აფხაზ თანამოძმეებსაც. ბატონი ჟიული დაეთანხმა ჩვენს არგუმენტებს და გადაწყვეტილება სწავლის დაწყების შესახებ სოხუმში მიღებულ იქნა. და დღეს, ვინც რაც არ უნდა თქვას, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. სხვა საკითხია, რომ ოპტიმიზმი და იმედები იმ ადამიანებისა, რომელთაც გვჯეროდა სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობისა და ამიტომაც გამოვდიოდით ასე აქტიურად სასწავლო პროცესის დაწყების ინიციატივით, არ გამართლდა. აფხაზი სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ და სულ სხვა გეგმებს აწყობდნენ.

და ბოლოს, განსაკუთრებული გულისტკივილით მინდა მოვიგონო კიდევ ერთი შეხვედრა ბატონ ჟიულისთან. კარგად ვერ ვიხსენებ ზუსტად ეს როდის იყო, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ სადღაც აგვისტოს ბოლოსკენ, ან სექტემბრის დასაწყისში. ბატონი ჟიული რამდენიმე დღით დედაქალაქში ბრძანდებოდა. სოხუმში ვითარება გაურკვეველი იყო, ხალხიც აღელვებული ჩანდა – ეტყობა, ვგრძნობდით მოსალოდნელ ღალატს სეპარატისტების მხრიდან. არ მახსოვს, რა მიზეზით, მაგრამ დილიდან განათლების მინისტრის ჯანო ჯანელიძის კაბინეტში თავი მოვიყარეთ ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებმა შალვა ნულებისკირმა (იმჟამად ასევე მთავრობის მინისტრმა), მე და გივი მეშველიანმა. ბატონმა ჯანომ გვითხრა, რომ ყ. შარტავა საცაა უნდა ჩამოვიდეს თბილისიდან, ალბათ, ახალ ამბებს ჩამოიტანს და ხომ არ შევხვდეთო. ავედით თავმჯდომარის მისაღებში. მალე ბატონი ჟიული გამოჩნდა, საკმაოდ ცივად მოგვესალმა – აშკარად ეტყობოდა, რომ რალაციით გაღიზიანებული იყო. მინისტრებმა მოახსენეს, რომ დალაპარაკება სურდათ. გადის დრო – 1 საათი, 2, მაგრამ თავმჯდომარე არ გვღებულობს. ბატონმა გივი მეშველიანმა ვერ მოითმინა, ჩვეული პირდაპირობით მიეჭრა თანაშემწეს და კატეგორიულად მოსთხოვა შეესხნებინა ბატონი ჟიულისთვის ჩვენი იქ ყოფნა. თანაშემწე შევიდა კაბინეტში და მალე თავმჯდომარესთან ერთად გამოვიდა.

ყ. შარტავა ამჯერად კიდევ უფრო გაღიზიანებული გვეჩვენა და გაბრაზებულმა საყვედურით გვითხრა – „რა მოხდა? რა არის ასეთი გადაუდებელი, რომ ამიკელითო“. ამაზე უკვე ჩვენ „ავფეთქდით“. ბატონმა ჯანომ არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ მიახალა: „რას ჰქვია,

აგიკელით, ჩვენ აქ დილიდან გელოდებით, ერთი სული გვაქვს გავიგოთ, რაიმე სასიკეთო ამბავი თუ ჩამოიტანა თბილისიდან, თქვენ კი ზედაც არ შემოგვხედეთო“. თან დაამატა: „ბატონო ჟიული? თქვენ უნდა გავიგოთ, ჩვენ აქ 30 წელია ვიხარებთ ამ უბედურებაში...“. „აი, სწორედ იმიტომ, რომ 30 წელია იხარებთ და უკეთ ერკვევით აფხაზეთის ვითარებაში, – უმაღლესადაა ბატონმა ჟიულიმ, – თქვენ უნდა უძღვებოდეთ აქაურ საქმეებს და არა მე. რატომ არ ჩამოვედი ამდენ ხანს თუ იცით? 2 დღე ვებზენებოდი შევარდნაძეს როგორმე შევეცვალე და აღარ გამოვეშვი სოხუმში, მაგრამ არაფრით არ ქნაო...“. ეს თქვა და ჩვენი „წყენა“ ერთბაშად გაქრა. გივი მეშველიანმა კი ერთგვარი საყვედურით წარმოსთქვა: „ბატონო ჟიული, ეგ როგორ გაივლეთ გულში, ასეთი გაჭირვების უამს ჩვენი მიტოვება რამ გაფიქრებინათ? განა არ იცით, რომ ჩვენთვის მთავარი იმედი ხართ – მთელი აფხაზეთი თქვენ შემოგყურებთ“. ეს იმდენად ემოციურად გამოუვიდა გ. მეშველიანს, რომ ბატონი ჟიული ერთბაშად მოლბა, მადლობა გადაგვიხადა თანადგომისათვის და უკვე ჩვეულებრივად შემართებით დაიწყო საუბარი განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

დღემდე ვერ ამიხსნია, რა იყო ეს სასონარკვეთილი განცხადება. ნუთუ იყო რაღაც შინაგანი წინათგრძნობა მოსალოდნელი საფრთხისა და მოახლოებული ტრაგიკული აღსასრულისა. არ ვიცი. მაგრამ ვიცი ის, რომ ჟიული შარტავამ ბოლომდე ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი და ზვარაკად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე. ეს კი რჩეულთა ხვედრია.

შემდეგ კი იყო სოხუმის დაცვის გმირული ეპოპეა, რომლის შუა გულში გენერალი ჟიული შარტავა იდგა. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სრულიად საქართველო დაერაზმა მომხვედრთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მოწოდებები ყველამ როდი შეისმინა. და ბოლოს – ტრაგიკული 27 სექტემბერი, თავგანწირული ბრძოლა, როგორც იტყვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რომელმაც შეინირა ჟიული შარტავა და მისი გმირი თანამებრძოლები.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო დიალოგი ჩემს ყოფილ სტუდენტ ბესლან კობახიასთან (იმჟამად არძინბას ხელისუფლების მინისტრთან), რომელმაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ დაურ ბარგანჯიასთან და დაურ მარლანიასთან (ასევე ჩემი სტუდენტი, იმ დროს სოხუმის სამხედრო კომენდანტის მოადგილე) ერთად მომინახულა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში 1993 წ. 19 ოქტომბერს. ჩემს საყვედურზე – თუ რატომ დახვრიტეს ჟიული შარტავა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა დაპირისპირებულ მხარეთა შესარიგებლად, – ბესლანმა თავი დახარა და ერთგვარი დარცხვენით მითხრა: «Война, Зураб Валерьянович...».

**ZURAB PAPASKIRI**  
**SOKHUMI – 1993.**  
**MEETINGS WITH ZHIULI SHARTAVA**

In this paper the author gives his account of meetings with Zhiuli Shartava, the Head of the Military Council and the Council of the Ministers of Abkhazian Autonomous Republic, in Sokhumi during the tragic days of August and September of 1993.

**ЗУРАБ ПАПАСКИРИ**  
**СУХУМИ – 1993.**  
***ВСТРЕЧИ С ЖИУЛИ ШАРТАВА***

В статье рассказывается о впечатлениях автора от встреч с председателем Военного совета и Совета министров Абхазской Автономной республики Жиулием Шартава в Сухуми в трагические дни августа и сентября 1993 года.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
ავტანხეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2015

## კ რ ი ტ ი კ ა, ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### ზურაბ პაპასქირი

#### მეტად საინტერესო და საჭირო გამკვლევა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიაში

რეცენზია **მამუკა წურწუმის** მიერ ისტორიის დოქტორის (PhD)  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო  
ნაშრომზე: „**შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700).**

**ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს ისტორია ეს არის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის გმირული ეპოპეა. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური სამყარო მუდამ იყო მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების ორბიტაში და მას თითქმის პერმანენტულად თავს ატყდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე გლობალური კატაკლიზმები. ის რომ ამ გამოწვევებს საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით გაუმკლავდა და დღემდე მოიტანა ეროვნული მეობა, სახელმწიფოებრიობა უპირატესად ქართველი ხალხის მხედრულმა შემართებამ, მეომრულმა სულმა და მაღალმა სამხედრო კვალიფიკაციამ განაპირობა. მსოფლიო იმპერიებისა და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ ომებში დაგროვდა საკმაოდ სოლიდური გამოცდილება სამხედრო სფეროში, რომლის სიღრმისეული მეცნიერული შესწავლის საქმეში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულ ისტორიოგრაფიას სერიოზული ჩამორჩენა აქვს. სწორედ ამ ჩამორჩენის ნაწილობრივი დაძლევის ცდად უნდა ჩათვალოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის **მამუკა წურწუმის** მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი.

დისერტანტს კვლევის ობიექტად აღებული აქვს სამხედრო ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამასთან ნაკლე-

\* მასალა წარმოდგენს ავტორის – ოფიციალური ოპონენტის რეცენზიას მამუკა წურწუმის სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე. ქვეყნდება პირველად.

ბად დამუშავებული მიმართულება – ქართული ლაშქრის ორგანიზაცია, ტაქტიკისა და შეიარაღების საკითხები. აღნიშნული თემატიკის შესწავლის სირთულე განპირობებულია იმით, რომ, როგორც სავსებით მართებულად მიუთითებს თვით მ. წურწუმია, ის მოითხოვს ერთდროულად სხვადასხვა დარგის (ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ლინგვისტიკის და ა.შ.) მონაცემების ანალიზს, აგრეთვე მოცემულ სფეროში მსოფლიო გამოცდილების კაპიტალურ ცოდნას. პირველი რაც თვალში საცემია სადისერტაციო ნაშრომის გაცნობისას არის სწორედ ავტორის მაღალი განსაზღვრულობა და საკვლევე პრობლემების ირგვლივ არსებული მსოფლიო მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძვლიანი ათვისება. მას ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოაქვს და კრიტიკულად აქვს განალიზებული უცხოელ მკვლევართა ათეულობით ნაშრომი, რომლებშიც ფუნდამენტურადაა დამუშავებული მეზობელი (და არა მხოლოდ მეზობელი) ქვეყნების გამოცდილება და ამ ფონზე სკრუპულოზურად აქვს განხილული საკუთრივ ქართული ლაშქრის ორგანიზაციის, ტაქტიკისა და შეიარაღების საკითხები.

გარდა სამხედრო ისტორიის თემატიკისა, სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებული და დაზუსტებულია სოციალური ურთიერთობების ცალკეული საკითხები. ამ მხრივ, პირველ რიგში გამოვყოფდით მსჯელობას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობის „გააზნაურედეს ქუეყანისა მოქმედნი“-ს ირგვლივ. დისერტანტი სამართლიანად აკრიტიკებს აკად. ე. ხომტარია-ბროსეს თვალსაზრისს, თითქოს ამ პასაჟში „ქუეყანისა მოქმედნი“ აღნიშნავდეს ძველი „ერის“ წარმომადგენლებს – „მდაბიორ-მოლაშქრეებს“ და სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ „ქუეყანისა მოქმედნი“ იგივე გლეხებია (ამავე აზრის იყო ივ. ჯავახიშვილი), „რომლებიც სამხედრო სამსახურის წყალობით გახდნენ აზნაურნი“. ე. ხომტარიას-ბროსეს ამ „მცდარი დასკვნის“ მიზეზად კი მ. წურწუმია მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ „მკვლევარი კატეგორიულად გამორიცხავდა XII საუკუნეში გლეხობის ომში მონაწილეობას, და შესაბამისად, გააზნაურების საშუალებას“ (გვ. 35). ასევე უდავოდ სწორია დისერტანტის დებულება, რომლის მიხედვითაც ქვეითი ჯარის (რომელიც მისივე განმარტებით „ქართული ფეოდალური ლაშქრის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა“), კონტინგენტი, სწორედ საზოგადოების „ყველაზე დაბალი ფენიდან (წვრილი ერი, გლეხობა)“ გამოსული მეომრებისაგან იყო დაკომპლექტებული (გვ. 35).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე დისერტანტის მსჯელობამ ტაძრეულის სოციალურ იერსახესა და რიცხოვნობაზე. მ. წურწუმია აღნიშნავს, რომ „ტაძრეული წარმოდგება სიტყვიდან ტაძარი და სიტყვასიტყვით „სასახლისეულს“ ნიშნავს“ და რომ ეს იყო ფეოდალის (მეფის, დიდებულის) სამხედრო რაზმი, „რომელიც შედგებოდა როგორც ფეოდალური სახლის წევრებისაგან, ასევე მსახურთაგან.., რომელთაც

ბრძოლებში მონაწილეობით დანიშნულების კარგი შანსი ეძლეოდათ“ (გვ. 38-39). აქვე მ. წურწუშია ცდილობს დააზუსტოს ტაძრეულის რიცხოვნობა და ამასთან დაკავშირებით მოჰყავს შესაბამისი მასალა იოვანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობიდან“, რომელშიც VIII საუკუნის შუახანებში ხაზარეთში წასულ ნერსე ერისთავს თან ახლავს 300 მამაკაცი. ამ და სხვა წყაროთა (სუმბატ დავითის ძე, სტეფანოს ორბელიანი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ხელმწიფის კარის გარიგება, ძეგლი ერისთავთა) ცნობების მიხედვით დისერტანტი ასკვნის, რომ „ტაძრეულის რიცხოვნობა საკმაოდ მცირე იყო“ და ის მერყეობდა 300-დან 1500-მდე.

ამ დასკვნის საწინააღმდეგო, პრინციპში, ჩვენ არაფერი გვაქვს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს მასალები შეიძლება შეივსოს ჯუანშერ ჯუანშერიანის მონაცემებით. კერძოდ, იმ ფრაგმენტით სადაც მემატინე აფიქსირებს მურვან ყრუს მიერ ქართლიდან განდევნილი და აფხაზეთს შეფარებული ქართლის ერისმთავრების მირის და არჩილის ამალის რაოდენობას: „და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და პატიახშთა, ათასი ოდენ...“<sup>1</sup> მართალია, აქ მითითებული რიცხვი<sup>2</sup> გარდა ტაძრეულისა მოიცავს ნათესავებს „ერისთავთა და პატიახშთა“, მაგრამ ამ ციფრით მაინც შეიძლება აპელირება ტაძრეულის რიცხოვნობის დადგენისას. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში გაპარულ ერთ, ჩვენის აზრით, მექანიკურ შეცდომას – ნერსე ერისმთავარი ხაზარეთში გაემგზავრა არა „VIII საუკუნის შუახანებში“, როგორც ნერს დისერტანტი, არამედ VIII საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში. ასევე მექანიკურ შეცდომად გვეჩვენება არჩილის მიერ ტაძრეულის აზნაურის ხარისხში აყვანა VII საუკუნეში (გვ. 40). რასაკვირველია, აქ უნდა იყოს VIII ს.

უდავოდ მისაღებია დისერტანტის კრიტიკა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული (ნ. ბერძენიშვილი, დ. გოგოლაძე) თვალსაზრისისა, თითქოს „მონასპა ტაძრეულში შედიოდა და მის ერთ ნაწილს შეადგენდა“. მ. წურწუშია, ჩვენის აზრით, სავსებით სწორად მიუთითებს, რომ „ტაძრეული და მონასპა აბსოლუტურად განსხვავებული ნაწილებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან დაკომპლექტების პრინციპით, პირად წევრთა შემადგენლობითა და სოციალური წარმომავლობით, მოტივაციითა და ანაზღაურების მეთოდებით“ (გვ. 41). ასევე სწორია დი-

<sup>1</sup> ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 237, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრების უახლეს გამოცემაში სახელდება 3 ათასი: „და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედი ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და პატიახშთა სამი ათასი“. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი. რ. მეტრეველი. თბ., 2008, გვ. 237, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

სერტანტის დასკვნა იმის თაობაზე, რომ მონასპის ინსტიტუტი არსებობდა არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს (როგორც ამას ვარაუდობს გ. ალასანია), არამედ უფრო მოგვიანებითაც გიორგი III-ის მმართველობის პერიოდშიც.

იგივეს ვერ ვიტყვით დისერტანტის დაკვირვებებზე მონასპის ეთნო-ტომობრივი შემადგენლობის, შექმნის დროისა და რიცხოვნობის შესახებ. მას არადამაჯერებლად მიაჩნია გ. ანჩაბაძისა და გ. ალასანიას დასკვნა მონასპის 1111-1119 წლებში შექმნის შესახებ და ამ ინსტიტუტის გაჩენას ყივჩაღთა გადმოსახლებას უკავშირებს. მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ „დავითის ისტორიკოსი მონასპას პირველად 1118 წელს ყივჩაღების გადმოყვანის შემდეგ ახსენებს“ და საომარ მოქმედებებშიც მხოლოდ „ყივჩაღთა გადმოყვანის შემდეგაა“ დაფიქსირებული (გვ. 42). მ. ნურნუშია არ ეთანხმება აგრეთვე აზრს იმის შესახებაც, რომ მონასპა დაკომპლექტებული იყო „სხვადასხვა ეროვნების ტყვეთაგან, ძირითადად ოღუზ-თურქებისაგან და შესაძლოა ჩრდილოკავკასიელებისაგან“ (გ. ანჩაბაძე). დისერტანტს საეჭვოდ მიაჩნია მუსლიმ ტყვეთა (ოღუზ-თურქთა) „სწრაფი გაქრისტიანება“ („საქართველოში მუსლიმთა მიმართ განხორციელებული მასობრივი პროზელიტიზმის მაგალითები არ მოგვეპოვება“ – შენიშნავს ის). აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ნურნუშია მხარს უჭერს აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნას და ასევე თვლის, რომ მონასპა მხოლოდ ყივჩაღებისაგან შეიძლება ჩამოყალიბებულიყო (გვ. 43).

თავის დროზე, ჩვენ გაკვრით შევხებით მონა-სპის ეთნო-ტომობრივი შემადგენლობის საკითხს და, ფაქტობრივად, გამოვრიცხეთ (ნ ბერძენიშვილისა<sup>1</sup> და ქვ. ჩხატარაიშვილის კვალდაკვალ<sup>2</sup>) ამ გვარდიული შენაერთის ყივჩაყებით დაკომპლექტება. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება მივაქციეთ თვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას: „მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუანლსა, ვითარ ხუთი ათასი კაცი“, იყვნენ „ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმწნითა“.<sup>3</sup> ე. ი. როგორც ვხედავთ, მემატინე სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ მონასპის მეზრძოლნი უკლებლივ ყველა („ყოველნი“) ქრისტიანები იყვნენ (თუმცა, როგორც ჩანს, არაქართველნი) და **ბრძოლებში გამოცდილნი**. ასეთებად კი ყივჩაყთა ჯარის შექმნის დროისთვის თვით ყივჩაყები ვერ ჩაითვლებოდნენ. ამას ადასტურებს თუნდაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განმარტება,

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბ., 1974, გვ. 49-52.

<sup>2</sup> ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. – საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 164.

<sup>3</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 337 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).



რომელიც უშუალოდ მოსდევს ზემოთ მოყვანილ ცნობას მონა-სპაზე: „და თვით ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხვ შეეძინებოდა ქრისტესა“.<sup>1</sup> მოყვანილ პასაჟში ფრაზა „და თვით ყივჩაყნიცა“ სრულიად ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ზემოთ მონა-სპის მებრძოლები სხვა ტომის ხალხია და არა ყივჩაყები.<sup>2</sup> ამის კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება „ზურტაკეტში ყივჩაღის სამარხში ნაპოვნი ოქროს მონეტა“, რომელიც მ. წურწუმის აზრით, „შესაძლებელია, სწორედ მონასპის გასამრჯელოს ამსახავი იყოს“ (გვ. 44). საკითხავია, რატომ არ შეიძლება, რომ ოქროს მონეტა ნებისმიერი (და არა მაინცდამაინც მონა-სპის მებრძოლი) ყივჩაყისთვის ჩაეყოლებინათ?!

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც მონასპის ინსტიტუტის შექმნას დავათარილებთ 1118 წლის შემდგომი პერიოდით და, ვფიქრობთ, რომ ამ რაზმის ფორმირება მართლაც უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. არანაკლებ სადავოა დისერტანტის მცდელობა ეჭვი შეიტანოს დავით აღმაშენებლის მემატიაანის მიერ დაფიქსირებული მონა-სპის რაოდენობაში, მხოლოდ იმიტომ, რომ „5 000 მონასპის შესანახ ხარჯს საქართველო ვერ გაიღებდა“. ის ეყრდნობა ს. მარგიშვილის დაკვირვებებს ამ კუთხით (ზოგიერთი დაზუსტებით) და ასევე თვლის, რომ მონასპის რაოდენობა 5000-ზე საგრძნობლად ნაკლები უნდა ყოფილიყო (გვ. 43). ამ დასკვნის დამატებით არგუმენტად მ. წურწუმის მოჰყავს 1123 წლის შარვანის სამხედრო კამპანიისას მონა-სპის მიერ აყ-სონყურის 4 ათასიანი რაზმის დამარცხება. დისერტანტი რატომღაც ვარაუდობს, რომ ამ ოპერაციაში მონაწილე მეფის „მონათა“ რაოდენობა 1500-2000 კაცს არ აღემატებოდა (გვ. 43-44). ჩვენი აზრით, ეს მაგალითი ვერ გამოდგება ერთგვარ „ირიბ ინდიკატორად“, „რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მონასპის რიცხოვნობაზე, როგორც ამას წერს დისერტანტი. დავუშვათ, დავით აღმაშენებელი ამ კონკრეტულ შეტაკებაში, მართლაც, 1500-2000 მეომრით გაუმკლავდა 4 ათასიან ლაშქარს (თუმცა ამის დამადასტურებელი მასალა არ გაგვაჩნია), რატომ უნდა ნიშნავდეს ეს იმას, რომ მონასპის რაოდენობა ამ ციფრს არ აღემატებოდა? იქნებ მონასპა სრული შემადგენლობით არც მონაწილეობდა აღნიშნულ ბრძოლაში. გარდა ამისა, რაში უნდა დასჭირვებოდა მემატიაანეს ამ რიცხვის გაბერვა? განა რა პრინციპული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, 1500 მეომარს დააფიქსირებდა მემატიაანე თუ 5000-სს.

სადისერტაციო ნაშრომში ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისი (ქვ. ჩხატარაიშვილი,

<sup>1</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი.., გვ. 337 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>2</sup> **3. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 94. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ი. ჯიჭონაია. „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ. თბ., 2012, გვ. 91-92.

ს. მარგიშვილი) „მოლაშქრეობის სოციალურ არსზე და მის პრივილეგი-რებულობაზე“, რომელიც არ ითვალისწინებდა გლეხთა მონაწილეობას „ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციაში, თუმცა აქვე სავსებით მართე-ბულადაა მითითებული, რომ ამგვარი მიდგომა „ზედმეტად მაქსიმალის-ტურია და არ ითვალისწინებს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: ქვეითთა ფაქტორს შუა საუკუნეების არმიებში“ (გვ. 31). დისერტანტი განასხვავებს გლეხის მოლაშქრეობას ომში მონაწილეობისაგან. „მო-ლაშქრეობა – წერს მ. ნურნუშია, – ნიშნავდა ცხენზე ამხედრებულად ბრძოლას, ომში მონაწილეობა კი ქვეითადაც შეიძლებოდა“. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი იზიარებს აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნას იმის შესახებ, რომ „გლეხის ლაშქრობა მარტივი იყო. ის ქვეითი იყო და ბატონის უშუალო მომსახურეობას ეწეოდა...“ (გვ. 34). მთლიანობაში დისერტანტის მსჯელობა გლეხთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე-ობის თაობაზე უდავოდ სწორი და დამაჯერებელია, დასაბუთებულია მხოლოდ ის, რომ სადისერტაციო ნაშრომის ამ მონაკვეთში ასახვა ვერ ჰპოვა აკ-ად. შ. მესხიას უაღრესად საყურადღებო დასკვნამ, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, რამაც გადააწყვეტინა დავით აღმაშენე-ბელს ყიფიანთა გადმოსახლება და მათგან მუდმივი ჯარის შექმნა სწო-რედ მატერიალური დოვლათის მთავარი შემქმნელი მასის – გლეხთა – მიწისაგან არ მოწყვეტა და გლეხური მეურნეობის გაძლიერება იყო.<sup>1</sup>

სწორი და დამაჯერებელია მსჯელობა მონაპირე ერისთავის ინ-სტიტუტის გაჩენის დროის შესახებ (გვ. 52-53). დისერტანტი იზიარებს შ. მესხიას შეხედულებას მონაპირეთა სისტემის დავით აღმაშენებლის დროს შექმნის თაობაზე და მას ამყარებს დიდი მეფის მემკვიდრის ცნო-ბით: „*კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი*“. მ. ნურნუშიას ვარაუდით, „შესაძლოა, სწორედ ამ პროცესს გადმოგვცემდეს და მასში იგულისხ-მებოდეს საზღვრისპირა ადმინისტრაციის (მონაპირეთა) შექმნა („ნაპირ-თა ჭირვანი“) და მათ მიერ წარმოებული მარბიელი ლაშქრობანი („*კი-დეთა პყრობანი*““).

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მასში საქართველოს სამხედრო ისტორიის მთელი რიგი საკითხები შესწავლი-ლია შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების სფეროში მსოფლიო გა-მოცდილების ფონზე. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და სა-ჭირო მასალაა წარმოდგენილი II თავში.: **„ქართული ლაშქრის ტაქტიკა შუა საუკუნეებში“**. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მსჯელობა *წაგ-რძელებული შუბით* ბრძოლის ხერხზე, რომელსაც დისერტანტის დაკ-ვირვებით „ქართველები X საუკუნეში მაინც უნდა გასცნობოდნენ ბი-ზანტიისაგან...“ (გვ. 58). ამ თემის გაშუქებისას საკუთრივ ბიზანტიური მასალის გვერდით ის აანალიზებს ქართულ მასალასაც (მარტივის

<sup>1</sup> შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. – საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986, გვ. 35.

ტაძრის X საუკუნის რელიეფი). ნაგრძელებული შუბით განხორციელებული ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის ქართული პრაქტიკის საილუსტრაციოდ ძალზე მნიშვნელოვანია მ. წურწუმის მიერ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიდან“ მოყვანილი პასაჟი ქართველთა სპარსეთში ლაშქრობის შესახებ. ვფიქრობთ, ეს მასალა და მისი დისერტანტისეულ ანალიზი აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო (პირველ რიგში უცხოელი) სამეცნიერო წრეებისათვის, რათა ქართულმა გამოცდილებამ ამ სფეროში ასახვა ჰპოვოს ზოგადად სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

დისერტანტი სავსებით მართებულად აკრიტიკებს თვალსაზრისს (ს. მარგიშვილი) ჰოროლისა და ხელშუბის იგივეობის თაობაზე და ამგვარი დასკვნა მიუღებლად მიაჩნია (გვ. 64). მას არგუმენტად მოჰყავს სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: „*ოროლი არს, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი*“. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა სუმბატ დავითის ძის ცნობის მოყვანაც, რომელშიც ირიბად ხაზგასმულია ჰოროლის სიგრძე: „*მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან დამოკიდებაჲ წუერსა ჰოროლისასა დაწერილი მათი, რომელნი მისად დაეწერნეს გიორგი მეფესა ჩუენსა სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფემან ჰოროლისა წუერითა ამართნა იგინი. მიუჰყრა ღმერთსა და თქუა: „იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან“*“<sup>1</sup>

სამხედრო ხელოვნებისა და შეიარაღების სფეროში ბიზანტიურ-ქართული პარალელების კუთხით უაღრესად საინტერესო მასალაა წარმოდგენილი აბჯართან დაკავშირებით, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ბიზანტიურ-ქართული აბჯრის სიახლოვესა და მსგავსებაზე. კერძოდ, ანალიზებს რა XII საუკუნეში კასტორიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გამოსახულ წმ. ნესტორის ფრესკაზე ლამელარით აღჭურვილი წმინდანის ხატს (გვ. 100), მ. წურწუმია პარალელს უძებნის ამ ტიპის ბიზანტიურ აბჯარს (X ს. დასასრულის საკაოს წმ. გიორგის ხატი, ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადზე გამოსახული წმ. თევდორე და წმ. გიორგის აბჯრები, აგრეთვე XI ს. ლანჩვალის და სეტის ხატების წმ. გიორგის აბჯრებიც). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბიზანტიურ აღჭურვილობაზე ქართული ზეგავლენის დამადასტურებელი იკონოგრაფიული მასალის ანალიზი. დისერტანტი იზიარებს მ. პარანის მიერ XI ს. ხიდისთავის, სუჯუნის და ბოჭორმის წმ. გიორგის ხატებზე წმინდანების აბჯრებზე დაკვირვების შედეგად გამოთქმულ თვალსაზრისს ბიზანტიაში (XII ს.) ახალი ტიპის ქერცლოვანი აბჯრის საქართველოდან შეღწევის თაობაზე და ახალი არგუმენტებით ამყარებს ამ დასკვნას (გვ. 101-102). იფარის ეკლესიის 1096 წლით დათარიღებულ მთავარანგე-

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატიონიანთაჲ. – ქართლის ცხოვრება. მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2008, გვ. 372.

ლოზ მიქაელის, XII ს. ფავნისის წმ. მეომრისა და XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ტიმოთესუბნის წმ. მეომრის აბჯრების ანალიზი მკვლევარს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აბჯრის ეს ტიპი „უფრო მეტად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში და დროში წინ უსწრებდა ბიზანტიას“ (გვ. 101-102). ამ დაკვირვებაზე დაყრდნობით დისერტანტი სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას: „ხომ არ იქონია საქართველომ გავლენა ბიზანტიური ლამელარული აბჯრის შემუშავებაზე?“ და იქვე პასუხობს: „მართლაც, ძნელია იპოვო ისეთი ბიზანტიური აბჯარი, რომლის შესატყვისიც საქართველოში არ მოიპოვებოდეს, პირიქით კი ცოტა განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე“ (გვ. 103).

დისერტანტი ამასაც არ სჯერდება და საუბრობს „ბიზანტიის და მისი კავკასიელი მეზობლების (კერძოდ, საქართველოს) ურთიერთმართებაზე შეიარაღების საკითხებში“. ის სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ ბიზანტიის „საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა“ საქართველოსთან სხვა კავკასიელ მეზობლებთან „სამხედრო ტექნოლოგიების მიმოცვლას შეუწყობდა ხელს“. მართალია დისერტანტი იმაშიც, რომ „ბიზანტიური სამხედრო მანქანა დიდ გავლენას ახდენდა მის მეზობლებზე“. ამასთან, მ. წურწუშია სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ „საინააღმდეგო ხასიათის მოვლენაც შეინიშნება. საქართველოს, თავისი მდებარეობის წყალობით, ბიზანტიაზე უფრო ადრე ჰქონდა შეხება ჩრდილოეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ნომადებთან, რომელთა შეიარაღების სიახლეები, პირდაპირ თუ ტრანსფორმირებული, სწორედ საქართველოს გავლით შეიძლება მოხვედრილიყო ბიზანტიაში...“ (გვ. 103).

სადისერტაციო ნაშრომში გვხვდება სხვა არაერთი საინტერესო დაკვირვება სამხედრო საქმესა და შეიარაღების სფეროში ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთთანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებაზე. უდავოდ სწორია დისერტანტის დებულება, რომ „XII საუკუნემდე ქართულ სამხედრო საქმეზე დიდ გავლენას ახდენდა ბიზანტიური სამხედრო ხელოვნება. ქართულ-ბიზანტიური კავშირები განსაკუთრებით ინტენსიური იყო X-XI საუკუნეებში, ხასიათდებოდა არაბებთან ერთობლივი ბრძოლებით, ქართველების მონაწილეობით ბიზანტიურ სამოქალაქო ომებში და, ბოლოს, XI საუკუნეში მიმდინარე მძაფრი ურთიერთდაპირისპირებით. ბიზანტიურ-ქართული სიახლოვე ამ პერიოდის შეიარაღების მრავალ ასპექტში ჩანს“ (გვ. 184-185). ამგვარი სიახლოვის გამოიხატულებად დისერტანტს მიაჩნია თუნდაც ქართველების მხრიდან ბიზანტიური სამხედრო-თეორიული ნაშრომების ცოდნა, რომლის დამადასტურებელ მასალას ის ეძებს ქართულ იკონოგრაფიულ მემკვიდრეობაში (XI საუკუნის ბოჭორმის წმ. გიორგის ხატი, ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები), აგრეთვე მოჰყავს საკმაოდ თვალსაჩინო მასალა სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდან (იოანე დრასხანაკერტელი, არისტაკეს ლასტივერტცი, მიხეილ ატალიატი).

აქვე მ. ნურნუშია ჩვენი აზრით ზედმეტად დელიკატურად მიუთითებს ზოგიერთი უცხოელი კოლეგის (D. Nicolle) არაკორექტულ მცდელობაზე საკუთრივ ბიზანტიურ შეიარაღებაზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ მოიყვანონ მეზობელი ქვეყნის – საქართველოს იკონოგრაფიული მასალა (ნიკორწმინდის ეკლესიაზე გამოსახული წმინდა მეომრების მიძიმე შეიარაღება). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დისერტანტი შეიძლებოდა უფრო მკაცრიც ყოფილიყო. მართალია, ქართული პოლიტიკური სამყარო ზოგადად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან და კულტურულ-პოლიტიკურად ერთგვარი „ბიზანტიური თანამეგობრობის“ ნაწილადაც განიხილებოდა სულ ცოტა ოფიციალური კონსტანტინოპოლის მხრიდან მაინც,<sup>1</sup> მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას საქართველო საერთოდ ბიზანტიის იმპერიის ნაწილად მიიჩნიოს.

ასეთია ზოგადად მამუკა ნურნუშიას სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხების ძირითადი თემატიკა და დისერტანტის მიერ გაკეთებული დასკვნები. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ნაშრომის სახით ჩვენ საქმე გვაქვს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე შესრულებულ სერიოზულ მონოგრაფიულ გამოკვლევასთან, რომელშიც ფუნდამენტურადაა გაანალიზებული ქართული სამხედრო ხელოვნების აქტუალური (ამავე დროს ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილი) პრობლემები; ახლებურადაა გააზრებული და დაზუსტებული საკვლევი თემის არაერთი საკვანძო საკითხი.

დისერტანტი ამჟღავნებს სიღრმისეულ ცოდნას საკვლევ სფეროში. ეს ჩანს არა მხოლოდ ნაშრომის ძირითად ნაწილში, არამედ განსაკუთრებით სქოლიოში გატანილ კომენტარებში, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ცალკე სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ყველა ეს კომენტარი თავის ადგილზეა და მეტად საჭიროა, ის აჩვენებს დისერტანტის ფართო ერუდიციას. ესაა აგრეთვე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ჩავართოთ მსოფლიო გამოცდილება საქართველოს რეალობის ანალიზში და პირიქით, როგორ მოვაქციოთ ქართული გამოცდილება მსოფლიო სამეცნიერო არეალში. დისერტანტი

---

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასკირი**. ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი **როინ მეტრეველის** დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 158-180; **3. Папаскири**. Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2011. Т. 5. Вып. 3-4, გვ. 147-168; **Z. Papaskiri**. The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sveden. 2011. Vol. 5. Issue 3-4, გვ. 126-144.

შესანიშნავად ფლობს მეცნიერული კვლევის ხერხებს და მეთოდიკას, აქვს წერის მაღალი კულტურა.

მართალია, ნაშრომისადმი გვაქვს ცალკეული შენიშვნა-სურვილები, რომელთა ნაწილი ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკნინებს მის მეცნიერულ ღირებულებას. აღძრული საკითხების მრავალფეროვნებითა და მასშტაბებით, მათ ირგვლივ ჩატარებული დაკვირვებებისა და მიღებული დასკვნების სიახლით და დამაჯერებლობით, ვფიქრობთ, მამუკა წურწუმის მონოგრაფია არა თუ პასუხობს საძიებელი დონის საკვალიფიკაციო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, არამედ ბევრად სცილდება მას. უფრო მეტიც, არ შემეშინდება ვთქვა, რომ წარმოდგენილი გამოკვლევა ეროვნული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წინგადაგმული ნაბიჯია და ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის მიმართულებით საეტაპო ნაშრომადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ვიშუამდგომლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომ **მამუკა წურწუმის** სადისერტაციო ნაშრომისათვის: **„შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“** მიანიჭოს ისტორიის დოქტორის აკადემიური (PhD) ხარისხი.

**ZURAB PAPASKIRI**

**VERY INTERESTING AND NECESSARY RESEARCH ON HISTORY  
OF THE GEORGIAN MILITARY ART**

*Review on the PhD Thesis of Mamuka Tsurtsumia:  
“Medieval Georgian Army (900-1700):  
Organization, Tactics, Armament“*

This article presents a critical review, made by the Author as an official reviewer on defending of *Mamuka Tsurtsumia's* dissertation at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. There are noted positive aspects of the thesis and some mistakes in it.

**ЗУРАБ ПАПАСКИРИ**

**ВЕСЬМА ИНТЕРЕСНОЕ И НУЖНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ПО ИСТОРИИ  
ГРУЗИНСКОГО ВОЕННОГО ИСКУССТВА**

*Рецензия на докторскую диссертацию (PhD)  
Мамуки Цурцумия: «Средневековое грузинское войско (900-1700):  
Организация, тактика, вооружение»*

Статья представляет собой критический отзыв, прочитанный автором в качестве официального рецензента на защите докторской диссертации М. Цурцумия в Тбилисском государственном университете им. Иванэ Джавахишвили. В ней отмечены как положительные стороны диссертационной работы, так и некоторые её погрешности.

## ი უ ბ ი ლ ა რ ე ბ ი

### დაზმირ ჯოჯუა

#### ამაბღარი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე. ბორის კვარაცხელია – 80

იუბილე უაღრესად ნიშანდობლივი მოვლენაა ადამიანის და მითუმეტეს ღვანლმოსილი ადამიანის ცხოვრებაში. მას განსაკუთრებული შინაგანი ენერგეტიკა და ღრმა ინტენციონალური განცდის ძალა გააჩნია. ამასთან, საიუბილეო ღონისძიება მეტად საჭიროა იმ დაწესებულების ყოფიერებაში, რომელიც იუბილარის ღვანლმოსილებას სათანადო პატივს მიაგებს. ამგვარი უკუკავშირი სოხუმის უნივერსიტეტისთვისაც ღირსებატევადია, რამეთუ მისი სხვადასხვა თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა მოღვაწეობის აღწერა ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებას სხვა მხრიდანაც დაგვანახებს, მისი გონითი და ყოფითი ყოველდღიურობის სიუხვეს და მრავალფეროვნებას გვიჩვენებს, უნივერსიტეტის ისტორიას ბევრ საინტერესო დეტალს ჰმატებს.

ერთმა ბრძენმა მოღვაწემ „იუბილე“, როგორც ფენომენი, ასე განმარტა: *„იუბილე არის ადამიანის შესახებ არსებული ცოდნის თავმოყრის ადგილი; ეს არის უზარმაზარი ცხოვრებისეული შენობის დამაგვირგვინებელი თალი, რომელიც განვლილ წლებს, ვითარცა სვეტებს, ემყარება“.*

წარმოდგენილ ნარკვევში ჩვენ შევეცადეთ მოკლედ მიმოგვეხილა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბორის კვარაცხელიას ღვანლმოსილება, რათა რეალურად წარმოვაჩინოთ მისი უზარმაზარი ცხოვრებისეული შენობის თალი, რომელიც ოთხმოც ფესვმაგარ და მუხლმაგარ სვეტს ემყარება.

ბორის კვარაცხელია დაიბადა 1934 წ. 15 ივლისს აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფ. განახლებაში. მისი მშობლები აფხაზეთის ძირძველი მკვიდრნი იყვნენ, მათ იმთავითვე ჩაუნერგეს შვილს სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება, მოყვასისადმი პატივისცემა, პრომისადმი და ადამიანური სიქველისადმი მიდრეკილება.

სოფ. განახლების საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1952 წელს ბორის კვარაცხელია ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც



ნარჩინებით დაამთავრა 1956 წელს. ამის შემდეგ მთელი რვა წლის განმავლობაში იგი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას და იყო ისტორიის მასწავლებელი გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების საშუალო სკოლებში – შესაბამისად, სოფ. განახლებაში და სოფ. ქლოუში.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბ-ნმა ბორისმა გამოიჩინა ინტერესი სამეცნიერო მუშაობისადმი. ამიტომაც სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი იყო ახალგაზრდა ისტორიკოსის საკვლევადიებო მიზანსწრაფვა, დაუოკებელი სურვილი გაჰყოლოდა სამეცნიერო შემეცნების გზას. სწორედ ამან განაპირობა მისი პროფესიული ცხოვრების ორგანულად დაკავშირება მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელთან. ამ სასწავლებლის (1979 წლიდან – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 1989 წლიდან – თსუ სოხუმის ფილიალის, 2008 წლიდან – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის) კედლებში შრომითი საქმიანობის და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-წლიან პერიოდში (1965-2015 წლებში) მან გაიარა რთული, მაგრამ საინტერესო და ნაყოფიერი გზა კათედრის ლაბორანტობიდან პროფესორობამდე.

1972 წელს ბ. კვარაცხელიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მაგრამ მიზანსწრაფული და საკვლევადიებო ნოვაციებისადმი მიდრეკილებით გამორჩეული ახალგაზრდა მკვლევარი ამ წარმატებაზე არ შეჩერებულა. 1982-1984 წლებში, ქ. მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან გაიარა დოქტორანტურის კურსი და მოამზადა საკვალიფიკაციო ნაშრომი ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული თანამშრომლობის საკითხებზე. სადოქტორო დისერტაციის წარმატებული დაცვა შედგა 1987 წლის 4 მარტს თბილისში.

1988 წელს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალეროვნულმა კოლექტივმა ბ. კვარაცხელიას დიდი ნდობა გამოუცხადა – ის არჩეულ იქნა პრორექტორად სასწავლო მუშაობის დარგში, ანუ პირველ პრორექტორად. აღსანიშნავია, რომ პრორექტორის არჩევნები მაშინ დანიშნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ, რაც უპრეცედენტო შეთხვევა იყო უმაღლესი სასწავლებლის ისტორიაში.

პრორექტორის თანამდებობაზე პროფ. ბ. კვარაცხელიას უაღრესად არაორდინალურ და მძიმე ვითარებაში მოუხდა მუშაობა. სიტუაციის სიმძიმეს განაპირობებდა ორი გარემოება: ერთი მხრივ, სულ უფრო მზარდი გახდა შიდა საუნივერსიტეტო პროცესზე პოლიტიკური მოვლენების ზეგავლენის ტენდენცია, რაც მთლიანობაში არღვევდა სასწავლო დანესებულებათა დეპოლიტიზაციის პრინციპებს და ქმნიდა სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფების მიერ სამეცნიერო-სასწავლო პროცესში ჩარევის მექანიზმებს; მეორე მხრივ, აფხაზმა სეპარატისტებმა გააჩაღეს წინასწარდაგეგმილი და მიზანმიმართული ბრძოლა უნივერსიტეტში ყოველივე ქართულის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა სრულიად ლოგიკური საპროტესტო მოძრაობა.

ცნობილია, რომ ეს მოძრაობა დასრულდა უნივერსიტეტის გაყო-

ფით – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისა და აკადემიური პერსონალის ქართული ნაწილის ბაზაზე ცალკე საუნივერსიტეტო სტრუქტურის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის დაფუძნებით. ბუნებრივია, რომ ბ. კვარაცხელიამ მტკიცებულად განიცადა უნივერსიტეტის ერთიანობის დარღვევა და განსაკუთრებით ის, რომ, როგორც ხელმძღვანელობის წევრმა, ზემოხსენებული ორი ტენდენციის ურთიერთგადახლართვის გამო, ვერ მოახერხა კრიზისული სიტუაციის მოწესრიგება და სასწავლებლის ერთიანობის შენარჩუნება.

არავისთვის სადავოს არ წარმოადგენს (ყოველ შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს), რომ უნივერსიტეტის ერთიანობის დარღვევა გამოწვეული იყო კრემლის მიერ შეგულიანებული აფხაზი სეპარატისტების თავხედური, ანტიკონსტიტუციური დემარშით, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1989 წლის 18 მარტს ლიხნში. ფაქტი ფაქტად რჩება: 1989 წ. აპრილ-მაისის „საუნივერსიტეტო კრიზისმა“ გააშიშვლა არსებული წინააღმდეგობანი, გაზარდა კონფლიქტოგენობის ხარისხი და კრემლის ანტიქართულ პოლიტიკას ლოკალურ დონეზე ქართულ-აფხაზური კონფრონტაციის შემადგენელი შესძინა.

1989 წლიდან დღემდე ბ. კვარაცხელია აქტიურ და ნაყოფიერ პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა ჩვენს უნივერსიტეტში, ჯერ ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე, შემდეგ კი – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულებაზე, არის რა ამ მიმართულების ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი. თავის პროფესიულ ცხოვრებაში იგი გამოირჩევა, როგორც ერუდირებული ისტორიკოსი, ნიჭიერი მკვლევარი და შესანიშნავი პედაგოგი. ამასთან, მისთვის განუყოფელია მოქალაქეობა და პედაგოგობა, მოქალაქეობა და ისტორიკოსობა, ინტელიგენციის სოციალური ფუნქცია, უმნიკვლო და შეურყენელი რეპუტაცია.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ბ-ნი ბორისი დღესაც წარმატებით ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. ის არის საქართველოს სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, ექვთიმე თავაძეშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, ამავე ორგანიზაციის წელიწდეულის „საისტორიო ძიებანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი.

ბ. კვარაცხელიას ღვაწლმოსილება არაერთხელ დადასტურდა და დაფასდა ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან. ის გახლავთ გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, ფლობს მაღალ სახელმწიფო ჯილდოებს – ღირსების მედალს 2002 წლიდან და ღირსების ორდენს 2011 წლიდან.

გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ ბ. კვარაცხელიას სამეც-

ნიერო მემკვიდრეობის რამდენიმე, ჩვენის აზრით უალრესად ღირებულ, ასპექტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბ-ნი ბორისი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას და უანგაროდ ემსახურება ჩვენში სამეცნიერო აზროვნების წინსვლის საქმეს. მისი საკვლავები ინტერესების სფეროში შედის ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის ისტორია, აფხაზეთის ახალი და უახლესი ისტორიის ცალკეული პრობლემები, საქართველოს რეგიონალური კონფლიქტების საერთაშორისო განზომილება. ის არის 50-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. გვინდა სპეციალურად შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე, რათა უფრო ნათლად ვნახოთ, თუ რა შესძინა პროფ. ბ. კვარაცხელიამ ქართული სამეცნიერო აზრის განვითარებას და როგორი სოლიდური გამოკვლევებით გაამდიდრა იგი.

2009 წელს გამოქვეყნდა მისი ვრცელი მონოგრაფია: „ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა“, რომელშიც პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში სისტემურად და საფუძვლიანადაა გაანალიზებული გამოჩენილი მოღვაწის, პედაგოგისა და აფხაზმცოდნე-ეთნოგრაფის ნიკო ჯანაშიას მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ნიკო ჯანაშია, როგორც აფხაზეთის მკვიდრი, მტკივნეულად განიცდიდა აფხაზი ხალხის ეროვნულ ტრაგედიას, რისკის ფასად უშიშრად იცავდა მათ ეროვნულ უფლებებს. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თავგამოდებით ცდილობდა აფხაზი ხალხის საერთო-ქართულ ისტორიულ-კულტურულ სივრცეში შენარჩუნებას. როგორც ბ. კვარაცხელია აღნიშნავს, „ნიკო ჯანაშიას, როგორც ძმადნაფიცობის ტრადიციებზე აღზრდილს, ამფოთებდა „გათიშე დ იბატონეს“ ცბიერი რუსული პოლიტიკა, ერთიანად უყვარდა ორივე ხალხი და შეიძლება ითქვას, რომ ის იმდენად აფხაზი იყო, რამდენადაც ქართველი“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კვარაცხელიას გამოკვლევაში პირველად და თანაც სპეციალური კვლევის დონეზე არის წარმოდგენილი ნ. ჯანაშიას ეთნოგრაფიული მოღვაწეობის ბევრი ასპექტი. მონოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ ნიკო ჯანაშიამ, როგორც აფხაზმცოდნე-ეთნოგრაფმა, დიდი მუშაობა ჩაატარა აფხაზი ხალხის ზეპირსიტყვიერების, რწმენა-წარმოდგენების, ფოლკლორის, სამგლოვიარო რიტუალების, წარმართული პანთეონის და სხვ. შესასწავლად.

ბ. კვარაცხელიას ამ ნაშრომს დღეს არა მარტო სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. ნიკო ჯანაშიას დროინდელ მუჰაჯირობაგამოვლილ აფხაზეთს და დღევანდელ ოკუპირებულ აფხაზეთს ბევრი რამ აქვთ საერთო, განსაკუთრებულად რუსიფიკაციისა და კოლონიზაციის ვითარების თვალსაზრისით. ამიტომ უთუოდ საჭიროა, ასე ვთქვათ, პარალელური კომპარატული ანალიზი, წარსულის გაკვეთილებისა და თანამედროვე პრობლემების „შეთანაბრება“ და მათი გან-

სჯა ცივი გონებით.

საყოველთაოდ ცნობილია „აფხაზეთის კრიზისის“ თანამედროვე მდგომარეობა და, ასე ვთქვათ, სტრუქტურული ფაქტურა: ოკუპაცია, ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება და რუსეთის მიერ ფაქტობრივი სამხედრო ანექსია (ფორმალურ-იურიდიული ანექსიის პერსპექტივით). მაგრამ უკანასკნელი ოცი-ოცდაორი წლის განმავლობაში შეჩვეულ, ასე ვთქვათ, ტრადიციულ საფრთხეებს ამ ბოლო ხანებში დაემატა სულ ცოტა ორი ახალი გამოწვევა და რისკ-ფაქტორი. სინანულით გვინდა იმ სავალალო ფაქტის კონსტატაცია, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, სარგებლობს რა თავისი თანამდებობრივი და საექსპერტო სტატუსით, ნებისთი უნებლიედ, აძლიერებს ჩვენი სახელმწიფოს ერთიანობის ხელყოფით (და ამის საერთაშორისო ლეგიტიმაციით) დაინტერესებული ძალების პოზიციებს.

ზოგიერთი „სუბიექტი“ აყენებს აფხაზეთის დამოუკიდებლობის პირობითი ცნობის იდეას, რათა პერსპექტივაში გაადვილდეს რუსების ჯარების გაყვანა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება. როგორც ჩანს, გონების დასაჭურისებას, უპრინციპობას და უზნეობას მართლაც არა აქვს საზღვარი. მეორე უკიდურესობას კი დავარქმევდით ერთგვარ კონფლიქტოლოგიურ რომანტიზმს, უფრო სწორად, ამ რომანტიზმთან შეზიარებულ კომპრომისულ ფუნდამენტალიზმს; მხედველობაში გვაქვს, ასე ვთქვათ, „ბოდიშიზმის“ იდეოლოგიის შემოცურება ქართულ სააზროვნო სივრცეში: ზოგიერთი პიროვნება, ჯგუფი თუ დაჯგუფება ისე გაიტაცა ნეოლიბერალური კონფლიქტოლოგიის დაზეპირებამ (ხაზს ვუსვამთ, სწორედ რომ პლაგიატურმა დაზეპირებამ და არა შესწავლა-გაცნობიერებამ), რომ ლამის ნიანგის ცრემლებს ღვრიან განვლილ ომში აფსუათა გენოფონდის დაღუპვაზე და კუდის ქიციინით ცალმხრივი ბოდიშის მოხდის მაზოხისტურ თვითგვემას მისცემიან.

ცხადია, რომ ორივე უკიდურესობა მიუღებელია ჩვენთვის. ისტორიას არ ირჩევენ – ის ისეთია, როგორც გვაქვს. არც აზროვნების მოდელს, ზნეობას და ქმედების ფორმას ირჩევენ – ესენიც ისეთია, როგორც გვაქვს: ზოგი პატრიოტია, ზოგიც – კოლაბორაციონისტი. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში შექმნილი ვითარება ბევრ საფიქრალს გვიჩენს და მოყვანილი ხარვეზებიდან თავის დაზღვევაზე ზრუნვაც ჩვენი ცხოვრების უმთავრეს და ურყევ ნორმად უნდა იქცეს. სწორედ ამ ნორმაში ჯდება სავსებით ბორის კვარაცხელიას მონოგრაფიული გამოკვლევანი – რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში და საერთაშორისო თანამეგობრობა, თბ., 2012 და რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი) და საერთაშორისო თანამეგობრობა, თბ., 2014.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თემატიკა ახალი არაა ჩვენს მეცნიერებასა და პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში. ეს თუ, ერთი მხრივ, აიოლებს საქმეს (შენ არ ხარ მესაძირკვლე, პირველი გზამკვლევი), მეო-

რე მხრივ, ძალზე ართულებს და რამდენადმე აბრკოლებს კიდევ. საქმე ისაა, რომ ასეთ სიტუაციაში ძნელდება რაიმე ახალ, ორიგინალურ სათქმელს მიაგნო, რაღაც აქამდე უცნობი ნახნაგი წარმოაჩინო.

ბ-ნმა ბორისმა ეს რთული ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტა: მან შეძლო სრულიად ახლებურად გაეაზრებინა აფხაზეთის კონფლიქტის სტრუქტურა და პირველად სისტემურ მთლიანობაში დაამუშავა რუსეთ-საქართველოს ომზე (არსებითად ასეა ნომინირებული აფხაზეთის კონფლიქტი) საერთაშორისო თანამეგობრობის რეაგირების საერთო სურათი. პირდაპირ საოცარია ის სიღინჯე, გონიერება, განონასწორებულობა, თანმიმდევრულობა და პრინციპულობა, რომელსაც ავტორი იჩენს როგორც მოვლენათა ანალიზში, ისე პოლიტიკურ შეფასებაში (განსაკუთრებით გაეროსა და ევროკავშირის, ასევე ნაწილობრივ ეუთოს პოზიციათა და ქმედებათა დახასიათებაში).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაშრომის პატრიოტული და მოქალაქეობრივი კონცეფცია, ასევე ფაქტობრივი მასალის სიუხვე. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფაქტების სიუხვე „ახშობს“ ავტორს, მაგრამ მთლიანობაში მთელი ფაქტობრივი მასალა ექვემდებარება კვლევით ამოცანას და ანალიტიკური აზრის მდინარებას.

ვულოცავთ ამაგდარ, ღვაწლმოსილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებას, სულის სიმხნევას, შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო მოღვაწეობასა და სტუდენტი ახალგაზრდობის გონებრივ წრთობაში.

## **DAZMIR JOJUA**

### **PROMINENT SCIENTIST, HONOURED CITIZEN.**

#### ***BORIS KVARATSKHELIA – 80***

The article is devoted to the 80<sup>th</sup> anniversary of the birth of the prominent historian, one of the best representatives of the intelligentsia of Abkhazia, doctor of historical sciences, Professor of Sokhumi State University Boris Kvaratskhelia. It summarizes a brief description of scientific and pedagogical work of scientist.

## **ДАЗМИР ДЖОДЖУА**

### **ВИДНЫЙ УЧЁНЫЙ, ДОСТОЙНЫЙ ГРАЖДАНИН.**

#### ***БОРИС КВАРАЦХЕЛИЯ – 80***

Статья посвящена 80-летию юбилею со дня рождения видного учёного-историка, одного из лучших представителей интеллигенции Абхазии, доктора исторических наук, профессора Сухумского государственного университета Бориса Евстафьевича Кварацхелия. В ней дана краткая характеристика многосторонней плодотворной научно-педагогической и общественной деятельности учёного.

## ავტორები

1. **ზურაბ პაპასქირი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
2. **ვანტანგ ჯაფარიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
3. **ლია ახალაძე** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
4. **ჯამბულ ანჩაბაძე** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
5. **დაზმირ ჯოჯუა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
6. **იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი** – ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
7. **კახა კვაშილავა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი
8. **იგორ კეკელია** – ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. **ალექსანდრე მღებრიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.
10. **ოთარ გოგოლიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
11. **ჯემალ გამახარია** – ისტორიის დოქტორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
12. **ტატიანა ეროხინა** – ისტორიკოსი, ჟურნალისტი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია).
13. **დიმიტრი სილაქაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
14. **კახაბერ ყალიჩავა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
15. **ნოდარ ბერულავა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
16. **ნინო ხარჩილავა** – ისტორიის დოქტორი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი.
17. **თამარ ანთაძე** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი.
18. **მერაბ კალანდაძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
19. **ზაალ გოგენია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
20. **თეიმურაზ პაპასქირი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
21. **ალექსანდრ მასლოვი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (უკრაინა)
22. **გიორგი ცომაია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
23. **ფატი შეყლაშვილი** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
24. **შალვა კიკალიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

## ***Authors***

1. **Zurab Papaskiri** – Doctor of Historical Sciences, Full Professor of Sokhumi State University.
2. **Vakhtang Japaridze** – Doctor of Historical Sciences, Full Professor of Sokhumi State University.
3. **Lia Akhaladze** – PhD of History, Associate Professor of Sokhumi State University.
4. **Jambul Anchabadze** – Ph.D. in History, Associate Professor of Sokhumi State University.
5. **Dazmir Jojua** – Ph.D. in History, Associate Professor of Sokhumi State University.
6. **Joseb (Soso) Alimbarashvili** – Ph.D. in History, Associate Professor of Gori State Teaching University.
7. **Kakha Kvashilava** – Ph.D. in History, Assistant Professor of Sokhumi State University.
8. **Igor Kekelia** – Ph.D. in History, Kutaisi Akaki Tsereteli State University.
9. **Aleksandre Mgebrishvili** – Doctor of Philological Sciences, Full Professor of Gori State Teaching University.
10. **Otar Gogolishvili** – Doctor of Historical Sciences, Full Professor of Batumi Shota Rustaveli State University.
11. **Jemal Gamakharia** – PhD in History, vice-chairman of the Supreme Council of AR Abkhazia.
12. **Tatiana Erokhina** – historian, journalist (Moscow, Russian Federation)
13. **Dimitri Silakadze** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
14. **Kakhaber Kalichava** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
15. **Nodar Berulava** – Ph.D. in History, Associate Professor of Sokhumi State University.
16. **Nino Kharchilava** – Ph.D. in History, Head of the Learning Management of Batumi Art Teaching University.
17. **Tamar Antadze** – Ph.D. in History, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
18. **Merab Kalandadze** – Doctor of Historical Sciences, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
19. **Zaal Gogenia** – Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
20. **Teimuraz Papaskiri** – Ph.D. in History, Full Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
21. **Alexander Maslov** – Doctor of Historical Sciences (Ukraine)
22. **Giorgi Tsomaia** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
23. **Patima Sheklashvili** – Ph.D. in History, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
24. **Shalva Kikalishvili** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.



## **А в т о р ы**

1. **Зураб Папаскири** – доктор исторических наук, профессор Сухумского государственного университета.
2. **Вахтанг Джапаридзе** – доктор исторических наук, профессор Сухумского государственного университета.
3. **Лия Ахаладзе** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета.
4. **Джамбул Анчабадзе** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета.
5. **Дазмир Джоджуа** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета.
6. **Иосеб (Сосо) Алимбарашвили** – доктор истории, ассоциированный профессор Горийского государственного учебного университета.
7. **Каха Квашилава** – доктор истории, ассоциированный ассистент-профессор Сухумского государственного университета.
8. **Игорь Кекелиа** – доктор истории, Кутаисский государственный университет им. Акакия Церетели.
9. **Александре Мгебришвили** – доктор филологических наук, профессор Горийского государственного учебного университета.
10. **Отар Гоголишвили** – доктор исторических наук, профессор Батумского государственного университета им. Шота Руставели.
11. **Джемал Гамахария** – доктор истории, заместитель председателя Верховного Совета Абхазской Автономной Республики
12. **Татьяна Ерохина** – историк, журналист (Москва, Российская федерация).
13. **Дмитрий Силакадзе** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
14. **Кахабер Каличава** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
15. **Нодар Берулава** – доктор истории, ассоциированный профессор Сухумского государственного университета.
16. **Нино Харчилава** – доктор истории, руководитель департамента учебного процесса Батумского учебного университета искусства
17. **Тамар Антадзе** – доктор истории, ассистент-профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили
18. **Мераб Каландадзе** – доктор исторических наук, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили.
19. **Заал Гогениа** – ассистент-профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили.
20. **Теймураз Папаскири** – доктор истории, профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили.
21. **Александр Маслов** – доктор исторических наук (Украина)
22. **Георгий Цомая** – докторант истории, профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили.
23. **Патима Шеклашвили** – доктор истории, ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили.
24. **Шалва Кикалишвили** – докторант Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили.

## ავტორებისათვის

„საისტორიო ძიებანში“ გამოსაქვეყნებლად გამოგზავნილი მასალა უნდა იყოს აკრეფილი AKolkhetyN-ში (ზომა – 11, ინტერვალი – 1,15). სქოლიო უნდა იყოს ასევე AKolkhetyN-ში (ზომა – 10, ინტერვალი – 1,0). უცხო ენებზე აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი Calibri-ში, ძირითადი ტექსტის ან სქოლიოს შესაბამისი ზომებით. სტატიას თან უნდა ახლდეს რეზიუმე (ნახევარი გვერდიდან ერთ გვერდამდე) ინგლისურ და რუსულ ენებზე. სქოლიოს დაკაბადონების წესების შესახებ იხ. „საისტორიო ძიებანში“ ციტირების წესი ვებგვერდზე (<https://sites.google.com/site/saistoriodziebani>). გამოყენებული ლიტერატურის სიის დართვა საჭირო არ არის.

### რედაქციის მისამართი:

ქ. თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 61.

ტელ.: (995-32) 254-14-12

e-mail: saistoriodziebani@gmail.com

webpage: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani>